პეტრე ვაჭრიძე

# ხონის ისტორიიდან

თბილისი
1998

ნაშრომში განხილულია დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ძველი და კოლორიტული ქალაქის ხონის ისტორიის ძირითადი საკითხები, კერძოდ, ნაჩვენებია ქ. ხონის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობა ფეოდალურ და ბურჟუაზიულ ურთიერთობათა ხანაში, რა რთული და წინააღმდეგობრივი გზა გაიარა მან, მთელ საქართველოსთან ერთად, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში. როგორი სულისკვეთებით ცხოვრობს იგი დღეს დამოუკიდებელ სახელმწიფოში. წიგნში მკითხველი შეხვდება იმ ადამიანთა ერთ ნაწილს, რომლებმაც, თავიანთი უანგარო მოღვაწეობით, გარკვეული წვლილი შეიტანეს მშობლიური ქალაქის კეთილდღეობისათვის ბრძოლის საქმეში.

მეორე შევსებული და
შესწორებული გამოცემა

წიგნის სპონსორია

ჯემალ (ანდრო) ვლადიმერის ძე უგულავა

# ხონის რაიონი



ასლი შესრულებულია ელდარ ლორიას მიერ

## ძვირფასო მკითხველო!

ეს წიგნი გამოიცა საქველმოქმედო საზოგადოება „ხონელის" რუდუნებითა და მონდომებით, ხონსა და ხონელებზე მისი ისტორიული წარსულიდან თითქმის დღევანდელობამდე. წიგნი მეორედ გამოიცემა, მაგრამ დიდი შესწორებითა და უამრავი ფაქტის სადღეისო გააზრებით.

საზოგადოება „ხონელის" პრეზიდიუმი დიდ მადლობას უხდის წიგნის ავტორს, აკ. წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგეს, დოცენტს, ბატონ პეტრე ვაჭრიძეს და ყველა მათ, ვინც ავტორს დაეხმარა მასალების შეგროვებაში. განსაკუთრებული მადლობა გვინდა მოვახსენოთ ხონის მკვიდრს, ბატონ ჯემალ (ანდრო) ვლადიმერის ძე უგულავას, რომელმაც წიგნის გამოცემის სპონსორობა ითავა.

ასევე მადლობა გვინდა მოვახსენოთ რაიონის მკვიდრთ, ბატონ ჯუმბერ კირილეს ძე ხაჭაპურიძეს, რომელმაც ყველაფერი გააკეთა წიგნის სრულყოფილი გამოცემისათვის და ავრორა ცაგარეიშვილს, რომელმაც სრულიად უანგაროდ შეასრულა კორექტორის მოვალეობა.

**გიორგი კვანტალიანი**

საქველმოქმედო საზოგადოება „ხონელის" პრეზიდიუმის თავმჯდომარე

## რედაქტორის წინასიტყვაობა

ოცი წლის წინათ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" დაბეჭდა პეტრე ვაჭრიძის ნაშრომი „ქალაქ წულუკიძის ისტორიიდან". მკაცრად განსაზღვრული მოცულობის გამო, მაშინ წიგნში ვერ იქნა შეტანილი ბევრი საინტერესო ფაქტი და მოვლენა. მიუხედავად ამისა, იგი გულთბილად მიიღო მკითხველმა. ამასთან ერთად, გაჩნდა სურვილი დაბეჭდილიყო წიგნის ვრცელი ვარიანტი, რაც დღემდე ვერ განხორციელდა. ამასობაში ბევრი რამ რადიკალურად შეიცვალა, როგორც მთლიანად საქართველოში, ასევე ხონში. აღდგენილ იქნა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა, ქართველი ხალხი დაადგა დამოუკიდებელი ცხოვრების ძნელ, რთულ, მაგრამ ერთადერთ სწორ და ღირსეულ გზას. მდიდარი და მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ქალაქი ხონი აქტიურად არის ჩაბმული საქართველოში დღეს მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ პროცესებში. არნახულად მრავალფეროვანი გახდა ხონის სულიერი ცხოვრება. დაისვა საკითხი განხორციელებულიყო ხონის ისტორიის ახალი გამოცემა. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა საქველმოქმედო საზოგადოება „ხონელი" (პრეზიდენტი ბატონი გიორგი კვანტალიანი).

შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელსაც დაევალა ხონის ისტორიის ახალ გამოცემასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება. პირველ რიგში, თხოვნით მივმართეთ ბატონ პეტრე ვაჭრიძეს, გადაემუშავებინა და შეევსო თავისი შრომა, მოემზადებინა იგი ახალი გამოცემისათვის. საინიციატივო ჯგუფმა შეაგროვა დამატებითი მასალები და ცნობები ავტორისათვის გადასაცემად. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ მასში აქტიურად მონაწილეობდა მთელი ჩვენი ინტელიგენცია (გიორგი კვანტალიანი, უშანგი კაკაბაძე, ვახტანგ ქომეთიანი, ვაჟა ფანცულაია, თენგიზ მიქაძე, რაულ ბოკილავაძე, ვიქტორ ლაჭავა, თინა ჭელიძე, ანტონ კიკნაძე, ალექსანდრე აკობიძე, ეკატერინე ფირცხალავა, ბენია კარტოზია, ტარიელ ჯაფარიძე, ალექსანდრე ყუფარაძე, ომარ წივწივაძე, რაულ ჩხაიძე, იოსებ ბახტაძე, ზურაბ რუხაძე, თამარ გიორხელიძე, ლერი გალდავაძე, მაყვალა მელქაძე, ჯულიეტა მიქაძე, ლერი ხუჭუა, სოსო კვანტალიანი, რეზო მელაძე, ალექსანდრე ხაინდრავა, ნიკოლოზ შავლაყაძე, მურმან გორდაძე, ლაზარე მამარდაშვილი...).

ჩვენი სურვილი იყო, წიგნში დასახელებულიყო ყველა, ვინც რაიმე კვალი დატოვა ხონის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ავტორმა მაქსიმალურად გაითვალისწინა ეს, მაგრამ ფიზიკურად შეუძლებელი აღმოჩნდა. ამასთან დაკავშირებით ავტორმა შემოგვთავაზა გამოსაცემად მოგვემზადებინა „ხონელ და ხონში მოღვაწეთა ანოტირებული საძიებელი“ და თავადაც აღგვითქვა მასში მონაწილეობა. ასეთი „საძიებლის“ შესადგენად და გამოსაცემად უკვე დაიწყო მოსამზადებელი მუშაობა.

ხონის ისტორიის შევსებულ და გადამუშავებულ ვარიანტს ხელნაწერში გაეცნენ ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლები და საგულისხმო შენიშვნებიც გააკეთეს, რაც გათვალისწინებულია. ავტორს რამდენიმე შეხვედრა ჰქონდა ხონის საზოგადოებასთან. წიგნის ხელახლა გამოცემას აქტიურად დაუჭირეს მხარი რაიონის მმართველობის გამგეობამ (გამგებელი ბატონი მიხეილ ჩხენკელი) და ქალაქის მერიამ (მერი ბატონი ოთარ ჯაფარიძე).

გვჯერა, წიგნს ინტერესით შეხვდება ქართველი მკითხველი და იგი არა მარტო ხონის რაიონის, არამედ მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ყოველი ხონელისთვის სამაგიდო წიგნი გახდება.

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲛᲐᲗᲔᲡ ᲫᲔ ᲑᲐᲮᲢᲐᲫᲔ

# ავტორის წინათქმა

XX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს თბილისში მცხოვრებ ხონელთა ერთმა ჯგუფმა, ცნობილი პუბლიცისტის და საზოგადო მოღვაწის გიგლა მებუკის მეთაურობით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორს, გამოჩენილ ისტორიკოსს ნიკო ბერძენიშვილს თხოვა დახმარება ხონის ისტორიის დაწერის საქმეში. ამ ინსტიტუტში სამეცნიერო ხარისხის მაძიებლად ვიყავი გაფორმებული და ბატონი ნიკოს რეკომენდაციით ხონის ახალი და უახლესი ისტორიის დაწერა მე შემომთავაზეს. დავალების შესრულებას დიდი პასუხისმგებლობით შევუდექი. არქივებსა და სიძველეთსაცავებში, პერიოდულ პრესაში შევაგროვე დიდძალი მასალა. დაიწერა სადისერტაციო შრომა, რომლის ერთი ნაწილი, აკად. ნიკო ბერძენიშვილის წარდგენით, დაიბეჭდა ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო ჟურნალში „მაცნე" (1966 წ. № 4), შემოკლებით გამოვიდა ცალკე წიგნადაც (1977 წ.). ხონის ახალი და უახლესი ისტორიის კვლევისას, ცხადია, საჭირო გახდა ქალაქის ძველი ისტორიის საკითხების შესწავლაც. მართალია, სამეცნიერო ხარისხი მივიღე, მაგრამ ხონის ისტორიაზე მუშაობა არ შემიწყვეტია, ამიტომ სიამოვნებით შევხვდი საქველმოქმედო საზოგადოება „ხონელის" შემოთავაზებულ წინადადებას, გადამემუშავებია და ხელახლა გამოსაცემად მომემზადებია ხონის ისტორია. ამას ერთ წელზე მეტი დაჭირდა. საზოგადოება „ხონელმა" (პრეზიდიუმის თავმჯდომარე გიორგი კვანტალიანი, თავმჯდომარის მოადგილე გურამ ბახტაძე) დარაზმა ხონის საზოგადოებრიობა დამატებითი მასალებისა და ცნობების შესაგროვებლად. რამდენჯერმე მოეწყო ხელნაწერის განხილვა. შესაძლებლობის ფარგლებში გათვალისწინებულია ყველა არსებითი შენიშვნა და სურვილი.

ამასთან ერთად, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის, რომ წინამდებარე ნაშრომი არის ქალაქ ხონის და არა ხონის რაიონის ისტორია (თუმცა, შიგადაშიგ ზოგჯერ მთლიანად რაიონზეც არის საუბარი). ეს სხვა, დიდი და საინტერესო თემაა. ცხადია, უნდა დაიწეროს და გამოიცეს ხონის რაიონის ისტორია, რაც მომავლის საქმეა. ხონს ახლა უკვე ყავს ადგილობრივი კადრები (ზოგიერთი მათგანის აღზრდასა და დაკვალიანებაში მეც მიმიღია მონაწილეობა), რომლებსაც ამის გაკეთება შეუძლიათ.

ხონის ისტორიის შევსებული და გადამუშავებული გამოცემაც ვერ იქნება სრულყოფილი. მჯერა, მომავალში ხონის ისტორიის ახალი ავტორები შეავსებენ ამ წიგნის ხარვეზებს.

უდიდესი მადლიერების გრძნობით ვარ გამსჭვალული იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც ასეთი გულისხმიერი მონაწილეობა მიიღეს წიგნის ხელახლა გამოცემის მომზადების საქმეში (მათი არასრული სია მოცემულია რედაქტორის წინასიტყვაობაში).

**პეტრე მაჭრიძე**

## შესავალი

ხონი, რომელიც დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული და კოლორიტული ქალაქია, ყოველთვის თვალსაჩინო როლს თამაშობდა ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. მან საქართველოს მისცა განათლების, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების და საზოგადოებრივი მოძრაობის მრავალი გამოჩენილი მოღვაწე, რომლებმაც შორს გაუთქვეს სახელი თავიანთ მშობლიურ კერას.

ხონი ეკუთვნის დასავლეთ საქართველოს იმ პატარა ქალაქების რიცხვს, რომლებიც ფეოდალურ ხანაში აღმოცენდნენ, შემდეგ სათავეში ჩაუდგნენ მნიშვნელოვან შინასამრეწველო რაიონებს და განსაკუთრებით სწრაფად დაწინაურდნენ XIX საუკუნის მეორე ნახევარში. მისი ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული წმინდა გიორგის ეკლესიასთან, რომელიც მატერიალური კულტურის საყურადღებო ძეგლს წარმოადგენს. საუკუნეების განმავლობაში აქ თავი მოიყარა ჭედური ხელოვნების, ხელნაწერი წიგნებისა და საბუთების მდიდარმა კოლექციამ, რომელიც ძვირფასი პირველწყაროა ქალაქის ისტორიის შესასწავლად. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თურქთა აგრესიისა და ფეოდალური შინაომების დროს, ხონის ეკლესიის არქივის დიდი ნაწილი დაიღუპა. იმერეთის მეფე სოლომონ პირველი (1752-1784) წმინდა გიორგის ეკლესიისადმი მიცემულ ერთ-ერთ სიგელში (1761 წ.) მიუთითებდა: „... მოვიკითხეთ და ეკლესიის გუჯარი ვერ ვნახეთ, ჟამთა ვითარებისაგან დაკარგულიყო, არც სამრევლოს შემოსავლის, არც ნიშნის, არც სახუცოსი, არც ერთი წიგნი აღარ იყო...“[1].მიუხედავად ამისა, ჩვენამდე მოღწეულია წმინდა გიორგის ეკლესიის ერთი დავთარი, საბეგრო ნუსხების, სიგელ-გუჯრებისა და შეწირულებათა წიგნების ნაწილი, რომლებიც XVI-XVIII საუკუნეებშია შედგენილი. ხონის სოციალურ-ეკონომიკური მდგო-

---

[1] ს. კაკაბაძე, საეკლესიო რეფორმებისათვის სოლომონ პირველის დროს, ტფ., 1913, გვ. 6-9.)

მარეობის გასათვალისწინებლად საინტერესო ცნობებია, აგრეთვე, დაცული იმერეთში საეკლესიო რეფორმასთან დაკავშირებულ და საეკლესიო გლეხების 1820 და 1825 წლების კამერალურ აღწერათა მასალებში. ისინი საშუალებას გვაძლევენ წარმოვიდგინოთ ხონის მოსახლეობის მდგომარეობა, მათი ბეგარა-ვალდებულებები, სოციალური ურთიერთობანი და ხონის ეკლესიის მეურნეობის ზოგადი სახე აღნიშნულ ეპოქაში. ამ საბუთების უმრავლესობა გამოცემულია პროფ. სარგის კაკაბაძის მიერ[2]. უფრო ადრინდელი ხანისათვის ცნობები არ მოგვეპოვება.

ხონი და მისი სიძველეები მკვლევართა და მოგზაურთა დიდ დაინტერესებას იწვევდა. XVII საუკუნის შუა ხანებში ხონს იმერეთის სახელმწიფოს ციხე-ქალაქებს შორის მოიხსენიებდა რუსი ელჩი ნიკიფორე ტოლოჩანოვი[3].

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში დიდი ქართველი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონი წერდა: „არს ხონს ეკლესია დიდი, გუმბათიანი, შუენიერ ნაგები"[4].

ეს ცნობა არაა ზუსტი. წმინდა გიორგის ეკლესია ბაზილიკური ტიპის უგუმბათო ნაგებობაა. მიუხედავად იმისა, რომ იგი რამდენჯერმე გადაკეთებული, როგორც დ. გორდეევი აღნიშნავდა, მას გუმბათი არც XVIII საუკუნეში უნდა ჰქონოდა[5]. ვახუშტი ბაგრატიონი, შესაძლებელია, შეცდომაში შეიყვანა კორესპონდენტმა, რომელიც მას დასავლეთ საქართველოს შესახებ მასალებს აწვდიდა.

ხონის გარეგნული სახის, მოსახლეობის საქმიანობის და მთელს იმერეთში განთქმული ბაზრობის — პარასკეობის საინტერესო აღწერა დაგვიტოვა გერმანელმა მეცნიერმა იო-

---

[2] ს. კაკაბაძე, ხონის საყდრის დავთარი 1600 წლის ახლო დროისა, ტფ., 1913; აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთარი, ტფ., 1914; დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წიგნი I და II, ტფ., 1921; მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის, „საისტორიო კრებული", წიგნი I და III, ტფ., 1928; იმერეთის საეკლესიო ყმადმფლობელობა 1820 და 1825 წლების აღწერათა მიხედვით, „საისტორიო კრებული", წიგნი IV, ტფ., 1929.

[3] ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ., რუსული ტექსტი ქართული თარგმანით და ხელნაწერების მიმოხილვით გამოსაცემად მოამზადა იასე ცინცაძემ, თბ., 1970, გვ. 152, 266.

[4] ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 750.

[5] Д. Гордеев, Материалы к обследованию Хонских древностей, „საისტორიო მოამბე", წიგნი პირველი, ტფ., 1924, გვ. 193.

ჰან ანტონ გიულდენშტედტმა, რომელმაც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დავალებით, XVIII საუკუნის 70-იან წლებში იმოგზაურა საქართველოში.

1822 წელს ხონს ეწვია ფრანგი კონსული ჟაკ ფრანსუა გამბა. მან დაათვალიერა წმინდა გიორგის ეკლესია, გაეცნო ადგილობრივი მოსახლეობის მეურნეობასა და ყოფას. გამბას ჩანაწერები საყურადღებოა იმით, რომ მასში ასახულია დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრისა და სავაჭრო პუნქტის მდგომარეობა რუსეთის ჯარების მიერ იმერეთის დაპყრობისა და რუსული მმართველობის არსებობის პირველ წლებში, როდესაც ძალზე ცხოველი იყო 1819-1820 წლების სახალხო აჯანყების ხსოვნა.

„ეკლესიას გარს არტყია ქონგურებითა და სათოფურებით დამშვენებული სქელი და მაღალი გალავანი, რომელიც საკმაოდ მტკიცეა იმისათვის, რომ აქ ბერებსა და მცხოვრებლებს თავი შეეფარებიათ განსაცდელის ჟამს... რადგან ხონი ქუთაისიდან ანაკლიასა და დიოსკურიაში პირდაპირ მიმავალ გზაზეა, შესაძლოა, ეს მონასტერი ქარავნებისა და ვაჭრების დასაცავად აშენებულ ციხე-სიმაგრეთა ნაწილს წარმოადგენდეს"[6] – წერდა გამბა. მისი აზრით, ეკლესია აგებული უნდა იყოს მეთორმეტე ან მეცამეტე საუკუნეში. „სკულპტურულ ორნამენტებს შორის, – აღნიშნავდა იგი, – შეინიშნება როზეტები და ფიგურები იგივე ცხოველებისა, რომლებიც ქუთაისის ძველი კათედრალის პორტალზე ვნახეთ"[7].

1847 წელს ხონში სტუმრად იმყოფებოდა ცნობილი რუსი მოგზაური ა. მურავიოვი, რომელიც დაესწრო საეკლესიო დღესასწაულს – გიორგობას და მასთან დაკავშირებულ ასპარეზობას. აქ მას მოუსმენია ერთი ლეგენდა, რომლის მიხედვით ხონის ეკლესია თამარ მეფის დროს (1184-1213) არის აგებული. თვით ა. მურავიოვს ეკლესია ადრეული ქრისტიანობის ძეგლად მიაჩნდა[8].

მოკლე ცნობა ხონის ისტორიულ წარსულზე გამოქვეყნე-

---

[6]ჟაკ ფრანსუა გამბა, მოგზაურობა კავკასიაში, ტ. I, ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1987, გვ. 148.)

[7]იქვე.

[8]А. Муравьев, Армения и Грузия, ч. III, СПб, 1848, с. 236-245.)

ბულია 1847 წ. „კავკაზსკი კალენდარ" -ში (იხ. სტაპია "Краткий исторический очерк Закавказья"). ამ სტატიის ავტორმა, ისტორიკოსმა პლატონ იოსელიანმა 1850 წელს საქართველოს ქალაქების შესახებ გამოსცა წიგნი, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ ხონი ანტიკური ხანის ციხე-სიმაგრე ონოგურისიაო. ამავე დროს წერდა, რომ იგი, ქართული მატიანეების მიხედვით, დაარსებულია 812 წელს აფხაზთა მეფის თეოდოსის დროს[9]. სამწუხაროდ, ავტორი წყაროზე არ მიუთითებს. თუ ონოგურისი (Onogouris) და ხონი ერთიდაიგივე პუნქტია და მას იცნობენ VI საუკუნის ბიზანტიელი მწერლები პროკოპი კესარიელი და აგათია სქოლასტიკოსი. რატომ მიაწერენ მის დაარსებას აფხაზთა მეფეს თეოდოსს?

ჩვენი აზრით, პლ. იოსელიანს ხელთ ჰქონდა XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში შედგენილი საისტორიო ნაწარმოებთა ხელნაწერი კრებული, რომელშიაც მოთავსებულია საქართველოს ქალაქების სია მოკლე ისტორიული ცნობებით, და რომლის ავტორია აღნიშნული კრებულის გადამწერი დავით ეგნატეს ძე თუმანიშვილი. ხონის შესახებ ხელნაწერში ნათქვამია: „... პირველ იყო ქალაქი, რომელიცა აღაშენა მე-2 მეფემან თეოდოსმა აფხაზთამან ქრისტესა 812 წელსა ნარინ დავითისამდე. მერე მოოხრდა. ხოლო ოდეს იყო ქალაქი, მაშინ იყუნენ მას შინა მოსახლენი დიდშემძლენი და ჩინებული, ვითარცა იყო თამარ მეფის დროს მდივანი მისივე მეფისა თამარისა მოსე ხონელი და იქმნა შემდგომად დაბა და აწიცა არს დაბა დიდი, ვითარცა ქალაქი და იციან ბაზრობა მას შინა მის მაზრათა შინა მდგომარეთა და ვაჭრობა, რომელსა უწოდებენ პარასკეობასა. ესე არს ფოკას ხევს ზევით. არს აქვე ეკლესია დიდი გუმბათიანი შუენიერ ნაგები, ჰზის ეპისკოპოსი და მწყემსი ვაკისა. ეს იყო ერთობასა შინა ქართლის მთავარეპისკოპოსისა"[10].

XIX საუკუნის მკვლევარებიდან ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც შედარებით დაწვრილებით შეისწავლა ხო-

---

[9] П. Иосселиани, Города существовавщие и существующие в Грузии, Тф., 1850, с. 70-71.)

[10] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ხელნაწერთა ფონდი, № 33 ხელნაწერი, ფურც. 368; ს. კაკაბაძე, პ. გაგოშიძე, ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ქართული კოლექციის ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1949, ტ. I, გვ. 30.

ნის ეკლესიის სიძველეები, გამოჩენილი ფრანგი მეცნიერი მარი ბროსე იყო. მან თავის ცნობილ წიგნში „Voyage archeologique. Rapports...“ გამოაქვეყნა ხონის ეკლესიის კედლებსა და ჭედური ხელოვნების ძეგლებზე შემორჩენილი ისტორიული ხასიათის წარწერები საკუთარი კომენტარებით[11].

1872 წელს ჟურნალ „მნათობის“ აპრილისა და მაისის ნომრებში დაიბეჭდა ნ. გამრეკელის წერილი „ეგვიპტელების ყოფნა საქართველოში და მათი მყოფობის შედეგები“, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ ხონი დაარსებულია ეგვიპტის ფარაონის რამსეს მეორის მიერ ძვ. წ. XIV საუკუნეშიო. ავტორი, როგორც ჩანს, იზიარებდა დიდი ბერძენი მეცნიერის, „ისტორიის მამის“ ჰეროდოტეს (ძვ. წ. 484-425) შეხედულებას იმის შესახებ, რომ კოლხების წინაპრები იყვნენ ის მეომრები, რომლებიც ეგვიპტის მეფემ სესოსტრისმა, იგივე რამსეს მეორემ (ძვ. წ. 1293-1223) შავიზღვისპირეთში ლაშქრობის შემდეგ მდინარე ფაზისთან (რიონი) დატოვა. ოღონდ ნ. გამრეკელმა განავრცო ჰეროდოტეს აზრი და რამსეს მეორეს ხონის დაარსებაც მიაწერა. კიდევ უფრო მეტი. მას ხონი კოლხეთის მეფის — აიეტის სატახტო ქალაქად მიაჩნდა. ასეთ დასკვნას იგი აკეთებდა აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ იმ ადგილზე დაყრდნობით, სადაც აღწერილია ბერძენი გმირების მოსვლა კოლხეთის მეფის რეზიდენციაში. „ამგვარი აღწერა შეგვიძლიან მიუწეროთ მხოლოდ ხონის მდებიარებას, — წერდა ნ. გამრეკელი. — მარტო ხონის წინ არის ვრცელი მინდორი, წოდებული ვაკედ. ამასთანავე აეტს ჰრაცხავდნენ ბერძნები ჰელიოზის ძეთ და ხონიც ეგვიპტურად ნიშნავს მზეს“[12]. საინტერესო აზრია. ამ კუთხით ხონის ისტორიისათვის ჯერ არავის შეუხედავს.

ხონის ეკლესიისა და მასში დაცული ჭედური ხელოვნების ზოგიერთი ძეგლის აღწერა მოცემულია გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძის შრომებ-

---

[11] Voyage archeologique en Transcaucasie (Rapports sur un Voyage archeologique dons la Georgie et doms l' Armenie, c zecute en 1847-1848 par M. Brosset, 1-re livraison. Rapp. VII, 6-7.

[12] „მნათობი“, 1872, აპრილი, მაისი, გვ. 47. ნ. გამრეკელი, ეგვიპტელები საქართველოში და ქართველები ეგვიპტეში, თბ., 1885. ხონის შესახებ აქაც იგივეა ნათქვამი.)

ში[13]. მას გათვალისწინებული აქვს ვახუშტი ბაგრატიონის, ა. მურავიოვის, მ. ბროსეს და სხვათა შეხედულებანი ხონის სიძველეებზე. ეკლესიის აღმოსავლეთ კედლისა და წმინდა გიორგის ხატის წარწერის საფუძველზე, დ. ბაქრაძემ ხონის ბაზილიკა გიორგი I (1014-1027) მეფობის დროინდელ ძეგლად მიიჩნია, თუმცა მეორეგან წერს, რომ ხონის ეკლესია უხსოვარ დროს არის აგებულიო[14].

1897 წელს ცნობილმა მკვლევარმა თედო ჟორდანიამ მ. ბროსესაგან თავის „ქრონიკებში...“ შეიტანა სამეგრელოს მთავრის ლევან მეორე დადიანის (1611-1657) მიერ ხონის ეკლესიისადმი შეწირული წმინდა გიორგის ხატის მეტად საინტერესო წარწერა, რომელშიაც მოთხრობილია 1636 წელს ბაღდადთან მომხდარი ბრძოლის შესახებ[15].

წმინდა გიორგის ეკლესიის კედლებზე დაცული წარწერების, საეკლესიო ნივთების, სიგელ-გუჯრების და ხელნაწერი წიგნების შედარებით სრული აღწერა აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილს ეკუთვნის[16]. ხონის ეკლესიის ხელნაწერი წიგნებისა და ზოგიერთი ძვირფასი ნივთის აღწერა მან გამოაქვეყნა იმ სახით, როგორც ეს გაკეთებული ჰქონდა ცნობილ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს არისტო ქუთათელაძეს, ჯერ კიდევ 1893 წელს. გარდა ამისა, ექვთიმე თაყაიშვილი გაეცნო სიგელ-გუჯრებისა და სხვა საბუთების იმ ორ სიას, რომლებიც 1822 და 1829 წლებში შეადგინა ხონელმა იღუმენმა ვასილ ქუთათელაძემ იმერეთის ეპისკოპოსის სოფრონიოსის ბრძანებით[17].

ხონის დაარსებისა და წმინდა გიორგის ეკლესიის დათარიღების საკითხში ექვთ. თაყაიშვილმა, ძირითადად, პლ. იოსელიანისა და დ. ბაქრაძის აზრი გაიმეორა. მან დამატე-

---

[13]Бакрадзе Д., Кавказ в древних памятниках христианства, Записки общества любителей Кавказской Археологии, кн. I, Тф., 1875, с. 158-160; Бакрадзе д., Кондаков Н., Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, СПб., 1890, с. 63-65.)

[14]Бакрадзе Д., Кондаков Н., `Опись...", с. 64.

[15]თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წიგნი მე-2, ტფ., 1897, გვ. 403. წარწერის ბოლო პუბლიკაცია ეკუთვნის პროფ. მ. ნიკოლეიშვილს, იხ. ქუთაისის ისტორიული მუზეუმის მასალები, თბ., 1971, გვ. 35.

[16]ექვთ. თაყაიშვილი, ხონის ეკლესია და მისი სიძველენი, ძველი საქართველო, ტ. III, ტფ., 1913-1914, გვ. 270-302.

[17]კ. კეკელიძის სახ. ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტი, 6732/HA, 7041/Hd.

ბითი ცნობები მოიტანა ეკლესიის გადაკეთება-გაფართოების შესახებ.

1924 წელს პროფ. დ. გორდეევმა გამოაქვეყნა ხონის ეკლესიის სიძველეთა შესახებ არსებული მასალების აღწერილობა[18]. მან ამ მასალებს მიაკვლია საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივის კავკასიის მეფისნაცვლის ფონდში. ეს არის საქართველოს ეგზარქის თ. რუსანოვის ბრძანებით 1819 წელს ჩატარებული ხონის წმინდა გიორგის ეკლესიის ქონებისა და ადგილ-მამულების აღწერა. აღნიშნული პუბლიკაცია საყურადღებოა იმით, რომ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ხონის ეკლესიის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ XIX საუკუნის 20-იანი წლებისათვის. პროფ. დ. გორდეევმა ამ მასალების დამატების სახით დაბეჭდა წმინდა გიორგის ეკლესიის ფრესკების აღწერილობა[19]. ეს იყო დასახელებული ეკლესიის ფრესკების პირველი, შედარებით სრული აღწერა. სტილისა და შესრულების ტექნიკის ანალიზის საფუძველზე ავტორმა ისინი XVI-XVII საუკუნეებით დაათარიღა.

იმავე წელს გამოქვეყნდა აკად. შალვა ამირანაშვილის ნარკვევი „ხონის ეკლესიის წმინდა გიორგის ხატი"[20]. ქართული ჭედური ხელოვნების ეს მნიშვნელოვანი ძეგლი დაიღუპა ანტირელიგიური კამპანიის დროს. დაცულია ხატის ფოტოგრაფიული სურათი, გადაღებული მხატვარ თ. კიუხეს მიერ. ქართული ხელოვნების ისტორიის გამოჩენილმა მკვლევარმა შ. ამირანაშვილმა უარყო მ. ბროსეს, დ. ბაქრაძის, ექვთ. თაყაიშვილის და სხვათა მიერ ხატის დათარიღება XI საუკუნით და „საკუთრივ ქართული ეროვნული მიმართულების სკოლის გამომხატველი" ძეგლის იკონოგრაფიული და სტილისტიკური ანალიზის საფუძველზე, იგი XIV საუკუნის ძეგლად მიიჩნია. აკად. შ. ამირანაშვილის აზრით, ხატის წარწერაში მოხსენიებული „უძლეველი" მეფე გიორგი, გიორგი პირველი (1014-1027) ან გიორგი მეორე (1072-1089) კი არ არის, როგორც მკვლევარები ფიქრობდნენ, არამედ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს

---

[18] Гордеев Д., Материалы к обследованию Хонских древностей, საისტორიო მოამბე, წიგნი I, ტფ., 1924, გვ. 193-226.)

[19] Гордеев Д., Предворительное описание росписи Хонской Георгиевской базилики, იქვე, წიგნი მე-2, ტფ., 1924, გვ. 221-228.

[20] იქვე, გვ. 136-151.

კვლავ გამაერთიანებელი მეფე გიორგი V ბრწყინვალე (1314-1346).

ხელოვნებათმცოდნე ნ. ი. ტოლმაჩევსკაიამ ძველი ქართული ფრესკების ისტორიისადმი მიძღვნილ თავის წიგნში ხონის ეკლესიის კედლის მხატვრობა XVII საუკუნის ძეგლებს შორის მოათავსა. მაშასადამე, ავტორმა გაიზიარა პროფ. დ. გორდეევის მოსაზრება[21]. მას ეთანხმება პროფ. თ. ყაუხჩიშვილიც, რომელმაც ხონის ეკლესიაში დაცული ბერძნული წარწერები შეისწავლა[22].

ხონის წმინდა გიორგის ეკლესიასთან დაკავშირებული ჭედური ხელოვნების ყველა ძირითადი ძეგლი განხილულია აკად. გ. ჩუბინაშვილის ფუნდამენტურ გამოკვლევაში „ქართული ჭედური ხელოვნება"[23].

1960 წელს ლაზიკის ისტორიული გეოგრაფიისათვის მასალებს აგროვებდა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი ნიკო ბერძენიშვილი. 19 სექტემბერს მას დღიურში ჩაუწერია: „... ხონში წავედით; აქ მე ჩემთვის ამჟამად ნიშანდობლივ საინტერესოს არაფერს ველი, მაგრამ ხონი მაინც საინტერესოა (ხაზგასმა ჩვენია — პ. ვ.); გასარკვევია, თუ რა იყო მიზეზი და როდის მოხდა ამ პუნქტის დაწინაურება...

სამწუხაროდ ნიშანდობლივ საამისოს მე აქ ვერაფერს ვხედავ; შეიძლება ეს ეკლესია მოგვცემდა რასმე, რომ შესწავლილი იყოს. საშუალო საუკუნეებში, როგორც ცნობილია, ხონი სახელგანთქმული პუნქტია.

აწინდელი ეკლესიის ნანგრევი ნაგვიანევია... ერთი კი ჩანს, რომ ხონი საგზაო მანძილი შეიძლება ყოფილიყო ნაქალაქევიდან მუხურის — ქუთაისისაკენ... თვით ტერმინი ხონი შეიძლება საამისოდ რასმე იძლეოდეს? (ხანი?..)"[24].

ფეოდალური ხონის შესახებ საყურადღებო ნაშრომის ავტორია ახალგაზრდა მკვლევარი, ხონის მკვიდრი ავთანდილ ფაილოძე. მან წმინდა გიორგის ეკლესიის კედლებზე ნახა და ამოიკითხა ისეთი წარწერები, რომლებიც მანამდე არავის შეუმჩნევია, ახლებურად გაშიფრა ზოგიერთი უკვე ცნობი-

---

[21]Толмачевская, Фрески древней Грузии, Тф., 1931, с. 36-37.

[22]თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1957, გვ. 113-115.)

[23]Чубинашвили Н., Грузинское чеканное искусство, Тб., 1959.

[24]ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1990, გვ. 459-460.)

ლი წარწერა, საინტერესო მოსაზრებები გამოთქვა ამ წარწერებში მოხსენიებულ ისტორიულ პირთა და ეკლესიის აგების თარიღთან დაკავშირებით[25].

ხონის ისტორიის ცალკეულ საკითხებს ეხებიან თავიანთ შრომებში: შ. მესხია, მ. დუმბაძე, ლ. მუსხელიშვილი, შ. ბურჯანაძე, ო. სოსელია, ნ. მახარაძე, გ. იობაშვილი[26] და სხვ. დასახელებული ავტორები ფეოდალური ეპოქით შემოიფარგლებიან. რეფორმისშემდგომ პერიოდში (XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან) დასავლეთ საქართველოს ეს ერთ-ერთი უძველესი დასახლებული პუნქტი სწრაფად დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას და ქვემო იმერეთის მნიშვნელოვან ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად გადაიქცა. ჩვენი ნაშრომი კაპიტალისტური ხონის ისტორიის შექმნის პირველი ცდაა.

მასალები რეფორმისშემდგომ ხანაში ხონის ისტორიისათვის დაცულია საქართველოს არქივებსა და სიძველეთსაცავებში, კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ გამოცემულ აქტებში, სტატისტიკური კომიტეტის კრებულებში, ქუთაისის გუბერნატორის წლიურ ანგარიშებსა და მიმოხილვებში.

ხონის შესახებ ქართულ და რუსულ პერიოდიკაში გამოქვეყნებულია დიდი რაოდენობის წერილი, სტატია, კორესპონდენცია. ეს მასალები შეიძლება შემდეგნაირად დალაგდეს: ხონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ადმინისტრაცია და კეთილმოწყობის საკითხები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა, განათლება და კულტურა.

წერილობითი მასალების შესწავლის გარდა, ჩავიწერეთ ხონთან დაკავშირებული მოგონებები, თქმულებები და გადმოცემები. ამ ჩანაწერებმა საშუალება მოგვცა ზოგიერთი საკითხი დაგვეზუსტებია და უფრო ნათლად წარმოგვედგინა.

---

[25] ა. ფაილოძე, წულუკიძის რაიონის ისტორიიდან, თბ., 1984.

[26] შ. მესხია, ფეოდალური საქართველოს ქალაქები და საქალაქო წყობილება XVII-XVIII საუკუნეებში, საისტორიო ძიებანი, ტ. II, თბ., 1983; მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1957; ლ. მუსხელიშვილი, დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიები, ენიმკის მოამბე, წ. VI-VII, თბ., 1940; შ. ბურჯანაძე, სოლომონ I მეფობის პირველი პერიოდი, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 41-ე, თბ., 1950; ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), ტ. II, თბ., 1981; Н. Махарадзе, Восстание в Имерети 1819-1820 гг., მსკი, წ. III, თბ., 1942; გ. იობაშვილი, დასავლეთ საქართველოს ქალაქები XIX ს. რეფორმამდელ პერიოდში, თბ., 1983.

# თავი პირველი

## ხონი ფეოდალურ ხანაში

ქალაქი ხონი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, ქვემო იმერეთში, მდინარე რიონის მარჯვენა შენაკადების — ცხენისწყალსა და გუბისწყალს შორის, თბილისიდან 266 კმ-ის, სამტრედიიდან (უახლოესი რკინიგზის სადგური) — 19 კმ-ის და ქუთაისიდან — 25 კილომეტრის მანძილზე. მას აღმოსავლეთით ესაზღვრება სოფელი კუხი, დასავლეთით — ცხენისწყალი და პატარა სოფელი ქარჩხაბი, რომელიც, ფაქტობრივად, ქალაქის გარეუბანია, ჩრდილოეთით — კონტუათი და საწულუკიძეო, სამხრეთით — ივანდიდი. ხონის გეოგრაფიული მდებარეობა განისაზღვრება შემდეგი მონაცემებით: გრძედი — 42°25', ხოლო განედი — 42°20'. სიმაღლე ზღვის დონიდან 114 მეტრია. ხონში ზღვის ნოტიო, სუბტროპიკული ჰავაა, იცის რბილი, თბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული, საშუალო წლიური ტემპერატურა უდრის +14,3°, ნალექების რაოდენობა წლის განმავლობაში — 1790 მმ-ს[1].

ქვემო, ანუ ვაკე იმერეთმა, რომლის ერთ-ერთ მჭიდროდ დასახლებულ პუნქტს ძველი დროიდან ხონი წარმოადგენს, ასეთი სახელწოდება, ვახუშტი ბაგრატიონის განმარტებით, ადგილთა სივაკის გამო მიიღო. „ხოლო საჩიჯავაძოს—სალომინაოს, რიონს გაღმით, სამხრეთით არს ვაკე, — წერდა ვახუშტი, — და ისახელების მათ ადგილთა სივაკისათვის. და ამას მზღვრის: აღმოსავლით წყალ-წითელა ყვირილიდამ კვახჭირის მთამდე; სამხრით მზღვრის ყვირილა და რიონი; დასავლით ცხენისწყალი და ცხენისწყლიდამ წასული ხაზი ისულეთამდე და რიონამდე; ჩრდილოთ კვახჭირის მთიდამ წარსული ხაზი დასავლით, კახნიაურის ქუეით ირიბად, ქუთაისის დასავლით, და მაღლარის და ოფიშკითის აღმოსავლით, და გუბისწყლის სათავის გორაებზედ, ვიდრე გვასტიბის ბოლოდ ცხენისწყლამდე. და არს სამკუთხედ ადგილი ესე“[2].

ეს ტერიტორია ლაზიკის სამეფოს ყველაზე მნიშვნელოვანი მხარის — მუხურისის დიდ ნაწილს შეიცავდა. VI საუკუ-

---

[1] ეს მონაცემები აღებულია ქალაქ ხონის დაგეგმარების გენერალური პროექტიდან, რომელიც შედგენილია 1951 წელს ნიკოლაიშვილის საერთო ხელმძღვანელობით.

[2] ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 773.

ნის ბიზანტიელი მწერლის — პროკოპი კესარიელის ცნობით, მუხურის დასავლეთით ცხენისწყალი საზღვრავდა, ხოლო სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით — რიონი. მუხურისა და მის სანახებში ბევრი და დიდი დაბები ყოფილა. კოლხეთის მიწა-წყალზე ის საუკეთესო მხარეს წარმოადგენს[3], — წერდა პროკოპი კესარიელი. ლაზიკის სამეფოს ციხე-ქალაქებს შორის (ქუთაისი, არქეოპოლისი, ფაზისი, ვარციხე, სკანდა, შორაპანი და სხვები) ბიზანტიელი მწერლები ონოგურისაც ასახელებენ[4]. პლ. იოსელიანმა, როგორც უკვე აღინიშნა, XIX საუკუნის 50-იან წლებში გამოთქვა მოსაზრება ხონისა და ონოგურისის იგივეობის შესახებ.

ონოგურისის ლოკალიზაციის საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა. ეს ციხესიმაგრე მოხსენიებულია ლაზიკის სამეფოსათვის ბიზანტიასა და სპარსეთს შორის VI საუკუნეში წარმოებული ხანგრძლივი და დაძაბული ომის ამბებთან დაკავშირებით. მარი ბროსეს აზრით, ონოგურისი ქართულ „უნაგირას" უდრის. იგი, თავდაპირველად, გაიზიარა სიმონ ყაუხჩიშვილმა. აგათიას მოცემული აღწერილობის შედარება, — წერდა იგი, — ვახუშტის ცნობებთან და დღევანდელი მარტვილისა და ხონის რაიონთა საზღვარზე აღმართულ უნაგირას გეოგრაფიულ მდებარეობასთან, ადასტურებს ამ აზრს. აგათიას მიხედვით, 553 წელს სპარსელებს ეჭირათ ლაზეთი, ვიდრე ცხენისწყლამდე, ხოლო ბიზანტიელები, ლაზებთან ერთად, გამაგრებული იყვნენ ცხენისწყლის დასავლეთით, ცხენისწყლისა და რიონის ხერთვისთან (ტელეფისი). სპარსელებს კი მოუხერხებიათ დასავლეთ ლაზეთის აღმოსავლეთი საზღვრის ჩრდილო ნაწილში სასიმაგრო პუნქტის ონოგურისის აღება და იქ რაზმის ჩაყენება. აგათიას აღწერილობიდან ცხადი ხდება, რომ ეს ციხე მოთავსებულია არქეოპოლისსა და ქუთაისს შორის, ლაზეთის ორი — ბიზანტიური და სპარსული, ნაწილის საზღვარზე. ამიტომ ბიზანტიელების 554 წლის საომარ გეგმაში პირველი ადგილი ეჭირა ონოგურისში ჩამჯდარი სპარსელების წინააღმდეგ გალაშქრებას.

---

[3]პროკოპი კესარიელი, ომი სპარსელებთან, გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, ტ. II, თბ., 1965, გვ. 194.

[4]აგათია სქოლასტიკოსი, იუსტინიანეს მმართველობის შესახებ, გეორგიკა, ტ. III, ტფ., 1936, გვ. 59-62.

ბიზანტიელები დამარცხდნენ ონოგურისთან ბრძოლაში და არქეოპოლისის მიმართულებით გაიქცნენ, დასავლეთ ლაზეთის შიდა სოფლებში. ამგვარად, — წერდა ს. ყაუხჩიშვილი, — აგათიას ონოგურისის ციხე მდებარეობდა დასავლეთ და აღმოსავლეთ ლაზეთის საზღვარზე, ამავე სახელწოდების (უნაგირას) მთაზე, რომლის ერთ-ერთ კალთაზე არქეოპოლისი-ნოქალაქევია მოთავსებული. რადგან ამ მიდამოებში საომარი ოპერაციები 554 წლამდე დიდი ხნით ადრე წარმოებდა, შეუძლებელია, რომ ბიზანტიურ ლაზეთში მისასვლელი ეს პუნქტი სპარსელებმა მხოლოდ ამ წელს აღმოაჩინეს. ციხე ონოგურისი, ცხადია, არსებობდა, მაგრამ რატომ არაფერია ნათქვამი მის შესახებ პროკოპი კესარიელთან? ს. ყაუხჩიშვილის აზრით, პროკოპი მეტად მნიშვნელოვან პუნქტად თვლიდა უქიმერიონს, რომელიც ლეჩხუმისა და სვანეთისაკენ მიმავალ გზაზე იყო აგებული. აგათია სრულიად არ ახსენებდა ამ სახელს, ის კი წარმოუდგენელია, რომ არ იცნობდა ამ პუნქტს. აგათია ხომ უხვად იყენებდა პრ. კესარიელის ცნობებს. აგათიას აღწერილობაში პროკოპისეული უქიმერიონის როლი მიკუთვნებული აქვს ონოგურისს. მაშასადამე, — ასკვნიდა ს. ყაუხჩიშვილი, — აქ ჩვენ საქმე უნდა გვქონდეს ერთსადაიმავე სასიმაგრო პუნქტთან, რომელსაც ხან ციხის (უქიმერიონის) სახელწოდებით იხსენიებდნენ, ხან კი იმ მთის (უნაგირას), რომელზედაც ეს ციხე იყო აგებული[5]. შემდეგ ს. ყაუხჩიშვილმა ეს აზრი უარყო და ონოგურისს სხვაგან დაუწყო ძებნა, მაგრამ მასთან ეს საკითხი ღიად დარჩა[6]. ამ ციხის ლოკალიზაციისათვის საყურადღებო აღმოჩნდა მეცნიერის ვარაუდი კათარის წყლისა და მდ. აბაშის იგივეობის შესახებ. თუ მართლაც კათარის წყალი მდინარე აბაშაა, მაშინ სოფელ აბედათის ციხე, რომელიც აბაშის ხეობაშია ნოქალაქევის ჩრდილო-აღმოსავლეთით ათიოდე კილომეტრზე, შეიძლება ონოგურისი იყოს[7]. ასეთი აზრი გამოთქვა პ. ზაქარაიამ, რომელიც წლების მანძილზე აბედათის ციხის არქეოლოგიურ შესწავლას ხელმძღვანელობს[8]. ონოგურისს ეძებდა აკად. ნ.

[5] აგათია სქოლასტიკოსი, დასახ. ნაშრომი, გვ. 59-62. ს. ყაუხჩიშვილის შენიშვნა I.

[6] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 518.)

[7] ო. ლანჩავა, ქუთაისი ეგრის-ლაზიკის ციხე-ქალაქთა სისტემაში, ქუთ., 1996, გვ. 61.

[8] პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, ციხე-გოჯი—არქეოპოლისი-ნოქალაქევი, თბ., 1991.)

ბერძენიშვილი. მას ეს ციხე „არქეოპოლისის ახლოს, მის საკონტროლო ზონაში“ ჰქონდა ნაგულისხმევი. ამ თვალსაზრისით მას ძალზე მეტყველად მიაჩნდა აბაშის ხეობაში მდებარე სოფლის ონოღიას (თავისი ციხით) და ონოგურისის სახელწოდებათა მსგავსება[9].

თვით აგათია სქოლასტიკოსი სახელწოდება ონოგურისის განმარტებისას წერდა: „ეს სახელი ძველადვე შეერქვა ამ ადგილს. შესაძლებელია იმის გამო, რომ ჰუნები, რომელთაც ონოგურები ეწოდებოდათ, ამ ადგილას შებმიან კოლხებს წარსულ წლებში, დამარცხებულან და ამ გამარჯვების ნიშნად და ძეგლად ადგილობრივ მცხოვრებლებს ეს სახელი შეურქმევიათ ამ ადგილისათვის. ამჟამად ბევრი ასე კი აღარ უწოდებს, არამედ, რადგან აქ დაფუძნებულია იმ წმიდა სტეფანეს ტაძარი, რომელიც, როგორც ამბობენ, საკუთარი ნებით შებმია მტერს საუკეთესო ქრისტიანთა გულისათვის და ჩაქოლილ იქნა მოწინააღმდეგეთა მიერ, მისი სახელი ეწოდა ამ ადგილს. ჩვენ კი, ვფიქრობ, არაფერი გვიშლის ხელს ძველი სახელწოდება ვიხმაროთ, მით უმეტეს, რომ მწერლობა ამას მხარს უჭერს“[10].

ამგვარად, ონოგურისი არის სახელწოდება იმ ადგილისა, სადაც ჰუნებსა და კოლხებს შორის ბრძოლა მომხდარა. შემდეგში იქ აღუმართავთ წმინდა სტეფანეს ტაძარი და ონოგურისსაც სახელი შეცვლია. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ ექვთ. თაყაიშვილს, 1914 წელს ხონში ყოფნის დროს, ცნობილმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ არისტო ქუთათელაძემ წმინდა გიორგის ეკლესიის გალავანს გარეთ აჩვენა ძველი შენობის საძირკველი, როგორც წმინდა სტეფანეს ეკლესიის ნაშთი[11]. სჩანს, აზრი ხონისა და ონოგურისის იგივეობის შესახებ ისე გავრცელებული ყოფილა, ალბათ, პლ. იოსელიანის წიგნის გავლენით, რომ ხონში აგათიასეული წმინდა სტეფანეს ეკლესიის ნანგრევებსაც კი ეძებდნენ. არქეოლოგიური თვალსაზრისით ხონის შეუსწავლელობა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ეს საკითხები უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ. მაგრამ იმის თქმა კი გადაჭრით შეიძლება, რომ იგი უძველესი

---

[9] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 465.

[10] აგათია სქოლასტიკოსი, დასახ. ნაშრომი, გვ. 52.

[11] ძველი საქართველო, ტ. III, ტფ., 1913-1914, გვ. 273.

დროიდან ერთ-ერთ მნიშვნელოვან დასახლებულ პუნქტს წარმოადგენდა. ამაზე მეტყველებენ შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთები, განსაკუთრებით კოლხური თეთრის განძები. ხონის ტერიტორიაზე ნაპოვნ განძში მონეტის ერთი ეგზემპლარი დამზადების პროცესში მყოფი ჩანს, რაც მათ ადგილობრივ წარმომავლობაზე უნდა მიუთითებდეს[12]. აქვეა ნაპოვნი აგრეთვე ლისიმაქეს — ალექსანდრე მაკედონელის დიადოხოსის ოქროს მონეტების ერთ-ერთი უძველესი მინაბაძი (სოფ. კინჩხა), რომელსაც აქვს წარწერა „მეფე აკესისა". პროფ. დ. კაპანაძის აზრით, აქ იხსენიება ძვ. წ. III საუკუნის კოლხეთის მეფე აკი[13].

ხონი მდებარეობდა ლაზიკის სამეფოს იმ ნაწილში, სადაც ცხენისწყალი დაივაკებს და შედარებით მდორედ მოედინება. ამიტომ მასზე გადიოდა აღმოსავლეთ ლაზეთიდან და იბერიიდან შავი ზღვის სანაპიროებისა და სვანეთისაკენ მიმავალი გზები. ამას ისიც ადასტურებს, რომ ხონის მახლობლად, ცხენისწყლის ყველაზე ვიწრო ყელთან (სოფელი ხიდი), დღემდე შემორჩენილია ქვითკირის ბურჯებიანი უძველესი ხიდის ნანგრევები, რომელიც ლაზეთის აღმოსავლეთ ნაწილს შავი ზღვის სანაპიროსთან აკავშირებდა. ამ ხიდს ხალხი პომპეუსის ხიდს („ბომბოას", „ბუმბუას") ეძახის. გადმოცემით, აქ რომაელი სარდლის გნეუს პომპეუსის ბრძანებით (ძვ. წ. I ს.) ასაწევი ხიდი აუგიათ, რომელზედაც იბერიიდან ეგრისისაკენ მიმავალ რომაულ ლაშქარს გაუვლია.

ნიშანდობლივია თვით სოფლის სახელწოდება, რომელიც დაკავშირებული უნდა იყოს არა მარტო პომპეუსის მიერ აქ ხიდის აგებასთან, არამედ ეს სოფელი თავისი მდებარეობით ლაზეთის ორი მნიშვნელოვანი ნაწილის შემაერთებელი ხიდი იყო. ნ. ბერძენიშვილი წერდა: „გზა ხიდიდან... მათხოჯზე გამოივლიდა, აქედან ხონს, კასტირის ხიდს გუბისწყალზე (დედალოურს), ხომულს (მაღლაკ-წყალტუბოს), ქუთაისს, წყალწითელა-გელათს, ჯიშურა-გოდოგანს, სიმონეთ-ძევრის ხიდს, სკანდეს გადაივლიდა და იბერიაში (არგვეთში) შედიოდა"[14].

ხონისა და მისი შემოგარენის მოხერხებული გეოგრაფიუ-

---

[12] Д. Капанадзе, К. Голенко, К вопросу о происхождении колхидок, ВДИ, 1947, N 4, с. 91; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 411.

[13] Д. Капанадзе, Грузинская нумизматика, М., 1955, с. 36.

[14] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 460-461.)

ლი მდებარეობა, ნოყიერი ნიადაგი და ზომიერი კლიმატი ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მოსახლეობის თავმოსაყრელად. IV საუკუნიდან მოყოლებული, ფეოდალურ ურთიერთობათა ჩასახვასა და განვითარებას ლაზიკის სამეფოს სამეურნეო დაწინაურება მოყვა შედეგად. ქვეყანა ხშირი მოსახლეობით მოიფინა. დასახლებულ ადგილთა ზრდა, სხვა მხარეებთან ერთად, უფრო თვალსაჩინო იყო რიონ-ცხენისწყლის ხეობებში, ე. ი. იმ ტერიტორიაზე, სადაც ხონი მდებარეობს[15].

ხონი, პლ. იოსელიანის მიხედვით, როგორც უკვე აღინიშნა, დაარსებულია აფხაზთა მეფის თეოდოსის მიერ IX საუკუნეში. პროფ. შ. მესხია თავის ცნობილ შრომაში ფეოდალური საქართველოს ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების შესახებ, ხონს მიაკუთვნებს იმ მცირე ქალაქთა რიცხვს, რომლებიც საეკლესიო ცენტრებთან აღმოცენდნენ.

ხონი საკმაოდ გავრცელებული გეოგრაფიული სახელია. ცნობილი სასულიერო მოღვაწის — ბასილ სოფენელის მიერ IX საუკუნეში შედგენილი საეკლესიო ნუსხების — ნოტიციების მიხედვით, ხონი მცირე აზიაში სამიტროპოლიტო ცენტრი იყო[16]. მცირე აზიის ხონს მოიხსენიებენ, აგრეთვე, ქართული ხელნაწერები მიქაელ მთავარანგელოზის ცხოვრების აღწერის დროს[17]. საქართველოში ამ სახელწოდების რამდენიმე პუნქტია ცნობილი: სოფელი ხონი ხარაგაულის რაიონში, სოფელი ხონა — ახალციხის რაიონში, სოფელი ხონ-ჭიორი — რაჭაში, ხონი ყოფილა ბორჯომის ხეობაში მდებარე სოფელ ტაბისყურის (წითელსაყდარი) ძველი სახელი. აკად. ნ. ბერძენიშვილი წერდა: „სოფლის აწინდელი მოსახლეობა სულ სომხებია ბარალეთიდან (ჯავახეთი). მცირე ნაწილი ქართველებია, გვარად სანდაძეები... მარკოზ სანდაძის გადმოცემით, ამ სოფელს ძველად ხონი უნდა რქმეოდა. ძველი წიგნები გვქონდა... იქ ეწერაო: „ქცით რუ ვადინევი და ხონს ტბა ვადიდევიო". ასეთი „წიგნი" საეჭვოა, რომ არსებულიყოს, მაგრამ გადმოცემის საფუძველი ის უნდა იყოს...

---

[15] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, ტ. I, თბ., 1958, გვ. 97.

[16] გეორგიკა, ტ. IV, ნაკ. 2, თბ., 1952, გვ. 148, 170, 177.

[17] ქუთაისის აკად. ნ. ბერძენიშვილის სახ. სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ხელნაწერი № 4, 44 და სხვ.

ქციდან ტბამდე რუს გატანას, ხალხის წარმოდგენით, არა მინდვრების მორწყვა, არამედ ტბაში წყლის დაგროვება ჰქონდა მიზნად... რაც შეეხება „ხონის ტბას", მარკოზ სანდაძის მოწმობა-ლექსი აქ უფრო ნიშანდობლივია და ასეთი სახელი მართლაც შეიძლებოდა წოდებოდა ამ ტბას, ხოლო სოფელს ხონი"[18]. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი საკითხი — ხონი—ტაბისყური—წითელსაყდრის ქართული მოსახლეობა ძირითადად სანდაძეებია, ხოლო ქვემო იმერეთის ხონის წმ. გიორგის ეკლესიის მებეგრე გლეხთა სიაში, რომლებიც XVI საუკუნეშია შედგენილი, მოხსენიებული არიან სადრაძეები და სავდრაძეები, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში — სალდაძეები. რა ურთიერთობა არსებობს ამ გვარებს შორის და როგორია მათი გავრცელების გზები, ეს ძნელი გასარკვევია. როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი წერდა, საქართველოში სოფელთა საგეოგრაფიო სახელების განმეორება, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის დიდი საკითხია და მას მონოგრაფიული შესწავლა ჭირდება.

ხონი არის არა მარტო დასახლებული პუნქტის, არამედ იმერეთისა და სამეგრელოს საზღვარზე მდებარე ადგილის სახელწოდებაც. ბერი ეგნატაშვილი იმერეთის მეფის ბაგრატ ალექსანდრეს ძესა (1510-1565) და სამეგრელოს მთავარ ლევან I დადიანს შორის წარმოებული ბრძოლების აღწერის დროს წერდა: „ხოლო მპყრობელი იმერეთისა ბაგრატ რაჟამს შეიქცა საბატონოსა თვისსა, აწვია დადიანი ლევანი ჭალასა ხონისასა, უღალატა და შეიპყრა..."[19].

სულხან-საბა ორბელიანი ხონს განმარტავდა როგორც დიდ ტაბაკს[20]. ხომ არ შემოინახა ხონის სახელწოდებამ მხატვრული შედარება ვრცელი ვაკისა დიდ ტაბაკთან? (როგორც, მაგალითად, იტყვიან „ხელის გულივით გზაა", „ტაბაკივით გაშლილი ველია" და ა. შ.)

პროფ. ი. ყიფშიძე თავის მეგრულ-რუსულ ლექსიკონში აღნიშნავდა, რომ ხალხური ეტიმოლოგია ქვემო იმერეთში მდებარე ხონის სახელწოდებას უკავშირებს მეგრულ ზმნას

---

[18] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. I, თბ., 1964, გვ. 220-221.

[19] ქართლის ცხოვრება,. ტ. II, თბ., 1959, გვ. 359.

[20] სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული რომელ არს ლექსიკონი, თბ., 1949, გვ. 469.

ხონუას[21]. ხონუა — ხვნას ნიშნავს, მა-ხონალი — მხვნელს, ნა-ხონა — დახნულს, ო-ხონუე ან ო-ხონალი — სახნავ მიწას და ა. შ. ხონი ზმნა ხონუას ბრძანებითი ფორმაა და ნიშნავს დახანი. ი. ყიფშიძის აზრით, მართალია, გეოგრაფიული სახელწოდებები ზმნის ბრძანებით ფორმაში მრავლადაა ცნობილი, როგორც მეგრულში, ასევე ქართულშიც (მაგალითად, მოიდა — ნახე, ლებია — ვახაში და სხვ.), მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ამტკიცებს ხონის ხალხური ეტიმოლოგიის სისწორეს. თვით ი. ყიფშიძეს არ მოუცია ხონის სახელწოდების განმარტება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხონის სახელწოდების ახსნას მეგრულის საშუალებით სერიოზული საფუძველი აქვს. ქვემო იმერეთის საგეოგრაფიო სახელებზე დაკვირვება ამტკიცებს, რომ აქ წინათ მეგრულ ენაზე მოსაუბრე ტომი უნდა სახლებულიყო[22]. მეგრელებს რომ ცხენისწყლის აღმოსავლეთით უცხოვრიათ, ამას ცხადყოფს ხონის მახლობლად მდებარე სოფლების სახელებიც, როგორიცაა: ჯიხაიში (ჯიხა — ციხე), ჩხენიში, კულაში, ნაჯიხევი და სხვ. აკად. გ. მელიქიშვილის აზრით, ტოპონიმიკური მონაცემების მიხედვით მთელი ახლანდელი ქვემო იმერეთი, ოკრიბისა და არგვეთის ჩათვლით, უწინ დასახლებული ყოფილა მეგრულ ენაზე მოლაპარაკე ტომით. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ქართული ენის ქვემოიმერული და ლეჩხუმური დიალექტები დიდი რაოდენობით შეიცავენ მეგრელიზმებს, როგორც ლექსიკაში, ისევე მორფოლოგიასა და სინტაქსში. ეს განსაკუთრებით ითქმის ხონი — სამტრედიის ხაზზე. ასეთივე სურათი იშლება ჩვენს წინ ტოპონიმიკური მონაცემების მიხედვით[23].

„სახელი „ხონი", — წერდა აკად. კ. კეკელიძე, — წარმოდგება სიტყვისაგან xownr — ნახვრეტი, ნაპრალი, ძაბრი. ეს არის სახელი იმ ქალაქისა, რომელსაც წინათ კოლასუ ეწოდებოდა და ფრიგიის სამხრეთ-დასავლეთით, მდინარე ლიკუსზე, ლაოდიკიისა და ერაპოლის მახლობლად მდებარეობდა"[24].

---

[21] И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (Иверскаго) языка с хрестоматиею и словарем (мингрело-русский словарь), СПб., 1914, с. 406.

[22] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 428.

[23] Г. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, с. 59.

[24] კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1945, გვ. 236, შენიშვნა I.

ხონის სახელწოდების წარმოშობის საკითხს შეეხო ცნობილი მეცნიერი ი. ორბელი, ქალაქ დიოსკურიის ლოკალიზაციისადმი მიძღვნილ შრომაში. მან ერთმანეთს დაუკავშირა ხონისა და სვანთა ტომების უძველესი სახელი. „სახელწოდება ხალხისა hon – წერდა ი. ორბელი, – შენახულია ამჟამად ქუთაისის გუბერნიის, რაჭის მაზრის სოფლების ონის და პატარა ონის სახელებში. დაწყებითი სპირანტის H-ის დაკარგვას სისტემატურად აქვს ადგილი ქართულშიც. მეორეს მხრივ, არაიშვიათია h-ის q-ად (ხ) კანონზომიერი ამაღლების შემთხვევებიც. სწორედ ასე გვინდოდა აგვეხსნა ქუთაისის გუბერნიის, ქუთაისის მაზრის დაბა ხონის და შორაპნის მაზრის სოფელ ხონის სახელწოდებები“[25].

ხონის ჩრდილოეთით, სოფელ კინჩხაში არის ადგილი ტარეშის სახელწოდებით. მის მიდამოებში დაცულია ქვებით ამოყორილი მრგვალი ნაგებობა და „ათასწლოვანი“ ურთხმელის ხე, რომელსაც ხალხი დღესაც დიდი პატივისცემით ეპყრობა. მარტვილის მუზეუმის დირექტორის გივი ელიავას დაკვირვებით, ეს უნდა იყოს ღვთაება ტარხონის ანუ ტარეშის სარიტუალო ადგილი. აქ იდგა მისი კერპი და სამლოცველო. ეტყობა, ქრისტიანობამ, – წერს გ. ელიავა, – ისე როგორც წარმართობის სხვა კერპ-ხატები და სარიტუალო წესები, ეს ხატი და წესიც შეინარჩუნა, ოღონდ ტაროსის ღმერთის, ყველაზე ძლიერი ღვთაების ნაცვლად, ამ ადგილზე, საქართველოში ქრისტიანული რელიგიის ყველაზე აღიარებული წმ. გიორგის ხატი დაასვენა ტარეშის ნაცვლად...“[26]. ივანე ჯავახიშვილმა გაარკვია, რომ იმ მნათობღვთაების ქართული სახელი, რომლისთვისაც წარმართულ საქართველოში სამშაბათი იყო განკუთვნილი, „ტარხონ“, „თარხონ“ ან „თარხოა“ და იგი მარსის ანუ არიას შესატყვისად იყო მიჩნეული[27]. თუ სოფელ კინჩხაში ამ ღვთაებისადმი მიძღვნილი ადგილის სახელწოდებამ ტარეშის სახელით მოაღწია ჩვენამდე, ხომ არ არის დაცული ხონის სახელწოდებაში ელვა-ჭექის ღმერთის სახელი. ამას გვაფიქრებინებს „ტარხონ“, „თარხონის“ ხონის ძლიერი მსგავსება. შესაძლებელია, ტარხონ-თარხონის საკულტო-სარიტუა-

---

[25] И. Орбели, Журнал Министерства народного просвещения, отд. классической филологии, 1911, май, с. 214.

[26] გ. ელიავა, ჭყონდიდი–მარტვილი, თბ., 1962, გვ. 116.

[27] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 133-137.



ხონის წმინდა გიორგის ეკლესია

ლო ადგილი და კერპი ხონშიაც იყო და შემდეგში დასახლებულმა პუნქტმა ამ ღვთაების სახელი შეკვეცილი სახით შეინარჩუნა.

როგორია მცირე აზიის ხონისა და ქვემო იმერეთის ხონის სახელწოდებების ურთიერთმიმართება, ძნელი სათქმელია. ეს საკითხი სპეციალურ საენათმეცნიერო-ისტორიულ კვლევას მოითხოვს.

ხონის მატერიალური კულტურის ძეგლებიდან აღსანიშნავია წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული აზრის მიხედვით (მ. ბროსე, დ. ბაქრაძე, ექვთ. თაყაიშვილი და სხვ.) XI საუკუნეშია აგებული. არის განსხვავებული მოსაზრება — ა. ფაილოძის აზრით, წმ. გიორგის ეკლესიას საფუძველი ჩაუყარა ქართლის ერისმთავრის არჩილის ვაჟმა იოანემ, რომელიც VIII საუკუნის 60-იან წლებში, მამის მოწამეობრივი სიკვდილის შემდეგ, „მატიანე ქართლისას“ მიხედვით, ეგრისში გადმოვიდა და თან ჩამოიყვანა დედა და დები“[28].

წმ. გიორგის ეკლესია რამდენჯერმე გადაუკეთებიათ — XII საუკუნეში თამარ მეფის დროს, XIV საუკუნეში ვამიყ დადიანის (1384-1396) ხელმძღვანელობით და ა. შ. ხონში გაგონილი ერთი გადმოცემის მიხედვით, წმ. გიორგის ეკლესია აშენებული უნდა იყოს ვამიყ დადიანის დროს. მაგრამ, როგორც ექვთ. თაყაიშვილი აღნიშნავდა, ამ გადმოცემაში ეკლესიის საფუძვლიანი გადაკეთება უნდა იგულისხმებოდეს. ეკლესიის უკანასკნელი გაფართოება-გადაკეთება მოხდა 1862-1886 წლებში იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელ ქიქოძის საერთო ხელმძღვანელობით და ხონის საზოგადოების სახსრებით.

ეკლესიის რამდენჯერმე გადაკეთება-აღდგენის პროცესში ძველი წარწერები და ფრესკები საკმაოდ დაზიანდა. მაგალითად, XIX საუკუნის პირველ ნახევარში არქიტექტორ ნოროევს უნახავს წარწერებიანი ქვები, რომლებიც შემდეგ დაიკარგა. მ. ბროსეს მიერ აღნუსხულ წარწერების ნაწილს დ. ბაქრაძესა და ნ. კონდაკოვამდე არ მიუღწევია, ხოლო მათ მიერ გადმოღებული ბევრი წარწერა ექვთ. თაყაიშვილს უკვე აღარ დახვედრია. იგივე დაემართა ეკლესიის კედლის მხატვრობასაც. ამჟამად შემორჩენილი ფრესკები, როგორც

---

[28] ა. ფაილოძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 18; მატიანე ქართლისაჲ, ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 249.

ალინიშნა, XVI-XVII საუკუნეებით თარიღდება.

წმინდა გიორგის ეკლესია სამნავიანი ბაზილიკური ტიპის ნაგებობაა. აგებულია სადა, თეთრი ნათალი ქვით. სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებზე ოთხკუთხი ფანჯრები აქვს. ეკლესიის ამჟამად არსებული იატაკი დაგებულია XIX საუკუნის 60-იან წლებში. კედლების დიდი ნაწილი დაფარულია ზეთის საღებავით ან შეთეთრებულია. მხატვრობა შემორჩენილია საკურთხევლის ზემო ნაწილში, კონქში და ჭერში.

საკურთხევლის კონქში გამოსახული არიან: ტახტზე მჯდომი ქრისტე, ხოლო მარჯვნივ და მარცხნივ იოანე ნათლისმცემელი, გაბრიელ მთავარანგელოზი, ღვთისმშობელი და მიქაელი, ქართული წარწერებით. ამის ქვემოთ მედალიონებში წარმოდგენილი არიან წინასწარმეტყველნი. მათ ხელში უჭირავთ გრაგნილები ბერძნული წარწერებით[29]. მათ ქვემოთ არის „ზიარების" ფრესკა. თომასა და პეტრეს შორის ქრისტეს ორი გამოსახულებაა. ერთი შებრუნებულია თომასკენ, მეორე — პეტრესკენ. მოციქულებს ხელში უჭირავთ სახარება ასომთავრული წარწერებით.

სვეტის თავებზე, კუთხეებში მახარებლების გამოსახულებებია. ეკლესიის შუა ნაწილში, ჩრდილოეთ მხარეზე, ზემოდან დაწყებული, შემდეგი ფრესკებია ასომთავრული წარწერებით: ყოვლად წმინდის მიძინება, სულიწმინდის მოსვლა, ფერისცვალება, ამაღლება, ჯვარცმა, ლაზარეს აღდგინება, ტაძრად მიყვანა მარიამისა. სამხრეთის კედელზე — ხარება, ბზობა, შობა ქრისტესი, ჯვარცმა, საიდუმლო სერობა, ყოვლადწმინდის მიცვალება. სვეტზე გამოსახული არიან წმინდანები.

წმ. გიორგის ეკლესიის კედლებზე დაცულია ისტორიული ხასიათის რამდენიმე წარწერა, რომლებიც საუკუნენახევარზე მეტია მეცნიერულ მიმოქცევაშია. ეს წარწერები გადმოიღეს, გაშიფრეს და გამოაქვეყნეს: მ. ბროსემ, დ. ბაქრაძემ, ექვთ. თაყაიშვილმა, ვ. სილოგავამ[30]. მათი უახლესი პუბლიკაცია ეკუთვნის ა. ფაილოძეს, რომელიც საგანგებოდ სწავლობს წმ. გიორგის ეკლესიასა და მის სიძ-

---

[29] ეს წარწერები შეისწავლა თ. ყაუხჩიშვილმა, იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 113-117.

[30] ვ. სილოგავა, დასავლეთ საქართველოს წარწერები. ნაკ. I (IX-XIII სს.), ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, II, თბ., 1980, გვ. 134-138.



ხოსის წმინდა გიორგის ხატის წარწერა

ვილეებს[31]. ა. ფაილოძემ დასახელებული წარწერების შედარებით ახლებური გაშიფვრა შემოგვთავაზა და, გარდა ამისა, მათში მოხსენიებულ ისტორიულ პირთა შესახებ განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა. მაგალითად, გარედან, აღმოსავლეთის კედელზე, შუა ადგილას ოთხკუთხ ქვაზე არის ასომთავრული წარწერა ნუსხურის შერევით: „წმინდაო გიორგი, შეიწყალე გიორგი კუროპალატი და იოვანე“. მ. ბროსე, დ. ბაქრაძე და ექვთ. თაყაიშვილი თვლიდნენ, რომ ამ წარწერაში მოხსენიებულია გაერთიანებული საქართველოს მეფე გიორგი I (1014-1027) და ამის საფუძველზე ეკლესიის დათარიღება XI საუკუნით საეჭვოდ აღარ მიაჩნდათ. ა. ფაილოძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ წარწერაში დასახელებული გიორგი კურაპალატი გიორგი პირველი კი არაა, რომელიც ამ ტიტულს არ ატარებდა, არამედ ეგრის-აფხაზეთის მეფე გიორგი I აღწეფელი, ლეონ II-ის ძე (861-868)[32].

---

[31] ა. ფაილოძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 14-28.

[32] იქვე, გვ. 20-21.

ამ წარწერის ზევით, ლამაზი ასომთავრულით: „წმინდაო გიორგი, მეოხ ეყ[ავ] ცოდვილსა თამარს“ (ექვთ. თაყაიშვილის წაკითხვით). ვ. სილოგავა ამ წარწერას ასე კითხულობს: წ[მინდა]ო გ[იორგი], მ (ეო) ხ ეყ[ავ] ც[ოდვილ]სა თო[რღ]ვასა და ძ[ე]სა მის (ს) ა მ (ა) შენებელთა[33]. ა. ფაილოძე – „წ[მინდა]ო გ[იორგ]ი მ[ეო]ხ ეყ[ავ] ც[ოდვილ]სა თ (ა]მ (არ) ს, შვ[ილ]სა და ძესა მის[ს]ა მ[ის] ქ[ა]ლს“. ამ უკანასკნელის აზრით, წარწერა თამარის დროსაა ამოკვეთილი, კერძოდ, მისი ასულის რუსუდანის დაბადების შემდეგ, ვინაიდან მასში ძეც მოიხსენიება და ქალიც[34].

ქვემოთ, აღმოსავლეთ კედელზე, დაახლოებით შუა ადგილას, ქვების ზემოდან მეექვსე წყობაში ამოკვეთილია შემდეგი წარწერა: „წმინდაო გიორგი შეიწყალე საჯისა ძე გიორგი“. სხვა ქვაზე: „წმინდაო გიორგი შეიწყალე კალატოზი იოანე“. გარდა ამისა, აღმოსავლეთის კედელზე ბროსეს შეუმჩნევია შემდეგი ნაწყვეტები: „გიორგი კურაპალატი“ და „ქრისტეს ჯვარი“. ჩრდილოეთ კედელზე ყოფილა წარწერა, რომელსაც მ. ბროსე ასე კითხულობდა: „წმინდაო გიორგი შეიწყალე კონსტანტინე (ან კვირიკე) კზანაძჰ (?)“. დ. ბაქრაძესა და ნ. კონდაკოვს იატაკზე უნახავთ წარწერიანი ქვები. ერთ ქვაზე ყოფილა „წმინდაო გიორგი შეიწყალე სტეფანე“, ხოლო მეორეზე – „წმინდაო გიორგი შეიწყალე იაკობი“.

წმ. გიორგის ეკლესიის კედლის წარწერები სხვადასხვა დროს ეკუთვნის. როგორც ექვთ. თაყაიშვილი აღნიშნავდა, ეკლესიის გადაკეთება-განახლების დროს წარწერიანი ქვები აქა-იქ მოხვედრილა, ხოლო ზოგი დაკარგულა.

ეკლესია თავდაპირველად ქვით ყოფილა გადახურული, XIX საუკუნის 60-იან წლებში – ყავრით, XX ს. ათიან წლებში – თუნუქით, ამჟამად ცენტრალური ნაწილი – კრამიტით, ხოლო ფერდები და სამრეკლო – თუნუქით.

ეკლესიას გარს უვლის სქელი და მაღალი ქვის გალავანი, რომელიც ალაგ-ალაგ დაზიანებულია. ეკლესიის ეზოში, სამხრეთით, გალავანთან ქვის სამსართულიანი სამრეკლო დგას. ამჟამად მესამე სართული მონგრეულია. სამრეკლოს პირველი სართული ოთხკუთხია. თავდაპირველად პირველი

---

33 ვ. სილოგავა შესაძლებლად თვლის თო[რღ]ვასა წაკითხულ იქნას თამარსა.

34 ა. ფაილოძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

სართულის თაღები გაშლილი იყო და გალავანშიაც აქედან შედიოდნენ. შემდეგ თაღები ამოაშენეს, მაგრამ 1975-1976 წლებში ჩაუტარდა რესტავრაცია, აღსდგა და გადაიხურა მისი ორი სართული. მეორე სართული მრავალკუთხედია ექვსი გაშლილი თაღით. მესამე სართულს ექვსი სვეტი ჰქონია და ზარებიც იქვე ყოფილა ჩამოკიდებული. სამრეკლოს ადრე გვირაბი ჰქონია, რომელიც ცხენისწყლის ნაპირამდე გადიოდა. აქ ინახავდნენ ეკლესიაში დაცულ ძვირფასეულობას. ამჟამად გვირაბი ჩაქცეულია[35].

სამრეკლოს კედელზე არქიტექტორ ნოროვს უნახავს წარწერა, რომელიც მ. ბროსეს ასე აქვს გაშიფრული: „ჯვარო ქრისტესო [შეიწყალე] გრიგოლ მოძღვარი“[36].

ეკლესია ამჟამად მოქმედია. მასში ისტორიული ხასიათის სიძველეებიდან აღარაფერია დარჩენილი. ხელნაწერი წიგნები, ჭედური ხელოვნების ნიმუშები და სხვა ნივთები, ძირიოადად, დაცულია ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. მათ შორის აღსანიშნავია XV-XVIII საუკუნეების ხელნაწერი წიგნები, წმ. გიორგის XVI საუკუნის ხატი, ლევან მეორე დადიანის მიერ XVII საუკუნეში წმ. გიორგის ეკლესიისადმი შეწირული ხატი, ვრცელი, საინტერესო წარწერით, საწინამძღვრო ჯვარი, სოლომონ პირველის დროინდელი იმერეთის სამეფო დროშა და სხვ.

ხონის შესახებ, საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფოს არსებობის ეპოქაში, წმ. გიორგის ეკლესიის კედლებზე შემორჩენილ წარწერებს გარდა, ჩვენამდე პირდაპირ ცნობებს არ მოუღწევია. ამიტომ არ ვიცით, როგორი იყო ხონის გარეგნული სახე, მოსახლეობის რაოდენობა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა აღნიშნულ პერიოდში.

ლიტერატურული ტრადიცია, რომელიც ე. წ. აღორძინების ხანას ეკუთვნის, ხონს უკავშირებს XII საუკუნის გამოჩენილი რომანისტის, „ამირან-დარეჯანიანის“ ავტორის მოსე ხონელის სახელს. „ვეფხისტყაოსნის“ ფსევდორუსთველურ სტროფში, როგორც ცნობილია, ნათქვამია: „ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსაო“. ამასთან დაკავშირებით დაიწყო მოსე ხონელის ბიოგრაფიული მასალების ძიება. ზოგი მას ხონის მთავრად თვლიდა, ზოგი კი თამარ

---

[35] ა. ფაილოძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

[36] მ. ბროსე, დასახ. ნაშრომი, გვ. 10.)

მეფის მდივან-მწიგნობრად. თეიმურაზ ბაგრატიონი „ამირანდარეჯანიანის“ ავტორთან დაკავშირებით მ. ბროსეს 1833 წელს წერდა: „მოსე ხონელი შოთა რუსთაველის თანამოქამე იყო, დიდებულისა და საუკუნოდ ღირს სახსოვრისა თამარ მეფისა, გიორგის მესამის ასულისა, სრულიად თვითმპყრობელისა მდივანი იყო და წარჩინებული.

ხონი ქვემოს საქართველოში არის, იმერეთის მამულში. ხონს ძველს ჟამში ქალაქიც ყოფილა...“[37]. ზაქარია ჭიჭინაძის აზრით, მოსე ხონელი ხონში დაიბადა და განათლება გელათში მიიღო[38]. ყოველივე ეს, — წერდა აკად. კ. კეკელიძე, — ფანტაზიის ნაყოფია და დღესდღეობით ჩვენ იძულებული ვართ მოსე ხონელის შესახებ არსებული ლიტერატურული ტრადიცია გავიმეოროთ და ამით დავკმაყოფილდეთ“[39].

XVI საუკუნეში, იმერეთში ბაგრატ ალექსანდრეს ძის მეფობის დროს (1510-1565) ხონი საეპისკოპოსო ცენტრი ხდება. 1529 წელს „მეფეთ-მეფემან ბაგრატ განყო ლიხთ-იმერეთი სამ საეპისკოპოსოდ, ბრძანებითა აფხაზეთის კათალიკოზისა აბაშიძისათა... ამავე დროსა იმავე პატრონმან გააჩინა ხონელ ეპისკოპოზად მჩხეტის-ძე მანოელ“[40], — ნათქვამია „ქართლის ცხოვრებაში“. ამგვარად, პირველი ხონელი ეპისკოპოსი იყო მანოელ მჩხეტიძე. შემდეგში, როდესაც დასავლეთ საქართველო ფეოდალურმა ანარქიამ მოიცვა (XVI საუკუნის 70-იანი — XVIII საუკუნის 20-იანი წლები) ხონის კათედრა მოიშალა, მაგრამ სოლომონ პირველის მიერ 1759 წელს მოწვეული საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით აღ-

---

[37]თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ს. ყუბანეიშვილმა. თბ., 1964, გვ. 33.

[38]ზ. ჭიჭინაძე, ქართული მწერლობა XII საუკუნეში, ტფ., 1889, გვ. 12.

[39]კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1958, გვ. 77-78. ამ ბოლო დროს გამოითქვა მოსაზრება, რომ რუსთაველის ცნობილ სტროფში უნდა იკითხებოდეს ხომელსა და არა ხონელსა, რასაც ადასტურებს რითმათა საყრდენი თანხმოვანი და პოემის ერთ-ერთი უძველესი ხელნაწერი. მართლაც, შუა საუკუნეების საქართველოში ცნობილი იყო გეოგრაფიული პუნქტი ხომა (მესხეთში). ამ ადგილიდან წარმომდგარი კაცი ხომელი იქნება. ამდენად გვყოლია პოეტი მოსე ხომელი და არა მოსე ხონელი. აკად. მაგალი თოდუა, რუსთაველის არაბული ლექსების შესახებ, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა II სამეცნიერო კონფერენცია, თეზისები. ქუთ., 1993, გვ. 23.)

[40]ქართლის ცხოვრება, ტ. II,... გვ. 493.

დგენილ იქნა 1761 წელს[41].

საეპისკოპოსო კათედრის დაარსებამ ხელი შეუწყო ხონის ტერიტორიულ ზრდას და სამეურნეო-ეკონომიკურ აღმავლობას. მაგრამ ეს არ ყოფილა ამ პროცესის ძირითადი მიზეზი. ვახუშტი ბაგრატიონის დახასიათებით, ვაკე იმერეთი გამოირჩეოდა ნიადაგის ნაყოფიერებით, ფრინველთა და თევზთა სიუხვით, მდიდარი საძოვრებით, ხშირი ტყეებით. ყოველივე ეს ხელს უწყობდა ბეჯითი და გამრჯე მოსახლეობის (ვახუშტის სიტყვებით, „კაცნი და ქალნი... ფრიად მუშაკნი") წარმატებებს სამეურნეო საქმიანობაში. ამას ემატებოდა მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა, რამაც განაპირობა ხონის სავაჭრო პუნქტად გადაქცევა.

ხონის საეპისკოპოსო და თვით წმ. გიორგის ეკლესია მსხვილ ფეოდალურ სამეურნეო ერთეულს წარმოადგენდა. წმ. გიორგის ეკლესიის ყმა-გლეხთა შორის, XVI საუკუნის დასასრულს შედგენილი დავთრის მიხედვით, ხონში ცხოვრობდა 50 კომლი, 9 კი — ახლომახლო სოფლებში. მათ შორის 7 კომლი მეხადილე იყო, 17 კომლი — დაბეგრილი მსახური, 30 კომლი — მოინალე, 4 კომლი — უმსახური, ხოლო 1 კომლი მეხადილე და მისი მამული — პარტახად ქცეულა[42]. რადგან მეხადილეებს სამსახური არ უწერიათ, ისინი, ჩანს, მაღალი ღირსების ყმები იყვნენ და, ხონის დავთრის მიხედვით, დაუბეგრავ მსახურებად უნდა მივიჩნიოთ. მეხადილეების სამსახურებრივი ვალდებულება (ხადილს გარდა — 2 საკლავი, 2 ქათამი, 2 თეთრის თევზი და სხვ.) „ლაშქრობა" უნდა იყოს. მოლაშქრეთა სიით, ხონში 30 მსახური ითვლებოდა[43], ხოლო ხონის დავთარში „ლაშქრობა" არც ერთ მსახურს არ უწერია. როგორც სამართლიანად მიუთითებდა ლ. მუსხელიშვილი, აქ იგი ნაგულისხმევია და ხონის მეხადილენიც, როგორც მაღალი ღირსების ყმები, დაბეგრილ მსახურებთან ერთად, უთუოდ, ასრულებდნენ ამ

41 ს. კაკაბაძე, საეკლესიო რეფორმებისათვის სოლომონ პირველის დროს, გვ. 7; მ. კელენჯერიძე, საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიის მოკლე ისტორია, ქუთ., 1918, გვ. 116.

42 ლ. მუსხელიშვილი, დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიები, ენიმკ-ის მოამბე, ტ. V-VI, თბ., 1940, გვ. 308.

43 ს. კაკაბაძე, აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთარი, ტფ., 1914, გვ. 46.

საპატიო მოვალეობას[44].

ხონელი ყმა-გლეხის – მსახურის, ბეგარა შემდეგი ნაწილებისაგან შედგებოდა: 1. თავი ბეგარა, 2. საპურობო, 3. საბატკნობო, 4. სამაჭრობო, 5. საყველიერო. გლეხი-მოინალის ბეგარას ემატებოდა – სამეჯინიბო (ერთი ურემი შეშა, თივა ან ერთი გოდორი მჭადი). გარდა ამისა, მათ ყველას მართებდათ – მუშაობა.

ბეგარა-ვალდებულებათა მიხედვით შესაძლებელია ხონის მოსახლეობის წოდებრივი შემადგენლობის მიახლოებითი სქემის შედგენა: 1. გლეხი (მოინალე) – ა) სრული ბეგარის მოვალე, ბ) სამაჭრობოსაგან ან საბატკნობოსა და სამაჭრობოსაგან თავისუფალი, გ) სამეჯინიბოსა, ან საბატკობოსა და სამეჯინიბოსაგან თავისუფალი, დ) თავისუფალი სამაჭრობოსა, საბატკობოსა და სამეჯინიბოსაგან. 2. დაბეგრილი მსახური – ა) სრული ბეგარის მოვალე, ბ) საბატკობოსაგან, ან საპუროსაგან, ან სამაჭრობო და საბატკობოსაგან თავისუფალი, გ) ბეგარა შეკვეცილი. 3. დაუბეგრავი მსახური (მეხადილე, ხადილი და ლაშქრობა). რადგან ეს წოდებრივი სქემა შედგენილია ბეგარის მიხედვით – აღნიშნავდა ლ. მუსხელიშვილი, მისი რეალობა სათუოდ უნდა დარჩეს.

ნათლად რომ წარმოვიდგინოთ ხონელი გლეხის (მოინალის) სრული ბეგარა, მოვიტანთ ერთ-ერთი მათგანის ვალდებულებათა აღწერას: „... მართებს მამისთვალა ლაითაძეს: 1 – საკლავი, 1 – ქათამი, 1 თეთრის ყველი, საპურო 1 ქათამი, 3 კოდი ღომი, 2 კოკა ღვინო (3 კოდი ღომი, 2 კოკა ღვინო), 4 ქათამი სამაჭრობო, 3 კოდი ღომი, 2 კოკა ღვინო, 2 თეთრი, 1 თეთრის საყველიერო, 10 მთელი კოკა ღვინო, 1 ურემი ღომი, 5 კოდი ცეხვილი, მუშაობა, სამეჯინიბო, 1 ურემი შეშა და 1 ურემი თივა ან ურიში"[45].

დაბეგრილი მსახურის ვალდებულებანი: „... მართებს კაცია მებუკეს: 1 საკლავი, 1 თეთრის ყველი, საპურობო 1 ქათამი, 3 კოდი ღომი, 2 კოკა ღვინო, 3 თეთრის საბატკობო და 1 ქათამი, 3 კოდი ღომი, 2 კოკა ღვინო, 2 თეთრი, 4 ქათამი სამაჭრობო, 3 კოდი ღომი, 2 კოკა ღვინო, 2 თეთრი, 1 თეთრის საყველიერო, 10 კოდი ცეხვილი, 20 მრთელი კოკა ღვინო, სამსახური"[46].

---

[44] ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 309.

[45] ხონის საყდრის დავთარი 1600 წლის ახლო დროისა, ტფ., 1913, გვ. 6.

[46] იქვე, გვ. 7-8.

დაუბეგრავი მსახურის ანუ მეხადილის, მაგალითად, მამისთვალა ბახტაძის ვალდებულებას შეადგენდა: „... სადილი, 2 ღორი, 2 ქათამი, 2 თეთრის თევზი, ყუელი და კუერცხი, ღომი და ღვინო“[47].

წმ. გიორგის ეკლესიის საერთო შემოსავალი აფხაზეთის საკათალიკოსო დავთარში შემდეგნაირადაა ფიქსირებული: „არის წმიდის გიორგის ხონის გამოსავლის ჯუმალი, რაც 840 კოკა ღვინო, ორი ჭური სხვაი, 501 კოდი ცეხვილი ღომი, 98 საკლავი; 273 ქათამი, 25 ურემი ღომი, არის ყუელისა და კუერცხისა და თეუზისა საყველიერო და საბატკოპო. თეთრის ჯუმალი: 429. ორმოცდაორი ურემი თივა და შეშა: 25 კალათი სამეჯინიბო ან ურიში ან ჭადი“[48]. აქედან ხონში მცხოვრები 50 ყმა-გლეხი, გამოსავლის დავთრის მიხედვით იხდიდა: 339 თეთრსა და 1 ბისტს, 25 ურემსა 480 კოდ ღომს, 640 კოკა ღვინოს, 70 საკლავს, 246 ქათამს და სხვ. ყოველივე ეს ფულზე გადაყვანით, როგორც ეს ს. კაკაბაძემ გამოიანგარიშა, 4085 თეთრს ანუ 332 საკლავის საფასურს უდრიდა[49].

XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისში ხონის ეკლესიას აზნაურები არ ყოლია. კათოლიკოს მალაქია II მოლაშქრეთა სიაში, რომელიც 1622 წელსაა შედგენილი, არსად ხონელი აზნაური მოხსენიებული არ არის[50]. დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსი მალაქია II (1619-1639) ერთდროულად იყო ცაიშელ-ჯუმათელ-ხონელიც[51].

ქუთაისის საყდრის 1578 წელს შედგენილი დავთრის მიხედვით, ხონში ცხოვრობდა ქუთათელი ეპისკოპოსის ერთი კომლი მოინალე, რომელსაც, გარდა მუშაობისა, მართებდა — 15 კოკა ღვინო, ღომი ერთი ურემი და ხუთი სარწყავი, 2 საკლავი, 24 თეთრი, 6 ქათამი და 4 თეთრი[52].

ხონში საეკლესიო გლეხებთან ერთად სამეფო და საბატონო ყმების გარკვეული რაოდენობა ცხოვრობდა. XV საუკუნის მიწურულიდან XVI საუკუნის 70-იანი წლების ბოლომ-

---

47 იქვე, გვ. 15.

48 ს. კაკაბაძე, აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთარი..., გვ. 45.

49 საისტორიო კრებული, წიგნი პირველი, თბ., 1928, გვ. 27.

50 იქვე, გვ. 22.

51 იქვე, გვ. 15.

52 იქვე.

დე ხონის დიდი ნაწილი ღოღობერიძეთა სათავადოში შედიოდა[53], ნაწილი კი ეკლესიის და მეფის იყო[54].

XVI საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში ხონის ნაწილი წულუკიძეების სათავადოს შემადგენლობაში შევიდა. იმერეთის მეფის გიორგი II (1565-1585) მიერ დავით წულუკიძისადმი მიცემულ სიგელში ნათქვამია: „... გიბოძეთ ხონს ხოსროსეული სასახლე და გლეხები: კვამლი ერთი სულათაძე კოტორაი, სულათაძე გოგიაი, ჯალაღანია ნასხიდაი, ყირყიზულაის შვილი ხუჭულაი, ბალავეძე მახარაი, სვიანიძე ნასხიდაი, თედორაიშვილი — ესე გლეხნი მათი მთითა და ბარითა, ველითა, ვენახითა, ეკლესიითა, სასაფლაო-წყლითა, წისქვილითა, საყანითა, საძოვრითა, ჭალითა, სათიბითა, შესავლითა და გამოსავლითა, საძებრითა და უძებრითა, მისითა ყოვლიფერითა სამართლიანით სასაზღაუროთ მამულითა“[55]. ამასთან დაკავშირებით პროფ. ო. სოსელია წერდა: „... ვინ იყო ის ხოსრო, რომელსაც ხონს სასახლე და მიწა-წყალი ჰქონდა, ამაზე წყაროებში ვერაფერს ვპოულობთ“. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ ხოსრო, რომლის სასახლე და ადგილ-მამულები გიორგი მეორემ დავით წულუკიძეს გადასცა, ღოღობერიძე იყო[56]. ო. სოსელიას მიხედვით, ეს უნდა მომხდარიყო იანეთის ბრძოლის (1563 წ.) შემდეგ. როგორც ცნობილია, სამეგრელოს მთავარი ლევან I დადიანი დაუკავშირდა ტახტის პრეტენდენტს, გიორგი II ბიძაშვილს, ხოსრო ბატონიშვილს და მეფის ტახტიდან ჩამოგდება სცადა. მოკავშირეები 1568 წელს თავს დაესხნენ გიორგი მეორეს იანეთთან, მაგრამ დამარცხდნენ. გამარჯვებული მეფე სასტიკად გაუსწორდა ლევან დადიანის მომხრეებს, რომელთა შორის ო. სოსელია ღოღობერიძეებსაც გულისხმობდა[57], ჩამოართვა მათ ხონის მამულები და წულუკიძეებს გადასცა.

ხონის ნაწილსა და მის უბნებს წულუკიძეების ხელში გადასვლის შემდეგ „საწულუკიძო“ ან „საწულუკიძეო“ ეწოდა.

---

[53] ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1981, გვ. 31.)

[54] ს. კაკაბაძე, დას. საქ. საეკლესიო საბუთები, ტ. II... გვ. 124; მისივე, აფხაზეთის საკათალიკოსოს გლეხების დიდი დავთარი..., გვ. 15-16.)

[55] ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466-1770), წიგნი I, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ., 1958, გვ. 18-19.

[56] ო. სოსელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

[57] იქვე, გვ. 33-34.

ეს ადგილ-მამულები მათ ბოლომდე შეინარჩუნეს.

XVI-XVIII საუკუნეებში თურქთა აგრესიის გაძლიერებამ, მეფე-მთავართა შორის გამუდმებულმა ომებმა, ფეოდალთა დაუსრულებელმა ურთიერთბრძოლამ ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკური დაქვეითება და მოსახლეობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება გამოიწვია. ამ პერიოდში ხონი და მისი მიდამოები არაერთხელ გამხდარა ბრძოლის ასპარეზი. 1646 წელს იმერეთის მეფემ ბაგრატ მესამემ, როგორც უკვე აღინიშნა, ხონის ჭალაზე მიიწვია სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი, რომელიც არ დაეხმარა მას თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში, და შეიპყრო იგი[58].

XVII საუკუნის 30-იან წლებში იმერეთის მეფეს ალექსანდრე V (1725-1752) ძმა — მამუკა ბატონიშვილი აუმხედრეს. მას ცოლად შერთეს სამეგრელოს მთავრის და. მამუკა ბატონიშვილმა და მისმა მომხრეებმა: დადიანმა, რაჭის ერისთავმა და ზურაბ აბაშიძემ, მეფის წინააღმდეგ გაილაშქრეს. ისინი ქუთაისამდე მოვიდნენ, მაგრამ მეფე ბრძოლაში არ ჩაება და იძულებული გახდნენ უკანვე გაბრუნებულიყვნენ. 1734 წელს ისინი კვლავ დაესხნენ თავს ალექსანდრე V-ს. ბრძოლა ჩიხორთან მოხდა. გამარჯვება მეფეს დარჩა. ცოტა ხნის შემდეგ ალექსანდრე V და მისი მოწინააღმდეგეები დაზავდნენ. მეფემ მამუკა ბატონიშვილს საჭილაო და სამიქელაო მისცა, მაგრამ იგი ამას არ დაჯერდა, მოულოდნელად თავს დაესხა ბეჟან ჩიჯავაძეს, რომელსაც მეფე მფარველობდა, აიღო სებეკას ციხე და საჩიჯავაძოც დაიპყრო[59]. ამ პერიოდში მამუკა ბატონიშვილი ხონსაც დაუფლებია. წმ. გიორგის ეკლესიისადმი კაცია წულუკიძის მიერ ჭანტურიშვილის შეწირულების წიგნში, რომელიც 1760 წლის ახლო ხანშია შედგენილი, ნათქვამია: „... ესე საფიცარი მოგართვი... მთავარ მოწამეს გიორგის ჩვენ წულუკიძე კაციამ, ძემან ჩემმან პაატამ, ბერმა დაგიტეულმა, ასე რომ ჭანტურიშვილი ძველათ თქვენი შეწირული ყოფილიყო, მერმეთ ჩვენს სახლის კაცს ყავდა და მის ყმას ჭუბაბრიას ყავდა, იმას ხელახლა წამოსვლოდა და ისევ ჩვენ მოგვენდო. მერმე ის ჭუბაბრია მე მომივიდა და შენი თავი მთხოვა. ბატონიშვილს ეჭირა მაშინ ხონი (ხაზგასმა ჩვენია. — პ. ვ.) და

---

[58] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 359. მ. ბროსე წერდა: „მოიწვია დადიანი ვითომც სანადიროდ ხონის ტყეში", — იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 177.

[59] ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 889.)

ვთხოვე ეს გლეხი და ქრთამიც კარგი მივართვი და ისევ მე გიშოვე...“[60].

ამ საბუთიდან ირკვევა, რომ ხონი მამუკა ბატონიშვილის მფლობელობაში საკმაო ხნის განმავლობაში ყოფილა. მას, ალბათ, საწულუკიძეოც დაუმორჩილებია. ამ საბუთიდან ისიც ჩანს, რომ წულუკიძეები, რომლებიც საერთოდ მეფეს უჭერდნენ მხარს, იძულებული გამხდარან ეცნოთ მამუკა ბატონიშვილის ძალაუფლება.

განსაკუთრებით ხანგრძლივი და შეუპოვარი იყო რაჭის ერისთავების ბრძოლა იმერეთის მეფეების წინააღმდეგ. მან უაღრესად მწვავე ხასიათი მიიღო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. ამ პერიოდში ხონი და მისი მიდამოები არაერთხელ გადასულა ხელიდან ხელში.

რაჭის ერისთავს როსტომს სოლომონ პირველის წინააღმდეგ ბრძოლაში მხარს უჭერდა მისი ძმა ბესარიონი, რომელიც დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსი იყო. ამ უკანასკნელმა ერთხანს ხონიც დაიპყრო და მოსახლეობა ახალი გადასახადებით დაბეგრა. „ჩვენ ჟამთა ვითარებისაგან გაგვიჭირდა, — წერდნენ სოლომონ პირველი და მისი თანამეცხედრე, დედოფალი მარიამი, ხონის წმ. გიორგის ეკლესიის ყმებისადმი მიცემულ სიგელში, — და ხონი კათალიკოზმან დაიჭირა და ჩვენს ხელში, რომ პირველთაგან ბაჟი იყო, იმაზე უსამართლო ექნა, ხორცის, მარილის, თევზის და მატყლის ბაჟი დაედვა თქვენთვისო“[61].

ფეოდალურ შინაომებთან ერთად გაძლიერდა თურქთა თარეში, რამაც დასავლეთ საქართველოს მრავალი დაბა-სოფელი და დასახლებული პუნქტი გააპარტახა და მიწასთან გაასწორა. გამრავლდა „ნასოფლართა“ და „ნამოსახლართა“ რაოდენობა. საგრძნობლად გაიზარდა გადასახადები. ეკლესია-მონასტრების, მათ შორის ხონის ტაძრის, სიგელ-გუჯრები დაძველდა, გაიბნა და დაიკარგა. ეს ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა თვითნებურად გაეზარდათ ყმა-გლეხთა ბეგარა-ვალდებულებანი. ფეოდალთა თარეში და თურქთა ბატონობა აუტანელი ხდებოდა. ხონის ეპისკოპოსი ანტონ ჩიჯავაძე აგიაშვილისათვის მიცემულ სიგელში აღნიშნავდა: „... თათრის ვალი დაგვედვა ცხრაას და ჩვიდმეტი მარჩილი. მერე იმ ჩვენმა მოვალე თათარმა დაგვიჭირა, ცუცხვათელმა

---

[60] ს. კაკაბაძე, დას. საქ. საეკლესიო საბუთები, ტ. II, გვ. 12.

[61] იქვე, გვ. 39.

თათარმა, ვიკარგებოდით და რჯული გვეშლებოდა, გაურჯულოებას მამულის გაყიდვა ვარჩიეთ..."[62]. გასაგებია, რა მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო ხონის და, საერთოდ, იმერეთის მოსახლეობა, როდესაც მთავარეპისკოპოსი ასეთ დღეში იმყოფებოდა უცხოელთა ბატონობისაგან.

მკვეთრად დაეცა ხონის გლეხთა გადახდისუნარიანობა. მაგალითად, XVIII ს. მეორე ნახევარში წმ. გიორგის ეკლესიის 109 კომლი ყმა-გლეხი იხდიდა: 638 კოკა ღვინოს, 455 კვახ ღომს, 82,5 მარჩილის საკლავს, 135 ქათამს და 9 მარჩილის სანთლის ბეგარას, რაც ფულში გადაყვანილი – 301 მარჩილს ანუ 400 საკლავის ღირებულებას შეადგენდა. თუ XVI საუკუნის ბოლოს ხონში მცხოვრებ საეკლესიო გლეხზე მოდიოდა 6,64 საკლავის ღირებულების ბეგარა, XVIII ს. შუა ხანებისათვის იგი 3,7-მდე შემცირდა[63].

XVII-XVIII საუკუნეებში ხონის მოსახლეობას სხვა ფეოდალურ ვალდებულებებთან ერთად, მძიმე ტვირთად აწვა საურისა და საუდიეროს გადახდა. პირველი იყო მონღოლთა დროიდან დამკვიდრებული გადასახადი, რომელსაც აღმოსავლეთ საქართველოში „სათათრო გამოსაღები" და დასავლეთში – „სახვანთქრო" ეწოდებოდა, ხოლო მეორე – თურქთა ბატონობის დროს შემოიღეს დასავლეთ საქართველოში და „ძალით სათხოვარს" ნიშნავდა. იმერეთის მეფემ ალექსანდრე მესამემ 1660 წელს ხონელები სახონთქრო გადასახადის ანუ „ხვანთქრის ხარაჯისაგან" გაათავისუფლა. მაგრამ ეს გადასახადი შემდეგში კვლავ შემოუღიათ. XVIII საუკუნეში საურის ოდენობა გაზრდილა კიდეც. სოლომონ პირველმა საურის ოდენობა ერთ მარჩილამდე შეამცირა. ხონელებისათვის მიცემულ ერთ სიგელში, რომელიც 1754-1768 წლებს შორის არის შედგენილი, იგი აღნიშნავდა: „... მეფე სოლომონი გიბრძანებთ სულ ერთობით ხონელებო, ღმერთი მომიცემია თქვენთვის თავდებად, დიდი თათრის ძალი და გადასახადი თუ არ მომდგეს, ჩემთვის წრეულს იქით მის ღლემჩი თითო მარჩილის მეტი არ გადაგახდევინოთ საური" [64].

ამ პერიოდში ხონის მოსახლეობა საუდიეროსაც იხდიდა.

---

62 ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, საბუთი № 979.

63 ს. კაკაბაძე, მასალები დას. საქ. სოც. ეკ. ისტ., გვ. 27.

64 ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ტ. II, გვ. 36-37.

1764 წელს ხონის ეკლესიისათვის ბოძებულ სიგელში ნათქვამია: „... სოლომონ და მარიამ ვინებეთ და ვიგულსმოდგინეთ მცირედი ესე მსახურება წინაშე შენსა, ასე რომ ქვეყნისა ამის განსაცდელთა და შფოთთაგან უდროობით ეკლესიისა შემომავალთა ერთა საუდიერო დასდებოდათ. ვინებეთ განთავისუფლება ყმისა თქვენისა... ამოგვიკეთია საუდიერო საძალოთ სათხოვარი ხონის წმიდის გიორგის ყმისათვის, ჩვენგან არ ეთხოვებოდეს რა თვინიერ დაჭირვება თუ რამე იქნეს, მეპატრონესა თქვენის ნებით ემსახურონ და მიართვან ან თქვენს ქვეყანას მობრძანდეს და ემსახუროთ რისაც შემძლებელი იყვნეთ. ამის ჩამოიდამი საუდიეროთ არ ეთხოვებოდეს რა, არც ღომი, არც ღვინო და არც ხორცი, არც ჩვენგან და არც ჩვენთა შემდგომთა მეპატრონეთაგან“[65].

ამ საბუთის მიხედვით, სოლომონ პირველი ხონელებს საუდიეროს გადაჭრით „ამოკვეთას“ ვერ პირდება. საჭიროების შემთხვევაში ეს გადასახადი შეიძლებოდა კვლავ აღედგინათ.

ხონის მოსახლეობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობისათვის სხვადასხვა სახის ბაჟებსაც იხდიდა. მათი რაოდენობა მცირდებოდა ან იზრდებოდა იმასთან დაკავშირებით, ვის მფლობელობაში იყო ხონი და რა მოთხოვნილებები ჰქონდა მას. ბაჟების ასაკრებად ეკლესიას, ერთხანს, სპეციალური მებაჟეც დაუნიშნეს. ასევე XVII-XVIII საუკუნეებში ხონის ეკლესიის საშინაო საქმეებში ხშირად ერეოდა საერო ხელისუფლების მიერ დანიშნული მოურავი.

ფეოდალური ექსპლოატაციის გაძლიერება გლეხს აიძულებდა თავის მამა-პაპათა საცხოვრებელი მიეტოვებია და სხვაგან ეძებნა არსებობის საშუალებანი. „აყრა-გაქცევის ფართოდ გავრცელება გლეხთა აუტანელი ექსპლოატაციისა და დაქვეითებული მეურნეობის პირობებში ხდებოდა. ბატონის ძალადობით შეწუხებული გლეხი, რომელსაც კულტურული ნაშენობა — ბაღ-ვენახი არ ჰქონდა, ადვილად თმობდა თავის კუთხეს. ასეთ ვითარებაში გავრცელებული სოციალური ბრძოლის ეს სახე, თავის მხრივ, უფრო მეტად აფერხებდა მეურნეობის ინტენსიფიკაციას“[66]. ხონის ეკლესიის ხელმძღვანელობა ცდილობდა შეეჩერებია ყმა-გლეხთა აყ-

---

[65] ს. კაკაბაძე, საეკლესიო რეფორმებისათვის..., გვ. 11-12.
[66] ო. სოსელია, მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში (XVII ს. მიწურულიდან XIX ს. 40-იან წლებამდე), თბ., 1960, გვ. 6.

რა-გაქცევის პროცესი. ამ მიზნით ხშირად მიმართავდნენ სამეფო ხელისუფლებას.

გაქცეულ გლეხთა უკან დაბრუნება სოლომონ პირველის დროს დაიწყო. მან ენერგიული საშინაო და საგარეო პოლიტიკის მეოხებით შეძლო თურქთა აგრესიის შეკავება, მათგან იმერეთის ციხესიმაგრეების გათავისუფლება, ურჩი ფეოდალების დამორჩილება და მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება თავისი სამეფოს სამეურნეო-ეკონომიკური გაჯანსაღებისათვის. სოლომონ პირველმა ეკლესია-მონასტრების მდგომარეობასაც მიაქცია სათანადო ყურადღება. ამას პირველხარისხოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა. 1758 წელს მეფემ წმ. გიორგის ეკლესიის დეკანოზის მუშაობა შეამოწმა, უკმაყოფილო დარჩა და ახალი დეკანოზი დანიშნა[67]. გაისინჯა ეკლესიის არქივიც. აღმოჩნდა, რომ საბეგრო დავთრები და სხვა საბუთები დაკარგულიყო. ამასთან დაკავშირებით, 1761 წელს სოლომონ პირველმა საეკლესიო კრება მოიწვია, რომელზეც განიხილეს ხონის საყდრის სახუცო და სამრევლო გამოსაღების საკითხი. კრების გადაწყვეტილებით იგი განისაზღვრა ქუთაისის, გელათის და ჭყონდიდის ტაძრებში არსებული გამოსაღების ოდენობით[68]. მოწესრიგდა სხვა საბეგრო ნუსხებიც, განახლდა მრავალი სიგელ-გუჯარი და შეწირულობა-წყალობის წიგნი.

ხონის ეკლესიის მესვეურთა თხოვნით სოლომონ პირველმა თავისი კაცები დაგზავნა ეკლესიის კუთვნილი ყმა-გლეხების გამოსაძებნად და უკან დასაბრუნებლად. ამ მხრივ უფრო ენერგიული ზომები სოლომონ მეორემ (1789-1810) მიიღო. XVIII საუკუნის ბოლოს შედგენილ ერთ საბუთში ვკითხულობთ: „... მეფე იმერთა სოლომონ დავითიანი ერთხორცის ჩემის დედოფლისა დადიანის ასულის მარიამითურთ გკადრებ მცირედსა და უნდოსა ამას შესაწირავსა ტაძარსა შენსა. ესე განზრახვითა ძალმწეობითა შენთა ერთა, ტაძრისა შენსა შეწირულთა სიმრავლე მიეცა და ესრეთ აღივსო სოფელი ტაძრისა შენისა, ადგილი ცალიერი აღარსად იპოებოდა და იწროებისაგან სხუა და სხუა ქვეყანაში განბნევა დაიწყეს და მოიწია წინაშე ჩვენსა... მთავარეპისკოპოსი ჩიჯავაძე ანტონი და ეკლესიისა თქუენისა ყმათა განბნევა და იწროება საყოფელთა მათთა წარმომითხრა და წარვავლინე

---

[67] აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, 2257/Hd.
[68] ს. კაკაბაძე, საეკლესიო რეფორმებისათვის..., გვ. 6-8.

ყოველთა სამეფოთა ჩემთა კაცნი და შემოკრიბენ განბნეულნი გლეხნი და თვის თვის ადგილზე მივიყუანენ და რადგან იმ ადგილით მათი რჩენა არ შეიძლებოდა და ესეცა ვედრება ვისმინე პატიოსანისა მამისა მთავარეპისკოპოსისა ანტონის და იქავ ხონს შევწირე წმიდა ტაძარს შენსა ჩემი სახასო მიწა ხონიდამ მათხოჯის საზღურამდინ ვერხუას აქეთ წულუკიძეს საჩხეიძო ადგილი რომ უჭირავს, იმის გორამდის მეფის ნასასახლამდის და კონტოეთის საზღურამდის. ამ საზღვრებს შიგნით, რომელიც ჩემი სამოდო მიწა არის სრულიად და უნაკლულად შენის წმინდის ტაძრისათვის ესრეთ ხელშეუვლად შემიწირავს...“[69].

საბუთიდან ირკვევა, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ეკლესიისათვის შეწირულ გლეხთა რაოდენობა იმდენად გაზრდილა, რომ „ადგილი ცალიერი აღარსად იპოებოდა“. ამიტომ გლეხები ტოვებდნენ ხონს და მახლობელ სოფლებში ესახლებოდნენ. მაგრამ საეკლესიო გლეხთა გაფანტვის მიზეზად დასახელებულია არა მარტო მცირემიწიანობა, არამედ სხვა მიზეზებიც. „ასე რომ ზოგი რომელიმე ადგილის იწროებისათვის აიყარნენ, ზოგი რომელიმე სხვა შეწუხებისათვის განიფანტნენ სხვას და სხვას სოფელში“[70], — ნათქვამია ხონის ეკლესიისათვის მიცემულ ერთ-ერთ სათავდებო წიგნში. „რომელიმე სხვა შეწუხება“, ცხადია, ბეგარა-გადასახადების სიმძიმეს ნიშნავს. სამეფო ხელისუფლება იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საეკლესიო გლეხის განკარგულებაში მყოფი მიწა ვერ უზრუნველყოფდა ამ უკანასკნელს არსებობის საშუალებებით. ამიტომ მეფე ცდილობდა მიწების ახალი შეწირულობით დახმარებოდა ეკლესიას. ამასთან ერთად ენერგიული ღონისძიებები ტარდებოდა ყმა-გლეხთა მიწაზე დამაგრების მიზნით. ეკლესიას ჩამოცილებული გლეხების უკან დაბრუნება ხდებოდა „სათავდებო წიგნების“ საფუძველზე. აი, ერთ-ერთი მათგანი, შედგენილი 1806 წელს: „... ესე სათავდებო წიგნი და პირობა მოგართვი მე თქვენმა მონამან თქვენ ყოვლად სამღვდელოს მთავარეპისკოპოს ანტონს დედულია რუხაძემ, ასე რომ ზოგი რომელიმე ადგილის იწროებისათვის აიყარნენ, ზოგი რომელიმე სხვას შეწუხებისათვის განიფანტნენ სხვას და სხვას სოფელში. ეს საქმეები ბატონ მეფეს მოხსენდა თქვენგან. მეფემ ბოქაული-

---

[69] ს. კაკაბაძე, დას. საქ. საეკლ. საბუთები, წიგნი II, გვ. 124.

[70] იქვე, გვ. 151.

ბი წარმოავლინა მოსაბოჭად. ბოქაულმა უთავდებოთ აღარ ენდო კინტრიას რუხაძეს. აწი ეს წიგნი და პირობა მოგართვი, რომ კინტრია რუხაძე თქვენ და თქვენს ქვეყანას არ განეშოროს და შეძლებისაებრ გემსახუროს ერდგულად და არც მის ადგილს მამულს მოსცილდეს. თუ ამაში სიმტყუნე გამოაჩნდეს ეს კინტრია თავის ცოლშვილით, მოგართვა სიმტყუნისათვის ასი მარჩილი..."[71].

ზოგჯერ, თავისუფალი მიწების ფონდის ამოწურვის გამო, შეუძლებელი ხდებოდა ყმა-გლეხის ძველ ადგილზე დაბრუნება. ასეთ შემთხვევაში სამეფო ხელისუფლება გლეხს ტოვებდა იქ, სადაც იგი ესახლა იმ პირობით, რომ მას ყველა ვალდებულება ხონის ეკლესიის მიმართ უნაკლოდ შეესრულებია. 1807 წელს, მთავარეპისკოპოს ანტონისათვის მოურავ გიორგი კორძაიას მიერ მიცემულ პირობის წიგნში ნათქვამია: „... თქვენი ეკლესიის ყმა დედულია წიგწივაძე, თქვენის მოურავის ჩამობარებით ჩემს მიწაზე დავასახლე და თქვენ პირობა გვთხოვეთ... რაც თქვენის ეკლესიის ბეგარა ამ თქვენს კაცს მართებს არაფერი არ დაგაკლოთ და გაურჯელად თქვენს მოხელეს მივაბაროთ... როდესაც თავისს ადგილზე წამოსვლა ამათ ინებონ, ჩვენგან და ჩვენის მომავლისაგან არ დაეშალოს და თავისი ყოფით გამოუშვათ..."[72].

მეორეს მხრივ, მებატონისაგან ილაჯგაწყვეტილი გლეხი ხონის ეკლესიას აფარებდა თავს. ამ მხრივ საყურადღებოა სათავდებო წიგნი, რომელიც გოგიტა ღოღაბერიძეს 1771 წელს მიუცია ხონელ დეკანოზ მიქაელისათვის, გიორგი ჩიქვანს და მის ძმებს გამოქცევიათ ყმა-გლეხი, გაბრიელა ქუთათელაძე თავისი ცოლ-შვილით და ეკლესიისათვის მფარველობა უთხოვია. შემდეგ დეკანოზი და ჩიქვანები მოლაპარაკებულან, მაგრამ პირობის წიგნის გარეშე გლეხი უკანვე არ დაუბრუნებიათ. ჩიქვანებს თავდებად გოგიტა ბეჟანის ძე ღოღაბერიძე დადგომია. „... აწ მე ამის თავდები დავდგომივარ, — წერდა იგი, — რომ გაბრიელა ქუთათელაძეს და მის ცოლშვილს, ჩიქვანის გიორგის და მისი ძმებისაგან არც გაყიდვით, არც გალარიბებით აწ არაფერი ფიქრი და ზიანი ჰქონდესო..."[73]. თავდებობის წიგნში დასახელებულია „გალარიბება" და „გაყიდვა", რაც ხშირად საფუძველს აცლიდა

---

[71] იქვე.

[72] იქვე, გვ. 157.

[73] იქვე, გვ. 45-46.

გლეხის მეურნეობას და პარტახად აქცევდა მის კარმიდამოს. მაგრამ გლეხი ვერც ეკლესიის სახით პოულობდა საიმედო დამცველს, რადგან ეს უკანასკნელი, როგორც მიწათმფლობელი, თვით გამოხატავდა ფეოდალთა ინტერესებს.

სოლომონ პირველმა და სოლომონ მეორემ ხონის ეკლესიას დაუბრუნეს, აგრეთვე, ის ყმა-გლეხები და ადგილ-მამულები, რომლებიც დროთა განმავლობაში საერო პირებს მიუსაკუთრებიათ. სოლომონ პირველმა, როგორც აღნიშნული იყო, ხონის მოსახლეობას მნიშვნელოვნად შეუმცირა საური, ხოლო საუდიეროს გადასახადის, მებაჟისა და მოურავისაგან სრულიად გაათავისუფლა. იმერეთში შედარებით სიმშვიდე დამყარდა, შეწყდა თურქთა თარეში და ტყვეთა სყიდვა. გლეხს საშუალება მიეცა თავისი მეურნეობისათვის მიეხედა, ქვეყანა თანდათან მოღონიერდა. ნასახლარებსა და ნასოფლარებზე კვლავ თავი მოიყარა მოსახლეობამ. ამ პერიოდისათვის, როგორც გერმანელი მეცნიერის გიულდენშტედტის მოგზაურობის მასალებიდან ჩანს, ხონი მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქტი იყო. მას გაცხოველებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა ამიერკავკასიის, იმიერკავკასიის და სამხრეთ რუსეთის რაიონებთან.

ხონი XVIII საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში, გიულდენშტედტის აღწერილობის მიხედვით, დიდი სოფელი იყო, დაახლოებით 200 კომლი მცხოვრებით. მას თავისებური განაშენიანება ჰქონდა. ხონი „აქაური ჩვეულების საწინააღმდეგოდ, — წერდა გერმანელი მეცნიერი, — წრეებად და ქუჩებადაა დაყოფილი, მაგრამ ხალხი შორი შორს ცხოვრობს, რადგან ყოველ ოჯახს თავისი ბაღები და ნათესები, თავის სახლებთან აქვთ“[74]. თითქმის ყოველი სახლის გარშემო გაშენებულ ბაღებში უცხოელ მოგზაურს უნახავს: ყურძენი, კაკალი, თეთრი თუთის ხეები. მისივე ცნობით, ხონელ გლეხებს მოჰყავდათ ლობიო, კანაფი, თამბაქო, ბოლოკი, კიტრი, ბოთლისებრი კვახი, ჭიაფერა — ღვინის შესაღებად, ალისარჩული აბრეშუმის შესაღებად და სხვ.

ხონში პარასკეობით ყოველკვირეული ბაზრობა, ე. წ. „ქალაქობა“ — „იარმუკობა“ იმართებოდა. სავაჭროდ ჩამოსული ხალხი თავს იყრიდა წმ. გიორგის ეკლესიის წინ მდებარე, საუკუნოვანი ცაცხვებით გარშემორტყმულ ვრცელ მოედანზე, რომელსაც დაახლოებით ორი კვადრატული ვერსი ფართობი ეჭირა.

---

[74] გიდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გვ. 151.

1772 წლის 17 აგვისტოს ხონის ბაზრობას დაესწრო გიულდენშტედტი. აქ მას უნახავს სამეგრელოდან, რაჭა-ლეჩხუმიდან და საქართველოს სხვა მხარეებიდან სავაჭროდ ჩამოსული პირები. აი, რა საქონლის ყიდვა შეიძლებოდა ხონის ბაზარზე, საიდან იყო შემოტანილი და რა ღირდა იგი: რუხი და შავი ფერის უხეში მაუდის ჩოხები და ნაბდები შემოტანილი ონის გზით დიგორიდან და ბასიანიდან. ბამბის წითელი და ცისფერი უხეში ქსოვილები შარვლებისათვის, პერანგებისა და ქალის ზედატანისათვის, სახიანი ბამბის ქსოვილები — ქვედატანისათვის თბილისის ფაბრიკებიდან; უხეში 3/4 არშინის სიგანის ბამბის ქსოვილი, რუსული წყრთა — 8 კაპიკად, ადგილობრივად დამზადებული 3/4 წყრთის სიგანის, ალისარჩულით შეღებილი თავთა — პერანგებისა და შარვლებისათვის. წყრთა — 25 კაპიკად; ევროპული ტილოს ჭრელი არშიები, რომლებსაც იყენებდნენ წინდების შემოსაჭერად — წყრთა 5 კაპიკად; ადგილობრივი რუხი მაუდის ქუდები — 20 კაპიკად; ერთეედროანი სპილენძის ქვაბები — თითო სამ მანეთად; ყირიმიდან, ფოთზე გავლით ჩამოტანილი ზღვის მარილი — ფუთი 2 კაპიკად; დამარილებული ზურგიელი, რომელიც ადრე ფოთიდან შემოქონდათ, შემდეგ კი სალიანიდან და თბილისიდან, კანაფი, ხის ჯამები, ცხერები, ცხენები და სხვ.

ხონის ბაზარზე გამოტანილ საქონელს შორის გიულდენშტედტი პირველ რიგში ასახელებს ადგილობრივი შინამრეწველობის პროდუქციას, თბილისის „ფაბრიკებში" დამზადებულ ქსოვილს, ევროპულ მაუდს, ყირიმის მარილს, სალიანის თევზს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს, პირუტყვს და სხვ. ბაზარზე გამოტანილი საქონლის ნაირსახეობა და სადაურობა იმაზე მეტყველებს, რომ ხონი ამ პერიოდში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, ქვემო იმერეთის ეკონომიკურ ცხოვრებაში. ხონის ბაზარზე ჩამოსულ პირთა სადაურობა კი გვიჩვენებს როგორ იზრდებოდა, პოლიტიკური დაქუცმაცებულობის პირობებშიაც, ეკონომიკური კავშირურთიერთობანი საქართველოს ცალკეულ კუთხეებსა და მხარეებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ იმერეთის მეფესა და სამეგრელოს მთავარს შორის არაკეთილმეზობლური დამოკიდებულება იყო და ისინი იარაღითაც კი ებრძოდნენ ერთმანეთს, მეგრელი გლეხები ჩამოდიოდნენ ხონის პარასკეობაზე და თავისუფლად ვაჭრობდნენ აქაურ ბაზარზე. გიულდენშტედტი აღნიშნავდა თავის

დღიურებში: „ბაზრობაზე მყოფ ხალხში იყვნენ მეგრელე-ბიც. ამ პროვინციის შესახებ ამათგან მივიღე ცნობები ისე-ვე, როგორც დადიანის სხვა მხარეთა — ოდიშისა და ლეჩხუ-მის შესახებაც, რაც მათ შეეძლოთ ჩემთვის ეთქვათ, რად-გან ეს ქვეყნები ვერ მოვიარე მათი ბატონების განწყობი-ლების და თურქების მეზობლობის გამო“[75].

ერთი საბუთის მიხედვით, რომელიც შედარებით გვიან — 1832 წელსაა შედგენილი, ირკვევა, რომ სამეგრელოს მთავა-რი და მიტროპოლიტი ამაოდ ცდილობდნენ ხელი შეეშალათ მეგრელი გლეხების ხონის ბაზარზე გასვლისათვის იმ მიზ-ნით, რომ მომხმარებლებით უზრუნველეყოთ მათ მიერ პრი-ვილეგირებულ ვაჭართა დუქნები. ისინი მეგრელებს უკრძა-ლავდნენ, ჩვეულების თანახმად,ევლოთ ხონში იქაურ მთა-ვარ ბაზარზე. იმერეთის საზღვართან, მდინარე ცხენისწყალზე გადასასვლელი ხიდი დანგრეულია, როგორც ამბობენ, იგი ძალით დაანგრიესო[76].

რადგან ხონში ბაზრობაზე პერიოდულად თავს იყრიდა ქვემო იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, სამეგრელოს და სხვა მხა-რეების მოსახლეობა, აქ დუქნებიც უნდა ყოფილიყო. დუ-ქანს დასავლეთ საქართველოში ხისაგან აგებდნენ და „ხუ-ლას“ ეძახდნენ. იმერეთის 1737 წლის რუკაზე, რომელიც ალექსანდრე V დავალებით ქუთათელმა ეპისკოპოსმა ტიმო-თე გაბაშვილმა მიართვა რუსეთის იმპერატრიცას ანა ივა-ნეს ასულს, დატანილია ხონიც შემდეგი წარწერით: „ხონი და წმიდის გიორგის საყდარი, სამთავარეპისკოპოსო და ვაჭ-რობაც არის, ყასაბაა“[77]. ხონი, დასავლეთ საქართველოს სხვა „მცირე ქალაქების“ მსგავსად, სპეციალური ციხესი-მაგრით არ ყოფილა დაცული. ალბათ იმიტომ, რომ აქ მუდ-მივად მცხოვრებ ვაჭარ-ხელოსანთა რაოდენობა შედარებით მცირერიცხოვანი იყო. 1770 წელს ხონელ ვაჭართა ერთი ნაწილი სოლომონ პირველმა ქუთაისში გადაიყვანა. იოანე ხუცესის „დღიურ-წერილებში“ ნათქვამია, რომ „მეფემ სომ-ხები ხონითგან ქუთაისს დაასახლა“[78]. „სომხებში“ — ვა-ჭარ-ხელოსნები იგულისხმებიან.

---

[75] იქვე, გვ. 155.

[76] Сельское хозяйство и аграрные отношения", составил П. Гугушвили, т. 2, Тб., 1950, с. 428-429.

[77] შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 242.

[78] შოთა ლომსაძე, გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიი-დან, ახალციხური ქრონიკები, თბ., 1979, გვ. 131.

1770-1771 წლებში, რუსეთ-თურქეთის ომის დროს, ხონში იმყოფებოდა რუსეთის ჯარის ნაწილები. ერთ-ერთ კორპუსში მსახურობდა კაპიტანი იაზიკოვი, რომელიც ხონის შესახებ წერდა: „... მათი სოფლები (იმერეთის) უმთავრესად ორი-სამი მოსახლისაგან შედგება, მაგრამ სოფელს ეძახიან ხონსაც, რომელშიაც ორასი კომლიაო"[79]. ხონში ჰქონდა ერთხანს რეზიდენცია გრაფ ტოტლებენსაც, როდესაც იგი ფოთზე გასალაშქრებლად ემზადებოდა[80]. აქედან მან კავშირი დაამყარა სამეგრელოს მთავარ კაცია დადიანთან, რამაც სოლომონ პირველის სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და ანექსიის შემდეგ, როდესაც ცარიზმი დასავლეთ საქართველოს შემომტკიცებასაც ცდილობდა, ხონში, როგორც სამეგრელოსა და იმერეთის საზღვარზე მდებარე პუნქტში, განლაგებული იყო რუსეთის ჯარის ნაწილები, რომელსაც სოლომონ მეორის წინააღმდეგ ბრძოლა დაევალა. 1804 წლის 24 ნოემბერს რუსი ჩინოვნიკი ლიტვინოვი საქართველოს მთავარმართებლის პ. ციციანოვისადმი გაგზავნილ რაპორტში სოლომონ მეორესთან მოლაპარაკების შედეგების შესახებ, აღნიშნავდა, რომ იმერეთის მეფე შიშობს ჩვენი ჯარის ნაწილები შეუშვას ქუთაისში, ხოლო გვპირდება პროვიანტით და ბინით უზრუნველყოფას, თუ ისინი დაბანაკდებიან ქუთაისიდან ერთი დღის სავალზეო. ლიტვინოვი მთავარსარდალს ურჩევდა ამჯერად დათანხმებულიყვნენ სოლომონ მეორის წინადადებაზე და გენერალ რიკჰოფის ექვსი ბატალიონი განელაგებიათ დაბა ხონში[81]. ლიტვინოვი შემთხვევით არ მიუთითებდა ხონზე, აქ მყოფ გენერალ-მაიორ რიკჰოფს შეეძლო ადვილად დაკავშირებოდა ცარიზმის მფარველობაში მყოფ სამეგრელოს მთავარს და ამავე დროს სოლომონისათვის გადაეჭრა რაჭა-ლეჩხუმისაკენ მიმავალი გზა. გენერალ-მაიორ რიკჰოფის ბატალიონები დიდხანს იყვნენ დაბანაკებული ხონში.

იმერეთის სამეფოში, რუსეთთან შეერთების წინ, ოთხი ეპარქია არსებობდა: ქუთაისის, გელათის, ხონის და რაჭის.

---

[79] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся к Грузии, т. I, с 1768 - по 1774 год, под ред. А. Цагарели, СПб, с. 194.

[80] იქვე, გვ. 382.

[81] აქტები, ტ. 2, გვ. 421.

ტერიტორიულად ხონის ეპარქია მოიცავდა ვაკე იმერეთს ცხენისწყალსა და გუბისწყალს შორის. მასში შედიოდა შემდეგი სოფლები: ივანდიდი, კუხი, ქარჩხაბი, კონტუათი, ნახახულევი, ახალბედისეული, სამტრედია, დიდი ჯიხაიში, ფრიდონ-ჯიხაიში, იანეთი, გუბი, ჯიქთუბანი, ეწერი, ქვიტირი, ღანირი, მუხაყრუა, ცხუნკური, ძეძილეთი, დედალღვთისა, წყალტუბო, გაღმა-წყალტუბო, ჩუნეში, ჭაგანი, კულაში და სხვ.

რუსეთის ჯარების მიერ იმერეთის დაპყრობის შემდეგ ეს ეპარქიები საქართველოს ეგზარქატის შემადგენლობაში შევიდნენ, ხოლო მალე ისინი გააუქმეს და მათ ნაცვლად ჩამოყალიბდა ერთი — იმერეთის ეპარქია.

XIX საუკუნის ათიან წლებში, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ (1811-1814 წწ.) პირველმა რუსმა ეგზარქოსმა თეოფილაქტე რუსანოვმა საეკლესიო რეფორმა გაატარა. ამასთან დაკავშირებით იგი შეუდგა დასავლეთ საქართველოს ეკლესიების ქონებისა და შემოსავლის აღწერას, რასაც ადგილობრივი თავადაზნაურობა და სამღვდელოება მტრულად შეხვდა. იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის ბევრ სოფელში არ დაუშვეს ეგზარქოსის მიერ გაგზავნილი პირები საეკლესიო ქონების აღსაწერად. ეპარქიების შემცირებამ სამღვდელოების დიდი ნაწილი უადგილოდ დატოვა. რადგან დასავლეთ საქართველოში ჯერ კიდევ არ იყო გატარებული კანონი სამღვდელოების თავისუფლების შესახებ, საეკლესიო პირთა ბატონ-პატრონები თავადაზნაურები იყვნენ, ამიტომ საეკლესიო ქონების აღწერა მემამულეთა ინტერესებსაც შეეხო. გლეხობისათვის საეკლესიო რეფორმას მოჰქონდა ბეგარა-გადასახადების გადიდება. ხონის ეპარქიის სოფელ ხონის გლეხთა სახელობითი აღწერის მიხედვით, მათი ვალდებულებანი ფულზე გადაყვანით 180 ვერცხლის მანეთს შეადგენდა, რეფორმის შედეგად კი ბეგარის ღირებულება 350 მანეთამდე გაიზარდა. გარდა ამისა, გლეხებს ევალებოდათ საეკლესიო მიწების დამუშავება და სხვა ვალდებულებათა შესრულებაც. მაგალითად, ხონის უბნის სოფელ საწულუკიძეოს მცხოვრები გლეხი — გიგო ჯალაღანია, რომლის ოჯახი 9 სულისაგან შედგებოდა და ჰქონდა 18 ქცევა სახნავ-სათესი მიწა და ვენახი, იხდიდა 1 მანეთს, ხოლო ბეგარის ფულადი ღირებულება 15 მანეთს შეადგენდა. გარდა ამისა, მას უნდა გადაეხადა: 1 ცხვარი, 3 ღორი, 8 ქათამი, 18 ბათმანი ღომი და 24 ჩაფი ღვინო. ვალდებულე-

ბათა ყველა სახე, ფულში გამოხატული, 26 მანეთსა და 60 კაპიკს უდრიდა. იმავე სოფლის მეორე გლეხის — მარკოზ უგლავას ბეგარის ღირებულება 24 მანეთი და 40 კაპ. იყო. სულ სოფელში მცხოვრები 12 კომლი გლეხი, რომელთაც 184 ქცევა სახნავ-სათესი და ვენახი ჰქონდა, იხდიდა 291 მანეთსა და 65 კაპიკს[82].

როდესაც თ. რუსანოვი დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ქონების აღწერას შეუდგა, მთავარეპისკოპოსმა ანტონმა (ჩიჯავაძე) თავი მოიავადმყოფა. ეგზარქოსმა არქიმანდრიტ ნიკოლოზს დაავალა დახმარება აღმოეჩინა სპეციალურად წარგზავნილი მოხელეებისათვის აღწერის საქმეში. ამ პერიოდში აღწერა დაწყებული იყო საქართველოს სხვა რაიონებშიც. ეგზარქოსის მოხელეები ყველგან დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ. ქუთაისისა და შორაპნის მაზრების თავადაზნაურობამ წერილით მიმართა პოლკოვნიკ გიორგი წულუკიძეს და სხვა წულუკიძეებს, იაშვილს, ჯაფარიძეს და სხვებს, არ დაეშვათ ეგზარქოსის მოხელეები დავალების შესასრულებლად[83].

როდესაც თ. რუსანოვის მიერ გაგზავნილი პირები ვაკე იმერეთის საეკლესიო ქონების აღწერას შეუდგნენ, მემამულეთა ერთი ჯგუფი შეიკრიბა ხონში, ოლქის უფროსის, მაიორ ოსტროუხოვის ბინაზე და შეეცადა ეს საკითხი მშვიდობიანად მოეგვარებინა. რადგან აღწერა მათ ინტერესებსაც შეეხებოდა, თავადაზნაურობას, რომელთა შორის იყვნენ ლევან წულუკიძე, დავით ლორთქიფანიძე, ჯაბულო და ქაიხოსრო მიქელაძეები და სხვები, სურდათ მოლაპარაკებით შეეწყვიტათ საეკლესიო რეფორმის გატარება. მოძრაობას ჯერ კიდევ არ ჰქონდა ფართო ხასიათი მიღებული, გლეხები ჯერ კიდევ არ იყვნენ მასში ჩაბმული. ვაკის მაზრის თავადაზნაურობის ეს სუსტი ცდა უშედეგოდ დამთავრდა. მალე დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი აჯანყების ცეცხლში გაეხვია.

1819-1820 წლების აჯანყების ერთ-ერთ ძირითად კერას ვაკის მაზრა და თვით ხონი წარმოადგენდა. არქიეპისკოპოსმა ანტონმა, რომელმაც თავდაპირველად თავი მოიავადმყო-

---

[82] Н. Махарадзе, Восстание в Имеретии 1819-1820 гг., УЭРЖ, 1942, ნაკ. 3, გვ. 38.

[83] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 488, აღწ. 1, საქ. 365, ფურც. 5, 69.

ფა, რათა არ შეესრულებინა ბრძანება საეკლესიო ქონების აღწერის შესახებ, ხონიდან გააძევა ეგზარქოსის წარმომადგენელი, არქიმანდრიტი ნიკოლოზი. აჯანყების მონაწილეთა სიაში, რომელიც 1819 წლის 8 სექტემბერს შეადგინა გენერალმა სისოევმა, არქიეპისკოპოს ანტონის შესახებ ნათქვამია: „... ის იყო გაკის ოლქში ხალხის თავშეყრის პირველი მიზეზი. მან უარი უთხრა, უფრო ზუსტად, ხონიდან გააძევა ხონის ეპარქიის მმართველი არქიმანდრიტი ნიკოლოზი, იმის გამო, რომ იგი ასრულებდა ეგზარქოსის დავალებას ხონის ეპარქიის აღწერის საქმეში“[84].

უკანასკნელი ხონელი მთავარეპისკოპოსი ანტონ ჩიჯავაძე საინტერესო პიროვნება იყო. იგი ამ თანამდებობაზე აკურთხა სოლომონ პირველის ძმამ, აფხაზეთ-იმერეთის კათოლიკოსმა იოსებმა. მაგრამ ბევრი მისი უცნაური ჩვეულების გამო, ანტონსა და სოლომონ პირველს შორის უთანხმოება მოხდა. მეფის შენიშვნაზე „განმარტოს მისი განსაკვირვებელი ცხოვრება“, მთავარეპისკოპოსმა კადნიერად უპასუხა: „მეფეო, თქვენ არ გეხელწიფების შეხვიდეთ მსჯელობასა შინა ჩემი ცხოვრებისასა“. მაშინ სოლომონ პირველმა გაათავისუფლა იგი ხონის ეკლესიის მღვდელმთავრის თანამდებობიდან. ანტონი თბილისში წავიდა ერეკლე მეორესთან, რომელმაც იგი დიდი პატივისცემით მიიღო. ანტონი თბილისში დარჩა სოლომონ პირველის გარდაცვალებამდე. სოლომონ მეორემ, ერეკლეს თხოვნით, იგი იმერეთში დააბრუნა და კვლავ ხონის ეპარქიის სათავეში დააყენა. იგი 1819-1820 წლების აჯანყების ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი იყო[85].

აჯანყებამ საეკლესიო რეფორმის წინააღმდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი, სახალხო ხასიათი მიიღო. მასში აქტიურად მონაწილეობდა ხონის მოსახლეობაც.

ცარიზმმა აჯანყება ჩააქრო. აჯანყების მონაწილენი, მათ შორის მთავარეპისკოპოსი ანტონიც, მკაცრად დასაჯეს (საეჭვოდ ჩანს მისი გარდაცვალება 1822 წელს). 1821 წ. 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით ხონის ეპარქია გააუქმეს.

**XIX** საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში, ფრანგი მოგზაურის გამბას მიხედვით, ხონში 250-მდე მოსახლე ცხოვ-

---

[84] ნ. მახარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 145.

[85] საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტი, H-2784, ცხოვრება ქუთაისის ღუბერნიასა შინა მყოფის აწ გარდაცვალებულის ყდ სამღვდელო ხონელ მთავარეპისკოპოს ანტონისა.

რობდა[86]. ამ პერიოდში ხონელებს სიმინდის, ფეტვის, თამბაქოსა და ბამბის კარგი მოსავალი მოჰყავდათ, რასაც ხელს უწყობდა ადგილობრივი ნიადაგის ნაყოფიერებაც. ნატურალური მეურნეობის წიაღში, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ჩასახვასთან ერთად, ფართოვდება ხონის ბაზრის სამოქმედო არეც. მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ.

როდესაც ფეოდალური ხონის შესახებ ვლაპარაკობთ, შეუძლებელია, ორიოდე სიტყვა არ ვთქვათ „გიორგობის“ შესახებ.

ხონის საეკლესიო დღესასწაულს „გიორგობა“ — წმიდა გიორგის დღე — 23 აპრილი წარმოადგენდა. როგორც ცნობილი პუბლიცისტი ილია ხონელი წერდა, ქვემო იმერელის გაგებით, ეს იყო უდიდესი დღესასწაული, რომელსაც არაფერი შეედრებოდა მთელს მსოფლიოში[87]. 23 აპრილს ხონში მთელი იმერეთის მოსახლეობა იკრიბებოდა. ამ უძველესი რელიგიური დღესასწაულის ტრადიციები XIX საუკუნის ბოლომდე შემოინახა. 1846 წელს „გიორგობას“ დაესწრო რუსი მოგზაური ა. მურავიოვი და დღესასწაულის გრანდიოზულობით აღფრთოვანებულმა მისი საინტერესო აღწერა დაგვიტოვა. „გიორგობა“ არა მარტო საეკლესიო დღესასწაული იყო, არამედ მას თან ახლდა მრავალფეროვანი სანახაობანი: სპორტული ასპარეზობა — ბურთაობა, მარულა, ჯირითი, ხალხური თვითშემოქმედების დემონსტრაციაც.

ხონში გავრცელებული თქმულების მიხედვით, ძველად, „გიორგობის“ დღესასწაულის წინაღამის სიჩუმეში, მაშინ როდესაც ჯერ კიდევ ყველას ეძინა, ხონის ეკლესიის გალავანს მოადგებოდა არაჩვეულებრივი სილამაზის შეიარაღებული მხედარი. მას ერთ ხელში მახვილი ეჭირა, ხოლო მეორეში — ალმასისრქებიანი ხარი. გალავანთან მხედარი ცხენიდანი ჩამოხტებოდა და ეკლესიისაკენ პირმიქცეული გულმხურვალედ ლოცულობდა ხონელებისათვის. ეს იყო წმიდა გიორგი. ლოცვის დამთავრების შემდეგ, იგი ხმლის ერთი დაკვრით ხარს თავს გააგდებინებდა, ალმასის რქები ეკლესიას რჩებოდა, ხოლო ხორცს ხალხი ინაწილებდა. წმიდა გიორგი უჩინარდებოდა. ხარის ხორცი ხონელებს ყოველგვარი ავადმყოფობისაგან კურნავდა და მათ ხანგრძლივ სიცოცხლეს უზრუნველყოფდა.

---

[86] გამბა, დასახ. ნაშრომი, გვ7 147.

[87] Ил. Хонели, Хонская Георгоба -" Кавказ", 1894, N 114.

ერთხელ, როდესაც წმიდა გიორგი ასეთი ლოცვით იყო გართული, მას მიუახლოვდა ცნობისმოყვარე მონაზონი ქალი. ეს შეამჩნია წმინდანმა, გაბრაზდა, სამუდამოდ მიატოვა ხონელები, თავხედი მონაზონი ქვად აქცია[88].

არსებობს ამ თქმულების სხვა ვარიანტებიც. ერთ-ერთი მათგანი ჩაწერილი აქვს ვარლამ შავდიას. წმიდა გიორგი ქრისტეს რჯულის აღიარებისათვის, იმპერატორ დიოკლიტიანეს ბრძანებით, წამებით მოკლეს. ქრისტიანებმა მისი გვამი მონახეს და 365 ნაწილად გაჰყვეს. მარჯვენა ხელი შეხვდა ილორის წმ. გიორგის ეკლესიას, ხოლო მარცხენა – ხონის ეკლესიას. ამის შემდეგ ამ ორ ტაძარს შორის სულიერი კავშირი დამყარდა. 22 აპრილს, ე. ი. „გიორგობის" წინა დღეს, ილორის წმიდა გიორგი ხონის ეკლესიას უგზავნიდა რქამოჭედილ ხარს, რომელსა" ეკლესიის მსახურნი დაიჭერდნენ, დაკლავდნენ და დღესასწაულზე ხალხს ურიგებდნენ. ერთხელ ხარმა დაიგვიანა. იგი იმ დროს მოვიდა, როდესაც ცისკარი გამოსული იყო და ხალხი დაშლილი. დარჩენილიყო მხოლოდ ერთი მონაზონი. ბურუსიანი დილის გამო ხარმა მონაზონი ვერ გაარჩია, დაფრთხა და რქა მოუქნია. თავის მხრივ, შეშინებულმა მონაზონმა წამოიძახა: „უი, დასწყევლოს ღმერთმა, ეს რა არისო". განრისხებულმა წმიდა გიორგიმ ასე დაწყევლა მონაზონი: „შენი ჯვარი დაბაში არც მოშენდეს და არც გადაშენდესო". მონაზონი იქვე ქვად იქცა. ამის შემდეგ ილორიდან ხარი აღარ მოსულა[89].

ჩვენი აზრით, ამ თქმულებებში წმიდა გიორგისადმი ხარის შეწირვის ტრადიციასთან გვაქვს საქმე. ამ მხრივ საყურადღებოა თქმულების მეორე ვარიანტი, რომელიც ხონისა და ილორის, დასავლეთ საქართველოს ამ ორი მნიშვნელოვანი საეკლესიო ცენტრის, ურთიერთობას ეხება. XVI-XVIII საუკუნეებში ხონში და მის მახლობელ სოფლებში ილორის ეკლესიისადმი შეწირული რამდენიმე გლეხი ცხოვრობდა[90]. 1792 წელს შედგენილი ერთი საბუთის მიხედვით ხონში 16 მოსახლე ჭავჭიანიძე და კუხში – 6 მოსახლე კაკაბაძე,

---

[88]ილ. ხონელი, იქვე.

[89]დაბა ხონი (მასალა ვ. შავდიასი), აკაკის კრებული, 1898, № 7, განყ. 3, გვ. 36-44.

[90]ქუთაისის ისტორიული მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, საბ. № 127, 129, 187.

ძველთაგანვე იმერეთის მეფეების მიერ ილორის წმიდა გიორგისათვის ყოფილან შეწირული[91]. სავარაუდოა, რომ ხონის ეკლესიასაც ყავდა ილორში ყმები. მათ ვალდებულებას, ალბათ, შეადგენდა „გიორგობის" დღესასწაულზე ხარი შეეწირათ ხონის წმ. გიორგის ეკლესიისათვის. და ეს ისტორიული ფაქტი თქმულების სახით მოვიდა ჩვენამდე.

გიორგობის დღესასწაული შუადამიდან იწყებოდა. ამ დღეს ყოველი ხონელის ოჯახში სტუმარი იყო ან მოელოდა მას. სტუმრები ჩამოდიოდნენ ყოველი მხრიდან. „ქუთაისის ყველა საპატიო მოქალაქე წმიდა გიორგის დღესასწაულზე მიიჩქაროდა ხონში" -ო, – წერდა ა. მურავიოვი. ადრე ხონის „გიორგობას" ხშირად ესწრებოდნენ იმერეთის მეფეები. ცნობილია, რომ სოლომონ პირველი უეცრად გარდაიცვალა, როცა იგი ხონის გიორგობის დღესასწაულზე გამგზავრებას აპირებდა. ნიკო დადიანი წერდა: „... ამავე წელს (1784 წ.), თვესა აპრილს კგ (23), დღესასწაულსა წმინდისა გიორგისასა ჩვეულებათ აქვსთ შეკრება ხონს დღესასწაულობად. მაშინ მეფემან მოიწადა ქუთაისით მუნ წამოსვლა შექცევად, და დილას რა აღემზადა, მოგვარეს ცხენი შესაჯდომად, მაშინ ანაზდად მოულოდებელითა სიკვდილითა გარდაიცვალა წელსა ქრისტესით 1784..."[92].

სადღესასწაულო ასპარეზობისთვის გაცხოველებით ემზადებოდა ახალგაზრდობა. დიდი ხნით ადრე შეარჩევდნენ ცხენებს, წესრიგში მოჰყავდათ ჯირითისა და მარულისათვის საჭირო ინვენტარი. დიდ გაწამაწიაში იყვნენ ბურთის თამაშის მოყვარულნი. მართალია, ხონში ბურთს თითქმის ყოველ კვირა დღეს თამაშობდნენ, მაგრამ გიორგობისათვის განსაკუთრებული ბურთი უნდა შეკერილიყო. იყვნენ ბურთის სპეციალურად მკერავები, მაგრამ გიორგობის ბურთის შეკერვა გარკვეული პრივილეგია იყო. საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის გიორგი ბახტაძის გადმოცემით, საგიორგობო ბურთი მდივნების დაკვეთით უნდა შეკერილიყო წითელი ხარის ტყავისაგან, ზომით დიდი გლობუსის ოდენა. როდესაც გიორგობის ბურთი მზად იყო, მას ბაზრის მოედანზე, ფარდულში გამოდებდნენ, რათა ყველას და, პირ-

---

[91] იქვე, საბ. № 133.

[92] ნიკო დადიანი, ქართველთ ცხოვრება, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ., 1962, გვ. 181.

ველ რიგში, ბურთის მოთამაშეებს ენახათ და მოეწონებიათ იგი. გიორგობამდე ორი დღით ადრე ბურთი მღვდელს სახლში ეგზავნებოდა. 23 აპრილს მას ბურთი ეკლესიაში მოჰქონდა. აი, როგორ აღწერდა გიორგობის დღესასწაულს ა. მურავიოვი: საეკლესიო მსახურების დამთავრების შემდეგ, საუკუნოვანი ცაცხვებით დაჩრდილულ ვრცელ მინდორზე წმინდა გიორგის სატაძრო ხატი გამოიტანეს, რათა პარაკლისში შეკრებილ ხალხსაც მიეღო მონაწილეობა. სამღვდელოების ახლოს იმერეთის საპატიო თავადები შეგროვდნენ. ხალხი ღრმა მდუმარებით იდგა და მხოლოდ პარაკლისის დამთავრების შემდეგ გაისმა გასროლა. ეს იყო ნიშანი. დაიწყო უხსოვარ დროიდან შეუცვლელი და ეკლესიის მიერ თითქოს ნაკურთხი თამაშობანი.

სასულიერო პირებმა ტაძრიდან უზარმაზარი ბურთი გამოიტანეს და გადაისროლეს ხალხში, რომელიც ორ ნაწილად გაიყო. თითოეულს სურდა თავისკენ წაეღო ბურთი. ერთ მხარეზე იყვნენ იმერეთის უხუცესი თავადის — სეხნია წულუკიძის მემკვიდრეები, ხოლო მათ მოწინააღმდეგეებად გამოდიოდნენ იმერეთის სხვა თავადები. ოთხმოცდაათი წლის სეხნია, თავისიანებით გარშემორტყმული ხის ჩრდილში იჯდა და ახალგაზრდებს ამხნევებდა. თამაშის დროს დამარცხებას თუ გამარჯვებას, ხალხის რწმენით, სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა, და იგი მთელი წლის მანძილზე ბედნიერების ან უბედურების მაუწყებელი იყო. როდესაც მოთამაშეებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა, საეკლესიო პირებმა ბურთი ეკლესიაში შეიტანეს და მოწინააღმდეგეებიც დაშოშმინდნენ.

პატარა ჯიხაიში მცხოვრებ გრიგოლ ღოღობერიძის გადმოცემის მიხედვით, ბურთაობის დაწყებამდე ეკლესიიდან გამოასვენებდნენ წმინდა გიორგის ხატს. მას წინ დროშით მოუძღოდნენ ჭანტურიშვილები. ბურთი მოჰქონდათ თავად წულუკიძეებს. მათ მხარდამხარ მოჰყვებოდნენ ღოღობერიძეები. დადგებოდნენ დიდი ცაცხვის ძირში, გადაიხდიდნენ პარაკლისს და შემდეგ იწყებოდა ბურთაობა. ბურთის პირველად გაგორების უფლება მხოლოდ ღოღობერიძეთა გვარს ჰქონდა, შემდეგ შეიძლებოდა თამაშში სხვები ჩარეულიყვნენ[93].

ბურთის თამაშის შემდეგ იწყებოდა დოღი — ცხენების

---

[93] ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დას. საქართველოს..., გვ. 34.

ჭენება. ა. მურავიოვი აღტაცებაში მოუყვანია იმერლების გარეგნობასა და ჩაცმულობას. საჭიროა ნახო იმერლის მოხდენილი ჩაცმულობა, – წერდა იგი, – რომ გაიგო ამ ასპარეზობის მთელი სიმშვენიერეო. ცხენთა ჭენებას მოჰყვებოდა ნიშანში სროლა და ცეკვა-თამაში. მხიარულება და დროსტარება, რაც დღის ბოლომდე გრძელდებოდა, ამ დღესასწაულის უძველეს დროიდან დამკვიდრებული თამაშობანი, დ. ბაქრაძის აზრით, წმინდა ეროვნულ ანაბეჭდს ატარებდა[94].

ილია ხონელი მიუთითებდა, რომ დღესასწაულთან დაკავშირებულ ბურთის თამაშსა და ასპარეზობას მარტო გართობითი ან სანახაობითი დანიშნულება როდი ჰქონდა. ეს იყო, აგრეთვე, ერთგვარი სამხედრო ვარჯიში, სამხედრო აღლუმი, რომელზედაც იმერეთის მეფეები გარეშე მტრების წინააღმდეგ ხალხის მზადყოფნას ამოწმებდნენ[95].

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარებასთან ერთად, იმერეთში, და თვით ხონშიც, თანდათან დაივიწყეს ეს მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის მქონე დღესასწაული. გაზეთი „კვალი“ 1899 წელს წერდა: „... ბურთაობა ხონელების მოგონებულიაო – იტყვიან და ახლა თვით ხონში დათხოვიან. ასე გაშინჯეთ, გიორგობის დღესასწაულიც კი ბულვარში სეირნობით და მუსიკის სმენით (სამხედრო ორკესტრი უკრავდა) გაატარეს“[96].

---

[94] Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства..., с. 159.

[95] Дубровин Н., История войны и владычества русских на Кавказе, т. I, кн. 2-ая, с. 237.

[96] „კვალი“, 1899, № 18, გვ. 287-290.

# ირაკლი აბაშიძე

## ბურთი

### ძველი იმერეთი

გიორგობა დღეს გავარდა ბურთი,
გაჰკრეს და გასცდა საყდრის გალავანს,
გაუდგა გზებში გუნდი და გუნდი,
მიჰყვნენ და სცემდნენ დაუღალავად.

ზეცაში კუპრი ავარდა ბევრი,
ბოლი და ბუღი დადგა ყურუმი,
მოიჭრნენ ბარში მთიული 'მდევნი
ბაშლიყით რუხად პირდახურულნი.

ზეცაში ბურთი ბრუნავდა კენტი,
ჰაერში ფრენდა კენტი ზმანება;
პირაქეთ ფიცხი ბარელი სცემდა,
პირიქით ზანტმა გაჰკრეს სვანებმა.

ჭალაზე შეჰკრეს ბურთი და მაშინ
დატოვეს ქუდზე დაბა კაცებმა:
— როგორ იქნება ბარისთვის მთაში
დაკარგვა ბურთის და გატაცება

მგელივით მკლავში ჩაბღუჯა სვანმა
მთების სიმძიმით და სიმკაცრეთი
და, როგორც ჯოგნი მდინარეს სვამენ,
თავს დაეხვივნენ ბარის კაცები.

გორაზე დადგნენ მდევრები ჩქარი,
დახურეს, შეჰკრეს ყველა ბილიკი
სცემდა პირაქეთ დამხვდური ჯარი,
იტყორცნებოდა ბურთი პირიქით.

ველზე გაიგდეს მთების ვერძებმა
წყალზე მცურავებს ამცნეს წინარე:
— მოგვაქვს, ან გახდით თევზის კერძებად,
ან გაიტანეთ ბურთი მდინარეს.

გაღმა მეგრელი გლეჯდა ლაგამებს
ცხენს და უშენდა, სცემდა თვალებში:
ხელში ჩამიგდეს ბურთი, ვაჰა-მე,
ეძებონ შემდეგ ნაოლალევში.

ვაჰა, წაიღეს, — ბარის ლაფდასხმა,
ისევ მექოთნე სვანმა ინება,
მდევრად გაჰქუსლა ქოსა ხარაზმა,
დადგა ზარი და ლანძღვა-გინება.

მდევრებს გადუჭრეს გზები სვანებმა,
მიჰყვნენ წინაპრის ნახმარ მაგალითს,
უკან კივილი, უკან ბრძანება:
— კანჭი ვისა გაქვთ მაგართ-მაგარი!

და ჰა, უყელეს ბარის ქორებმა,
შეჰკრეს, შებოჭეს მთების ქორები,
უკან მოიგდო ბურთი მორევმა,
დიბას დაბრუნდა განმეორებით.

დადგნენ, იხარეს — როგორ გადარჩნენ,
კილვას, ლაფსა და მაგარ მოცილეს;
ბარის ქალებმა დაჰკრეს ქამანჩებს
გზებში ხვდებოდნენ ძლევამოსილებს.

სვანეთს შეთვალა ქოსა ხარაზმა:
მდევნი არა ვართ აქაც ცოტანი,
ისე დავაგდეთ, მგონი ახალი
ველარ გამოსწვას სვანმა ქოთანი.

შარვლებს ქალები ახლად ჰკერავდნენ
გმირებს ჩააცვეს ახალ-ახლები,
ნაგლეჯ-ნახევი შერჩათ პერანგებს,
გზებზე ეყარა ჩაბალახები.

---

ერთტომეული, თბ., 1981, გვ. 321-329.

# თავი მეორე

## ხონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა კაპიტალისტურ ხანაში

### 1. საგლეხო რეფორმა და ხონის რაიონი

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან საქართველოში მიმდინარეობდა ნატურალური მეურნეობის რღვევისა და კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩასახვის პროცესი. მართალია, ფეოდალურ-ბატონყმური მეურნეობა ჯერ კიდევ ინარჩუნებდა გაბატონებულ მდგომარეობას, მაგრამ მის წიაღში განუხრელად იზრდებოდა სასაქონლო-ფულადი წარმოება. რუსეთის ცარიზმის ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის ძირითად მიზანს შეადგენდა საქართველოს გადაქცევა ნედლეულის მიმწოდებელ და სამრეწველო პროდუქციის გამსაღებელ ქვეყნად, დასაშვებად თვლიდა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ხელის შეწყობას[1]. ამიტომ იყო, რომ მთავრობასა და საქმიან წრეებში ხშირად ისმებოდა საკითხი იარმარკებისა და ახალი ბაზრების, სანიმუშო მეურნეობათა მოწყობის, ტექნიკური კულტურების დანერგვის, სამიმოსვლო გზების გაუმჯობესების და სხვათა შესახებ. 1836 წელს ამიერკავკასიაში სპეციალურად მოვლინებულმა ფინანსთა სამინისტროს თანამშრომელმა მთავრობისადმი წარდგენილ მოხსენებაში ხაზი გაუსვა დასავლეთ საქართველოში ახალი იარმარკების დაარსების საჭიროებას, რაც ადგილობრივ მოსახლეობას საშუალებას მისცემდა ადვილად გაესაღებია პროდუქცია თავისი მეურნეობისა, რომელიც სულ უფრო და უფრო სასაქონლო ხდებოდა[2]. წარმოიშობოდა ე. წ. სანიმუშო ანუ კაპიტალისტური მეურნეობანი, რომლებშიაც ძირითადად დაქირავებული შრომა გამოიყენებოდა. 50-60-იან წლებში ქვემო იმერეთში ასეთი მეურნეობანი ჰქონდათ ძმებს ანანოვებს — გარციხეში, თავად ჩიჯავაძეს — ხონის მახლობელ სოფელში საბეკაში და სხვებს. ისინი დასავლეთ ევროპიდან და ამერიკიდან იწერდნენ მარცვლეულის, ტექნიკური

---

[1] დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1957, გვ. 327.

[2] აქტები..., ტ. VII, გვ. 181.

კულტურებისა და პირუტყვის გაუმჯობესებულ ჯიშებს, ფართოდ იყენებდნენ სასოფლო-სამეურნეო მანქანებს და აგრონომიულ მეცნიერებათა მოწინავე მეთოდებს. ეს ხელს უწყობდა მოსავლის მნიშვნელოვან ზრდას, ახალი ჯიშების დანერგვასა და გავრცელებას. თავადი ჩიჯავაძე ხშირად მონაწილეობდა რუსეთისა და მსოფლიო მასშტაბით მოწყობილ სასოფლო-სამეურნეო გამოფენებში და ყოველთვის მაღალ ჯილდოებს იმსახურებდა.

რუსი ფაბრიკანტების დაჟინებითი მოთხოვნების საპასუხოდ, კავკასიის ადმინისტრაცია ენერგიულად უწყობდა ხელს მებამბეობის, მეთამბაქოეობის და მეაბრეშუმეობის განვითარებას. ხონში და მის მახლობლად მდებარე სოფლებში ყოველწლიურად იზრდებოდა თამბაქოსა და ბამბის ნათესების ფართობი. ამასთან დაკავშირებით 1850 წელს ხონში, სპეციალურად თამბაქოს რეალიზაციისათვის, დაარსდა იარმარკა[3]. ბაზრობა იწყებოდა 25 ოქტომბერს და რამდენიმე დღე გრძელდებოდა. ამ ბაზრობაზე, გ. პერევალენკოს ცნობით, თამბაქოსთან ერთად სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები და შინანაწარმიც იყიდებოდა[4]. საერთოდ კი, XIX საუკუნის 30-იან წლებში, კავკასიის მთაავარმართებლის ბარონ როზენის ერთ-ერთი მოხსენებითი ბარათის მიხედვით, ვაჭრობის განვითარების დონით ხონი არაფრით არ ჩამოუვარდებოდა ქუთაისს[5]. ხონის ყოველკვირეული ბაზრობის — პარასკეობის წლიური ბრუნვა, მაგალითად 1848 წლისათვის, 4-5 ათას ვერცხლის მანეთს შეადგენდა[6].

ხონში ჩამოსვლას იწყებენ რუსი და უცხოელი საქმოსნები, რომლებმაც XIX საუკუნის 50-იან წლებში რამდენიმე მანუფაქტურა დააარსეს დასავლეთ საქართველოში (როზმორდიუკმა — ზუგდიდში, დეფურემ — ქუთაისში, რაიკომ — სოფელ მარანში, გოხშტრაზერმა და კომპ. — ორპირში და სხვ.). ძაფსაღები მანუფაქტურა ჰქონდა, აგრეთვე, სოფელ საბეკაში თავად ჩიჯავაძეს. აბრეშუმის ძაფსაღები „ფაბრი-

---

[3] П. Гугушвили, Табаководство в Грузии и Закавказье 1801-1920 гг., ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. 11, თბ., 1959, გვ. 162; დ. გოგოლაძე, კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში, თბ., 1959, გვ. 29.

[4] „Кавказ", 1854, № 37.

[5] აქტები, ტ. VIII, გვ. 188.

[6] სცსა, ფ. 58, საქ. 227, ფურც. 25-26.

კების" წარმოშობამ პარკზე მოთხოვნილება გაზარდა, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო მეაბრეშუმეობის განვითარებას. მეაბრეშუმეობა ხონის მოსახლეობის ერთ-ერთ ძირითად სამეურნეო საქმიანობას შეადგენდა, ხოლო მისი ბაზარი ცნობილი გახდა თავისი აბრეშუმის ნაწარმით საქართველოს და კავკასიის ფარგლებს გარეთაც კი.

ბატონყმური მეურნეობის პირობებში კაპიტალისტურ წამოწყებათა წარმატებას, ძირითადად, ხელს უშლიდა კაპიტალის სიმცირე და თავისუფალი მუშა-ხელის ნაკლებობა. „თავისუფლად დაქირავებული მუშათა კლასი, ამჟამად, ისე საჭიროა მხარისათვის, რომ ამიერკავკასიაში მისი ნაკლებობა არის ბევრ ახალ წამოწყებათა მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზი"[7], — წერდა 1863 წელს კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ერთი თანამშრომელი.

ნატურალური მეურნეობის რღვევისა და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ჩასახვის პერიოდში „დაქირავებულ მუშათა" ძირითად მასას შეადგენდნენ „საშოვარზე გაშვებული" ყმა-გლეხები. თავდაპირველად მიწათმოქმედებისაგან გლეხის ჩამოცილება ხანმოკლე ვადით ხდებოდა. მებატონის მიერ გაშვებული გლეხი ღებულობდა სათანადო საბუთს „დათხოვების ფურცელს", რომელშიაც განსაზღვრული იყო უკან დაბრუნების ვადა. XIX ს. 30-იან წლებში ვაკის მაზრიდან, კერძოდ ხონიდან, საშოვარზე გაშვებულ გლეხთა „დათხოვების ფურცლებიდან" ირკვევა, რომ „განთავისუფლების" ვადა ერთ წელს არ აღემატებოდა, უმეტეს შემთხვევაში, ერთიდან ოთხ თვეს შეადგენდა[8].ხონიდან საშოვარზე წასულ გლეხთა შორის არიან როგორც საეკლესიო, ასევე საბატონო ყმები. გაშვების მიზეზად დასახელებულია სამუშაოდ და სავაჭროდ წასვლა. 1832 წელს შედგენილ „დათხოვების" ერთ-ერთ ფურცელში ვკითხულობთ: „ვაკის მაზრის, სამოურაოს შინა ჩემსა, მცხოვრები სოფელ ხონს, საეკლესიო ყმა ბასილა ბახტაძე გაშვებულ არს საქართველოსა შინა (იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველო, — პ. გ.) ერთის წლის ვადით სამუშაოთ". საბუთს ხელს აწერს მოურავი, პრაპორშჩიკი ლევან ღოღობერიძე, ხოლო

---

[7]Записки Кавказского общества сельского хозяйства (შემდეგში შემოკლებით ЗКОСХ), 1863, № 2, с. 71.

[8]ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, საბ. № 2087, 2089, 2093, 2094 და სხვ.

ხონის მეორე მცხოვრები „ყმა ბერიკა დავითის-ძე ჭავჭიანიძე გაშვებულ არს ტფილისს ქალაქსა შინა ერთი თვის ვადით"[9] და ა. შ. „საშოვარზე" გაშვებულ გლეხთა რაოდენობის განუხრელი ზრდა იმის მაჩვენებელია, რომ ბეგარა და ნატურალური ღალა თანდათან ფულადი გადასახადით იცვლება, რაც ბატონყმური მეურნეობის რღვევის დამახასიათებელი ნიშანია.

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებამ ყმაგლეხთა ექსპლოატაციის გაძლიერება და ამასთან დაკავშირებით სოციალურ ურთიერთობათა გამწვავება გამოიწვია. ზოგჯერ საქმე შეიარაღებულ გამოსვლებამდე მიდიოდა (როგორც, მაგალითად, 1841 წელს გურიაში და 1857 წელს სამეგრელოში). სოციალური ბრძოლის თავისებურ ფორმას საბატონო ყმა-გლეხების მიერ თავისუფლების ძიება და სახელმწიფო გლეხთა კატეგორიაში გადასვლისაკენ მისწრაფება წარმოადგენდა. თავისუფლების ძიებამ მასობრივი ხასიათი მიიღო XIX ს. 30-50-იან წლებში ფეოდალურ-მემამულური ჩაგვრის გაძლიერებასთან ერთად[10]. ქუთაისის მაზრის უფროსი 1841 წლის ანგარიშში აღნიშნავდა, რომ საჭიროა ენერგიული ზომების გატარება იმისათვის, რომ ბოლო მოეღოს, ერთი მხრივ, ყმა-გლეხთა უამრავ საჩივრებს მებატონეებზე უკანონო მფლობელობისა და ფეოდალურ ვალდებულებათა თვითნებურად გადიდების შესახებ და, მეორე მხრივ, მემამულეთა საჩივრებს ყმა-გლეხებზე წინააღმდეგობის გაწევისა და ბეგარა-ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო[11]. ზოგჯერ თავისუფლების ძიებას თან ახლდა ყმა-გლეხთა შეიარაღებული გამოსვლა, როგორც, მაგალითად, ამას ადგილი ჰქონდა 1851 წელს ხონის საპოლიციო უბნის სოფელ ქუტირში.

ჯერ კიდევ 1849 წელს ქუტირში მცხოვრებმა ყმა-გლეხებმა რუხაძეებმა საჩივარი აღძრეს წულუკიძეებზე. ისინი მოითხოვდნენ მათგან განთავისუფლებას და სახელმწიფო-სახაზინო გლეხთა კატეგორიაში ჩარიცხვას. ამ საქმეს ხელმძღვანელობდა სოფლის მიერ არჩეული რწმუნებული სესი-

---

[9] იქვე, № 2097.

[10] დაწვრილებით ამის შესახებ იხ. И. Антелава, Государственные крестьяне Грузии в I половине XIX в. до крестьянской реформы 1864 г., Сухуми, 1955, с. 80-154.

[11] სცსა, ფ. 58, აღწ. 1, საქ. 51, ფურც. 39-48.

ელა რუხაძე. ქუთაისის გუბერნატორის გაგარინისა და ამიერკავკასიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის ბებუთოვის მიერ კავკასიის მეფისნაცვლისადმი წარდგენილ მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა შემდეგი[12]: 1851 წლის მარტში ქუთაისში გუბერნატორთან ჩამოვიდნენ თავისუფლების მაძიებელი გლეხები და განაცხადეს, რომ საგუბერნიო სასამართლო მალავს სენატის გადაწყვეტილებას წულუკიძეების მფლობელობიდან მათი განთავისუფლების შესახებ. გუბერნატორმა გლეხები დაარწმუნა, რომ ასეთი საბუთი სასამართლოში არ ინახება და ისინიც უკან გაბრუნდნენ. მაგრამ მეორე დღეს ეს გლეხები კვლავ ჩამოვიდნენ ქუთაისში და გუბერნატორს განუცხადეს, რომ არ ენდობიან საგუბერნიო სასამართლოს. გაგარინმა მკაცრად გააფრთხილა რუხაძეები, და პირველ რიგში მათი რწმუნებული, — მომავალში აღარ გაებედათ ამ საკითხზე გუბერნატორთან მისვლა. ქუტირელ გლეხებზე ამან არ იმოქმედა. 15 აპრილს ისინი, შეიარაღებულნი კეტებით, ნაჯახებით, თოფებით, ხანჯლებით და ვისაც რა შეეძლო, კვლავ ჩამოვიდნენ ქუთაისში და საგუბერნიო სასამართლოსაგან სენატის გადაწყვეტილების განხორციელება მოითხოვეს.

შეიარაღებულ გლეხებს წინ მოუძღოდა ცხენზე ამხედრებული სესიელა რუხაძე. გუბერნატორი ქუთაისში არ იყო. უკან გაბრუნებულ გლეხებს შემოხვდათ მაზრის უფროსი, მაიორი ვასილიევი. როდესაც მან გლეხთა შეკრების მიზეზი იკითხა, პასუხი ცხენზე მჯდარმა სესიელა რუხაძემ გასცა. გაბრაზებულმა მაზრის უფროსმა მას ცხენიდან ჩამოხტომა უბრძანა. ნაცვლად ამისა, ს. რუხაძემ გლეხებს გადასძახა გაქცეულიყვნენ, ხოლო თვითონ სასწრაფოდ მიიმალა.

ქუთაისში დაბრუნებულ გუბერნატორს მოახსენეს 15 აპრილის ინციდენტის შესახებ. მან გადაწყვიტა, სამაგალითოდ დაესაჯა გლეხები: ყველა, ვინც შემჩნეული იქნებოდა მებატონისადმი ურჩობაში, დაეპატიმრებიათ და სოფლის ყრილობაზე გაეროზგათ; ხოლო ისინი, ვინც, მიუხედავად გაფრთხილებისა, ქუთაისში რამდენჯერმე ჩამოვიდნენ, — რიგგარეშე გაეგზავნათ გზის სამუშაოებზე ორი თვით. სესიელა რუხაძე კი, როგორც მოთავე და ხელმძღვანელი, საჯაროდ გაეროზგათ და ორი წლით გაეგზავნათ პატიმართა ასეულში.

გუბერნატორმა ქუტირელი გლეხები ქუთაისში დაიბარა,

---

[12] იქვე, ფ. 3, საქ. 3398, ფურც. 1-20.

მაგრამ არავინ ჩამოვიდა. ქუტირში გაიგზავნა ხონის საპოლიციო უბნის უფროსი, თავადი ნიჟარაძე. მან ნახა, რომ კეტებით შეიარაღებულ გლეხებს თავი მოეყარათ ს. რუხაძის სახლთან. ამ უკანასკნელმა ნიჟარაძეს განუცხადა, რომ არ დამშვიდდებოდნენ და არ დაემორჩილებოდნენ მებატონეებს, სანამ წულუკიძის მფლობელობიდან არ გაათავისუფლებდნენ. როდესაც გლეხებს გამოუცხადეს, რომ გუბერნატორი მათ ქუთაისში იბარებდა, გადამალეს თავიანთი ქონება და საქონელი, შეიარაღდნენ, ხოლო გზებზე დარაჯები დააყენეს. სესიელა რუხაძე ბუკის ძახილით ხშირად უყრიდა თავს თანასოფლელებს და მოუწოდებდა მათ არ დანებებულიყვნენ.

შეშინებულმა წულუკიძეებმა სოფელი მიატოვეს და ქუთაისში გაიქცნენ. მათ მთავრობას მიმართეს დახმარებისათვის. გუბერნატორის ბრძანებით ხონში გაიგზავნა მაზრის უფროსი კაზაკთა ასეულით. მას დაევალა გლეხებთან მოლაპარაკება, ხოლო „ბუნტის“ მოთავენი შეეპყრო და ქუთაისში ჩაეყვანა. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში მაზრის უფროსს ნება დაერთო ძალა გამოეყენებინა.

ქუტირელმა გლეხებმა უარი განაცხადეს გუბერნატორთან გამოცხადებაზე, მაგრამ დათანხმდნენ ჩასულიყვნენ ხონში მაზრის უფროსთან მოსალაპარაკებლად. მათ ხონში წასვლის წინ ეკლესიაში ჯვარის წინაშე ერთმანეთს შეჰფიცეს, არ ეღალატათ საერთო საქმისათვის. ამის შემდეგ კეტებით შეიარაღებული დაახლოებით 200 გლეხი ხონში ჩავიდა. მაზრის უფროსის სიტყვის მოსმენის შემდეგ მათ ერთხმად განაცხადეს, რომ ისინი ჩარიცხული არიან ხაზინის განკარგულებაში და წულუკიძეებს აღარ დაემორჩილებიან.

გლეხები უკან დასაბრუნებლად ემზადებოდნენ, რომ მაზრის უფროსმა ბრძანება გასცა სესიელა რუხაძე შეეპყროთ. ამან გლეხთა საერთო აღშფოთება გამოიწვია. ისინი კეტებით დაერივნენ კაზაკებს და თავიანთ მეთაურს გარს შემოერტყნენ. შეტაკების დროს დაიჭრა ორი კაზაკი და სამი გლეხი, გაილახა რამდენიმე კაზაკი. მოხერხდა 40-მდე კაცის დაპატიმრება. სესიელა რუხაძე გაიქცა. ამის შემდეგ მაზრის უფროსი ქუტირში ჩავიდა და იქ „წესრიგი“ აღადგინა.

მეფისნაცვლის მ. ვორონცოვის განკარგულებით ს. რუხაძე და მისი თანასოფლელები სამხედრო სასამართლოში მისცეს, მაგრამ პოლიციამ ქუტირელ გლეხთა მეთაურის შეპყრობა ვერ მოახერხა. 1852 წლის მაისში ჟანდარმთა სამმარ-

თეელოს უფროსი ქუთაისის გუბერნატორს ატყობინებდა, რომ ს. რუხაძე რუსეთში გაიქცა და მისი ადგილსამყოფელი ჯერ კიდევ დადგენილი არ არისო[13].

ქუტირელ გლეხთა ცდა, შეემსუბუქებინათ თავიანთი მდგომარეობა მებატონეთა მფლობელობიდან გათავისუფლებისა და სახელმწიფო გლეხთა კატეგორიაში გადასვლის გზით, მარცხით დამთავრდა. მათ გაიბრძოლეს კიდეც, მაგრამ ამ გამოსვლას სტიქიური ხასიათი ჰქონდა, მას ფართო მასშტაბი არ მიუღია. გუბერნიის ხელისუფლებამ ერთი სოფლის გლეხობა ადვილად დაიმორჩილა — ორი კაზაკის დაჭრის ფასად. მაგრამ 1851 წლის ამბებს ქუტირში მაინც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა. მან ცხადყო, რომ ყმა-გლეხები აქაც მზად არიან, იარაღით ხელში იბრძოლონ მებატონეების წინააღმდეგ.

მემამულეებსა და ყმა-გლეხებს შორის გამწვავდა ურთიერთობა მიწით სარგებლობის საკითხთან დაკავშირებითაც. წულუკიძეები თითქმის 30 წლის მანძილზე ცდილობდნენ მიეთვისებიათ ხონსა და სოფელ ივანდიდში მცხოვრები 95 საეკლესიო გლეხის ის მიწები, რომლებიც უხსოვარი დროიდან ამ უკანასკნელთა მფლობელობაში იყო და მათი არსებობის ძირითად წყაროს შეადგენდა[14].

1857 წლის მარტში ქუთაისის საგუბერნიო სასამართლომ ეს საქმე წულუკიძეთა სასარგებლოდ გადაწყვიტა. გლეხებს წინადადება მიეცათ ან დაეტოვებინათ აღნიშნული მიწები, ანდა იჯარით აეღოთ იგი. მათ უარი განაცხადეს და წულუკიძეებს სენატში უჩივლეს. გადაწყვეტილების მიღებამდე გლეხებმა დაიწყეს მიწების დამუშავება და საძოვრებზე საქონლის გაშვება. ამასთან დაკავშირებით გლეხებსა და წულუკიძეებს შორის რამდენიმე სერიოზული შეტაკება მოხდა. წულუკიძეები გლეხებს ართმევდნენ სამიწათმოქმედო ინვენტარს, უფუჭებდნენ ნათესებს, უკლავდნენ პირუტყვს და სხვ., რამაც ამ უკანასკნელთა აღშფოთება გამოიწვია. მდგომარეობა გართულდა. საგუბერნიო ხელისუფლებამ ხონში მაზრის უფროსი გაგზავნა. გლეხებს დაუბრუნეს ჩამორთმეული ინვენტარი, ნება დართეს ესარგებლათ საძოვრებით და იჯარით აეღოთ წულუკიძეებისათვის მიკუთვნებული მიწები. ხონელი და ივანდიდელი გლეხები იძულებული გახდნენ

---

[13] იქვე, ფურც. 30.

[14] იქვე, ფ. 5, აღწ. 1, საქ. 30, ფურც. 1-35.

ამით დაკმაყოფილებულიყვნენ. მაგრამ ერთი კი ცხადი იყო — სადავო მიწების გარეშე გლეხებს არსებობა არ შეეძლოთ. სენატმა ეს გაითვალისწინა და ქუთაისის საგუბერნიო სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა.

ხონი და მისი რაიონი ყირიმის ომის დროს (1853-1856 წწ.) მტრის შემოსევის საფრთხის წინაშე დადგა. ცივის პოზიციებიდან რუსეთის ჯარის უკან დახევის შემდეგ, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ხონის მახლობლად ცხენისწყალზე გადასასვლელს. 1855 წლის ნოემბერში აქ განლაგებული იყო რეგულარული არმიის ხუთი ბატალიონი და იმერეთის მილიციის („მოხალისეთა") დიდი ნაწილი. ჯარისკაცთა საბრძოლო სულისკვეთების ამაღლების მიზნით ხონში ჩამოვიდა სამეგრელოს მმართველი ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანი. ხონში შეიკრიბა, აგრეთვე, იმერეთის თავადაზნაურობა თავიანთი რაზმებით. რუსეთის სარდლობასა და იმერეთის თავადაზნაურობას კარგად ესმოდათ, რომ მოწინააღმდეგის ცხენისწყალზე გადმოსვლა და ხონის დაკავება მტერს გზას გაუხსნიდა ქუთაისისაკენ, ხოლო ქუთაისის აღება, ფაქტობრივად, დასავლეთ საქართველოს დაპყრობას ნიშნავდა. მართალია, თურქები, ომერ-ფაშას მეთაურობით, სამეგრელოდან განდევნეს, მაგრამ ომის ბედი ყირიმის ფრონტმა გადაწყვიტა. ბატონყმურ-მემამულური რუსეთი დამარცხდა ბურჟუაზიული ინგლის-საფრანგეთის კოალიციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ყირიმის ომს შედეგად მოჰყვა სამეგრელოს გლეხთა დიდი ანტიფეოდალური აჯანყება 1856-1857 წლებში უტუ მიქავას მეთაურობით. მან დიდი ზეგავლენა მოახდინა ხონისა და მისი რაიონის გლეხობაზე. სწორედ 1857 წელს მოხდა რამდენიმე მწვავე შეტაკება ხონელ და ივანდიდელ ყმა-გლეხებსა და წულუკიძეებს შორის. ამავე წელს გლეხთა აჯანყებებს ადგილი ჰქონდა ქუთაისის მაზრის მთელ რიგ სოფლებში: ამაღლებაში, ბაღდადში და სხვაგან. ეს აჯანყებები მარცხით დამთავრდა, მაგრამ მათ ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ.

რუსეთის ცარიზმის დამარცხებამ ყირიმის ომში, გლეხთა ანტიფეოდალური მოძრაობის გაძლიერებამ, ნატურალური მეურნეობის რღვევისა და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების პირობებში, დღის წესრიგში დააყენა ბატონყმობის გაუქმების საკითხი.

1864-1871 წლებში საქართველოში საგლეხო რეფორმა გატარდა. მას ღრმა სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები მოჰყვა. აშენდა ფაბრიკა-ქარხნები, დაიწყო წიაღისეული სიმდიდრეების ექსპლოატაცია (ტყიბულის ქვანახშირი, ჭიათურის მარგანეცი და სხვ.), გაყვანილ იქნა რკინიგზები, რომლებმაც დააახლოვა და ერთ ეკონომიკურ ერთეულად შეაკავშირა საქართველოს სხვადასხვა კუთხეები.

სოფლის მეურნეობაში რეფორმამ გლეხობის დაშლა და ახალი სოციალური ფენების — სოფლის ბურჟუაზიისა და სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატის წარმოშობა გამოიწვია. მცირემიწიანობა და გაღატაკება გლეხს აიძულებდა სოფელი დაეტოვებინა და ლუკმა-პურის საშოვნელად ქალაქში წასულიყო. იმის გამო, რომ ქვემო იმერეთში ფაბრიკა-ქარხნები თითქმის სრულებით არ იყო, რეფორმის შემდეგ, განსაკუთრებით 70-80-იან წლებში, ხონიდან და მის მახლობლად მდებარე სოფლებიდან გლეხები სამუშაოდ მიდიოდნენ ბათუმში, ფოთში, სევასტოპოლში, ოდესაში, ჭიათურაში, თბილისში. მაგალითად, სოფელ მათხოჯის მოსახლეობის 14% სამუშაოს ეძებდა შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე საპორტო ქალაქებში. თვით ხონიდან გლეხობის ნაწილი იძულებული იყო, დროებით მაინც, დაეტოვებინა თავისი საცხოვრებელი ადგილი. „საცა არ გაიხედავ, ყოველგან შენიშნავ უცხო ამბებსა ამ ჩვენს პაწაწინა ქვეყანაში, — წერდა გიორგი წერეთელი, — მიხვალ სურამის სტანციაზე და იქ დაგიხვდებიან იმერლები, რომლებიც მთაზე გადასარბენს ცეცხლის ეტლს ეშმაკებივით ებღაუჭებიან და როგორც უნდათ და საითაც უნდათ იქით წაიყვანებენ... გადმოხვალ ცეცხლის ეტლითგან და შეხედავ მეკურტნეებსა: „ბატონო, მიბოძეთ თქვენი ბარგი, მოვიკიდებ ზურგზე და გოსტინიცისაკენ გავშპები"... ეს გურულებია. გახვალ შავ ზღვაში და შეხვალ ცეცხლის გემზე. იქ მატროსი ვინ არის? მეგრელი. მემაშინე ვინ არის? მეგრელი ან იმერელი... იქიდგან ჩაჯდები ცეცხლის ეტლში და წამოხვალ. გზაზე ხონელი მიდის, ძარში ქათმები დაუწყვდევია და კალათები კვერცხებით აქვს სავსე. სად მიხვალ? — ეუბნები. ტფილისში გიახლებიო, საქმეც მაქვს და სავაჭროცო. ტფილისში მიხვალ, მიიხედ-მოიხედავ, გაოცდები: ყოველგან ლიხის მთას იქით მცხოვრებლებს ხედავ. რკინიგზა თითქოს იმერეთის ხალხისათვის გაეკეთებინოსთ, თითქოს მხოლოდ იმათ სცნესო ამის სარგებლობა, ეცენ და იმის საშუალებით

ტფილისი თავის სავაჭრო ქალაქად გახადესო“[15].

საქართველოში კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებას თან ახლდა, ერთი მხრივ, ახალი ქალაქების წარმოშობა (ჭიათურა, ტყიბული, სამტრედია, ზესტაფონი და სხვ.), ხოლო, მეორე მხრივ, ფეოდალურ ხანაშიაც არსებული სავაჭრო დაბების, ე. წ. „მცირე ქალაქების“ შესამჩნევი გაფართოება და ეკონომიკური დაწინაურება. ამ უკანასკნელის ყველაზე ტიპიური მაგალითია ხონი.

საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში, ქალაქებთან ერთად, მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ სავაჭრო-სამრეწველო დაბები და სოფლები, რომლებიც რეფორმისშემდგომ ხანაში სწრაფად დაწინაურდნენ იმის გამო, რომ სათავეში ედგნენ მსხვილ შინასამრეწველო რაიონებს, ანდა მდებარეობდნენ მდინარის ნაპირებზე, რკინიგზის სადგურების ახლოს და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ ხონი არც ნაოსნობისათვის მოსახერხებელი მდინარის ნაპირზე მდებარეობს და ამიერკავკასიის რკინიგზაც მისგან საკმაოდ მოშორებით იქნა გაყვანილი, რეფორმისშემდგომ ხანაში მისი ეკონომიკური ზრდა-განვითარება სწრაფად მიმდინარეობდა, ეს, პირველ რიგში, იმით აიხსნება, რომ ხონი სათავეში ედგა მნიშვნელოვან შინასამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო რაიონს. ხონის ეკონომიკურ განვითარებას ხელს უწყობდა, აგრეთვე, მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა. „პირველი ზარი პატრიარქალური წყობილების რღვევისა და ახალ, თანამედროვე ბურჟუაზიულ წყობილებაში ფეხის შედგმისა, — წერდა გაზეთი „კვალი“, — ჩვენს „კურთხეულ სამშობლოში“ დაირეკა იმერეთში. იმერლებმა, ქართველებში სხვებზე გაცილებით მეტი ძალა და ღონე გამოიჩინეს მის შეთვისებაში. ისინი თითქმის მზად დაუხვდნენ მას. მის ეკონომიურ განვითარებას ჩვენში ხელი შეუწყო მიწის სივიწროვემ, უქონლობამ. გლეხი, აზნაური, თავადი, მღვდელი, ყველა მიწის უქონლობას ჩივის. მართალია ზოგიერთ აზნაურ თავადებს ერთ დროში სამყოფი მიწა ჰქონდათ, მაგრამ ახლა იმათი მამული ბანკის საკუთრებას შეადგენს. ხალხის გამრავლებასთან ერთად, მათ ხელიდან ეცლებათ უმთავრესი დედაბოძი ეკონომიკური კეთილდღეობისა — მიწა-წყალი და უკანასკნელს არ შეუძლია დააკმაყოფილოს მისი დღევანდელი

[15] „კრებული“, 1873, № 3, გვ. 215.

მოთხოვნილებანი. ხალხმა უკვე შეიგნო და ხელი მოჰკიდა სხვადასხვა დარგს მრეწველობისა: მეაბრეშუმეობას, ბალოსნობას, მევენახეობას. აგრეთვე ხალხი ირეკება სოფლიდან, გადის ქალაქში და აქ ან დღიურ მუშათ ან ჩარჩ-მიკიტნათ დგება. **თითქმის მთელი იმერეთის შინაურ მრეწველობა-ვაჭრობის ცენტრად ხონი ითვლება. ის მისი დედაძარღვია**"[16].

უმიწაწყლო და მცირემიწიანი გლეხები ფულის საშოვნელად, გარდა დიდი ქალაქებისა, მიდიოდნენ მახლობლად მდებარე სავაჭრო და სამრეწველო ცენტრებში, ცდილობდნენ კავშირი არ გაეწყვიტათ მიწათმოქმედებასთან. ქვემო იმერეთისა და აღმოსავლეთ სამეგრელოსათვის ერთ-ერთ ასეთ ცენტრს ხონი წარმოადგენდა. იგი თავის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში და ბაზარზე თავს უყრიდა ვაკე იმერეთისა და აღმოსავლეთ სამეგრელოს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს. მახლობელ სოფლიდან ჩამოსულ გლეხს ხონში შეეძლო ეშოვა ლუკმა-პური, გაეყიდა თავისი მეურნეობის პროდუქტები და ოჯახისათვის საჭირო საქონელი შეეძინა.

## 2. სოფლის მეურნეობა

ხონისა და მის მახლობლად მდებარე სოფლების მოსახლეობის მეურნეობრივ საქმიანობაში ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მიწათმოქმედებას, პირველ რიგში, მის ერთ-ერთ გავრცელებულ დარგს მესიმინდეობას. იმერელი, ისევე როგორც მეგრელი და გურული გლეხისათვის იგი მეურნეობის ისეთი დარგი იყო, რომელიც აკმაყოფილებდა ოჯახის მოთხოვნილებას პურზე, საშუალებას აძლევდა მას მსხვილფეხა საქონელი და ფრინველი გამოეკვება.

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებასთან ერთად, მესიმინდეობამაც სასაქონლო ხასიათი მიიღო. ჯერ კიდევ საგლეხო რეფორმის წინ ქუთაისის გუბერნიიდან სიმინდი დიდი რაოდენობით გაჰქონდათ ევროპაში[17]. XIX საუკუნის 80-იან წლებში იმ რაიონში, რომელსაც უნდა შეედგინა ხონის რკინიგზის სამოქმედო ზონა (ამ რაიონში უნდა შესულიყო ქუთაისის მაზრის მეექვსედი, სენაკის მაზრის

---

[16] „კვალი", 1896, № 44, 25 ოქტ., გვ. 726-728.) (ხაზგასმა ჩვენია, — პ. გ.

[17] ჟურნ. „გუთნის დედა", 1863, № 4, გვ. 68-69; პ. გუგუშვილი, მარცვლეულის მეურნეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში, გვ. 61.)

ნახევარი, ზუგდიდის მაზრის ერთი მესამედი, ლეჩხუმის მაზრის ორი მესამედი და სვანეთის საბოქაულო) სიმინდის წლიური მოსავალი 6.199.099 ფუთი იყო, აქედან ადგილზე მოიხმარებოდა 2.661.931 ფუთი, ხოლო სასაქონლო სიმინდის ოდენობა 3.537.113 ფუთს შეადგენდა[18]. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მონაცემებით, სიმინდის აღნიშნული რაოდენობიდან 1884 წელს გაზიდეს 2.103.000 ფუთი, ხოლო 1885 წელს – 2.301.000 ფუთი, ე. ი. 198.000 ფუთით მეტი, ვიდრე წინა წელს[19].

სიმინდის მოყვანა გასაყიდად ქვემო იმერეთის მოსახლეობისათვის ფულადი შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ იქცეოდა. ამიტომ იყო, რომ იმერელი გლეხი ყოველთვის მუყაითად და დიდი მზრუნველობით უვლიდა სიმინდის ყანას. მესიმინდეობა კი მემინდვრეობის ძალზე შრომატევადი დარგია. ამიერკავკასიაში სიმინდის მოყვანით იმერლებს მეგრელები თუ შეედრებოდნენ. იმერელი გლეხი თითქმის ყოველთვის აწარმოებდა სასაქონლო სიმინდს. ამიტომ მისი კეთილდღეობა ხშირად სიმინდის მოსავალზე იყო დამოკიდებული. „დაბალმა ფასებმა სიმინდზე უკანასკნელ წლებში ისეთ დღეში ჩააყენეს ჩვენი მემამულეები და გლეხები, რომ მოსალოდნელია მათი მთლიანი გაღარიბება და ეკონომიკური განადგურებაო“[20], – იწერებოდნენ ხონიდან 1894 წელს. მემამულეცა და გლეხიც სიმინდის კარგ ფასში გაყიდვაზე ამყარებდნენ ფულზე გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილების იმედს, მაგრამ მათ ეს იმედი ხშირად უცრუვდებოდათ. ქუთაისის გუბერნიაში სიმინდით ვაჭრობის საქმე ხელთ ჰქონდათ ჩაგდებული ადგილობრივ ჩარჩ-ვაჭრებს და კულაკებს, რომლებიც სარგებლობდნენ გლეხების მძიმე მდგომარეობით, წინასწარ ავალიანებდნენ მათ, ხოლო შემდეგ ჩალის ფასად ყიდულობდნენ ამ ძვირფას საქონელს. ვალებში გახლართული მიწის მუშა ხშირად იძულებული იყო აუცილებელი პროდუქტიც მიეცა მევალე-შემსყიდველისათვის. ექსპორტის ოპერაციებში ბატონობდნენ უცხოეთის ფირმები, რომლებიც სრულებით არ იყვნენ დაინტერესებული საზღვარგარეთ ქართული სიმინდის რეპუტაციით და მტკიცე

---

[18] ცსა, ფ. 12, აღწ. 7, საქ. 3431, ფურც. 1-3.

[19] იქვე, ფურც. 10-13.

[20] „Новое обозрение", 1894, № 3707 (შემდეგში შემოკლებით НО).

ფასების დადგენით[21].

XIX საუკუნის 80-იან წლებში ხონიდან, და საერთოდ ქუთაისის გუბერნიიდან, სიმინდი გაჰქონდათ თურქეთში, საფრანგეთში, ესპანეთში, იტალიასა და გერმანიაში. სიმინდის საექსპორტო საქონლად გადაქცევასთან დაკავშირებით ხონში აიგო სიმინდის სარეალიზაციო სპეციალური მაღაზიები და საწყობები. ყოფილი ვაჭრის, საწულუკიძეოში მცხოვრებ 105 წლის ივანე ონისიმეს ძე ჯალაღანიას გადმოცემით, 900-იან წლებში ასეთი მაღაზიები ხონში ჰქონდათ ძმებს სიხარულიძეებს. ისინი სიმინდს ადგილობრივ ბაზარზე ყიდულობდნენ დიდი რაოდენობით, ჩაჰქონდათ სამტრედიაში და საკუთარ საწყობებში ინახავდნენ, აქედან კი რკინიგზით ნავსადგურებამდე გადაჰქონდათ და ექსპორტიორებზე ყიდდნენ. ხშირ შემთხვევაში ხონში შეძენილი სიმინდი ადგილზევე საღდებოდა. გაზაფხულზე მიწის მუშას სიმინდი აკლდებოდა, ამიტომ იგი იძულებული ხდებოდა ჩარჩი ვაჭრისათვის მიემართა. ადგილობრივ ბაზარზე სიმინდის მომხმარებლები იყვნენ, აგრეთვე, დაბის არასამიწათმოქმედო ან ნახევრად მრეწველი, ნახევრად მიწათმოქმედი მოსახლეობა და მთიანი რაიონებიდან — რაჭა-ლეჩხუმიდან და სვანეთიდან ჩამოსული გლეხობა.

ხონში სიმინდით ვაჭრობდა თვით ი. ო. ჯალაღანია. სიმინდს ხონში ვყიდულობდი, — მოგვითხრობდა იგი, — ნაწილს იქვე ვყიდდი, ნაწილი კი სამტრედიაში მიმქონდა და ექსპორტიორებს ვაძლევდიო. ყოფილი ვაჭრის — გიორგი პავლეს ძე მაჭარაძის გადმოცემით, ექსპორტიორები ხონშიაც ჩამოდიოდნენ. ისინი დიდი რაოდენობით ყიდულობდნენ სიმინდს და უმთავრესად ფოთის ნავსადგურით საზღვარგარეთ გაჰქონდათ.

ხონსა და მის მიდამოებში ხორბალს ნაკლები ყურადღება ექცეოდა. პურის მოვალეობას აქ, ძირითადად, მჭადი ასრულებდა. სხვა კულტურებიდან მოჰყავდათ ღომი, ფეტვი, ლობიო. XIX საუკუნის 80-90-იანი წლებიდან ღომისა და ფეტვის ნათესები თანდათან შემცირდა. ეს იმით აიხსნება, რომ ღომი და ფეტვი დაბალი მოსავლიანობით ხასიათდება, არ შეუძლია პურის მაგივრობა გაწიოს და, რაც მთავარია, საგარეო ბაზარზე მოთხოვნილება არ იყო. გლეხი თესდა იმ-

[21] ა. გუგუშვილი, სიმინდის მეურნეობა ამიერკავკასიაში (1801-1920 წწ.), საქ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1946, ტ. VII, № 4, გვ. 251.

დენ ღომსა და ფეტვს, რამდენიც მის ოჯახს სჭირდებოდა.
სასაქონლო დანიშნულება არ ჰქონდა, აგრეთვე, იმერულ ლობიოს. რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ, გიორგი ოქროპირის ძე ტაბიძის გადმოცემით, ქვემო იმერეთში სოიას კულტურა გავრცელდა. მას იაპონურ ლობიოს ეძახდნენ. იგი ძირითადად საქონლის საკვებად გამოიყენებოდა. უმნიშვნელო იყო მევენახეობის როლიც. მაგალითად, XIX საუკუნის 80-იან წლებში ხონში მცხოვრებ სახელმწიფო გლეხთა მფლობელობაში მყოფ მიწებზე ვენახს მხოლოდ 3,4% ეჭირა[22]. სოფლის მეურნეობის შედარებით ახალი დარგები იყო მებამბეობა და მეთამბაქეობა. გაზ. „კავკაზის" თანამშრომლის ვ. პერევალენკოს ცნობით, XIX საუკუნის 50-60-იან წლებში ხონში ამერიკული თამბაქოს შესანიშნავი პლანტაციები ჰქონდათ. ხონელებს ასევე წარმატებით მოჰყავდათ ბამბა. ჯერ კიდევ XIX საუკუნის 20-იან წლებში, როგორც გამბა აღნიშნავდა, ბენგალიიდან შემოტანილი თესლით ატარებდნენ ცდებს, გრძელი, აბრეშუმისძაფიანი ბამბის გასავრცელებლად. ბამბა საზღვარგარეთ გაჰქონდათ. ასეთ ბამბას ევროპის ბაზარზე საკმაოდ მაღალი ფასი ჰქონდა. ხონში ჩამოსული ვაჭრები ბამბას მოსკოველი ფაბრიკანტებისათვის ყიდულობდნენ. ამ უკანასკნელთა აზრით, იმერული ბამბა ძაფის სიგრძით, სითეთრით და სიმაგრით არაფრით არ ჩამოუვარდებოდა ამერიკულს. 1864 წელს ბამბის ნათესების ფართობი ქუთაისის მაზრაში ხუთჯერ გაიზარდა წინა წელთან შედარებით[23]. მასობრივად მიმდინარეობდა ტყეების გაჩეხვა და ბამბის პლანტაციების გაშენება. კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების გამოანგარიშებით, XIX ს. 60-იან წლებში იმერეთში საშუალოდ ყოველწლიურად 5000 ფუთამდე ბამბა მოჰყავდათ, აქედან მარტო ხონში ყოველ წელს 1000 ფუთამდე ბამბა იყიდებოდა.
მაღალ შეფასებას აძლევდა გამბა ხონურ (საერთოდ, იმერულ და მეგრულ) თამბაქოსაც. მისი აზრით, იმერულ თამბაქოს შეეძლო მეტოქეობა გაეწია ამერიკული თამბაქოს საუკეთესო ჯიშებისათვის. 60-იან წლებში ხონის თამბაქოს

---

[22]Материалы экономического быта государственных крестьян Закавказского края, т. VII. Очерк И. Ф. Иоселиани" Экон. быт госуд. кр. юго-западной чапсти Кутайсского уезда, Тиф., 1887, с. 272-279 (შემდეგში შემოკლებით: МИЭБГК.
[23]ЗКОСХ, 1865, N 1, с. 8.

„იარმუკობაზე" 475 ათასი მანეთის თამბაქო იყიდებოდა წლიურად[24]. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებდა, რომ სწრაფად ვითარდებოდა სავაჭრო მიწათმოქმედება, ხდებოდა მისი სპეციალიზაცია. ამ პროცესს თან ახლდა ყოველი ნათესი ჰექტარიდან მოსავლის მაქსიმალურად გაზრდის მისწრაფება მეურნეობის რაციონალურად მოწყობის, ირიგაციის მოწესრიგებისა და გაუმჯობესებული მანქანა-იარაღების გამოყენების გზით.

მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ საქართველოში ჰავა საკმაოდ ნესტიანია და ნალექების დიდი რაოდენობით ხასიათდება, პერიოდული გვალვები, რაც გახშირდა ტყეების გაჩეხვასთან ერთად, სერიოზულ ზიანს აყენებდა სოფლის მეურნეობას. ამიტომ ქვემო იმერეთის მოსახლეობისათვის ნათესების მორწყვის საქმის მოგვარება პირველხარისხოვან ამოცანად გადაიქცა. „ჩვენი წინაპრების საუკუნოვანი ოცნება იყო, -- წერდნენ ხონელები ამიერკავკასიის წყალთა სამმართველოს უფროსს, – გადმოეყვანათ წყალი მდინარე ცხენისწყლიდან სახნავ-სათესი მიწების მორწყვის მიზნით"[25].

ცხენისწყლიდან სარწყავი არხის გაჭრის საკითხი ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებში დაისვა, მაგრამ მხოლოდ 1891 წელს დაიწყო მისი განხორციელება. ნიკო ნიკოლაძის, ივანე შარაშიძის, ნესტორ წერეთლის და სხვათა ინიციატივით სარწყავი არხის გაჭრა დაიწყო. თავდაპირველად ამ კარგ წამოწყებას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. ცრუმორწმუნე პირებმა ხალხში ხმა გაავრცელეს, ცხენისწყალი სარწყავად არ ვარგა, არხის გაჭრას მოჰყვება შავი ჭირისა და სხვა ავადმყოფობის გაჩენა და სხვა. მაგრამ ნათესების მორწყვის საჭიროება იმდენად ძლიერი იყო, რომ არხის გაყვანის ინიციატორებმა ადვილად შეძლეს ხალხის დაინტერესება და მთავრობისაგან ნებართვის მიღების შემდეგ, საქმის პრაქტიკულად განხორციელებას შეუდგნენ. გარდა ხონისა, მასში მონაწილეობდნენ სოფლები: ივანდიდი, საწულუკიძეო, კუხი, გუბი, დიდი ჯიხაიში, იანეთი და ეწერი. არხი, რომლის სათავე მათხოჯში უნდა ყოფილიყო, ზემოთდასახელებული სოფლების გავლის შემდეგ გუბისწყალს შეუერთდებოდა. მოსახლეობაში შეგროვდა ოთხი ათასზე მეტი

---

[24] სცსა, ფ. 171 საქ. 8957 3, ფურც. 67.

[25] იქვე, ფ. 365, საქ. 34, ფურც. 17-21.

მანეთი. გარდა ამისა, ყველა ოჯახმა მიიღო მონაწილეობა არხის გაჭრაში ორ-ორი კვირის მუშაობით. საქმე სწრაფად წავიდა წინ და 1891 წლის შემოდგომისთვის არხი უკვე მზად იყო. არხში წყლის საცდელი გაშვება მოხდა 1891 წლის 17 ნოემბერს. ამის შესახებ ადგილობრივი ქრონიკიორი წერდა: „17 ნოემბერი მარად მოსაგონარი დარჩება ჩვენი დაბის მატიანეში. ამ დღეს ჩაატარეს ცხენისწყლიდან სარწყავი არხის გავლით წყლის სასინჯი გაშვება. დილა ადრიანად დაიწყო სადღესასწაულოდ ჩაცმული ხალხის გამოცოცხლებული მოძრაობა. ერთნი — ეტლებით, ცხენებით და ფეხით არხის სათავისაკენ მიემართებოდნენ, მეორენი — გროვდებოდნენ ახლადგაშენებულ პარკში, აქაური სამასწავლებლო სემინარიის წინ და ქუჩის გასწვრივ...

11 საათზე ორ ტოტად გამოჩნდა წყალი. სადღესასწაულო მომენტი იყო; ხალხის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ყველანი ერთმანეთს ულოცავდნენ ასე სწრაფად და კეთილად დაბოლოებას საქმისას, რომელიც ხონელების დიდი ხნის სანუკვარ ოცნებას წარმოადგენდა"[26].

ხონი-ჯიხაიშის სარწყავი არხის საზეიმო გახსნა მოხდა 1892 წლის 25 მაისს. ამასთან დაკავშირებით ხონში ჩამოვიდნენ ქუთაისის გუბერნატორი ვ. ი. შალიკოვი (შალიკაშვილი), იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი, თავადი ნ. დ. მიგრელსკი და სხვები.

სარწყავი არხი თავისი განშტოებებით თავდაპირველად 78 კმ აღემატებოდა, რწყავდა 12 ათას დესეტინამდე მიწას ცხენისწყლის მარცხენა სანაპიროზე და მომსახურებას უწევდა 25 ათასზე მეტ მცხოვრებს. „დანიშნულება ამ არხისა, — წერდა „ივერია", — ის არის, რომ თითქმის ოცდა-ათი ათასი დღიური ურწყავი მიწა სარწყავად გარდაქმნას. და ამოდენა მამულის შემოსავალი, და მაშასადამე ფასიც, ერთი-ათად გაადიდოს"[27]. მაგრამ, როგორც სამართლიანად მიუთითებდა ნესტორ წერეთელი ხონის სარწყავი არხის ისტორიისადმი მიძღვნილ თავის ერთ-ერთ სტატიაში, აღმოჩნდა, რომ მდინარიდან არხის წყლის გადმოყვანა ისე ძნელი არ იყო, როგორც ამ გადმოყვანილი წყლის უხიფათო მოხმარება და კანონიერი გაძღოლა[28]. სწორედ წყლის მოხმარებამ და მისი

---

[26] НО, 1891, № 2726, 24.10.

[27] „ივერია", 1892, № 265, 13, 12.

[28] „კვალი", 1894, № 9, გვ. 16-20.

განაწილების საკითხმა გამოიწვია არხის გაყვანაში მონაწილე სოფლებს შორის საკმაოდ გახმაურებული უთანხმოება ე. წ. „ხონის დავა", რასაც თან ახლდა მწვავე საგაზეთო პოლემიკა, რომელშიაც ჩაბმული აღმოჩნდნენ ნიკო ნიკოლაძე, ილია ხონელი (ბახტაძე), ივანე შარაშიძე, ნესტორ წერეთელი და სხვ.

ხონის წყალსადენის მაზრის შექმნამდე დავასა და უთანხმოებას იწვევდა საკითხები: ვინ ითვლება არხის მონაწილედ, როგორ უნდა მომხდარიყო მაგისტრალური არხის განშტოება და წყლის განაწილება, პირველ რიგში რა მიზნებისათვის უნდა გამოეყენებინათ წყალი. წყალსადენის მაზრის შექმნის დღიდან (1894 წ.) პოლემიკა წარმოებდა მისი განყოფილებებად დაყოფის საკითხზე[29].

ნიკო ნიკოლაძე და მისი მომხრეები მოითხოვდნენ წყალსადენის მაზრის დაყოფას განყოფილებებად ცალკეული არხების მიხედვით, ხოლო ივანე შარაშიძე, ნესტორ წერეთელი და სხვები — სოფლების მიხედვით.

წყლის განაწილებისა და მოხმარების საკითხზე XIX საუკუნის 90-იან წლებში რამდენიმე მღელვარე კრება ჩატარდა. ზოგჯერ მდგომარეობა იმდენად იძაბებოდა, რომ სერიოზული ინცინდენტების თავიდან აცილების მიზნით, საჭირო გახდა საგუბერნიო და ცენტრალური ხელისუფლების ჩარევა. ხონი-ჯიხაიშის სარწყავი არხის გამოყენებასთან დაკავშირებული ამბები კარგად გვიჩვენებენ სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში ამ არხის ეკონომიკურ მნიშვნელობას.

90-იანი წლებიდან ქვემო იმერეთში სულ უფრო ფართოდ გამოიყენებოდა გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები, არა მარტო მსხვილ, არამედ გლეხურ მეურნეობებშიც. ევროპიდან შემოტანილი ასეთი მანქანა-იარაღების პოპულარიზაციის საქმეში დიდი როლი შეასრულა ნიკო ნიკოლაძემ. მას ხონის მახლობლად, სოფ. დიდი ჯიხა-

---

[29] Н. Николадзе, „Хонский водный округ", НО, 1894, N 3474; `На запрос газеты `Кавказ", НО, 1894, N 3484; `Один враждует он... зачем", НО, 1894, N 3489; `Сухопутные корсары", НО, 1894, N 3559, 3565 μ' Эьё.; Н. Церетели, Деление Хонского водного округа на отделы, НО, 1894, N 3487; „ისტორია ხონის სარწყავი არხებისა", „კვალი", 1894, № 9 და სხვ. ივანე შარაშიძემ 1895 წელს ქუთაისში გამოსცა წიგნაკი „Ответ на статью `Сухопутные корсары" Н. Николадзе" და მრავალი სხვა. ჩვენი აზრით, ივ. შარაშიძის ეს წიგნაკი დაწერილი უნდა იყოს ცნობილი პუბლიცისტის ილ. ხონელის (ბახტაძის) მიერ.

იმში კარგად მოწყობილი მეურნეობა ჰქონდა. ნიკო ნიკოლაძის ე. წ. მამულში იმერელი გლეხები ეცნობოდნენ დასავლეთ ევროპიდან და ამერიკიდან გამოწერილ მანქანა-იარაღებს და მათი მოხმარების წესებს. განსაკუთრებით გავრცელდა ამერიკული გუთანი და კულტივატორი. 900-იან წლებში ხონის რკინეულობის მაღაზიაში გასაყიდად ჩამოქონდათ მაკ-კორმიკის ტიპის ხუთთათიანი კულტივატორები. მათზე მოთხოვნილება ყოველწლიურად იზრდებოდა. სამკელი მანქანების საერთაშორისო საზოგადოების თბილისის საწყობის მეპატრონე ე. ფ. აუფერმანი 1908 წელს ხონელ ვაჭრებს გ. ბახტაძესა და გ. მაჭარაძეს სამ კულტივატორზე მათი დაკვეთის პასუხად წერდა: „გაძლიერებული მოთხოვნის გამო მე საწყობში მქონდა მხოლოდ ორი ცალი კულტივატორი, რომლებიც თქვენ გამოგიგზავნეთ. მესამე ეგზემპლარს კი გამოგიგზავნით ახალი საქონლის მიღებისთანავე"[30].

ივანდიდში მცხოვრები აგრონომის გ. მ. მაჭარაძის გადმოცემით, 900-იანი წლებიდან ამერიკულ კულტივატორთან და გუთანთან ერთად ხმარებაში შემოდის სიმინდის სათესი მანქანაც. მაგალითად, მამაჩემს, რომელიც სოფლის მასწავლებელი იყო, კულტივატორი და სიმინდის სათესი მანქანაც ჰქონდაო. ცხადია, ასეთ მანქანა-იარაღებზე ღარიბ მიწის მუშას ხელი არ მიუწვდებოდა, მათ შეძლებული გლეხები და კულაკები იძენდნენ.

მანქანა-იარაღები მნიშვნელოვნად ამსუბუქებდა სასოფლო-სამეურნეო შრომას, ხელს უწყობდა ნიადაგის უკეთესად დამუშავებას და მოსავლის გადიდებას. მანქანა-იარაღების გამოყენება უმიწაწყლო და გაღატაკებულ გლეხს ხშირად ხელიდან აცლიდა ლუკმა-პურს, რომელსაც მანამდე იგი მემამულეებთან და კულაკებთან დღიური მუშაობით მოიპოვებდა. „ყოველ წლობით ყანების თოხნის დროს, ხონის ბულვარი სავსეა სხვადასხვა სოფლებიდან ჩამოსული მუშებით, — წერდა გაზეთი „ნამპერწკალი", — ისინი თითქმის ყველანი მეგრელებია. აქ ყანების სათოხნად არიან ჩამოსული. ზამთარში კი ეს მუშები ქალაქებს მიაშურებენ და იქ ეძებენ ლუკმა-პურს.

წელსაც აივსო ხონის ბულვარი ამგვარი მუშებით, მარა უბედურება ისაა, რომ წარსულ წლებთან შედარებით, მოთ-

---

[30] აღნიშნული წერილი თავის სავაჭროს სახელზე მოსულ ანგარიშებთან ერთად ჩვენ გადმოგვცა განსვენებულმა გ. მაჭარაძემ.

ხოვნილება ძალიან დაბალია და ხელფასიც საშინლად დაწეული. ამის მიზეზი ორია: ამერიკული კულტივატორების შემოღება და კარგი ამინდები, რადგან ყველა ასწრებს თავისი ყანის გათოხნას"[31].

1901 წელს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ ხონში მოაწყო საჩვენებელ-საცდელი ნაკვეთი, რომელიც მიზნად ისახავდა მოსახლეობაში აგრონომიული ცოდნის გავრცელებას.

ხონი, და საერთოდ ქვემო იმერეთი, განთქმული იყო მეფრინველეობით. ჯერ კიდევ ფეოდალურ ხანაში ღომის, ფეტვის და სიმინდის კულტურების ფართოდ გავრცელება საიმედო საკვებ ბაზას ქმნიდა მეფრინველეობის განვითარებისათვის. ხონური ქათამი ძველთაგანვე ცნობილია მთელს საქართველოში. მართალია, ხონში მეფრინველეობის სპეციალური ფერმა არავის არ ჰქონია, მაგრამ ყოველი გლეხის ოჯახი დიდი რაოდენობით ზრდიდა ქათამს, ბატს, იხვსა და ინდაურს გასაყიდად, რაც მისი ბიუჯეტის შევსების მნიშვნელოვან წყაროს შეადგენდა. ფრინველით ვაჭრობა ადგილობრივი და ებრაელი ჩარჩ-ვაჭრების ხელში იყო.

XIX საუკუნის 90-იან წლებში დასავლეთ საქართველოდან საზღვარგარეთ კვერცხის გატანა დაიწყო. ქუთაისის გუბერნიიდან კვერცხი გაჰქონდათ ისეთ მსხვილ სამრეწველო ცენტრებში, როგორიცაა: ვენა, ჰამბურგი, ბერლინი, პარიზი, სამხრეთ საფრანგეთის სანავსადგურო ქალაქები, ლონდონი. ეს უკანასკნელი იყო კვერცხით ვაჭრობის მსოფლიო ცენტრი და ჩვენი ქვეყნიდან გატანილი კვერცხის უდიდესი ნაწილი იქ საღდებოდა[32]. კვერცხის ექსპორტის ფართო მასშტაბზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მარტო 1900 წელს უცხოეთში გაიგზავნა 800.000 მანეთის კვერცხი.

კვერცხით მსოფლიო ვაჭრობაში გაცხოველებულ მონაწილეობას იღებდა ხონიც. კვერცხის ცნობილი ექსპორტიორი დ. ღამბაშიძე, რომელსაც საქართველოში სპეციალური აგენტები ჰყავდა, ხოლო ლონდონში თავისი კანტორა ჰქონდა, წერდა, რომ 900-იან წლებში მარტო ხონისა და სამტრედიის რაიონებში წლიური შემოსავალი ამ დარგებიდან 600-700 ათას მანეთს უდრიდა[33].

კვერცხის საექსპორტო საქონლად გადაქცევა ბიძგს აძლევდა მეფრინველეობის შემდგომ განვითარებას.

---

[31] გაზეთი „ნაპერწკალი", 1908, № 31, გვ. 4-5.

[32] პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს., ტ. III, თბ., 1959, გვ. 634.

[33] დ. ღამბაშიძე, ჩვენი ქვეყნის უცხოეთთან ვაჭრობის მიმოხილვა (1883-1912 წწ.), ლონდონი, 1914, გვ. 26.

## 3. მეაბრეშუმეობა. მეაბრეშუმეობის პირველი ამხანაგობა ქუთაისის გუბერნიაში

საგლეხო რეფორმამდე და ბურჟუაზიულ ხანაშიც მეაბრეშუმეობისა და პარკის რეალიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტს დასავლეთ საქართველოში ხონი წარმოადგენდა. ხონელი მეაბრეშუმეები და ფეიქარი ქალები განთქმული იყვნენ მთელს ამიერკავკასიაში. ფეოდალურ ეპოქაში მეაბრეშუმეობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული შინამრეწველობასთან. მეაბრეშუმე თვით ეწეოდა პარკისაგან ძაფის ამოხვევას, რთვასა და ქსოვასაც. „შრომის ეს დარგები, როგორც მრეწველური პროფესია, სოფლის მეურნეობრივ, კერძოდ მეაბრეშუმის შრომისაგან მხოლოდ დროში იყო გამოყოფილი და საერთოდ კი ერთიდაიმავე ადამიანში იყო გაერთიანებული[34]. ამ შემთხვევაში ბაზარზე გადიოდა აბრეშუმის მოსავლის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მეაბრეშუმეს, როგორც შინამრეწველს, არ შეეძლო აეთვისებინა. მეაბრეშუმე ბაზარს ამარაგებდა ძირითადად აბრეშუმის შინამრეწველური ნაწარმით. მაგალითად, ხონისა და მის მახლობლად მდებარე სოფლების მოსახლეობის დიდ უმრავლესობას სახლში ედგა ხისაგან დამზადებული პრიმიტიული საქსოვი დაზგა და აბრეშუმს ქსოვდა არა მარტო ოჯახის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, არამედ გასასყიდადაც.

აბრეშუმის შინამრეწველური ნაწარმი: დარაია, ყარაოზი, სარტყლები, არშიები, ხელთათმანები, ქალისა და მამაკაცის წინდები და სხვა, დიდი რაოდენობით იყიდებოდა ხონის ბაზარზე და „პარასკეობის" წლიურ ბრუნვაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. საექსპორტო დანიშნულება ჰქონდა მამაპაპურ „სამუხელაზე" ამოღებულ ძაფს, რომელიც ოსმალეთში გაჰქონდათ. „მშვიდობიანობის დროს სომხები, ებრაელები და ბერძნები, — წერდა ბობილევი, — ყიდულობდნენ მას აქაურ ბაზარზე (ხონში, კულაშში, ქუთაისში) და თურქეთში აგზავნიდნენ. მხოლოდ თურქეთში შეიძლებოდა გამოეყენებიათ ეს უხეში, თუმცა ძვირფასი ნედლეული"[35].

მას შემდეგ, რაც რუსეთისა და უცხოეთის ფაბრიკანტებმა გზა გაიკაფეს ამიერკავკასიისაკენ და დაიწყო პარკიდან ძა-

---

[34] П. Гугушвили, Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX-XX вв., Тб., 1957, с. 154-155.

[35] ЗКОСХ, 1856, кн. VI, с. 342.

ფის ფაბრიკული წესით ამოღება, აბრეშუმის კუსტარული წარმოება მკვეთრად შემცირდა. მაგრამ ამას არ გამოუწვევია მეაბრეშუმეობის განვითარების შეფერხება. აბრეშუმის შინამრეწველურმა ნაწარმმა გზა დაუთმო ნედლ პარკს, რომელიც სულ უფრო მეტი ზომით იქცეოდა საბაზრო და საექსპორტო საქონლად. ს. გულიბამბაროვი ამიერკავკასიის ფაბრიკებისა და ქარხნების მიმოხილვის დროს აღნიშნავდა, რომ დასავლეთ საქართველოში კუსტარული წარმოება მნიშვნელოვნად დაეცა[36]. მეაბრეშუმეობა კი სულ უფრო ვრცელდებოდა „ამიერკავკასიის სოფლებში, ხოლო ისეთ რაიონებში, სადაც იგი აქამდეც იყო განვითარებული, ამ დროიდან იქცევა სავაჭრო მეცხოველეობის ფრიად თვალსაჩინო და, ზოგან კიდევ, ძირითად დარგად“[37].

XIX საუკუნის 50-60-იან წლებში, როდესაც დასავლეთ ევროპაში აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობამ – პებრინმა, ნედლეულის კრიზისი გამოიწვია, ევროპელი მეაბრეშუმენი და სავაჭრო კაპიტალი ქართული პარკის ბაზრითაც დაინტერესდნენ. ამან კიდევ უფრო გააფართოვა მეაბრეშუმეობა ქვემო იმერეთში, კერძოდ ხონში. „აბრეშუმის მოვლას ეწევიან: ქალი, კაცი, დიდი, პატარა, თავადი და გლეხი, განურჩევლად წოდებისა და სქესისა... ოჯახს ვერ ნახავთ სამიოთხი თუმნის პარკი არ გაყიდონ. მოგეხსენებათ თუ რა დიდი ფულია სამი-ოთხი თუმანი უადგილობით შევიწროებული ჩვენებური გლეხისათვის“[38], – წერდა ვარლამ შავდია თავის საინტერესო სტატიაში ხონის შესახებ. „მეაბრეშუმეობის გავრცელებას ჩვენში, – აღნიშნავდა ამ დარგის ცნობილი სპეციალისტი ი. ქუთათელაძე, – უმთავრესად ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ პარკის მოსავლის გასაღება შესამჩნევად გაადვილდა, როგორც ადგილობრივ, ისე უცხოეთის ბაზარზე“[39].

პარკის მოსავლის გაზრდის მიზნით ხონელი მეაბრეშუმეები ცდილობდნენ ჭიის გამოკვების გაუმჯობესებას, სპეციალური თაროებისა და ბინების მოწყობას, საკვები ბაზის გაძლიერებას თუთის პლანტაციების გაშენების გზით და ა.

---

[36]С. Гулишамбаров, Обзор фабрик и заводов Закав. края, Тиф., 1894, с. 333-334.

[37]პ. გუგუშვილი, საქ. და ამიერკავკასიის ეკონ. განვითარება, ტ. III, გვ. 692.

[38]აკაკის კრებული, 1898, № 7, განყ. 3, გვ. 44-45.

[39]ჟურნ. „მოსავალი“, 1910, № 7, გვ. 6.

შ. მაგალითად, XIX საუკუნის 90-იან წლებში თავად დავით წულუკიძეს თუთის მოზრდილი პლანტაცია ჰქონდა და დიდძალი აბრეშუმი მოჰყავდა. ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ივანე შარაშიძემ მოაწყო სპეციალური ბინა და ახალი ტიპის თაროები. მისივე ხელმძღვანელობით და ინიციატივით აბრეშუმის მოყვანის მოწინავე მეთოდებს ასწავლიდნენ მის მიერ დაარსებულ ქალთა მოსამზადებელი სკოლის მოსწავლეებს. გ. ჩიჩუა, წევრი იმ ექსპედიციისა, რომელიც დასავლეთ საქართველოს სწავლობდა სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით, 1894 წელს წერდა გაზეთ „ივერიაში" (№ 8), „... ბატონმა შარაშიძემ გვიჩვენა პატარა ქალების მოყვანილი ყაჭის პარკები, აბრეშუმი და შენახული ყაჭის თესლიც. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ძალიან კარგად და რიგიანად უმუშავნიათ და ამ საგანს კარგადაც ისწავლიან. აქ რომ ეს პატარა ქალები აბრეშუმის ყაჭის მოვლას კარგად შეისწავლიან, მიდიან თავიანთ სახლებში, ეხმარებიან დედებს, ნათესავებს, მთელს სოფელს და მით თანდათან უმჯობესდება აბრეშუმის წარმოება".

ხონს და მის მახლობლად მდებარე სოფლებს მეაბრეშუმეობის კარგი სპეციალისტები ჰყავდა. ისინი აბრეშუმის ჭიის მოვლის გაუმჯობესებით, წლების მანძილზე პარკის უხვ მოსავალს იღებდნენ. ხონელი მეაბრეშუმეები ხშირად მონაწილეობდნენ კავკასიის, რუსეთისა და მსოფლიო მასშტაბით მოწყობილ სასოფლო-სამეურნეო გამოფენებში და მაღალ ჯილდოებსაც იმსახურებდნენ. მათ განსაკუთრებული წარმატება ხვდათ 1889 წელს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. ოფიციალური მასალებიდან[40] ირკვევა, რომ ხონელი მეაბრეშუმეების მიერ წარდგენილმა ექსპონატებმა საყოველთაო ყურადღება და მოწონება დაიმსახურეს. 80-იან წლებში ხონელ მეაბრეშუმეებს უცდიათ ერთი წლის განმავლობაში პარკის ორი მოსავალი მოეყვანათ. გამოფენის მონაწილეს ანასტასია ჩხეიძეს 1889 წელს ერთი და იმავე გრენისაგან ჭიის ორი გამოკვება უწარმოებია. გამოფენაზე მას მეორე გამოკვების პარკი გაუგზავნია. გამოფენის ხელმძღვანელობამ ჯილდოებით აღნიშნა ხონელ მეაბრეშუმეთა მიღწევები.

---

[40] Кавказская выставка сельского хозяйства и промышленности, Кавказский календарь, 1890 г.; აგრეთვე შ. ჯავახაძე, ქუთაისის მიდამოებში მეაბრეშუმეობის განვითარების შესახებ, გაზ. „ქუთაისი", 1963, № 122.

ხონი, როგორც უკვე ითქვა, დასავლეთ საქართველოში პარკით ვაჭრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი იყო. აქ XIX საუკუნის 80-იან წლებში, გაზეთ „დროების" ცნობით, ყოველწლიურად 700 ფუთამდე პარკი იყიდებოდა[41]. XX საუკუნის ათიანი წლებისათვის კი ხონი თავის ბაზარზე თავს უყრიდა 30-40 ათასამდე ფუთ პარკს და მოსახლეობას მილიონ მანეთზე მეტ შემოსავალს აძლევდა[42].

პარკით ვაჭრობა ადგილობრივი, სომეხი და ებრაელი ვაჭარ-სპეკულიანტების ხელში იყო. ხონში პარკის შესაძენად ჩამოდიოდნენ ფრანგი და იტალიელი მეაბრეშუმეების აგენტები, რომლებიც სპეკულიანტებთან და დალალ-ვაჭრებთან იყვნენ დაკავშირებული. პარკით სპეკულაციის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენდა უცხოელი საქმოსნების მიერ ადგილზე ძაფის ამოსაღები და პარკის სახმობ მოწყობილობათა გამართვა. XIX საუკუნის 70-იან წლებში ერთი უცხოელი ხონშიც ჩამოსულა, აბრეშუმის ჰაფის ამოსაღები მანქანა დაუდგამს და ნედლ პარკს ამუშავებდა. უცხოელი კომერსანტი ხონის ბაზარზე იაფად ყიდულობდა ნედლ პარკს, ძაფს იქვე იღებდა და ევროპაში გაჰქონდა გასაყიდად. „ამ დღეებში აქ მოვიდა საზღვარს გარედამ ერთი კაცი, რომელმაც გამართა აბრეშუმის ამოსაღები მაშინა, — წერდა ხონიდან 1872 წელს ივანე შარაშიძე, — ეს მაშინა უბრალოთ გაკეთებულია ხისაგან. მაშინის გამკეთებელი ყიდულობს პარკს ბათმანიან სარწყავს 40 კაპიკათ. როგორც გავიგე, ერთი ქსანი (ქსანი არის 3/4 გირვანქა) აბრეშუმის ძაფი რომ გააკეთოს, უნდება სამი ბათმანი აბრეშუმის პარკი. ამისი ფასი შეადგენს 1 მან. 20 კაპ. სხვა ხარჯიც მოუნდება 80 კაპ. ასე რომ სულ ორი მანეთი დაუჯდება. აბრეშუმის ძაფს მაშინა ლამაზს და წმინდას აკეთებს. ეს ძაფი ღირს 5 მანეთათ ქსანი. რომ გაყიდოს აქვე გაიყიდება ამ ფასათ. ჩვეულებრივი აბრეშუმის ძაფი ამდენი წონა 1 მან. 40 კაპ. მეტათ არ იყიდება.

ერთი მიბრძანეთ, რისთვის სჭირს ეს უსამართლობა ჩვენს აბრეშუმის ჭიის მომელელებს, რომ მათის ნაშრომით სხვა სარგებლობს და იმათ კი არაფერი მოგება არ ურჩებათ"[43], — გულისტკივილით კითხულობდა კორესპონდენციის ავტორი.

ხონში 80-იან წლებში კვლავ ჩამოსულა უცხოელი კომერ-

---

[41]დროება, 1883, № 170, გვ. 2-3.

[42]გაზ. „სახალხო ფურცელი", 1916, № 601, გვ. 3.

[43]სასოფლო გაზეთი, 1872, № 1, გვ. 7.

სანტი და ნაქირავებ მიწაზე აბრეშუმის ძაფის ამოსაღები „ქარხანა“ გაუმართავს. ეს „მკბენარი“ (პარაზიტი), რომელმაც „ლამის ქვეყანას ტყავი გააძროს“, — წერდა „დროება“, — ფუთ პარკს, როდესაც ძვირობაა 106 მან. 40 კაპ. ყიდულობდა. ხონი და მისი გარშემო სოფლები: მათხოჯი, ქუტირი, ღანირი, ჭაგანი, სამივე ჯიხაიში, გუბი, კუხი, ივანდიდი და კულაში აქ მოდიან თავისი ნაწარმოებით, რომ ამ შეუბრალებელ ასპიტს ჩააყლაპოს, თითქმის მუქთათ, თავისი სიმდიდრე. 106 მანეთად შეძენილ პარკს „მექარხნე“ 120 მანეთად ყიდდა. იაფობის დროს ფუთი პარკი 64 მანეთი ღირდა, ხოლო გადაიყიდებოდა 120 და 150 მანეთად. ასეთ შემთხვევაში ყოველი ფუთი პარკი 56-94 მანეთ მოგებას იძლეოდა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ხონში, ამ პერიოდში, საშუალოდ წლიურად 700 ფუთი პარკი იყიდებოდა, სულ რაღაც ორი თვის განმავლობაში, პარკის სეზონის დროს, ჩარჩი ვაჭრები 20.000 მანეთამდე მოგებას ნახულობდნენ. უცხოელი საქმოსანი მეაბრეშუმეს ზომა-წონაშიაც ატყუებდა. „არც ერთ დალალს, ვგონებ ამისთანა მოგება არ შეუძლია, არც ერთ ბანკს ამდენი სარგებელი. უკეთესი იქნებოდა ხონელებს თვითონვე გაემართათ ქარხანა და აქაური ნაღვაწი აქვე დარჩენილიყო და არ ეგდოთ ხელთ გაუმაძღარ მაწანწალებს“[44], — წერდა „დროების“ ხონელი კორესპონდენტი.

როგორც კი მეაბრეშუმეობის სეზონი დადგებოდა, ხონში პარკით ვაჭრობის ნამდვილი ციებ-ცხელება იწყებოდა, იმის გამო, რომ ხონის ბაზარზე ჩამოდიოდნენ როგორც კავკასიის, ასევე რუსეთისა და უცხოეთის მეაბრეშუმეთა აგენტები. აქ დიდი რაოდენობის პარკი იყრიდა თავს ქვემო იმერეთიდან, სამეგრელოდან და ლეჩხუმიდან. აი, როგორ აღწერდა პარკით ვაჭრობას ხონში ერთი თანამედროვე: „... მეაბრეშუმეობის სეზონი უკვე დადგა. ამჟამად ხონის ბაზარზე დიდძალი პარკი შემოაქვთ... ლეჩხუმიდან, სამეგრელოდან და ხშირად ქუთაის-სამტრედიიდანაც კი. არც ერთ პუნქტში იმდენი პარკი არ გროვდება, რამდენიც ხონში. ხონი დასავლეთ საქართველოს მეაბრეშუმეობის ცენტრია. დადგა მეაბრეშუმეობის სეზონი და ხონი გამოცოცხლდა. ბაზარში ურემს გვერდს ვერ შეუვლი... პარკზე ფასების სიდიდის მხრივ ხონი ქებული დაბაა. ამიტომაა, რომ სამტრედიიდან ხშირად

---

[44] დროება, 1883, № 170, გვ. 2-3.

ხონში მიეზიდებიან პარკს. ასე იყო წინათ, ასეა ახლაც. გაიგეს თუ არა ხონში ფასების ასეთი სიდიდე, ყველამ ხონში მოიტანა... ბაზარი პარკით გაივსო. ხალხს განუწყვეტლივ მოჰქონდა ურმებით პარკი. სამტრედიელს, ბანძელს, მაღლაკელს, ნაოღალეველს, კულაშელს და ჯაგნელს, ყველას ხონის ბაზარზე გამოჰქონდა პარკი"[45].

პარკის მოსავლის სიუხვე ხშირად მეაბრეშუმეთა შრომის გაუფასურებას იწვევდა. ჩარჩი ვაჭრები სარგებლობდნენ იმით, რომ ბაზარზე პარკი დიდი რაოდენობით იყო გამოტანილი და შესასყიდ ფასებს უკლებდნენ. გლეხს სახლში ათასი საქმე ჰქონდა. იგი ცდილობდა რაც შეიძლება ჩქარა გაესაღებია პარკი და გათავისუფლებულიყო. მეაბრეშუმე ხელში უვარდებოდა სპეკულიანტს, რომელიც მას, ფაქტობრივად, „ტყავს აძრობდა". პარკის სეზონის დროს ბაზარზე მეაბრეშუმეთა და ჩარჩ-შემსყიდველთა ურთიერთობა ზოგჯერ ხელჩართულ შეტაკებამდე მიდიოდა. პარკის დიდი რაოდენობით დაგროვებამ ბაზარზე, — მოგვითხრობს იგივე ავტორი, — ხონელი ვაჭრები გაათამამა. უკვე ორი საათი იყო და ვაჭრები არსად ჩანდნენ. ადამიანს ეგონებოდა ვაჭრებს პირი შეუკრავთ — არ ვიყიდითო. შუადღეზე გამოჩნდნენ ვაჭრები, მაგრამ ყიდვას არც მაშინ ეპირებოდნენ. მოტყუილებული ხალხის გაბრაზებას საზღვარი არ ჰქონდა. თავისმამართლებელ ვაჭრებს ხალხი გარს ეხვეოდა, უყვიროდა, ყვირილი, ხმაურობა, ხალხი მიუხვდა ვაჭრებს განზრახვას და ერთმანეთს შორის პირი შეკრეს, არ გავყიდითო. ერთი მოღალატე ჩაქოლეს, სცემეს კიდეც"[46]. მსგავსი შემთხვევები იშვიათი არ იყო ხონის ბაზარზე. ასეთ რთულ ვითარებაში უხდებოდა გლეხკაცს ორი თვის განმავლობაში დაძაბული შრომით მოყვანილი პარკის გაყიდვა.

პარკით სპეკულიაციას საფუძველი ეყრებოდა უფრო ადრე, ვიდრე სეზონი დადგებოდა. შემსყიდველი და ჩარჩ-ვაჭრები ჯერ გამოიკითხავდნენ როგორი პირი უჩანდა მოსავალს და შემდეგ ავრცელებდნენ ცრუ ხმებს მსოფლიო ბაზარზე პარკის ფასების, პარკზე მოთხოვნილების შემცირებისა და სხვათა შესახებ. ამით ისინი გარკვეულ გავლენას ახდენდნენ ადგილობრივ ბაზარზე. აი, რას წერდა ამის შესახებ ი. კუხელი თავის სტატიაში „აბრეშუმის მოსავალი და ჩარჩები ხონ-

---

[45] სახალხო ფურცელი, 1916, № 601, გვ. 3.

[46] იქვე.

ში“: „როგორც გავიგე, შარშან 40-45 კაპიკად იყიდებოდა გირვანქა აბრეშუმის პარკი. წლეულს კი, გარეშე და შინაური ჩარჩების წყალობით, 15-20 კაპიკს არ ასცილებია. რისთვის, რა იყო მიზეზი? შეკითხულნი გარეშე ვაჟბატონებისაგან ამ პასუხს ღებულობდნენ: აბრეშუმს გასავალი არა აქვს, ფასი დაკარგა, ოქროს ფასმა დაიწია და სხვ. შინაურ გაიძვერებმაც ხელი მოითბეს და ამით ყირამალა დაატრიალეს აბრეშუმის წლევანდელი მოსავალი. სოფლებში, დაიწყეს თუ არა ცახებიდან პარკის გამორჩევა, გამსუნაგებული აქაური მელები მოედნენ სოფლებს. ჯერ მოიკითხეს: აბა, რამდენი მოსავალიაო, და როცა შეკრიბეს ცნობები ამ გულკეთილმა რევიზორებმა, ჩაულაპარაკეს მათ აღებს: გაჩერდით, ფასს ნუ აუწევთ. შარშან რომ 40-45 კაპ. მიგეცით, ახლა იმის მაგივრად 15-ათ ვიყიდითო. ამნაირად საზოგადოების ეს ძვირფასი სიმდიდრე ხელში უვარდებათ მძარცველებს“[47].

პარკით სპეკულაციის გავრცელებულ სახეს წარმოადგენდა წვრილი მწარმოებლის წინასწარი დავალიანება, აბრეშუმის თესლის ნისიად გაცემა. ხონში, და ქვემო იმერეთში, საერთოდ, აბრეშუმის თესლით ვაჭრობდნენ, უმთავრესად სომხები. ისინი პარკსაც ყიდულობდნენ და ძაფს თვითონვე იღებდნენ. ებრაელი ვაჭრები კი აბრეშუმის ძაფის შესყიდვას ამჯობინებდნენ. „სომეხ ვაჭრებს ეს ორი წელიწადია, რაც ხონში აბრეშუმის თესლის გავრცელება დაუწყიათ ფასით და უფასოთ. უფასოთ აი, როგორ: ამ ვაჟბატონებს ვითომ გულკეთილობის სარკეში ჩაუხედავთ და შეუძლებელ მეაბრეშუმეებისათვის თესლი მიუციათ იმ პირობით, რომ მოსავლის ნახევარი ბ-ნი ვაჭრის უნდა იქნეს და ნახევარი ორი თვის განმავლობაში წვა-დაგვით მშრომელისა“[48], — წერდა „კვალი“. ეს, ეკონომიკური თვალსაზრისით, წვრილ მწარმოებელთა აშკარა ძარცვას ნიშნავდა.

ხშირად ადგილობრივი და უცხოელი ვაჭრების შემოტანილი თესლი უხარისხო იყო, რაც მოსავლის მთლიან ან ნაწილობრივ დაკარგვას იწვევდა. 1894 წელს ხონის მამასახლისმა სასოფლო-სამეურნეო ექსპედიციის წევრებს განუცხადა, რომ აბრეშუმის თესლის ავადმყოფობამ მთელი მოსახლეობა გაჭირვებულ დღეში ჩააგდოო. პარკის კარგი

---

[47] გაზ. „კვალი“, 1894, № 38.

[48] იქვე.

მოსავლის მომლოდინე ხონელი მეაბრეშუმენი ხშირად თუთის ფოთოლს ყიდულობდნენ. ავადმყოფი თესლის გამო აბრეშუმის ჭია ცუდად ვითარდებოდა. ასეთ შემთხვევაში მეაბრეშუმე არა თუ ვერ ინაზღაურებდა დახარჯულ შრომას, არამედ იძულებული ხდებოდა თესლისა და თუთის (ბეოლის) ფასი მისი მეურნეობის სხვა შემოსავლით დაეფარა.

პარკის ექსპორტიორები და ჩარჩ-ვაჭრები მეაბრეშუმეებს ზომა-წონაშიც ატყუებდნენ. ხონის ბაზარზე პარკის აწონა „ყანთრის" მფლობელებს ჰქონდათ ხელში ჩაგდებული. 900-იან წლებში ყოველი ფუთი პარკის აწონა 2 კაპიკი ღირდა. იყო პარკის აწონაზე მონოპოლიის დამყარების ცდები. 1908 წელს ხონის ბოქაულის განკარგულებით, ბაზარში პარკის აწონის უფლება მხოლოდ ხუთ კაცს ჰქონდა. სასწორის მფლობელები ხშირად დალალ-ვაჭრებთან და შემსყიდველებთან იყვნენ დაკავშირებულნი, ისინი შეთანხმებულად მოქმედებდნენ და მეაბრეშუმეებს ატყუებდნენ. ამ გარემოებამ საერთო უკმაყოფილება გამოიწვია, რასაც შედეგად მოჰყვა ხონის ბაზარზე საზოგადო სასწორისა და პარკის აწონაზე მეთვალყურეობისათვის სპეციალური კომისიის შექმნა.

პარკის ბაზარზე სპეკულიანტებისა და ჩარჩ-ვაჭრების შეუზღუდავმა ბატონობამ მეაბრეშუმეთა გაერთიანების — ამხანაგობის დაარსების საჭიროება წარმოშვა. ამხანაგობის უპირველესი მიზანი უნდა ყოფილიყო პარკის რეალიზაციის საქმის მოგვარება, გაუმჯობესებული მანქანა-იარაღების შეძენა, აბრეშუმის ჭიის მოვლის მოწინავე მეთოდების მოსახლეობაში გავრცელება, მეაბრეშუმეთა უზრუნველყოფა საღი და საჭირო რაოდენობის თესლით. ამხანაგობას თავისი აგენტები უნდა ჰყოლოდა საზღვარგარეთ, განსაკუთრებით მარსელსა და ლიონში. ასეთი ამხანაგობის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი იყო სოფელ კუხის ერთკლასიანი სასწავლებლის მასწავლებელი ნ. ი. წერეთელი.

ნესტორ იოსების ძე წერეთელი — ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ხალხოსანი, დაიბადა სოფ. გუბში, მღვდლის ოჯახში. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა პეტერბურგის უნივერსიტეტში გააგრძელა, მაგრამ ავადმყოფობის გამო იძულებული გახდა იაროსლავლში გადასულიყო, მაგრამ აქაც ვერ შეძლო კურსის დამთავრება. 1885 წელს სამშობლოში დაბრუნდა და პედაგოგიურ მოღვაწეობას შეუდგა. ამასთან ერთად, აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში და, დაბეჯითებით შეიძლებაით-

ქვას, რომ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ქვემო იმერეთში არ ყოფილა არც ერთი კულტურული თუ სამეურნეო წამოწყება, რომელშიაც ნესტორ წერეთელს აქტიური და გულმხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს. იგი იყო ხონში თეატრალური წარმოდგენების გამართვის ერთ-ერთი ინიციატორი და სცენისმოყვარე, წიგნით ვაჭრობის ერთ-ერთი პიონერი ქვემო იმერეთში, სასოფლო სკოლების დამაარსებელი და მათზე მუდმივად მზრუნველი. მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა კუხი-გუბის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა, გუბის მომხმარებელთა საამხანაგო მაღაზია „ანგარიში", ურთიერთდამხმარე სასიმინდე და სხვ. ნ. წერეთელი იყო ხონი-ჯიხაიშის სარწყავი არხის გაჭრის ერთ-ერთი თაოსანი. მას სახლში ჰქონდა კარგი საოჯახო აფთიაქი და ღარიბ მოსახლეობას წამლებს უფასოდ ურიგებდა. ნ. წერეთელი თანამშრომლობდა ქართულ და რუსულ პრესაში. მან ფრანგულიდან ქართულად თარგმნა პასტერის ცნობილი გამოკვლევა აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობის შესახებ. ნ. ი. წერეთელი გარდაიცვალა 1905 წ. დასაფლავებულია სოფ. გუბში[49].

ნ. ი. წერეთელს განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის ქვემო იმერეთში მეაბრეშუმეობის განვითარების საქმეში. იგი პარკიდან ძაფის ამოღების ფაბრიკულ წესს და ამისთვის საჭირო მოწყობილობას გაეცნო ჯერ კიდევ 1889 წელს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენაზე. შემდეგ მან მიმართა კავკასიური მეაბრეშუმეობის სადგურს, აგრეთვე, სოფლის მეურნეობის საზოგადოებას პარკის გამოხარშვისა და ძაფის ამოღების შესახებ პრაქტიკულ დარიგებათა მისაღებად. 1890 წელს ნ. წერეთელმა მოსკოვის პოლიტექნიკურ მუზეუმთან არსებულ მეაბრეშუმეობის განყოფილებიდან გაუმჯობესებული კონსტრუქციის ძაფის ამოსაღები დაზგა გამოიწერა. მალე ნ. წერეთელსა და პოლიტექნიკური მუზეუმის მდივანს გონდადტს შორის მჭიდრო ურთიერთობა დამყარდა. ნ. წერეთელი მას ხშირად უგზავნიდა აბრეშუმის ძაფს სარეალიზაციოდ.

1890-1893 წლებში ნ. წერეთელმა მოსკოვური ნიმუშის დაზგების რაოდენობა რვამდე გაზარდა. ამასთან ერთად, იგი ყოველწლიურად უფრო მეტი რაოდენობით ყიდულობდა და

---

[49] იხ. ჟურნ. „კოპერაცია", 1911, № 1, გვ. 8-9. აგრეთვე, ვლ. მოსეშვილის მოგონება (ხელნაწერი დაცულია ხონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში

ახმობდა პარკს, რამაც ადგილობრივ სპეკულიანტთა შორის სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია.

1894 წელს ნ. წერეთელი მოსკოვში გაემგზავრა. იქ იგი პოლიტექნიკური მუზეუმის დახმარებით გულდასმით გაეცნო აბრეშუმის რთვისა და ქსოვის საქმეს, დაათვალიერა საწარმოები და განცვიფრებაში მოიყვანა მოსკოველი ფაბრიკანტები მის მიერ ჩატანილი აბრეშუმის პარკით. მუშაობდნენ რა აბრეშუმის ქსოვილის დამზადებაზე, მათ წარმოდგენა არ ჰქონდათ აბრეშუმის პარკზე[50], — წერდა ნ. წერეთელი. მოსკოვში მან ინახულა ქართველი სტუდენტები, რომელთაც გააცნო თავისი განზრახვა მეაბრეშუმეთა ამხანაგობის დაარსების შესახებ. სტუდენტებმა ეს სასარგებლო საქმედ ჩათვალეს და ნ. წერეთელს დახმარება აღუთქვეს.

1894 წლის დასასრულს მოსკოვიდან ახლადდაბრუნებულმა ნ. წერეთელმა მეაბრეშუმეთა ამხანაგობის დაარსების გეგმა გააცნო ხონის მცხოვრებთა ერთ ნაწილს და კუხის შემნახველ-გამსესხებელი საზოგადოების წევრებს. ყველანი დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ ამ წინადადებას და მის პრაქტიკულ განხორციელებას შეუდგნენ. 1895 წლის 3 თებერვალს ხონელ ნოტარიუსთან გაფორმდა ხელშეკრულება მეაბრეშუმეთა ამხანაგობის დაარსების შესახებ. მას ეწოდა „მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა ქუთაისის გუბერნიაში". „ამხანაგობას მიზნად აქვს, — წერდა „კვალი", — დაეხმაროს თავის წევრთ-მეაბრეშუმეთა, რომ მათ 1. შრომამ ტყუილ-უბრალოთ არ ჩაუაროთ და აბრეშუმი ბლომათ მოიწიონ (ამისათვის ამხანაგობა ეცდება საღი თესლის მათთვის მოპოვებას და საჭირო ცნობების მათში გავრცელებას), 2. რომ მოწეული პარკი რიგიან ფასათ გაყიდონ (ამისათვის ამხანაგობა თავიანთ წევრებს გაუხმობს ან მათვე გაახმობიებს, გამოუხარშავს, ჭიას გამოუხრჩობს ორთქლით, გაუმჯობესებულ იარაღებს: ამოსაღებს, სართავს, საქსოვსა და სხვ. მოუპოვებს და შეასწავლის მსურველთ მათ მოხმარებას. მიიღებს მათგან გასაყიდათ, როგორც აბრეშოულობას, ისე ყოველგვარ ადგილობრივ ხელნასაქმს, შალებს და სხვას და გაუყიდის), ვინც ნაღდ ფულზე მიყიდის ამხანაგობას პარკს, აბრეშუმს ან ქსოვილს, იგი ამ საქონლის მოგებაში მონაწილე არ იქნება, 3. ამხანაგობა თვით დააარსებს

---

[50] Кавказское сельское хозяйство, 1897, N 163, с. 125-128 (შემდეგში შემოკლებით КСХ.

თავის ქარხნებს აბრეშუმეულთა შესამუშავებლად, გამოიწერს მცოდნე კაცს ქსოვის საქმის გასაუმჯობესებლად და სხვ."[51].

შემუშავებულ იქნა „ამხანაგობის" წესდება, რომელიც მთავრობამ 1900 წელს დაამტკიცა. წესდების მიხედვით მას, მეაბრეშუმეობის გარდა, ხელი უნდა შეეწყო სხვა დარგების განვითარებისათვისაც. ამ მიმართულებით „ამხანაგობის" მოვალეობას შეადგენდა თავის წევრთა უზრუნველყოფა ბამბის მაღალი ხარისხის თესლით, ბამბის საწმენდი მანქანის მოწყობა, ბამბის რეალიზაციაზე ზრუნვა და ა. შ. მაგრამ იგი ისე გადაიტვირთა მეაბრეშუმეობის საკითხებით, რომ მას მებამბეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებისათვის აღარ მოუცლია და არც რაიმე ღონისძიებანი გაუტარებია ამ მიმართულებით.

წესდებით „ამხანაგობაში" შესვლის მსურველი იხდიდა საწევროს — პაის — 10 მანეთს. შეიძლებოდა რამდენიმე პაის შეტანა, მაგრამ არა უმეტეს ასისა. მიუხედავად წილის რაოდენობისა, „ამხანაგობის" ყველა წევრი საერთო კრებაზე თანაბარი უფლებებით სარგებლობდა[52].

„ამხანაგობის" წევრთა პირველმა საერთო კრებამ მმართველად აირჩია ნ. ი. წერეთელი, მოლარედ — პ. გ. ცაგარეიშვილი, განათლებული კაცი, ფრანგული ენის კარგი მცოდნე, მდივნად — კუხის სკოლის მასწავლებელი მ. თ. მაჭარაძე. არჩეულ იქნა, აგრეთვე, „ზედამხედველი კომისია" შემდეგი შემადგენლობით: თავადი დ. ი. წულუკიძე, ხონის ორკლასიანი სკოლის ზედამხედველი სტ. დ. გაგუა და მასწავლებელი ალ. თ. მაჭარაძე.

მალე „ამხანაგობამ" თავისი განყოფილებები გახსნა ფარცხანაყანებში, დიდ ჯიხაიში (1899 წ.), მაღლაკში და მათხოჯში (1900 წ.).

---

[51] „კვალი", 1895, № 10, გვ. 2.

[52] წესდების თავდაპირველი პროექტი შედგენილ იქნა 1895 წელს. მასში მე-4 მუხლი „ამხანაგობის" წევრობის შესახებ ასეა ჩამოყალიბებული: „ერთი წილი ღირს 10 მანეთი. მაგრამ წევრ-ამხანაგს რამდენიმე წილის შეტანა შეუძლია, მაშინ მას კრებაში ორი ხმა ეძლევა". ხოლო მე-18 პუნქტს აქვს შენიშვნა: „იმ მონაწილეს, რომელსაც წილი არ შემოუტანია, კრებაში ხმა არ აქვს" (იხ. ქუთაისის ისტორიული მუზეუმი, კ. ლორთქიფანიძის საბანკო არქივი 6417/4182. როგორც ჩანს, წესდების ამ პუნქტებს უთანხმოება გამოუწვევია „ამხანაგობის" წევრთა შორის, რის გამოც ისინი შეუცვლიათ. „ამხანაგობის" წესდება განხილულია ჟურნალში "Кавказское сельское хозяйство", 1897, № 255, 256, 257.

ნ. წერეთლისათვის „ამხანაგობის“ დაარსების საქმეში დიდი დახმარება გაუწევია ილია ჭავჭავაძეს. ხონელი საზოგადო მოღვაწე ილია ბახტაძე იგონებდა: „ნესტორ წერეთელს მე ახლო ვიცნობდი... კუხში ერთი შეხვედრის დროს ნესტორმა მითხრა — ილია ჭავჭავაძემ მირჩია „ქუთაისის გუბერნიაში მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობის“ დაარსება. როდესაც თბილისში ჩავდიოდი მეაბრეშუმეობის საქმეებზე, თუ რაიმე დამჭირდებოდა, ილიას მივმართავდი და ის ყოველთვის მიწყობდა ხელს. ილიას დახმარებით შევიძინე აბრეშუმის ძაფის ამოსაღები და საქსოვი დაზგები“[53].

„ამხანაგობამ“ მოქმედება დაიწყო 1895 წელს კერძო კრედიტის საშუალებით. მას კრედიტი მისცეს ხონელმა ვაჭრებმა (რასაკვირველია, არა პარკით მოვაჭრეებმა). 1897 წლიდან, მას შემდეგ, რაც გაიხსნა სამხრეთ რუსეთის სამრეწველო ბანკის ბათუმის განყოფილება, „ამხანაგობა“ დაუკავშირდა და მისგან ღებულობდა სესხს პარკის გირაოს ქვეშ ან კუხის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის თავდებობით.

პარკის რეალიზაციის გაადვილების მიზნით „ამხანაგობამ“ მოაწყო შესანახი ფარდულები, დადგა გამოსახარში ორთქლის ქვაბები: ხონში, კუხში, ჯიხაიშში, ღანირსა და მაღლაკში. იგი ყოველწლიურად დიდი რაოდენობის პარკს იძენდა, რამაც ნედლი პარკის ფასი 5-6 მანეთიდან 10-11 მანეთამდე გაზარდა.

„ამხანაგობა“ თავისი მოღვაწეობის პირველ წლებში ნუხელ მეაბრეშუმეებთან იყო დაკავშირებული. მას ხმელ პარკზე დაკვეთას აძლევდნენ ცნობილი ნუხელი მეფაბრიკეები: ალა-მუსი მამედოვი, ახმედოვი, კიპრიმოვი, მურადოვი და სხვ. 1898 წლიდან კი მან პარკის გატანა დაიწყო ევროპის, უმთავრესად საფრანგეთისა და იტალიის ბაზარზე. 1898 წელს საზღვარგარეთ მხოლოდ 10 ფუთი გამხმარი პარკი გაიგზავნა, 1899 წელს — ორი ათას ფუთამდე, ხოლო 1900 წელს „ამხანაგობამ“, თავის პარკთან ერთად, საკომისიოდ, ე. ი. გასაყიდად წაიღო ადგილობრივ წვრილ მოვაჭრეთა პარკიც (მ. შნეიდერის, ი. ბეგოვის, ლ. სანოძის, ს. სტურუას, პ. ქოიავას, ი. რევიშვილის, ბ. ფანცულაიას, ა. ნადარეიშვილის და ა. შენგელაიას — სულ 1401 ფუთი). შეძენილი პარკის ნაწილი „ამხანაგობამ“ ადგილზე გაყიდა, სამაგიე-

---

[53] ხონის ადგილობრივი გაზეთი, 1957, № 123.

როდ 444 ფუთი პარკი კვლავ იყიდა. ასე რომ, 1900 წელს საზღვარგარეთ გაგზავნილ 4 ათას ფუთამდე პარკიდან ნაყიდი იყო 2533 და საკომისიო — 1400 ფუთი. ამ მონაცემებით ირკვევა, რომ „ამხანაგობამ" ვერ შეძლო წვრილ მოვაჭრეთა საქმიანობის ალაგმვა და დაკმაყოფილდა შუამავლის როლით უცხოეთის ბაზარსა და ჩარჩ-ვაჭრებს შორის.

„ამხანაგობამ" მჭიდრო კავშირი დაამყარა დასავლეთ ევროპის კაპიტალისტებთან. მაგალითად, 1898 წელს ევროპაში პარკი გაიგზავნა ფრანგული საკომისიო კანტორის სახელზე. კანტორამ პარკი გაყიდა, რისთვისაც მას აღებული თანხის 2% გადაუხადეს. 1899 წლიდან „ამხანაგობა" დაუკავშირდა ფრანგულ ბანკს „Comptoir National d'Export de Paris", რომელიც ავანსს იძლეოდა, ხოლო პარკის რეალიზაცია „ამხანაგობის" სახელით ხდებოდა.

ქუთაისის გუბერნიიდან ევროპაში გაგზავნილი პარკი ეწყო მარსელში, ხსენებული ბანკის სახელზე, რომლის კაპიტალი „ამხანაგობას" ემართა 5%-ად წელიწადში. რეალიზაციის ოპერაციას აწარმოებდა „ამხანაგობის" მიერ დანიშნული აგენტი იმ პირობით, რომ პარკის ფასი მთლიანად ბანკისათვის ჩაებარებია და საქონელიც მისგან მიეღო. პარკის გაყიდვის ასეთი მეთოდი „ამხანაგობას" მყიდველთა ძებნისაგან ათავისუფლებდა. ამ საქმეს ბანკი კისრულობდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართულ პარკა ევროპის ბაზარზე კარგი რეპუტაცია ჰქონდა და მისი გასაღება შუშა-ნუხის პარკთან შედარებით, უზრუნველყოფილი იყო. „მსოფლიო ბაზარზე, — წერდა ი. ქუთათელაძე, — საქართველოში მოყვანილ პარკს საკუთარი სახელი აქვს. მარსელსა და მილანში, საქართველოში დამუშავებული პარკი, კავკასიის სხვა რაიონების პარკიდან გასარჩევად ბირჟაზე აღინიშნება „Caucase Coutais" ანუ „კავკაზ ქუთაისის" სახელით და შუშა-ნუხისა და ბუხარის პარკთან შედარებით მეტ ფასებში იყიდება"[54].

პარკის რეალიზაციის გარდა, „ამხანაგობის" საქმიანობის მნიშვნელოვან უბანს მეაბრეშუმეთა საღი და მაღალი ხარისხის თესლით მომარაგება შეადგენდა. იმის გამო, რომ საქართველოში თესლის დამზადება სათანადო სიმაღლეზე არ იდგა, „ამხანაგობა" უცხოურ ფირმებთან იყო დაკავშირებული. მას გრენით, ძირითადად ამარაგებდა ბერძენი ხრის-

---

[54] ჟურნ. „მოსავალი", 1910, № 7, გვ. 6.

ტოდულიდი. ნ. წერეთლის ინიციატივით გრენის შესანახად სპეციალური ბინა აიგო. „ამხანაგობის“ მიერ გაცემულ გრენას ხალხი „წერეთლის თესლს“ ეძახდა. ცდილობდა რა თავის სამოქმედო ზონაში საღი თესლის გავრცელებას, მას ბრძოლა უხდებოდა თესლით მოვაჭრე ჩარჩ-სპეკულიანტებთან. 1899 წელს მათ მთავრობასთანაც კი უჩივლეს „ამხანაგობას“, მაგრამ უშედეგოდ. ამ უკანასკნელმა მიაღწია იმას, რომ თესლისათვის მას მიმართავდნენ არა მარტო მისი წევრები, არამედ სხვა მეაბრეშუმეებიც.

„ამხანაგობა“ დიდ ყურადღებას აქცევდა ქსოვის საქმის გაუმჯობესებას. ამ მიზნით მან ხონსა და კუხში გახსნა ძაფსაღები და აბრეშუმის საქსოვი სახელოსნოები. მოიწვიეს საფეიქრო საქმის გამოცდილი ოსტატი ფირალოვი (ფირალიშვილი) და მხატვარი დოვჟენკო. საკმარისი აღმოჩნდა ოსტატს ნახევარი წლის განმავლობაში დაეკვირვებია სოფლელი ქალიშვილები ქარხნის წმინდა აბრეშუმის ძაფის მოხმარებაზე, რომ შემდეგ მათ დამოუკიდებლად განეგრძოთ მუშაობა. მაგრამ ამ წამოწყების ნაკლი იმაში მდგომარეობდა, რომ ფეიქარს უხდებოდა ძაფის ამოღება, დართვა, შეღებვა და ქსოვაც. ეს, რასაკვირველია, ქსოვაში დახელოვნებას ხელს უშლიდა, რაც პროდუქციის ხარისხზე მოქმედებდა. საფეიქრო საქმეს „ამხანაგობამ“ იმიტომ მოჰკიდა ხელი, რომ ძველი დროიდანვე აბრეშუმისა და შალის ქსოვა, აგრეთვე, ღებვაც საშინაო, საოჯახო საქმედ იყო გადაქცეული. მან კი მიზნად დაისახა მოსახლეობაში ქსოვის ფაბრიკული წესების გავრცელება და დანერგვა. იმერელი ფეიქარი ქალების მაღალ დახელოვნებას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ „ამხანაგობის“ საფეიქრო ნაწარმმა 1900 წ. პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე ბრინჯაოს მედალი, ხოლო კავკასიის საიუბილეო გამოფენაზე 1901 წელს ოქროს მედალი დაიმსახურა[55].

„ამხანაგობამ“ მოაწყო საფეიქრო-სახელოსნო სკოლა, სადაც 1897 წელს 32 მოსწავლე იყო. 1900 წელს „ამხანაგობას“ 20 საქსოვი დაზგა ჰქონდა. ეს დაზგები განაწილებული ჰქონდათ ქსოვის საქმეში დაოსტატებულ ქალებს ხონში, კუხში, გუბში, იანეთში, დიდ ჯიხაიშში, ქუთაისში, ჩუნეშში და სხვ.

---

[55]მეექვსე ანგარიში ქუთაისის გუბერნიის პირველი ამხანაგობისა 1900 წლისათვის შედარებით წინა წლების ანგარიშებთან, ქუთ., 1902, გვ. 15.

1899 წელს „ამხანაგობის" საქმიანობით დაინტერესდა მოსკოვის სავაჭრო სახლი „Ильин с сыновьями", რომელიც აბრეშუმის ნედლეულით ვაჭრობდა. მას განზრახული ჰქონდა ქუთაისის გუბერნიაში ძაფსადები ფაბრიკა მოეწყო. გადაწყდა ასეთი ფაბრიკა ხონში აგებულიყო, მაგრამ შემდეგ აღნიშნულმა სავაჭრო სახლმა თავისი პირვანდელი გეგმა შეცვალა და რკინიგზის სიახლოვის გამო 1900 წელს ძაფსადები ფაბრიკა სამტრედიაში გახსნა[56].

„ამხანაგობის" ისტორიაში ყველაზე ნაყოფიერ პერიოდად 1895-1905 წლები უნდა ჩაითვალოს. თავისი ღონისძიებებით მან შეძლო მნიშვნელოვნად გაეუმჯობესებია პარკის რეალიზაციის საქმე, მოსახლეობაში სადი გრენი გაევრცელებინა, მოეწყო ძაფსახვევი და საფეიქრო სახელოსნოები. ყოველივე ამის გამო მან ნდობა და ავტორიტეტი მოიპოვა მთელს ქვემო იმერეთში. 1903 წელს „ამხანაგობას" 2000-ზე მეტი წევრი ჰყავდა 20.000 მანეთის საპატიო კაპიტალით, ხოლო წლიური ბრუნვა 300.000 მანეთს შეადგენდა[57].

„გარდა მატერიალური სარგებლობისა, — წერდა ნ. წერეთელი, — „ამხანაგობამ" შესძინა მეაბრეშუმეებს ზნეობითი მოგება, გამოფხიზლება, გამოღვიძება, ყურები ცქვიტეს არა მარტო მეაბრეშუმეებმა, როცა „ამხანაგობის" ანგარიში მოისმინეს, ჩვენმა ვაჭრებმაც ახლა შეიტყვეს, თუ რა მოგება ჰქონდათ ამ ხანს მოსულ ვაჭრებს, რომლებიც უფულოდ ჩამოვიდოდნენ, აქ ფულს ჩვენს ვაჭრებს ართმევდნენ ერთი ან ორი თვით, პარკს მუქთათ ყიდულობდნენ და ერთში ათას იგებდნენ"[58].

1905 წლიდან „ამხანაგობის" საქმიანობა თანდათან შესუსტდა, რის გამოც ხონის პარკის ბაზარი კვლავ ჩარჩვაჭრებსა და გადამყიდველებს ჩაუვარდათ ხელში. თუ წინა წლებში პარკის საზღვარგარეთ გაგზავნას „ამხანაგობა" ხელმძღვანელობდა, ახლა პარკის რეალიზაციის საქმის მოგვარებას თვით მეაბრეშუმეები ცდილობდნენ. მაგალითად, 1910 წელს ხონისა და მის მახლობლად მდებარე სოფლების მეაბრეშუმეებმა პარკი უცხოეთში გასაყიდად ვიღაც ბინზენმანს გაატანეს. მან კი ხონელები სასტიკად მოატყუა. იმავე

---

[56] მ. ნიკოლეიშვილი, სამტრედიის ისტორიიდან, თბ., 1957.

[57] Обзор Кутаисской губернии за 1903 г., Кут., 1905,6, с. 39.)

[58] ნ. წერეთელი, მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა ქუთაისის გუბერნიაში და მისი საქმეები, ტფ., 1897, გვ. 6.)

წელს ი. ქუთათელაძე მარსელიდან გამოგზავნილ წერილში აღნიშნავდა: დასავლეთ საქართველოდან „პარკის ექსპორტი დაიწყო წვრილ ვაჭარ-მწარმოებელმაც. იგი მსოფლიო ბაზარზე გამოვიდა თავისი საქონლით, წუღითა და ჩოხით. ზოგ მათგანს რუსულ-ფრანგულად კი არა, ქართულადაც ვერ მოუხერხებია ორიოდე სიტყვის დაწერა. ტომრებზე რიცხვების აღსანიშნავად ნახშირით დაუსვამს რაღაც ჯვარედინები"[59].

„ამხანაგობამ" ფაქტობრივად არსებობა შეწყვიტა. აღარ იწვეოდა საერთო კრებები, შენელდა პარკის შესყიდვა და თესლის გავრცელება. „მისი ქონება აღწერა ბათუმის ბანკმა და სულ მოკლე ხანში გაჰყიდის. ბათუმის ბანკს შეუერთდა კუხისა და გუბის სასოფლო ბანკები და დღეს თუ არა ხვალ „ამხანაგობა" უნდა მოკვდეს. იღუპება ისეთი „ამხანაგობა", რომელმაც დაუფასებელი სამსახური გაუწია მეაბრეშუმეობის საქმეს ჩვენს მხარეში", — წერდა გაზეთი „მერცხალი" 1913 წელს[60].

მეაბრეშუმეობის საქმის გულშემატკივრები მოითხოვდნენ „ამხანაგობაში" შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებას. წამოაყენეს წინადადება ქუთაისის კოოპერაციულ ამხანაგობასთან გაერთიანების შესახებ. მაგრამ „ამხანაგობის" კვლავ ფეხზე დაყენების ცდებს რეალური შედეგი არ მოყოლია. პირველი მსოფლიო ომის დროს მან არსებობა შეწყვიტა.

„მეაბრეშუმეთა პირველმა ამხანაგობამ ქუთაისის გუბერნიაში" (ისევე როგორც ამ ტიპის ამხანაგობებმა „შუამავალმა", „კოლხიდამ" და სხვ.), ცხადია, ვერ შეძლო, და არც შეეძლო მეაბრეშუმეთა მდგომარეობის არსებითი გაუმჯობესება. მათ საქმიანობას აფერხებდა ცარიზმის კოლონიური ეკონომიკური პოლიტიკა. გარდა ამისა, მეაბრეშუმეთა ამგვარ კოოპერაციულ ამხანაგობებში იმთავითვე ახერხებდნენ მოკალათებას შემსყიდველები, რომლებიც ამიერიდან სწორედ ამ კოოპერატივების მეშვეობით ხშირად ხელთ იგდებდნენ ხოლმე მთელი რაიონების პარკის მოსავლის ექსპორტის საქმეს მილანსა ან მარსელში.

ჯერ კიდევ 1897 წელს „კვალში" გამოქვეყნდა კრიტიკული წერილები „ამხანაგობის" საქმიანობის ცალკეულ საკითხებზე. ავტორები მიუთითებდნენ მთელ რიგ ნაკლოვანებებზე. მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა, „ამხანაგობამ" დადებითი როლი შეასრულა ქვემო იმერეთში მეაბრეშუმეობის განვითარების საქმეში.

---

[59] „მოსავალი", 1910, № 7, გვ. 9-10.

[60] გაზ. „მერცხალი", 1913, № 39, გვ. 4.

## 4. ხელოსნობა და მინამრეწველობა

ხონში რეფორმის შემდგომ ხანაში სწრაფად იზრდებოდა წვრილი სარეწების რაოდენობა. ახალი წვრილი სარეწების გაჩენა და უკვე არსებულთა გაფართოება ბურჟუაზიულ ურთიერთობათა შემდგომი განვითარების ერთ-ერთი ფორმა იყო.

ხონში, 1882 წლის მონაცემებით, 55 სახელოსნო იყო. მათ შორის: სამჭედლო – 18, აზიური ფეხსაცმელების სამკერვალო – 20, ევროპული ფეხსაცმელების სამკერვალო – 3, სამღებრო – 2, მეუნაგრის – 4, ვერცხლის სამჭედლო – 4, საპარიკმახერო – 2 და ა. შ.[61] სახელოსნოების მფლობელთა რაოდენობა დაბის მოსახლეობის (3987 კაცი) 1,3%-ს შეადგენდა. მათი უმრავლესობა ფართოდ იყენებდა დაქირავებულ შრომას. 55 სახელოსნოდან 40-ში (ე. ი. სახელოსნოების 73%) სამ-სამი დაქირავებული მუშა იყო თითოეულში. სულ სახელოსნოებში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა 188 კაცით განისაზღვრებოდა, რაც საერთო მოსახლეობის 4,7% შეადგენდა. სახელოსნოთა შორის იყო საკმაოდ მოზრდილებიც, როგორც, მაგალითად, ექვთიმე ჯალადანიას აზიური ფეხსაცმლის სახელოსნო, სადაც 12 დაქირავებული მუშა მუშაობდა.

1888 წლის ანალოგიური მონაცემებით (სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებათა გენერალური შემოწმების ჟურნალები) ხონში 128 სახელოსნო იყო[62]. სახელოსნოს მფლობელები, მეეტლეებთან ერთად (სულ – 149), მოსახლეობის (4963 კაცი) დაახლოებით 9% შეადგენდა. ამგვარად, ექვსი წლის მანძილზე სახელოსნოთა რაოდენობა ერთიორად გაიზარდილა. სახელოსნოების მფლობელთა ნახევარი ხონის ახლო-მახლო სოფლებიდან და აღმოსავლეთ სამეგრელოდან მოსული პირები იყვნენ. 1887 წლის მონაცემები ამის შესახებ შემდეგ სურათს იძლევა: 128 სახელოსნოდან 66 ჩამოსულ პირებს ეკუთვნოდათ, მათ შორის – 3 ჯიხაიშელი იყო, 1 – ზუგდიდელი, 2 – სენაკელი, 2 – აბაშელი, 2 – ივანდიდელი, 7 – კონტუათელი, 2 – ქუთაისელი და ა. შ.[63]

80-იანი წლების მეორე ნახევარში ხონში ახალი სახელოსნოები ჩნდება, როგორიცაა: საათების შემკეთებელი,

---

[61] სცსა, ფ. 58, აღწ. 1, საქ. 313, ფურც. 12-30.

[62] იქვე, ფ. 264, საქ. 3983, ფურც. 216-232.

[63] იქვე, საქ. 3746, ფურც. 67-102.

სათუნუქე და სხვ. იზრდება პურის საცხობთა და სადალაქოთა რაოდენობა. თუნუქის ფართოდ გამოყენებამ, მაგალითად, ყავრის ნაცვლად სახლების გადასახურავად, ნავთის ჭურჭლად, ძაბრებად და სხვა, წარმოშვა სათუნუქე სახელოსნოს გახსნის საჭიროება; საათების მქონებელთა გარკვეული რაოდენობის გარეშე არარენტაბელური იქნებოდა საათების შემკეთებელი სახელოსნოს არსებობა. ხონში არასამიწათმოქმედო მოსახლეობის გამრავლებამ მოთხოვნილება გაზარდა გამომცხვარ პურზე, რამაც პურის საცხობთა რაოდენობის ზრდა გამოიწვია.

ხელოსნობა ქალაქის ყოფაცხოვრების აუცილებელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, მაგრამ იგი გავრცელებულია სოფლადაც და გლეხური მეურნეობის დამატების დანიშნულებას ასრულებდა. სოფლის მოსახლეობის განსაზღვრულ პროცენტს შეადგენდნენ ხელოსანი სპეციალისტები, რომლებიც ხან მხოლოდ და მხოლოდ, ხან კი მიწათმოქმედებასთან დაკავშირებით ამუშავებდნენ ტყავს, კერავდნენ ფეხსაცმელსა და ტანსაცმელს, ასრულებდნენ სამჭედლო სამუშაოს, ღებავდნენ შინაურ ქსოვილს, ალამაზებდნენ გლეხურ მაუდს, ფქვავდნენ ხორბალს და სხვ. ზუსტად ძნელია იმის გამორკვევა, რა ზომით იყვნენ დაკავშირებული მიწათმოქმედებასთან წვრილ საწარმოთა მფლობელები, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მცირემიწიანობას საერთოდ ქვემო იმერეთში, მახლობლად მდებარე სოფლებში მცხოვრებ გლეხთა მისწრაფებას დასახლებულიყვნენ ხონში იმის იმედით, რომ იქ შედარებით ადვილი იყო საარსებო საშუალებების მოპოვება, აგრეთვე იმასაც, რომ დაბა თანდათან ქალაქის სახეს იღებდა, შეიძლება დავასკვნათ, რომ წვრილ სარეწებში დასაქმებულთა ჩამოშორება მიწათმოქმედებისაგან აღმავალი ხაზით და სწრაფად მიმდინარეობდა.

კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად წვრილი სარეწის მფლობელს, უმთავრესად ოსტატს, გამდიდრების სურვილი იპყრობს. იგი ყოველნაირად აჭიანურებდა ხელობის შესწავლის დამთავრებას და ქარგალ-შეგირდებს ხელფასის აუნაზღაურებელ მუშებად აქცევდა. ოსტატი მათ აიძულებდა ემუშავათ 14-15 საათი ბნელ, ნესტიან შენობებში. გარდა ამისა, შეგირდი გაცილებით მეტ სამუშაოს ასრულებდა ოსტატის სახლში, ვიდრე სახელოსნოში. ამ მხრივ იგი თითქმის არაფრით არ განსხვავდებოდა მოჯამაგირისაგან. „არა მგონია, — წერდა „ეკალი", — რომელიმე სხვა დაბაში ან

ქალაქში, ნოქარ-შეგირდები ისეთ აუტანელ პირობებში ცხოვრობდნენ, როგორც ხონში. ნესტიანი ოთახები, რომლებიდანაც ხშირად რევმატიზმი უჩნდებათ, უზომო შრომა, მცირე ჯამაგირი... ყველაზე მეტად გაჭირვებას განიცდიან ხარაზების შეგირდები, რომლებიც მთელ ღამეებს მუშაობაში ატარებენ, მჭედლებშიც მთელი ღამე მუშაობაა გართული“[64].

XX საუკუნის ათიან წლებში ხონში ტანსაცმლის რამდენიმე სამკერვალო სახელოსნო იყო, სადაც ძირითადად ქალები მუშაობდნენ. „მთელ დაბას მოედო სამკერვალოები, — ვკითხულობთ ერთ-ერთ იმდროინდელ გაზეთში, — სადაც 50-მდე შეგირდი ქალი ირიცხება. მათი შრომის პირობები მეტად მძიმეა. აქ იშვიათია ქარგალი, წმინდა მომუშავე ქალი, რადგან სოფლიდან ბევრ საშეგირდოს შოულობენ. პატრონებსაც ეს უნდათ, ურიგდებიან მშობლებს მათთვის ხელსაყრელ ფასებში... სწავლობს თუ არა ხელობას, ეს არავინ უწყის. მეტად უნუგეშო მდგომარეობაში არიან ჩაყენებული შეგირდი ქალები“[65].

აღნიშნული მაგალითებიდან ჩანს, რომ წვრილი საწარმო, ფაქტობრივად, კაპიტალისტურ ხასიათს იღებდა, ხოლო მისი მფლობელი წვრილი ბურჟუა ხდებოდა.

კაპიტალისტურ ურთიერთობათა ზრდას თან ახლდა შინამრეწველობისა და კუსტარული წარმოების დაცემის პროცესი. შედარებით იაფფასიანი და მაღალი ხარისხის ფაბრიკული საქონელი ბაზრიდან დევნიდა კუსტარულ ნაწარმს XIX საუკუნის 80-90-იან წლებში, ოფიციალური მონაცემებით, ხონში, და საერთოდ ქვემო იმერეთში, მკვეთრად შემცირდა აბრეშუმის კუსტარული წარმოება. მაგრამ შინამრეწველობის ზოგიერთი დარგი, ეკონომიკური ჩამორჩენილობისა და სუსტად განვითარებული მანქანური მრეწველობის პირობებში, ჯერ კიდევ ინარჩუნებდა თავის მნიშვნელობას. შინამრეწველობის ასეთი დარგი იყო მაუდის (შალის) კუსტარული წარმოება.

XX საუკუნის ათიან წლებში ქუთაისის მაზრაში მაუდის ქსოვას ეწეოდა 37 სასოფლო საზოგადოება, რომელიც 159 დასახლებულ პუნქტს აერთიანებდა — სულ 6574 კუსტარი. ეს მაზრის მოსახლეობის 3,7% შეადგენდა[66]. მაუდის კუსტარულ წარმოებაში ძირითადად ქალები იყვნენ დასაქმებული.

---

[64] გაზ. „ეკალი“, 1908, № 30, გვ. 4.

[65] გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1916, № 129, გვ. 3.

[66] А. С. Пиралов, Краткий очерк кустарных промыслов Кавказа, СПб, 1913, с. 44.

მიუხედავად იმისა, რომ ისინი პრიმიტიულ საქსოვ დაზგებზე მუშაობდნენ, იმერული მაუდი განთქმული იყო მთელს ამიერკავკასიაში და თანდათან გზას იკაფავდა მის ფარგლებს გარეთაც. XIX საუკუნის 90-იან წლებში, გაზ. „ნოვოე ობოზრენიეს" ცნობით, თბილისში არსებულმა ერთმა ფრანგულმა ფირმამ ხონელ ფეიქარ ქალებს დავალება მისცა მოსასხამი მოექსოვათ. ნამუშევარი შესანიშნავი გამოვიდა და ფირმამ 60 მანეთი გადაიხადა. ფრანგებმა ეს მოსასხამი, ალბათ, თავიანთ ნახელავად გაასაღეს და დიდი თანხაც აიღესო, — წერდა გაზეთი[67].

კუსტარული წესით მოქსოვილი მაუდი იყიდებოდა ცალკე ნაჭრებად, რომელსაც „შალს" ეძახდნენ. სირბილით, სინაზითა და ლაზათიანობით ხონური შალი გამოირჩეოდა. ამიტომ ხონი ამიერკავკასიაში ცნობილი იყო შალის კუსტარული წარმოებითაც. ხონში XIX ს. ბოლოსათვის წლიურად 8-10 ათასი ფუთი შემოტანილი მატყლი იყიდებოდა. მატყლის ამ რაოდენობიდან 48 ათასამდე „შალის" დამზადება შეიძლებოდა, რაც ხონის მოსახლეობას წლიურად 400.000 მანეთამდე მოგებას აძლევდა. მატყლს დიდი რაოდენობით ამზადებდნენ ადგილზეც. ხონის რაიონში მრავლად იყო იმერული წმინდა ჯიშის ცხვარი (ამჟამად ამ ცხვრის ჯიში შემორჩენილია სოფლებში: გორდი, ხიდი, დედალაური, ბესიაური). ეთნოგრაფ რ. ჩხაიძის დაკვირვებით, ეს ცხვარი იმ ჯიშის გაგრძელება უნდა იყოს, რომელსაც ანტიკური დროის ავტორები „კოლხურ ცხვარს", „ოქროს ვერძს" უწოდებდნენ. ასეთი ცხვრის უმრავლესობას ღია ოქროსფერი მატყლი აქვს, რომელსაც შეღებვა არ ჭირდება. იმერული ცხვრის მატყლისაგან დამზადებული ნახევრადნაზი ქსოვილი — ხამშალი, შესანიშნავი საჩოხე და საყაბალახე (ბაშლაყი) მასალა იყო. მას ჩვეულებრივ ადგილობრივი მცენარეული საღებავით — ლაფანით ღებავდნენ. ამის შედეგად მიიღებოდა მოოქროსფერო ჟღალი ფერის ქსოვილი.

მატყლით ვაჭრობა გაფართოვდა. მეორე გილდიის ხონელ ვაჭარს ი. ბალანჩივაძეს სანოძის სახლში გახსნილი ჰქონდა სავაჭრო, სადაც მხოლოდ მატყლი იყიდებოდა. მისი წლიური ბრუნვა 2000 მანეთს, ხოლო მოგება 500 მანეთს შეადგენდა. ეს კი მატყლის ვაჭრობის სარფიანობის მაჩვენებელი იყო.

---

[67] НО, 1894, № 3567.

ხონური, და საერთოდ, იმერული შალის მომხმარებელი იყო არა მარტო გუბერნიის მოსახლეობა, არამედ ჯარის ნაწილებიც. ყოფილი ვაჭრის ს. ო. სანობის გადმოცემით, ხონის ბაზარზე გამოტანილ „შალს" დიდი რაოდენობით ყიდულობდნენ ებრაელები და ქალაქებში მიჰქონდათ ჯარის საჭიროებისათვის. „შალის" შესაძენად ხონში განსაკუთრებით ბევრი ებრაელი ჩამოდიოდა ქუთაისიდან. მათ მიერ ხონში შეძენილ შალს ყიდულობდა ქუთაისში არსებული მთავარი სამხედრო საწყობი.

ხონში შალით ვაჭრობა ჩარჩ-შემსყიდველებმა ჩაიგდეს ხელში. დაქსაქსულ და არაორგანიზებულ ღარიბ შინამრეწველთა მძიმე შრომასა და ცხოვრების პირობებზე იყო დამყარებული მდიდარ შინამრეწველ-შემსყიდველთა, მევახშე-კულაკთა, ვაჭარ-შუამავალთა და გაჭარ-მრეწველთა მთელი სარფიანობა. ხონში შემსყიდველი ისე იაფად იძენდა, მაგალითად, შინამრეწველურ შალის ქუდებს, რომ ამიერკავკასიის, იმიერკავკასიის და ყირიმის კურორტებზე შეეძლო 4 და 5-ჯერ მეტად გაეყიდა. ასეთ შემთხვევაში შინამრეწველი მხოლოდ მატყლის ფასს ინაზღაურებდა და სავსებით კარგავდა თავის ისედაც მცირე ხელფასს. ამის გამო ხონში ცდილობდნენ დაეარსებინათ შინამრეწველთა და მეურნეთა ამხანაგობა, რომელიც შეძლებდა ორგანიზებული წინააღმდეგობა გაეწია ჩარჩ-ვაჭართა შემოტევებისათვის. მაგრამ ასეთი ამხანაგობის დაარსების განზრახვას რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

აბრეშუმისა და შალის ქსოვის ფართოდ გავრცელების გამო ხონში მაღალ დონეზე იდგა ქსოვილის ღებვის საქმე. ხონის სამღებროები ცნობილი იყო მთელს საქართველოში. XIX საუკუნის 80-იან წლებში აქ ხუთი სამღებრო სახელოსნო მუშაობდა. ხონელი მღებავები: სიმონ ბახტაძე, ანდრია სანაძე, სამსონ მელაძე, მელიტონ ბუაძე და სხვ. დაკვეთებს იღებდნენ არა მარტო ადგილობრივი მოსახლეობიდან, არამედ დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან. ხონში ჰქონდა სახელოსნო გახსნილი ქსოვილის ღებვის ცნობილ სპეციალისტს ქუთაისის გუბერნიაში გიორგი ჭოლოშვილს.

## 5. მცირე კაპიტალისტური საწარმოები

წვრილ საწარმოთა გამრავლება რეფორმისშემდგომ ხანაში კაპიტალიზმის განვითარების მხოლოდ ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა. კაპიტალიზმის იგივე ზრდა ქვეყნის სხვა ნაწილებში და მრეწველობის სხვა დარგებში სულ სხვანაირად იჩენდა თავს, არა წვრილი წარმოებითა და შინამუშების რიცხვის გამრავლებით, არამედ მათი შემცირებით, რომელსაც ნთქავს ფაბრიკა. შინამრეწველობის დაცემისა და კაპიტალისტური ფაბრიკის გამარჯვების ყველაზე ნათელი მაგალითი იმერეთში საფეიქრო მრეწველობის, აბრეშუმის დამამუშავებელმა დარგმა მოგვცა. ფაბრიკული წესით ამოღებულმა მაღალი ხარისხის ძაფმა მკვეთრად შეამცირა მოთხოვნა სახლში დამზადებულ ძაფზე, ხოლო აბრეშუმის ფაბრიკულმა ქსოვილმა, რომელიც სულ უფრო იკაფავდა გზას, შინამრეწველურ ქსოვილზე. ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით, 900-იან წლებში ხონის ბაზარზე „ყაჭის ძაფი“ და სახლში მოქსოვილი „აბრეშუმი“ ნაკლებად იყიდებოდა. მაგრამ ამას არ გამოუწვევია მეაბრეშუმეობის განვითარების შეფერხება. თუ წინათ მეაბრეშუმე ძაფის ამომღებიც იყო, მრთველიცა და ფეიქარიც, ახლა იგი მხოლოდ პარკის მოყვანაზე ზრუნავდა, პარკის დამუშავებას კი აწარმოებდა ფაბრიკა.

XIX საუკუნის 70-80-იან წლებში, როგორც უკვე ითქვა, უცხოელმა კაპიტალისტებმა სცადეს ხონში მცირე მასშტაბის ძაფსაღები წარმოება მოეწყოთ. უცხოელი საქმოსნების წარმატებებმა ამ დარგში ადგილობრივი პირებიც დააინტერესა. აბრეშუმის ძაფის ამოღების ფაბრიკული წესის გასავრცელებლად ენერგიული ზომები მიიღო „მეაბრეშუმეთა პირველმა ამხანაგობამ ქუთაისის გუბერნიაში“, XIX საუკუნის 90-იან წლებში კი ხონის მკვიდრმა მ. პ. სანოძემ მოზრდილი ძაფსაღები ფაბრიკა ააგო. ფაბრიკის ორთქლის ძრავის სიმძლავრე თავდაპირველად 17 ცხენის ძალას უდრიდა. მისი მშენებლობა 30 ათას მანეთამდე დაჯდა. 1899 წელს ფაბრიკაში 40-მდე მუშა იყო დასაქმებული და 1500 ფუთ ნედლ პარკს ამუშავებდა. 1903 წ. აქ უკვე 120 მუშა იყო დასაქმებული, ხოლო გამომუშავებული პროდუქციის საერთო ღირებულება 20.000 მანეთს შეადგენდა[68]. აბრეშუმის

---

[68] Обзор Кутаисской губернии за 1903 г., Кут., 1905, с. 58.

ძაფის ნაწილს მ. სანოძე მოსკოვის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკებს უგზავნიდა, ხოლო ნაწილს ადგილზევე, ხონში ყიდდა. გაზეთი „კვალი“ წერდა: „... აქ აბრეშუმის ამოსახვევი ფაბრიკა მუშაობს და თავისი „გუდოკით“ ხონელებს გადაძახებს: „მე ვარ თქვენი მერმისი და თქვენთან ერთად დანარჩენი ქართველებისაო“[69]. აბრეშუმის ძაფსალები წარმოების წარმატება ხონში აიხსნება იმით, რომ აქ აბრეშუმის დამუშავების დიდი ტრადიციები ჰქონდათ და ამ საქმის კარგი სპეციალისტები ჰყავდათ.

მ. სანოძის ფაბრიკაში ძირითადად ქალებისა და მცირეწლოვანთა შრომა გამოიყენებოდა. „ამ ოთხ-ხუთ წელიწადში, – აღნიშნავდა ერთი თანამედროვე, – აქაურმა აბრეშუმის ამოსალებ-სართავმა ფაბრიკებმა ქალიც გამოიყვანა ეზოდან სამუშაოთ. სწორედ ევროპული ფაბრიკა მოგაგონდება, რომელსაც ხედავ ას-ორას 15-16 წლის ქალს, რომლებიც ელექტრონული სიჩქარით ატრიელებენ ჯარას“[70].

მძიმე პირობებში უხდებოდათ შრომა ფაბრიკის მუშა-ქალებს. საყვირი ჯერ კიდევ გათენებამდე ეძახდა მათ ფაბრიკაში. მუშების უმრავლესობა მახლობელ სოფლებში მცხოვრები ქალები იყვნენ. ისინი, სამუშაოზე რომ არ დაგვიანებოდათ, ხონში ღამით ჩამოდიოდნენ. სამუშაო დღის ხანგრძლივობა 13-14 საათს აღემატებოდა. ამას ემატებოდა საშინელი სუნი, განსაკუთრებით პარკის ხარშვის დროს, და მდუღარე წყალში ხელებით მუშაობა. ასეთი შრომის საზღაურად მუშა-ქალები დღიურად 25-60 კაპიკს ღებულობდნენ.

მ. სანოძის დაღუპვის შემდეგ (მოკლეს სრულიად უდანაშაულოდ 1906 წელს) ძაფსალები ფაბრიკა ერთხანს იჯარით აიღო ვინმე ტერ-გერუქოვმა, რომლის დროს მუშათა მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. ტერ-გერუქოვი სამუშაოზე მცირეწლოვანი ქალების მიღებას ამჯობინებდა, რადგან მათ გაცილებით ნაკლებ ხელფასს აძლევდა, ვიდრე მოზრდილებს.

ქალთა და მცირეწლოვანთა შრომა ფართოდ გამოიყენებოდა, აგრეთვე, პარკის სახმობ ფარდულებში ანუ „ყაზარმებში“, ადგილობრივი მოსახლეობის ტერმინოლოგიით. ხონში 900-იან წლებში 12-მდე ასეთი ფარდული იყო, რომლებიც

---

[69] „კვალი“, 1892, № 18, 2.V, გვ. 287-290.

[70] „კვალი“, 1898, № 36, 20.VIII, გვ. 596-597.

ადგილობრივ ვაჭრებსა და შემსყიდველებს ეკუთვნოდათ. ფარდულებს ისინი ხშირად ხონში ჩამოსულ პარკით მოვაჭრეებზე აქირავებდნენ. ს. ო. სანოძის გადმოცემით, 2-3 თვით პარკის სახმობი ფარდულის დაქირავება 200-300 მანეთი ღირდა. ფარდულებში უმეტესად ქალები მუშაობდნენ, თითოეულში არანაკლებ 30-40 ქალი. ისინი არჩევდნენ და პარკს ხარისხის მიხედვით აწყობდნენ. „ყაზარმებში" მუშაობა საათობით არ განისაზღვრებოდა. სამუშაო დღე იწყებოდა გათენებისთანავე და გრძელდებოდა დაღამებამდე. დღიური გამომუშავება 15-30 კაპიკს უდრიდა. პარკის სახარშავ ღუმელებზე მამაკაცები მუშაობდნენ. განსაკუთრებით მძიმე იყო პარკის გამოხარშვის პერიოდი. მუშები მთელი დღეების განმავლობაში უნდა მდგარიყვნენ გახურებულ ღუმელებთან, გამოხარშული პარკისაგან დამძიმებულ ატმოსფეროში, და ამის საფასურად დღეში ერთ მანეთს იღებდნენ.

ხონის ჩრდილოეთით სამშენებლოდ (მათ შორის გემთმშენებლობაში) გამოსადეგი ხით მდიდარი ტყიანი ადგილები მდებარეობდა. მათ უცხოელი კაპიტალისტების ყურადღება მიიპყრეს. XIX საუკუნის 80-იან წლებში უცხოურმა ფირმამ „იოლესმა" დასავლეთ საქართველოში სპეციალურად მოავლინა მეცნიერი ნერინგი კურძოს აგარაკის ხე-ტყის ხარისხისა და მარაგის შესასწავლად. ნერინგის გამოანგარიშებით, მარტო კურძოს აგარაკის უმაღლესი ხარისხის ხე-ტყის მარაგი 800 მილიონ კუბურ ფუტს აღემატებოდა, ხოლო საექსპლოატაციოდ გამოსადეგი ხეების რაოდენობა გორდში და მის მახლობლად მდებარე ადგილებში მილიონამდე ღერს უდრიდა. 80-90-იან წლებში იწყება დასახელებული აგარაკების ხე-ტყის ექსპლოატაცია, რისთვისაც ხონის მახლობლად, ცხენისწყლის სანაპიროზე, რამდენიმე სახერხი ქარხანა აშენდა. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ მრეწველ სერებრიაკოვის, ნადარეიშვილის, ჩხენკელის და სხვათა სახერხი ქარხნები. XX საუკუნის ათიან წლებში ამ ქარხნებში დასაქმებულ მუშათა რაოდენობა 600 კაცს აღემატებოდა.

ხონში ამავე პერიოდში არსებობდა ხე-ტყის სარეალიზაციო სავაჭრო საწყობები თავად მ. დ. ჩიქოვანის, ვას. ჩიხლაძის, ბ. ჩიქოვანის, კ. ჩიხლაძის, ივ. ბარქაიას და სხვ. ამ საწყობების მფლობელთა ერთი ნაწილი თვით აწარმოებდა ხე-ტყის დამზადებასა და რეალიზაციას. XX საუკუნის ათიან წლებში ხონში შედგა ხე-ტყის მრეწველთა „ამხანაგობა", რომელსაც განზრახული ჰქონდა ხე-ტყის სახერხი მოზრ-

დილი ქარხანა აეგო და ახალი ტიპის მანქანები შეეძინა. „ამხანაგობამ“ გ. მებუკისაგან მიწა იჯარით აიღო და ქარხნისათვის საჭირო მოწყობილობა გამოიწერა[71]. ამავე „ამხანაგობას“ სურდა ხონში ახალი ძაფსაღები ფაბრიკა აეგო, მაგრამ ეს წამოწყებანი, პირველი მსოფლიო ომის დაწყების გამო, განუხორციელებელი დარჩა.

ხონში მარსელის ტიპის აგურისა და კრამიტის დამამზადებელი ქარხანაც მუშაობდა. 900-იან წლებში მდ. კუხას ნაპირზე ვიქტორ და ბიკენტი ქუთათელაძეებმა აგურისა და კრამიტის დამამზადებელი მოზრდილი ქარხანა ააგეს. მათ იტალიიდან მოიწვიეს ამ საქმის კარგი სპეციალისტები ანტონ ბალმუჩი და ლუი რივერტი. გარდა ამისა, ბ. და გ. ქუთათელაძეებმა ევროპიდან გამოიწერეს სათანადო მანქანები და იტალიელი სპეციალისტების ხელმძღვანელობით აგურისა და კრამიტის დამზადებას შეუდგნენ. ანტონ ბალმუჩის ქვრივის, ელენე ალექსის ასულ ბახტაძე-ბალმუჩის გადმოცემით, ქარხანაში 40-60-მდე კაცი მუშაობდა. მთავარი ჩარხი მოძრაობაში მოჰყავდა მდინარე კუხას. პირველი მსოფლიო ომის დროს ეს ქარხანა დაიწვა, ხოლო კრამიტის დამზადებას ხელი მიჰყო ხონში ჩამოსახლებულ ქართველ კათოლიკეთა რამდენიმე ოჯახმა.

## 6. ვაჭრობა და მევახშეობა

ხონი XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან სავაჭრო პუნქტს, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ეროვნული ბაზრის შექმნასა და განმტკიცებაში. ხონის ბაზარზე ხდებოდა ქვემო იმერეთის, აღმოსავლეთ სამეგრელოსა და რაჭა-ლეჩხუმის მნიშვნელოვანი ნაწილის სოფლის მეურნეობისა და შინამრეწველობის პროდუქციის რეალიზაცია. ხონი ამარაგებდა ამ რაიონებს რუსული და ევროპული საქონლით, რომელიც ადგილობრივ ვაჭრებს საქართველოს, რუსეთისა და საზღვარგარეთის სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოქონდათ. ხონი ჩაბმული იყო საგარეო ვაჭრობაში იმითაც, რომ რუსეთსა და ევროპაში დიდი რაოდენობით გაჰქონდა ქართული საქონელი — ძირითადად სოფლის მეურნეობის პროდუქტები.

---

[71] გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916, № 589, 2.VI, გვ. 2.



ბაზრის მოედნის ერთი ნაწილი

ხონს, როგორც უკვე ითქვა, ჯერ კიდევ ფეოდალურ ხანაში განთქმული ბაზარი ჰქონდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში, თანამედროვეთა გადმოცემით, ხონის „პარასკეობას" ესწრებოდა საქართველოს თითქმის ყველა კუთხის წარმომადგენელი. ხონის ბაზრის ხშირი სტუმრები იყვნენ ებრაელები, სომხები, თათრები, უცხოელ კაპიტალისტთა აგენტები, რომლებიც იმერეთში ჩამოდიოდნენ პარკის, შალის შინამრეწველური ნაწარმის, სიმინდის, კვერცხის, ფრინველის და სხვათა შესაძენად.

„პარასკეობა" ხონის „სულისჩამდგმელი", მისი „გამაცოცხლებელი" იყო. ამ დღეს აქ რამდენიმე ათასი კაცი იკრიბებოდა. „არც ერთ სამაზრო ქალაქში (ქუთაისიც კი ჩამორჩება) არ ხდება ისეთი ბაზრობა, როგორიც დაბა ხონში"[72], — წერდა „დროება". ცნობილი პუბლიცისტი ივანე მესხი ხონისადმი მიძღვნილ თავის სტატიაში აღნიშნავდა, რომ „იქაური ბაზარი ქუთაისის ბაზარზე გაცილებით უკეთესიაო"[73].

ხონის ბაზარს ამარაგებდა ახლომდებარე სოფლები: კუხი,

---

[72] დროება, 1885, № 62, გვ. 2.

[73] დროება, 1870, № 46, გვ. 2-3.

გუბი, საწულუკიძეო, კონტუათი, ნახახულები, მათხოჯი, გორდა, კინჩხა, ლანირი, ქუტირი, ჯიხაიში, ფარცხანაყანები, მაღლაკი, მუხიანი და სხვ. ამ სოფლებიდან ხონში შემოქონდათ აბრეშუმის პარკი, აბრეშუმის ნაწარმი, შალი, წინდები, ნაბდის ქუდები, სიმინდი, ფქვილი, ღომი, კვერცხი, შემოყავდათ შინაური ფრინველი, მსხვილფეხა საქონელი და სხვ. ხონის ბაზარზე მორეკილ პირუტყვთა რაოდენობა ყოველთვის ისე დიდი იყო, რომ მისთვის სპეციალური ადგილი ჰქონდათ გამოყოფილი. „აქვე ბაზარს აკრავს თვალუწვდენელი მოედანი, — წერდა ერთი თანამედროვე, — რომელიც პარასკეობით გავსებულია მორეკილი ხარით, ძროხით და სხვა ამგვარი ოთხფეხა საქონლით“[74].

სამეგრელოდან დიდი რაოდენობით შემოქონდათ სიმინდი, სულუგუნი, შემოყავდათ მსხვილფეხა საქონელი; რაჭა-ლეჩხუმიდან — ღვინო, ლობიო, ნიგოზი და ხილი. გ. პ. მაჭარაძის ცნობით, რაჭა-ლეჩხუმიდან პარასკეობით ხილით დატვირთული ასი-ორასი ცხენი ჩამოდიოდა. ხილს, უმეტესად ვაშლს, ჩარჩ-ვაჭრები ყიდულობდნენ და რუსეთში გაჰქონდათ. მაღლაკელ, მუხიანელ და ფარცხანაყანებელ გლეხებს ნესვითა და საზამთროთი დატვირთული ურმები ჩამოჰყავდათ. ნახახულებიდან და მათხოჯიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებთან ერთად, ოსტატურად დამზადებული ხის კოვზები და ჯამები შემოდიოდა; მეგრელი მეთუნეები დიდი რაოდენობით ასაღებდნენ კეცებს, ქოთნებს, ქვაბებს, დოქებსა და კოკებს, ბალდიდან და ხე-ტყით მდიდარი სხვა ადგილებიდან, რომლებიც ხონს ჩრდილოეთით აკრავს, ჩამოქონდათ ყავარი და სამშენებლო მასალა.

შორი სოფლებიდან და ადგილებიდან ხონში ხუთშაბათს ჩამოდიოდნენ, ღამეს აქ ათევდნენ და პარასკევ დილით ადრე გამოდიოდნენ სავაჭროდ. ამასთან დაკავშირებით ხონში ღამის გასათევი რამდენიმე ფუნდუკი ანუ „Заезжи двор“ შეიქმნა. ასეთი ღამის გასათევი ადგილები მოწყობილი ჰქონდათ ვაჭარ ბაქარ ქუთათელაძეს (საკუთარ სახლში), ივანე ხარებავას და გერასიმე ჩხენკელს (ნაქირავებ ბინებში). აქ შეიძლებოდა არა მარტო ღამის გათევა, არამედ დანაყრება და წვრილმანი საქონლის შეძენაც, რომელიც, უმთავრესად, ებრაელებს ჩამოქონდათ[75].

---

[74] იქვე.

[76] დროება, 1870, № 46, გვ. 2-3.

[75] სცსა, ფ. 254, საქ. 3983, ფურც. 216-232.

ხონში ჩამოსულ ებრაელებს სხვადასხვა საქონელი, უმთავრესად ჩითი ჩამოქონდათ. ამ დღისათვის იმათ ბაზარში ერთ რიგზედ აქვთ ნაწნავი კარვები, სადაც გაშლიან ხოლმე წითელ-ყვითელ ფართლებს და თავსაკრავებს. მოდი და სოფლის ახალგაზრდა ქალს ნუ აუჭრელდება თვალი ამ გაშლილებზედ და ნუ მისცემს ქათამს ერთ უბრალო თავსაფარში"[76], — წერდა „დროება". ებრაელები ბაზარზე ყიდულობდნენ ფრინველს, კვერცხს, შალის ნაწარმს და დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მიჰქონდათ გასაყიდად. ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით, ებრაელები დიდი რაოდენობით ყიდულობდნენ, აგრეთვე, ჯაგარს, ჯაგრისების დასამზადებლად.

ბაზრობა განსაკუთრებით გაცხოველებული და ხალხმრავალი იყო ზაფხულობით, როდესაც პარკის სეზონი იწყებოდა. ნესვებით, საზამთროებით, ყავრით, შეშით, ფინით, ბასკით, ქვის ბოძებით, წისქვილის დოლაბებით, კირით და ა. შ. დატვირთულ ურმებს, პარკით დატვირთული „ფარდიანი" ურმები ემატებოდა. ერთიორად იზრდებოდა ჩარჩ-ვაჭართა და შემსყიდველ-სპეკულიანტთა რიცხვი. ისინი მთელი დღეები საქმეში იყვნენ გართული. საქონლის იაფად ხელში ჩაგდების მიზნით ისინი ათასგვარ მაქინაციას მიმართავდნენ.

ხონის ბაზრობა, როგორც ერთი თანამედროვე აღნიშნავდა, რამდენიმე ათი ათას მანეთს ატრიალებდა. ამ ფულის მეტი ნაწილი სოფელში მიდიოდა და აჩქარებდა გლეხობის დიფერენციაციის პროცესს. 1851 წლის მონაცემებით, ხონის ბაზარზე გამოტანილი საქონლის საერთო ღირებულება 60.000 მანეთს უდრიდა[77].

ხონში, ყოველკვირეული პარასკეობის გარდა, პერიოდული ბაზრობა — „თამბაქოს იარმუკობა" იმართებოდა. 80-იან წლებში თამბაქოს ბაზრობისა და პარასკეობის წლიური ბრუნვა 300.000 მანეთს აღემატებოდა[78].

ხონის ბაზრობას ერთი თავისებურება ჰქონდა. გამყიდველი ქალები პირახვეულნი გამოდიოდნენ. ეს იმით აიხსნება, რომ ვაჭრობა ქალისათვის სამარცხვინო საქმედ იყო მიჩნეული. ხონელი ქალი კი ვაჭრობაში მამაკაცს არ ჩამორჩებოდა. აქ ქმარს არ შეეძლო ცოლისათვის ეთქვა, ანდა მამას

[76] დროება, 1870, №46, გვ. 2-3

[77] Лаврентьев, Кутаисское генерал-губернаторство, СПб, 1858, с. 110.

[78] სცსა, ფ. 12, აღწ. 7, საქ. 219, ფურც. 37-44.

მოსწრებული ქალიშვილისათვის — მე გარჩენო. ზოგჯერ ხდებოდა პირიქითაც — ეკონომიკური თვალსაზრისით, ოჯახის ბურჯი, მისი დედაბოძი ქალი იყო. „აქაური ქალების ერთი ახირებული ჩვეულება, — წერდა „კვალი", — პირის ახვევის ჩვეულებაა. მაგრამ ეს არ არის მთლად ინტერესმოკლებული. ამ ჩადრის წყალობით ის მამაკაცს არ გაატანს თავის ნაშრომს გასაყიდად. ახალგაზრდა, გაუთხოვარ ქალს, რასაკვირველია, ერცხვინება პირახდილად ნივთებით დატვირთული გამოვიდეს და ივაჭროს, რის გამოც პირს იხვევს. პარასკევს თუ პირახვეულ მოვაჭრეთ ხედავ აქაურ ქალიშვილს, მაგიერათ კვირას ის ევროპულათ მოკაზმული თავის ნაცნობებთან ბულვარში სეირნობს და სიამოვნებას ეძლევა" 79. ამ ჩვეულების წყალობით, პარასკეობით შეიძლებოდა პრანჭია და კუდაბზიკა პირახვეული აზნაურის ქალისგანაც გეყიდათ რაიმე[80].

კაპიტალიზმის განვითარებამ, კარჩაკეტილ, პატრიარქალური მეურნეობის სწრაფ რღვევასთან ერთად, ისე გაზარდა ფულის ძალა, რომ ქალის ვაჭრობაში მონაწილეობა ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. „აქაურ კარჩაკეტილობას ძარღვი უწყდება და ქრება, — წერდა ერთი თანამედროვე, — აქ თუ მამაკაცი გადის სავაჭროდ, არც დედაკაცი რჩება მუდამ კერასთან"[81]. ხონში გაჩნდნენ „დუქანში" მოვაჭრე და სავაჭროს მფლობელი ქალები. ამას შედეგად მოჰყვა პირისახვევის ჩვეულების თანდათან გადავარდნა.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ბაზრის მოედნის ირგვლივ, მის ახლომახლო, ქუთაისის, სამტრედიის, სამეგრელოსა და რაჭა-ლეჩხუმისაკენ მიმავალ გზებზე სახელოსნოების, სავაჭროების და სამიკიტნოების მთელი რიგები იყო გაჭიმული. ხონში პირველად ჩამოსულ კაცს აუცილებლად თვალში ეცემოდა სავაჭროების სიმრავლე. „მართლაც ერთ ხონელს ვერ ნახავთ ბედი არ ეცადოს აღებმიცემობაში. ის არავითარ ხელობას არ არჩევს. მისთვის სულერთია მჭედელი თუ ვაჭარი, ოღონდ კი დუქანი ჰქონდეს და შიგ ფული ტრიალებდეს"[82].

ხონელი ვაჭრები ფეოდალურ ხანაშიც კარგად იყვნენ ცნო-

---

79 „კვალი", 1893, № 36, 30.VIII, გვ. 596-597.

80 ალ. ქუთათელი. მოთხრობები, თბ., 1956, გვ. 129.

81 „კვალი", 1896, № 36, გვ. 597.

82 იქვე, 1898, № 44, გვ. 726-728.

ბილი არა მარტო საქართველოში, არამედ თურქეთშიც, სადაც ისინი საქონლის ჩამოსატანად მიდიოდნენ. ხონის ეკონომიკური ცხოვრების ერთი მიმომხილველი XIX საუკუნის 90-იან წლებში წერდა: „ეს დაბა, რომელიც ქვემო იმერეთისა და აღმოსავლეთ სამეგრელოს სავაჭრო ცენტრს შეადგენს, დღეს დიდ ნაბიჯს დგამს, მაგარ ფრთებს ისხამს და მზათ არის ყოველი სიძნელე გადალახოს, ძირიანად მოსპოს ის, რაც ახლანდელი დროისათვის ძველი, გამოუსადეგარია, რომელიც კარგა ხანია შეირყა და ფესვებს უთხრის მას. ის მზათ არის ახალი ცხოვრების უღელში გაებას, ახალ ხანას მაგრად მოხვიოს ხელი და გასწიოს იქით, საითაც ევროპის მოწინავე ერები კარგა ხანია გაექანენ და კიდევაც უმაღლეს წერტილს ეკონომიურათ განვითარებისას მიაღწიეს. ის პირველ ყოვლისა ფულისთვის იბრძვის, ფული და ხონელი საარაკო მეგობრები არიან. ასე გაშინჯეთ – ურთმანეთოდ ცხოვრება ვერ წარმოუდგენიათ. ხონელი ფულისაკენ მიილტვის და ფული ხონელისაკენ. აქედან ცხადია, რომ ხონელიც იქ უნდა გაჩნდეს, სადაც ფულია“[83].

ვაჭრობაში ყველა სოციალური ფენის, ყველა წოდების წარმომადგენლები იყვნენ ჩაბმული: გლეხები, ხელოსნები, აზნაურები. ხონელ ვაჭართა უმრავლესობა გლეხთა წრიდან იყო გამოსული. ხონელი გლეხის მეურნეობა მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა მისი ოჯახის მოთხოვნილებებს. საგლეხო რეფორმის გატარებამ კიდევ უფრო გააუარესა გლეხობის ძირითადი მასის ისედაც მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა. სასაქონლო წარმოების სწრაფი ზრდა გლეხს აიძულებდა ფულის საშოვნელად გამოსულიყო და თავისი სამუშაო ძალა გაეყიდა. მეორე მხრივ, წვრილ ბურჟუად ქცეული გლეხი ხელს ჰკიდებდა ვაჭრობას და დიდძალ სიმდიდრეს აგროვებდა. მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა, მომიჯნავე რაიონებიდან ხონში სავაჭროდ ჩამომსვლელთა რიცხვის სისტემატური ზრდა, სავაჭრო მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარება, ფაბრიკულ საქონელზე მოთხოვნილების გადიდება აქ ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა ვაჭრობის აღმავლობისათვის. ხონი ჩაბმული იყო საქონლის მსოფლიო ბრუნვაში. აქედან საზღვარგარეთ დიდი რაოდენობით გაჰქონდათ ხე-ტყე, სიმინდი, კვერცხი და აბრეშუმის პარკი. მეორე მხრივ, რუსეთისა და დასავლეთ ევროპის საქონელი თანდათან ეუფლება ხონის ბაზარს.

---

[83] იქვე, 1898, № 36, გვ. 596-597.



ხონელი ვაჭრები

ქვემო იმერეთის ჩაბმამ საქონლის მსოფლიო ბრუნვაში ხონში სავაჭრო დაწესებულებათა რიცხვის გაზრდა გამოიწვია. 1882 წლის მონაცემებით, აქ 109 სავაჭრო დაწესებულება იყო[84]. ხონის მოსახლეობის 679 კომლიდან 56 კომლი ვაჭრობას ეწეოდა, ხოლო 209 ხელოსნობასა და რეწვას. გარდა ამისა, ხონში მუდმივად ცხოვრობდა 88 კომლი ვაჭარი, რომლებიც ძირითად მოსახლეთა სიაში არ იყვნენ შეტანილი[85]. საინტერესოა ის გარემოება, რომ ხონში მოვაჭრეთა აბსოლუტური უმრავლესობა ქართველები იყვნენ. „ხონში მედუქნეები სულ ქართველებია. უცხო ტომის ხალხს აქ არ აბოგინებენ, – წერდა „აკაკის კრებული", – აქაური ვაჭრები, თითქმის სულ ქართულად არის ჩაცმული. იმათ ჩაცმულობას შეადგენს: შალის ან მაუდის ჩოხა, მეგრული ვერცხლის სარტყელი (ქამარი), ვერცხლის საათი, ცხვრის ტყავის ქუდი (ბუხრის ქუდი), ყაბალახი, ნაბადი და წუღა-

[84] სცსა, ფ. 58, აღწ. 1, საქ. 313, ფურც. 12-30.

[85] იქვე, ფ. 12, აღწ. 7, საქ. 213, ფურც. 37-44.

ჩუსტი ან იშვიათად წაღები“[86]. აღნიშნული პერიოდისათვის ხონში 10 ებრაელი და ერთი სომეხი ვაჭრობდა. აქ არსებული 109 სავაჭროდან 54 (ე. ი. 49,5%) გახსნილი იყო მეპატრონეთა საკუთარ ბინებში, ხოლო დანარჩენი — დაქირავებულ შენობებში. ხონელ ვაჭართა შორის მხოლოდ ერთს ჰქონდა მეორე გილდის ვაჭრის მოწმობა, ნოქარი („პრიკაზჩიკი“) დაქირავებული ყავდა 16 ვაჭარს.

გაიზარდა ვაჭრობაში ჩაბმულ ქალთა რაოდენობა. 90-იანი წლებისათვის ხონში საკუთარი სავაჭროები ჰქონდათ მეორე გილდის ვაჭრებს — მარიამ ბახტაძეს (ფქვილისა და ფქვილის პროდუქტების), ქუთაისში მცხოვრებ ხავე ციციაშვილს და კულაშელ სიფორე მორილაშვილს. ხონელ მაია სანოძესაც თავის სახლში გახსნილი ჰქონდა სავაჭრო, რომელსაც თვითონ განაგებდა, შვილებთან ერთად.

ხონში, 1887 წლის მონაცემებით, 126 სავაჭრო იყო. აქედან 78 (ე. ი. 65%) ეკუთვნოდათ ადგილობრივ ვაჭრებს. გაიხსნა ტყავის, მატყლის, ნოხების, ჭურჭლის, ხე-ტყის, რკინეულობის, თევზის და სხვ. საქონლის სარეალიზაციო მაღაზიები, მეორე გილდის ვაჭართა რიცხვი 40-მდე გაიზარდა. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ შედარებით მსხვილი ვაჭრები: ივ. ს. ჭავჭანიძე, ი. ს. საღარაძე, ძმები სიხარულიძეები, დ. მ. გორდაძე, თ. ი. ახრახოვი, გ. ი. ბახტაძე, მიხ. მ. ჭავჭანიძე, რ. დ. წიწვიძე, დ. ნ. გენძეხაძე, ბ. ქ. ნადარეიშვილი, ი. მ. გოროზია, პ. გ. რუხაძე, ა. ნ. ყუფარაძე, ეგ. ი. გორდაძე, ივ. ს. ტაბიძე, ნ. ი. არძიანი და სხვ. გარდა ამისა, მეორე გილდის ვაჭრის მოწმობით ხონში 19 კაცი ვაჭრობდა.

მნიშვნელოვნად გაფართოვდა ცალკეულ სავაჭროთა წლიური ფულადი ბრუნვა. სავაჭროთა გარკვეული ნაწილი წლის განმავლობაში 8-10 ათას მანეთს ვაჭრობდა. მაგალითად, დავით გორდაძის სავაჭროს (მანუფაქტურული საქონელი და ნოხები) წლიური ბრუნვა 9000 მანეთს შეადგენდა და 1200 მანეთ მოგებას იძლეოდა. მსხვილ ვაჭრებს ი. ს. ჭავჭანიძეს, დ. ნ. გენძეხაძეს და სხვ. რამდენიმე სავაჭრო ჰქონდათ[87].

ხონში არსებული, შედარებით მსხვილი სავაჭროები შეიტანეს რუსეთის იმპერიის სავაჭრო-სამრეწველო ცნობარ-კალენდარში „Вся Россия“, რომელიც 1895 წელს გამოიცა

---

[86] აკაკის კრებული, 1848, № 7,მე-3 გან., გვ. 44-45.

[87] სცსა, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 3746, ფურც. 67-102.

მოსკოვში. ხონიდან ცნობარში დასახელებული იყო იორდან სიხარულიძის, ალექსანდრე ქუთათელაძის, კოსტა ქუთათელაძის, ნესტორ ქუთათელაძის, იოსებ ბალანჩივაძის, ალექსი ჭავჭანიძის, დავით გორდაძის, ეგნატე გორდაძის, როსაფ კაკაბაძის, მანუჩარ კარტოზიას, ბესარიონ ნადარეიშვილის და სხვათა სავაჭროები.

ხონელ ვაჭრებს საქონლით ამარაგებდნენ რუსეთის, ევროპისა და ამერიკის მსხვილი სავაჭრო ცენტრები. XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ხონში პარასკეობაზე ჩამოსულ გლეხს შეეძლო შეეძინა ნიუ-იორკში, პარიზში, ბერლინში, ლონდონში, ვარშავაში, პეტერბურგში, მოსკოვში, ტულაში, როსტოვში, ოდესაში, თბილისში, ბაქოში, ბათუმსა და სხვა ქალაქებში დამზადებული საქონელი. ხონის ხშირი სტუმრები იყვნენ რუსეთისა და საზღვარგარეთის სავაჭრო-სამრეწველო ფირმების აგენტები — კომივოიაჟორები, რომლებიც ხელშეკრულებებს დებდნენ ადგილობრივ ვაჭრებთან გარკვეული სახეობისა და ხარისხის საქონლით მომარაგების შესახებ. ხდებოდა, აგრეთვე, შეთანხმება ფასებსა და თანხის გადახდის ფორმებზე. ორივე მხარის წარმომადგენელთა მიერ ხელმოწერილ დოკუმენტს კომივოიაჟიორები უგზავნიდნენ თავიანთ ფირმებს დაკვეთების შესასრულებლად. საქონელი იგზავნებოდა ფასდაკლებით ან ნდობით. პირველ შემთხვევაში საქონლის საერთო ღირებულებას იხდიდნენ სარკინიგზო ან საპორტო სალაროში, ხოლო მეორე შემთხვევაში — სათანადო თანხა, სათანადო პროცენტებით, ეგზავნებოდა ფირმის მიერ მითითებულ ბანკის განყოფილებას საქონლის რეალიზაციის შემდეგ. სავაჭროს მფლობელი თანხის გადახდამდე ფირმას ხელმოწერილ ვექსილს უგზავნიდა.

ხონში ამ პერიოდში არსებული სავაჭროებიდან ტიპიურ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ი. გ. ბახტაძისა და გ. პ. მაჭარაძის ბაკალეია. ამ უკანასკნელის გადმოცემით, მათი სავაჭრო მოთავსებული იყო ბაღის მახლობლად. სავაჭროს შენობა აგურისა და ხის ორი ოთახისაგან შედგებოდა. იქვე ჰქონდათ საქონლის საწყობი — სამი დაქირავებული ოთახი და ფარდული, ადგილზე შეძენილი, პარკის დასაწყობად და გასახმობად.

ბაკალეიას მრავალფეროვანი საქონელი ჰქონდა: რკინეულობა, ჭურჭელი, ავეჯი, სადებავები, ცემენტი, პურის ფქვილი, ჩაი, შაქარი, მაკარონი, ბრინჯი, პაპიროსი, ნავთი, სა-

პონი, ზეთი, საკანცელარიო ნივთები და ა. შ. როგორც სავაჭროს სახელზე გამოგზავნილი ანგარიშებიდან ირკვევა, 1908-1910 წლებში მას საქონლით ამარაგებდა ვარშავის სააქციონერო საზოგადოება „გლ. გოსტინკი და K°“ (საწოლებით), მ. კრონროდის სავაჭრო სახლის ტულის საწყობი (თვითმადუღარებით), გ. და მ. რაუხვერგების ოდესის სავაჭრო სახლი (ლურსმნით, სახურავი თუნუქით), სამკელი მანქანების საერთაშორისო საზოგადოების აუფერმანის თბილისის საწყობი (ამერიკული კულტივატორებით), მსოფლიოში კარგად ცნობილი „გოიციხოვის და სხვების“ სააქციონერო საზოგადოების ვარშავის გრელიხ-ავეჯის ფაბრიკა (საოჯახო ავეჯით), მ. ს. კუზნეცოვის ამხანაგობის მოსკოვის სამმართველო (ჭურჭლით, ბროლისა და ქაშანურის ნაწარმით), ბერტმანისა და კარპოვსკის სავაჭრო სახლი ბათუმში (ოლიფით, სურიკით, მათეთრებლით, მინით და სხვ.), პეტერბურგის ნევის ძაფის მანუფაქტურის ამხანაგობის თბილისის განყოფილება (ძაფით), დონის როსტოვის ე. ტ. პარამანოვის ორთქლის ვარცლებიანი წისქვილი (პურის ფქვილით), მოსკოვის „ვ. ვისოცკის და კომპ.“ ჩაით ვაჭრობის ამხანაგობის თბილისის განყოფილება (ჩაით), ბათუმის ბინიან ოღლისა და დანიელოვის ფაბრიკები (თამბაქოთი და პაპიროსით), ტაგანროგის ა. დ. ნომიკოსის მემკვიდრეების ფაბრიკა (მაკარონით), ბერდიჩევის სავაჭრო სახლი (ქაღალდით), მრავალი სახის საქონელს ღებულობდა სავაჭრო ოდესიდან — შპალერს, საკანცელარიო ნივთებს, საპონს, მინას და სხვ.

თბილისიდან სავაჭროს უგზავნიდნენ: თამბაქოს, პაპიროსს, ზეთს, საპონს, სააფთიაქო საქონელს და სხვ. ხონელ ვაჭრებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ქუთაისთან. დასახელებულ სავაჭროს ფირალოვების სპეციალიზებული მაღაზია ამარაგებდა თუნუქითა და პაპიროსით; „ი. გოკიელის შვილების“ სავაჭრო სახლი — შაქრით, ერბოთი, ბრინჯით, კარტოფილის ფქვილით, ბორჯომის წყლით და სხვ. ფილიპოვებისა და ძმების საკაშვილების რკინეულობის სავაჭროები — რკინეულის ნაწარმით; ნ. ბარამიძის მაღაზია — საგალანტერიო საქონლით, ძმები ნობელების ნავთის წარმოების ქუთაისელი აგენტი ი. ი. ნარსია — ნავთით და ა. შ.

ი. ბახტაძის და გ. პ. მაჭარაძის სახელზე გამოგზავნილ ანგარიშებს აქვს საინტერესო მინაწერები, რომლებიც ერთგვარ წარმოდგენას გვაძლევენ ვაჭრებისა და საქონლის

მიმწოდებელთა ურთიერთობაზე. ი. ნარსია 1910 წლის 10 ნოემბერს ი. ბახტაძეს და გ. მაჭარაძეს წერდა: „თანახმად თქვენი წერილისა, თუმცა დღეს ძალიან აწეულია ფასი კეროსინის, მაგრამ მაინც გიგზავნით წინათ მოწერილ ფასათ. ახლა ამით ის მინდა მოგახსენოთ, რომ თუ ინებებთ და ამ 5 დღის განმავლობაში წაიღებთ კეროსინს, შეგვიძლია ვიანგარიშოთ 1 მან. 45 კაპ. ფუთი. მხოლოდ ამ ჭურჭლებით თუ იქნა და თუ სხვა ჭურჭელი გამოგვიგზავნეთ იმ შემთხვევაში ვერ მოგცემთ ამ ფასში, რადგან ბევრ დროს გვიკარგავს დარწყვა. კეროსინის ფასი დღედღეზე მატულობს". ანგარიშის მეორე ფურცელზე ასეთი მინაწერია: „რაც შეიძლება იაფათ გიანგარიშეთ. თუ ვინმე დაგიკლებს მეც აგერ ვარ".

სავაჭროები საქონელს ღებულობდნენ უმთავრესად სამტრედიაში. ამის გამო ხონელ ვაჭრებს ემსახურებოდა ჩალგადრების, მეურმეებისა და მებარგულების დიდი არმია. მაგალითად, სამტრედიიდან ხონამდე ყოველი ტომარა პურის ფქვილის გადაზიდვა 20 კაპ. ღირდა.

ი. ბახტაძე და გ. მაჭარაძე, ისე როგორც სხვა ხონელი ვაჭრები, აბრეშუმის თესლით და პარკითაც ვაჭრობდნენ. ხონში შეძენილ პარკს ისინი ან ადგილზე ყიდდნენ, ანდა საზღვარგარეთ აგზავნიდნენ. ამ მხრივ საინტერესოა ქუთაისელი ვაჭრის პ. გოკიელის წერილი ი. ბახტაძისა და გ. მაჭარაძისადმი: „თქვენი პარკი მე ვნახე კვირეს ხონში. ვიყავით მე და ბარაბაძე. თქვენს ფარდულშიც ვიყავით. პარკი თქვენი სხვებს სჯობდა. თუ გნებავთ გაგზავნით შემიძლია ჩემს სახელზე გაგიგზავნოთ, ცალკე ანგარიშით, თქვენს მარკაზე. ფასები საზღვარგარეთ დღეს არის 9-20, 9-30. მერე რა იქნება, ძნელი გამოსაცნობია. ტომრები გვაქვს შეკერილი და თუ გნებავთ შემომითვალეთ და გაახლებთ. სხვა მეფარდულეებსაც უთხარით, რომ ტომრები ჩვენგან წაიღონ... შეიძლება ჩვენც ვიყიდოთ ხმელი პარკი. ათ დღემდის მეცოდინება და თუ დავიწყეთ ყიდვა, თქვენს პარკს გიყიდით. 1910 წ. 2 სექტემბერი".

ამ წერილიდან ირკვევა, რომ ხონელი ვაჭრები ხშირად საზღვარგარეთ პარკს აგზავნიდნენ ქუთაისელი ვაჭრების დახმარებით. ეს უკანასკნელნი კარგად იყვნენ ინფორმირებულნი ევროპის ბაზარზე პარკით ვაჭრობის მდგომარეობაზე.

გ. მაჭარაძის გადმოცემით, მათი სავაჭროს წლიური ბრუნვა 200-300 ათას მანეთამდე აღწევდა.

საზღვარგარეთის, რუსეთისა და ამიერკავკასიის სამრეწველო ცენტრებიდან მიღებული საქონლის ნაწილს ხონელი ვაჭრები სამეგრელოსა და რაჭა-ლეჩხუმის სავაჭროებს აძლევდნენ სარეალიზაციოდ. „სამეგრელოსა და ლეჩხუმში ბევრი მედუქნე ხონში ნაყიდი საქონლით ვაჭრობს. ამ მხრივ ხონი ერთგვარი ცენტრია აღებ-მიცემობისა, გაცვლა-გამოცვლისა"[88], — წერდა „სახალხო ფურცელი". ხონი ერთ-ერთი რგოლი იყო, რომელიც ეკონომიკურად აკავშირებდა დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს და ამით ხელს უწყობდა ეროვნული, საერთო ქართული ბაზრის ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას.

ხონში ბევრი იყო მაგარი სასმელების სავაჭრო-სამიკიტნოები, რომელთა შორის გამოირჩეოდა გენძეხაძის დუქანი. სამიკიტნოები გაბურჟუებული და დაბის უსაქმურ პირთა თავშესაკრებ ადგილს წარმოადგენდა. მარტო 1879-1880 წლებში ქუთაისის სამაზრო სამმართველომ ხონში მაგარი სასმელებით ვაჭრობის 30-ზე მეტი ნებართვა გასცა.

აგრონომი დობროვოლსკი, რომელმაც 1862 წელს სვანეთში იმოგზაურა და გზად ხონში გაიარა, წერდა: „ხონი დიდია და, იმერეთის პირობებში, დასახლებულია მჭიდროდ. მისი მდებარეობა ვაკეზე ცხენისწყლის ხეობის ახლოს, რომელიც ერთადერთ გზას წარმოადგენს ლეჩხუმიდან და სადადიანო სვანეთიდან ბარისაკენ, აქცევს მას მნიშვნელოვან სავაჭრო პუნქტად, სადაც იკრიბება მთისა და ახლომახლო ადგილების მოსახლეობა ყიდვა-გაყიდვისათვის. ხონში ბევრი დუქანია... და ბევრია მათში საქონელი. ხონში უკეთესად ვაჭრობენ, ვიდრე ზუგდიდში"[89]. ასე იყო რეფორმამდელ ხანაში. 70-იანი წლებიდან დაწყებული კი ხონის ეკონომიკური განვითარება ისე სწრაფად მიმდინარეობდა, რომ XIX საუკუნის ბოლოს იგი ყოველმხრივ წინ იდგა დასავლეთ საქართველოს ბევრ სამაზრო ქალაქზე. 1909 წელს ხონის ვაჭრობის წლიური ბრუნვა 2.694.000 მანეთს უდრიდა, რაც ქუთაისის მაზრის (ქუთაისის გამოკლებით) ვაჭრობის წლიური ბრუნვის 77,5% შეადგენდა[90].

ხონში ყოველწლიურად იზრდებოდა სავაჭროების რაოდენობა. ხონელი ვაჭრები სულ უფრო ხშირად მიემგზავრე-

---

[88] „სახალხო ფურცელი", 1916, № 582, გვ. 4.

[89] ЗКОСХ, 1868, с. 237.

[90] Обзор Кутаисской губернии за 1909 год, Кут., 1911, с. 38.

ბოდნენ რუსეთისა და ევროპის სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებში. ისინი კარგად იცნობდნენ ევროპის ბაზრის მოთხოვნილებებსა და ფასების ცვალებადობას იმ საქონელზე (აბრეშუმის პარკი, სიმინდი, კვერცხი და ა. შ.), რომელიც მათ საზღვარგარეთ გაჰქონდათ. როგორც მოხდენილად წერდა მეაბრეშუმეობის ცნობილი სპეციალისტი იოსებ ქუთათელაძე, ხონელი ვაჭარი მსოფლიო ბაზარზე გამოვიდა თავის საქონლით, „საკუთარი წუღითა და ჩოხით". „წუღითა და ჩოხით" ჩაცმული იმერელი ვაჭრის გამოსვლა მსოფლიო ბაზარზე იმას მოასწავებდა, რომ საქართველო აქტიურად ჩაება საქონლის მსოფლიო ბრუნვაში. ამის გამო, იმავე ი. ქუთათელაძეს წარმოუდგენლად მიაჩნდა ის ფაქტი, რომ საფრანგეთისა და იტალიის ფოსტის თანამშრომლებმა არ იცოდნენ სად მდებარეობდა ხონი. 1910 წელს მარსელიდან გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში იგი გულისტკივილით აღნიშნავდა: „... გურია-სამეგრელოს მივარდნილი სოფლები კი არა, საქართველოს მანჩესტერ-ლიონი ხონი (ხაზგასმა ჩვენია, — ა. ვ.) არსებობს სადმე თუ არა, ესეც არ იცის აქ საფრანგეთ-იტალიის ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებამ"[91].

კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად, ვაჭართა ფენას გამოეყო „უფრო შეძლებული", მსხვილ ვაჭართა ჯგუფი. ღარიბი მედუქნეები ველარ უძლებდნენ კონკურენციას და კოტრდებოდნენ. მათ სავაჭროებს მსხვილი ვაჭრები იგდებდნენ ხელში.

ხონელი წვრილი ვაჭრები განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში ჩავარდნენ XIX ს. 90-იან წლებში, როდესაც სტიქიურმა უბედურებამ — ორმა ხანძარმა, ერთმანეთზე მიჯრილი ხის დუქნების უმრავლესობა გაანადგურა. დუქნების მეტი ნაწილი სახაზინო მიწაზე იყო აგებული, რისთვისაც გარკვეული საიჯარო თანხა იყო დაწესებული. ხანძრის შემდეგ სახელმწიფო ქონებათა სამმართველომ გადაწყვიტა სადუქნე ადგილები საჯარო ვაჭრობით („ტორგით") გაეცა, რაც, რასაკვირველია, მხოლოდ შეძლებული ვაჭრებისათვის იყო ხელსაყრელი. „... ხონიდან გვწერენ, რომ ამჟამად ხონელები ძლიერ სამწუხარო მდგომარეობაში არიან ჩავარდნილი, — წერდა გაზეთი „შრომა" 1883 წელს. — ამ მწუხარების მიზეზი ის არისო, რომ სახელმწიფო ადგილები, რომლებზედაც ხონელებს ოთხასამდე დუქანი ჰქონდათ აშენე-

[91] „მოსავალი", 1910, № 7, გვ. 9-10.

ბული და რომლისთვისაც წინათვე გარდაწყვეტილს იჯარის ფულს იხდიდნენ, ეხლა სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს განუზრახავს ტორგით გაიცესო. როგორც ამბობენ ამჟამად ტორგით გაიცემა ის ადგილები, რომელნიც დუქნების გადაწვის შემდეგ ცარიელი დარჩენიათ და რომელნიც თითქმის ორას სადუქნე ნაკვეთს შეადგენს.

იმ ზარალის შემდეგ, რაც ხონელებს ცეცხლისაგან მიეცათ სწორედ საცოდაობაა, რომ მართებლობამ სადუქნე ადგილებიც ხელიდან გამოაცალოს. დღეს თუ ცარიელი ადგილების ჩამორთმევა განუზრახავთ, შემდეგში ის ადგილებიც ტორგით გაიცემა, რომლებზედაც ეხლა დუქნებია აშენებული და მაშინ ხონელებს ერთი ორად უფრო გაუძნელდებათ ცხოვრების მოპოების საშუალება"[92].

ხონელების შიში გამართლდა. 1896 წელს სახელმწიფო ქონებათა სამმართველომ, ბაჟის შეუტანლობის გამო, საჯარო ვაჭრობით გაყიდა 14 დუქანი. „ეს შეუტანლობა იქიდგან წარმოდგა, რომ წინანდელი 2-3 მანეთი თითო დუქანზე, 30 მანეთად გახადეს. ღარიბმა მედუქნეებმა ვეღარ იკისრეს 30 მანეთის გადახდა და ამიტომ იძულებული შეიქნენ სულ მიენებებიათ თავი ამ დუქნებისათვის, რომლებსაც დაეპატრონენ უფრო შეძლებულნი", — წერდა „კვალი".

გაიზარდა ნოქრებისა და, საერთოდ, დაქირავებულ პირთა ექსპლოატაცია. სავაჭროებში სამუშაო დღის ხანგრძლივობა მთლიანად მეპატრონის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. ნოქრები ხშირად დაუსვენებლად მუშაობდნენ მთელი კვირეების განმავლობაში. XIX ს. 90-იან წლებში ქუთაისის სამაზრო სამმართველომ მიიღო დადგენილება, რომლითაც აიკრძალა სავაჭროების გაღება უქმე და კვირა დღეებში, მაგრამ ხონში ამ დადგენილებას იშვიათად თუ ვინმე ასრულებდა. „მეტად მძიმეა აქაური ნოქრების მდგომარეობა, — წერდა „კვალის" ხონელი კორესპონდენტი, — მათთვის საქმი და უქმე დღე გასწორებულია... დაჰკრავენ ზარებს ეკლესიაში თუ არა „დესეტნიკები" დაისტვენენ და დაიყვირებენ ხმამაღლა „ზაპირაი", ნოქრები ადის ბრძანებით გამოვლენ გარეთ და მიხურავენ დარაბებს. ჩაიარს „დესეტნიკი" თუ არა, ადა უბრძანებს თავის ნოქარს გამოაღოს ცოტათი დარაბა, ჩადგეს დახლში და უძახოს გამვლელ-გამომვლელ მუშტრებს"[93].1910 წელს ხონელმა ნოქრებმა თხოვნით მიმართეს

---

[92] „შრომა", 1883, № 11, გვ. 2.

[93] „კვალი", 1902, № 5, გვ. 81.

გუბერნატორს, ზომები მიეღო ვაჭრების მიერ სამუშაო საათების თვითნებურად გადიდების წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით „ეშმაკის მათრახი" ოხუნჯობდა: „წარმოვიდგინოთ ძმაო ეშმაკო, ერთ მშვენიერ დღეს გვესტუმრეთ ხონში. გთქვათ, ჩამოსვლისთანავე შეგხვდათ ვაჭარი ი. ბახტაძე. ეკითხებით — რატომ არ ხურავ დროზე მაღაზიას? ის ბესოზე მიგითითებსთ. ბესოს ეკითხებით, ის რუხაძეზე მიგითითებსთ, რუხაძე — ჭურაძეზე, ჭურაძე — ძაძამიაზე, ის კიდევ სხვაზე და ასე. როგორც ხედავთ ყველანი ერთიმეორეს აბრალებენ და საერთოდ კი ყველა, როცა უნდათ, მაშინ კეტავენ მაღაზიებს და სავალდებულო დადგენილება კი ფეხებზე კიდიათ. ეჭვი არ არის მათრახით გადალაპარაკება დიდ სარგებლობას მოუტანს გაიმასქნილებულ ხონელ ვაჭრებს" 94.

ხონელ ვაჭართა უმრავლესობა, როგორც უკვე აღინიშნა, გლეხთა წრიდან იყო გამოსული. მათგან ზოგიერთებმა განვლეს გზა ყმა-გლეხიდან შეძლებულ ვაჭრამდე. ამის ტიპიურ მაგალითს ს. ნ. მოსეშვილის ბიოგრაფია წარმოადგენს. მოსეშვილის ოჯახი წულუკიძეების ყმა იყო. ჯერ კიდევ 1817 წელს თავადმა დავით გიორგის ძე წულუკიძემ ს. მოსეშვილის მამა ერთგული სამსახურისათვის ღორისა და ქათმის ბეგარისაგან გაათავისუფლა[95]. ს. ნ. მოსეშვილმა ვაჭრობა XIX საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო და მალე დიდი სიმდიდრე დააგროვა. მას სავაჭროები ჰქონდა ქუთაისშიც, აქვე შეიძინა ორსართულიანი კაპიტალური ბინა, რამდენიმე ეტლი, მარხილი, რომლებზედაც დაქირავებულ პირებს ამუშავებდა. ს. ნ. მოსეშვილმა სოფ. გუბშიც ააგო დიდი სახლი. მას მნიშვნელოვანი შემოსავალი ჰქონდა მევახშეობიდანაც. მოსეშვილი ფულს ასესხებდა, უმთავრესად დაგირავების საშუალებით, რაც ვალის განაღდების საიმედო გარანტია იყო. მისგან ფულს სესხულობდნენ არა მარტო გლეხები, არამედ აზნაურები და თავადები.

მიუხედავად იმისა, რომ ვაჭრობა მოსეშვილისთვის ძირითად საქმიანობა იყო გადაქცეული, იგი ცდილობდა რაც შეიძლება მეტი რაოდენობის სახნავ-სათესი მიწები შეეძინა. გამდიდრებული მოსეშვილის ხელში ვარდებოდნენ გაღატაკებული გლეხები და გაღარიბებული თავადაზნაურო-

---

94 „ეშმაკის მათრახი", 1908, № 35, გვ. 12.

95 ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, მოსეშვილების საოჯახო არქივი, ფონდი 7389/36.

ბაც. ზოგჯერ გლეხი იძულებული ხდებოდა გაეყიდა მიწის ის ნაკვეთიც, რომელიც მისი ოჯახის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა. ასე მაგალითად, 1907 წელს მოსეშვილმა სოფელ გუბში მცხოვრებ გლეხ გ. ანდრიაძისაგან იყიდა 36 საჟენი მიწა, რომელიც შემდეგ მისივე ყოფილ პატრონს მიაქირავა 2 მანეთად ერთი წლის ვადით. 1911 წ. გუბელმა გლეხმა გ. მ. ეძგვერაძემ მოსეშვილისაგან ერთი წლის ვადით 10 მანეთად იქირავა ის მიწა, რომელიც რამდენიმე წლის წინ მისმა ოჯახმა ამ უკანასკნელს მიჰყიდა.

მოსეშვილმა 1885-1910 წლებში, არასრული მონაცემებით, ქვემო იმერეთის სოფლებში (გუბი, მაღლაკი, ნამაშევი, ივანდიდი და ა. შ.) 730 ქცევამდე სახნავ-სათესი მიწა და ტყე შეიძინა, რაშიაც 4100 მანეთზე მეტი გადაიხადა. მოსეშვილის ხელში აღმოჩნდა თავადების — წულუკიძეების, ნიჟარაძეების, აზნაურ ქუთათელაძეების მიწების დიდი ნაწილი. მოსეშვილს დაქირავებული ყავდა რამდენიმე მოჯამაგირე, შეიძინა ძვირფასი ნივთები, ცხენები, მუშა და მეწველი პირუტყვი. იგი გავლენიანი კაცი გახდა მთელს ქვემო იმერეთში.

ყოფილი გლეხები იყვნენ, აგრეთვე, ვაჭრები: პავლე ჩხენკელი, სერგო ფანცულაია და სხვები. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სერგო ფანცულაიამ შეიძინა სამი გემი („ხონი", „სონკა", „ქსენია"), რომლებსაც ევპატორიიდან საქართველოში მარილი და თევზი ჩამოჰქონდათ; აქედან კი მიჰქონდათ ხილი და საქონელი[96].

ხონელ საქმოსანთა ერთი ნაწილი ჭიათურის შავი ქვის ექსპლოატაციაში მონაწილეობდა და მნიშვნელოვან კაპიტალს აგროვებდა. ამ მხრივ ცნობილი იყო მიხეილ მებუკე, რომელსაც ჭიათურასა და მის მიდამოებში რამდენიმე საბადო ჰქონდა.

ხონში განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი იყო ვაჭარ-შემსყიდველთა, ვაჭარ-სპეკულიანტთა და დალალ-ვაჭართა ფენა, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჩამოსულ ვაჭრებთან და უცხოელი კაპიტალისტების აგენტებთან.

---

[96] ა. რატიანი, მასალები საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების ისტორიისათვის, ივანე ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, ნაკვ. I, თბ., 1961, გვ. 173.

## 7. გზები და ტრანსპორტი

ვაჭრობისა და ალებ-მიცემობის განვითარებას მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ის გარემოება, რომ ხონი გზებით უკავშირდებოდა შავი ზღვის სანაპიროს, სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხუმს და იმერეთის მნიშვნელოვან ნაწილს.

ხონი შავი ზღვის სანაპიროსთან დაკავშირებული იყო შუა სამეგრელოს გზით, რომელიც შემდეგ პუნქტებს გაივლიდა: ხონი–ნოჯიხევი–ლესიჭინე–ჭაქვინჯი–ზუგდიდი. ამ გზით 1837 წელს ზუგდიდიდან ქუთაისში ჩავიდა რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ პირველი. ამასთან დაკავშირებით ეს გზა საფუძვლიანად შეაკეთეს[97]. ამავე გზით გაიარა 1843 წელს ქერჩიდან ზუგდიდში ჩამოსულმა გერმანელმა ბარონმა ჰაკსტჰაუზენმა. ხონიდან, – წერდა იგი, – თბილისისაკენ მიემართება დიდი საფოსტო ტრაქტი, რომელსაც კაზაკთა ·კანვოები იცავენ. ხონში კეთილმოწყობილი საფოსტო სადგურია გამართულიო[98].

შუა სამეგრელოს გზა მთაგორიანი იყო და მთავრობამ გადაწყვიტა შავი ზღვის სანაპიროსაკენ მიმავალი უფრო სწორი გზა გაეყვანა. მშენებლობა იმერეთის სამხედრო გზისა, რომელიც ქუთაისიდან ხონზე გავლით ზუგდიდისა და ილორისაკენ წავიდოდა, მართლაც დაიწყო XIX საუკუნის 40-იან წლებში. 1843 წლის 8 ივლისს გენერალი ნეიდგარტი სამხედრო მინისტრის ჩერნიშევისადმი გაგზავნილ რაპორტში ხაზს უსვამდა ამ გზის დიდ სტრატეგიულ და ეკონომიკურ მნიშვნელობას. ამ გზით იმერეთსა და მთელს საქართველოს სავაჭრო კავშირი აქვს რედუტ-კალესთან და ძალზე მნიშვნელოვანია, – წერდა იგი, – რადგან დასახელებული პუნქტის სავაჭრო ურთიერთობა ამიერკავკასიის ცალკეულ მხარეებთან ყოველწლიურად იზრდებაო[99].

ხონი შავი ზღვის სანაპიროს ორპირის გზითაც იყო დაკავშირებული. გაზეთ „კავკაზის“ ერთი თანამშრომელი ასე აღწერდა თავის მოგზაურობას 1850 წელს თბილისიდან რედუტ-კალემდე: „... ქალაქ ქუთაისიდან დაბა ხონამდე გზა ტყეებსა და ვენახებს შორის, დაბლობს მიჰყვება. გზა ხონიდან მარანისაკენ, და შემდეგ ცხენისწყლის შესართავამდე

---

[97] ი. მეუნარგია, სამეგრელო დავით დადიანის დროს, თბ., 1939, გვ. 106.

[98] Гакстгаузен, Закавказский край, СПб, 1857, I ч., с. 20.

[99] აქტები, ტ. X, გვ. 900.

(ორპირამდე) დაქანებულ დაბლობზე მიემართება... ცხენისწყლის შესართავთან, ჩვეულებრივ, ჯდებიან კატარღებში (ნავებში) რედუტ-კალეში ჩასასვლელად[100]. რედუტ-კალედან (ყულევიდან) მარანამდე და პირიქით სამდინარო გზით მიმოსვლა შემდეგნაირად ხდებოდა: რედუტ-კალედან მდ. ხობით ამოდიოდნენ მის შენაკად მდ. ცივამდე, შემდეგ კი ცივის არხით რიონამდე, აქედან ნავებით ორპირამდე ჩამოდიოდნენ, ხოლო მდ. ცხენისწყლით — მარანამდე[101].

XIX საუკუნის პირველ ნახევარში მდ. რიონზე ნაოსნობის გაუმჯობესებისათვის მთელი რიგი ღონისძიება იქნა გატარებული. მაგრამ, საქართველოში რკინიგზების მშენებლობასთან დაკავშირებით, რიონზე ნაოსნობის ეკონომიკური მნიშვნელობა თანდათან მცირდებოდა და ბოლოს სამდინარო მიმოსვლა სრულიად შეწყდა.

ხონში ჯერ კიდევ XVIII საუკუნის 70-იან წლებში სამხრეთ რუსეთიდან საქონელი ჩამოქონდათ ფოთზე გამოვლით.

აღმოსავლეთ სამეგრელოსა და ქვემო იმერეთის ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, აგრეთვე, მარტვილი—ნოჯიხევი—ხონის, მარტვილი—ნოჯიხევი—ხუნწი—ხონის და ნაოდალევ—ხონის გზებს.

ხონს ქუთაისთან რამდენიმე გზა აკავშირებდა. გიულდენშტედტს ასეთი მარშრუტი აქვს დასახელებული: ქუთაისი—ხომურის ველი, მდ. წყალტუბოს სათავემდე—სოფ. წყალტუბო—სოფ. გვიშტიბი—მდ. გუბა—მდ. კუხა—ხონი. მაგრამ შეიძლება ეს არ იყო ქუთაისსა და ხონს შორის სამიმოსვლო გზა და ასეთი მარშრუტი გერმანელმა მეცნიერმა იმიტომ შეარჩია, რომ მხარის დათვალიერება სურდა.

ხონიდან ქუთაისში XIX საუკუნის მეორე ნახევარში სამი გზა მიდიოდა[102]. მათ შორის ყველაზე მოკლე იყო (27 ვერსი) ე. წ. „საქუსლიით“ გზა. გ. ო. ტაბიძის გადმოცემით, ამ გზას შემდეგი მიმართულება ჰქონდა: ხონი—ეწერი—გუბისწყალი—ბანოჯა—ქუთაისი. „საქუსლიით“ გზა, თიხიანი ნია-

---

[100] „Кавказ", 1850, № 43-44.

[101] ი. მეუნარგია, დასახ. ნაშრომი, გვ. 107-108; დ. უჩანეიშვილი, მასალა XIX ს. სამეგრელოს ისტორიისათვის, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, 1941, ტ. II, გვ. 105-118.

[102] „დროება", 1870, 11, 5, № 44, გვ. 2-3.

დაგის გამო, წვიმების შემდეგ საშინლად ტალახდებოდა და არა თუ ცხენით ან ურმით, არამედ ქვეითად გავლაც ჭირდა. ამიტომ ხონიდან ქუთაისში მიმავალი მგზავრები ამჯობინებდნენ უფრო შორ, მაგრამ შედარებით უკეთეს გზას. მეორე გზა, რომლის სიგრძე 29 ვერსი იყო, გაივლიდა სოფლებს მაღლაკსა და პატარა ჯიხაიშს. მესამე გზა (35 ვერსი) მიდიოდა სოფ. დიდი ჯიხაიშზე გავლით. ქუთაისიდან ხონისაკენ გადასახვევი იწყებოდა კოპიტნარის ქვევით, ექვსი ვერსის მანძილზე. ამ გზას სხვებთან შედარებით ის უპირატესობა ჰქონდა, რომ გუბისწყალზე ფონში გასვლა საჭირო არ იყო. გზა გაივლიდა ორპირის შოსესათვის გაკეთებულ ხიდზე. წვიმების შემდეგ, როგორც კავკასიის სამხედრო ოლქის გენერალური შტაბის თანამშრომელი ვ. მაევსკი წერდა, მდ. გუბისწყალი იმდენად იმატებდა, რომ მის სხვადასხვა ნაპირებს შორის ურთიერთობის დამყარებისათვის აუცილებელი ხდებოდა ქუთაის–ხონის გზატკეცილზე არსებული ამ ერთადერთი ხიდით სარგებლობა[103].

ხონიდან რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთისაკენ მიმავალი გზა, გორდი–კინჩხას გავლით ცხენისწყლის ნაპირებს მიჰყვებოდა. ამ რაიონებისათვის ხონთან კავშირს ყოველთვის პირველხარისხოვანი ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ მოსახლეობა მწვავედ განიცდიდა ხონთან დამაკავშირებელი გზების დაზიანებასა და კეთილმოუწყობლობას. 1914 წელს გაზ. „ახალ ივერიას" ლეჩხუმიდან წერდნენ: ცაგერის ეკონომიკური და კულტურული განვითარება კუს ნაბიჯით მიმდინარეობს. „ეს იმის ბრალია, რომ ზემო ლეჩხუმი და სვანეთი, კარგა დიდი მანძილითაა ხონსა და ქუთაისს დაშორებული და ამ ქალაქებამდე არც ერთი მხრიდან რიგიანი გზა არ აქვს; ჭირს ადგილობრივი საქონლის გატანა და, რასაკვირველია, შემოტანაც"[104]. მოსახლეობამ სათანადო თანხა შეაგროვა ცაგერსა და ხონს შორის კეთილმოწყობილი გზის გასაყვანად. ასევე ხშირად ფერხდებოდა მიმოსვლა ხონსა და ალმოსავლეთ სამეგრელოს შორის ცხენისწყალზე ხიდების ხშირი დაზიანების გამო. საჭიროა ახლავე დაწყებულ იქნას ხიდის გაკეთება მდ. ცხენისწყალზე ნაოლალევ–ხონის გზით"[105], – იწერებოდნენ 1917 წელს სამეგრელოდან.

---

[103] Маевский, Кутаисская губерния. Военно-статистическое описание, Тф., 1896, с. 178.

[104] „ახალი ივერია", 1914, № 28, გვ. 4.

[105] „ალიონი", 1917, 8, 24, № 34, გვ. 3.

ის გარემოება, რომ ამიერკავკასიის რკინიგზა ხონიდან ორი ათეული კილომეტრის დაშორებით იქნა გაყვანილი, თითქოს ამ უკანასკნელის დამცრობა-დაკნინება უნდა გამოეწვია, როგორც ეს მოუვიდა ზოგიერთ დასახლებულ პუნქტს (ორპირი და სხვ.) XIX ს. მეორე ნახევარში. მაგრამ ხონმა დაძლია ეს დაბრკოლება და აქტიურად ჩაება როგორც საშინაო, ისე საგარეო ვაჭრობაში. ხონის სწრაფი ეკონომიკური განვითარება სწორედ რეფორმის შემდგომ ხანაში დაიწყო. ეს განაპირობა იმან, რომ, როგორც უკვე აღინიშნა, ხონი იყო მნიშვნელოვანი შინასამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო რეგიონის ცენტრი. ცხადია, არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ურკინიგზობამ ხელი არ შეუშალა ხონის საერთო პერსპექტიულ განვითარებას. ამას კარგად გრძნობდნენ ხონის მესვეურები და ამ მდგომარეობის გამოსწორებას ცდილობდნენ. გაზეთი „კვალი", ლაპარაკობდა რა ხონის ეკონომიკურ ზრდა-განვითარებაზე XIX ს. მეორე ნახევარში, 1898 წლის 30 აგვისტოს წერდა: „... ახლა ერთად ერთი რკინიგზაა საჭირო ხონისათვის, რომ ყირამალა გადმოტრიალდეს, ვაჭრობას ფრთები შეასხას და მსოფლიო ბაზარს დასუნოს". ხონი, ურკინიგზობის მიუხედავად, გაცხოველებულ მონაწილეობას იღებდა ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო ვაჭრობაში. ხონელი ვაჭრები და საქმოსნები ისე თავისუფლად დადიოდნენ მილანში, მარსელში, პარიზში, ვარშავაში, ლოძში, რიგაში, პეტერბურგში, მოსკოვში, რუსეთისა და ევროპის სხვა ქალაქებში, როგორც სამტრედიასა და ქუთაისში.

ფოთი—თბილისის რკინიგზას, რომლის მშენებლობის საკითხი XIX ს. 50-იანი წლების მეორე ნახევარში განიხილებოდა, გ. ბ. გურსკისა და ჩერევინის პროექტის მიხედვით, ხონზე უნდა გაევლო. მაგრამ რკინიგზა, სხვადასხვა მოსაზრებების გამო, გაყვანილ იქნა ახალი პროექტით, რომელმაც განზე დატოვა არა მარტო ხონი, არამედ გუბერნიის ბევრი მნიშვნელოვანი პუნქტი და მათ შორის ქუთაისიც. ეს უკანასკნელი 1877 წელს ცალკე სარკინიგზო ტოტით ჩაბმულ იქნა მთავარ მაგისტრალში. ხონისათვის უახლოესი სარკინიგზო სადგური აღმოჩნდა ახლადდაარსებული ქალაქი სამტრედია, რომლისგანაც 18 კმ-ითაა დაცილებული. ხონი თბილისსა და შავი ზღვის სანაპიროებს რკინიგზით უკავშირდება სამტრედიით. აქ ღებულობდნენ ხონელი ვაჭრები საქონელს რუსეთიდან და საზღვარგარეთიდან. ამასთან და-

კავშირებით ხონსა და სამტრედიას შორის გაყვანილ იქნა გზატკეცილი, გაიხსნა სადილიჟანსო მიმოსვლა.

XIX საუკუნის 80-იან წლებში სავაჭრო მიწათმოქმედების ზრდასა და ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებასთან ერთად, რკინიგზის მთავარ მაგისტრალთან ხონის დაკავშირების საკითხი დაისვა. ამ საქმის ერთ-ერთი ინიციატორი იყო ნიკო ნიკოლაძე. მისი რჩევითა და რეკომენდაციით ცნობილმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ გიორგი წერეთელმა მუშაობა დაიწყო ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში. მალე იგი სპეციალისტებთან ერთად ქუთაისის მაზრაში გამოიგზავნა, ხონზე გავლით რკინიგზის გაყვანის საკითხის შესასწავლად. 1883 წლის 23 დეკემბერს გაზეთი „დროება" იუწყებოდა: „ხონიდამა გვწერენ რომ ერთი კვირაა, რაც აქ ინჟინრები მოვიდნენ და გზებსა ზომავენ რკინის რელსების დასაგებად" -ო.

გ. წერეთელმა დიდი მუშაობა გასწია ხონის, მათხოჯის, ჯიხაიშის და სხვა სოფლების მოსახლეობაში რკინიგზის გაყვანის სარგებლიანობის დასამტკიცებლად, რადგან ამ კარგ წამოწყებას მომხრეებთან ერთად სერიოზული მოწინააღმდეგეებიც ყავდა. გ. წერეთლის უშუალო ინიციატივით და მონაწილეობით ჩატარებულ სასოფლო საზოგადოებათა ყრილობებს გამოჰქონდათ დადგენილებები, რომლებიც რკინიგზის გაყვანას მოითხოვდნენ.

თავდაპირველად რკინიგზის საწყის და საბოლოო პუნქტებად გათვალისწინებული იყო სამტრედია და მათხოჯი. მაგრამ შემდეგ ნიკო ნიკოლაძემ პროექტი შეცვალა და რკინიგზის საწყის პუნქტად აიღო არა სამტრედია, არამედ იანეთი[106]. ნ. ნიკოლაძის ეს პროექტი ტექნიკურად დაამუშავა ინჟინერმა ტრომპეტერმა, გ. წერეთელმა კი ეკონომიკურად შეისწავლა ის რაიონები, რომლებშიაც რკინიგზას უნდა გაევლო. ამის საფუძველზე მან შეადგინა ვრცელი მოხსენებითი ბარათი. მასში დასაბუთებული იყო ხონის რკინიგზის ტოტის ეკონომიკური, კომერციული და სტრატეგიული მნიშვნელობა. ეს მოხსენებითი ბარათი, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის სმეკალოვის ხელმოწერით, 1884 წლის 31 დეკემბერს კავკასიის მთავარმართველს გაეგზავნა. გიორგი წერეთელი ნიკო ნიკოლაძეს აცნობებდა: „ძვირფასო ძმაო ნიკო, გიგზავნი კოპიოს სმეკალოვის წარდგინებისას, რომე-

---

[106] ე. ძიძიგური, მასწავლებლის მოგონებანი, თბ., 1967, გვ. 222-223.

ლიც ჩემგან არის დაწერილი და სმეკალოვმა ძალიან მოიწონა და თვითონვე მოაწერა ხელი. ამ წარდგინებასთან მან გამოაგზავნა ყველა დოკუმენტები და პრიგავორები ერთად, აგრეთვე ერთი კარტაც, რომელშიაც არის ნაჩვენები ხონის რკინიგზის პროექტი.

მე გიგზავნი ყოველნაირ მასალას, რაც მაშინ მოვაგროვე ხონის რკინიგზისათვის. დანარჩენს თვითონ წაუმატებ შენის მოსაზრებით. თქვენც მანდ წარადგინეთ და ეს ორი წინადადება ერთად რომ შეიყრება, მაშინ საქმე მალე გაკეთდება... ხონის გზა სწორეთ პირველი დიდი ნაბიჯი იქნება გადადგმული რკინიგზების ტოტების საკეთებლად“[107].

ახალ სარკინიგზო რაიონში უნდა შესულიყო ქუთაისის მაზრის ერთი მეექვსედი, ზუგდიდის მაზრის ორი მესამედი, სენაკის – ნახევარი, სვანეთის საბოქაულო მთლიანად, რაც შეადგენდა 3786 კვადრატულ ვერსს 122.336 მცხოვრებით[108]. ხონის რკინიგზის ტვირთბრუნვაში მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერდა სიმინდი, ხე-ტყე, აბრეშუმის პარკი, ღვინო, ხორცი, სამშენებლო მასალა და სხვ. ამით იგი საგრძნობლად გაადიდებდა მთავარი მაგისტრალის ტვირთბრუნვას, ხოლო ომის შემთხვევაში გააადვილებდა სურსათ-სანოვაგით არმიის მომარაგებას. როგორც გ. წერეთელი აღნიშნავდა, საქართველოში ეს იქნებოდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების რკინიგზის პირველი ტოტი.

1887 წლის იანვარში ხონის რკინიგზის საკითხი განიხილა ახალი რკინიგზების საქმეთა კომისიის სხდომამ, რომელსაც ნიკო ნიკოლაძეც ესწრებოდა. მან თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ხონის რკინიგზის რაიონი განსაკუთრებით მჭიდროდ იყო დასახლებული და დიდი რაოდენობით სასაქონლო სიმინდს აწარმოებდა. სიმინდის გატანა აღნიშნული რაიონიდან ხდებოდა სადგურების: აბაშის, სამტრედიის და კოპიტნარის მეშვეობით, რაც მთელ რიგ დაბრკოლებებთან იყო დაკავშირებული.

კომისიამ საკითხი დადებითად გადაჭრა. გზათა მინისტრი კავკასიის მთავარმართველს ურჩევდა ხონის რკინიგზის ტოტის აგება მიენდო არა ამიერკავკასიის რკინიგზის საზოგადოებისათვის, არამედ რომელიმე კერძო კომპანიისთვის, რად-

---

[107]ნიკო ნიკოლაძის არქივი, 40/1407, დაცულია საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

[108]სცსა, ფ. 12, აღწ. 7, საქ. 3431, ფურც. 1-3.

გან მთავრობა გამოსაცემად ამზადებდა სპეციალურ დებულებას მისასვლელი გზების შესახებ. ხონის რკინიგზის საქმე რამდენიმე ხნით გადაიდო.

90-900-იან წლებში შემუშავებულ იქნა რამდენიმე პროექტი, რომელთა მიხედვით რკინიგზას ხონზეც უნდა გაევლო, მაგრამ არცერთი მათგანი არ განხორციელებულა.

მეფის მთავრობას ამიერკავკასიაში რკინიგზები გაჰყავდა უმთავრესად სამხედრო მიზნით და ამ რეგიონის, როგორც კოლონიის, ეკონომიკური ათვისებისათვის, ე. ი. აქედან ნედლეულის გატანისა და თავისი ფაბრიკატების რეალიზაციის მიზნით[109]. რკინიგზების მშენებლობა ამიერკავკასიაში, და საერთოდ რუსეთის იმპერიაში, უცხოელი კაპიტალისტების ხელში იყო. ისინი მხოლოდ მაღალი მოგებით იყვნენ დაინტერესებული და, ცხადია, არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ინტერესებს. ითვალისწინებდა რა ყოველივე ამას, გ. წერეთელი 1884 წელს წერდა: „... ყველამ ვიცით, რომ თუ საზოგადოებისა და ხალხის დახმარებით არა, ჩვენს ქვეყანაში არც ერთი რკინიგზის ტოტი არ გაკეთდება, რადგან მთავრობა ვერ მისცემს გარანტიას და კამპანია კი არ არის დარწმუნებული, რომ ამისთანა სამაზრო რკინიგზის ტოტებს ჰქონდეს იმდენი წარმატება, რომ მათზე დახარჯული ფული შემოსავლით აღადგინოს. ამიტომ თუ საზოგად:ება არ დაეხმარა რკინიგზის კამპანიას და არ შეუმსუბუქეს გასაკეთებელი ხარჯები, ისე კამპანია ვერასოდეს ვერ გაბედავს ამისთანა რკინიგზების გაკეთებას. მთავრობას კი თავის დღეში იმდენი თავისუფალი ფული არ ექნება, რომ ამისთანა სამაზრო რკინის გზებზე იკისროს თავდებობა უცხო ქვეყნების კაპიტალისტების წინაშე“[110].

XX საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა ხონი—ქუთაის—სამტრედიას შორის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის გაყვანის იდეა. 1919 წელს დაიწყო მისი განხორციელება დასახელებული სამი ქალაქის ხარჯზე[111]. შეიქმნა ხონი—ქუთაის—სამტრედიის რკინიგზის საზოგადოება. ამის შესახებ გზათა დეპარტამენტი ქუთაისის სამაზრო ერობას წერდა: რკინიგ-

---

[109] პ. გუგუშვილი, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბ., 1941, გვ. 90.

[110] „დროება“, 1884, № 106, გვ. 1-2.

[111] სცსა, ფ. 69, საქ. 151, ფურც. 34.

ზის „შტოს გაყვანისათვის საჭირო ხარჯების უმეტესი ნაწილი ნავარაუდევია გაწეულ იქნას მთავრობის ხარჯზე, რაც სრულიად მიუღებელიაო"[112]. უაღრესად მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო, საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას, ცხადია, სათანადო სახსრები არ გააჩნდა, ვერც დაინტერესებული კერძო ფირმა მოიძებნა, ამიტომ რკინიგზის მშენებლობა შეწყდა. მალე დაგებული ლიანდაგებიც აყარეს.

ხონზე გავლით რკინიგზის გაყვანის საკითხი კვლავ დაისვა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. სამტრედია–მათხოჯის რკინიგზის მშენებლობა პირობითად შეტანილ იქნა პირველ ხუთწლიან გეგმაში[113]. მაგრამ ამჯერადაც უშედეგოდ.

XX საუკუნის ათიან წლებში ხონი–ქუთაისსა და სამტრედიას შორის საავტომობილო მიმოსვლა დაიწყო. რამდენიმე კერძო პირმა, მათ შორის გ. მ. შერვაშიძემ, კ. დ. ერისთავმა, დ. ი. ორჯონიკიძემ, ა. პ. ლებედინსკიმ ქუთაისის გუბერნატორს თხოვეს დასახელებული მარშრუტით საავტომობილო მიმოსვლაზე ნებართვა[114]. საკითხი დადებითად გადაწყდა. 1908 წელს ქუთაისიდან ხონში ჩავიდა პირველი ავტომობილი, რომლის პატრონებსაც მოლაპარაკება აქვთ აქაურებთან (ხონელებთან, — პ. ვ.) — წერდა გაზეთი „ამირანი", — სურთ ქუთაისსა და ხონს შუა აქტომობილით მიმოსვლა მოაწყონ. თუ ეს საქმე მოეწყო ხონის საქმე კარგად იქნებაო"[115]. ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტას მოელოდნენ როგორც ხონში, ასევე ქუთაისშიც. „ხმები დადის, — წერდა „ივერია", — რომ ამ მოკლე ხანში, როდესაც გუბის წყალზე ხიდს გააკეთებენ, ავტომობილს გამოიყვანენო. სასურველია რაც შეიძლება ადრე გააკეთონ ეს ხიდი, რათა ავტომობილს ვეღირსოთ. თავიდან ავიცილოთ მეეტლეების ექსპროპრიაცია"[116]. ხონელების ეს იმედები არ გამართლდა.

1910 წელს ხონსა და ქუთაისს შორის საავტომობილო მიმოსვლის დამყარების ნებართვა მიიღეს ძმებმა ანანოვებმა, მაგრამ ვერც მათ მიიყვანეს ეს საქმე ბოლომდე. 1911 წ.

---

112 იქვე, საქ. 151, ფურც. 27.

113 ვ. ძიძიგური, მასწავლებლის მოგონებანი, გვ. 221.

114 სცსა, ფ. 12, აღწ. 7, საქ. 3107, ფურც. 4-7.

115 „ამირანი", 1908, 10, 31, № 196, გვ. 4.

116 „ივერია", 1909, № 8, გვ. 4.

ქუთაისელმა მოქალაქემ ვ. გოცირიძემ რამდენიმე ავტომობილი შეიძინა, რომელთაც ქუთაის–ხონსა და ქუთაის–ბაღდათს შორის უნდა ემოძრავა. „ქუთაისსა და ხონს შუა დაიწყო ავტომობილების მიმოსვლა, – წერდა ჟურნალი „კოოპერაცია“, – ბატონი გოცირიძე აარსებს თურმე ამხანაგობას, რომლის მიზანი იქნება საქონლის მატარებელი ავტომობილის შეძენა და საზოგადოთ მიმოსვლის საქმის გაუმჯობესება“[117]. ამ წამოწყებას რაიმე ეფექტური შედეგი არ მოჰყოლია. იმავე წლის 2 აგვისტოს ვ. გოცირიძე ქუთაისის გუბერნატორს თხოვდა ექვსი სტრაჟნიკის გამოყოფას საკუთარ ხარჯზე, იმ ავტომობილების დასაცავად, რომლებიც მოძრაობდნენ ქუთაისიდან ხონამდე და ბაღდათამდე. ვ. გოცირიძის ეს თხოვნა დააკმაყოფილეს[118]. ირკვევა, რომ 1911 წელს ვ. გოცირიძეს ქუთაისსა და ხონს შორის საავტომობილო მიმოსვლის დამყარება მოუხერხებია.

1916 წელს ავტომობილი შეიძინა ადგილობრივმა მცხოვრებმა არკადი ყუფარაძემ, რომელსაც განზრახული ჰქონდა მისი ტარება ხონსა და სამტრედიას შორის, მაგრამ ამ ხაზზე ავტომობილის მოძრაობას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. რეგულარული საავტომობილო მიმოსვლა ხონსა და საქართველოს სხვა პუნქტებს შორის მოგვიანებით დაიწყო.

## 8. საკრედიტო საზოგადოებები ხონში

ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის განვითარებას თან ახლდა საკრედიტო საზოგადოებების – ამხანაგობების წარმოშობა. XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ხონის რაიონში ხუთი საკრედიტო ამხანაგობა მოქმედებდა. XIX საუკუნის ბოლოს კი ხონის მცხოვრებთა ერთმა ნაწილმა და ვაჭართა წარმომადგენლებმა ურთიერთნდობის კრედიტის საზოგადოების დაარსების საკითხი დააყენეს. ამასთან დაკავშირებით ქუთაისის გუბერნატორი კავკასიის მთავარმართველისადმი გაგზავნილ მიმართვაში აღნიშნავდა: „დაბა ხონში ვაჭრობა და მრეწველობა ყოველწლიურად პროგრესულად ფართოვდება, განსაკუთრებით კი უკანასკნელ წლებში... რამდენად განვითარებულია ეს რაიონი სავაჭრო-სამრეწველო თვალსაზრისით, ნათლად სჩანს იქედან, რომ შვიდ მაზრაში არსებულ

---

[117] „კოოპერაცია“, 1911, № 8-9, გვ. 14.

[118] სცსა, ფ. 13, აღწ. 26, საქ. 104, ფურც. 1-5.

ცხრა შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობიდან ხუთი სწორედ ამ რაიონში მოქმედებს. ეს ამხანაგობები აღმოცენდნენ 1876-1896 წლებში და ამჟამად მათი ფულადი ბრუნვა წლიურად 200.000 მანეთამდე აღწევს“[119]. გუბერნატორი არწმუნებდა მთავარმართველს, რომ ახალი საკრედიტო საზოგადოება ხელს შეუწყობდა დაბა ხონის შემდგომ ეკონომიკურ განვითარებას და თხოვდა ამ საკითხის გადაწყვეტა დაეჩქარებინა.

ხონში ურთიერთნდობის კრედიტის საზოგადოებამ მოქმედება დაიწყო 1899 წელს. 1900 წელს მას უკვე 227 წევრი ჰყავდა. 1912 წლისათვის „საზოგადოების“ წლიური ფულადი ბრუნვა 3 მილიონ 600 ათას მანეთზე მეტს შეადგენდა[120]. ეს მეტყველებს ხონში წვრილბურჟუაზიული ფენის საკმაოდ გაძლიერებაზე, რადგან ასეთი „საზოგადოებანი“ ძირითადად მის ინტერესებს ემსახურებოდა. ამ „საზოგადოების“ თავმჯდომარე და ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი იყო ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე მათე ვლასის ძე ბახტაძე, ხოლო ბუხჰალტრად მუშაობდა ბესარიონ აბაშიძე, სახელოვანი ქართველი პოეტის ირაკლი აბაშიძის მამა.

1915 წლიდან ხონში მოქმედებდა კოოპერაციული გაერთიანება „იმედი“, რომლის მთავარ დანიშნულებას ჩარჩებისა და სპეკულიანტების წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენდა. „კოოპერატივის საქმე კარგ ნიადაგზეა დამყარებული, — წერდნენ ხონიდან. — „იმედის“ ასეთი გაძლიერება და წინსვლა ბევრ მადაგახსნილ ჩარჩ-ვაჭრებს უფრთხობს ძილს. საკმაოა რომელიმე საქონლის მოტანა კოოპერატივს რამდენიმე დღით დაუგვიანდეს, რომ აქაურმა სპეკულიანტებმა ფრთა შეისხან და თავიანთი საქონლის ფასი უსაზღვროთ გაადიდონ“[121].

კოოპერაციული მოძრაობის შემდგომი განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან არსებულმა კავკასიის აგრონომიული წრის ქართულმა სექციამ 1916 წლის აგვისტოში ხონში სპეციალური ორკვირიანი კურსები მოაწყო. კოოპერაციის მნიშვნელობაზე, ისტორიასა და პრაქტიკულ საკითხებზე ლექციები წაიკითხეს ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების თავმჯდომარემ იოსებ ქუთათელაძემ, ხსენებული ინსტიტუტის ლექტორებმა გ. რცხილაძემ და აპ. კაკაბაძემ.

ხონის კოოპერატივი „იმედი“ საქმეებს რიგიანად აწარმოებდა და მოსახლეობის ფართო ფენებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

---

[119] იქვე, ფ. 12, აღწ. 6, საქ. 506, ფურც. 1.

[120] „კლდე“, 1912, № 9, გვ. 2-4.

[121] „თანამედროვე აზრი“, 1917, 2, 10, № 33.

## 9. ხონის მოსახლეობა

ხონის საპოლიციო უბანი (რაიონი) რიონის დაბლობის აღმოსავლეთ მხარის ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიის ნაწილს მოიცავდა. მოსახლეობის სიმჭიდროვე განსაკუთრებით საგრძნობი იყო მდინარე ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე, სოფელ მაიდნის ქვემოთ; სოფელ მათხოჯიდან დაბა ხონისა და შემდეგ ღანირის გავლით სამტრედიისაკენ მიმავალ ხაზზე და ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის ორივე მხარეზე სამტრედიიდან დაბა ახალ სენაკამდე. აღნიშნულ უბანში, – წერდა 1896 წელს გ. მაევსკი, – სოფლები გადაჭიმულია უწყვეტ ზოლად ათეული და ასეული კვადრატული ვერსის ფართობზე. საეჭვოა, რომ არა თუ ამიერკავკასიაში, არამედ რუსეთის ფარგლებშიაც მოიძებნებოდეს უფრო მჭიდროდ დასახლებული რაიონი. აქ კვადრატულ ვერსზე მოსახლეობის სიმჭიდროვე 150-200 კაცამდე აღწევს, რაც 800-1000 კაცს შეადგენს კვადრატულ მილზე[122]. გადმოცემის მიხედვით, რომელიც ჩაწერილი აქვს მხარეთმცოდნესა და ეთნოგრაფს რაულ ჩხაიძეს, ხონის რაიონი ისე მჭიდროდ დასახლებული ყოფილა, სოფელ ქუტირში ისლიანი სახლის სახურავზე ასული თხა სახლიდან სახლზე გადახტომით ისე ჩამოვიდოდა ხონში, მიწაზე ფეხს არ დაადგამდაო.

კაპიტალიზმის განვითარებას, როგორც ცნობილია, თან ახლავს ქალაქებისა და სავაჭრო-სამრეწველო დაბების მოსახლეობის ზრდა სამიწათმოქმედო მოსახლეობის ხარჯზე. საგრძნობლად გაიზარდა ხონის მოსახლეობაც არა მარტო ბუნებრივი მატების შედეგად, არამედ მის მახლობლად მდებარე სოფლების ხარჯზე. „მცხოვრებთა რიცხვი ამ უკანასკნელ ხუთი წლის მიმდინარეობაში დაბა ხონში შესამჩნევათ გაიზარდა, – წერდა 1902 წელს „კვალი", – სოფლებს ივანდიდს, კუხს, მათხოჯს დღითი-დღე ტოვებენ მკვიდრნი და სამუშაოთ დ. ხონში ესახლებიან"[123]. XIX ს. 80-იან წლებში ხონის საპოლიციო უბნის მოსახლეობის რაოდენობა 1,5-ჯერ აღემატებოდა ოზურგეთის მაზრის მოსახლეობას.

XVIII-XIX საუკუნეების მანძილზე ხონის მოსახლეობის ზრდა შემდეგნაირად მიმდინარეობდა:

---

[122] გ. მაევსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 116.

[123] „კვალი", 1902, № 46, გვ. 735-736.

1730-1740 წლებში ხონში ცხოვრობდა 160 კომლი, დაახლოებით 1000 სული.

XIX ს. 20-იან წლებში – 250 კომლი, დაახლოებით 1500 სული.

1900 წელს – 4963 სული, 1913 წელს – 8759 სული.

პირველწყაროების მიხედვით, 1873-დან 1900 წლამდე ხონის მოსახლეობა გაიზარდა 19,7%-ით (3987-დან 4963-მდე); 1900-დან 1906 წლამდე – 30%-ით (4963-დან 6461-მდე); 1906-დან 1913 წლამდე – 33,1%-ით (6461-დან 8759-მდე). საერთოდ, 1873-დან 1913 წლამდე, ე. ი. რეფორმის შემდგომი ხანის 40 წლის მანძილზე ხონის მოსახლეობა 245%-ით გაიზარდა (3987-დან 8759-მდე), მაშინ როდესაც 1730-1740 წლებიდან 1858 წლამდე, ე. ი. 120 წლის განმავლობაში, 230%-ით გაიზარდა (1000-დან 2300-მდე). ეს ციფრები გვიჩვენებენ, რომ ხონის მოსახლეობა სწრაფად იზრდებოდა რეფორმისშემდგომ ხანაში, როცა აქ გამრავლდა სახელოსნოებისა და სავაჭროების რაოდენობა, წარმოიშვა კაპიტალისტური ტიპის საწარმოები, გაიხსნა სასწავლებლები და ა. შ.

ხონის შესახებ არსებული ისტორიული საბუთების მიხედვით შეიძლება დავადგინოთ, ძირითადად რა გვარები მოსახლეობდნენ აქ XVI-XIX საუკუნეებში (უფრო ადრინდელი ხანისათვის ცნობები არ მოგვეპოვება. წმ. გიორგის ეკლესიის დავთარი 1600 წლის ახლო დროისა ხონში მცხოვრებ მებეგრე გლეხთა შემდეგ გვარებს ასახელებს: აბრალეიშვილი, ბახტაძე, გარდევაძე, გოგევა, გოფოძე, ეფრემიძე, თალგამაძე, კეთილაძე, კოპეშავიძე, კუატუშაძე, ლაითაძე, მებუკე, მამფორია, მაღლაკელიძე, მშაშვიასშვილი, სადრაძე, სავდრაძე, სანოძე, ფარცხელაძე, ხურციძე, ხოხობაძე, ტაბიძე, ყუფარაძე, წივწივაძე, ყლარტაისშვილი, ღვიტაძე, ქაცარავა, ღულაისშვილი, ქუთათელაძე, ძიძიგური, ჭამჭიანიძე, ფანცულაია, ფენჩაიშვილი. სხვა საბუთების მიხედვით დასახელებულ გვარებს უნდა დაემატოს: ბალავაძე, თედორაშვილი, სულთაძე და ჯალაღანია.

XVII-XVIII საუკუნეებში შედგენილი საბუთებით ხონში შემდეგი გვარები დასახლდნენ: ბალანჩივაძე, ბურჩიასშვილი, გაბუნია, გენძეხაძე, გოჩია, იოსელიანი, ირემაძე, კაკაბაძე, კოტიშაძე, კიკაძისშვილი, კიკობეისშვილი, კოსტავა, კუტაბაძე, კიკალიშვილი, კოკორეისშვილი, მანაველიძისშვილი, მათულეიშვილი, მაჭარაძე, მატილეიშვილი, მაცაცია, თარგამაძე, საღარაძე, სვიმონიძე (სიმონიძე), სალდაძე, სვანიძე,

რუხაძე, პაპავა, ფირცხალაძე, ქიშმაძე, ღოღობერიძე, ყვიცარიძე, ღუდარჩიშვილი, ჩხენკელი (ჩხიკელა, ჩხინკელა), ჭანტურიშვილი, ჭავჭიანიძე (რომელიც ჭამჭიანიძის სახესხვაობა უნდა იყოს), ჭუბაბრია, ყიფრაძე, წიქუაძე, ხუხულისშვილი, ჯაბიძე.

XIX საუკუნის 70-იან წლებში შედგენილი ერთი საბუთი[124] ასახელებს შემდეგ ახალ გვარებს, რომლებიც არ გვხვდება XVI-XVIII საუკუნეების საბუთებში. ესენია: ბერაძე (ბერიძე), გურაბანიძე, გოგავა, თუთბერიძე, კუჭავა, კობახიძე, ლომიძე, ლომთაძე, მაისურაძე, სოსელია, ქორქაშვილი, შველიძე, ჩაკვეტაძე, ცანავა, წვერავა, ჯოჯუა, რატიანი, ნადარეიშვილი, ჩიჩაგუა.

ვარლამ შავდია თავის სტატიაში ხონის შესახებ ზემოთჩამოთვლილ გვარებს გარდა ასახელებდა შემდეგ გვარებს: აბაშიძე, აბზიანიძე, არძიანი, ბაკურაძე, ბარქაია, გეგელაშვილი, გეგეჭკორი, გელენიძე, გორდაძე, გვახარია, თავართქილაძე, ინჯია, კარტოზია, კენჭერაძე, კაკაურიძე, კლდიაშვილი, კირთაძე, ლომინაძე, ლორთქიფანიძე, ლექავა, ლოჩოშვილი, სადარეიშვილი, სურმავა, სულავა, ფარაძე, ფაღავა, ფურცელაძე, ქავთარაძე, ქაბზინაძე, შავდია, ჩერქეზია, ჩიქოვანი, ჩხიკვაძე, ცაგარეიშვილი, ძაძამია, წოწონავა, ჭიჭაღუა, ჭანიშვილი, ხინტკირია, ხმელიძე, ჯღარკავა და სხვ.

ხონში მოსახლე გვარებიდან ყველაზე ძველი და გავრცელებულია ბახტაძე და სანოძე. ვარლამ შავდიას ასეთი გადმოცემა აქვს ჩაწერილი: წმინდა გიორგის ტაძრის აშენების დროს მომხდარა ისეთივე ამბავი, როგორიც მოთხრობილია თქმულებაში სურამის ციხის შესახებ. თითქოს წმინდა გიორგის ეკლესიის ბალავერში ჩააშენეს აქაური გლეხის — ბახტაძის შვილი. მეორე თქმულებით, ორმა მოხუცმა — ბახტაძემ და სანოძემ თვით მოისურვეს ბალავერში დატანება და მათი სურვილი შეასრულეს. ამიტომ ბახტაძეებს და სანოძეებს დღესაც წმინდა გიორგის ტაძრის ბალავერს უწოდებენ[125].

პროფ. ს. კაკაბაძის გამოანგარიშებით, 1819-1820 წლებში ხონის მოსახლეობის 80,6% საეკლესიო გლეხები შეადგენ-

---

[124] სცსა, ფ. 12, აღწ. 8, საქ. 213, ფურც. 2-10.

[125] აკაკის კრებული, 1898, № 7, განყ. მე-3, გვ. 44-45.

დნენ (აზნაურებისა და მათი ყმების გამოკლებით)[126], ხოლო XIX საუკუნის 80-იან წლებში ხონის მოსახლეობის წოდებრივი შემადგენლობა შემდეგ სურათს იძლეოდა: თავადისა და აზნაურის ოჯახი – 48 კომლი, სასულიერო წოდების – 11, გლეხი – 744, რომელთაგან 16 – დროებითვალდებული, 163 – მესაკუთრე, ხოლო 565 კომლი ცხოვრობდა ხაზინის მიწაზე, 88 კომლი ვაჭარი და ხელოსანი არ მიეკუთვნებოდნენ ხონის მცხოვრებთა საერთო რიცხვს, ისე კი მუდმივად ხონში ცხოვრობდნენ[127]. სახაზინო გლეხთა დიდი რაოდენობა ხონში (მთელი გლეხური მოსახლეობის 76%) აიხსნება იმით, რომ 1872 წელს საეკლესიო გლეხები ხაზინის განკარგულებაში გადავიდნენ.

ხონის მოსახლეობის სოციალურ შემადგენლობაში შესამჩნევი ცვლილებები მოხდა XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან. კაპიტალიზმის შეჭრას სოფლის მეურნეობაში და აღებმიცემობის გაცხოველებას თან ახლდა გლეხობის დიფერენციაცია. გლეხობის გაღარიბებული მასის გვერდით წარმოიშვა სოფლის ბურჟუაზია – ჩარჩ-ვაჭართა ფენა, რომელიც საგრძნობ ძალად გადაიქცა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ XIX საუკუნის 80-იან წლებში ხონის მოსახლეობის 38% რეწვასა და ვაჭრობას ეწეოდა. ცვლილებები მოსახლეობის სოციალურ შემადგენლობაში დაბის გარეგნულ სახესაც დაეტყო. გამრავლდა „მაღალზე დადგმული“ სახლები კრამიტისა და თუნუქის სახურავებით, ქვის გალავნებითა და რკინის ჭიშკრებით. ხმარებაში შემოდის ევროპული ავეჯი, ჭურჭელი და ტანსაცმელი. ხონელ ვაჭრებს რუსეთიდან და საზღვარგარეთიდან ჩამოაქვთ ძვირფასი ნივთები (სარკეები, საგარძლები, ხალიჩები და ა. შ.) საკუთარი ბინების მოსაწყობად, დიდი ქალაქებისაგან ითვისებენ გარეგნულობასა და ზნე-ჩვეულებებს. „რაც უფრო უახლოვდებით ხონს, მით უფრო გაკვირვებთ ნაყოფი მათი შრომის, ბეჯითობის და მუყაითობის, – წერდა „კვალი“. – ნაირნაირი სახლები, ფართო და ლამაზი ეზოები, ჩინებული ღობეები მოხდენილად ჩამწკრივებული შარის პირად მგზავრის ყურადღებას ერთიანად იტაცებს. ამ საერთო ჰარმონიას არღვევს მხოლოთ აქაიქ, თუმცა იშვიათათ, ჩაჩხირული ისლით დახურული მიწუ-

---

[126]ს. კაკაბაძე, მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის, საისტორიო კრებული, წიგნი 1, ტფ., 1924, გვ. 26.
[127]სცსა, ფ. 12, აღწ. 7, საქ. 213, ფურც. 37-44.

რი სახლები, რაიცა გაგახსენებს იმას, რომ „ღმერთმა ერთი რათ აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოსო", მაგრამ რაც უნდა იყოს ცხონებულთა რიცხვი, აქ ბევრია და ესენი თითქმის სულ ყველა გუშინდელი ვიგინდარებია. ყველა გამორჩენილ ადგილას გლეხები სახლობენ, ხოლო სადღაც უკან, მიმალულ ადგილებში, აზნაურები. ამ ქვეყნის ბრუნვას აქ გლეხობა წამოუყენებია წინ, მაგრამ არც ისე როგორც ყოველგან, არამედ სულ სხვანაირად, ხონურათ. ხონელი გლეხი უკვე ბურჟუა გამხდარა და თავისი საკუთარი ელფერი აქაურობისათვის დაუმჩნევია. არ არის ჩვენში კუთხე, რომელიც ისე ღრმათ იყოს გაჟღენთილი ბურჟუაზიული მიდრეკილებით, როგორც ხონი და მისი მიდამოებია"[128].

წვრილბურჟუად ქცეული კულაკი ან ვაჭარი იცვამდა ქალაქურად, ცდილობდა სახლის მოწყობას თანამედროვე გემოვნების მიხედვით, შვილებს სასწავლებლად აგზავნიდა რუსეთისა და საზღვარგარეთის სასწავლებლებში. ცნობილი პუბლიცისტი ივანე მესხი 1870 წელს ქვემო იმერეთში მოგზაურობის დროს ხონელ გლეხს სახლში მიუპატიჟებია. „წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, — წერდა ივ. მესხი, — როდესაც შევედით მის ეზოში, მეგონა, შეცდომით ვიღაცა შეძლებულ თავადს მივადექითქო. დაგვხვდა მშვენიერი დიდი ეზო სხვადასხვა ხეხილებით და პატარა, ყვავილებით სავსე ბაღჩა. ამ ეზოში გამოჭიმული იყო დიდი ხის ოდური სახლი, როგორც ამ ეზოსა და სახლს შეეფერებოდა ისე შიგნით იყო მორთული თავათ სახლიც. მივედით თუ არა, **ცხენები ჩამოჰვართვეს და მასპინძელმა მიგვიწვია ზალაში, რომელშიც გაშლილი იყო ჩვენთვის ევროპულად სტოლი სხვადასხვა სასმელებითა** (ხაზგასმა ჩვენია, — პ. გ.). ამ გლეხს ამ მდგომარეობამდის მარტო თავისი შრომით მიუღწევია, რომელიც ჩალგადრობაში და სხვა წვრილ ვაჭრობაში მდგომარეობს"[129].

აქ ლაპარაკია შეძლებულ გლეხზე, წვრილ ვაჭარსა და კულაკზე. გლეხობის ძირითადი მასის საარსებო პირობები კი შედარებით მძიმე იყო. „მეტადრე დიდ გაჭირვებაში იმყოფებიან გლეხები, — წერდა ხონელი კორესპონდენტი გაზეთ „კვალში", — ზოგს სიმინდი აკლია, ზოგს ტანთ არაფერი აცვია, ზოგიც თავის ბედს ემდურის: რა ვქნა, რა მეშ-

---

[128] „კვალი", 1899, 5, 2, № 18, გვ. 287-290.

[129] „დროება", 1870, 11, 5, № 44, გვ. 2-3.

ველება, რა მაბადია, რო ყველას: მღვდელს, ბერს, პოლიციას, ჩარჩს ანგარიში გაუწიო. აგერ შემოდგომაზე მიწის ღალას მომთხოვენ და როგორღა გადავიხადოო"[130].

გაღარიბებული გლეხები ქვემო იმერეთიდან, რაჭა-ლეჩხუმიდან, სამეგრელოდან და სვანეთიდან ხონში ჩამოდიოდნენ საარსებო საშუალებების მოსაპოვებლად. ხონში, ბაღის მახლობლად ე. წ. „ბირჟა" იყო, სადაც თავს იყრიდნენ აქ სამუშაოდ ჩამოსული გლეხები და მუშტარს ელოდნენ. ჩამოსულთა რაოდენობა იზრდებოდა გაზაფხულ-ზაფხულში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებთან დაკავშირებით. სოფლებიდან ჩამოსული გლეხები ეძებდნენ ყანაში სამუშაოს, დგებოდნენ მოჯამაგირეებად, დღიურ მუშად და ა. შ. ყანების გათოხნის დროს ხონში ორასამდე კაცი ჩამოდიოდა. „ამ მუშათა ცხოვრების პირობები, – წერდა „სახალხო ფურცელი", – ძალიან მძიმეა. ღამეს ათევენ, უმთავრესად, ბაღში, ცის ქვეშ, ტიტველ მიწაზე. არც საბანი აქვთ, არც ლები და არც სხვა რამე დასახურავი. თუ ავდარია, გადახურული დუქნების წინ, ცემენტზე ითევენ ღამეს. მათი მდგომარეობა არც ყანაშია შესაფერისი... თუ მიიღებთ მხედველობაში თუ სად მუშაობენ და რით იკვებებიან, დამეთანხმებით, რომ სწორედ ძნელ პირობებში უხდებათ მუშაობა. არის დღე, როდესაც დღეში სამ აბაზად მიდიან სამუშაოდ. ზოგიერთ დღეს კი მთლად უსაქმურად რჩებიან"[131]. ასე ცხოვრობდა გლეხობის გაღატაკებული ნაწილი.

რეფორმის შემდგომ ხანაში ხონის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა კაპიტალისტურ საწარმოში დასაქმებული მუშები, ქარგალ-შეგირდები, ნოქრები და სხვ. სასწავლებლების გამრავლებასთან ერთად იზრდებოდა მასწავლებელთა და მოსწავლეთა რაოდენობა. კულტურული განვითარების დონის მიხედვით ხონი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო მთელს დასავლეთ საქართველოში. ამიტომ ყოველი ხონელი ამაყობდა თავისი ხონელობით. „და როცა თქვენ გესმით „ხონელიო", – წერდა „კვალი", – ეს უსათუოდ დაბა ხონში მცხოვრებს კი არ ნიშნავს, არამედ მის ახლო-მახლო სოფლებში მცხოვრებლებსაც, შორეულ სოფელთაც კი თავი მოაქვთ თავისი „ხონელობით"[132]. ხონელი ცნობილი იყო შრომისმოყვარეობით, გამჭრიახობით, მოხერხებულობით, ანგარიშიანობითა და პრაქტიკული ნიჭით.

---

[130] გაზ. „ეკალი", 1908, 9, 17, № 14, გვ. 3.

[131] „სახალხო ფურცელი", 1914, 7, 1, № 26, გვ. 3.

[132] „კვალი", 1899, 5, 2, № 18, გვ. 287-290.

## 10. ხონში საქალაქო მმართველობის შემოღების საკითხისათვის

ვაკე იმერეთის ტერიტორია, რომლის ცენტრს ხონი წარმოადგენდა, ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, ჯერ ციხეგოჯის საერისთავოში შედიოდა, შემდეგ ქუთაის-ოკრიბის, ხოლო XVIII საუკუნეში იმერეთის სამეფოს პირველ სადროშოს შეადგენდა[133]. ამ პერიოდში იმერეთი რამდენიმე სამოურაოდ — საერო-ადმინისტრაციულ ერთეულად იყო დაყოფილი, რომელთაც მოურავეები ედგნენ სათავეში. ხონი და მისი შემოგარენი ცალკე სამოურავოს შეადგენდნენ. თვით ხონი საეკლესიო-სამეფო სოფელი იყო და მას უმთავრესად წმინდა გიორგის ტაძრის ხელმძღვანელობა განაგებდა. ეკლესიის მეურნეობის მართვა-გამგეობაში საერო ხელისუფლება არ ერეოდა, თუ ამას რაიმე განსაკუთრებული საჭიროება არ მოითხოვდა. ხონის ტაძრისადმი 1778 წელს მიცემულ სიგელში სოლომონ პირველი წერდა: „... ჟამსა ვითარებისა და დროცვლილებით თქვენი ეკლესიის მამულისათვის მეფეთა თუ სხვათა, მოურავი და მებაჟე დაეყენებიათ. ახლა ჩვენი მოურავი და მებაჟე გამოგაცალეთო“[134].

მოურავის თანამდებობა არსებობდა იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგაც, 1811-1846 წლებში. „დათხოვების ფურცლებს“, რომელთა უმეტესობა შედგენილია XIX საუკუნის 20-30-იან წლებში, ხელს აწერდა მოურავი, პრაპორშჩიკი ლევან ლოლობერიძე. „იმერეთის დროებითი მმართველობის შესახებ“ 1814 წლის 25 თებერვალს დამტკიცებული დებულების მიხედვით, ვაკის მაზრის ცენტრი მარანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ 20-იან წლებში მას ხონში გადმოუნაცვლებია. კავალერი გამბა თავისი მოგზაურობის აღწერაში წერდა: ქუთაისიდან გასვლის შემდეგ „პირველი ღამის გასათევად გადავწყვიტეთ ვაკის მაზრის მთავარ ქალაქში, ხონში შევჩერებულიყავით; აქ უნდა გვენახა აბაშის გარნიზონის ეგერთა პოლკის კაპიტანი, რომელსაც მაზრის უფროსის პოსტი ეჭირა და რომელსაც ამ მოგზაურობის დროს ჩვენთვის მეგზურობა უნდა გაეწია“[135].

---

[133] ვახუშტი ბაგრატიონი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, გვ. 774.

[134] ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წიგნი მე-2, გვ. 164.

[135] გამბა, დასახ. ნაშრომი, გვ.?

1846 წლიდან, ქუთაისის გუბერნიის შექმნის შემდეგ, ხონი ქუთაისის გუბერნიის ქუთაისის მაზრაში შედიოდა. 70-იანი წლებიდან იგი იყო საპოლიციო უბნის ცენტრი, რომელიც შვიდი სასოფლო საზოგადოებისაგან შედგებოდა: 1. ღანირის (ღანირი, გვაზაური, პატარა ჯიხაიში, ქუტირი), 2. გვაშტიბის (ახალბედისეული, ბესიაური, გვაშტიბი, გელავერი, დედა-ღვთისა, ძეძილეთი, ყუმისთავი, ორაგვეთი, უალური, ცხუნკური, გაღმა-ჩუნეში), 3. კუხის (დიდი გუბი, პატარა გუბი, გორჩა-ჯიხაიში, ივანდიდი, კუხი, ნამაშევი), 4. ნახახულევის (დედალაური, კონტუათი, მათხოჯი, ნახახულევი, საწულუკიძეო), 5. სამიქავოს (გებათი, გუგუნაყათი, კალობანი, მაიდანი, სამიქავო), 6. ხონის (სოფ. ქარჩხაბი) და 7. წყალტუბოს (გვიმბრა, გვაშტიბი პირველი, ქვილიშორი, ხომული, წყალტუბო, გაღმა წყალტუბო, ჩუნეში)[136].

ხონს უწოდებდნენ საეკლესიო სოფელს, დაბას, ქალაქს. ბლაღოჩინ ლუკა ბახტაძის მიერ 1864 წელს შედგენილ ცნობარში ნათქვამია: „... სობოროს ეკლესია მდებარეობს საეკლესიო სოფელსა შინა მისდამი შეწირულსა იმერეთის მეფეებთაგან“. იქვე იგი ხმარობს აგრეთვე „დაბა ხონს“[137]. რუსი ელჩები ნ. ტოლოჩანოვი და ა. იევლევი ხონს ასახელებენ ქალაქთა შორის[138]. მაგრამ ცნობილია, რომ ისინი ქალაქს უწოდებენ იმ ადგილს, სადაც გალავნით შემოზღუდული ტაძარი იდგა. 1771 წელს ხონის ეკლესიაში გადაწერილ მეტაფრასს ასეთი მინაწერი აქვს: „აღიწერა წმინდა ესე მეტაფრასი ბრძანებითა და წარსაგებელითა ჩიჯავაძის მთავარეპისკოპოსის ანტონისათა ქალაქსა ხონს (ხაზგასმა ჩვენია, — პ. გ.) პალატსა წმინდისა მთავარ მოწამისა გიორგისათა“[139]. ნ. ჩუბინაშვილი თავისი მოგზაურობის მასალებში 1842 წელს წერდა: „... აგვისტოს 22. ქალაქი ხონი, — აქ პარასკეობით არის ბაზრობა“[140] და ა. შ. ხალხურ ტერ-

---

136 აქტები, ტ. V, გვ. 467; Иваненко, Гражданское управление Закавказьем, Тф., 1901, с. 429

137 ქცა, ფ. 21, საქ. 766.

138 ნ. ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა..., თბ., 1970, გვ. 152, 266.

139 ქუთაისის სახ. მუზეუმი, ხელნაწერი № 89, გვ. 117.

140 А. Цагарели, Сведения о памятниках груз. письменности, СПб, т. I, вып. 3, 1894, с. 43.

მინოლოგიაში იხმარებოდა „ხონქალაქი". ამ მხრივ საყურადღებოა რამდენიმე ადგილი დ. გელოვანის (ბანოვანის) რომანიდან „შორეული ლანდები", რომელიც XVII საუკუნის ამბებს ასახავს. რომანის მოქმედი პირები იყენებენ გამოთქმას „ხონ-ქალაქი". შმაგი გელოვანის აჯანვების ამბის შესატყობინებლად სვინჩი დევდარიანი დადიანთან მივიდა ზუგდიდის სასახლეში. მას ეკითხებიან: რომელი გზით მოდი?

— ჯერ ქუთაისით და მერე ხონ-ქალაქით", — პასუხობს სვინჩი.

სახლში დაბრუნებული სვინჩი დევდარიანი ცოლს ეუბნება, რომ ზუგდიდში ერთი თეთრი ქისა აჩუქეს.

„მერე რა უყავი? სადა გაქვს? — ეკითხება ცოლი.

— სადა მაქვს და ხონ-ქალაქში", — პასუხობს იგი.

აჯანყებულებს სვინჩი დევდარიანი არწმუნებს, რომ დადიანთან ბეჟან ყიფიანის დედამ გაგზავნა და რაღაცა წერილი გაატანა.

— „რაო რა მისწერა?" — ეკითხებიან მას.

— „იმისი რა ვიცი რა ეწერა! დავხიე და ხონ-ქალაქში ცეცხლში დავწვი", — პასუხობს სვინჩი[141].

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ დ. გელოვანი ეთნოგრაფიისა და ხალხური სიტყვიერების კარგი მცოდნე იყო, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ მის მიერ რამდენჯერმე ხმარებულ გამოთქმას „ხონ-ქალაქი" ფოლკლორული საფუძველი უნდა ჰქონდეს.

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან მკვიდრდება ტერმინი — დაბა. ჟურნალ-გაზეთებში და ოფიციალურ მიმოწერაში ხონი ყოველთვის მოხსენიებულია როგორც დაბა (**местечко**), თუმცა ეს საკანონმდებლო წესით გაფორმებული არ ყოფილა. ქუთაისის სამოქალაქო გუბერნატორი 1865 წლის ანგარიშში აღნიშნავდა, რომ მოსახლეობის სიმცირე გუბერნიაში არის ცხოვრების რუსული წესების ნელი გავრცელების ერთ-ერთი მიზეზი. ქალაქები არიან იმპერიასთან მხარის შერწყმის საუკეთესო საშუალება. ამიტომ ისინი მთავრობის მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებასა და მზრუნველობას იმსახურებენ.

საბატონო გლეხთა განთავისუფლებისა და საეკლესიო გლეხთა ყოფაცხოვრების მოწყობასთან ერთად შეიცვლება აქაური მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრების მთელი საწყი-

---

[141] ბანოვანი, შორეული ლანდები, თბ., 19, გვ. 450, 462, 475.

სები. ახლო მომავალში წარმოიშობა ჭარბი მუშა-ხელი, შეიქმნება მცირე კაპიტალი. ერთიც და მეორეც გამოიწვევს ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებას. შემდეგ, მჭიდრო მოსახლეობას შორის მდებარე ზოგიერთი ადგილი, რომლებიც ახლაც იზიდავენ თავისკენ ახლომახლო მოსახლეობას, დაწინაურდება.

ასეთ ადგილთა რიცხვს მიეკუთვნება რაჭის მაზრაში ონი და ბუგეული, შორაპნის მაზრაში — საქარა, საჩხერე, ჩხარი, ქუთაისის მაზრაში — ბაღდათი და ხონი, ოზურგეთის მაზრაში — ნიკოლაევსკი. ამ ადგილებში ყოველ კვირას ახლაც იკრიბება ახლომახლო მოსახლეობა თავისი ნაწარმოების გაცვლა-გამოცვლისათვის, აგრეთვე ჩამოსული ან ადგილობრივი ვაჭრებისაგან სხვადასხვა საქონლის შესაძენად.

სასარგებლო იქნებოდა ამ პუნქტებში დაგვესახლებია გადამდგარი, ცოლიანი ჯარისკაცი-ხელოსნები და გამოგვეყო მათთვის თითო ქცევა მიწა საკარმიდამოდ. ეს პუნქტები მომავალი ქალაქებია. ამჟამად აუცილებელია მათ მივანიჭოთ დაბის ზოგიერთი უფლებებიო[142].

დაბის სტატუსი ხონს არც 90-იან წლებში ჰქონია. 1890 წელს „ნოვოე ობოზრენიეს“ სწერდნენ, რომ „... ხონი დღითი დღე იზრდება, იმისი მცხოვრებთა რიცხვი მატულობს და ხონელები ნატრობენ, რომ ჩვენი სოფელი როგორმე დაბად იქნას აღიარებულიო... ამიტომ ხონელები სიხარულით ცას დაეწივნენ, როცა მთავრობა შეეკითხა ამ დღეებში გინდათ თუ არა დაბად გადაქცევა თქვენი სოფლისაო. ხონმა თავისი სურვილი გამოაცხადა და ახლა კი იმედია, რომ ხონელებს აუსრულდებათ თავიანთი დიდი ხნის ნატვრა“ [143].

დაბა, საბას განმარტებით, არის „მომცრო ქალაქი მოზღუდვილი“[144]. XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაბისათვის „მოზღუდვილობა“ ანუ გალავანი არ იყო დამახასიათებელი. ამიტომ დაბას უწოდებდნენ ქალაქის ტიპის დასახლებას, რომელსაც საქალაქო მმართველობა არ ჰქონდა.

საქართველოში, როგორც ცნობილია, საერობო რეფორმა არ გატარებულა. ერობათა ნაცვლად შემოღებულ იქნა „სოფლის საზოგადოებანი“, რომლებიც აერთიანებდნენ ერთი ან

---

[142] Сельское хоз. и агр. отн., т. 2, с. 409.

[143] „ივერია“, 1890, 1, 24, № 18, გვ. 2.

[144] სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, ს. იორდანიშვილის რედ., თბ., 1942, გვ. 84.

რამდენიმე სოფლის ტერიტორიაზე მცხოვრებ გლეხობას. სასოფლო ყრილობა, რომელიც შედგებოდა სოფლის საზოგადოების მოსახლეობისაგან, ირჩევდა მამასახლისს. სოფლის ყრილობა, მამასახლისი და გლეხთა სასამართლო ერთად შეადგენდა „სასოფლო საზოგადოებას", რომლის საქმიანობა ამოიწურებოდა გლეხებისაგან გადასახადების აკრებით, სახელმწიფო ბეგარა-სამუშაოთა შესრულებაზე თვალყურის დევნებით.

სასოფლო მმართველობა ხონშიაც იქნა შემოღებული. აი, როგორ აღწერდა ხონში 1879 წელს მამასახლისის არჩევას გაზეთი „დროება": „... ქუთაისის უეზდში მოაწია ვადა სასოფლო თანამდებობის პირების არჩევისა...

ჩვენს ხონის საზოგადოებაშიდ შეიქმნა გაცხარებული ფაცა-ფუცი ძველის სასოფლო თანამდებობის პირებთაგან, რომელთაც დიდი სურვილი ჰქონდათ ისევ ყოფილიყვნენ არჩეულნი. მამასახლისის ადგილზედ ძველ მამასახლისს გარდა ბარე სამიოდე აღმოჩნდნენ მსურველნი, მაგრამ როგორც მოგეხსენებათ მამასახლისი თითეულს საზოგადოებაშიდ თითო ინიშნება კანონით... რასაკვირველია ყველა ამათთაგანს ყავდა მომხრეები და მათის საშუალებით თითეულნი მათგანი მეცადინეობდნენ ხალხში...

მომზადებულნი ასრე იყვნენ: ოჯახის თავზე თითოს რომ უნდა მიეღო მონაწილეობა, არჩევნებზედ სამი-ოთხიც გეახლათ, რომ უფროსი ხმა შეედგინათ, რადგან ეგონათ ვინც უფრო დაიყვირებს იმას შერჩება ბურთი და მაიდანი, და ვისაც უნდა იმას ამოირჩევდნენ. გაეიხედეთ მოუვიდა მამასახლისს მოწერილობა მაზრის ნაჩალნიკის უფროსი პომოშნიკის ალშიბაიასაგან, რომ ამა და ამ რიცხვში ყველა ოჯახის მეუფროსეებისაგან შეკრებილი „სხოდი" დამახვედრეო...

დანიშნულ დღეს მოვიდა მაზრის ნაჩალნიკის პომოშნიკიც. მამასახლისმა მოახსენა სხოდი სრული გახლავსო. მაშინ ყველა ოჯახის მეუფროსენი დააყენა პწკარათ ორ-ორი, რომ მას შეძლებოდა დათვლა თუ რამდენი არიან მოსული. პარტიებს რომელთაც იმედი ჰქონდათ ბევრი ყვირილით და რიცხვით გაეტანა, ამნაირი მოქცევა პომოშნიკისა ეწყინა და ასტეხეს ჩვეულებრივი ხრიალი და ყვირილი. მაშინ ისეთი მიაძახა მამაცხონებულმა ამ პომოშნიკმან „მალჩატ", რომ ყველას ხმა ჩაუწყდა"[145].

---

[145] „დროება", 1979, № 160, გვ. 2-3.

მიუხედავად იმისა, რომ „სასოფლო მმართველობას“ და მის წარმომადგენლებს დიდი უფლებები არ ჰქონდათ, მამასახლისები მაინც ახერხებდნენ ამ თანამდებობაზე ხელის მოთბობას, ძირითადად, ქრთამის აღების გზით.

საქართველოში საეკლესიო და სასამართლო რეფორმების გატარებასთან დაკავშირებით, 1870 წელს ხონში დაწესდა ქუთაისის მაზრის მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწის ერთი კანდიდატის და კანცელარიის ჩინოვნიკის თანამდებობა. „დაწესდა თუ არა აქ ეს სასამართლო, — წერდა „დროება“, — მაშინვე, როგორც წვიმის შემდეგ სოკოები, ისე ადვოკატებმაც ამოყვეს თავი ხონში. ბევრმა იმათთაგანმა ქუთაისიც კი მიატოვა და აქ ამოვიდა მჭერმეტყველებაში გასავარჯიშებლად. რატომ არ ამოვლენ? არა აქვთ დაფასება თუ? ოღონდ სათვალეები გაიკეთე და სერთუკი ჩაიცვი და მთხოვნელები ფუთკარივით დაგეხვევიან“[146].

ხონელი ადვოკატები სარგებლობდნენ იმით, რომ სასამართლო რუსულ ენაზე წარმოებდა. თავიანთი კლიენტების მოტყუებასაც არ ერიდებოდნენ: „გაგვიჭირეს საქმე. იმდენი ადვოკატია ხონში, რომ გზას ვერ აუქცევ. სიბევრის გამო ძალიან გააიაფეს ხელობა. ორი სტაქან პილატეს ცრემლით ლეკურ-ბუქნას ათამაშებ ხონელ ადვოკატს“[147], — წერდა „დროება“.

ხონში იყო საპოლიციო უბნის მმართველობა, რომელსაც ბოქაული (პრისტავი) ხელმძღვანელობდა. ხონს ყავდა, აგრეთვე, თავისი ნოტარიუსი, ბაზრის სასწორსა და სასაკლაოზე იკრიბებოდა განსაზღვრული ბაჟები, რომლის დანიშნულებისამებრ გამოყენებას თვალს ადევნებდნენ ბაზრის დეპუტატები.

70-იანი წლებიდან მოყოლებული, ხონში იზრდება სასწავლებელთა რიცხვი. დაარსებულ იქნა სამასწავლებლო სემინარია. აიგო ახალი შენობები. მოსახლეობის ზრდასთან ერთად გაფართოვდა დაბის ტერიტორიაც. 900-იან წლებში კუხის საზოგადოებას ჩამოშორდა და ხონს შეუერთდა სოფელ ივანდიდის მოსახლეობა. ვაჭრობა-აღებმიცემობის განვითარებით და მოსახლეობის რაოდენობით ხონი ქუთაისის გუბერნიის ზოგ სამაზრო ქალაქზე წინ იდგა. ამიტომ იყო, რომ XIX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში საგუბერ-

---

146 „დროება“, 1870, № 48, გვ. 4.

147 „დროება“, 1881, № 101, გვ. 3-4.

ნიო ხელისუფლების წინაშე ხონში საქალაქო მმართველობის შემოღების საკითხი დაისვა.

ხონის მოსახლეობის ყრილობამ 1873 წლის 20 ივლისს თხოვნით მიმართა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს, აღეძრა შუამდგომლობა უმაღლესი მთავრობის წინაშე ხონში საქალაქო მმართველობის შემოღების შესახებ[148]. ამჯერად ამ თხოვნას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

1876 წლის 26 მარტს ხონელებმა კვლავ შეადგინეს თხოვნა და 436 ხელმოწერით იგი ქუთაისის გუბერნატორს წარუდგინეს. იმავე წლის 16 ივლისს ქუთაისის გუბერნატორს თხოვნით მიმართეს ხონელმა მემამულეებმაც. ისინი სავსებით ეთანხმებოდნენ ადგილობრივი მოსახლეობის სურვილს ხონისათვის ქალაქის უფლებების მინიჭების შესახებ და თავის მხრივ გამოთქვამდნენ მზადყოფნას, დამორჩილებოდნენ ყველა კანონს, რაც ქალაქებს ეხებოდა[149].

ხონის მოსახლეობის ერთი ნაწილი, იმის შიშით, რომ დაბის ქალაქად გამოცხადებას შედეგად მოჰყვებოდა გადასახადების გადიდება, მთავრობის წინაშე ამ საკითხის დაყენების მომხრე არ იყო, მაგრამ ამით საქმის მსვლელობა არ შეფერხებულა. სამაზრო ხელისუფლებამ სათანადო გეგმა შეადგინა და საგუბერნიო სამმართველოს წარუდგინა. გეგმას თან ახლდა დროებითვალდებული გლეხების და მემამულეების ურთიერთშეთანხმება იმაზე, რომ ხონის ქალაქად გამოცხადების შემდეგაც „ნადელები“, გარიგების წიგნების საფუძველზე, გლეხების მფლობელობაში დარჩებოდა.

შემუშავებულ იქნა ხონის რეკონსტრუქციის პროექტი, რომლითაც გათვალისწინებული იყო სწორი და ფართო ქუჩების გაყვანა, დაბის საერთო კეთილმოწყობა. ამასთან დაკავშირებით ვინმე „დიკო“ გაზეთ „დროებაში“ ირონიულად წერდა: „ხონი უნდა გახდეს მაზრის ქალაქათ და ამ მიზნით სოფლის პლანი აიღეს; პროექტიც ისე როგორ უნდა გადაკეთდეს შეადგინა მიწის მზომელმა ბ. ჟდანოვიჩმა, ზემლემერი ამბობს გუბერნატორის ბრძანება მაქვსო, ხონი ოდესათ უნდა გადავაქციოვო! ტყვილია თუ არა ეს ბრძანება არ ვიცი, მაგრამ რომ პროექტის ძალით ურიცხვი შენობა კარგი და ცუდი უნდა მოისპოს, ჭეშმარიტია,... ხონი დარჩება მოგებული ამ პროექტის შედგენით. ექნება ფართო ქუჩები,

---

148 ცსსა, ფ. 12, აღწ. 7, საქ. 213, ფურც. 2-10.

149 იქვე, ფურც. 21-22.

ტროტუარები, აქეთ-იქით ჭადრის ხეები დარგული, როგორც პარიზში, მაღდნები როგორც პარიზში, მაშასადამე წმინდა ჰაერი და ჰავა; ერთი სიტყვით ხონი იქნება „პოეზია", მაგრამ ხონი კი აღარ იქნება. თქვენი მტერია ხონში, რომ 10 საჟენიანი ქუჩები იქნეს, სახლებისთვის ალაგი აღარ დარჩება. მთელი ხონი იქნება მარტო ქუჩები..."[150]

ამ პერიოდში ხონში გაჩნდა დიდი ხანძარი, რომელმაც 150-მდე დუქანი იმსხვერპლა. ხალხში ხმა გავრცელდა, რომ დაბა პოლიციამ განგებ გადაწვა, რადგან სურთ იგი ახალი პროექტით გაშენდესო.

1883 წლის 16 სექტემბერს ქუთაისის საგუბერნიო სამმართველომ ხონის ქალაქად გამოცხადების საკითხი განიხილა. წარმოდგენილი საბუთების მიხედვით ქალაქის საზღვრები უნდა ყოფილიყო: ჩრდილოეთით — კონტუათი, ჩრდილო-აღმოსავლეთით — საწულუკიძეო, აღმოსავლეთით — მდინარე კუხა, სამხრეთ-აღმოსავლეთით — სოფელი კუხი, სამხრეთით — ივანდიდი, დასავლეთით — მდინარე ცხენისწყალი და სოფალ მაიდანის ნაწილი. ქალაქის ფარგლებში მოქცეული მიწების საერთო ფართობი 2553 დესეტინასა და 2085 კვ. საჟენს შეადგენდა. მათ შორის სახაზინო მიწები, რომლებიც გლეხებს ნადელებად ჰქონდათ მიცემული, 2015 დესეტინასა და 1249 კვ. საჟენს შეადგენდა; მიწები, რომლებიც სადალო შემოსავალს იძლეოდა — 5 დესეტინასა და 545 კვ. საჟენს, კერძო პირებსა და ხაზინას შორის სადავო — 9 დეს. 1127 კვ. საჟენს. მემამულეთა მიწები — 211 დეს. 598 კვ. საჟენს, გლეხთა ნადელები — 32 დეს. 2185 კვ. საჟენს, მესაკუთრე გლეხთა მფლობელობაში — 377 დეს. 137 კვ. საჟენს, საეკლესიო — 2 დეს. 1044 კვ. საჟენს[151].

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ ქალაქის ფარგლებში მოქცეული მიწების დიდი ნაწილი ხაზინას ეკუთვნოდა. სახაზინო მიწები, რომლებიც სადალო მუხლს შეადგენდნენ, ძირითადად, დაბის ცენტრში მდებარეობდა და კერძო პირებზე იჯარით იყო გაცემული სავაჭროების ასაგებად. 1882 წლისათვის, სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს მონაცემებით, საიჯარო შემოსავალი 650 მან. 75 კაპ. უდრიდა. ქალაქის ფარგლებში შემავალი ტერიტორიის ნაწილი მჭიდროდ იყო დასახლებული, ხოლო ნაწილი კი სახნავ-სათეს მიწებსა და საძოვრებს ეჭირა.

---

150 „დროება", 1881, 9, 6, № 186, გვ. 2.

151 სცსა, ფ. 12, აღწ. 7, საქ. 213, ფურც. 27-34.

XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ხონში არც ერთი სახელმწიფო შენობა არ ყოფილა. ამ პერიოდში დაბაში იყო ხის 560 და ქვის 16 კერძო შენობა, სამასწავლებლო სემინარიისა და უფასო სკოლის შენობები, 4 ეკლესია, 5 წისქვილი, აგურის ორი ქარხანა და ა. შ. კავკასიის მეფისნაცვლის, დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ნებართვით ხონში 80-იანი წლებიდან ზოგიერთი საქალაქო გადასახადი იკრიბებოდა. 1882 წელს ამ გადასახადებმა შეადგინეს: სასწორისაგან — 405 მან.

სასაკლაოსაგან 420 მან.

ბაზრობის დღეებში

მორეკილი პირუტყვის სადგომისაგან — 765 მან.

ვაჭრებისა და ხელოსნებისაგან — 140 მან.

სანოტარო შემოსავალი — 231 მან.

სულ 1961 მან.

იმავე წელს გასავალი უდრიდა:

2-კლასიან სასწავლებელზე — 825 მან.

ბოქაულის შესანახი — 750 მან.

საკანცელარიო ხარჯები — 100 მან.

ერთი ათისთავის შესანახი — 125 მან.

სულ 1800 მან.

საქალაქო მმართველობის შემოღების შემთხვევაში მოსალოდნელი იყო შემოსავლის გადიდება 5483 მანეთამდე[152].

ქუთაისის საგუბერნიო სამმართველომ მიიღო დადგენილება, აღძრა შუამდგომლობა მთავარმმართველის წინაშე ხონის ქალაქად გამოცხადების შესახებ. 1883 წლის 24 სექტემბერს აღნიშნული დადგენილება კავკასიის მთავარმმართველს წარედგინა. საკითხის განხილვა გაჭიანურდა. ბოლოს, 1886 წლის 8 ივლისს, მთავარმმართველის კანცელარიამ ქუთაისის გუბერნატორს აცნობა, რომ უმჯობესია ხონი გამოცხადდეს არა ქალაქად, არამედ პოსადად მასში გამარტივებული საზოგადოებრივი მმართველობის შემოღებით (Упрощенное общественное управление). ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის, გენერალ-მაიორ სმეკალოვისაგან ამ საკითხზე თანხმობის მიღების შემდეგ, 1886 წლის მარტში კანცელარიამ მოხსენება წარუდგინა მთავარმმართველის საბჭოს. ამ უკანასკნელმა არ დააკმაყოფილა ხონის მცხოვრებთა თხოვნა დაბის ქალაქად გამოცხადების შესახებ. ამის

---

[152] იქვე.

ერთ-ერთ მიზეზად მთავარმმართველის საბჭო ასახელებდა იმ გარემოებას, რომ 360-ზე მეტი მოსახლე, რომელთაც ნადელები ჰქონდათ და მხოლოდ მიწათმოქმედებას ეწეოდა ხონში საქალაქო .მმართველობის შემოღების შემდეგ, სახა ზინო მიწების გარეშე დარჩებოდა, ე. ი. დაკარგავდა არსე ბობის ყოველგვარ საშუალებას. ამიტომ ხონის ქალაქად გამოცხადება ნაადრევია და არ შეესაბამება მისი მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესებს[153]. მიუხედავად ამისა, ხონელები იმედს არ კარგავდნენ. განსაკუთრებით დაინტერესებული იყო ამ საქმის მოგვარებით ცნობილი საზოგადო მოღვაწე ივანე შარაშიძე. „ყოვლად ძლიერი ბუნება, — წერდა ირონიულად ნ. წერეთელი, — როგორც მოგეხსენებათ, ყოველს იდეალს, აზრს გაუჩენს შესაფერის ჭურჭელს, ანუ მატარებელს შეასხამს ხორცს. ბუნებამვე ხონის წყალი[154] და ქალაქობა განახორციელა ხონელებისათვის ი. შ-ძედ. უწყლობა და უქალაქობა ა. ი. ი. შ-ძე ალარ ასვენებს არც ხონელებს და არც მათში მომსვლელ სტუმრებს. მობრძანდება ხონში ვინმე უფროსი — აბა ბიჭო მოვიდა წყალი და მოჰყვა ქალაქი. მობრძანდებიან გორდისაკენ ძვირფასი სტუმრები... აბა, ვინ ხართ კაცი, გაუმართეთ საუზმე და ვთხოვოთ „ქალაქი“ და „წყალი“... ბევრი მხრით გაუცრუვდა ხონელებს იმედები, მაგრამ აზრი ხონის წყლისა და ქალაქობისა მათ მაინც არ ასვენებს“[155].

1908 წელს გუბერნიაში მოგზაურობის დროს ქუთაისის გუბერნატორს ხონელებმა კვლავ მიმართეს თხოვნით, დაეჩქარებინა მათ დაბაში საქალაქო მმართველობის შემოღება. თავის მხრივ, გუბერნატორმა შეკითხვა გაუგზავნა კავკასიის მეფისნაცვალს. გუბერნატორს სურდა გაეგო, რა მდგომარეობაში იყო ამ საკითხის გადაწყვეტის საქმე.

ხონის ქალაქად გამოცხადების საკითხი იმ პერიოდში დადებითად არ გადაჭრილა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში მას ქალაქისათვის დამახასიათებელი ნიშნები არ გააჩნდა. ეს ნიშნები იყო: ვაჭრობა-ალებმიცემობის განვითარების შედარებით მაღალი დონე, კაპიტალისტურ საწარმოთა არსებობა, მოსახლეობის საკმაო რაოდენობა და სიმჭიდროვე, თავი-

---

[153] იქვე, ფურც. 75.

[154] ლაპარაკია ცხენისწყლიდან სარწყავი არხის გატანაზე.

[155] „კვალი“, 1894, № 9, გვ. 16-20.

სუფალი მუშა-ხელის არსებობა და მისი გამოყენების შესაძლებლობა, ახლომახლო მდებარე სოფლების ხარჯზე დაბის ზრდის პერსპექტივები, სასწავლებლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა არსებობა და სხვ.

ხონში საქალაქო მმართველობა შემოღებულ იქნა თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ. ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა, რომელიც დროებითი მთავრობის ადგილობრივ, სამხარეო ხელისუფლებას წარმოადგენდა, 1917 წლის 6 ივლისს მიიღო დადგენილება რამდენიმე დაბის, და მათ შორის ხონის, ქალაქად გამოცხადების შესახებ[156].

ხონის თვითმმართველობაში — ქალაქის ხმოსანთა საბჭოში წამყვან როლს სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) თამაშობდნენ.

რთულ ვითარებაში მოუხდა მოღვაწეობა ხონის თვითმმართველობას. საერთოდ, ქვეყანაში შექმნილ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას თან დაერთო ქალაქის სტატუსის შემოღების საწინააღმდეგო მოძრაობა. იგი წარმოიშვა 1919 წლის დასაწყისში ქალაქებში აგრარული რეფორმის გატარებასთან დაკავშირებით. რეფორმა შეეხო მიწის მფლობელთა და, საერთოდ, გლეხობის შეძლებული ფენების ინტერესებს. უშუალო საბაბი ამ მოძრაობისათვის გახდა „შეფასებითი გადასახადის“ (оценочный сбор) შემოღება. ახალ ქალაქებში ანუ ე. წ. „ჩხენკელის ქალაქებში“ („ოზაკომის“ ერთ-ერთი მთავარი მოღვაწის აკაკი ჩხენკელის გვარის მიხედვით) ეროვნულ-დემოკრატების და სოციალ-ფედერალისტების ხელმძღვანელობით გაჩაღდა საქალაქო მმართველობის შემოღების საწინააღმდეგო მოძრაობა. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა სამტრედია[157].

ხონში ქალაქის თვითმმართველობის საწინააღმდეგო მოძრაობა 1919 წლის ივნისში დაიწყო. პირველი კრება, რომელზედაც ხონის ქალაქის თავიც იყო მიწვეული, ივანდიდში ჩატარდა. კრებამ გამოიტანა დადგენილება ქალაქის მმართველობის გაუქმების შესახებ და შეკრებილთა ხელმოწერილი შუამდგომლობა გაუგზავნა მთავრობას. იმავე წლის 19 აგვისტოს ხონში ჩატარდა დიდი მიტინგი. ხალხი, შეშინებული ათასი ხმებით — მიწების ჩამორთმევის, ახალი გადასახადების შემოღებით და სხვათა შესახებ, ხელს აწერდა ქალაქის მმართველობის საწინააღმდეგო გადაწყვეტილე-

---

[156] სცსა, ფ. 50, საქ. 1086, ფურც. 28.

[157] მ. ნიკოლეიშვილი, სამტრედიის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 9-94.

ბას. მოხდა ინცინდენტი. ქალაქის გამგეობის ერთ-ერთმა წევრმა, როდესაც დაინახა, რომ ხალხი ხელს აწერდა ცარიელ ფურცლებს, რადგან გადაწყვეტილება ჯერ კიდევ მიღებული არ იყო, „პოდლოგი“ უწოდა ასეთ მოქმედებას ამის გამო იგი ძლივს გადაურჩა აღელვებულ ხალხს. მიტინგი 24 აგვისტოსათვის გადაიდო.

19 აგვისტოს ამბებით შეშინებულმა ხონის ქალაქის გამგეობამ ქუთაისს თხოვა დახმარება. ხონიდან წერდნენ: აქ ფეხი გაიდგა კონტრრევოლუციურმა მოძრაობამ. 24 აგვისტოს არის დანიშნული დიდი მიტინგი და მზადდება „პოგრომი“, ქალაქის თვითმმართველობა უნდა დაარბიონ და მისი მოსამსახურენი ამოხოცონ. ქალაქის გამგეობა თხოვს ქუთაისს გამოაგზავნონ საკმაო ძალები, რადგან მარტო ჩვენ ამ ამბოხებას ვერ გავუმკლავდებითო[158].

24 აგვისტოს ხონში ჩამოვიდნენ მაზრის კომისარი შეიარაღებული რაზმით, სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები. მახლობელი სოფლებიდან გამოიწვიეს სახალხო გვარდიელები. ატმოსფერო ძალზე დაძაბული იყო. მიუხედავად ამისა, მიტინგი მშვიდობიანად ჩატარდა. წაიკითხეს ოქმი, რომელშიაც ნათქვამი იყო: „... ჩვენ, ხონის მცხოვრებნი შევიკრიბეთ რა ამა წლის აგვისტოს 19-ს და განვიხილეთ რა საკითხი ყოველმხრივ, დავინახეთ საჭიროდ ეთხოვოს უმაღლეს მთავრობას, რათა გაუქმებულ იქნას ხონის ქალაქი, რისთვისაც წარმომადგენლად ავირჩიეთ ლ. ბახტაძე“[159].

დაიწყო ოქმზე ხელისმოწერა, რაც გვიანობამდე გაგრძელდა. ხალხი ნელ-ნელა დაიშალა. 5 სექტემბერს ხონში ჩამოვიდნენ მაზრის კომისარი ახვლედიანი, ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწე მამფორია და დამფუძნებელი კრების წევრი გ. ფალავა. დააპატიმრეს ლ. ლ. ბახტაძე, გ. პ. მელაძე, ა. ს. ბახტაძე, ე. ს. ბახტაძე, ნ. ი. ჭავჭანიძე, გ. ი. სანოძე და ი. პ. ჩხენკელი, ე. ი. ის პირები, რომლებმაც 24 აგვისტოს ოქმზე ხელისმოწერა მოაწყვეს.

ქალაქის სტატუსის შემოღების საწინააღმდეგო მოძრაობის და მასთან დაკავშირებული სერიოზული ინცინდენტის მიზეზების ადგილზე გამოსაძიებლად ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ ხონში გაგზავნა თავისი წარმომადგენელი

---

158 „საქართველო“, 1919, 10, 22, № 228, გვ. 2.

159 „სახალხო საქმე“, № 626, გვ. 4.

ალ. ასათიანი. აღნიშნული საკითხის შესწავლის შემდეგ ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ დამფუძნებელ კრებაში შეკითხვა შეიტანა ხონის დეპუტაციის დაპატიმრების გამო. 1919 წლის 14 და 17 ოქტომბერს დამფუძნებელი კრება იხილავდა ხონში ქალაქის საწინააღმდეგო გამოსვლების საკითხს. ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის წარმომადგენელი ალ. ასათიანი, რომელმაც გააკრიტიკა მენშევიკური მთავრობის აგრარული პოლიტიკა და, საერთოდ, მისი ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებანი, როგორც ქალაქის საწინააღმდეგო მოძრაობის წარმოშობის ძირითადი მიზეზი[160]. სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციის სახელით დამფუძნებელი კრების სხდომაზე სიტყვით გამოვიდა ლეო შენგელაია. მან გააკრიტიკა რა მენშევიკური მთავრობის საქმიანობა, განაცხადა: „... ანტიქალაქურ მოძრაობას ნიადაგი მოუმზადა სოციალ-დემოკრატიამ და ამ ნიადაგით სარგებლობენ დღეს აშკარა რეაქციონერები, მოძრაობას აშკარად რეაქციონური ხასიათი აქვსო". რაც შეეხება ხონის დეპუტაციის დაპატიმრებას, ლეო შენგელაიას აზრით, ეს იყო მენშევიკური მთავრობის ერთ-ერთი მკაცრი რეპრესიული აქტი ნაკლებად საშიში პირების წინააღმდეგ. „ჩვენ გვესმის, როდესაც აპატიმრებენ ყაჩაღს, — ამბობდა იგი, — გვესმის როდესაც აპატიმრებენ კაცისმკვლელს, მაგრამ როდესაც აპატიმრებენ დელეგაციას, რომელსაც სურდა მთავრობისათვის შუამდგომლობა წარედგინა, ეს ყოვლად შეუწყნარებელია"[161].

საპასუხო სიტყვებით გამოსულებმა ივ. ჭავჭანიძემ და ილ. რუხაძემ, ცხადია, ვერ შეძლეს რაიმე სერიოზული საფუძველი მოენახათ ხონის დელეგაციის დასაპატიმრებლად.

ქალაქის საწინააღმდეგო მოძრაობა ნამდვილად რეაქციული იყო. ქალაქის თვითმმართველობის შემოღება დადებით მოვლენას წარმოადგენდა და ხელს უწყობდა ქალაქის საერთო განვითარებას.

---

160 „საქართველო", 1919, 10, 19, 226, გვ. 2.

161 „შრომა", 1919, 10, 11, № 14, გვ. 3.

# თავი მესამე

## პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა ხონში

### 1. რევოლუციური მოძრაობის დასაწყისი და პოლიტიკური წრეების აღმოცენება

ხონისა და, საერთოდ, ქვემო იმერეთის მოსახლეობა ყოველთვის აქტიურად ეხმაურებოდა საქართველოში საზოგადოებრივი მოძრაობის მიერ წამოჭრილ საკითხებს. აქ მშრომელები და ინტელიგენცია ათეული წლების განმავლობაში თავდადებით იბრძოდნენ სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. მათი ბრძოლა უკეთესი მომავლისათვის განუყრელად იყო დაკავშირებული მთელი ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობასთან. საქართველოსა და რუსეთის იმპერიის პოლიტიკურ ცხოვრებაში თითქმის არ ყოფილა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელზედაც ხონს თავისი სიტყვა არ ეთქვას. 1905-1907 წლების რევოლუციის დროს, როდესაც ქუთაისში საბარიკადო ბრძოლები გაიმართა, ხონის მოსახლეობა შეიარაღდა და ქუთაისის დასახმარებლად გამოემართა.

XX საუკუნის დასაწყისში, პირველი რევოლუციის წინ, ხონის საპოლიციო უბნის მოსახლეობა, ძირითადად, გაღარიბებული გლეხობისაგან შედგებოდა. თვით ხონში, სადაც თავმოყრილი იყო სავაჭროები, სახელოსნოები, მცირე მოცულობის კაპიტალისტური საწარმოები, სასწავლებლები, ადმინისტრაციული დაწესებულებანი და ა. შ., ეკონომიკურად შედარებით უზრუნველყოფილი წვრილბურჟუაზიული ფენა, მოსწავლე-ახალგაზრდობა და ინტელიგენცია საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. მუშების, ქარგალ-შეგირდების, ნოქრების და გლეხების უნუგეშო მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებდა რუსეთის ცარიზმის ნაციონალურ-კოლონიური პოლიტიკა.

ბურჟუაზიული გარდაქმნების შედეგად გაღარიბებული გლეხობა აქაც, როგორც ყველგან, ორმაგ ჩაგვრას განიცდიდა — მიწისმფლობელისა და მეფის თვითმპყრობელობის პოლიციური რეჟიმისაგან. ვალებში გახლართული და ბეგარა-გადასახადებისაგან ილაჯგაწყვეტილი გლეხი, თავისი ეკონომიკური მდგომარეობის გამოსასწორებლად ქალაქში მიე-

შურებოდა. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ქვემოიმერელ გლეხს შეხვდებოდით არა მარტო საქართველოს, არამედ რუსეთის მსხვილ სამრეწველო ცენტრებშიც. ფულის შოვნის იმედით ქალაქში წასული გლეხები კაპიტალისტურ ურთიერთობათა უღელში ებმებოდნენ. მაგრამ აქ ისინი რევოლუციურ ნათლობასაც ღებულობდნენ — მონაწილეობდნენ გაფიცვებსა და დემონსტრაციებში, ეცნობოდნენ არალეგალურ ლიტერატურას, ესწრებოდნენ მუშათა წრეების მეცადინეობებს. სოფელში დაბრუნებულებს თან ჩამოჰქონდათ რევოლუციური განწყობილება და სულისკვეთება, აკრძალული წიგნები, რომლებსაც ხარბად ეწაფებოდნენ ქარგალ-შეგირდები, გლეხები და მოსწავლე ახალგაზრდობა. განმათავისუფლებელი იდეები ჩამოჰქონდათ, აგრეთვე, რუსეთსა და საზღვარგარეთის საუნივერსიტეტო ქალაქებში სასწავლებლად წასულ ახალგაზრდებს. „... ბათუმიდან, თბილისიდან, ბაქოდან და ხან საზღვარგარეთიდანაც, — წერდა ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე გარლამ ძიძიგური, — ხონში უხვად შემოჰქონდათ არალეგალური ლიტერატურა (პროკლამაციები, ბროშურები, ჟურნალ-გაზეთები — „ისკრა", „ბრძოლა", „საქართველო") და ფარულად ავრცელებდნენ ნოქრებში, მუშებში, გლეხებში, მოსწავლე-ახალგაზრდობაში"[1].

XIX საუკუნის 90-იან წლებში მუშაობა საზოგადოების პოლიტიკური გათვითცნობიერების მიზნით ორი გზით წარმოებდა: ლეგალურად და კონსპირაციულად. ლეგალური მუშაობა გამოიხატებოდა ჟურნალ-გაზეთების გავრცელებაში, სცენისმოყვარეთა მიერ თეატრალური წარმოდგენების მოწყობაში, საქველმოქმედო დილა-საღამოების გამართვაში და ა. შ. არალეგალური მუშაობა კი, ძირითადად, აკრძალული ლიტერატურის გავრცელებისა და პოლიტიკური იდეების პროპაგანდის სახით წარმოებდა.

პირველი არალეგალური წრეები ხონსა და მის რაიონში XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში აღმოცენდა. ერთი მათგანი ჩამოყალიბებული იყო კუხის აბრეშუმის ძაფსაღებ საწარმოში, ხოლო მეორე შეადგინეს ხონის სემინარიადამთავრებულმა მოსწავლეებმა. ეს უკანასკნელი ფარულ აგიტაციას ეწეოდა ახლომახლო სოფლებში. ამ წრეში გაერთიანებული იყვნენ: ნ. ჩიმაკაძე, ი. ქუთათელაძე, პ.

---

[1] ვ. ძიძიგური, მასწავლებლის მოგონებანი, თბ., 1957, გვ. 32.

კიკალიშვილი, კ. ქაცარავა, ვ. რუხაძე, გ. ბახტაძე, ლ. ნადარეიშვილი, ვ. გარდავაძე, სტ. გარდავაძე, ი. ბახტაძე და სხვ.[2]

1902 წელს ხონში ჩამოყალიბდა სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი, რომელშიაც შედიოდნენ: გ. ბერიძე, ძმები ვ. და ს. გარდავაძეები, ვლ. ნადარეიშვილი, კ. კაცარავა, გ. ბახტაძე, ი. ბახტაძე და სხვ. ჯგუფის წევრები იხდიდნენ საწევროს, ავრცელებდნენ არალეგალურ ლიტერატურას და სხვ. ჯგუფი, რომელიც კონსპირაციულად მოქმედებდა, ხშირად სცემდა ჰექტოგრაფზე ნაბეჭდ მოწოდებებს და ავრცელებდნენ მოსახლეობაში. ეს ჯგუფი შემდეგ გაფართოვდა და დასაბამი მისცა ხონის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას.

1903 წლის ზაფხულში შეიქმნა რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი, რომელიც პირველი რევოლუციის დროს წარმართავდა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი ხშირად აგზავნიდა თავის წარმომადგენლებს ხონსა და მის რაიონში. მალე ხონის სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ თავის გარშემო შემოიკრიბა საკმაოდ მრავალრიცხოვანი აქტივი, ჩამოაყალიბა პროპაგანდისტთა საკუთარი ჯგუფი. გარდა ამისა, ორგანიზაციასთან არსებობდა ქალთა წრე, რომელიც ქალთა შორის მუშაობდა. ამ წრის აქტიური წევრები იყვნენ: ფუცუ დგებუაძე, ლუცია ქუთათელაძე, მარიამ ქუთათელაძე, ოლღა კიკალიშვილი, შუშანა გალდავა, საშა ნებიერიძე, ნადია მებურიშვილი და სხვ.

განმათავისუფლებელ მოძრაობაში ენერგიულად ჩაებნენ მოსწავლე ახალგაზრდობა და მოწინავე ინტელიგენცია. ხონელ ახალგაზრდებს შორის წამყვან როლს თამაშობდნენ საოსტატო სემინარიის მოსწავლეები. სემინარიას არც სხვა სასწავლებლები ჩამორჩებოდნენ, მაგალითად, სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეთა გამოსვლებმა 1903-1904 წლებში მთელი გუბერნიის ყურადღება მიიპყრო.

1903 წლის 29 ოქტომბერს სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეებმა გაფიცვა გამოაცხადეს. დირექტორისადმი წარდგენილ მოთხოვნაში ისინი აყენებდნენ მათთვის საძულველი ოსტატის შეცვლის, უფასო სადილის მიცემის, გაკვეთილების ცხრილის უფრო გონივრულად შედგენის და სხვა საკითხებს. „ჩვენი მდგომარეობის შესახებ დეპეშით აცნო-

---

[2]რევოლუციის მატიანე, 1929, № 1 (21), გვ. 145.

ბეთ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს და სანამდე იგი ან მისი მოადგილე არ ჩამოვა ჩვენი საქმის განსახილველად, მანამდე სწავლას არ შევუდგებით"[3], – წერდნენ გაფიცულები.

სახელოსნო სასწავლებლის ყოფილი მოსწავლეები მოგვითხრობენ: „... ერთ დღეს თავი მოვიყარეთ ხატის წინ, ჩვეულებრივ, ლოცვების ჩასატარებლად. მასწავლებელმა სტეფანე გარდავაძემ ხელის ჩაქნევით გვანიშნა ლოცვების დაწყება, მაგრამ მოსწავლეები ხმას არ ვიღებდით და ლოცვა ჩაიშალა. აღელვებულმა ინსპექტორმა მუქარა დაიწყო. ჩვენ უეცრად დავიშალეთ და წავედით მდინარე ცხენისწყლის მიმართულებით, ჭალებში.

გაფიცვა მთელი კვირა გაგრძელდა. სკოლაში დაბრუნების შემდეგ ჩვენთან მოვიდა ქუთაისის გუბერნიის სახალხო განათლების ინსპექტორი მაჭავარიანი. ჩვენ შეგვიყვანეს მასთან ინსპექტორის კაბინეტში. მაჭავარიანმა გაფიცვის მიზეზები გამოგვკითხა. ჩვენ კი წარვუდგინეთ მოთხოვნა: უფასოდ მოგვცემოდა დილის საუზმე, გვქონოდა ქართულ ენაზე ლაპარაკისა და ქართული წიგნების სკოლაში შეტანის უფლება. აგრეთვე დავაყენეთ ხელობის ოსტატის, თავად პ. ობოლენსკის სკოლიდან დაუყოვნებლივ გაძევების საკითხი".

დირექციის მიერ ჩატარებულმა გამოძიებამ გამოარკვია, რომ გაფიცვა წინასწარ იყო მომზადებული. მას ხელმძღვანელობდნენ ა. რუხაძე, ნ. სვანაძე, დ. გალდავაძე და ს. საყვარელიძე. ისინი სასწავლო წლის დასაწყისიდან ხშირად იკრიბებოდნენ საიდუმლო თათბირებზე და ცდილობდნენ მათ წრეში ჩაებათ სხვა მოსწავლეებიც. მოთხოვნა, რომელიც 29 ოქტომბერს წარედგინა სკოლის ადმინისტრაციას, შედგენილი იყო მეორე კლასის მოსწავლის – არჩილ რუხაძის მიერ. მართალია, მოსწავლეთა მოთხოვნები არ დააკმაყოფილეს, მაგრამ ვერც გაფიცულთა სკოლიდან გარიცხვა გაბედეს. მათზე დაწესებულ იქნა გაძლიერებული მეთვალყურეობა.

გაფიცვიდან რამდენიმე ხნის შემდეგ სახელოსნო სასწავლებელში პროკლამაციები აღმოაჩინეს. ამასთან დაკავშირებით ჩატარებულმა გამოძიებამ დაადასტურა, რომ ზემოთ დასახელებული პირების ხელმძღვანელობით სკოლაში არ-

---

[3] ქცა, ფ. 99, საქ. 29, ფურც. 9.

სებობდა პოლიტიკური წრე, რომელიც რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა მოსწავლეებს შორის. გამოირკვა აგრეთვე ისიც, რომ გარდავაძის ბინაზე ტარდებოდა მოსწავლეთა არალეგალური კრებები, რომლებზედაც პოლიტიკური ხასიათის თემების გარშემო მსჯელობდნენ. მიუხედავად არაერთგზის გაფრთხილებისა, მოსწავლეები ინახავდნენ და კითხულობდნენ აკრძალულ ლიტერატურას, ავრცელებდნენ პროკლამაციებს, დაინტერესებული იყვნენ პოლიტიკური საკითხებით. სახელოსნო სასწავლებლის დირექციამ არ. რუხაძის, დ. ფარცვანიას, თ. გარდავაძის და ს. საყვარელიძის დატოვება სკოლაში შეუძლებლად მიიჩნია და ისინი გარიცხეს სასწავლებლიდან. მათ არ ჰქონდათ უფლება სწავლა გაეგრძელებიათ რომელიმე სხვა სასწავლებელში[4].

1904 წელს სახელოსნო სკოლაში ჩამოყალიბდა მოსწავლეთა არალეგალური წრე. მასში გაერთიანებული იყვნენ: ნ. სვანაძე, ა. რუხაძე, ა. მოსეშვილი, ნ. ბუაძე, დ. ფარცვანია, პ. შენგელია, კ. ფარცხალაძე, დ. გალდავა, ვ. რუხაძე, პ. ბუაძე, ა. ჭავჭანიძე, ვ. შავლაყაძე, ე. სოსელია, ბ. შავლაყაძე და სხვ.

ხონის პოლიტიკური ცხოვრება კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა პირველი რევოლუციის წინ. აქ ტარდებოდა საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიების ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა შეკრებები, თათბირები, დისკუსიები. ხონში ჩამოდიოდნენ გამოჩენილი პოლიტიკური და პარტიული მოღვაწეები. ამის გამო ხონს საქართველოს ჟენევას ეძახდნენ.

ხონში ხშირად იმართებოდა ხალხმრავალი მიტინგები, რომლებიც ხელს უწყობდნენ მოსახლეობის პოლიტიკურ გამოფხიზლებასა და რევოლუციური სულისკვეთების ზრდას. ერთ-ერთი ასეთი დიდი მიტინგი ჩატარდა ხონიდან 7 კმ მანძილზე მდებარე მთის ძირას, რომელსაც „ბოყოურა" ეწოდება. „ერთ დღეს, — წერდა გ. ძიძიგური, — იდუმალი ხმა გავრცელდა მათხოჯსა და ახალბედისეულს... შორის მინდორ-ჩირგვებში ფარული მიტინგი იქნება, რომელზედაც დიდი რევოლუციონერი ილაპარაკებსო.

ხონიდან მიტინგის ადგილამდე 7 კმ გზა იქნებოდა. ხონიდან დაახლოებით ერთი კილომეტრის დაშორებით „თოფის ხმაზე" იდგა თოფიანი კაცი, ამ უკანასკნელიდან კიდევ

---

[4]იქვე, საქ. 34, ფურც. 10-11.

ერთი კილომეტრის მოცილებით მეორე, შემდეგ მესამე და ასე მიტინგის ადგილამდე. მიტინგის გაცემის შემთხვევაში პოლიციისა და ჩაფრების მათხოჯისაკენ წამოსვლას თოფის გასროლით აცნობებდა პირველი მაცნე მეორეს; იგი გაიგონებდა თუ არა თოფის ხმას, გაისროდა თოფს; ასე მოიქცეოდა მესამეც, მეოთხეც, მეექვსეც, მეშვიდეც, უკანასკნელიც... ამ საშუალებით მიტინგი ხუთ წუთში გაიგებდა პოლიციის ხონიდან გამოსვლას, რის შემდეგ, ვიდრე პოლიცია 7-8 კილომეტრს გაივლიდა, თითეული მოქალაქე ადვილად მოახერხებდა თუ თავის სახლში მისვლას ვერა, სადმე მიუვალ ჩირგვეებში დამალვას.

მეც (ხუთმეტიოდე წლის ჭაბუკი) ვიყავი ამ დაუვიწყარ მიტინგზე, რომელზედაც დაახლოებით ათასზე მეტი ქალი და კაცი იქნებოდა. მიტინგი გვიან ღამით დაიწყო...

პროპაგანდისტი სიტყვას ამბობდა...· ილაპარაკეს სხვებმაც. თქვეს „სპიჩქას“ ბანდეროლი რომ არ ჰქონდეს ხუთი იქნებოდა კაპიკადო. მთავრობა ახრჩობს და აწვალებს ხალხსო; სასამართლოში ქართულად არ გვალაპარაკებენო, სკოლაში ქართულ ენას სდევნიანო, „სტრაჟნიკებმა“ აგვიკლესო... მიწას ჩვენ ვამუშავებთ და მოსავალი თავადებს მიაქვთო, მატერიებს მუშები აკეთებენ და თვითონ ძონძებში არიანო; მუშებისა და გლეხობის ძმობას გაუმარჯოს, თავისუფლება ძმობით მოიპოვება, ძირს სულთამხუთავი მეფე, ხალხის თავისუფლებას გაუმარჯოსო და სხვ. მიტინგი გათავდა... ძმათშეფიცული და მხიარული ხალხი დაიშალა“[5].

მიტინგის მონაწილეებს იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის მიერ გამოცემული რამდენიმე ფურცელი დაურიგეს. ერთ-ერთ მათგანში ლაპარაკი იყო იმაზე, თუ რა პირობებში უნდა აეღოთ გლეხებს დასამუშავებლად მემამულეთა მიწები. რევოლუციური მოძრაობა თანდათან ძლიერდებოდა. სოციალ-დემოკრატების სურვილის წინააღმდეგ განმათავისუფლებელ მოძრაობაში სოციალურთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ეროვნულ პრობლემებსაც.

---

[5] გ. ძიძიგური, დასახ. ნაშრომი, გვ. 35-36.

## 2. ხონი 1905-1907 წლების რევოლუციის დროს

დადგა 1905 წელი. რუსეთში დაიწყო დიდი სახალხო რევოლუცია. მალე საქართველო და მთელი ამიერკავკასია რევოლუციის ცეცხლში გაეხვია. თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად აღსდგა ხონის მოსახლეობაც.

1905 წლის თებერვალში ხონში და მის მახლობლად მდებარე სოფლებში უკვე არჩეული იყვნენ ათისთავები, ასისთავები და სახალხო სასამართლოები, რომელთა მუშაობას ხელმძღვანელობდა ხონის რევოლუციური კომიტეტი. „ამ კომიტეტმა, — ნათქვამია ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორის ერთ-ერთ მოხსენებაში, — ცდილობდა რა არსებული მთავრობის დამხობას, ფაქტობრივად ხელში ჩაიგდო მთელი ადმინისტრაციული და სასამართლო ძალაუფლება ხონში“[6].

რევოლუციური კომიტეტი თავის ხელისუფლებას ახორციელებდა ათისთავებისა და ასისთავების საშუალებით. მას ჰყავდა შეიარაღებული რაზმი. რევოლუციის პირველი დღეებიდანვე მოსახლეობა კომიტეტისაგან მოითხოვდა ისეთი საკითხების გადაჭრას, რომლებიც უშუალოდ ადმინისტრაციის კომპეტენციაში შედიოდა. მას შემდეგ, რაც მოსახლეობამ ბოიკოტი გამოუცხადა მთავრობის დაწესებულებებს, რევოლუციურმა კომიტეტმა, რომელიც სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისაგან შედგებოდა, თავის თავზე აიღო მათი ფუნქციების შესრულება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რევოლუციურმა ხალხმა თვითი გამონახა სასჯელის ფორმა სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად. ბოროტმოქმედთა გასამართლება საჯაროდ ეწყობოდა. მას ათისთავები და ასისთავები ხელმძღვანელობდნენ. მაგალითად, ქურდის დასჯა შემდეგნაირად ხდებოდა: კაცს, რომელმაც რაიმე მოიპარა, ზურგზე ჩამოკიდებდნენ მოპარულ ნივთს და ჩამოატარებდნენ ხალხში ძახილით: „მე მოვიპარე“, „მე მოვიპარეო“. შემდეგ გაათავისუფლებდნენ იმ პირობით, რომ შემდეგში ქურდობას არ ჩაიდენდა. გასამართლების ასეთ ფორმას მოსახლეობა აღმზრდელობით მნიშვნელობას ანიჭებდა.

1905 წლის 28 თებერვალს ბოროტმოქმედებმა დაჭრეს ხონ-

---

[6]ციტირებულია, გ. ჯამბურია, გლეხთა რევოლუციური კომიტეტები საქართველოში 1905-1907 წწ., თბ., 1957, გვ. 44.

ლი მელვინე, ვინმე მანაგაძე. ჟურნალი „მოგზაური“ იუწყებოდა, რომ დამნაშავე შეიპყრეს და „მას ახლო მომავალში საზოგადოების მიერ ამორჩეული პირნი გაასამართლებენო“ [7]. ცხადი ხდება, რომ ამ ხანებში ძალაუფლება ხონში, ფაქტობრივად, ხალხს ჰქონდა თავის ხელში აღებული.

„გლეხს დღემდე ყველა ატყუებდა, — წერდა „მოგზაურის“ ერთი ხონელი კორესპონდენტი, — დღეს კი ნივთიერათ დასუსტებული გლეხი სულიერად გამაგრდა, სიღატაკემ გონება აუმუშავა გლეხკაცობას, ჩააკვირვა თავის მდგომარეობას და ის გონებით ფხიზელი სრულიად არ ჰგავს გუშინდელ გლეხს. დღეს გლეხკაცობა გამოფხიზლდა, გლეხთა შორის დღეს ნათლად სჩანს სოლიდარული მოქმედება, ძმური და მეგობრული კავშირი. სოფლის კანცელარიებს გურიაში, იმერეთში და სამეგრელოში ხალხი სრულიად ჩამოშორდა და თავიანთ საქმეს ძმურათ, მეგობრულათ განაგებენ ხალხის მიერ არჩეული ასის და ათის თავები“[8].

ხონში, კუხში, გუბში, ღანირში, კულაშში, დედალოურში, მათხოჯში, ჩუნეშში, გეიშტიბში, საწულუკიძეოში, ივანდიდში, კონტუათში და ქვემო იმერეთის სხვა სოფლებში გლეხობამ გადაჭრით მოითხოვა არაპირდაპირი გადასახადების გაუქმება, პირდაპირი გადასახადების მნიშვნელოვნად შემცირება. როდესაც ხონის მოსახლეობას გადასახადების დაფარვა მოთხოვეს, შემდეგი პასუხი მიიღეს: „არ შეგვიძლია და ვერ გადავიხდით გადასახადს, გადასახადის ფული კი არა ლუკმა პურის ფული არ გვაქვს. დაგვჯერდით იმ გადასახადებს, რასაც ჩუმათ, ფარულათ გვახდევინებთ, ანდა მოსპეთ ეს გადასახადები, მოაშორეთ წურწუმას ის ბანდეროლი თუ რაღაც ეშმაკია და მაშინ 4-ს ვიყიდით კაპიკათ, მოსპეთ ბაჟები თუ რაღაც ჯანდაბაა: არაყზე, შაქარზე და მაშინ ჩვენც შეძლება მოგვეცემა გადავიხადოთ პირდაპირი გადასახადი. მანამ კი არ შეგვიძლიან, ჩვენი წელი ვერ აიტანს ამდენ გადასახადებსო“[9].

1905 წლის გაზაფხულზე ხონის საბოქაულოში გლეხებმა მემამულეებს წაუყენეს მიწის იჯარით აღების ასეთი პირობები: პირველი ხარისხის მიწისათვის გლეხს უნდა გადაეხადა მოსავლის მეხუთედი, მეორე ხარისხისათვის — მეშვი-

---

[7] „მოგზაური“, 1905, 3, 13, № 9.

[8] იქვე, 1905, 5, 29, № 20.

[9] იქვე, 1905, 1, 1, № 16.

დედი, მესამე ხარისხისათვის — მეცხრედი.

მარტის დასაწყისისათვის შედგა ხონელი ნოქრებისა და ქარგალ-შეგირდების კრება, რომელზედაც შემდეგი დადგენილება გამოიტანეს: 1. კვირაობით და უქმე დღეებში დაიკეტოს ყველა სავაჭრო და სახელოსნო, სამიკიტნოების, საყასბოების და პურის სავაჭროების გარდა. 2. ნოქრებისა და ხელოსნებისათვის შემოღებულ იქნას 11 საათიანი სამუშაო დღე. ხონის ხელოსნებმა დღემდე არ იცოდნენ რა იყო მოსვენება, რადგან დღეღამეში მუშაობდნენ 18-19 და ხშირად 20 საათსაც", — წერდა „მოგზაური"[10].

1905 წლის მარტში გამოცხადდა ქუთაისის გუბერნიის მასწავლებელთა გაფიცვა. მასში მონაწილეობდნენ ხონის საპოლიციო უბნის მასწავლებლებიც. ხონში სკოლები დაიხურა. გაფიცულთა ერთმა ნაწილმა კერძო პრაქტიკასაც დაანება თავი.

ხონის მშრომელებისა და ინტელიგენციის მხარდამხარ, რევოლუციის პირველი დღეებიდანვე, სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის თავდადებულად იბრძოდა ახალგაზრდობაც.

1905 წლის 23 თებერვალს ხონის სახელოსნო სკოლის მოსწავლეებმა, დილის ლოცვის დროს გამოტოვეს ლოცვა მეფისა და სამშობლოსათვის. დირექტორის მუქარის მიუხედავად, მოსწავლეებმა აღნიშნული ლოცვა მაინც არ გაიმეორეს. მასწავლებლები იძულებული გახდნენ ცალ-ცალკე კლასებში წაეკითხათ ეს ლოცვები. მეორე დღეს, 24 თებერვალს, მოსწავლეებმა უარი თქვეს არა მარტო წაეკითხათ, არამედ მოესმინათ ლოცვა მეფისათვის. მათ განაცხადეს, რომ არ ილოცებენ მეფისათვის, რადგან იგი ხალხის მტრად მიაჩნიათ"[11]. მოსწავლეთა რევოლუციური განწყობილება დღითიდღე იზრდებოდა. დირექცია გადამწყვეტი ზომების მიღებას ვერ ბედავდა. მან დახმარებისათვის ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექციას მიმართა. 9 მარტს მოსწავლეებმა სასწავლებლის ინსპექტორს განუცხადეს — მეცადინეობას არ შევუდგებით, სანამ ხონის სხვა სკოლების მოსწავლეთა მოთხოვნები დაკმაყოფილებული არ იქნებაო.

9 მარტს ხონში მოეწყო მოსწავლეთა დიდი დემონსტრაცია, რომელსაც სათავეში ედგნენ საქალაქო სკოლის მოს-

---

[10] იქვე, 1905, 3, 13, № 9.

[11] ქცა, ფ. 99, საქ. 40, ფურც. 18-22.

წავლეები. მათ დირექტორს წარუდგინეს თავიანთი მოთხოვნები და ქუჩაში გამოვიდნენ. დემონსტრანტები მარინეს სახელობის სკოლისაკენ გაემართნენ. აქ მათ მოსწავლე ქალები შეუერთდნენ და სიმღერით „Дружно товарищи" ოთხკლასიანი სკოლისაკენ დაიძრნენ. 600-700 დემონსტრანტს აქ აღნიშნული სასწავლებლის 100-150 მოსწავლე შეუერთდა და „მარსელიოზას" სიმღერით, შეძახილებით – „გაუმარჯოს ერთობას, ძმობას, ძირს ძველი წესწყობილება" ქალების კერძო პროგიმნაზიისაკენ აიღეს გეზი. დემონსტრაცია, რომელსაც პროგიმნაზიის მოსწავლე გოგონებიც შეუერთდნენ ლოზუნგებით: „ძირს თვითმპყრობელობა", „ძირს პოლიცია", „გაუმარჯოს აკადემიურ თავისუფლებას" სახელოსნო სასწავლებლის ეზოში შევიდა. აქედან დაბრუნებულ მოსწავლეებს გზა პოლიციამ გადაუღობა და გაფანტა ისინი. ხონის ყველა სასწავლებელში მეცადინეობა შეწყდა[12].

რევოლუციური მოძრაობის აღმავლობასთან დაკავშირებით, 1905 წლის თებერვალში, კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბმა ხონში დაბანაკებული 257-ე სათადარიგო ქვეითთა პოლკის სადარაჯო რაზმი 77-ე ქვეითი პოლკის უფროსს დაუმორჩილა და უბრძანა მას გამოეყენებია ჯარისკაცები დემონსტრაციებისა და მანიფესტაციების დასარბევად, ხოლო შემდეგ, თებერვალშივე, როდესაც რევოლუციის ჩასახშობად ე. წ. რიონის რაზმი ჩამოყალიბდა, ხონის გარნიზონის ჯარისკაცები უშუალოდ ალიხანოვს დაუმორჩილეს[13].

თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლას საქართველოსა და ამიერკავკასიაში ფართოდ ეხმაურებოდა რუსული პრესაც. გურიის ამბებთან დაკავშირებით 1905 წლის 10 მარტს გაზეთი „ვპერიოდი" წერდა: „... მოძრაობამ მოიცვა მომიჯნავე პროვინციებიც: იმერეთი და სამეგრელოს ნაწილი. ქუთაისში, სამტრედიაში, ხონში, ჭიათურაში და სხვა ადგილებში საერთო მღელვარებაა, პროპაგანდა არმიაში კარგ შედეგებს იძლევა"[14]. იგივე გაზეთი თავის მკითხველებს მოუთხრობდა, აგრეთვე, ხონის მოსწავლეთა მარტის დემონსტრაციის შესახებ[15].

---

[12] „მოგზაური", 1905, 4, 10, № 13.

[13] Революция 1905-1907 гг. в Грузии, сб. документов, сост. С. Маглакелидзе и А. Иовидзе под ред. Ш. Цагареишвили, Тб., 1956, с. 92.

[14] იქვე, გვ. 104.

[15] იქვე, გვ. 164.

1905 წლის აპრილში, რევოლუციის განვითარებასთან დაკავშირებით, ხონში ალ. წულუკიძის მამის სახლში ჩატარდა დასავლეთ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კონფერენცია. მისი მიზანი იყო გაერკვია ის საკითხები, რაც რევოლუციურმა პრაქტიკამ წარმოშვა და შეემუშავებია მოქმედების საერთო ტაქტიკა. შეიკრიბა პარტიული ორგანიზაციების 80-მდე წარმომადგენელი. კონფერენცია გახსნა ალექსანდრე წულუკიძემ. მოსმენილ იქნა მოხსენებები ადგილებიდან. კონფერენციამ სამ დღეს გასტანა. მუშაობა მიმდინარეობდა მხოლოდ ღამით. კონფერენციამ მიიღო კონკრეტული გადაწყვეტილებანი ტაქტიკურ და ორგანიზაციულ საკითხებზე[16].

საპირველმაისო დღესასწაული ხონში საყოველთაო გაფიცვით აღინიშნა. გაზეთი „პროლეტარი" წერდა:... ამ ორი დღის განმავლობაში ჩამიჩუმიც არ ისმოდა ქალაქში (ქუთაისი). მიყუჩებული იყო დაბებიც (ჭიათურა, ხონი, ყვირილა, შორაპანი). საყოველთაო გაფიცვა ძალიან დაეტყო მოსახლეობას. ადგილობრივი ადმინისტრაციის ზომები ამაო აღმოჩნდა. ამ დღეს არავის არ უმუშავნია. ქუჩები დაცარიელებული იყო[17].

მთავრობამ რეპრესიები გააძლიერა. ხონში ჯარისკაცთა ორი ბატალიონი გაგზავნეს. ჯარისკაცებს შორის სააგიტაციო მუშაობა გაჩაღდა. ისინი იკრიბებოდნენ ე. წ. „გოშოურას" ტყეში, სადაც მათ შორის პროპაგანდას ეწეოდნენ: ი. ქუთათელაძე, ნ. ბალანჩივაძე, გ. ბახტაძე, კ. ქაცარავა და სხვ. მუშაობამ ჯარის ნაწილებში კარგი შედეგი გამოიღო და ჯარისკაცთა უმრავლესობა რევოლუციის მხარეზე დადგა. ამის გამო ხონში დაბანაკებული ჯარის ნაწილები სხვაგან გადაიყვანეს. გაზეთი „სოციალ-დემოკრატიული ფურცელი" წერდა: „... ჯარი შეგნებული და გათვითცნობიერებული უკვე გაიყვანეს ხონიდან"[18].

1905 წლის 12 ივნისს ხონში ჩამოასვენეს ალექსანდრე წულუკიძე. დაკრძალვა გადაიქცა გრანდიოზულ პოლიტიკურ დემონსტრაციად, რომელშიაც რამდენიმე ათასი კაცი მონა-

---

[16] 1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში, სტატიების კრ. მნიშვნელოვან ამბავთა ქრონიკა. შეადგინეს ს. ბერიძემ და ნ. სტურუამ, თბ., 1955, გვ. 547; რევოლუციის მატიანე, 1929, № 1 (121), გვ. 157.

[17] გაზ. „პროლეტარი", 1905, № 5.

[18] გაზ. სოციალ-დემოკრატიული ფურცელი", 1905, № 6.

წილეობდა. მიხა ცხაკაია ვ. ლენინისადმი გაგზავნილ წერილში წერდა: „... ჩვენ გამოგვაკლდა ერთი ამხანაგი ლიტერატორი ალექსანდრე წულუკიძე. სანდრო გარდაიცვალა ქუთაისში, მშობლებთან, 27-28 წლის ასაკში, 9 ივნისს, დღის 1 საათზე. დაკრძალვა მოხდა დ. ხონში 12 ივნისს, ქ. ქუთაისიდან 25-26 ვერსის მანძილზე. დაკრძალვა ზღაპრული იყო. მთელი კავკასიის პროლეტარიატსა და გლეხობას ჰყავდათ თავიანთი წარმომადგენლები – 80-ზე მეტი გვირგვინი წითელი ლენტებით (ცენტრალური კომიტეტის სახელითაც გავაკეთეთ გვირგვინი, თქვენ რა თქმა უნდა არაფერი გექნებათ საწინააღმდეგო) და რევოლუციური წარწერებით. ჭექა-ქუხილისა და კოკისპირული წვიმის მიუხედავად, ქ. ქუთაისის ფარგლებში ცხედარს მიაცილებდა 30-40 ათასი კაცი, ხოლო ქალაქგარეთ და ხონამდე 7-8 ათასზე მეტი, 3-4 დროშა, მუშებისა და გლეხებისაგან შემდგარი ორი გუნდი, რომლებიც განუწყვეტლივ გალობდნენ რევოლუციურ სიმღერებს. უთვალავი სიტყვები ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე“[19].

რადგან ალ. წულუკიძის დასაფლავებაზე ხონში ჩამოსული იყვნენ ამიერკავკასიის თითქმის ყველა მსხვილი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წარმომადგენლები და ხელმძღვანელები, გადაწყდა შეკრების ჩატარება. 13 ივნისს, ღამით, კრება გაიხსნა პ. კიკალიშვილის სახლში, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ბოქაულ ა. ფაღავასაგან, რომელიც რევოლუციონერებს თანაუგრძნობდა, მიღებულ იქნა ცნობა, რომ მოსალოდნელია პოლიციის თავდასხმა, ამიტომ კრება გადაიტანეს დავით ქაცარავას ბინაზე. კრებას ესწრებოდნენ: გრ. ლორთქიფანიძე, ი. რამიშვილი, რ. არსენიძე, მ. ცხაკაია, ი. ჯუღაშვილი, ფ. მახარაძე და სხვ. კრებამ გამოამჟღავნა სერიოზული უთანხმოებანი სოციალ-დემოკრატიული პარტიის შიგნით რევოლუციის ძირითად საკითხებზე.

1905-1907 წლების რევოლუციამ, როგორც ცნობილია, დააჩქარა პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში. რევოლუციის დღეებში ხონში ჩამოყალიბდა სოციალისტ-ფედერალისტთა, ეროვნულ-დემოკრატთა, სოციალისტ-რევოლუციონერთა, ანარქისტთა ადგილობრივი ჯგუფები, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობაში ენერგიულ მუშაობას ეწეოდნენ. ხონში პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლებს

---

[19] 1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში...

შორის ხშირად ეწყობოდა ე. წ. დისკუსიები, რომლებიც ხელს უწყობდნენ მშრომელთა რევოლუციური სულისკვეთების ზრდას. დისკუსიებს განსაკუთრებით მწვავე ხასიათი ჰქონდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის შიგნით წარმოშობილ ფრაქციებს – მენშევიკებსა და ბოლშევიკებს, სოციალ-დემოკრატებსა და სოციალისტ-ფედერალისტებს შორის.

რევოლუცია სულ უფრო ღრმავდებოდა. 1905 წლის 29 აგვისტოს ხონში დიდი მიტინგი ჩატარდა. დილის 11 საათიდან ხონში შეკრება დაიწყეს ახლომახლო სოფლების მცხოვრებლებმა. შეკრების ფორმალური მიზანი კავკასიაში ერობის შემოღების საკითხთან დაკავშირებით მოწვეულ სამაზრო თათბირზე წარმომადგენლების არჩევა იყო. მაგრამ ეს შეკრების მხოლოდ საბაბს წარმოადგენდა, რადგან ხონში ჩამოსულმა ნოჟიხევისა და ხორგის სასოფლო საზოგადოების გლეხებმა ერობა უსარგებლო საქმედ მიიჩნიეს და თავიანთი საზოგადოების წარმომადგენლების არჩევაზეც უარი განაცხადეს. მაშ, რატომ ჩამოვიდნენ ისინი ხონში? პოლიციამ ცნობა მიიღო, რომ ხალხი მთავრობის საწინააღმდეგო მიტინგისათვის ემზადება. მართლაც, საათნახევრის შემდეგ შეკრება მიტინგად გადაიქცა. ზუგდიდის მაზრის სოფელ კახის მცხოვრებმა ქიქავამ ხალხს მოწოდებით მიმართა, ებრძოლათ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. თავის სიტყვაში მან მსმენელების ყურადღება მიაპყრო რუსეთ-იაპონიის ომის სავალალო შედეგებზე და განაცხადა: „ყოველივე ამის მიზეზია თანამედროვე ბიუროკრატიული მთავრობა, რომელმაც ანგარებიანი მიზნებისათვის წამოიწყო ეს ომი. ამიტომ არ უნდა გადავიხადოთ არავითარი ფულადი გადასახადი, არ უნდა გამოვცხადდეთ, აგრეთვე, სამხედრო ვალდებულების შესასრულებლად, რადგან იგი თავისი შედეგებით წარმოადგენს გამანადგურებელ ტვირთს ხალხისათვის. ყველა თანამდებობის პირები იმპერიაში, დაწყებული მაღალი ხარისხის მოხელეებიდან უკანასკნელამდე, მშრომელი ხალხის მძარცველები არიან. ჩვენ უნდა შევიარაღდეთ და როცა დრო დადგება, მტერს ვეკვეთოთ. მართალია დიდი სისხლისღვრა მოგველის, მაგრამ ბრწყინვალე გამარჯვებას მოვიპოვებთ". თავისი გამოსვლა ორატორმა, რომელსაც ხალხი სულგანაბული უსმენდა, დაამთავრა: „ძირს თვითმპყრობელობა, გაუმარჯოს თავისუფლებას"[20].

---

[20] Революция 1905-1907 гг. в Грузии, с. 315.

29 აგვისტოს თბილისში, ქალაქის თვითმმართველობის შენობაში, მეფის ჯალათებმა დახვრიტეს უიარაღო მუშები. ამის საპასუხოდ საქართველოსა და მთელს ამიერკავკასიაში გაფიცვებისა და პოლიტიკური გამოსვლების მძლავრმა ტალღამ გადაიარა. 1 სექტემბერს, დილის 8 საათზე, ხონში საყოველთაო გაფიცვა დაიწყო, რომელსაც თან ახლდა საპროტესტო დემონსტრაცია. მშრომელებმა წითელი დროშებითა და რევოლუციური სიმღერებით შემოიარეს ქალაქის ქუჩები, რამდენიმე ადგილას შავი დროშები გამოკიდეს წარწერით: „თბილისში 29 აგვისტოს დაღუპულთა სახსოვრად". ხალხმრავალი მიტინგი ჩატარდა მეორე დღეს — 2 სექტემბერს. ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველო თბილისს აცნობებდა: „... 2 სექტემბერს, დაახლოებით 12 საათზე მეზობელი სოფლებიდან ხონში ჩამოვიდა ხალხის ბრბო — 4000 კაცამდე. წითელი დროშებითა და რევოლუციური სიმღერებით ისინი გაემართნენ ტაძრისაკენ. აქ აგიტატორებმა წარმოთქვეს მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვები, რის შემდეგ ბრბო დაიშალაო"[21].

რევოლუციის აღმავლობით შეშინებულმა მეფის მთავრობამ 1905 წლის 17 ოქტომბერს მანიფესტი გამოსცა. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბოლშევიკურმა ფრაქციამ გააკრიტიკა იგი და ხალხს მოუწოდა ბრძოლა გაეგრძელებინათ. მენშევიკებმა მანიფესტი რევოლუციის მნიშვნელოვან გამარჯვებად ჩათვალეს და პოლიტიკური აგიტაცია გააჩაღეს მისი ცხოვრებაში გატარების მიზნით. 29 ოქტომბერს ხონში ჩატარდა დიდი კრება, რომელზედაც 17 ოქტომბრის მანიფესტის შესახებ ილაპარაკეს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა. კრების შემდეგ მოეწყო დემონსტრაცია.

1905 წლის ნოემბერში შეიკრიბა რსდმპ კავკასიის კავშირის მეორე კონფერენცია, რომელმაც გამოიტანა დადგენილება შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და გატარების, სახელმწიფო სათათბიროსადმი ბოიკოტის გამოცხადების და სხვათა შესახებ. კონფერენციის გადაწყვეტილებებს ხონის მოსახლეობაც გამოეხმაურა. „... ქალაქების, დაბების და სოფლის მოსახლეობა საერთო ცხოვრებით ცხოვრობდა, — წერდა ქუთაისის გუბერნატორი ვ. ა. სტაროსელსკი. — აი, მაგალითად კითხვები, რომლებიც აღელვებდნენ პატარა და-

[21] იქვე, გვ. 372.

ბის ხონის მცხოვრებთ, შეკრებილთ მეზობელ სოფლების მცხოვრებლებთან ერთად მიტინგზე 26 ნოემბერს. თათბირობდნენ რუსეთის პოლიტიკურ მდგომარეობაზე. დაადგინეს: გამოეცხადოს საყვედური მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარეს ვიტტეს, მოეთხოვოს პოლონეთში საომარი წესების მოხსნა, გაეგზავნოს სალამი შმიდტს, მის მეზღვაურთ და რევოლუციონერ ჯარისკაცებს, ზემოაღნიშნული საომარი წესების მოხსნის შესახებ მოთხოვნილების ასრულებამდე, არ მისცეს ჯარში გასაყვანი ახალგაზრდობა, გადასახადები და ხარჯი"[22]. ასეთი იყო ხონის მოსახლეობის განწყობილება და პოლიტიკური ჰორიზონტი შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადების პერიოდში.

1905 წლის 27 ნოემბერს, ღამით, ქუთაისში კაზაკებმა უმიზეზოდ სცემეს მოქალაქეებს. ამან გამოიწვია შეტაკება კაზაკებსა და მოსახლეობას შორის. მეორე დღეს ქუთაისის ქუჩებში ბარიკადები აღიმართა.

ცნობა ქუთაისში მომხდარი შეტაკების შესახებ ხონში გვიან ღამით იქნა მიღებული. პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა ზარების რეკვით ხალხი შეკრიბეს და გააცნეს ქუთაისში შექმნილი მდგომარეობა. კაზაკების თავხედობამ საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. გადაწყდა დახმარება აღმოჩენოდა ქუთაისს. „დილაადრიან გავემგზავრეთ ქუთაისისაკენ, — წერდა ამ ამბების ერთი მონაწილე, — ხალხის გამოსვლამ სტიქიური ხასიათი მიიღო. ქალი და კაცი, დიდი და პატარა, ყველა ქუთაისისაკენ მიისწრაფოდა. ხალხი შეიარაღებული სანადირო თოფებით, წალდით, ნაჯახით, და ბოლოს კეტებით. ამ იარაღით ხალხი მიდიოდა საბრძოლველად კაზაკების წინააღმდეგ, იმ კაზაკების, რომლებიც თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული იყვნენ თანამედროვე ტექნიკის საფუძველზე. ხალხი ამას ანგარიშს არ უწევდა. მას გაეგო, რომ მეფის ჯარი რევოლუციას თავს დაესხა და იგი მზად იყო შებრძოლებოდა ამ თავდამსხმელებს თუნდაც უიარაღოდ. დიდებული სანახავი იყო ამ რევოლუციური ენთუზიაზმით გატაცებული ხალხის მოგზაურობა ხონისა და ქუთაისის შარაგზაზე. კაცი იფიქრებდა — ეს ხალხი შეიარაღებულ კაზაკებ-

---

[22] ვ. ა. სტაროსელსკი, გლეხთა მოძრაობა ქუთაისის გუბერნიაში, ტფ., 1928, გვ. 85.

თან საბრძოლველად კი არა, არამედ სადმე საზეიმოდ მიემგზავრებაო“[23].

ხონის ერთ-ერთი წარმომადგენელი ეტლით გაემგზავრა ქუთაისში სათანადო მითითებების მისაღებად. ქუთაისში მიზანშეწონილად არ ცნეს მოზღვავებული, თითქმის უიარაღო ხალხის ქალაქში შემოსვლა. ამიტომ ამ აქციის ხელმძღვანელებს რჩევა მისცეს, ხალხი უკანვე დაებრუნებინათ და გაეგრძელებინათ მზადება შეიარაღებული აჯანყებისათვის. ხალხმა, რომელიც უკვე სოფელ მაღლაკთან იყო მოსული, ყურადღებით მოისმინა ეს გადაწყვეტილება და მშვიდობიანად უკან დაბრუნდა.

ხონში პრაქტიკულად დაიწყო შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადება. ამაში ხელმძღვანელ როლს თამაშობდნენ სოციალ-დემოკრატები, განსაკუთრებით მათი ბოლშევიკური ფრაქცია. დაიწყო ფულისა და იარაღის შეკრება. ჯერ კიდევ 1905 წლის 17 მაისს, ისარგებლეს რა სტრაჟნიკების სიმთვრალით, ხონის ყაზარმიდან გაიტანეს რამდენიმე შაშხანა. შედგა შეიარაღებული რაზმი, რომელსაც ვლ. ნადარეიშვილი და რ. ჩხენკელი ხელმძღვანელობდნენ. ეს რაზმი გაემგზავრა სამტრედიაში, სადაც შეუერთდა გურიიდან და სამეგრელოდან ჩამოსულ რაზმებს[24].

1905 წლის დეკემბერში დასავლეთ საქართველოში, ისე როგორც რუსეთის მთელს იმპერიაში, შეიარაღებული პრძოლები წარმოებდა. ბევრგან ძალაუფლება ხელში აიღეს მუშებმა და გლეხებმა. 1905 წლის 20 დეკემბერს გაზეთი „სოციალ-დემოკრატიული ფურცელი“ წერდა: „... ხონის რაიონი თითქმის სულ გაიწმინდა ბიუროკრატიის ნაფლეთებისაგან. პოლიცია აღარ არის. ის ქუჩებში ველარ გამოდის, თფილ ოთახში ლოგინზე მოკალათებულა და დროგამოშვებით „რაპორტებსა“ და „დონოსენიებს“ წერს. მაგრამ რა ქნას? ველარ უგზავნის უფროსებს: ფოჩტა აღარ მიდის, ჩინოვნიკები გაფიცულები არიან და აღფრთოვანებით ელოდებიან დურნოვო-სევასტიანოვოს სამინისტროს თანამდებობიდან გაძევებას! სუდში აღარავინ მიდის; ძველი „დელოები“ აუარებელი ყრია აქ, მაგრამ ახალი „დელო“ არ ემატება. სტრაჟნიკებს თოფები აღარა აქვთ. ის წითელრაზმელებმა უკვე წაიღეს და ეს ლომგული ამხა-

---

[23]რევოლუციის მატიანე, 1929, № 1 (21), გვ. 153-154.

[24]სცსა, ფ. 83/ს, საქ. 198, ფურც. 83.

ნაგები თვითმპყრობელობის სრულ ამოსაგდებად ემზადებიან“[25]. ამ მოკლე ცნობიდან ჩანს, რომ 1905 წლის დეკემბერში ხონში ძალაუფლება ხალხმა აიღო თავის ხელში.

დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება მოსკოვში დამარცხდა. საქართველოშიც დაიწყო რევოლუციური მოძრაობის შენელება. დასავლეთ საქართველოში გამოიგზავნა ცნობილი ჯალათი ალიხანოვ-ავარსკი. ზედმეტი მსხვერპლის თავიდან აცილების მიზნით პოლიტიკურმა პარტიებმა მიიღეს გადაწყვეტილება შეიარაღებული ბრძოლის შეწყვეტის შესახებ. ამასთან დაკავშირებით რევოლუციური გამოსვლების აქტიურ მონაწილეთა ერთი ნაწილი ხონიდან წავიდა, ხოლო ნაწილი — არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდა.

ხონში კაზაკთა ასეული გაიგზავნა. გაზეთი „ახალი დროება“ წერდა: „... მძვინვარე რეაქციამ არც ხონი დატოვა გულდაწყვეტილი. მასაც აწვია 80 კაზაკი თავისი აფიცრით. ამ ამბავმა თავზარი დასცა ხონელებს... შეიქნა ქაბაში შიშის კანკალი და ფუსფუსი. რის დამალვაც კი შეიძლებოდა, მიმალეს სადღაც. ხალხი გაიხიზნა, სახლები დაცარიელდა, დუქნები დაიკეტა. გაიმართა კაზაკთა თავაშვებული თარეში.“[26]. კაზაკთა ოფიცერმა მოსახლეობას გამოუცხადა სასწრაფოდ ჩაებარებინათ იარაღი. ხალხი ამ მოთხოვნის შესრულებას ყოველნაირად თავს არიდებდა და მხოლოდ გამოუსადეგარ და უვარგის იარაღს აბარებდა. მაგრამ ხონში მოქმედებდა ჯაშუში, რომლის საშუალებით დამსჯელი რაზმი გებულობდა ვინ ინახავდა იარაღს და სად იმალებოდნენ აქტიური რევოლუციონერები. ჯაშუში აღმოაჩინეს.

კაზაკთა თავხედობას საზღვარი არ ჰქონდა. „... დადგა რეაქციის წლები, — წერდა გ. ძიძიგური. — ალიხანოვის დამსჯელი რაზმები ხონის რაიონის დასარბევად ჩამოვიდნენ. ისინი სემინარიის წინ, ბახტაძის კერძო პროგიმნაზიის შენობაში დაბანაკდნენ. აქედან კაზაკები ჩვენს დანახვაზე რუსულად შეგვიგინებდნენ ხოლმე საყვარელ დირექტორს. მეტიც, ერთ ღამეს კაზაკები სემინარიაში შემოიჭრნენ და მხცოვანი პედაგოგი, ალექსი ჭიჭინაძე დიდი მუქარითა და ყვირილით წაიყვანეს თავიანთ ადგილობრივ უფროსთან, რამდენიმე საათის შემდეგ გამოუშვეს შეგინებული და შეურაცხყოფილი“[27].

---

[25] სოციალ-დემოკრატიული ფურცელი, 1905, № 6.

[26] ახალი დროება, 1906, № 4.

[27] გ. ძიძიგური, დასახ. ნაშრომი, გვ. 70.

ბოლოს ხონში თვით ალიხანოვიც ჩამოვიდა. იგი დაარწმუნეს, რომ აქ უკვე ყველაფერი „წესრიგშია“ და მანაც გზა სამეგრელოსაკენ განაგრძო. ხონიდან კაზაკები გაიყვანეს და მის ნაცვლად ჯარის ნაწილები გამოგზავნეს.

1905 წლის რევოლუციის დროს საზღვარგარეთ სასწავლებლად წასული ხონელი ახალგაზრდები დიდ დაინტერესებას იჩენდნენ სამშობლოში მიმდინარე ამბებისადმი. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ჟენევაში მყოფი ახალგაზრდების წერილები, გამოგზავნილი ხონში მცხოვრებ დავით ლორთქიფანიძისათვის. აი, რას წერდა ვლადიმერ ქუთათელაძე დ. ლორთქიფანიძეს 1905 წელს: „სამშაბათს, 29 ენკენისთვეს, პირველ საათზედ ჩამოვედით ჟენევაში... ჩვენ რომ ჩავედით ლენინი რეფერატს კითხულობდა და იქ წავედით საყურებლად. ლენინმა წაიკითხა რეფერატი პარვუსის სტატიის შესახებ „Социал-демократия и государственная дума“. პარვუსი ხომ მენშევიკურ ტაქტიკას ადგია. მიდგა ჩვენმა ლენინმა და ტყავი გააძრო საძაგლად ყველა მენშევიკებს. რეფერატზე ორას კაცამდე იყო. მარტოვი და პლეხანოვი არ იყო. სხვა მენშევიკებმა ვითომდა შეებღაუჭეს ლენინს, მაგრამ მან ყველას ბურთი ჩაუდვა პირში“.

დ. ლორთქიფანიძეს მეორე ამხანაგი, პოლიკარპე სანოძე წერდა: „... სხვა ჟენევაზე ჯერ ბევრს ვერაფერს გეტყვი... ჩვენ რომ ჩამოვედით იმ საღამოს, 7 სექტემბერს ლენინის რეფერატს დავესწარით. ის კითხულობდა მენშევიკების ტაქტიკის წინააღმდეგ და არჩევდა პარვუსის სტატიას,... სადაც ტყავს აძრობდა მენშევიკებს. მენშევიკებმა უპასუხეს, მაგრამ მათი პასუხის კრიტიკა ლენინს ძვირად არ დაჯდომია და აქაც გაიმარჯვა. მან დაამტკიცა, რომ პარვუსის წერილი სავსეა წინააღმდეგობებით და მისი ტაქტიკა უვარგისია“. ცოტა მოგვიანებით იგივე პ. სანოძე დ. ლორთქიფანიძეს წერდა ლეიპციგიდან: „... რუსეთში რევოლუცია ხდება, ცხოვრება უზარმაზარი ნაბიჯებით წინ მიისწრაფის, საათობით იზრდება მუშათა კლასის შეგნება, რევოლუციონური ალი არე-მარეს ედება, იმსხვრევა ძველი ბატონყმურ-ბიუროკრატიული წესწყობილება, იბადება ახალი და შენ სადღაც ლეიპციგში ჩამწყვდეულხარ ოთხ კედელს შუა და ჩასჩიჩინებ რაც გაუგებარ წიგნებს“[28].

---

[28] ამ წერილების ასლები ჩვენ გადმოგვცა, სხვა მასალებთან ერთად, აწ განსვენებულმა დავით ლორთქიფანიძემ. დედნები დაცული იყო მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტ. საქ. ფილიალში, რომელიც ახლა გაუქმებულია. წერილებიდან ჩანს ხონის სოციალ-დემოკრატიულ ახალგაზრდობაში ბოლშევიკური გავლენა.

## 3. ხონი პირველი რევოლუციის დამარცხებიდან თებერვლის რევოლუციამდე

1905-1907 წლების რევოლუცია დამარცხდა, მაგრამ ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი ფაქტორები, რომლებმაც იგი გამოიწვია, კვლავ მოქმედებდნენ და გარდუვალს ხდიდნენ ახალ რევოლუციურ აფეთქებას.

რევოლუციის დამარცხების შემდეგ ხონის მოსახლეობის ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. კაზაკებისა და დამსჯელი ექსპედიციების თარეშმა გააპარტახა და მოშალა ისედაც დაკნინებული გლეხური მეურნეობა, ამას დაემატა მოუსავლიანი წლები, რამაც მწვავე ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია. ქვემო იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობა მასობრივად ჩამოდიოდა ხონის ბაზარზე სიმინდის შესაძენად. ამით ისარგებლეს ადგილობრივმა ჩარჩ-ვაჭრებმა, ხელში ჩაიგდეს სიმინდის დიდი რაოდენობა და ფასები საგრძნობლად გაზარდეს. ერთი თანამედროვის საინტერესო დაკვირვებიდან ჩანს, რომ 1910 წლისათვის ხონის საბოქაულოში შემავალი სოფლების უმრავლესობა შიმშილობდა. აი, სტატისტიკური მონაცემები, რომელიც მას, გლეხების დახმარებით, შეუკრებია: „ხონის საზოგადოებაში ირიცხება 1300 კომლამდე, ამათში 2/3 დამშეულია, დანარჩენებიც ამ მოკლე ხანში ულუკმაპუროდ დარჩებიან...

ღანირის საზოგადოებაში 900-მდე კომლია. უზრუნველყოფილია, ჯერ-ჯერობით, 300 კომლი, დანარჩენი შიმშილობს. კუხის საზოგადოებაში 930 კომლამდეა. ამათში 2/3 დამშეულია. ნახახულევის საზოგადოებაში 1100 კომლამდეა, ამათში 2/3 დამშეულია. ამ საზოგადოების ორ სოფელში — მათხოჯსა და დედალაურში ირიცხება 200 კომლი, ამათში 7% თავს გაიტანს, დანარჩენს არავითარი სახსარი არა აქვს არსებობისათვის... გვაშტიბის საზოგადოებაში 900 კომლამდეა. ამათში 96% დამშეულია. წყალტუბოს საზოგადოების 800 კომლიდან 80% დამშეულია. აშკარაა ხონის რაიონის 6 სოფელი შიმშილს განიცდის“[29].

მოუსავლიანობას ისიც დაემატა, რომ სახელმწიფომ გლეხებისაგან მოითხოვა 1909 და 1910 წლების მიწის გადასახადის ერთდროულად შეტანა. უკვე არსებულ გადასახადებს

---

[29] „ახალი სხივი“, 1910, 3, 27, № 49, გვ. 4.

ახლებიც დაემატა. ქვემო იმერეთში ყოველ სასოფლო კანცელარიაზე 3-5 „სტრაჟნიკი“ იყო გამოყოფილი. მათი შესანახი ხარჯები მოსახლეობას დაეწერა. „ჩვენი გლეხები გალატაკების გზას ადგია, — წერდა ვინმე „დროებით ხონელი“. — ეკონომიურად დაბეჩავებული, შიმშილისაგან ილაჯგაწყვეტილი და ათასგვარი გადასახადებისაგან აოხრებული, ის სასოწარკვეთას მისცემია. ვერ შეხვდებით ვერც ერთ გლეხს სოფელში, რომ თავის ბედს არ ემდუროდეს. „დრამის ფულში ხარები წამართვეს, მიწის „ნალოგში“ ჭირნახული გამიყიდეს და სხვა. აი, რა გაისმის დღეს ჩვენი გლეხისაგან“[30].

რევოლუციამდელ პერიოდიკაში მოთავსებულია დიდძალი მასალები, რომლებიც ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ გაუარესდა რევოლუციის დამარცხების შემდეგ ხონის მოსახლეობის საარსებო პირობები. ყოველივე ეს მას არსებული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ უბიძგებდა. ხონის მშრომელთა მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს ხელოსანთა და ნოქართა პროფესიული კავშირის შექმნა 1907 წლის თებერვალში.

1910 წლის ნოემბერში ხონის სახერხი ქარხნების მეპატრონეებმა მუშებს გამოუცხადეს, თუ ხელფასის დაკლებაზე არ დათანხმდებით, მაშინ წარმოება უნდა დავკეტოთო. მუშები გაერთიანდნენ და მეპატრონეთა მოთხოვნას გაფიცვით უპასუხეს. გაფიცვა რამდენიმე დღე გაგრძელდა. ზოგი მეპატრონე იძულებული გახდა უკანვე წაეღო თავისი წინადადება და მუშაობა განეახლებინა. ამან ერთგვარად დაქსაქსა გაფიცულთა ძალები და საშუალება მისცა ქარხნების მეპატრონეებს ნადარეიშვილსა და ჩხენკელს ლოკაუტი გაეხანგრძლივებიათ.

1913 წლის ზაფხულში ორჯერ გაიფიცნენ ხონის მახლობლად, ცხენისწყლის მიდამოებში ხე-ტყის დამუშავებაზე დასაქმებული მუშები. გაფიცულები ხელფასის მომატებას მოითხოვდნენ. ამავე წელს ხონელ სოციალ-დემოკრატთა ერთმა ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ კ. ქაცარავა, პ. კიკალიშვილი, ი. ბახტაძე, ლ. ზერგაია და სხვ., ხონში მოაწყვეს პატარა არალეგალური სტამბა, რომელშიაც ცარიზმის საწინააღმდეგო ფურცლები იბეჭდებოდა[31].

---

[30] „ახალი გზა“, 1910, 7, 7, № 14, გვ. 4.

[31] ზ. გეგეშიძე, საქ. ბოლშევიკური ორგანიზაციების არალეგალური სტამბები, თბ., 1965, გვ. 213-214.

პირველმა იმპერიალისტურმა ომმა კლასობრივი ბრძოლის შემდგომი გამწვავება გამოიწვია. ომისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ენერგიულად გამოდიოდა ხონის მოსახლეობაც.

1916 წლის ივლისში გაიფიცნენ ხონის ძაფსაღები ფაბრიკის მუშები. ტერ-გერუქოვი, რომელსაც იმ პერიოდში ფაბრიკა ეკუთვნოდა, ცუდად ეპყრობოდა მუშებს. ფაბრიკაში სამუშაო დღის ხანგრძლივობა განსაზღვრული არ იყო. ტერგერუქოვმა დასვენების დღეც გააუქმა, რამაც გაფიცვა გამოიწვია. გაფიცვა რამდენიმე დღე გაგრძელდა.

1915 წლის ბოლოს ხონში შეიქმნა ადგილობრივი ციმერვალდელების ჯგუფი, რომელიც არალეგალურად იკრიბებოდა ომისადმი დამოკიდებულების საკითხის გასარკვევად. „ხონში, ვარლამ შავდიას დების ბინაზე, შეიკრიბა ადგილობრივ ციმერვალდელების ჯგუფი, — წერდა თავის მოგონებაში პროფ. მ. გოგიბერიძე, — მეტწილად ახალგაზრდები ვიყავით. მეტად კონსპირაციული და მნიშვნელოვანი საკითხი გვქონდა განსახილველი. უნდა გადაგვეწყვიტა — საჭიროა თუ არა შვებულებით სახლში დაბრუნებულ ჯარისკაცებში აგიტაცია ომის წინააღმდეგ. ილაპარაკა რამდენიმე ამხანაგმა. ვთქვი მეც ჩემი აზრი, მაგრამ ეს აზრი ზედმეტად „ახალგაზრდული" აღმოჩნდა. ჩემს შემდეგ გამოსულმა ფანატიზმათ გამოაცხადა ჩემი სიტყვა"[32].ციმერვალდელთა ჯგუფი აქტიურ ომისსაწინააღმდეგო აგიტაციას ეწეოდა.

## 4. ხონი 1917-1921 წლებში

1917 წლის თებერვალში რუსეთის მუშათა კლასმა და რევოლუციურმა გლეხობამ თვითმპყრობელობა დაამხეს. რუსეთში დამყარდა ორხელისუფლებიანობა. ერთის მხრივ, შეიქმნა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები, ხოლო მეორეს მხრივ, — დროებითი მთავრობა. მალე, როდესაც ბოლშევიკურმა პარტიამ თავისი ექსტრემისტული საქმიანობით სერიოზული საფრთხე შეუქმნა თებერვლის რევოლუციის შედეგებს, საბჭოებმა მთელი ძალაუფლება გადასცეს დროებით მთავრობას. მან 1917 წლის 9 მარტს შექმნა ამიერკავკასიის ადგილობრივი, სამხარეო ხელისუფლება — ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი — ოზაკომი. მის

---

[32]„მნათობი", 1930, № 11-12, გვ. 6.

შემადგენლობაში შევიდა სოციალისტ-ფედერალისტი კიტა აბაშიძე, რომელიც შემდეგ ქართველი სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთმა ლიდერმა აკაკი ჩხენკელმა შეცვალა.

1917 წლის 6 მარტს ცარიზმის დამხობით აღფრთოვანებულმა ხონელმა მოსწავლეებმა მანიფესტაცია მოაწყვეს. მიტინგზე გამოსული ორატორები მიესალმებოდნენ რუსეთის რევოლუციას და დროებითი მთავრობისაგან კონკრეტული ღონისძიებების გატარებას მოითხოვდნენ სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ლიკვიდაციის მიზნით. მოსწავლეებმა დეპეშა გაუგზავნეს პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს, რომელსაც სათავეში ქართველი მენშევიკი კარლო ჩხეიძე ედგა.

7 მარტს ხონში დიდი მიტინგი ჩატარდა. „რუსეთის რევოლუციამ არაჩვეულებრივი აღტაცება გამოიწვია ადგილობრივ საზოგადოებაში... ყველაფერს სიცოცხლის ელფერი აზის", — წერდა „სახალხო ფურცელი". სამშაბათი არაჩვეულებრივი დღე იყო ხონში. ამ დღეს ხონში დანიშნული იყო საზოგადო მიტინგი. ხალხმა დილიდანვე დაიწყო დენა ქალაქში. მთელი ქალაქი აზვირთებულ ზღვას წარმოადგენდა... ყველა სრულ აღფრთოვანებას გრძნობდა"[33]. მიტინგს შვიდი ათასამდე კაცი დაესწრო. აირჩიეს ადგილობრივი კომიტეტი, რომელშიც სოციალ-დემოკრატები და სოციალისტ-ფედერალისტები შევიდნენ.

19 მარტს სახალხო თეატრის შენობაში შედგა ხონის რაიონის სოციალ-დემოკრატების საერთო კრება. მიიღეს დადგენილება სოფლებში „იაჩეიკების" აღდგენისა და მუშათა კლუბის შექმნის შესახებ.

1917 წლის მარტში ხონში უკვე არსებობდა მუშათა საბჭო. გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი" წერდა: „... ხონის რაიონის ყველა საზოგადოებაში დაიწყო სოციალ-დემოკრატების გამოცოცხლებული მუშაობა. მუშაობა განაახლეს ძველმა უჯრედებმა. ჩატარდა არჩევნები ადგილობრივ კომიტეტში, რაც სოციალ-დემოკრატების სრული გამარჯვებით დამთავრდა. ჩვენდა სამწუხაროდ ჩვენ კომპრომისზე წავედით. კომიტეტში ოთხი სოციალისტ-ფედერალისტი გავიდა[34]. ახლა ჩვენთან პარტიული მუშაობა ჩქეფს და უკვე შევადგინეთ პრო-

---

[33] „სახალხო ფურცელი", 1917, 3, 15, № 819, გვ. 3.

[34] სოციალ-დემოკრატი ავტორი წუხს, რომ ხონის ადგილობრივ კომიტეტში სოციალ-დემოკრატებთან ერთად სოციალისტ-ფედერალისტებიც აირჩიეს.

პაგანდისტთა სია. ძველი პოლიცია აღარ არსებობს. მის მაგიერად დაარსებულია სახალხო მილიცია 20 კაცის შემადგენლობით"[35].

პირველ მაისს ხონში მიტინგი და დემონსტრაცია ჩატარდა. მიტინგზე „პირველად მოვიდნენ მარსელიოზის სიმღერით ადგილობრივი ნოქრები, რომელთაც მოაქვთ მშვენიერი დროშა, რომელზედაც ყვავილებით შემკულია კ. მარქსის სურათი და წარწერილია „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით". „გაუმარჯოს რვასაათიან სამუშაო დღეს", რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკას, გაუმარჯოს ინტერნაციონალს". მალე გამოჩნდნენ საკუთარი დროშებითვე ყველა ხელოსნები და თანამოაზრე ვაჭრები. რამდენიმე ხნის შემდეგ მოაფრიალეს დროშა მარქსისტ მუშა ქალებმა. დროშაზე გამოხატულია ბებელის სურათი და სიტყვები „გაუმარჯოს ქალთა ემანსიპაციას". მათ მოყვებიან მკერავი ქალები თავიანთი დროშით. ეზო და ქუჩა გაიჭედა ხალხით. ამ დროს შორიდან მოისმის მარსელიოზის ხმა. გამოჩნდა ორი დროშა: სოფელ ივანდიდის და ქარჩხაბის... აუაჸრება ხალხი დროშებით გაეშურა ბაზრის მოედნისაკენ, სადაც მოწყობილი იყო ტრიბუნა ორატორებისათვის. აქ შემოგვხდა სოფლები მათხოჯი, საწულუკიძეო და კონტუათი". ორატორების გამოსვლის შემდეგ მიტინგის მონაწილენი ალ. წულუკიძის საფლავისაკენ გაემართნენ. მიტინგმა შემდეგი რეზოლუცია მიიღო:

1. გაეგზავნოს მისალმება პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს.
2. დაუყოვნებლივ აღდგენილ იქნას ინტერნაციონალი.
3. უმოკლეს ვადაში დაიდოს უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი.
4. სასწრაფოდ მოწვეულ იქნას დამფუძნებელი კრება[36].

გაზეთ „სოციალ-დემოკრატის" ამ ინფორმაციიდან ჩანს, რომ საპირველმაისო მიტინგს ხონში სოციალ-დემოკრატები ხელმძღვანელობდნენ. ისინი დაინტერესებული იყვნენ რევოლუციის სოციალური შედეგებით და სრულებით არ ფიქრობდნენ იმას, რომ ცარიზმის დამხობამ ეროვნული განთავისუფლების რეალური შესაძლებლობა შექმნა.

21 აპრილს ხონში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცი-

---

[35] „Кавказский рабочий", 1917, 9, 4, N 22, с. 3.

[36] „სოციალ-დემოკრატი", 1917, 4, 23, № 23, გვ. 4.

ის კრება შედგა. აირჩიეს 5 კაცისაგან შემდგარი „კოლექტივი". მას დაევალა რეაქციისა და იმპერიალისტური ომის დროს დაშლილი ადგილობრივი ორგანიზაციების აღდგენა და განმტკიცება.

თებერვლის რევოლუციის გამარჯვებამ კიდევ უფრო გაამწვავა წინააღმდეგობა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შიგნით. დაისვა საკითხი მენშევიკებისა და ბოლშევიკების ცალ-ცალკე ორგანიზაციებად გაფორმების შესახებ. ამასთან დაკავშირებით ხონში ჩამოვიდა ალექსანდრე ჯაფარიძე. მან მენშევიკებისა და ბოლშევიკების გაერთიანებულ კრებაზე გააკეთა მოხსენება მიმდინარე მომენტზე. მოხსენებამ ცხარე კამათი გამოიწვია. გადაწყდა დამოუკიდებელი მენშევიკური და ბოლშევიკური ორგანიზაციების შექმნა.

1917 წლის ოქტომბერში ვალია ბახტაძის ხელმძღვანელობით შეიქმნა ახალგაზრდული ორგანიზაციის „სპარტაკის" ხონის კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში აირჩიეს სერგო ბახტაძე (თავმჯდომარე), ვარლამ ნადარეიშვილი (მდივანი) და პლ. წულაია. იგი ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციას დაუპირისპირდა.

1917 წლის 21 ნოემბერს, დამფუძნებელი კრების არჩევნებთან დაკავშირებით, ხონში მიტინგი ჩატარდა. გაზეთი „ხალხის მეგობარი" წერდა: „... თავმჯდომარის თანამდებობაზე მხოლოდ მენშევიკებმა და ბოლშევიკებმა წამოაყენეს თავისი კანდიდატები. ხმის უმრავლესობით გავიდა ბოლშევიკი. ეს პირველი გამარჯვება იყო ხონში ბოლშევიკების და ასევე დამარცხება მენშევიკების. სოციალისტ-ფედერალისტებიდან მიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ ლ. ქორქაშვილი და გ. ჯანდიერი, მენშევიკებიდან — ათანასე ბარაბაძე"[37]. გაზეთი „ბრძოლა" ტრაბახობდა, „ჩვენი პატარა ქალაქი ხონი მენშევიკების აუღებელ ციხე-სიმაგრედ ითვლებოდა ამ რამდენსამე თვის წინეთ. ის მათი პატარა სამთავრო იყო და ისინიც, რასაკვირველია, ამით საკმაოთ სარგებლობდნენ... მაგრამ?!.. გატყდა ხონის ციხე. და ეს მოიმოქმედა არა სხვა ვინმემ, არამედ „ვიღაც" ბოლშევიკებმა. და თუ ეს ასე იყო ამ ორი თვის წინათ, დღეს შეგვიძლია პირდაპირ ვთქვათ, რომ ხონის და ახლომახლო მდებარე სოფლების დიდი უმრავლესობა უკვე ჩამოცილდა მენშევიკებს და წა-

---

[37] „ხალხის მეგობარი", 1917, 11, 14, № 42, გვ. 3.

მოვიდა ჩვენსკენ“ [38]. ცოტა მოგვიანებით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრი აკაკი ჩხენკელი იტყვის: „ხონი ბუდეა ბოლშევიზმისა“.

ამიერკავკასიის კომისარიატისა (1917 წლის ნოემბერი — 1918 წლის თებერვალი) და ამიერკავკასიის სეიმის (1918 წლის თებერვალი — 1918 წლის 26 მაისი) არსებობის დროს ხონში, ისე როგორც მთელს საქართველოსა და ამიერკავკასიაში, რთული და წინააღმდეგობრივი პოლიტიკური ვითარება იყო. რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განსაკუთრებით გააქტიურდნენ ბოლშევიკები. მათ გააძლიერეს ბრძოლა ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად და მკვეთრად დაუპირისპირდნენ იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც ცდილობდნენ რუსეთში მიმდინარე ამბები ეროვნული თავისუფლების მოპოვების ინტერესებისათვის გამოეყენებინათ. ბოლშევიკები თავის მხარეზე ე. წ. მასების გადმობირების მიზნით ფართოდ იყენებდნენ იმ ეკონომიკურ სიძნელეებს, რაც პირველმა მსოფლიო ომმა წარმოშვა. მათ შეძლეს 1918 წლის თებერვალ-მარტში ლეჩხუმსა და სამეგრელოში გლეხთა გამოსვლების პროვოცირება, ხოლო ცოტა მოგვიანებით აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთში ანტიქართული მოძრაობის გაღვივება. ხონელი ბოლშევიკები აქტიურად მონაწილეობდნენ მთავრობის საწინააღმდეგო ბრძოლებში. აჯანყებულთა დასახმარებლად გზავნიდნენ თავიანთ წარმომადგენლებს. ლეჩხუმში აჯანყების დაწყებისთანავე ჩავიდნენ ხონელი ბოლშევიკები იპ. ბახტაძე და რ. ჩხენკელი. ი. ბახტაძემ ქუთაისის ბოლშევიკურ გაზეთში „ჩვენი ბრძოლა“ გამოაქვეყნა სტატია „რა მოხდა ლეჩხუმში“, ხოლო შემდეგ შეადგინა მოწოდება საქართველოს ყველა მშრომელისადმი, რომელიც ცალკე ფურცლებად დაიბეჭდა და მოსახლეობაში გავრცელდა. ორივე დოკუმენტი შეიცავდა მტკიცებას მთელი ძალაუფლების ბოლშევიკების ხელში გადასვლის აუცილებლობის შესახებ.

სამეგრელოს გლეხთა აჯანყებაში მონაწილეობდა ხონელ ბოლშევიკთა ჯგუფი კ. ქაცარავას, გ. ბახტაძის, კ. ბახტაძის, იპ. ბახტაძის, რ. ჩხენკელის და სხვათა შემადგენლობით; აფხაზეთში დაიღუპა ხონელი ბოლშევიკი კლასიონ მელაძე.

ბოლშევიკების გააქტიურებასთან დაკავშირებით ხონში

---

[38] „ბრძოლა“, 1918, იანვარი, № 7, გვ. 4.

1918 წლის 11 მაისს გაიგზავნა ე. წ. „მფრინავი რაზმი". ქუთაისის გუბერნიის მენშევიკთა ოფიციოზი გაზეთი „სოციალ-დემოკრატი" წერდა:... ხონის ქალაქის საბჭო თანაგრძნობით ეგებება ქუთაისიდან ჩამოსულ რევოლუციურ რაზმს და დარწმუნებულია, რომ რაზმი მიზანს მიაღწევს.

საღამოს 7 საათზე სამხედრო შტაბის სხდომაა. მას ესწრებოდნენ ქალაქის მილიციის უფროსი, სამაზრო მილიციის უფროსი და ქალაქის თავი. სამხედრო შტაბმა შეიმუშავა მოქმედების გეგმა და 12 მაისისათვის მოიწვია ხონისა და მისი რაიონის ყველა ასისთავი, ათისთავი და კომისარი.

12 მაისს სამხედრო შტაბმა ქალაქში სამხედრო წესები გამოაცხადა... დაიწყო იარაღის ჩაბარება... ზოგიერთი ჯარისკაცი შეჯგუფულ ხალხში რაზმის წინააღმდეგ რაღაცას ლაპარაკობენ. პატრულები მათ ატუსაღებენ. 5 საათზე დაატუსაღეს რამდენიმე პირი, რომლებსაც ბრალდებოდათ ხონში კომისარიატზე თავდასხმის ხელმძღვანელობა და მილიციელებზე იარაღის აყრა.

რაზმის ცალკეული ჯგუფები ჩხრეკას იწყებენ და იარაღს აგროვებენ, რომლებიც ზოგიერთებს გადაუმალავთ. ერთმა ჯგუფმა მოიტანა დინამიტის „ფიტილები" და ერთი სასროლი გრანატა. საღამომდე 120 თოფამდე მოგროვდა... 12 მაისის ღამე წყნარად გათენდა... არსად სროლა არ ყოფილა... უნებართვოდ ქუჩაში არავის უშვებენ.

შტაბს ცნობა მოდის, რომ როდესაც სამეგრელოში ჯარისკაცების გაემოსვლა მოხდა, ხონის ბოლშევიკებს მათთვის იარაღი გაუგზავნიათ. იარაღს თან გაჰყოლია ზოგიერთი ხონელი ბოლშევიკი... დღის ორ საათზე გაჩხრიკეს გლუშაკოვის აფთიაქის ზედა სართული. შტაბს ცნობა ჰქონდა, რომ აქ იყო ბომბები და სხვა მრავალი მასალა გადამალული. გაჩხრეკის დროს ფანჯარა გაღებული აღმოჩნდა და იარაღი გატანილი. ოთახში ნახეს ერთი ბომბი, ტყვიები და სხვ. გამოირკვა, რომ აქ ცხოვრობდა პრაპორშჩიკი კ. ჭავჭავაძე, რომელთანაც ბოლშევიკებს ჰქონდათ ურთიერთობა. მიღებულია ცნობა, რომ რაიონში უნდა იყოს ტყვიამფრქვევი.

14 მაისი. მოდის ცნობები, რომ ზოგიერთი ჯარისკაცი თოფიანად ქალაქგარეთ გასულა და იმალება... ირკვევა, რომ ზოგიერთი ბოლშევიკი დღესაც სოხუმშია და იქ განაგრძობს „საგმირო საქმეებს". 12 საათზე დაატუსაღეს ჯარისკაცი პ. ჭავჭანიძე, რომელსაც ბრალდება სამეგრელოში იარაღის გატანა...

შტაბს ცნობა მოდის, რომ ხონში ჯერ კიდევ ბევრი იარაღია გადამალული. რაზმის უფროსმა ხონის მცხოვრებთა საყურადღებოდ ბრძანება გამოსცა: „ვინც 15 მაისის საღამოს 6 საათამდე იარაღს არ მოიტანს თავისი სურვილით, შემდეგ ვისაც აღმოაჩნდება დაპატიმრებული იქნებაო“.

15 მაისი. ვაჭრებს იარაღი აქვთ გადამალული. მათ წინადადება მიეცათ ორ საათამდე მოეტანათ იარაღი, წინააღმდეგ შემთხვევაში სამი თვით ციხეში გაიგზავნებოდნენ. ათისთავებმა ვაჭრებს გააცნეს შტაბის განკარგულება. მაგრამ მიუხედავად ამისა, ვაჭრები ცდილობდნენ არ ჩაებარებიათ და გადაემალათ იარაღი. ქალაქში იგზავნება ჯგუფები ჩხრეკის ჩასატარებლად. აღმოჩნდა დიდი რაოდენობით რევოლვერები, დინამიტის „ფიტილები“, თოფის წამალი და სხვ. საერთოდ ხონში მოლაპარაკებას და მშვიდობიანი გზით მუშაობას იმდენი გასავალი არა აქვს, რამდენადაც ძალას. ხშირად ასე არის — ყველამ იცის, რომ ამა თუ იმ კაცისას იარაღი არის, მაგრამ იგი ყველა საშუალებას მიმართავს, იარაღი შეინარჩუნოს... ჩხრეკის დროს დამარხული და კოინდარში გადამალული თოფები აღმოაჩინეს.

დღეს საგამომძიებლო კომისია მუშაობს. დაკითხვებმა გამოარკვია, რომ ბოლშევიკები ხალხის შეიარაღებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ და შეიარაღებული რაზმები სამეგრელოში გადაჰყავთ ან იქედან გადმოყავთ. მათ ჰქონდათ ხონში სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი, რომელიც ხალხის შეიარაღებას ხელმძღვანელობდა. სამეგრელოში დამარცხების შემდეგ ზოგ მათგანს ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტისაგან მოწმობა აუღია და სოხუმში წასულა. საგამომძიებლო კომისიას მრავალი საბუთი აქვს იმის დასამტკიცებლად, რომ ბოლშევიკებს ლეჩხუმის აჯანყებულებთან ჰქონდათ კავშირი... დელეგატები ლეჩხუმში ხონიდან წასულან, რადგან ქუთაისის გზა დაკავებული იყო.

16 მაისი. გვიშტიბის საზოგადოებიდან ცნობა მოვიდა, რომ იქ შეიარაღებული რაზმია, რომელმაც გადაწყვიტა არ დაემორჩილოს და წინააღმდეგობა გაუწიოს რევოლუციურ ჯარს. შტაბმა მიიღო დადგენილება მეორე დღეს მთელი რაზმი გვიშტიბში გაემგზავროს. ღამის 12 საათზე ქუთაისიდან ჩამოიტანეს ორი ზარბაზანი.

17 მაისი. დილით რაზმი გვიშტიბისაკენ დაიძრა... მოხდა შეტაკება. მთავრობის ჯარებმა ზარბაზნები გამოიყენეს. ისინი

გვიშტიბში 19 მაისამდე დარჩნენ“[39]. მართალია, ეს ვრცელი ამონაწერი სოციალ-დემოკრატიული ოფიციოზიდანაა, მაგრამ მაინც იძლევა საშუალებას წარმოვიდგინოთ რა პოლიტიკური ვითარება იყო ხონსა და მის რაიონში 1918 წლის გაზაფხულზე.

1918 წლის 26 მაისს ეროვნულმა საბჭომ (შეიქმნა 1917 წლის 22 ნოემბერს. თავმჯდომარე ნოე ჟორდანია) საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენა გამოაცხადა. ეს იყო უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა, რომელსაც აღტაცებით შეხვდა მთელი ქართველი ხალხი. საქართველოში არსებული ყველა პოლიტიკური ძალა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს სამსახურში ჩადგა. გამონაკლისს ბოლშევიკები შეადგენდნენ. ისინი მტრულად შეხვდნენ 26 მაისის აქტს და შეურიგებელი ბრძოლა გააჩაღეს საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის წინააღმდეგ.

1918 წლის ივლისში ბოლშევიკებმა შეძლეს ხონის რაიონის მთელ რიგ სოფლებში შეიარაღებული აჯანყება მოეწყოთ. ერთი კვირის განმავლობაში წარმოებდა ბრძოლა ძეძილეთში აჯანყებულებსა და მთავრობის ჯარებს შორის. აჯანყებულები ძეძილეთში დამარცხდნენ. მაგრამ ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ახალი გამოსვლები მოეწყო გორდსა და კინჩაში. 1918 წლის 8 აგვისტოს კორესპონდენციაში „გორდის საბჭოთა მთავრობა“ ქუთაისელ ფედერალისტთა ორგანო „ჩვენი ქვეყანა“ წერდა: „... ამ უკანასკნელ თვეებში როგორც ზუგდიდის, ისე სენაკის მაზრაშიც, დიდი აჯანყება ხდება... განსაკუთრებით ნაგვაზაოსა და კინჩხის საზოგადოებაში. ამას ხელს უწყობდა მარტში გ. ასკურავას და კ. კორძაიას სოციალისტური ჯარით ნაოღალევის, ნაქალაქევის, ბანძის, სალხინოს და სხვ. აღება... სხვა ადგილების აღება ი. ადამიასა და თ. ჭოლოკავას ხელმძღვანელობით. ამას ხელს უწყობდა, აგრეთვე, საშა გეგეჭკორისა და ჭავჭანიძის ბოლშევიკური რაზმით შემოსვლა.

ამ ზემოხსენებულმა პირებმა, თავიანთ გაბოლშევიკებულ ჯარისკაცთაგან, გორდისა და კინჩხის რაიონში შემოსვლისთანავე აირჩიეს გლეხთა და ჯარისკაცთა წარმომადგენლები და ამით დააარსეს ერთგვარი სახალხო საბჭო და ცენ-

---

[39] „სოციალ-დემოკრატი“, 1917, 5, 17, № 317, 318, 322.

ტრად აღიარეს გორდი“[40]. „გორდის საბჭოთა მთავრობის თავმიჯდომარედ არჩეულ იქნა ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცი, ყოფილი მწყემსი, ჩაგუნავა. აჯანყებულთა შორის აგიტაციას ეწეოდნენ საშა გეგეჭკორი, კ. ჭავჭანიძე და სხვ. 28 ივლისს აჯანყებულებს შეტაკება მოუხდათ მთავრობის ჯარებთან.

1919 წლის ოქტომბერში ბოლშევიკები კვლავ შეეცადნენ შეიარაღებული აჯანყების გზით ხელში აეღოთ ძალაუფლება, მაგრამ უშედეგოდ. მარცხით დამთავრდა ხონელ ბოლშევიკთა გამოსვლაც.

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა, უხეშად დაარღვია რა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, დაამხო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და მოახდინა ქვეყნის ანექსია.

1921 წლის 10 მარტს წითელი არმიის ნაწილები ქუთაისში შემოვიდნენ და მთელი ძალაუფლება რევკომს გადასცეს. ხონში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა 12 მარტს.

# თავი მეოთხე

## განათლება და კულტურა

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ხონი კულტურული განვითარების მხრივ დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ მოწინავე დაბას წარმოადგენდა. აქ თავმოყრილი იყო სკოლები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები და საზოგადოებანი, მოქმედებდა საზაფხულო თეატრი, ტარდებოდა გამოჩენილ პირთა იუბილეები, ლიტერატურულ-მუსიკალური დილა-საღამოები; ხონი აქტიურად ეხმაურებოდა ყოველ მნიშვნელოვან მოვლენას საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში. ხონის მოწინავე ინტელიგენცია მუდამ მხარში ედგა ქართველ საზოგადოებრიობას და მასთან ერთად თავისი წვლილი შეჰქონდა ეროვნული კულტურის განვითარების საქმეში. ხონში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ განათლებული, მა-

[40] „ჩვენი ქვეყანა“, 1917, 8, 8, № 142, გვ. 4.

ღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც კარგად იყვნენ ცნობილი არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ხონში ზაფხულობით თავს იყრიდა სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობა, საგასტროლოდ ჩამოდიოდნენ საქართველოს საუკეთესო თეატრალური კოლექტივები, იზრდებოდა ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხეებიდან და უცხოეთიდან სავაჭროდ ჩამოსულ პირთა რაოდენობა. ერთი თანამედროვის გადმოცემით, ხონი ზაფხულობით ევროპული ქალაქის იერს იღებდა. ხონი განსაკუთრებით განთქმული იყო თავისი სასწავლებლებით.

## 1. სკოლები ხონში.

XI-XII საუკუნეებიდან მოყოლებული, ხონი განათლების ერთ-ერთ კერას წარმოადგენდა ქვემო იმერეთში. შუა საუკუნეებში, როგორც ცნობილია, სწავლა-აღზრდისა და მწიგნობრობის გავრცელების საქმეს ეკლესია-მონასტრები ხელმძღვანელობდნენ. აქ თავს იყრიდნენ მთარგმნელები, კალიგრაფები, მხატვრები, ოქრომჭედლები, საამკინძაო საქმის ოსტატები, რომლებიც სასულიერო და პრაქტიკაში სახმარი წიგნების შედგენაზე, გაფორმებასა და გამრავლებაზე მუშაობდნენ. ეკლესია-მონასტრებთან არსებობდა მდიდარი წიგნთსაცავები და სასწავლებლები (გელათის აკადემია, განის, კაცხის, მარტვილის, წალენჯიხის, ცაიშის, ხობის, შემოქმედის, ჭელიშის, ცაგერის და სხვა ეკლესია-მონასტრების სკოლები და წიგნთსაცავები). ხონის წმინდა გიორგის ეკლესიასაც მდიდარი ბიბლიოთეკა და კარგად ორგანიზებული სასწავლებელი ჰქონდა. ამ სკოლიდან არაერთი თვალსაჩინო საეკლესიო და კულტურული მოღვაწე გამოსულა, რომლებიც XVII-XVIII და უფრო ადრე საუკუნეებშიც ცხოვრობდნენ. აქ დამზადდა სასულიერო და საერო ხასიათის წიგნები, რომლებიც XIV-XVIII საუკუნეებითაა დათარიღებული. აქედან მტკიცდება, რომ ხონის წმინდა გიორგის ეკლესიასთან არსებულ სკოლას რამდენიმე საუკუნის ისტორია ჰქონდა[1]. აქ მიმდინარე მწიგნობრული მუშაობა შესამჩნევად გაცხოველდა XVIII საუკუნეში, მთავარეპისკოპოს ანტონ ჩიჯავაძის დროს. ანტონის თანამედროვეა კალიგრაფი და მწიგნობარი მიტროფანე გრიგოლაშვილი, <u>რომლის</u> მოღვაწეობა XVIII ს. 70-იანი წლებიდან იწყე-

[1] ვუკ. ბერიძე, „სვიმონ–კუტი ფირცხალავა (ქვემო იმერეთში წერა-კითხვის გავრცელების ისტორიისათვის" – „სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში". მასალების კრ., ტფ., 1937, წ. I, გვ. 143-146.)

ბა. ხონის ეკლესიიდან ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფი-
ულ მუზეუმში შემოსულ ერთ-ერთ ხელნაწერს ასეთი მინა-
წერი აქვს: „საჭიროა რიცხვი რომ ეწეროს ამ წიგნზედ, თუ
რომელ წელშიდ არის გადაწერილი ეს თვენი, მაგრამ არ-
სად არ სწერია და როგორც მე ნამდვილად ვფიქრობ და
ვიცი, ეს უნდა იყოს დაწერილი 1776 წელშიდ, რადგან მიტ-
როფანე გრიგოლაშვილი აქ, ხონშიდ, მაშინ ყოფილა მთავა-
რეპისკოპოს ანტონისა თანა. ეს დაინახება იოანე კიბის
აღმწერლის წიგნში, რომელიც დაცულია ხონის სობოროს
წიგნთ საცავში და რადგან ისიც, მას, გრიგოლაშვილს,
გადაუწერია და რიცხვიც არის შუა გულში ამ წიგნის. მ.
ბახტაძე. 1900 წელი“[2]. როგორც ხონის ეკლესიის ხელნა-
წერთა აღწერილობიდან ჩანს[3], მას, მთავარეპისკოპოს ან-
ტონის დავალებით, რამდენიმე წიგნი გადაუწერია და გაუ-
მართავს. მაგრამ მიტროფანე გრიგოლაშვილი უბრალო გა-
დამწერი როდია. მას სასულიერო-მეთოდური სახელმძღვანე-
ლო „სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლებაჲ
მოწაფისა (კითხვა-მიგებით წარმოდგენილი)“ შეუდგენია.
წიგნს შემდეგი მინაწერი აქვს: „ეს არს სწავლა შვიდისა
საიდუმლოსი შემოკლებულად თქმული. გლოცავ მე გლახა-
კი მიტროფანე დიაკონი. ყრმანო ახლად მოსწავლენო, რათა
იკითხვიდეთ და ზეპირით დაისწავლიდეთ. ამისათვის დავ-
წერე საეროსა და სოფლურის სიტყვითა, რომ სიადვილი-
სათვის მსწრაფლ ზედ მიიწივნეთ და მტკიცედ დაიდვათ
გონებასა და ჩემთვის ცოდვილისათვის შენდობას იტყო-
დეთ“[4]. ანტონ ჩიჯავაძეს მისი ხელმძღვანელობით წარმოე-
ბულ მწიგნობრულ საქმიანობაში ზაქარია გაბაშვილის ვა-
ჟი, ბესიკის ძმა, ოსეც ჩაუბამს. მას ანტონის დავალებით
1814 წელს გადაუწერია სამღვდელმთავრო კონდაკი და მის-
თვის ასეთი მინაწერი გაუკეთებია: „მათმან ყოვლად სამ-
ღვდელოებამ მთავარეპისკოპოსმან ანტონ, ტომით ჩიჯავაძე-

---

[2] ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგ-
რაფიული მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, ხელნაწერი № 86, 304 v.)

[3] ეს აღწერილობა შედგენილია ა. ქუთათელაძის მიერ. სულ აღწერი-
ლია 25 ხელნაწერი. ეს აღწერილობა გამოაქვეყნა ექვთ. თაყაიშვილ-
მა, კრ. „ძველი საქართველო“, ტ.3, ტფ. 1913-1914, გვ. 281-296; იხილეთ
აგრეთვე ევ. ნიკოლაძე, ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერი-
ლობა, ტ. I, თბ., 1953.

[4] იქვე, გვ. 287.

მან აღმაწერინა წიგნი ესე სამღდუელმთავრო... მე მდაბალსა და ყოვლად უღირსსა ხუცეს გაბაონსა ოსეს, ძესა ზაქარია მოძღურისა"[5]. მთავარეპისკოპოს ანტონს, რომელსაც სურდა შეკრება საღმრთოთა წერილთა, ვითარცა სურსთ ფუტკართა შეკრებად გლოლისა"[6], საკმაოდ მდიდარი პირადი ბიბლიოთეკა ჰქონდა. ანტონის მიერ შედგენილ ანდერძში მისი კუთვნილი შემდეგი წიგნებია დასახელებული: 1. დავითნი, 2. თუენის ჟამნი, 3. სახარება, 4. სამოციქულო, 5. პარაკლიტონი, 6. მარხუანი, 7. ზადიკი, 8. წლის თვენი, მხედრულად დაწერილი, მიხეილ თბილელისა, 9. სვინაქსარი, 10. მეტაფრასი დღესასწაულებისა, 11. დიდი მარხვის და ზადიკის მეტაფრასი, 12. ახალი ლოცვანი, 13. მცირე ლოცვანი, 14. წირვის ტიბიკონი, მხედრული, 15. საყდრის კითხვა, ხუცური, 16. მოძღუარ-მოწაფის წიგნი, ხუცური, 17. დამასკელის წიგნი, სტამბის, 18. აღსარების წიგნი, ხუცური, 19. „ბოვშების სასწავლებელი ანბანი", 20. წლის ტიბიკონი, 21. იოანეს სახარების თარგმანი, მხედრული, 22. მაქსიმე აღმსარებლის წიგნი, ხუცური, 23. დიონისოს არეოპაგელის წიგნი, რუსულად, 24. წმინდა ვასილის ითიკა, მხედრული, 25. იოანე კლემაქსის წიგნი, 26. ეფრემ ასურის წიგნი და ლავსაიკონი, სიონის დეკანოზის ნიკოლაოსის ნაწერი, ერთად შეკრული, 27. მამათ ცხოვრება, მცირე, ხუცურად, 28. ლექსიკონი, ხუცური, 29. ამონიოსის წიგნი, 30. ბესარიონ კათალიკოსის თქმული გურდემიტის წიგნი, რუსული, 31. მამა ანტონისა და სვიმონ მესუეტის ცხოვრება, ცალ-ცალკე, 32. კითხვა-მიგების წიგნი, რუსულად, 33. სადღესასწაულო, სტამბის, რუსულად, 34. ხონოღრაფი, მხედრული, 35. ახალი ღრამმატიკა, 36. რიტორიკა, ხუცური, 37. ლოღიკა, მხედრული, 38. „ფისიკა", მხედრული, 39. ღუთის მეტყველების წიგნი ანტონ კათალიკოსისაგან თქმული, მხედრული[7].

---

[5] იქვე, გვ. 294.

[6] ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერი, № 139, თავფურცლის მინაწერი.

[7] ქცა, ფ. 21, საქ. 18, ფურც. 1-18. ანტონ ჩიჯავაძის ანდერძი. ამ ანდერძის სინამდვილეში იმერეთის ეპარქიის კანცელარიამ ეჭვი შეიტანა, რადგან 1793 წელს შედგენილი ანდერძი დაწერილი აღმოჩნდა 1802 წელს დამზადებულ ქაღალდზე. ხონელმა მღვდლებმა ჩიგოგიძემ და ჩხენკელმა ეს გარემოება შემდეგნაირად ახსნეს: ანდერძი შავად იქნა დაწერილი 1793 წელს და გადაიწერა 1802 წ. თუნდაც ანდერძი ყალბი იყოს, ამჟამად ამას ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს. სიყალბე ჩადენილი შეიძლება იყოს ქონების განაწილების და არა დასახელების საქმეში.

XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან ანტონ ჩიჯავაძის საქმე მწიგნობრობის დარგში განაგრძო და ეკლესიასთან არსებულ სკოლას სათავეში ჩაუდგა სვიმონ კუტი, გვარად ფირცხალავა (1780-1870)[8].

ფიზიკურად დეფექტური სვიმონ კუტი (განუვითარებელი ქვედა კიდურებით, მარჯვენა ხელზე სამი, ხოლო მარცხენაზე ორი თითი ჰქონდა) პროფ. ვუკ. ბერიძის აზრით, დაბადებული უნდა იყოს 1780 წელს სოფ. მათხოჯში. იგი ბავშვობიდანვე ხონის ეკლესიის სასაპყრეში მოხვედრილა. თვით სასაპყრე, როგორც საქველმოქმედო დაწესებულება, ბასილ იდუმენს დაუარსებია XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. საპყართ უვლიდნენ, პატრონობდნენ და რაიმე ხელობას ასწავლიდნენ. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა წერა-კითხვის შესწავლას. ამიტომ საპყართაგან საუკეთესო კალიგრაფები და გადამწერნი გამოდიოდნენ. ეკლესია, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში ეკონომიკური მოსაზრებებითაც ხელმძღვანელობდა. ყოველი წიგნის გადაწერა, და განსაკუთრებით საეკლესიო წიგნებისა, ხანგრძლივსა და დაუცხრომელ შრომას მოითხოვდა. ამ საქმისათვის კი ყველაზე მეტად სწორედ საპყარნი და უმოძრაონი გამოდგებოდნენ. წერა-კითხვის გარდა, საპყართ ასწავლიდნენ სამკინძველო საქმეს, ტყავზე მუშაობას, ქსოვას და ა. შ.[9]

სვიმონ კუტს თავი განსაკუთრებით სწავლაში გამოუჩენია და ამიტომ სასაპყრედან სასწავლებელში გადაუყვანიათ. იგი აქ ეუფლება საღვთო წერილს, რაც გულისხმობდა: წერა-კითხვას, ღვთისმეტყველებას, გრამატიკას, ლექსთწყობას, მათემატიკას, გალობას, კალიგრაფიას და სხვ. შემდეგში სვიმონ კუტი თვით ასწავლიდა ამ საგნებს. სკოლაში მას სასტიკი დისციპლინა ჰქონდა დამყარებული. ძნელი სათქმელია, როგორი იყო სწავლების დონე და მოსწავლეთა მომზადება სვიმონ კუტის სკოლაში, სათანადო ცნობების სიმცირის გამო. ერთი კი ნათელია — სვიმონ კუტის ხელმძღვანელობით მუშაობდნენ კალიგრაფები, რომელთა მიერ დამზადებული წიგნები, როგორც მეცნიერული, ასევე ტექნიკური გაფორმების თვალსაზრისით, არ ჩამოუვარდება სხვა

[8] ცნობები სვიმონ კუტისა და მისი სკოლის შესახებ მოტანილია ვუკ. ბერიძის დასახელებული შრომიდან, აგრეთვე გ. თავზიშვილის წიგნიდან „სახალხო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორია საქართველოში (1801-1870)", თბ., 1948, გვ. 187.

[9] ვუკ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 144.

დიდ მონასტრებში შესრულებულ ხელნაწერებს. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ დიმიტრი ბაგრატიონის თხზულების „წამება ქეთევან დედოფლისა“ კალიგრაფიული მხედრულით შესრულებული ხელნაწერი, რომელიც 1819 წლის ბეჭდური გამოცემის ზედმიწევნით მიბაძვას წარმოადგენს[10]. ან 1840 წელს გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც შემდეგი მინაწერი-ანდერძი აქვს: „კუნტი ფირცხალავა. სურვილითა ჩემითა აღიწერა წიგნი ესე ვეფხის ტყაოსანი სამთა ჩემთა უჩენიკთა მიერ ზედამხედველობითა და განმართვითა ჩემითა, რომლის ვეფხის ტყაოსნისაგან ეს გადმოვაწერიე, მე მის მეტი ვეფხის ტყაოსანი არ მინახავს, და ამ ვეფხისტყაოსნისაგან უმეტ ნაკლებოდ გადაწერილი არის“ 11. სხვა მინაწერებიდან ირკვევა, რომ ვეფხისტყაოსანი გადაუწერიათ სვიმონ კუტის მოწაფეებს: ივანე ვახუშტის ძე აბაშიძეს, დიმიტრი ვახუშტის ძე აბაშიძეს და იოსებ ბეჟანის ძე წერეთელს ეს ხელნაწერები ნათლად ამტკიცებენ, რომ სვიმონ კუტის სკოლა მაღალკვალიფიციურ კალიგრაფებს ამზადებდა.

სვიმონ კუტი თავის დროისათვის საკმაოდ განათლებული პიროვნება ყოფილა. ამას ადასტურებს, თუნდაც, მისივე ხელმძღვანელობით დამზადებულ საბას ლექსიკონზე გაკეთებული პატარა მინაწერი, რომელიც 1851 წელს საქართველოში მზის დაბნელებას შეეხება. სვიმონ კუტი აქ ამჟღავნებს არა მარტო ქართული ენის, არამედ ასტრონომიის კარგ ცოდნასაც. იგი მშვენიერი ქართული ენით ზუსტად გადმოგვცემს მზის დაბნელების სურათს. ირკვევა ისიც, რომ სვიმონ კუტი რელიგიური დოგმატებით არ ყოფილა შეზღუდული. ამაზე მეტყველებს, თუნდაც, მისი დამოკიდებულება ჩვენი ეროვნული სიამაყის — „ვეფხისტყაოსნისადმი“.

სვიმონ კუტი გარდაიცვალა 1870 წელს და დასაფლავებულია ხონში, წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში.

XIX საუკუნის 60-იან წლებში ბლაღოჩინ ლუკა მათეს ძე ბახტაძეს, გამოჩენილი პუბლიცისტისა და ჟურნალისტის ილია ხონელის მამას, საკუთარ სახლში გახსნილი ჰქონდა კერძო სკოლა, სადაც წერა-კითხვას ასწავლიდნენ[12]. ამ პე-

---

[10] კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, Q—ფონდი, ხელნაწერი № 344.

[11] ხელნაწერი დაცულია სახალხო განათლების მუზეუმში. შემდეგში ს. გ. მ.

[12] დ. ნაცვალაძე, ილია ხონელი, ბათუმი, 1960, გვ. 8.

როდში ხონში არსებობდა სხვა კერძო სკოლებიც, რომლებიც, ძირითადში, წერა-კითხვისა და საქმიანი ქაღალდების (ვექსილის, ხელწერილის, ანგარიშის, თხოვნის და ა. შ.) შედგენის ცოდნას აძლევდნენ ახალგაზრდებს.

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული, ხონის ეკონომიკურ დაწინაურებასთან ერთად, თანდათანობით იზრდება სკოლების რიცხვი. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე რამდენიმე სასწავლებელი არსებობდა. აქ იყო: საოსტატო ანუ სამასწავლებლო სემინარია, სახელოსნო სასწავლებელი, ქალთა და ვაჟთა გიმნაზიები, მარინეს სახელობის ოთხკლასიანი სასწავლებელი, საქალაქო სკოლა, საკვირაო და კერძო სკოლები. „ხონს სკოლების ბუდეს ეძახდნენ. — წერდა ვ. ძიძიგური, — რა ტიპის სკოლა გნებავთ, რომ ამ ერთ ციცქნა გაჭართა დაბაში არ ყოფილიყო“[13].

ხონში პირველი ორკლასიანი სასწავლებელი, რომელიც კავკასიის სკოლებისათვის არსებულ წესებსა და პროგრამას ემორჩილებოდა, გაიხსნა 1870 წელს ადგილობრივი მოსახლეობის სახსრებით და ცნობილი საზოგადო მოღვაწის ივანე შარაშიძის ინიციატივით[14].

1871 წლის სექტემბრამდე სკოლა ნაქირავებ სახლში იყო მოთავსებული. 1872 წელს ბაზრის მოედნის მახლობლად ხონის საზოგადოებამ სასწავლებლისათვის ქვის შენობა ააგო. საყურადღებოა ის გარემოება, რომ რატომღაც თავადაზნაურობას და სასულიერო წოდებას, მიუხედავად დაპირებისა, მონაწილეობა არ მიუღია სკოლის შენობის აგებაში. როცა გლეხობისაგან დამატებით გაღებული ხარჯებით სკოლის შენობა დამთავრდა, ხონის საზოგადოების ყრილობამ თხოვნით მიმართა ქუთაისის გუბერნატორს სწავლის ქირა თავადაზნაურთა შვილებისათვის 3 მანეთის ნაცვლად 25 მანეთი დაეწესებიათ. ქუთაისის საგუბერნიო სამმართველომ ხონელთა ამ სამართლიან მოთხოვნას მხარი დაუჭირა[15].

ხონის ორკლასიან სასწავლებელს ჰქონდა მიწის მოზრდილი ნაკვეთი, რომელზედაც ბაღჩა იყო გაშენებული. ახალგაზრდებს ასწავლიდნენ მიწის დამუშავებისა და მეურნეობის გაძღოლის წესებს. ყოველ მოწაფეზე განაწილებული იყო პატარა ფართობი, რომელსაც იგი ამუშავებდა და მოსავალი მოჰყავდა.

---

[13] ვ. ძიძიგური, დასახ. ნაშრომი, გვ. 14.

[14] სცია, ფ. 422, საქ. 359, ფურც. 17-18.

[15] იქვე, ფურც. 56-57.

ხონის მოსახლეობა იმთავითვე დიდი ინტერესით მოეკიდა სკოლის დაარსების ინიციატორთა განზრახვას, რომ სასწავლო პროგრამას პრაქტიკული ხასიათი ჰქონდა, ახლო ყოფილიყო გლეხკაცის ცხოვრებასთან. ჯერ კიდევ სკოლის გახსნამდე გაზეთ „დროებაში" წერდნენ: „... ამ სკოლაში, სხვათა შორის, მიაქცევენ განსაკუთრებულ ყურადღებას სხვადასხვა ხელოსნობისა და სასოფლო მეურნეობის სწავლას" -ო[16].

ორკლასიანი სკოლის დაარსების დღიდან, ხონის მოწინავე საზოგადოება ცდილობდა გადაეკეთებინა იგი ოთხკლასიან საქალაქო სასწავლებლად. არაერთხელ იქნა დასმული საკითხი სათანადო ორგანოების წინაშე, მაგრამ უშედეგოდ. მხოლოდ 1899 წელს მოხერხდა სკოლის გადაკეთება სამკლასიან სასწავლებლად, 1903 წელს კი იგი ექვსკლასიან საქალაქო სასწავლებლად გადააკეთეს, რომელსაც ჰქონდა ერთი მოსამზადებელი განყოფილება და ექვსი კლასი. სხვადასხვა დროს ამ სკოლის მასწავლებლები იყვნენ ალ. ი. წულუკიძე, ლ. მ. ბახტაძე, ნ. ს. ნამიჩეიშვილი, დ. რ. ჭუბაბრია, ერ. ჩხენკელი, მ. ქიქოძე, სტ. დ. გაგუა, გერ. ლ. ხოშტარია, ი. ი. ნუცუბიძე, გრ. ი. ქიქოძე, ე. მაჭარაძე, ი. გ. ამაღლობელი, ვლ. თ. მაჭარაძე და სხვ.

სკოლის ექიმად წლების მანძილზე მუშაობდა მათე ვასილის ძე ბახტაძე, ხოლო საპატიო მზრუნველად ითვლებოდა დიმიტრი ივანეს ძე ჩხიკვიშვილი[17].

1872 წლის 8 ნოემბერს, ივანე შარაშიძის თაოსნობით, დაარსებულ იქნა ქალთა უფასო სასწავლებელი, რომელსაც მალე ხონელებმა საკუთარი შენობა აუგეს. სკოლის მზრუნველი იყო მისი დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი სოფიო ალმასხანის ასული წულუკიძე. სკოლამ უსახსრობის გამო რამდენიმე წლის შემდეგ არსებობა შეწყვიტა. 1879 წელს მოსახლეობამ თხოვნით მიმართა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს, აღედგინა ხონში არსებული ქალთა სასწავლებელი. ეს საკითხი დადებითად გადაიჭრა მხოლოდ 1882 წელს. ამასთან დაკავშირებით გაზეთები „კავკაზი" და „დროება" მადლობას უხდიდნენ ი. ს. შარაშიძეს, რომელმაც დიდი ამაგი დასდო ქალთა სასწავლებლის აღდგენის საქმეს[18]. ხონში ქალთა სასწავლებლის აღდგენას გამოეხმაურა

---

[16] „დროება", 1870, 2, 19, № 7, გვ. 1.

[17] აკ. ბუაძე, სკოლები ხონში 1917 წლის რევოლუციამდე, სგმ, № 8954.

[18] „დროება", 1883, 1, 25, № 17, გვ. 2.

და ამ კარგი საქმისათვის დახმარების გაწევის მოწოდებით გამოვიდა ქუთათური გაზეთის „შრომის“ რედაქცია, რომელსაც გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე და ცნობილი ექიმი დიმ. ალ. ნაზარიშვილი ედგა სათავეში. „ჩვენ შევიტყვეთ, — წერდა გაზეთი, — რომ ხონის მცხოვრებლები თავად-აზნაურები ჩვენი ბანკის საზოგადოებისაგან თხოულობენ შემწეობას საქალებო შკოლისათვის, რომელიც იქ ივ. შარაშიძემ გახსნა საკუთარის მეცადინეობით და ზოგიერთის ხონელების შემწეობით. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ აქამდის ქალების აღზრდაზედ და სწავლაზედ ერთობ მცირე გულმოდგინება გამოგვიჩენია ურიგო არ იქნება, რომ ჩვენი ბანკი იმ შკოლას ჯეროვან საშუალებას არ მოაკლებდეს. შემწეობის გარდა ეს დიდი მაგალითი იქნება საზოგადოებაში კერძო კაცების წახალისებისათვის“[19].

XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ხონში ქალთა ორი სასწავლებელი არსებობდა. გაზეთი „ივერია“ 1886 წელს წერდა, რომ ამჟამად დაბაში „ორი საქალებო სკოლაა, სადაც ასამდე ჩვენი ახალთაობის მომავალი დედები სწავლობენ და ემზადებიან ცხოვრებისთვისო“[20]. მაგრამ არც ამ სკოლებს უარსებიათ დიდხანს. 1888 წელს ხონიდან იუწყებოდნენ, რომ მას შემდეგ, რაც კნეინა სოფიო წულუკიძისა ჩამოცილდა საქალებო სკოლას, იგი გაუქმდა, ხოლო შენობა ცეცხლმა იმსხვერპლაო. სკოლის გარეთ დარჩა 200-მდე მოსწავლე გოგონა. დახურვის გზაზე იდგა ქალთა მეორე სკოლაც. „ვინ იტყვის, რომ საქალებო სასწავლებელი სასარგებლო და საჭირო არ იყოს ხონელებისათვის, — წერდა ადგილობრივი მოღვაწე გ. პ. სანოძე, — საჭიროა და დიდად საჭიროც. აქ ჰქონდა კიდევ ბატონს ივ. ს. შარაშიძეს ორკლასიანი სასწავლებელი ქალებისათვის, მაგრამ შემდეგ შეუძლებლობის გამო, რაკი დახმარება არსაიდან აღმოუჩნდა, მეორე კლასი გააუქმა და ეხლა ძლივს მიაღონდიალებს ერთკლასიან სასწავლებელს. ამისათვისაც დიდი მადლობა ეთქმის, რადგან უიმისოთ ხონის პატარა ქალები მოკლებული იქნებოდნენ წერა-კითხვის შესწავლის საშუალებას“[21]. მაგრამ ივანე შარაშიძემ თავისი დაუღალავი ზრუნვის შედეგად არათუ შეინარჩუნა ქალთა სკოლა, არამედ გააფართოვა კიდეც.

---

19 „შრომა“, 1883, 6, 2, № 21, გვ. 1.

20 „ივერია“, 1886, 3, 1, № 46, გვ. 2.

21 „ივერია“, 1891, 7, 12, № 140, გვ. 2.

1897 წლის 10 ოქტომბერს ივ. შარაშიძემ თხოვნით მიმართა ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორს, შუამდგომლობა აღეძრა კავკასიის სასწავლო ოლქის წინაშე, ხონის ქალთა ორკლასიანი სასწავლებლის ოთხკლასიანად გადაკეთების შესახებ, 1500 მანეთის სუბსიდიის მიცემით. ივ. შარაშიძე ვალდებულებას იღებდა სასწავლებლის შენობისათვის მიეშენებია ახალი საკლასო ოთახები, ხოლო მშენებლობის დამთავრებამდე სკოლისათვის უსასყიდლოდ გადაეცა საკუთარი სახლი[22]. 1899 წლის 15 იანვარს სახელმწიფო საბჭომ შემდეგი დადგენილება მიიღო: 1. გადაკეთდეს 1899 წლის 1 ივლისიდან ხონში (ქუთაისის გუბერნია) ივანე შარაშიძის სახსრებით არსებული ქალთა დაწყებითი ორკლასიანი სასწავლებელი, მარინეს ქალთა სასწავლებლად... 2. ქალთა დაწყებითი ორკლასიანი სასწავლებლის დამაარსებელი ივანე შარაშიძე დაინიშნოს მარინეს სასწავლებლის საპატიო მზრუნველად სამუდამოდ"[23].

1899 წელს მარინეს ქალთა სასწავლებელში 225 მოსწავლე იყო. აქ სხვადასხვა დროს ასწავლიდნენ: ნადეჟდა ივანეს ასული ქუთათელაძე, ბარბარე ნიკოლოზის ასული ყიფიანი, ანა სპირიდონის ასული ქუთათელაძე, ოლღა ილიას ასული სანიკიძე, ემელიანე ივანეს ძე ცაგარეიშვილი, ანდრია ოქროპირის ძე ბახტაძე, ოლიმპიადა კონსტანტინეს ასული ლორთქიფანიძე, ელისაბედ ილიას ასული ქუთათელაძე, მართა პეტრეს ასული სანოძე, ალექსანდრა იოსების ასული ნებიერიძე, შუშანა ნესტორის ასული გალდავა, სოფიო მიხეილის ასული ნიჟარაძე, სოფიო დიმიტრის ასული ბახტაძე, ელისაბედ კონსტანტინეს ასული ჩხეიძე, ალექსანდრა სოლომონის ასული ჩხენკელი, ალექსანდრა ალექსანდრეს ასული თარგამაძე, ლუბა სიმონის ასული ფოცხვერია, ბარბარე ბესარიონის ასული ნადარეიშვილი, ერმილე პეტრეს ძე კიწმარიშვილი, მარიამ ილიას ასული ქუთათელაძე, ნიმფა კონსტანტინეს ასული ქუთათელაძე, ვალერიან ბესარიონის ძე ბახტაძე, ვასილ კაკაბაძე, ივანე რუხაძე, სპირიდონ გორდულაძე და სხვ.

1911 წელს მარინეს სასწავლებლის ზედამხედველად დაინიშნა აშკარა შავრაზმელი, ქართველი ერის მოძულე და სასტიკი რეაქციონერი, ვინმე სოლოგუბის ქალი. დღიდან

---

[22]სცია, ფ. 422, საქ. 5929, ფურც. 8.

[23]იქვე, ფურც. 17-18.

ხონში ჩამოსვლისა, იგი ენერგიულად შეუდგა რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებას. მან, პირველ რიგში, ქართული ენის წინააღმდეგ გაილაშქრა — შემოიღო სამკაპიკიანი ჯარიმა სასწავლებელში მშობლიურ ენაზე ლაპარაკისათვის. ამ ვაი-პედაგოგის და შოვინისტის უღირსმა საქციელმა საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. 1912 წლის სექტემბერში გაზეთში „ზაკავკაზსკაია რეჩ“ დაიბეჭდა ილია ბახტაძის კორესპონდენცია „სამკაპიკიანი ჯარიმა სკოლაში მშობლიურ ენაზე ლაპარაკისათვის“, რომელშიაც სოლოგუბის ქალის მოქმედება შეფასებული იყო, როგორც „სამკაპიკიანი პედაგოგიკა“. ქართველი საზოგადოებრიობის ასეთმა მწვავე რეაქციამ აიძულა სოლოგუბი უკანვე წაეღო თავისი დიდმპყრობელური იდეები და ზრახვები.

1916 წელს მარინეს სასწავლებელი ქალთა გიმნაზიად გადააკეთეს.

1894 წელს გამოჩენილმა ქართველმა პუბლიცისტმა ილია ლუკას ძე ბახტაძემ (ხონელი), თავის დასთან, ელენე ბახტაძესთან ერთად, დააარსა ქალ-ვაჟთა დაწყებითი სკოლა, რომელიც შემდეგ კერძო პროგიმნაზიად გადაკეთდა. 1901 წელს გაზეთი „კვალი“ წერდა: „ქალბატონმა ელენე ბახტაძემ მთელი თავისი ძალღონე მის მიერ დაარსებულ ქალების პროგიმნაზიას ანაცვალა და ბევრ სასწავლებელში ვერ ნახავთ ისე კარგად დაყენებულ საქმეს, როგორც ამ პროგიმნაზიაშია. აქ საზოგადო საგნებს გარდა, განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული სამშობლო ენას, ისტორიას და ლიტერატურას, რაშიაც მოსწავლეები საუკეთესო მომზადებას იჩენენ“[24]. 1905 წელს ეს სკოლა დახურეს.

1896 წელს ხონში გაიხსნა ერთკლასიანი სკოლა — ივანდიდის დაწყებითი ერთკლასიანი სასწავლებლის სახელით. 1899 წელს იგი ორკლასიან სასწავლებლად გადაკეთდა. 1908 წლიდან მას ეწოდებოდა ხონის ორკლასიანი ვაჟთა სასწავლებელი, რომლის ზედამხედველი იყო ვლადიმერ თომას ძე მაჭარაძე.

სახელმწიფო საბჭოს 1897 წლის 2 ივნისის დადგენილებით ხონში გაიხსნა სახელოსნო სასწავლებელი, რომლისთვისაც მალე აგებულ იქნა აგურის ორსართულიანი მოზრდილი შენობა. თავდაპირველად სასწავლებელს მართავდა სამასწავლებლო სემინარიის დირექტორი, შემდეგ კი მას

---

[24] „კვალი“, 1901, № 52, გვ. 1053.

სათავეში ედგა ინსპექტორი. სასწავლებელს ჰქონდა საზეინკლო, სადურგლო და სხვა განყოფილებები. „სახელოსნოში თითო მოწაფეს თითო დაზგა აქვს და თავისთვის მუშაობს მასწავლებლის ზედამხედველობით. — წერდა ერთი თანამედროვე 1908 წელს. — მოწაფეთა რიცხვი ამჟამად 60-მდეა. მოსწავლეები თავიანთი სურვილით ირჩევენ ამა თუ იმ ხელობას. ზეინკალი მოწაფეთა რიცხვი და ხარატებისა ჭარბობს სხვა ხელობაზედ მომუშავეთ. მიზეზი... ის არის, რომ ეს ორი განყოფილება საზეინკლო და სახარატო უკეთ არის მოწყობილი“[25].

იმის გამო, რომ სასწავლებლის პროგრამა ადგილობრივი ცხოვრების პრაქტიკულ მოთხოვნებს არ ითვალისწინებდა, მოსწავლეები კურსის დამთავრების შემდეგ სამუშაოს საძებრად მსხვილ სამრეწველო ცენტრებში მიემგზავრებოდნენ. თბილისში, ბაქოში, ოდესაში, ნოვოროსიისკში შეხვდებოდით კარგ ზეინკლებს, ხარატებს, დურგლებს, რომლებსაც ხელობა ხონის სახელოსნო სასწავლებელში ჰქონდათ შესწავლილი.

XX საუკუნის ათიან წლებში სასწავლებლის პროგრამაში ცვლილებები იქნა შეტანილი. ამას წინ უძღოდა დაბა ხონისა და მისი მიდამოების სახელოსნო დაწესებულებათა გულდასმით შესწავლა და სოფლის მეურნეთა გამოკითხვა მათთვის საჭირო მანქანა-იარაღების შესახებ. პროგრამაში გათვალისწინებულ იქნა ნამგლის, ნაჯახის, წერაქვის, თოხის, ბარის, კულტივატორის და სხვ. დამზადების შესწავლა. მაგრამ კუსტარი ხელოსნისაგან განსხვავებით, სახელოსნო სასწავლებელი ცდილობდა დასახელებული იარაღების ახალი, გაუმჯობესებული ნიმუშები შეექმნა. „რაც შეეხება გუთნების, სიმინდის სათესი და სათოხნი მანქანების, ყურძნის საწნეხი მოწყობილობის და სხვა მისი მსგავსი მანქანების დამზადებას, რაც აუცილებელია ჩვენი ადგილობრივი მეურნეობისათვის და შეიძლება დიდი მოთხოვნილება ექნეს, ამ საქმეში სკოლა პიონერად უნდა ჩაითვალოს. დასახელებული მანქანების დამზადება იწარმოებს საზღვარგარეთის თანამედროვე ნიმუშების მიხედვით“, — ნათქვამია „განმარტებით ბარათში ხონის სახელოსნო სასწავლებლის სამჭედლო-საზეინკლო საქმის პროგრამის შესახებ“[26].

---

[25] გაზ. „ამირანი“, 1908, № 194, გვ. 3.

[26] ქცა, ფ. 99, საქ. 77, ფურც. 1.

ხონის სახელოსნო სასწავლებელი მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს ამზადებდა. სხვადასხვა სახის გამოფენებზე მოსწავლეთა მიერ წარდგენილი ნამუშევრები ყოველთვის იმსახურებდა ყურადღებას და მაღალ ჯილდოებს. „საორგანიზაციო კომიტეტი გაცნობებთ, რომ თქვენდამი რწმუნებულ სკოლას, კომიტეტის მიერ მოწყობილ გამოფენაზე, სამჭედლო-სახელოსნო ნაკეთობათა ექსპონირებისათვის მინიჭებული აქვს ჯილდო – დიდი ვერცხლის მედალი დიპლომით", – წერდნენ სასწავლებლის ინსპექტორს 1910 წლის 4 იანვარს ქუთაისიდან. ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს ხონელი მოსწავლეების მიერ წარდგენილმა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებმა[27].

სასწავლებელი, ძირითადად, გლეხური ახალგაზრდობით კომპლექტდებოდა.

ხონელებს დიდი სურვილი ჰქონდათ გიმნაზია დაეარსებინათ. 1897 წელს ამ საკითხით დაინტერესებულმა პირებმა სპეციალური კომიტეტი აირჩიეს. მას დაევალა გიმნაზიის შესანახი საშუალებების გამოძებნა. კავკასიის სასწავლო ოლქი თანახმა იყო ხონში გიმნაზია გაეხსნა, თუ ადგილზე ამისათვის საჭირო თანხა შეგროვდებოდა. 1908 წელს მოხერხდა პროგიმნაზიის გახსნა. მალე იგი გიმნაზიად გადაკეთდა. ხონის გიმნაზიას თავისი პირველი გამოშვება 1917 წელს ჰქონდა[28].

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ხონში სამი სამრევლო სკოლა არსებობდა – წმ. გიორგის, მაცხოვრის და მთავარანგელოზის ეკლესიებთან.

XX საუკუნის ათიან წლებში ხონში ჭრა-კერვის რამდენიმე სკოლა იყო. ხონში პირველი ასეთი სკოლა ყიფიანი-აბაშიძისამ გახსნა, მეორე – სანოძემ და ფაჩუაშვილისამ, ხოლო მესამე „ქალთა საზოგადოებამ" 1916 წელს. „დიდად სასურველია „ქალთა საზოგადოებამ" რაკი ასეთ სიმპატიურ და სასარგებლო საქმეს მოკიდა ხელი შემოიერთოს სხვა კერძო პირთა „ჭრა-კერვის სკოლის" მოსწავლე-მასწავლებლები, შეიქმნას ერთი ძლიერი „ჭრა-კერვის" პროფესიონალური სკოლა და ეცადოს ხეირიანად მოაწყოს იგი"[29], – წერდა გაზ. „თანამედროვე აზრი".

---

[27] იქვე, საქ. 83, ფურც. 6, 19.
[28] გაზ. „სახალხო ფურცელი", 1917, № 844, გვ. 2.
[29] გაზ. „თანამედროვე აზრი", 1916, № 232, გვ. 4.

900-იან წლებში ხონში საკვირაო სკოლაც არსებობდა. თუმცა ისინი, ვისთვისაც სკოლა მოქმედებდა – ნოქარ-შეგირდები და მშრომელი ხალხი, სრულიად მოკლებული იყო თავისუფალ დროს სამეცადინოდ. კვირა და უქმე დღეებში სახელოსნოებისა და მაღაზიების მეპატრონეთა უმრავლესობა ნოქრებსა და შეგირდებს თავიანთ სახლებში ამუშავებდნენ.

ხონში არსებულ სასწავლებელთა შორის ცალკე უნდა შევჩერდეთ საოსტატო ანუ სამასწავლებლო სემინარიაზე, რომელმაც დიდი როლი შეასრულა დაწყებითი სკოლებისათვის მასწავლებელთა კადრების მომზადების საქმეში. ეს სასწავლებელი ცნობილი იყო რუსეთის იმპერიის მასშტაბით.

ქუთაისის გუბერნიაში სამასწავლებლო სემინარიის გახსნის საკითხი XIX ს. 60-იანი წლების ბოლოს დაისვა. რუსი ჩინოვნიკების აზრით, ასეთი სასწავლებლის დანიშნულება უნდა ყოფილიყო საზოგადოების სახსრებით გახსნილი სკოლების უზრუნველყოფა რუსული ენის მცოდნე და მთავრობის პოლიტიკის გამტარებელი პედაგოგიური კადრებით. 1868 წლის ანგარიშში ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი აღნიშნავდა სასოფლო სკოლებში კვალიფიციური მასწავლებლების ნაკლებობას და მთავრობისაგან სათანადო ზომების გატარებას მოითხოვდა. მან 1870 წელს ამ საკითხზე მოხსენებითი ბარათით მიმართა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსს. მასში დასაბუთებული იყო ქუთაისის გუბერნიაში სამასწავლებლო სემინარიის გახსნის აუცილებლობა. ამავე სემინარიაში, – წერდა სამხედრო გუბერნატორი, – შეიძლება ყოველწლიურად, რამდენიმე თვის განმავლობაში, უმთავრესად არდადეგების დროს, ეწყობოდეს მასწავლებელთა შეკრებები სწავლების ახალი მეთოდების და სოფლის მეურნეობის ძირითადი საფუძვლების გასაცნობად. ამგვარად გააღრმავებენ რა თავიანთ ცოდნას, ისინი უკეთესად შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მეტად მნიშვნელოვან მოვალეობასო“[30].

მთელი ათი წელი დაჭირდა ქუთაისის გუბერნიაში სამასწავლებლო სემინარიის დაარსების საქმის მოგვარებას. ბოლოს, 1880 წელს, მთავრობამ მიიღო დადგენილება ასეთი სასწავლებლის გახსნის შესახებ. მაგრამ კამათი გამოიწ-

[30]სცია, ფ. 7, აღწ. 5, საქ. 40, ფურც. 1-4.)

ვია, – სად უნდა გახსნილიყო იგი. ერთმანეთს ეცილებოდნენ ქუთაისი და ხონი. გამოითქვა მრავალი აზრი; ზოგი მოითხოვდა სასწავლებელი ქუთაისში გაეხსნათ, სხვები უპირატესობას ხონს აძლევდნენ. პოლემიკაში მონაწილეობდნენ გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები და ქართული საზოგადოებრიობის თვალსაჩინო წარმომადგენლები. გაზეთ „დროების" რედაქცია სასწავლებლის ქუთაისში გახსნას უჭერდა მხარს. „შეუბრალებელი ომი, ჯიბრი და ქიშპობაა ქუთაისსა და ხონს შუა, – წერდა „დროება" 1880 წლის 12 აპრილის მოწინავე სტატიაში, – მმართებლობამ გამოაცხადა, ქუთაისის გუბერნიაში სემინარია უნდა გაიხსნასო; ქუთაისი თავისკენ სწევს, მიითრევს ამ სასწავლებელს, ხონი თავისკენ; ერთიც ამტკიცებს, ყოვლის მხრით უკეთესი იქნება თუ აქ გაიხსნა ეს სასწავლებელი და მეორეც ასე თავის თავზე მიუთითებს; ერთიც შემწეობას პირდება და მეორეც, ოღონდ კი ჩვენში გახსენითო. ქუთათურები მოთვლიან ათას აუცილებელ პირობებს, რომელსაც იმათი სამშობლო ქალაქი აკმაყოფილებს და რომელსაც ხონი ვერ დააკმაყოფილებს. ხონელებიც ამგვარადვე ამბობენ, დედამიწის სამოთხედ ხდიან თავის პატარა დაბას და ათას წუნს პოულობენ ქ. ქუთაისში და სხვ.

ამგვარად ვითარცა მოარშიყე ერთის და იმავე ქალისა, ქუთაისი და ხონი ერთმანეთს არ ზოგავენ, თუ აშკარად და თუ ჩუმ-ჩუმათ ჰკიცხავენ, ჰკილავენ და ლანძღავენ ერთმანეთს – რა არის მშვენიერი ქალი – საოსტატო სემინარია ჩვენ გადმოვიბიროთო!

ჯერ გადაწყვეტილი არ არის – რომელ ამათთაგანს მისცემს მთავრობა უპირატესობას; ჩვენ არ ვიცით ხონში გახსნის ის საოსტატო სემინარიას თუ ქუთაისში. მაგრამ ის კი ვიცით, რომ სანამ ამას დაბოლავებით გარდაწყვეტდეს ჩვენში სწავლა-განათლების გამგე მთავრობა, კარგად განსჯის, ყურადღებით გამოიკვლევს და ყოველ პირობასა და გარემოებას ამ საგნის შესახებ მიიღებს მხედველობაში.

და თუ ასე ყურადღებით, გულდამჯდარად და მიუდგომლად გამოიკვლიეს ეს საგანი, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ უპირატესობა ყოველის მხრით ქალაქ ქუთაისს უნდა მიეცეს"[31].

საწინააღმდეგო მოსაზრება გამოთქვა აკაკი წერეთელმა.

---

[31] „დროება", 1880, № 81, გვ. 1-2.

პოეტი სასწავლებლის ხონში გახსნის მომხრე იყო და „დროების“ რედაქციისადმი გაგზავნილ სტატიაში ასე ასაბუთებდა თავის მოსაზრებას: „... ქალაქი ქუთაისი და დაბა ხონი ერთმანეთს ექიშპებიან სამასწავლებლო სემინარიის შესახებ: არა ჩვენში გაკეთდეს და არა ჩვენშიო.

ჩვენ არ ვიცით რას აუღელვებია ისინი: ქვეყნის ერთგულებასა და სწავლა-განათლების სურვილს თუ სხვა რაიმე ხალთაბანდურ საქმეს; მაგრამ, ყოველ შემთხვევაში უპირატესობას ხონს ვაძლევთ...

დაბალი სასწავლებელი და იმისთანა საშუალო სასწავლებელი, როგორიც სამასწავლებლო სემინარიაა, რაც უფრო აქა-იქ იქნება გაბნეული უფრო მეტი გავლენა ექნება ხალხზე და მეტ სარგებლობას მოუტანენ...

ქუთაისში გიმნაზიაა, პროგიმნაზიაა, სკოლები და სასულიერო სასწავლებელი. ვისაც ჰსურს იქ შეუძლიათ გამოზარდონ შვილები და ხონი კი, რომელსაც გარშემო 14 ათასი მოსახლე ასხია, რომელსაც უფრო ემარჯვება სამეგრელო, ქვემო იმერეთი, სამურზაყანო, გურია და სხვა ერთსაც მოკლებულია.

ჩვენის აზრით შორაპანში რომ ყოფილიყო სამასწავლებლო სემინარია, უკეთესი იქნებოდა, მაგრამ რადგან ჯერი მხოლოდ ქუთაისზე და ხონზე მიდგა, მაშინ კი ხონი უფრო ხელმოსაკიდია. იქ ყმაწვილის აღზრდა ერთი-ორად, ერთისამად უფრო იაფი და ადვილი იქნება, ვინემ ქუთაისში. როგორც თვით სემინარიისათვის, ისე შეუძლებელი ხალხისათვის ეს დიდი საქმეა. და რაც შეეხება იმ ხალხს, რომელთაც ქუთაისში მიყვანა და შენახვა შეუძლია შვილებისა ისინი ამ სასწავლებელში რაღად მისცემენ შვილებსა? მიმართავენ გიმნაზიებსა და არა სემინარიებს...

მხოლოდ ეს შეუძლიათ თქვან ზოგიერთებმა: ყმაწვილების იქ ჯობია გამოზრდა, სადაც მეტი ჭკუის მოძრაობაა თვითონ მცხოვრებლებში და სადაც მეტ საზრდოს იშოვენიან ახალგაზრდები ზნეობისა და ჭკუისათვისო. და ამის პასუხად აი, რას მოგახსენებთ: საქმე სახლების სიბევრეზედ და მცხოვრებლების რიცხვზედ ხომ არ არის!.. და, ისე რაც შეეხება ჭკუა-ზნეობას, რაღა ქუთაისი და რაღა ხონი. ერთი შეწვი და მეორე წაცხე. ჩემი აზრით, ხონი კიდევაც აჯობებს.

სამწიგნობრო საშუალებას რაც შეეხება შორს არ არის ხონი ქუთაისზედ, რამდენიმე საათის სავალია და მიტანა

არ გაძნელდება. მაგრამ იმისთანა საშვალობას, როგორც ქუთაისშია ისინიც მალე გაიჩენენ“[32].

პრინციპული მნიშვნელობა, რასაკვირველია, არ ჰქონდა იმას, სად გაიხსნებოდა სემინარია, და თუ ჩვენი ერის გულშემატკივრები ამ საკითხზე კამათობდნენ, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ სურდათ სასწავლებელს რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოეტანა ხალხისათვის. ამიტომ საესებით სწორად მსჯელობდა „დროების“ რედაქცია 1881 წლის 19 თებერვლის მოწინავე წერილში: „... ოღონდ კი შეგვეძინოს, ერთიც არის სასწავლებელი და ქუთაისში თუ არ იქნება, დაე, ხონში იქნესო“[33].

რადგან ხონის მოსახლეობამ სემინარიისათვის მოზრდილი თანხის გაღება იკისრა და მიწის ნაკვეთიც უფასოდ გამოყო, მთავრობამ სასწავლებლის გახსნის საკითხი ხონის სასარგებლოდ გადაწყვიტა. 1881 წლის 8 მარტს „დროება“ იუწყებოდა: „... კავკასიის ნამესტნიკის მოადგილემ თ. ლევან მელიქოვმა დაამტკიცა და ხელი მოაწერა, გუშინ, 6 მარტს, კავკასიის სამოსწავლებლო მზრუნველისაგან წარდგენილ ქაღალდს საოსტატო სემინარია დაბა ხონში გაიხსნასო“[34].

სასწავლებლის სრული სახელწოდება იყო — ქუთაისის საოსტატო სემინარია დაბა ხონში. იგი მასწავლებლებს ამზადებდა პირველდაწყებითი სკოლებისათვის. სემინარია, დაახლოებით, საქალაქო ექვსკლასიანი სასწავლებლის კურსის ბაზაზე იყო აგებული. სწავლების ხანგრძლივობა სამი წლით განისაზღვრებოდა. 1905 წლის რევოლუციის შემდეგ მას ერთი წელი დაუმატეს. სემინარიაში შესასვლელად საჭირო იყო გამოცდების ჩაბარება ორკლასიანი დაწყებითი სასწავლებლის პროგრამით. სემინარიასთან არსებობდა მოსამზადებელი კლასი და პანსიონი, სადაც ცხოვრობდნენ როგორც სახაზინო, ისე თავის ხარჯზე მყოფი მოსწავლეები. მოსამზადებელ კლასში დებულობდნენ როგორც ვაჟებს, ასევე გოგონებსაც ქართულ-რუსული წერა-კითხვის შესასწავლად. სემინარიაში შემდეგი საგნები ისწავლებოდა: პედაგოგიკის საფუძვლები, რუსული და სლავური ენები, არითმეტიკა, გეომეტრიის საფუძვლები, მიწათმზომელობა, ხაზვა,

---

[32] „დროება“, 1881, 2, 21, № 39, გვ. 1-2.

[33] „დროება“, 1881, 2, 19, № 38, გვ. 1.

[34] „დროება“, 1881, 3, 8, № 50, გვ. 3.

რუსეთის ისტორია და გეოგრაფია, სიმღერა და საღვთო სჯული. სწავლება რუსულ ენაზე წარმოებდა. გარდა აღნიშნული საგნებისა, სავალდებულო იყო რაიმე ხელობის შესწავლა. სემინარიას ჰქონდა სადურგლო, სამკინძაო, საზეინკლო და სხვ. სახელოსნოები. დიდი ყურადღება ექცეოდა, აგრეთვე, სასოფლო-სამეურნეო თეორიასა და პრაქტიკას. მომავალი მასწავლებლები ეცნობოდნენ მეაბრეშუმეობის, მებოსტნეობის, მებაღეობის, მემინდვრეობის, მეფუტკრეობის საფუძვლებს. სემინარიას ჰქონდა საკუთარი ბაღი, სადაც მოსწავლეები აწარმოებდნენ დაკვირვებებს, ატარებდნენ ცდებს, უვლიდნენ მათზე განკუთვნილ მცენარეებს.

პედაგოგიური პრაქტიკისათვის სემინარიასთან საბაზო სკოლა არსებობდა. სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში დიდი ადგილი ეჭირა საცდელი გაკვეთილების ჩატარებას.

სხვა სახელმწიფო სასწავლებლების მსგავსად, ხონის საოსტატო სემინარიის დანიშნულებას დაწყებითი სკოლებისათვის ტახტისა და თვითმპყრობელობის ერთგული მასწავლებლების მომზადება წარმოადგენდა. სემინარიაში აღზრდილები სახალხო სკოლებში რუსეთის ნაციონალურ-კოლონიური პოლიტიკის გამტარებლები და დამცველები უნდა ყოფილიყვნენ. სასწავლებელში გამეფებული იყო სასტიკი რეჟიმი, რომელიც კიდევ უფრო აუტანელი ხდებოდა ზოგიერთი დირექტორის აშკარა შოვინისტური, დიდმპყრობელური სულისკვეთების გამო. ამ მხრივ სემინარიის ისტორიაში სავალალო სახელი დატოვეს სოკოლოვმა (1884-1894 წწ.) და დევიცკიმ (1903-1905 წწ.), შედარებით ლიბერალურ პოზიციაზე იდგნენ პირველი დირექტორი სტრელეცკი (1881-1884 წწ.) და მოხირი (1894-1903 წწ.). სემინარიის ისტორიაში ყველაზე ნაყოფიერი იყო ის პერიოდი, როდესაც მას სათავეში ედგა პირველი ქართველი დირექტორი, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, იაკობ გოგებაშვილის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი, გამოჩენილი პედაგოგი და სპეტაკი პიროვნება ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძე (1905-1914 წწ.).

სემინარიის პედაგოგთა ერთი ნაწილი მტრულად იყო განწყობილი ქართველი მოსწავლეების მიმართ, ხშირად შეურაცხყოფდა მათ ადამიანურ და ეროვნულ გრძნობებს, გაუნუხრელად იცავდა სწავლა-აღზრდის დრომოჭმულ, რეაქციულ მეთოდებს. მაგრამ ცარიზმის ნაციონალურ-კოლონიური პოლიტიკის გამტარებელ ჩინოვნიკ მასწავლებელთა გვერ-

დით, სემინარიაში მოღვაწეობდნენ მოწინავე იდეებით შეიარაღებული, განათლებული პედაგოგები, რომლებიც დიდ გავლენას ახდენდნენ მოსწავლეთა მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. მათ შორის იყვნენ: ა. ჭიჭინაძე, ა. ქუთათელაძე, პ. ჩხიკვიშვილი, გრ. ბურჭულაძე, ტრ. თაბუკაშვილი, ვიაჩ. ჰაუდეკი, დ. აბდუშელაშვილი და სხვ.

სემინარიის მოსწავლე-ახალგაზრდობა ფხიზლად ადევნებდა თვალყურს საზოგადოებრივ მოძრაობას საქართველოში და შეძლებისდაგვარად ეხმაურებოდა ყოველ მნიშვნელოვან მოვლენას. სემინარიელები აშკარად გამოდიოდნენ სასწავლებელში გამეფებული პოლიციური ატმოსფეროს წინააღმდეგ, ეცნობოდნენ პოლიტიკური შინაარსის არალეგალურ ლიტერატურას, დაკავშირებული იყვნენ რევოლუციურ ორგანიზაციებთან და აქტიურად მონაწილეობდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის.

მოსწავლეთა პირველ სერიოზულ მღელვარებას სემინარიაში ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ 1884 წ. ახალი დირექტორის სოკოლოვის დანიშვნასთან დაკავშირებით. მისი წინამორბედი, გვარად სტრელეცკი, გ. ძიძიგურის დახასიათებით, ქართველებისადმი კეთილგანწყობილებას იჩენდა. იგი ცდილობდა ახლოს ყოფილიყო ადგილობრივ ინტელიგენციასთან, რასაც ხელს უწყობდა ის, რომ დაქორწინებული იყო ხონელ ქუთათელაძის ქალზე. სტრელეცკი ანგარიშს უწევდა როგორც მასწავლებელთა, ასევე მოსწავლეთა აზრს, რის გამოც კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა სემინარიაში[35].

ახალმა დირექტორმა — სოკოლოვმა, თავისი მოღვაწეობა იმით დაიწყო, რომ სასწავლებელში აკრძალა ქართულ ენაზე ლაპარაკი და აითვალწუნა პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგები.

დირექტორის ასეთმა განწყობილებამ მოსწავლეებში პროტესტი გამოიწვია. სოკოლოვმა, რეაქციონერი პედაგოგების დახმარებით გამოავლინა და სემინარიიდან გარიცხა რამდენიმე მოსწავლე, რომელთაც ბრალი დასდეს დირექტორის საწინააღმდეგო მოქმედებაში. ამის საპასუხოდ 1884 წლის 9 ნოემბერს მოსწავლეებმა მეცადინეობა შეწყვიტეს, ხოლო გარიცხულმა მოსწავლეებმა ამხანაგებისა და მასწავლებლების თვალწინ დირექტორს სცემეს.

---

[35] გ. ძიძიგური, დასახ. ნაშრომი, გვ. 23-24.

გაბოროტებულმა დირექტორმა კიდევ 19 მოსწავლე გარიცხა, ხოლო 3 — ადგილობრივ ხელისუფლებას დააპატიმრებია. მდგომარეობა იმდენად გართულდა, რომ საქმის გამოსაძიებლად ხონში ჩავიდა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი. გავრცელდა ხმები, სემინარია უნდა დახურონო. 23 ნოემბერს „დროება" წერდა: „... ჩვენ გვატყობინებენ, რომ ხონის სემინარია, სადაც ამ დღეებში უწესობა მოხდა, სრულიად დაუხურავთო... ცხადია, რა სამწუხარო იქნება, რომ ეს ამბავი გამართლდეს"[36]. მზრუნველი იძულებული გახდა გარიცხული მოსწავლეები დაებრუნებია და სემინარიაშიც მეცადინეობა განახლდა. სამაგიეროდ, სემინარიიდან დაითხოვეს ცნობილი პედაგოგები არ. ქუთათელაძე და დ. აბდუშელაშვილი. მათ ბრალი დასდეს ნაციონალისტობაში და სახელმწიფო დაწესებულებებში მუშაობა აუკრძალეს.

სემინარიიდან წასვლის წინ მოსწავლეებმა თავიანთ საყვარებელ მასწავლებელს, შესანიშნავ აღმზრდელს, მამულიშვილსა და უმწიკვლო პიროვნებას არისტო ქუთათელაძეს მიართვეს ადრესი, რომელზედაც 47 ხელმოწერა იყო. აღსანიშნავია ის, რომ ადრესს ხელს აწერდნენ არაქართველი მოსწავლეებიც, რაც ნათელყოფს იმას, რომ არისტო ქუთათელაძე ნაციონალისტი იყო ამ სიტყვის ყველაზე საუკეთესო გაგებით.

შეურაცხყოფილი, მაგრამ გამარჯვებული სოკოლოვი თავის შავრაზმულ საქმიანობას აგრძელებდა. ამით მან არა მარტო მოსწავლეების, არამედ, საერთოდ, ხონის მოსახლეობის სიძულვილი დაიმსახურა. ადმინისტრაციის რეპრესიები სასურველ შედეგს ვერ იძლეოდა. სემინარიაში ხელსაყრელ ნიადაგს პოულობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეები და რევოლუციური ლიტერატურა. ურთიერთობა დირექტორსა და მოსწავლეებს შორის დაძაბული იყო და სულ უფრო და უფრო მწვავდებოდა. ბოლოს, 1893 წელს სემინარიაში იფეთქა ახალმა მღელვარებამ, რომელმაც მთელი ქართველი საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო.

1893 წლის 7 მარტს სემინარიის 40 მოსწავლემ უნებართვოდ დატოვა სასწავლებელი და ღამის გასათევად ცხენისწყლის მახლობლად მდებარე მინდორზე დაბანაკდა. შეშფოთებულმა დირექტორმა დახმარებისათვის ადგილობრივ ბოქაულს მიმართა. მან გაფიცულ მოსწავლეებს მიაგნო და

---

[36] „დროება", 1884, 11, 23, № 252, გვ. 2.

დაიყოლია ისინი სოფლის კანცელარიაში შეგროვილიყვნენ. ბოქაულის მოთხოვნაზე დაბრუნებულიყვნენ სემინარიაში და დირექტორისათვის პატიება ეთხოვათ, მოსწავლეებმა კატეგორიული უარი განაცხადეს[37].

8 მარტს ქუთაისის გუბერნატორმა კავკასიის მთავარმართველს დეპეშით აცნობა ხონის სემინარიაში მომხდარი გაფიცვის შესახებ. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით ხონში გაიგზავნა მზრუნველის თანაშემწე ზავადსკი. მაგრამ მოსწავლეები სემინარიაში დაბრუნებაზე მაინც უარს აცხადებდნენ.

გამოირკვა, რომ 7 მარტს, საღამოს, დირექტორმა სასტიკად გალანძღა მოსწავლეები; მათ კატეგორიულად აეკრძალათ მორიგე ზედამხედველის გარეშე მშობლების მიღება, სასწავლებლის ეზოდან საუბარიც კი. ეს გახდა გაფიცვის საბაბი. მიზეზი კი დიდი ხანია მწიფდებოდა. დირექტორი ცდილობდა სემინარია ისეთ „ციხესიმაგრედ" გადაექცია, სადაც საზოგადოებრივი მოძრაობის გავლენა ვერ შეაღწევდა. სემინარია საპყრობილეს დაემსგავსა.

მოსწავლეთა გაფიცვას მხარი დაუჭირეს მშობლებმა და ადგილობრივმა მოსახლეობამ. მათ დირექტორის მოხსნა მოითხოვეს.

10 მარტს შედგა პედაგოგიური საბჭოს სხდომა. დირექტორის დაჟინებითი მოთხოვნით გადაწყდა სასწავლებლიდან გაერიცხათ 10 მოსწავლე: კ. მარშანია, ა. შჩეპანსკი, გ. კორძაია, პ. სავინი, ერ. როდონაია, სამ. ბახტაძე და სხვ. ამან სემინარიელთა საერთო გულისწყრომა გამოიწვია. გარიცხულთა რაოდენობა 5-მდე შეამცირეს, მაგრამ გაფიცულები არც ამაზე დათანხმდნენ. ზავადსკიმ მზრუნველს დეპეშით აცნობა პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილება და თხოვდა შეეჩერებინა მისი სისრულეში მოყვანა. საპასუხო დეპეშაში კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი წერდა: „ჩემს განკარგულებამდე პედსაბჭოს გადაწყვეტილებას სისრულეში ნუ მოიყვანთ"[38]. ეს გაფიცულთა სერიოზული გამარჯვება იყო.

12 მარტს, ხუთდღიანი გაფიცვის შემდეგ, სემინარიელები სასწავლებელში დაბრუნდნენ. ამ ამბებთან დაკავშირებით, 17 მარტს გაზეთმა „ივერიამ" ვრცელი კორესპონდენცია და-

---

[37] სცია, ფ. 442, აღწ. 1, საქ. 47, 56, ფურც. 7-8.

[38] იქვე, ფურც. 6.

ბეჭდა. მასში გადმოცემული იყო სემინარიელთა გაფიცვის ნამდვილი მიზეზები. ამ პუბლიკაციამ სასწავლო ოლქის ხელმძღვანელობის სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია. განსაკუთრებით არასასიამოვნო აღმოჩნდა მისთვის იმ ფაქტის გამოაშკარავება, რომ ზავადსკი იძულებული გახდა დათანხმებოდა მოსწავლეთა მოთხოვნას და შეეჩერებინა პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილების შესრულება.

სასწავლო ოლქის პრესტიჟის დასაცავად, საცენზურო კომიტეტის დადგენილებით „ივერიის" რედაქციას გაეგზავნა ზავადსკის მიერ რუსულ ენაზე შედგენილი „ოფიციალური უარყოფა". გაზეთის რედაქტორს ილია ჭავჭავაძეს წინადადება ეძლეოდა, იგი უახლოეს ნომერში გამოექვეყნებინა.

გამოვიდა „ივერიის" მომდევნო სამი ნომერი, მაგრამ „უარყოფა" არ დაბეჭდილა. საცენზურო კომიტეტმა რედაქციას შეკითხვა გაუგზავნა. რედაქციამ არ უპასუხა. 20 აპრილს ცენზორს გამოსაქვეყნებლად წარედგინა „უარყოფის" ქართული თარგმანი. საცენზურო კომიტეტმა მოითხოვა რუსული ტექსტის დაბეჭდვა. 26 აპრილს საცენზურო კომიტეტში მივიდა ილია ჭავჭავაძე და განაცხადა, რომ მას უფლება არა აქვს ქართულ გაზეთში რუსული ტექსტები მოათავსოს[39]. საცენზურო კომიტეტის კატეგორიული მოთხოვნის გამო 27 აპრილს გაზეთ „ივერიაში" მე-4 გვერდზე მართლაც დაიბეჭდა „უარყოფის" რუსული ტექსტი რუბრიკით „წერილი რედაქციას" და განმარტებით — „რუსულ ენაზე იბეჭდება საცენზურო კომიტეტის განკარგულებით". ამან ცენზურის აღშფოთება გამოიწვია. ილია ჭავჭავაძის მოქმედების შესახებ აცნობეს კავკასიის მთავარმართველს. რედაქცია აიძულეს ზავადსკის „უარყოფა" დაებეჭდათ ისე, როგორც ამას ოფიციალური ხელისუფლება მოითხოვდა. მაგრამ მკითხველებმა, ცხადია, კარგად გაიგეს რედაქციის დამოკიდებულება მომხდარი ფაქტისადმი.

ზავადსკი თავის „უარყოფაში" ამტკიცებდა, რომ თითქოს იგი მოსწავლეებს დასჯით დაემუქრა. სინამდვილეში კი, როგორც უკვე გთქვით, მან შეაჩერა პედაგოგიური საბჭოს დადგენილების შესრულება გაფიცვის გაგრძელების შიშით.

სემინარიელებსა და სოკოლოვს შორის ნორმალური ურთიერთობა არ აღდგენილა. 1894 წელს ეს უკანასკნელი იძუ-

---

[39] ა. ეპჰრიძე, გაფიცვა ხონის სამასწავლებლო სემინარიაში და ილია ჭავჭავაძე, ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება", 1971, № 11, გვ. 89.

ლებული გახდა ხონიდან გაქცეულიყო. მის ნაცვლად დანიშნეს მოხირი, სპეციალობით ბუნებისმეტყველი. მან გააფართოვა სემინარიის შენობა, ეზო, ბაღი. სასწავლებლისათვის შეიძინა მიწის ნაკვეთი, რომელზედაც ხეხილი და ვენახი გააშენა. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მებოსტნეობასა და მეაბრეშუმეობას. სემინარიასთან არსებული სანიმუშო ერთკლასიანი სკოლა ორკლასიან სასწავლებლად გადააკეთა და სხვ. მაგრამ მოხირის დროსაც ძალაში რჩებოდა სოკოლოვის მიერ დამყარებული რეჟიმი. მოსწავლეთა რევოლუციური განწყობილება ყოველდღიურად იზრდებოდა. 1901 წლის 25 ოქტომბერს სემინარიაში გაფიცვა დაიწყო. მათ უნებართვოდ დატოვეს პანსიონი და ხონის გარეთ, სასწავლებლის კუთვნილ ბაღში დაბანაკდნენ. გაფიცვას ხელმძღვანელობდნენ ვ. ბერიძე, ლ. ნადარეიშვილი, ივ. წერეთელი და ნ. ჩიმაკაძე. მოსწავლეები მოითხოვდნენ: საღამოს მეცადინეობის სავალდებულო ცხრილის გაუქმებას, ქართულ ენაში გადასაცემი გაკვეთილის კონსპექტის ქართულ ენაზე შედგენის უფლებას, ქართული ენის გაკვეთილების რიცხვის გადიდებას, ქართული ენის სწავლების შემოღებას მოსამზადებელ კლასებში, ზოგი მასწავლებლის შეცვლას და სხვ.[40]

საქმის გამოსაძიებლად ხონში ჩამოვიდა სასწავლო ოლქის ინსპექტორი სლავინსკი. იგი შეეცადა გაეზვიადებინა გაფიცვის ეროვნული მხარე, მაგრამ უშედეგოდ. ინსპექტორი იძულებული გახდა კომპრომისზე წასულიყო და მოსწავლეთა მოთხოვნები განათლების მინისტრისათვის განსახილველად წარედგინა.

სემინარიაში ამ პერიოდში, პ. კიკალიშვილის ცნობით, გამოდიოდა მოსწავლეთა არალეგარული ხელნაწერი ჟურნალი „გაზაფხულის“ სახელწოდებით, რომელსაც ვუკოლ ბერიძე რედაქტორობდა. ჟურნალში თანამშრომლობდნენ ლ. ნადარეიშვილი, ივ. წერეთელი, ნ. ჩიმაკაძე და სხვ.

1903 წელს სემინარიის დირექტორად დანიშნეს ვინმე დევიცკი, სააქციზო დაწესებულების ყოფილი მოხელე, უხეში და უდიერი პიროვნება, ხოლო პოლიტიკური მრწამსით პირწავარდნილი შავრაზმელი. მან მოსვლისთანავე იერიში ქართულ ენაზე მიიტანა — მინიმუმამდე შეამცირა მისი გაკვეთილები, ხოლო ამ საგნის ისეთი აღიარებული სპეციალის-

---

[40] ე. ძიძიგური, დასახ. ნაშრომი, გვ. 27.

ტი, როგორც ტრ. თაბუკაშვილი იყო, სემინარიიდან გაუშვა. ახალი დირექტორი ვერ ითმენდა ტრ. თაბუკაშვილის უდიდეს ავტორიტეტს მოსწავლეებში. მაგრამ დევიცკი ამით არ დაკმაყოფილდა. მას სურდა სემინარიაში „სანიმუშო წესრიგი" დაემყარებინა. ამას ხელს უშლიდა ხონში წარმოებული რევოლუციური მუშაობა, რომელშიაც სემინარიელები აქტიურად მონაწილეობდნენ. მას შემოკრებილი ჰყავდა ჯაშუშები, ცნობებს აგროვებდა და ჟანდარმთა სამმართველოს უგზავნიდა. მაგალითად, ექიმ პოლ. კიკალიშვილის შესახებ იგი სასწავლო ოლქის მზრუნველს აცნობებდა: „... ხონისა და მისი რაიონის დემოკრატიული აზროვნება ექიმ კიკალიშვილის ირგვლივ ტრიალებს და სანამ ის არ იქნება გაძევებული, მე არ შემიძლია ვიტვირთო პასუხისმგებლობა სემინარიაში სიმშვიდისთვისო"[41].

დევიცკის ჯაშუშურ საქმიანობაზე კიდევ უფრო ნათლად მეტყველებს მის მიერ 1905 წლის 28 თებერვალს შედგენილი მოხსენებითი ბარათი კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის სახელზე. მასში ნათქვამი იყო შემდეგი: „... პატივი მაქვს მოგახსენოთ, რომ 27 თებერვალს, ღამით 3 საათზე, უცნობ პირთა ბრბომ გაიარა სემინარიის ახლოს და მოსწავლეთა საძინებელ ოთახში ისროლა ორი მოზრდილი ქვა... ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ ადგილობრივი პოლიცია არა მარტო უძლურია დაიცვას სემინარია, არამედ თვით ავრცელებს მოსახლეობაში ხმებს, მიმართულს ჩემს წინააღმდეგ. ასე მაგალითად, ბოქაული ბაზარში ავრცელებს ხმებს, თითქოს მე მოვაწყე ფიქტიური თავდასხმა ეკონომ უსინოვზე და ცაგარეიშვილზე იმ განზრახვით, რომ მქონოდა დაბაში ჯარის მოწვევის საბაბი. მოსახლეობას კი სრულებით არ უნდა, რომ აქ ჯარი იდგეს და სიკვდილით ემუქრება ყველას, ვინც დაბაში ჯარს მოიწვევს, რადგან ამ უკანასკნელს შეუძლია ბოლო მოუღოს იმ მრავალრიცხოვან „სხოდკებს", რომლებიც თითქმის ყოველდღე იმართება ხონის სხვადასხვა ადგილას და მის მიდამოებში. „სხოდკებზე" წარმოთქვამენ სიტყვებს მსგავსი სულისკვეთებით იმ პროკლამაციისა, რომელიც გუშინ გამოვუგზავნე თქვენს აღმატებულებას

---

[41] რევოლუციის მატიანე, 1929, № 1 (21), გვ. 146.

იმის აღნიშვნით, რომ დახვრეტილ იქნა მეფის სურათი და ა. შ."[42]

დევიცკიმ, ადგილობრივი ხელისუფლების დაუკითხავად, ხონში დამსჯელი ექსპედიცია გამოიწვია. აღშფოთებულმა ხონელებმა მისი მოკვლა გადაწყვიტეს. დევიცკი გაიპარა. „ამ დღეებში ხონიდან უგზო-უკვლოდ გაპარულა საოსტატო სემინარიის დირექტორი დევიცკი, რომელმაც ამას წინათ ადგილობრივ მკვიდრთა „დასამშვიდებლად", პოლიციის და-



ალექსი ბესარიონის-ძე ჯიჯარწაძე

[42]სცია, ფ. 12, აღწ. 7, საქ. 3290, ფურც. 146.

უკითხავად, ასამდე ყაზახი მოიწვია“[43], – წერდა გაზეთი „ივერია“

დევიცკის ხონიდან გაქცევის შემდეგ დირექტორად დანიშნეს ა. ბ. ჯიჯინაძე. ამავე დროს, იგი უსასყიდლოდ განაგებდა ვაჟთა პროგიმნაზიას და მეუღლესთან – ეფ. ნიკოლაძე-ჭიჯინაძესთან ერთად, ქალთა კერძო გიმნაზიასაც. ა. ჭიჯინაძე აქტიურად მონაწილეობდა ხონის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში, ამიტომ იგი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა არა მარტო მასწავლებლებსა და მოსწავლეებში, არამედ ქალაქის მოსახლეობაში საერთოდ. 1914 წელს ა. ბ. ჭიჯინაძე თბილისში გადაიყვანეს და ქართული გიმნაზიის დირექტორად დანიშნეს.

საქართველოში ბოლშევიკური ხელისუფლების დამყარების შემდეგ ხონის სემინარია პედაგოგიურ ტექნიკუმად გადაკეთდა და ათეული წლების განმავლობაში მაღალკვალიფიციურ კადრებს უმზადებდა დასავლეთ საქართველოს დაწყებით სასწავლებლებს[44].

ხონს მრავალრიცხოვანი და მოწინავე პედაგოგიური საზოგადოებრიობა ჰყავდა. ხონელ პედაგოგთა აზრს ყოველთვის ანგარიშს უწევდნენ საქართველოში. ხონში ხშირად ეწყობოდა დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა შეკრებები და თათბირები. 1873 წელს ქუთაისის გუბერნიის სასოფლო სკოლების ინსპექტორ ტროეს ხელმძღვანელობით ხონში ერთი თვის განმავლობაში მუშაობდა მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები[45].

ხონის მოწინავე მასწავლებლები ენერგიულად იცავდნენ პროგრესულ პედაგოგიურ იდეებს, იბრძოდნენ ქართული ენის სწავლების მაღალი ხარისხისათვის. ხონის პედაგოგიურმა საზოგადოებამ სასტიკად გაილაშქრა ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორის კრუპსკის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ.

კრუპსკი შეეცადა ხმარებიდან ამოეღო 1881 წელს შემუშავებული სასწავლო პროგრამები და მიეღოთ ახალი პროგ-

---

[43] „ივერია“, 1905, 3, 15, № 27, გვ. 3.

[44] ამჟამად ხონის საოსტატო სემინარიის შენობა სანახევროდ დანგრეულია. ღრმად გვწამს, რომ ხონის საზოგადოებრიობა, მისი ხელმძღვანელობა არ დაუშვებს იმას, რომ დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი სახელოვანი სასწავლებელი აღიგავოს მიწისაგან პირისა.

[45] „დროება“, 1873, 10, 8, № 3, გვ. 2.

რამები, რომლებიც საქართველოს სკოლებში სავსებით უგულებელყოფდნენ ქართულ ენას. კრუპსკი და მისი დამქაშები სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდნენ. 1913 წელს კრუპსკი იძულებული გახდა ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორთან ერთად ხონში ჩასულიყო და მოლაპარაკება გაემართა სამასწავლებლო სემინარიის პედაგოგებთან ახალი პროგრამების შემოღების საკითხზე. პედსაბჭოს სხდომა ორ დღე-ღამეს გაგრძელდა. ხონელმა პედაგოგებმა, ა. ჭიჭინაძის ხელმძღვანელობით, დაასაბუთეს ახალი პროგრამების რეაქციული არსი და ერთხმად უარყვეს იგი[46].

ხონელი პედაგოგები ენერგიულად იბრძოდნენ ლევიცკის ე. წ. ბუნებითი მეთოდის წინააღმდეგ. ეს მეთოდი განათლებისა და განვითარების ნაცვლად აჩლუნგებდა და ხრწნიდა ბავშვის მშვენიერ და მკვირცხლ ნიჭს.

საკადრისი პასუხი გასცეს ხონელმა პედაგოგებმა სამასწავლებლო სემინარიის მასწავლებელს, ვინმე ნიკოლაევს. ამ ვაი-პედაგოგმა გაკვეთილზე განაცხადა: „ქართველები ახლადდაბადებული ერია, წარსული არა აქვთ, ენა მათი უსუსურია, და როგორც ქართველები, ისე მათი ენაც მალე აღიგვებიან დედამიწის პირიდანო".

აღშფოთებულმა მოსწავლეებმა გაკვეთილი დატოვეს. მოსწავლეებს მხარი დაუჭირეს პედაგოგებმაც.

ხონელმა მასწავლებლებმა საფუძველი ჩაუყარეს საჩვენებელი გაკვეთილების ჩატარების პრაქტიკას, რითაც საგრძნობლად აამაღლეს სწავლების ხარისხი.

ხონის მოწინავე პედაგოგიური საზოგადოებრიობა კეთილსინდისიერად იხდიდა თავის მოქალაქეობრივ ვალს ქართველი ხალხის წინაშე — უანგაროდ ემსახურებოდა ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეს.

## 2. ხონის თეატრალური წარსულიდან

ხონი მდიდარი თეატრალური ტრადიციების მქონე ქალაქია. აქ ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ხშირად იმართებოდა ლიტერატურულ-მუსიკალური შეკრება-საღამოები და თეატრალური წარმოდგენები, რომელთა უმრავლე-

[46] „მერცხალი", 1913, 2, 8, № 31, გვ. 4.

სობას საქველმოქმედო მიზანი და დანიშნულება ჰქონდა.

პირველი თეატრალური წარმოდგენა ხონში, ჩვენს ხელთ არსებული ერთი საბუთის მიხედვით, 1865 წლის 24 იანვარს (ძვ. სტ.) გაუმართავთ. დაუდგამთ გიორგი ერისთავის ცნობილი კომედია „გაყრა". ამ სპექტაკლის სტამბაში დაბეჭდილი პროგრამა ხონელმა საზოგადო მოღვაწემ დავით ლორთქიფანიძემ იპოვა მამის არქივში[47] და გამოქვეყნდა ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება" (1914 წლის, № 3) შემდეგი შენიშვნით: „გადმობეჭდილია 1865 წლის წარმოდგენის პროგრამიდან უცვლელად – თავისი შეცდომებით და პირვანდელი სახით. ნაბეჭდი დედანი პროგრამისა დრამატულ საზოგადოებას გადაეცა შესანახად". აი, ეს პროგრამაც:

„კვირას კდ (24) იანვარს ჩყჲე (1865) წელსა იქნება წარმოდგენა დაბასა ხონსა.

მოქმედი პირნი

თავადი ანდუყაფარი, ქვრივი – თ. ივანე წულუკიძე
ძმანი მისნი: პავლე – თ. კონსტანტინე წულუკიძე
ივანე, რუსეთში გაზრდილი, ვარშავიდან ახლად მოსული – დ. წულუკიძე
მაკრინე, ცოლი პავლესი – კნე. სოფიო წულუკიძისა
ნინო, ქალი პავლესი – კნიაჟნა ანა წულუკიძისა
მიკირტუმ ბასკარიჩ ტრადატოვი – თავადი კონსტანტინე წულუკიძე
თათელა, ცოლი მიკირტუმასი – კნე. სოფიო წულუკიძისა
შუშანა, ქალი მიკირტუმასი – ეფრასინა წულუკიძისა
რამაზი, სეკრეტარი-სუდია – თავადი ბიბო წულუკიძე
ბარძიმი, ნათესავი დიდებულიძეთა – თ. მიხაილ წულუკიძე
ბარამ, მოურავი ანდუყაფარისა – თ. ნიკო წულუკიძე
კომისიონერი, ძმა თათელასი – თ. ასლან წულუკიძე
გაბრიელი, მსახური ივანესი – თ. სამსონ წულუკიძე
ყარდაშვერდი, გოგო ნინოსი – კნ. დარიკო წულუკიძისა
იმერელი ბაზიერი პავლესი – თ. სოლომონ წულუკიძე
მედიატორები, სტუმრები, მსახურები – თ. წულუკიძეები

ფასი ადგილებისა პირველი რიადიდამ უკანასკნელამდე მანეთათ, დანარჩენი ათ შაურათ. დაიწყება ნაშუადღევს 7

---

[47] ნ. გვარაძე, თეატრალური მემუარები, თბ., 1949, გვ. 80.

საათზე. ბილეთები შეიძლება მიიღონ ხონში სახლში, სადაც წარმოდგება"[48]. იგივე ილია რუხაძე თავის მოხსენებაში „ხონის თეატრის არსებობის გამო" – აღნიშნავდა, რომ პირველი წარმოდგენა ხონში გამართულა 1864 წელს. უთამაშნიათ დ. ერისთავის პიესა „გაყრა" (sic). ამ წარმოდგენაში მონაწილენი ყველა – თავადებია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს წარმოდგენა მართლაც პირველი უნდა ყოფილიყო" (იხ. საქართველოს სათეატრო მუზეუმი, ფ. 42, ხელნაწერი). ნ. გვარაძე თავის მემუარებში, იმავე დოკუმენტზე დაყრდნობით, ხონში პირველი წარმოდგენის გამართვის თარიღად ასახელებდა 1865 წლის 24 ნოემბერს. ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში" გამოქვეყნებული პროგრამა კი გარკვევით ასახელებს თარიღს – ქართულად – კდ იანვარი ჩყჲე წელი, რუსულად „Воскресение 24 января 1865 года". რადგან დოკუმენტის ორიგინალი დაკარგულია, ცხადია, ყველაზე მეტად სანდოა მისი გამოქვეყნებული ტექსტი. ამიტომ ხონში პირველი წარმოდგენის გამართვის თარიღად უნდა მივიღოთ 1865 წლის 24 იანვარი (ძვ. სტ.). პროგრამა შედგენილი ყოფილა ქართულ-რუსულად და დაუბეჭდავთ ქუთაისში, ი. როტენბერგის სტამბაში, პოლიცმეისტერის ნებართვით.

პირველი თეატრალური წარმოდგენა ხონში დიდ ეროვნულ საქმეს – რუსეთისა და უცხოეთის საუნივერსიტეტო ქალაქებში მოსწავლე ღარიბ ქართველ სტუდენტთა დახმარებას მიეძღვნა. ამით ხონი ერთ-ერთი პირველთაგანი გამოეხმაურა მოწინავე ქართველი ინტელიგენციის მოწოდებას ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ სახსრების შეგროვების შესახებ.

პირველი წარმოდგენის გამართვის ინიციატორები და მონაწილეები, როგორც უკვე ვნახეთ, იყვნენ წულუკიძეები. ჩვენ არ ვიცით როგორი წარმატება ჰქონდა სპექტაკლს,

---

[48] „თეატრი და ცხოვრება", 1914, № 3, გვ. 16.
ხონში პირველი წარმოდგენის საკითხზე ცნობილი სცენისმოყვარე ილ. რუხაძე წერდა: „... რამდენიმე ხნის წინათ ხონში, ერთმა სცენისმოყვარე ქალმა ნ. წულუკიძემ იპოვა აფიშა. ეს აფიშა გადმოგვცემდა შემდეგს: 1862 წელს იანერის 24 ხონში უთამაშნიათ დ. ერისთავის პიესა „გაყრა" (sic) მონაწილეობა მიუღიათ მხოლოდ თავადებს. ეს აფიშა შალიკაშვილის ხელით გადაეცა „თეატრისა და ცხოვრების" რედაქციას. რედაქციამ დაბეჭდა თავის გამოცემაში აფიშა, ხოლო თვით დოკუმენტი დაიწვა ჩვენს თეატრთან ერთად" (ილ. რუხაძე, ხონის თეატრის მოკლე ისტორია, „თეატრი და ცხოვრება", 1916, № 37, გვ. 12-13.

საერთოდ, და მის თითოეულ მონაწილეს, კერძოდ; მაგრამ ეს იყო დიდი მნიშვნელობის მოვლენა ხონის კულტურულ ცხოვრებაში, რითაც საფუძველი ჩაეყარა კარგ ტრადიციას — წარმოდგენების გამართვის საქმეს.

XIX საუკუნის 70-იან წლებში ხონში კვლავ დაიდგა გ. ერისთავის კომედიები „გაყრა" და „ძუნწი". საქართველოს სათეატრო მუზეუმში დაცულია 1874 წლის 22 და 23 აპრილს სოფლის სკოლაში გამართული წარმოდგენების აფიშა. შემოსავალი ქალთა უფასო სასწავლებელს გადაეცა. ამჯერადაც სპექტაკლების მოწყობის ინიციატორები წულუკიძეები ყოფილან. მონაწილეობდნენ: კ. დ. წულუკიძე (ანდუყაფარი), ივ. ჯაიანი (ივანე), ვ. ს. წულუკიძე (მაკრინე), ნიონილა კლდიაშვილისა (ნინო), კ. ვ. წულუკიძე (მიკირტუმ გასპარიჩი), კ. ს. წულუკიძისა (თათელა), ივ. წულუკიძე (რამაზი, სეკრეტარი სუდისა), მინადორა წულუკიძისა (შუშანა), ვ. გ. წულუკიძე (ბარძიმი), კ. მ. ლორთქიფანიძე (ბარამი), სამსონ ნ. წულუკიძე (კომისიონერი), კოლია ქუთათელაძე (გაბრიელი), ე. კლდიაშვილისა (ყარდაშვერდი)[49].

ამ მეტად საინტერესო დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ხონელმა სცენისმოყვარეებმა კავშირი დაამყარეს თავიანთ ქუთაისელ კოლეგებთან და ერთობლივი ძალებით ცდილობდნენ წინ წაეწიათ ქართული წარმოდგენების გამართვის საქმე მშობლიურ დაბაში. აფიშის მიხედვით „გაყრაში" ყარდაშვერდის როლს ასრულებდა ეფრო კლდიაშვილისა — ერთ-ერთი პირველი ქართველი მსახიობი ქალი, სცენის დიდი ამაგდარი, ქუთაისის თეატრის დაარსების აქტიური მონაწილე და მოჭირნახულე, აკაკის ახლო მეგობარი.

1875 წელს ხონელებმა ეფ. კლდიაშვილისა და ქუთაისის სხვა მსახიობებთან ერთად წარმოადგინეს „ძალად ექიმი" (კომედია ორ მოქმედებად, გადმოკეთებული რ. ერისთავის მიერ) და „მდგმური ტრომბონით" (ვოდევილი ერთ მოქმედებად ს. ბოიკოვის, თარგმანი ვ. აბაშიძის). გაზ. „დროება" წერდა: „... ყველას კარგად უთამაშნიათ თავთავისი როლები და განსაკუთრებით ვ. აბაშიძეს, კ. ლორთქიფანიძისას, ეფ. კლდიაშვილისას და ი. ქუთათელაძისას. შემოსავალი იქაური ქალების უფასო შკოლის სასარგებლოდ ყოფილა დანიშნული"[50].

---

[49] საქართველოს სათეატრო მუზეუმი, ფონდი № 42, ხელ. 8306.

[50] „დროება", 1875, 5, 9, № 52, გვ. 1.

ხონელ სცენისმოყვარეთა ეს პირველი ნაბიჯები შეუმჩნეველი არ დარჩენია ქართველ საზოგადოებრიობას. „ჩვენ შევიტყვეთ ერთი ძველი ამბავი, რომელიც ჩვენსავით ბევრს სხვასაც ახლად ეჩვენება, – წერდა გაზ. „დროება". – დ. ხონს თეატრი აუშენებიათ და ხანდისხან წარმოდგენები იმართება თურმე სხვა და სხვა კეთილი საქმის შესაწევნად, განსაკუთრებით სასწავლებლების სასარგებლოდ. ჭეშმარიტად პატივის ღირსნი არიან ის ხონელები, რომელთაც უყაყანოთ და მშვიდობიანად სისრულეში მოუყვანიათ ეს საქები საქმე. ძალიან გვიკვირს, რომ ეს ამბავი აქამდის ჩვენთვის არავის შეუტყობინებია. თვითონ ხონელების მხრივ ეს სიჩუმე თავმდაბლობას და საქმის გაუზვიადებლობას უნდა მივაწეროთ, მაგრამ რატომ სხვა ვინმე არ გამოჩნდა იმისთანა, რომ ეს ჩვენი ცხოვრების მცირე ბრწყინვალე მოვლენა საქვეყნოდ და სამაგალითოდ გამოეცხადებია"[51]. ასე მიესალმა სახელოვანი ქართული გაზეთი ხონში გამართულ პირველ წარმოდგენებს და მათ „ჩვენი ცხოვრების მცირე ბრწყინვალე მოვლენა" უწოდა. მართალია, რედაქციისათვის მიწოდებული ცნობა ცოტა გაზვიადებულია, რადგან 70-იან წლებში ხონში თეატრის შენობა არ აუგიათ, მაგრამ პროვინციაში ქართული პიესების დადგმა და სცენისმოყვარეთა დასის შექმნის ცდები, ცხადია, ყურადღებისა და მხარდაჭერის ღირსი იყო.

80-90-იან წლებში ხონში ქართული წარმოდგენები გახშირდა. 1880 წლის 16 აგვისტოს, ქალთა სასწავლებლის სასარგებლოდ ანა და ეკ. ნიკოლაძეების თაოსნობით, ხონელმა სცენისმოყვარეებმა წარმოადგინეს „ბიძიასთან გამოხმაურება" (ვოდევილი 1 მოქმედებად, გადმოკეთებული რ. ერისთავის მიერ) და „ფერი ფერს, მადლი ღმერთს" (კომედია 3 მოქმედებად, გადმოკეთებული ა. ჭიჭინაძის მიერ). სპექტაკლში მონაწილეობდნენ: ქუთაისის თეატრის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი, გამოჩენილი ქართველი მსახიობი კოტე მესხი, გ. ნათაძე, პელაგია წულუკიძისა, ლიპა წულუკიძისა, ან. და ეკ. ნიკოლაძეები და სხვ. ორივე წარმოდგენამ დიდძალი ხალხი მიიზიდა და წარმატებით ჩატარდა. „მოთამაშეები ყველანი, გარდა კ. მესხისა და გ. ნათაძისა, ჯერ არ ყოფილან სცენაზედ, – წერდა ერთი მაყურებელთაგანი, – მაგრამ ისრე კარგათ წავიდა ორივე პიესა,

---

[51] „დროება", 1875, 1, 25, № 408, გვ. 2.

რომ ხალხი ალტაცებაში მოვიდა და დიდი მადლობა შესწირა წარმომდგენლებს. იორამის როლს თამაშობდა მასწავლებელი ხონის სასწავლებლისა გ. მ. ნათაძე; მართლა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა იმის სცენაზე გამოსვლამ, რომ ხალხი განცვიფრებული შესცქეროდა იმის ტანჯვას, როცა დისწულის სახლში ყვიროდა „მშიანო, დაღლილი ვარო“ და სხვ. თამაშობდა ეგრეთვე ნიჭიერად კ-ნა პელაგია წულუკიძისა, თუმცა კარგად არ იცოდა თავისი როლი, ალ. ნათაძემ კარგათ აასრულა ხინჩლას როლი. სანდროს და ზარაფის როლს თამაშობდა გ. ქუთათელაძე, რომელმაც სანდროს როლი კარგათ აასრულა, ზარაფის როლი კი არ შვენოდა და გამოთქმაც არ უვარგოდა. იმერლის როლი ძრიელ კარგათ აასრულა კ. მესხმა. ისე შვენოდა ამ როლში, რომ სწორედ რომელიმე თავადის მოსამსახურე გეგონებოდათ“[52].

მეორე პიესაში განსაკუთრებული წარმატება ხვდათ ლიპა წულუკიძისას და ან. ნიკოლაძეს.

1883 წლის 23 აპრილს ხონის საოსტატო სემინარიის ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების ინიციატივით მორიგი ქართული წარმოდგენა გაიმართა აგრაფინა ვასილის ასულ ქუთათელაძის, სვიმონ პავლეს ძე გოგოლაშვილის, პელაგია ალექსანდრეს ასულ ნაზარიშვილის და ეფრო კლდიაშვილის უფროსი ქალიშვილის, მაშინ სრულიად ახალგაზრდა მარიამ გრიგოლის ასულ კლდიაშვილის მონაწილეობით. ეს უკანასკნელი თავიდანვე დიდ ნიჭს იჩენდა სიმღერაში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ მან წარმატებით დაამთავრა მუსიკალური სასწავლებელი. მარიამ კლდიაშვილი (შემდეგ გათხოვდა ექიმ ძნელაძეზე) თავისი საამო ხმის წყალობით მეტად პოპულარული იყო საქართველოში. მარიამი, ეფრო კლდიაშვილის მიერ გამართულ შინაურ საღამო-კონცერტებზე ყოველთვის სიამოვნებით მონაწილეობდა და დედის მიბაძვით არასოდეს არ იშურებდა ძალ-ღონეს საქველმოქმედო საქმეებისათვის[53].

1884 წელს ხონის კულტურულ ცხოვრებაში ყველაზე საყურადღებო მოვლენა იყო ცნობილი მომღერლის, ქართული სიმღერა-გალობის შეკრების და მათი გამოცემის ერთ-ერთი ინიციატორის ფილიმონ ივანეს ძე ქორიძის კონცერტი, რომელიც 16 სექტემბერს გაიმართა. ფ. ქორიძემ დასავლეთ

---

52 „დროება“, 1880, 8, 22, № 177, გვ. 2.

53 ნ. ღვინეფაძე, ეფრო კლდიაშვილი, თბ., 1958, გვ. 13.

საქართველოს დაბა-სოფლებში მრავალი კონცერტი გამართა. ქართული მუსიკის ეროვნულ და უანგარო მოღვაწეს ყველგან დიდი სიხარულით ხვდებოდნენ. მაგრამ განსაკუთრებით წარმატებით ჩატარდა კონცერტი ხონში, მგალობლების ქუთათელაძეების და წულუკიძეების სამშობლოში. კონცერტის შემდეგ, — წერდა მიხეილ ქორელი, — ერთმა ქუთათელაძემ, მგონი არისტომ, მოწონებისა და შექების ნიშნად ფილიმონს უთხრა: — დიდი მადლობის ღირსი ხარ, ბატონო, რომ უცხოეთში გაზრდილმა, ჩვენი საგვარეულო კილოების საიდუმლოებას ასე ოსტატურად მიაგენი. ასე მგონია, ქუთათელაძეების ოჯახში ხარ აღზრდილიო[54]. აღნიშნულ კონცერტს დაესწრო მწერალი გიორგი წერეთელი, რომელიც იმხანად, რკინიგზის გაყვანის საკითხთან დაკავშირებით, ხშირად იმყოფებოდა ხონში და სპეციალური ვრცელი წერილი მოათავსა „დროებაში". ძველი ჟურნალისტისა და საზოგადო მოღვაწის, ილია იესეს ძე ბახტაძის ცნობით, 90-იან წლებში არისტო ქუთათელაძეს ფ. ქორიძე ხონში მოუწვევია. მან აქ ჩამოაყალიბა საერო და საეკლესიო მომღერალთა გუნდი. „მაგონდება, — წერდა ი. ბახტაძე, — ეს გუნდი ყოველ კვირა დღეს წმინდა გიორგის ეკლესიაში აწყობდა საეკლესიო გალობას ქართულ ენაზე, რაც ხალხს იზიდავდა. მაგრამ მალე ფილიმონ ქორიძის გუნდს აუკრძალეს ქართულ ენაზე გალობა"[55].

ერთხანს ხონში ქართული წარმოდგენების გამართვის საქმე შეფერხდა. მაგრამ ხალხოსანი მასწავლებლის და საზოგადო მოღვაწის ნ. წერეთლის, თბილისის დასის მსახიობის ს. გოგოლაშვილის (სვიმონიძე), არისტო ქუთათელაძის და სხვათა ენერგიული მოქმედებით იგი კვლავ განახლდა. 1889 წლის 23 ივლისს ხონელმა სცენისმოყვარეებმა დადგეს „ბაიყუში" (ფარსი 2 მოქმედებად, გადმოკეთებული ალ. ცაგარელის მიერ) და „დილა ქორწილის შემდეგ" (ვოდევილი 1 მოქმედებად, გადმოკეთებული ალ. ყაზბეგის მიერ). „23 წარსული თვისა საყურადღებო და სახსოვარი იქნება ჩვენთვის, — წერდა ხონელი კორესპონდენტი „ივერიაში". — ამ დღეს, სამი წლის შემდეგ, ხონელები ვეღირსეთ ქართულ წარმოდგენას, რომელმაც საზოგადოდ ჩინებულად ჩაიარა. რიგია-

[54] მ. ქორელი, ფილიმონ ქორიძე, თბ., 1949, გვ. 93-94.

[55] ი. ბახტაძე, მოგონებათა ფურცლები, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა", ბათ., 1959, № 4, გვ. 78.

ნად ითამაშა ბ-ნმა ნ. წერ-მა, ქ-ნი ლორთქიფანიძისა (თალიკო) კოხტად თამაშობდა და ლამაზად მღეროდა. აგრეთვე კარგად თამაშობდა ქ-ნი ქიქოძისა. ბ-მა ს. გოგოლაშვილმა ჩინებულად დაგვიხატა ახირებული ჭკუისა და მოქალაქეობის პატრონი „გალუსტა". შემდეგ კორესპონდენტი აღნიშნავდა ხონელი ინტელიგენციის ერთი ნაწილის გულგრილობას თეატრისადმი და განაგრძობდა: „... სამწუხარო იყო, რომ წარმოდგენას დაესწრო ცოტა მაყურებელი საზოგადოება. სულ 50-60 კაცი დაესწრო, უმეტესი ნაწილი ჩვენი ინტელიგენციისა არ ჩანდა. ვნახეთ, რომ საღამოს ჟამს ჩვენი სალაყბო მოედანი ჩვეულებრივად მოიკაზმა „დამა-კავალრებით". ყველა მორთულიყვნენ „სადღესასწაულო ტანისამოსით". ამ დალოცვილის შვილებს (ზოგიერთებს) არც ბალიში აკლდათ და, ვგონებ, აღარც მუთაქები, აეფხუწათ კაბები, მოეფხუწათ ფრაკები... მაგრამ იმათთაგანი წარმოდგენაზე არც ერთი არ გაჭაჭანებულა. ამათმა გულგრილობამ ქართულის სცენის მოყვარეთ ხალისი არ დაუკარგა და დღეს თუ არა ხვალ, იმედია, კვლავ გაიმართება ახალი წარმოდგენა"[56]. ეს იყო არა მარტო კორესპონდენციის ავტორის საყვედური და გულისტკივილი, არამედ იგი გამოხატავდა საერთო აზრს ხონის მოწინავე საზოგადოებრიობისა, რომელიც არაფერს არ იშურებდა იმისათვის, რომ წინ წაეწია დაბაში თეატრის ჩამოყალიბების საქმე. ყოველი შეგნებული ხონელი გულწრფელად შეჰხაროდა სცენისმოყვარეთა ყოველ ახალ წარმოდგენას და ცდილობდა, შეძლებისდაგვარად დახმარებოდა მათ.

1890 წლის 20 ივლისს გაიმართა დიდი საღამო-კონცერტი ახალგაზრდა ხონელი მომღერლის პლატონ მიხეილის ძე კაკაბაძის მონაწილეობით. იგი ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მუსიკაში მეცადინეობდა ფილ. ქორიძესთან და წარმატებით გამოდიოდა მელიტონ ბალანჩივაძის მიერ მოწყობილ კონცერტებში ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში. მას განზრახული ჰქონდა კონსერვატორიაში გაეგრძელებინა სწავლა. ამისათვის საჭირო თანხას აგროვებდა. ქუთაისში წარმატებით ჩატარებული კონცერტის შემდეგ პლ. კაკაბაძე ხონში ჩავიდა. ხონელები გულთბილად შეხვდნენ თავიანთ ნიჭიერ თანამემამულეს. დარბაზი, სადაც კონცერტი ტარდებოდა, ხალხით გაიჭედა. ყველას სურდა

[56] „ივერია", 1889, 8, 1, № 161, გვ. 3.

მოესმინა თავისი მეზობლისა და ახლობლის სიმღერა. პლ. კაკაბაძის გამოსვლამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. „სწორედ აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება, განსაკუთრებით მანდილოსნები, ბ-ნ ბალანჩივაძის მიერ ნოტებზე გადაღებულმა სიმღერამ „შენ გეტრფი მარად“, რომელიც ხანგრძლივი ტაშისკვრით და „bis“ -ის ძახილით მერმე განმეორებულ იქნა. აგრეთვე ჩინებულად შეასრულა პლ. კაკაბაძემ სხვადასხვა ოპერებიდან ამოღებული ადგილები: „Бог всесильный“, მუსიკა გუნოსი, „Азра" — მუსიკა რუბინშტეინისა, `Ах, за что ты взволнована" — მუსიკა ვერდისა და სხვ.“, — წერდა „ივერია“[57].

პლ. კაკაბაძის წარმატებას ხელი შეუწყო ელისაბედ კრინინას კარგმა აკომპანიმენტმა ფორტეპიანოზე. მაყურებლები გულთბილად შეხვდნენ მოწაფეთა გუნდს პლ. კაკაბაძის ლოტბარობით. გუნდმა შეასრულა ბენაშვილისა და რატილის მიერ დამუშავებული სიმღერები. კონცერტში მონაწილეობდნენ მსახიობები ს. გოგოლაშვილი და ნესტორ წერეთელი. პირველმა წაიკითხა სცენები პიესებიდან, ხოლო მეორემ — ქართული ლექსები.

კონცერტით ნასიამოვნებმა ხონელებმა გზა დაულოცეს რუსეთში სასწავლებლად მიმავალ პლ. კაკაბაძეს. „ვისურვებთ, რომ პ. კაკაბაძეს ბედნიერად მოეყვანოს სისრულეში თავისი განზრახვა კონსერვატორიაში წასვლისა და მუსიკის შესწავლისა, — წერდა ერთ-ერთი მაყურებელი, — მითუმეტეს ხმაც მშვენიერი აქვს და მუსიკის ნიჭიც თავიდანვე მოსდევს. ვიმედოვნებთ პლატონ კაკაბაძე მალე გაუხდება ამხანაგად ისევ ჩვენსავე თანამემამულეს მ. ბალანჩივაძეს, რომელიც ახლა პეტერბურგის კონსერვატორიაში მეცადინეობს“[58].

პლ. კაკაბაძე მოსკოვში გაემგზავრა და კონსერვატორიაში მოეწყო. აქ მას, როგორც არაჩვეულებრივი ხმის პატრონს, საიმპერატორო თეატრის სტიპენდია დაუნიშნეს, ხოლო შემდეგ ვოკალური ხელოვნების სრულყოფისათვის იტალიაში გაგზავნეს. პლ. კაკაბაძემ წარმატებით დაასრულა მეცადინეობის კურსი მილანში და „იმერლის“ ფსევდონიმით იტალიის სხვადასხვა ქალაქებში მღეროდა ოპერის თეატრებში. პლ. კაკაბაძე ემზადებოდა პეტერბურგში, ხოლო შემდეგ სამ-

---

[57] „ივერია“, 1890, 7, 25, № 158, გვ. 2.

[58] იქვე.

შობლოში დასაბრუნებლად. მას განზრახვა ჰქონდა საქართველო მოევლო და კონცერტები გაემართა. მაგრამ „ლა სკალაში“ დებიუტის წინ, თითქოს რაღაც საშინელი დაალევინესო, ხმა ჩაეხლიჩა და, რასაკვირველია, დებიუტიც ჩაიშალა. ამის შემდეგ პლ. კაკაბაძე საქართველოში დაბრუნდა და ტუბერკულიოზით გარდაიცვალა. 1895 წელს „ივერია“ წერდა: „დაბა ხონიდან გვატყობინებენ, რომ იქ 10 დეკემბერს გარდაიცვალა პლატონ მიხეილის ძე კაკაბაძე, რომელიც პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა, შემდეგ წავიდა მილანში ხმის გასავარჯიშებლად და სწორედ იმ დროს გახდა ავად, როდესაც უკანასკნელი ეგზამენი უნდა დაეჭირა. ბ-ნი კაკაბაძე ძალიან დიდ იმედებს იძლეოდა თავისი შესანიშნავი ნიჭით და ყველა მოუთმენლად ელოდა მის დაბრუნებას სამშობლოში, რადგან მომღერალთა რიცხვი მეტად მცირე გვყავს და ჩვენი მდიდარი ეროვნული სიმღერაკილოები კი ფრიად დიდ მასალას წარმოადგენენ განათლებული მომღერლისათვის სამოქმედოდ“[59].

ასე დაიღუპა თავისი ნიჭის გაფურჩქვნის პერიოდში დიდი იმედების მომცემი ხონელი მომღერალი.

1890-1900 წლებში ხონელმა სცენისმოყვარეებმა დადგეს გ. აბაშიძის ვოდევილი „ცოლი თუ გინდა, ეს არის“, ვ. გუნიას „და-ძმა“ (ორჯერ, 1897 და 1900 წწ.), გ. სუნდუკიანცის კომედია „პეპო“ და სხვ.

1895 წლის 4 იანვარს ხონში ჩატარდა ალექსანდრე გრიბოედოვის დაბადებიდან ასი წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. თავდაპირველად წმინდა გიორგის ეკლესიაში გადაიხადეს პანაშვიდი, ხოლო შემდეგ მოეწყო ლიტერატურული საღამო, რომელზედაც ილაპარაკეს ალ. გრიბოედოვის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. სცენისმოყვარეებმა წაიკითხეს ადგილები კომედიიდან „ვაი ჭკუისაგან“.

მიუხედავად იმისა, რომ 1865-1900 წლებში ხონში ქართული წარმოდგენები ხშირად იმართებოდა, მათ მაინც შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა და სრულიად ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს. წარმოდგენები და კონცერტები, ლიტერატურული შეკრება-საღამოები ტარდებოდა კერძო ბინებში ან სასწავლებელთა ვიწრო

---

[59] „ივერია“, 1895, 12, 30, № 282, გვ. 3. პლ. კაკაბაძეზე იხ. „საქართველო“, 1908, 12, 30, № 11, გვ. 8. ა. ცამციშვილი, „ხელოვნების ქართველი მოღვაწენი უცხოეთში“, თბ., 1959, გვ. 11-12.



ხონის თეატრის დასი

ოთახებში, რომლებიც მაყურებელთა ძალზე ცოტა რაოდენობას იტევდა. წარმატებით ჩატარებულმა წარმოდგენებმა და კონცერტებმა მოამზადეს ნიადაგი ხონში სცენისმოყვარეთა მუდმივი დასის ჩამოსაყალიბებლად და თეატრის შენობის ასაგებად.

1901 წლის დასაწყისში შედგა ხონის ინტელიგენციის კრება, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება თეატრის აგებისა და სცენისმოყვარეთა დასის შექმნის შესახებ. მის განხორციელებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: ვ. ყ. შავდიამ, პ. მდივანმა, ი. ქუთათელაძემ, პოლ. ჩხიკვიშვილმა, პოლ. კიკალიშვილმა და სხვ. მათ თეატრის შენობის ასაგები თანხა ისესხეს შავი ქვის მრეწველ მიხეილ მებუკისაგან, რომელიც ყოველგვარ კულტურულ წამოწყებას სათანადო დახმარებას უწევდა. თეატრის ფიცრული შენობა უფასოდ ააგეს დურგლებმა, ძმებმა შველიძეებმა. არჩეულ იქნა სათეატრო კომიტეტი პ. ჩხიკვიშვილის, პ. კიკალიშვილის, ოლია წერეთლის, ოლიმპიადა ლორთქიფანიძის, ილ. ბახტაძის და სხვათა შემადგენლობით. კომიტეტმა რეპერტუარი შეადგინა. სცენისმოყვარეთა დასს ხელმძღვანელობდა ქუთაისის თეატრის მსახიობი, საკმაოდ ნიჭიერი მხატვარი ვასილ (ვასო) ბალანჩივაძე[60].

[60] ნ. გვარაძე, ხონის თეატრის ისტორია, საქართველოს სათეატრო მუზეუმი, ფ. 3, საქ. 6-14603, გვ. 7.

ხონში თეატრის დაარსება დააჩქარა, ხოლო შემდეგ მის რეპერტუარსა და, საერთოდ, საქმიანობაზე დიდ გავლენას ახდენდა ქუთაისის თეატრი. ამ პერიოდში მას სათავეში ედგა ლადო მესხიშვილი. „ეს იყო ჰეროიკული თეატრი, ეს იყო რეალისტური თეატრი ძლიერი რომანტიკული განხრით... ეს იყო ნათლად გამოკვეთილი არტისტული ინდივიდუალობის თეატრი. ის ორ დედაბოძზე იყო დაყრდნობილი, ორი ძლიერი ტრაგიკული ნიჭის მსახიობზე: ერთი იყო თვით მესხიშვილი, მეორე — ნინო ჩხეიძე; უფრო გვიან მათ ალექსანდრე იმედაშვილი შეუერთდა. გარდა ამ კორიფეებისა, ქუთაისის თეატრს რამდენიმე საუცხოო მსახიობი ჰყავდა: ვასო ბალანჩივაძე, შ. დადიანი, დ. ჩარკვიანი, გ. თუთბერიძე, მარო მდივანი და სხვ.[61] პირველი რევოლუციის მღელვარე დღეებში ლ. მესხიშვილმა ქუთაისის თეატრი გადააქცია მძლავრ ტრიბუნად, საიდანაც მგზნებარედ გაისმოდა თვითმპყრობელობის დამხობისაკენ მოწოდება. ხოლო როცა საჭირო გახდა, ლ. მესხიშვილი თავის დასთან ერთად სცენიდან ჩამოვიდა და საბარიკადო ბრძოლები გაუმართა მეფის დაქირავებულ ჯალათებს.

ასეთი თეატრი სისტემატურად დახმარების ხელს უწვდიდა ხონის თეატრს — უგზავნიდა მას თავის საუკეთესო მსახიობებს და ზოგჯერ მთელ დასსაც კი. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ 1901-1917 წწ. ხონში არ დადგმულა თითქმის არცერთი სპექტაკლი, რომელშიაც მონაწილეობა არ მიეღოს თეატრის წარმომადგენელს ხან როგორც მსახიობს, ხან კიდევ, როგორც რეჟისორს.

ხონის საზაფხულო თეატრის დაარსების ინიციატორები თეატრის დანიშნულებას ხალხზე, საზოგადოებაზე იდეურ ზემოქმედებაში ხედავდნენ. მათ სურდათ, რაც შეიძლება მეტი უფასო წარმოდგენები გაემართათ და ამით გონებრივი საზრდო მიეცათ ფართო მაყურებლისათვის. ამ თვალსაზრისით იყო შედგენილი რეპერტუარიც, რომელშიაც 1901-1906 წლებში შედიოდა. დ. ერისთავის „სამშობლო", დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება", აკაკი წერეთლის „პატარა კახი", გ. სუნდუკიანცის „პეპო", ა. ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი", მოლიერის „სკაპენის ცუღლუტობანი", ა. ცაგარელის „რაც გინახავს, ველარ ნახავ". გარდა კლასიკური დრამატურგიის ნიმუშებისა, ხონის თეატრის სცენაზე

---

[61] გ. ქიქოძე, ეტიუდები და პორტრეტები, თბ., 1958, გვ. 298.

იდგმებოდა მსუბუქი ჟანრის ნაწარმოებები — ვოდევილები, რომელთა შორის გამოირჩეოდა აკაკის „ბუტიაობა", ი. მაჩაბლის (გადმოკეთებული) „ადვოკატი მელაძე", დ. მესხის „ადამ და ევა", „სიკოია დენშჩიკი" და სხვ. ხშირად იდგმებოდა აგრეთვე ნ. აზიანის კომედიები („გაცრუებული იმედები" და „ფული და ხარისხი")[62].

ამ პერიოდში სცენაზე გამოსვლით და წარმოდგენების ჩატარების საქმეში ხონის საზაფხულო თეატრს დიდ სამსახურს უწევდნენ: ელ. ხინტკირია, აგრ. ჭავჭანიძე, ფაცია ბახტაძე, ნინო წულუკიძე, ნინო ბახტაძე-ფრანგიშვილისა, პარასკევა გეგეჭკორი, მანია ქუთათელაძე-რატიანისა, ლუბა გალდავაძე, მარო ბალანჩივაძე, ლიპა ლორთქიფანიძე, ნესტორ მენაბდე, ვარდენ ქუთათელაძე, ნესტორ ბალანჩივაძე, გრიგოლ პირტახია, ვლ. ტყეშელაშვილი, ბ. მდივანი, ჭიჭიკო ქუთათელაძე, ვარლამ შავდია, ილია ბახტაძე, კოწია უგულავა, პოლ. ჩხიკვიშვილი, პოლ. კიკალიშვილი, გიგლა მებუკე, ვიტოშა ქუთათელაძე, ვარლამ აბაშიძე, ბუხუტი აბაშიძე, დავით ლორთქიფანიძე, ვასილ კეთილაძე, კირილე მაჭარაძე, შალვა გოგოლაშვილი (ხონელი), ილია მამფორია, მიშა რატიანი, ალექსი ბახტაძე, კორნელი კაკაბაძე, დავით მებუკე (ცვარნამი), ილია რუხაძე, ელენე ჩხეიძე, მარიკა ქუთათელაძე, ეკატერინა ბახტაძისა, კატო ქუთათელაძე, მაშიკო ქუთათელაძე, ცუცუ ლორთქიფანიძე, ვარლამ ძიძიგური, გრიშა ქუთათელაძე, პოლ. მდივანი და სხვ. ჩამოსულებიდან: ალ. ჯაფარიძე, მიხეილ მდივანი, მარიამ თათეიშვილი (გარიყული), ფრანგულიანი, თეოფილე შველიძე და სხვ.

ახლადდაარსებული ხონის საზაფხულო თეატრის განმტკიცების საქმეში დიდი როლი შეასრულა ქუთაისის თეატრის მსახიობთა გასტროლებმა ლადო მესხიშვილის ხელმძღვანელობით და აკაკი წერეთლის მიერ გაზ. „ივერიაში" გამოქვეყნებულმა ვრცელმა რეცენზიამ სათაურით — „პეპო ხონში".

1901 წლის ზაფხულში ლ. მესხიშვილისა და ვ. გუნიას დასი დასავლეთ საქართველოში მოგზაურობდა. ინტელიგენციის მიწვევით ისინი ივნისში ხონსაც ეწვივნენ. ქუთაისის დასმა სულ სამი წარმოდგენა გამართა: „ბედს ვერ წაუხვალ" (დრამა, გადმოკეთებული მ. ნასიძის მიერ), „ორი

[62] ხონის თეატრალური ცხოვრება (ბიბლიოგრაფია), საქართველოს სათეატრო მუზეუმი.

გმირი“ (დრამა, გადმოკეთებული ვალ. გუნიას მიერ) და „უკუღმართი ალაგი“ (ვოდევილი ხოლსტოვისა, თარგმნილი ე. მესხის მიერ).

„ქართული სცენის ჯადოქრის“ — ლადო მესხიშვილის პოპულარობამ და ქუთაისის თეატრის მაღალკვალიფიციური კოლექტივის სახელმა დიდძალი მაყურებელი მიიზიდა. წარმოდგენები წარმატებით ჩატარდა, რამაც ხონში თეატრის ავტორიტეტი მნიშვნელოვნად აამაღლა. ამას დაემატა ისიც, რომ 1901 წლის ივლისში ხონში ჩამოვიდა აკაკი წერეთელი, თავისი მეგობრის, გამოჩენილი ქართველი ჟურნალისტის ილია ხონელის გარდაცვალებიდან ერთი წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით. 25 ივლისს აკაკი დაესწრო ხონელ სცენისმოყვარეთა წარმოდგენას „პეპო“, რომელშიაც მონაწილეობდა ცნობილი ექიმი პოლიკარპე ჩხიკვიშვილი. დარბაისელი ინტელიგენტის სცენაზე გამოსვლამ და მის მიერ თეატრის მაღალი საზოგადოებრივი დანიშნულების ღრმა შეგნებამ აკაკის დააწერინა ვრცელი წერილი, რომელიც სცილდება ხონელთა სპექტაკლის რეცენზიის ფარგლებს. „ობოლი მარგალიტი, სადაც უნდა იყოს, თავის ღირსებას არ დაკარგავს, გინდ მდიდრის ფარჩა დიბაზე ეკეროს და გინდ ღარიბის ძონძზე...“ — ასე იწყებდა თავის წერილს აკაკი. ამის შემდეგ პოეტი ახასიათებს პეპოს და აღნიშნავს, რომ გამრავლდა რიცხვი იმ ინტელიგენტებისა, რომლებსაც საზოგადო საქმე არ აინტერესებთ და პირადულით ცხოვრობენ. აღარ ჩანან ადრინდელი პეპო-კაკულები, პირში რომ მიახლიდნენ ასეთ პირებს მთელ სიმართლეს. „და თუ თითო-ოროლა აქა-იქ კანტი-კუნტად კიდევ შერჩენია ცხოვრებას, — წერდა აკაკი, — ის პირდაპირი გამბედავი შეუპოვრობა მაინც აღარა აქვთ და გადაკრულ-მათრახულებით იქარვებენ გულის ჯავრს. სწორედ ამგვარი პეპო დაგვანახა ბ-ნმა ჩხიკვიშვილმა ხონის სახალხო სცენაზედ. ისეთი ნაღვლიანის კილოთი იმეორებდა პეპოს მონოლოგებს არუთინზიმზიმოვების შესახებ, რომ ეტყობოდა ბევრი მათგანი უნახავს ჩვენს ინტელიგენტებში და იმათ იღებს ნიშანშიო.

დიახ, პეპოობამ გამოიყვანა დარბაისელი ექიმი სცენაზე და თუ ხელოვნურად არა, გულწრფელად მაინც

ათამაშა სხვების საგულისხმოდ და სამაგალითოდ“[63].

წერილში პოეტი მიესალმებოდა პ. ჩხიკვიშვილის საქციელს, როგორც „ობოლ მარგალიტს“ და სასტიკად ამათრახებდა იმ პირებს, რომლებსაც ვერ შეეგნოთ ხელოვნების დიდი საზოგადოებრივი დანიშნულება და მხოლოდ პირადულზე ფიქრობდნენ.

აკაკიზე სცენისმოყვარეთა თამაშს კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია. „თვით ჩვენი საყვარელი სათნო ავტორიც, რომ დასწრებოდა წარმოდგენას, უეჭველად იტყოდა: ესენი ხომ ნამდვილად ჩემი ნათლულები არიან, მაგრამ ე, რა სხვანაირად უქცევენ კილოს“, — წერდა პოეტი.

აკაკი წერეთლისაგან ხონელი ინტელიგენტის სცენაზე გამოსვლის ამ მაღალმა შეფასებამ ბევრს შეუცვალა შეხედულება თეატრზე და ჩააბა საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ხონის მოსახლეობაში თეატრის ავტორიტეტისა და გავლენის ზრდამ გამოხატულება ჰპოვა მაყურებელთა რიცხვის ზრდაში. „ხონელები ძალიან იშვიათად აკლდებიან წარმოდგენას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც წარმოდგენები ხელმისაწვდომ ფასებიანია, — წერდა ილ. ბახტაძე. — 4 მარიობისთვეს მართალია წარმოდგენა დაკლებულ ფასებით იყო გამართული, მაგრამ მისი გამგენი თითქმის დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ხონის საზოგადოება არ დაესწრებოდა, რადგან წარმოდგენის დაწყებამდის კოკისპირულად წვიმდა. ჩვენდა საბედნიეროდ მათი მოლოდინი არ გამართლდა და საზაფხულო თეატრი, რომელშიაც წვიმიან ამინდში საშიშიც არის შესვლა, რადგან შენობაში თავისუფლად შეიჭრება ნიაღვარი, მაყურებლებით მთლად გაივსო. დაესწრნენ თითქმის ყველა ხონის ნოქრები, რომლებიც იშვიათად აკლდებიან წარმოდგენებს. აქ იყვნენ იმგვარი პირნიც, რომლებიც მხოლოდ სმა-ქეიფში ატარებენ წუთისოფელს, ჩანს ცოტაოდნავ მათაც გაუგიათ თეატრის სარგებლობა“[64].

კორესპონდენციის ავტორს მხედველობაში ჰქონდა ა. ცაგარელის პიესა „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, რომელიც ხონელმა სცენისმოყვარეებმა წარმოადგინეს 1902 წლის 4 აგვისტოს პოლიკარპე მდივნის რეჟისორობითა და მონაწილეობით. „ხალხი საკმაოთ დაიარება თეატრში, შეეჩვია კი-

---

[63] აკაკი წერეთელი, თხზ. სრული კრებული, ტ. VI, გვ. 269.

[64] „კვალი“, 1902, № 34, გვ. 544-545.

დეც მას. წარმოდგენები ხან ფასით, ხან უფასოდ ყოველ კვირას იმართება. საქმე საჭირო თანაგრძნობას ნახულობს და თუ ინტელიგენცია ივარგებს, ის სარძიკველს გაისკვნის"[65], — წერდა ვ. შავდია, ხონის საზაფხულო თეატრის ერთი დამაარსებელთაგანი.

1902 წელს, აპრილში, ხონს ესტუმრა გამოჩენილი ქართველი მსახიობი ქალი, ლადო მესხიშვილის ნიჭიერი მოწაფე და მისი პარტნიორი, ქუთაისის დასის საუკეთესო წევრი ნინო (ნუცა) ჩხეიძე. მან მონაწილეობა მიიღო დ. კლდიაშვილის პიესაში „ირინეს ბედნიერება" (ასრულებდა ირინეს როლს) და აკაკის ვოდევილში „ბუტიაობა". წარმოდგენები ნუცა ჩხეიძის მონაწილეობით უჩვეულო წარმატებით ჩატარდა. მაყურებელი აღტაცებაში მოიყვანა უბადლო ხელოვანის ბრწყინვალე თამაშმა.

1901-1906 წლებში ხონის თეატრს დიდ დახმარებას უწევდა ქუთაისის თეატრის მსახიობი მიხეილ ჯანოევი (ნემო). მისი ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით ხონის თეატრის სცენაზე დაიდგა: „ადვოკატი მელაძე", ნ. აზიანის „გაცრუებული იმედები", ვ. ლომინაძის „გოგიას საცოლე", ვ. აბაშიძის გადმოკეთებული პიესა „ეხლანდელი სიყვარული" და სხვ.

1903 წლის საზაფხულო სეზონის დამთავრების შემდეგ უბადრუკი შენობა, რომელიც კერძო პირს ეკუთვნოდა, დაანგრიეს და თეატრი კვლავ შენობის გარეშე დარჩა. ამ გარემოებამ ინტელიგენციის წინაშე დააყენა საკითხი სახალხო სახლის აგების შესახებ. მაგრამ სანამ ეს საქმე მოგვარდებოდა, ხონელ სცენისმოყვარეებს თავიანთი საქმიანობა არ შეუწყვეტიათ. წარმოდგენები და საღამო-კონცერტები იმართებოდა კერძო ბინებში, ფართო ეზოებში და დიდძალ მაყურებელს იზიდავდა.

1904 წლის აპრილში ხონს ესტუმრა ქუთაისის ახალგაზრდა მსახიობთა ამხანაგობა გაიანე ურბნელის, იუზა ზარდალიშვილის და სხვათა შემადგენლობით. 1905 წელს ხონში თავისი დასით ჩამოვიდა ლადო მესხიშვილი. ხონის ინტელიგენცია მას დიდი პატივისცემით შეხვდა. ლადო მესხიშვილმა დასადგმელად ორი პიესა აირჩია — ა. ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი" და მანსფელდის „შეშლილი". ქუთაისიდან ჩამოსულ მსახიობებს შეუერთდა შალვა დადიანიც, რომელიც იმხანად ხონის მახლობლად, თავის ნათესავებთან ისვენებდა.

---

[65] „კვალი", 1902, № 18, გვ. 292.

რეპეტიციები ტარდებოდა ექიმ პოლ. კიკალიშვილის სახლში. რადგან თეატრს შენობა არ ჰქონდა, წარმოდგენები გაიმართა მღვდლის, სევერიანე ჩხენკელის ეზოში. „მოვატანინეთ ფიცრები, დავაჭრევინეთ ხის ტოტები და სცენა ცოცხალი ტყით მოვრთეთ", – იგონებდა ნ. გვარაძე. მონაწილეობდნენ ქალები: ნ. წულუკიძე, ელ. ჩხეიძე, მარიკა ქუთათელაძე, მანია ქუთათელაძე, ვაჟები: ლადო მესხიშვილი (გარლეიგი), შ. დადიანი (დოქტორი), ნ. გვარაძე (ვილკენსი), მ. მდივანი, ნ. ქუთათელაძე, ი. ბახტაძე. „შემოსავლიან ადგილში" ლ. მესხიშვილი იუსოვის როლს ასრულებდა.

ორივე წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო. გამოთხოვებისას ნასიამოვნებმა საზოგადოებამ სტუმრებს დიდი ბანკეტი მოუწყო. წარმოითქვა ბევრი საყურადღებო სიტყვა ქუთაისისა და ხონის ინტელიგენციის ტრადიციულ ურთიერთობასა და მეგობრობაზე.

ხონში ქუთაისის მსახიობთა გასტროლების დროს ერთი საგულისხმო ფაქტი მოხდა. ლ. მესხიშვილი ადგილობრივი პოლიტიკური ორგანიზაციის წარმომადგენლებმა არალეგალურ კრებაზე მიიწვიეს. კრება ჩატარდა მენშევიკ მ. წერეთლის ბინაზე, რომელიც სავსე იყო ხალხით. დაიწყო კამათი – ვინ უნდა ყოფილიყო კრების თავმჯდომარე – მენშევიკი თუ ბოლშევიკი. გადაწყდა ნეიტრალური პიროვნების არჩევა. კრებამ ერთხმად დაასახელა ლადო მესხიშვილი. კამათმა ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის მწვავე ხასიათი მიიღო, მაგრამ ლადო მესხიშვილი, თავისი დიდი ავტორიტეტის გამო, კრებას მშვენივრად გაუძღვა[66].

აფასებდა რა ამ პერიოდის საზაფხულო თეატრის მნიშვნელობას ხონის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში, ერთ-ერთი ადგილობრივი პოლიტიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელთაგანი წერდა: „... ხონის რაიონის მოსახლეობაში თეატრმა პოპულარობა მოიპოვა, წარმოდგენებს ესწრებოდნენ არა მარტო ხონში მცხოვრებნი, არამედ ხონის რაიონის სხვადასხვა საზოგადოებიდანაც, რომელნიც ხშირად 8-10 ვერსის მანძილზე იყვნენ ხონიდან დაშორებული. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ხონის თეატრმა დიდი კულტურული როლი ითამაშა მთელი ხონის რაიონის მოსახლეობაში საზოგადოდ და განსაკუთრებით დაბა ხონის მეშჩანურ მასაში, სადაც მან შეიტანა სხივი საზოგადოებ-

---

[66] ნ. გვარაძე, დასახელებული ხელნაწერი, გვ. 33-34.

რიობისა და გააადვილა მომავალი რევოლუციონური პროპაგანდა“[67].

მიუხედავად იმისა, რომ ხონელ სცენისმოყვარეებს თეატრის შენობა არ ჰქონდათ, ისინი მაინც მხნედ განაგრძობდნენ მუშაობას და მომსახურეობას უწევდნენ, როგორც უკვე ითქვა, არა მარტო თავიანთი დაბის, არამედ ახლო-მახლო სოფლების და ზოგჯერ სამეგრელოს მოსახლეობასაც კი.

საქართველოს დამსახურებული არტისტი კირილე მაჭარაძე თავის გამოუქვეყნებელ ავტობიოგრაფიაში წერდა: „... ძალიან კარგად მახსოვს ერთი ასეთი ეპიზოდი, რაც 1906 წელს მოხდა, როდესაც რეაქცია გამძვინვარებით მუშაობდა. ჩვენმა სცენისმოყვარეთა ჯგუფმა წარმოდგენის დადგმა განიზრახა. ავირჩიეთ გალ. გუნიას „და-ძმა“. პიესას მე ვხელმძღვანელობდი და თანაც ერთ-ერთ მთავარ როლს — ოტია ჯოლიას ვთამაშობდი... სოფლის განაპირას, სემინარიის ბაღის ახლოს, გაბრიელ გეგეჭკორის სახლში დავიწყეთ პიესის მზადება... ზაფხულის არდადეგები თითქმის ამ დადგმას მოვახმარეთ. 10 აგვისტოსათვის პიესა თითქმის მზად იყო. 20-ში ყველანი სასწავლებლებში უნდა გამოვცხადებულიყავით. ძალიან მოკლე დრო გვრჩებოდა. ამიტომ შევუდექით საჭირო რეკვიზიტის შეგროვებას. პიესა თითქმის მზად გვქონდა. როლები ყველამ ზეპირად იცოდა. მხოლოდ თათრების როლების შემსრულებელთა ტანსაცმელი არ გვქონდა. მიშა რატიანს, რომელიც ფაშა ეფენდის როლს ასრულებდა, ბუხარაში ნამყოფი ბახტაძის მუსულმანური ტანსაცმელი ვუშოვეთ. ახლა ჩაუცმელი გვყავდა ჯანვეროღლის და ყარაოღლის როლების შემსრულებლები. მათთვისაც თათრული ტანსაცმელი იყო საჭირო... ბოქაულ ოქროპირიძეს „დესედნიკებათ“ ქობულეთელები ყავდა. მათ სწორედ ისეთი ხაოჭიანი ტანსაცმელი ეცვათ, როგორიც ჩვენ გვინდოდა. დაველრიჯეთ ტანსაცმლების მეპატრონეებს და იმათაც ორი ჩაქურა თავისი მოწყობილობით გვათხოვეს. ასე რომ წარმოდგენისთვის მზად ვიყავით და კვირა დღეს დავნიშნეთ კიდეც... წარმოდგენაზე მოვიპატიჟეთ მშობლები, ნათესავები, ნაცნობები, მასწავლებლები, ექიმები, მოკლედ, მთელი ხონის იმდროინდელი „ბომონდი“.

კვირა დღეა. საღამოს 7 საათიდან დაიწყო ხალხმა თავის მოყრა. მსახიობები ჩაცმულები და გრიმგაკეთებულები იყ-

---

[67]რევოლუციის მატიანე, 1929, № 1 (21), გვ. 144-145.

ვნენ... გაისმა პირველი ზარი. ამ დროს სცენაზე აქოშინებული სევერიანე ჩხენკელი შემოვარდა... „ბავშვებო, ბოქაული ოქროპირიძე თავისი ქობულეთლებით ეზოში შემოვიდ. და საცაა შემოვა,· თავს უშველეთ, თორემ ყველას დაგიჭერთო!“ — ამის თქმა და ჩემი მსახიობების სცენიდან გაქცევა ერთი იყო... ბოქაული სცენაზე ამოვიდა. მას რამდენიმე ქობულეთელი ახლდა.

— აქ რა ამბავია?.. ეგ რა ყრილობა გაგიმართავთ? ვინ მოგცათ უფლება? — დრიალებდა ბოქაული. — ვინ არის ხელმძღვანელი?

— მე გახლავართ, — ვუპასუხე ბოქაულს აუღელვებლად.

— შენ ვინ ხარ? — მომიტრიალდა ბოქაული.

— ოტია ჯოლია გახლავარ-მეთქი — ვუპასუხე.

— რომელი ოტია, რის ოტია?.. — იყვირა ბოქაულმა. — შენ ხომ ერასტი მაჭარაძის შვილი ხარ.

ბოქაულმა იქ მყოფთა „დაშლა“ მოითხოვა. საზოგადოებაც გულდაწყვეტილი დაიშალა და თავიანთ სახლებში წავიდ-წამოვიდა... ცოტა ხნის შემდეგ მსახიობებიც დაბრუნდნენ და თანაც მეტად სასაცილო ამბავი მოყვნენ: თურმე, პიესის მთავარი როლის შემსრულებელი ვიტოშა ქუთათელაძე (გაიოზ ფაცავა) თავქუდმოგლეჯილი გარბის სიმიდებში... მას უკან ყარაოღლის როლის შემსრულებელი ვასიკო ქუთათელაძე მისდევს ხმალამოღებული და თან უყვირის: „დაიცადე, სად გარბი“. ვიტოშა მოიხედავს, უკან თათარი მისდევს ხმლით ხელში, მას იგი ქობულეთელი ჰგონია და არა თუ იცდის, არამედ უფრო მარჯვედ გარბის“[68].

ახალგაზრდებმა მაინც თავისი გაიტანეს. გამოითხოვეს სათანადო ნებართვა და მშვენიერი წარმოდგენა გამართეს. ეს ეპიზოდი ძალიან დამახასიათებელია იმის გასათვალისწინებლად, თუ რა პირობებში უხდებოდათ მუშაობა სცენისმოყვარეებს რეაქციის წლებში, როდესაც რამდენიმე კაცის ერთად შეკრება ხელისუფლებას საშინლად აფრთხობდა.

1907 წლიდან ხონის თეატრის ისტორიაში ახალი პერიოდი დაიწყო. ადგილობრივ სცენისმოყვარეთა ჯგუფმა მტკიცედ გადაწყვიტა ზაფხულის სეზონის ყოველ კვირა დღეს სისტემატურად გაემართათ წარმოდგენები. ხელმძღვანელად მოწვეულ იქნა ქუთაისის თეატრის მსახიობი ნიკო გვარაძე.

---

[68] ხონის თეატრის შესახებ თავისი გამოუქვეყნებელი მოგონებებიდან ვრცელი ამონაწერი გამოგვიგზავნა აწ განსვენებულმა საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა კ. ერ. მაჭარაძემ.

1907 წლის 29 მაისს კარუევის დრამით „ცხოვრების გმირი“ გაიხსნა პირველი საზაფხულო სეზონი. წარმოდგენა გაიმართა რ. წივწივაძის დახმარებით, ახლადაგებულ ფიცრულ შენობაში და უმეტესად შემთხვევით მოსული ხალხი დაესწრო. ინტელიგენციის ერთი ნაწილი ჯერ კიდევ ეჭვით უყურებდა ახალგაზრდების ამ გაბედულ წამოწყებას. პირველ პიესას მოჰყვა ბაჯიაშვილის სამმოქმედებიანი დრამა „სიმდიდრის მსხვერპლი“, შემდეგ გ. გუნიას კომედია „გაის გაგეყარე, ვუის შევეყარე“ და ა. შ. ახლა სცენისმოყვარეთა მუშაობას უკვე აღარ ჰქონდა შემთხვევითი ხასიათი. ფაქტიურად ჩამოყალიბდა პატარა პროვინციული დასი, რომელსაც თავისი ხელმძღვანელი — რეჟისორი ჰყავდა.

თეატრის ავტორიტეტის ამაღლების და ხალხის მოზიდვის მიზნით, სცენისმოყვარეთა ჯგუფი პერიოდულად პროფესიონალ მსახიობებსაც იწვევდა. პირველი საზაფხულო სეზონის მეოთხე წარმოდგენაში (კოსოროტოვის დრამა „გაზაფხულის ნიაღვარი“) მთავარი როლი შალვა დადიანმა შეასრულა. „ამ წარმოდგენაზე პირველად დაიძრა ხონის ინტელიგენცია თეატრისაკენ, — წერდა ნ. გვარაძე. — ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ ამ სეზონში თეატრი ხალხით აივსო... წარმოდგენას საზეიმო ხასიათი მიეცა... ხალხი დიდად კმაყოფილი იყო“[69].

ამის შემდეგ ხონში არცერთი საზაფხულო სეზონი არ ჩატარებულა სამი-ოთხი პროფესიონალი მსახიობის მონაწილეობის გარეშე, რამაც დიდად აამაღლა წარმოდგენების ხარისხი, სცენისმოყვარეთა თამაშის ტექნიკა და დამსახურებული პოპულარობა მოუპოვა თეატრს საზოგადოებაში.

1907 წლის საზაფხულო სეზონში, გარდა დასახელებული პიესებისა, ხონელმა სცენისმოყვარეებმა დადგეს: რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“, ალ. ყაზბეგის „არსენა“, დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“, ა. ცაგარელის „ჭკუისა მჭირს“ და „მშვენიერი ელენეს მაძიებელნი“, ა. ოსტროვსკის „უდანაშაულოდ დასჯილნი“ და პროტოპოპოვის „ცხოვრების გარეშე“. ორ უკანასკნელ სპექტაკლში მონაწილეობდა ქუთაისის თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი ნინო დავითაშვილი.

პირველი საზაფხულო სეზონი დამთავრდა ნიკო გვარაძის ბენეფისით. მან საბენეფისოდ აირჩია ჩირიკოვის პიესა „ებ-

---

[69] ნ. გვარაძე, მემუარები..., გვ. 82.

რაელები“. წარმოდგენაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიეს შალვა დადიანი. მან ლეიზერის როლი შეასრულა. ბენეფისს დიდძალი ხალხი დაესწრო. ხონის საზოგადოებამ სათანადოდ დააფასა ნ. გვარაძის თავდადებული შრომა, თხოვდა, მომავალში სათავეში ჩადგომოდა ამ კეთილშობილურ საქმეს.

ქართული თეატრის ნიჭიერმა მსახიობმა და რეჟისორმა, შემდეგში საქართველოს სახალხო არტისტმა ნიკო გვარაძემ ხონში თითქმის ათი საზაფხულო სეზონი გაატარა. ის ხან რეჟისორ-მსახიობი იყო, ხან კი მარტო მსახიობი (ნ. გვარაძე ხონის სცენისმოყვარეთა დასს ხელმძღვანელობდა 1907-1909 წწ., 1910 წლის მეორე ნახევარში, 1912 და 1915 წლებში). მან დიდი ამაგი დასდო სათეატრო საქმეს ხონში და პირველად, საქართველოს სინამდვილეში, საფუძველი ჩაუყარა საზაფხულო სეზონების ჩატარების ტრადიციას.

ნ. გვარაძის რეჟისორობითა და მონაწილეობით ხონის საზაფხულო თეატრის სცენაზე დაიდგა: ა. სუმბათაშვილის „ღალატი“, დ. ერისთავის „სამშობლო“, შალვა დადიანის „ბატონი და ყმა“ (ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობის“ მიხედვით), ლ. ანდრეევის „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“, აკაკის „პატარა კახი“, კოსოროტოვის „გაზაფხულის ნიაღვარი“, ა. ყაზბეგის „არსენა“, პ. ირეთელის „ქრისტინა“ (ეგ. ნინოშვილის მოთხრობის მიხედვით), დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“, ა. ცაგარელის კომედიები „ჭკუისა მჭირს“, „ხანუმა“ და „მშვენიერი ელენეს მაძიებელნი“, გ. სუნდუკიანცის „პეპო“, ვალ. გუნიას „და-ძმა“ და სხვ.[70]

ხონელ სცენისმოყვარეებს უაღრესად რთულ პირობებში უხდებოდათ მუშაობა. თეატრის ფიცრული შენობა, რომელიც ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა სცენის მოთხოვნებს, 1908 წლის ბოლოს მეპატრონემ სხვაზე გაყიდა. „ვერ იქნა და ვერ ჩაეყარა საფუძველი თეატრის შენობას. თითქმის ხუთი წელიწადია და მეტიც, რაც ლაპარაკობენ თეატრის საჭიროებაზე, მაგრამ ლაპარაკი ლაპარაკად რჩება და საქმე კი არ კეთდება. ააგებენ საზაფხულოდ წარმოდგენებისათვის ფარდულს, რომელიც ერთ ზაფხულსაც ძლივსა სძლებს. მეორე წელიწადს, დადგება თუ არა სეზონი, ხელახლა შეუდგებიან ფარდულის კეთებას. წელს იმ ზომამდე მივიდა საქმე, რომ

---

[70] ხონის თეატრალური ცხოვრება (ბიბლიოგრაფია), სათეატრო მუზეუმი, ნ. გვარაძე, დასახ. ხელნაწერი, იქვე.

შენობა დაანგრიეს და ხე-ტყედ გაყიდეს", – წერდა გაზ. ამირანი" 1908 წელს[71].

თეატრი რომ კვლავ ღია ცისქვეშ არ დარჩენილიყო, დაიქირავეს ფქვილის საწყობი და სცენა გამართეს. თეატრს თითქმის არ გააჩნდა დეკორაციები. სცენაზე იდგა ოთახის ერთი ბუტაფორი, რომელიც ხან მდიდრის სასახლე იყო, ხან კიდევ ღარიბის ქოხი, კედელზე ეკიდა ტყის დეკორაცია დახატული, ნ. გვარაძის თხოვნით, ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოწაფის, შემდეგში სახელგანთქმული მხატვრის დავით ნესტორის ძე კაკაბაძის მიერ. წარმოდგენის დაწყების წინ სცენისმოყვარეებს და თეატრთან ახლო მდგომ პირებს მოჰქონდათ სკამები, მაგიდები, ნოხები, სცენისა და მაყურებელთა დარბაზისათვის საჭირო სხვა მოწყობილობა. შენობა ნავთის ლამპით იყო განათებული. სცენისმოყვარეები სრულიად უსასყიდლოდ მუშაობდნენ, მცირეოდენი ხელფასი ეძლეოდათ რეჟისორებსა და მოწვეულ მსახიობებს. ყველა ისინი უანგაროდ იღვწოდნენ ქართული თეატრის საქმისათვის. ამიტომ იყო, რომ ვალერიან შალიკაშვილმა აღშფოთებული წერილით მიმართა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების" რედაქციას ხონიდან გამოგზავნილი კორესპონდენციის საპასუხოდ. ამ კორესპონდენციაში ნათქვამი იყო, რომ პატარა ხონმა სამ მსახიობს ლუკმა გაუჩინა და საზაფხულო შიმშილს თავი დააღწევინაო[72]. „მართალია ქართველი მსახიობი გაჭირვებულია, მაგრამ არა იმდენად, რომ ბ-ნ ი. ბახტაძის სანტიმენტალური თანაგრძნობა ჭირდებოდეს, – წერდა ვ. შალიკაშვილი. – იგი სულ არ დაცემულა, მხოლოდ ჩაიჩოქა და ამიტომ მისთვის ასეთი წიხლები ცოტა არ იყოს ნაადრევია... ი. ბახტაძის მიხედვით გამოდის: მართონ წარმოდგენები იმიტომ კი არა, რომ ხალხში განათლება შეიტანონ: არა! უსაქმოდ დარჩენილ არტისტებს „ლუკმა" მისცენ. ეს იმას ჰგავს, რომელიმე სოფელში შკოლა გახსნან, იმიტომ რომ მასწავლებელი შიმშილით არ მოკვდესო. ეს ლოღიკა გირვანქულია". მართალია, ქართველი მსახიობები და სცენისმოყვარეები დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ, მაგრამ ხალხისათვის სამსახურის იდეა უფრო ძლიერი იყო და ისინიც დაუღალავად შრომობდნენ. ხონის სცენისმოყვარეთა დასმაც შეძლო გადაელახა ყველა დაბრკოლება და

---

[71] გაზ. „ამირანი", 1908, 10, 29, № 194, გვ. 3.

[72] „თეატრი და ცხოვრება", 1910, № 25, გვ. 17.

თავის გარშემო შემოეკრიბა მაყურებლები საზოგადოების სხვადასხვა ფენებიდან. სცენა გადაიქცა ხალხში განმათავისუფლებელი იდეების პროპაგანდის მძლავრ საშუალებად. ხონის მოსახლეობის მშრომელი ნაწილი მალე დარწმუნდა, რომ თეატრი მარტო გართობის ადგილი კი არ არის, არამედ სკოლაა, სადაც ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე და მათ გადაწყვეტაზეა ლაპარაკი. „ბევრჯერ ჩვენ გამართულ წარმოდგენებს მწარედ ჩაუფიქრებია მშრომელი ხალხი, — წერდა ერთი სცენისმოყვარე. — ბევრჯერ აშკარად და ნათლად გადაუშლია მსმენელების წინაშე ჩვენი დუხჭირი ცხოვრების მავნე მხარეები. პატარა სცენიდან ბევრჯერ დავანახეთ ხალხს: მცარცველი, მტარვალი, ტირანი. ხონის პატარა სცენიდან ხშირად გვიჩვენებია როგორ ჩაგრავდა და ავიწროებდა კაპიტალისტი მუშას, მემამულე-ბატონი — გლეხს. პატარა სცენიდან მკვეთრად, ვაჟკაცურად წარმოთქმული სიტყვები თავხედი ბატონის წინააღმდეგ მიმართული პიესაში „რაც გინახავს ველარ ნახავ“ ელექტრონის სიძლიერით გადადიოდა მაყურებელზე და იმედს უღვიძებდა მას... ხონის პატარა თეატრი თავისუფალი სიტყვის ტრიბუნად გადაიქცა“.

ამიტომ იყო, რომ მაყურებელი განსაკუთრებით ეტანებოდა იმ პიესებს, რომლებიც მოგვითხრობდნენ ქართველი ხალხის გმირულ ბრძოლაზე უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ; უბრალო, მშრომელი ადამიანების ცხოვრებაზე, ხალხის თავისუფლებისა და უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლ გმირებზე (მაგალითად, „სამშობლო“, „ღალატი“, „ცხოვრების გარეშე“, „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“, „არსენა“, „კაი გრაკხი“ და სხვები, რომლებიც ხონის თეატრის რეპერტუარში დამკვიდრდნენ). ხონის თეატრის შესახებ პრესაში გამოქვეყნებული კორესპონდენციები თითქმის ყოველთვის აღნიშნავდნენ: „დიდძალი ხალხი დაესწრო“, „დარბაზი სავსე იყო მაყურებლებით“, „ბევრი მსურველი უბილეთოდ დარჩა“ და ა. შ.

1909 წლის საზაფხულო სეზონისათვის შედგა დრამატული კომიტეტი, რომელშიაც შედიოდნენ: ე. კ. ბახტაძისა, გ. ქაცარავა, პოლ. კიკალიშვილი, დ. ლორთქიფანიძე, ივ. ქუთათელაძე, ო. კიკალიშვილი, ივ. ჭავჭანიძე, გ. ბურჭულაძე, გლ. ქუთათელაძე და კ. უგულავა. სცენისმოყვარეთა დასი შეივსო ახალგაზრდა ქალებით (მატა ბახტაძე, ლუბა ჩხენკელი, ლუბა ჭანტურიშვილი, ნინო კაკაბაძე, ანა ჭავჭანიძისა, ამბ. ბახტაძე, ერასტი კეჟერაძე, გოგია მებუკე, სოსო



მიხეილ ქორელი
1913 წ.



ალექსანდრე ჩალაბეგაშვილი
(1914 – 1916 წ.წ.)



ვალერიან შალიკაშვილი



ნიკო გვარაძე
საზაფხულო სეზონების
ერთ-ერთი ორგანიზატორი

სანაძე და სხვ.). მოწვეული მსახიობებიდან წარმოდგენებში მონაწილეობდნენ: ვასო არაბიძე, მარო მდივანი, ვალერიან შალიკაშვილი და ნატო ჯავახიშვილი..

1910-1913 წლებში წარმოდგენების გამართვის საქმეს ხელმძღვანელობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხონის განყოფილება, რომელმაც თავისი წევრებისაგან შეადგინა სათეატრო კომისია პოლ. კიკალიშვილის თავმჯდომარეობით.

1910-1911 წლებში ხონის თეატრი მუშაობდა ქართული სასცენო ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლის, ნიჭიერი მსახიობისა და დრამატურგის ვალერიან შალიკაშვილის რეჟისორობით, მსახიობების: ნ. ჯავახიშვილის, ი. ზარდალიშვილის, შ. გოგოლაშვილის, ნ. დავითაშვილის, პ. შოთაძის, ა. ლოლუას, ა. ყალაბეგაშვილის და სხვათა მონაწილეობით. ვალ. შალიკაშვილმა, როგორც მსახიობმა, ხონის სცენაზე აიდგა ფეხი. ეს იყო XIX ს. ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში. ამიტომ ხონელები მას თავისიანად თვლიდნენ და დიდად აფასებდნენ. ვ. შალიკაშვილმა ჯერ კიდევ 1909 წელს ხონის თეატრის სცენაზე დადგა დიმოვის „ისმინე ისრაელ", რომელმაც მაყურებელთა საერთო მოწონება დაიმსახურა[73]. 1910-1911 წლებში კი მისი მონაწილეობითა და რეჟისორობით დაიდგა მონტინის „კაი გრაკხი" (ხონის სცენაზე პირველად დაიდგა 1911 წლის 26 ივნისს. კაი გრაკხის როლს ასრულებდა იუზა ზარდალიშვილი), დ. ერისთავის „სამშობლო", ი. პლატინის „ხალხი", ლ. ანდრეევის „დღენი ჩვენი ცხოვრებისა", ნ. შიუკაშვილის „მეგობრობა", კოსოროტოვის „გაზაფხულის ნიაღვარი", ჰ. იბსენის „ხალხის მტერი" („ექიმი შტოკმანი"), რ. ფოსის „დამნაშავეა", ვ. რიშკოვის „პირველი მერცხალი", „თამარ ბატონიშვილი" (გადმოკეთებული ვ. მესხის მიერ), ი. გორდონის „მირა ეფროს" და სხვ.

ვალერიან შალიკაშვილი თამაშობდა არა მარტო მთავარ, არამედ მეორეხარისხოვან როლებშიც, რომლებსაც იგი ხელოვნების ნამდვილ ნიმუშებად აქცევდა ხოლმე. აი, რას წერდა ამის შესახებ პოეტი და საზოგადო მოღვაწე, ვალერიან შალიკაშვილზე მონოგრაფიის ავტორი, დავით მეზუკე („ცვარ-ნამი"): — „არ ვიცი წინათ სად შეასრულა ვალიკომ ფონ რაკენის როლი ლეონიდ ანდრეევის პიესაში „დღენი

[73]გაზ. „ფონი", 1909, 9, 6, № 1, გვ. 7-8.

ჩვენი ცხოვრებისა". მე კი ამ როლში 1910 წელს ვნახე ის ხონის პატარა და ღარიბ სცენაზე, ზაფხულში. წარმოდგენაში მეც ვიღებდი მონაწილეობას და რეპეტიციებს ვესწრებოდი. სხვებიც მინახავს ამ როლში. ვალიკო შალიკაშვილმა ეს მეორეხარისხოვანი როლი ისე რეალურად გამოკვეთა, წამოსწია და წინა პლანზე დააყენა, რომ მისი სახე და თამაში არასოდეს არ წაიშლება ჩემს მეხსიერებაში. ის ისეთი სიძლიერით გადმოსცემდა ამ სუფთად ჩაცმულ, გარეგნულად თავაზიან და მომხიბლავ, მაგრამ შინაგანი ბუნებით მდაბალ, საზიზღარ ეგოისტისა და პედანტ ინტელიგენტი ექიმის სახეს, ისეთი „შემაძრწუნებელი უბრალოებით", რომ მაყურებელს ნერვებს აჭრიდა და ზიზღით ავსებდა მისადმი. განსაკუთრებით ძლიერი იყო, როდესაც ვნებააშლილი, მსუნაგი თვალებით თითებს უსინჯავს თავის მსხვერპლს — ოლოლს და ალერსიანი, თითქოს მშობლიური მზრუნველობით ეუბნე?ა მას: „უმ, ფრჩხილები რად გაქვს ჭუჭყიანი, ეგ არ არის კარგი". ამ მომენტში იმდენად საზიზღარი ხდებოდა, რომ ოლოლის როლის შემსრულებელს, მსახიობ თამარ გოგოლაშვილს ორჯერ ისტერიული ტირილი აუვარდა რეპეტიციებზე და ორჯეჯერ რეპეტიცია შევწყვიტეთ. ყველას გვეშინოდა წარმოდგენის ღამესაც იგივე არ მომხდარიყო, მაგრამ საპასუხისმგებლო მომენტში მსახიობმა ქალმა სძლია თავის თავს და როლი მშვენივრად ჩაატარა"[74].

ვალ. შალიკაშვილმა 1910 წლის სეზონში ორ წარმოდგენაში მონაწილეობის მისაღებად ვალერიან გუნია მოიწვია. მან ითამაშა პიესებში: „გაზაფხულის ნიაღვარი" და „მეგობრობა". ერთი წლის შემდეგ იგი მთელი დასით ეწვია ხონს და იქაურ მაყურებლებს უჩვენა „ღალატი" და გ. ყიფიანის „სამეგრელოს მთავარი ლევანი". სპექტაკლებში ქართული სცენის პირველხარისხოვანი მსახიობები თამაშობდნენ. აი, მაგალითად, როგორ იყო განაწილებული როლები „ღალატში": ზეინაბი — ეფემია მესხი, რუქაია — მარო მდივანი, გაიანე — პაშა შოთაძე, ისახარი — ნატო რონელი, ოთარ-ბეგი — ვალერიან გუნია, ანანია — კოტე მესხი, სულეიმან ხანი — იუზა ზარდალიშვილი, დათო — იოსებ ალავიძე, ირაკლი — ნიკო გვარაძე, ბესო — გიორგი იშხნელი, საბა ბერი — სოსო ივანიძე, ყარა იუსუფი — ალექსი ალექ-

[74] დ. მებუკე, ვალერიან შალიკაშვილი, თბ., 1956, გვ. 33.

სიძე. გასაგებია, რომ წარმოდგენები დიდი წარმატებით ჩატარდა. იმავე 1911 წელს ხონელმა მაყურებლებმა თავიანთ სცენაზე კვლავ ნახეს ლადო მესხიშვილი. დასის მოკარნახე იყო ჩვენი სახელოვანი მგოსანი იოსებ გრიშაშვილი. ლ. მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნა ანტ. ჩეხოვის „შავი ბერი", „სიკვდილი ნაპოლეონისა". მაყურებლები აღტაცებით ხვდებოდნენ სცენაზე ლ. მესხიშვილის ყოველ გამოჩენას.

ნაყოფიერი და საინტერესო აღმოჩნდა 1913 წლის საზაფხულო სეზონი. ჯერ კიდევ 29 მარტს, ქუთაისის მსახიობთა ამხანაგობამ, ხონში „მარგარიტა გოტიე" წარმოადგინა. მარგარიტას თამაშობდა ნუცა ჩხეიძე, არმანს — ალექსანდრე იმედაშვილი, დიუვალს — გიორგი იშხნელი. თეატრის გამგეობამ ხონში მყოფ ნუცა ჩხეიძეს თხოვა დარჩენილიყო მთელი სეზონის განმავლობაში და მონაწილეობა მიეღო სცენისმოყვარეთა წარმოდგენებში. ნუცა ჩხეიძე დათანხმდა. მასთან ერთად მიწვეულ იქნენ შალვა გოგოლაშვილი, კირილე მაჭარაძე და ნიკო გვარაძე. წარმოდგენებს რეჟისორობდა ნ. ჩხეიძის მეუღლე, ცნობილი რეჟისორი მიხეილ ფილიმონის ძე ქორიძე. ნუცა ჩხეიძემ მონაწილეობა მიიღო სპექტაკლებში: კარეევის „უბედური ნაბიჯი" (ვარია), ვალ. გუნიას „მამულ-დედული" (მაგდა), გალ. შალიკაშვილის „ზღვასთან" (მეთევზის ცოლი) და გორდონის „საკლავი" (ახალგაზრდა ებრაელი ქალი). განსაკუთრებით მოსწონდა მაყურებელს ნუცა ჩხეიძე მაგდას როლში. ხონის საზოგადოება აღტაცებული რჩებოდა ამ როლის ბრწყინვალე შესრულებით და მქუხარე ოვაციებს უმართავდა საყვარელ მსახიობს.

1913 წელს ხონში, ქუთაისის შემდეგ, დიდი ამბით გადაიხადეს ლადო მესხიშვილის სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილე. საიუბილეო საღამო და წარმოდგენა სევერიანე ჩხენკელის ეზოში აგებულ პარკის საშრობ ფარდულში ჩატარდა. აუარებელი ხალხი მოაწყდა ხონს სოფლებიდან, — იგონებდა კირილე მაჭარაძე, რომელიც მაშინ ლადო მესხიშვილს ახლდა თან. — ფარდული ხალხით აივსო. სცენიდან უკანა რიგი არ სჩანდა. უკვე საღამოს 8 საათია. წარმოდგენა დაიწყო. პირველი მე გამოვედივარ სცენაზე. ექიმს ვთამაშობ. თმა ჯერ კიდევ ახალგაზრდობიდან ჭაღარა მქონდა, — კიდევ უფრო შევიპუდრე. ჩემი გამოსვლა და ტაშის გრიალი ერთი იყო... შევკრთი, — ეს რა ამბავია მეთქი, — ვიფიქრე.

მივიხედ-მოვიხედე, ლადო არსად ჩანდა. მაშ ასეთ ტაშს ვის უკრავენ მეთქი... დავიბენი... არ ვიცოდი რა მექნა. ვხედავდი აქ შეცდომას ჰქონდა ადგილი. გავიხედე პარტერისაკენ და რას ვხედავ — უკანა რიგში ფეხზე დგანან და ტაშს უკრავენ... გაისმის სსს — ხმა. პირველი რიგებიდან ხალხი წამომდგარა და უკანა რიგებს აწყნარებს — „ხალხო დამშვიდდით, ეს მესხიშვილი კი არა, ჩვენი კირილე მაჭარაძეაო"... თურმე ნუ იტყვით, უკანა რიგებს მესხიშვილად მივუღივარ... გავიხედე კულისებში და ვხედავ მესხიშვილი იცინის, კვდება სიცილით[75].

ეს პატარა ეპიზოდი კარგად ახასიათებს ლ. მესხიშვილის უდიდეს პოპულარობას საქართველოში.

1914 და 1916 წლებში საზაფხულო სეზონებს ხელმძღვანელობდა ნიჭიერი ქართველი მსახიობი და რეჟისორი ა. ყალაბეგაშვილი. მისი ხელმძღვანელობით და მონაწილეობით ხონის თეატრის სცენაზე დაიდგა: „დღენი ჩვენი ცხოვრებისა", „სამშობლო", „რაც გინახავს ველარ ნახავ", „კრეჩინსკის ქორწინება", „პარიზელი ბიჭი", „ცხოვრების გარეშე", „ქრისტინე" და სხვ. ხონის საზოგადოებამ თავისი სიყვარული და პატივისცემა ქართული სცენის უანგარო მუშაკის — ა. ყალაბეგაშვილის მიმართ გამოხატა გულთბილი ბენეფისით, რაც 1916 წელს ჩატარდა. „დღეს, ხუთშაბათს, 4 აგვისტოს, — იუწყებოდა გაზ. „სამშობლო", — დ. ხონში გაიმართება მსახიობ და რეჟისორ ა. ყალაბეგაშვილის ბენეფისი. ყალაბეგაშვილი ერთ, საუკეთესო მსახიობათ ითვლება, ოცი წელია, რაც ის ქართულ სცენას ემსახურება და ამ ხნის განმავლობაში მან დიდი ყურადღება დაიმსახურა ქართველი საზოგადოებისა თავისი მოხდენილი და უნაკლო თამაშით.

ამ ზაფხულს ის ხონის დრამატულმა საზოგადოებამ მოიწვია სეზონში მსახიობათ და რეჟისორათ. და აქაც ნიჭიერი, ახალგაზრდა მსახიობი ქალის — მარო მდივნის და ნემოს დახმარებით თვალსაჩინოთ დააყენა თეატრის საქმე. დღეს დაბა ხონში მადლობის ნიშნად დრამატული საზორგადოება მას ბენეფისს უხდის. ბენეფისის მეტი ჯილდო მსახიობისათვის არ არსებობს ქართულ სცენაზე. ის არის მისი დღესასწაული და საზოგადოებაც ვალდებულია დაესწროს მის

---

[75]ამონაწერი კირ. მაჭარაძის მოგონებიდან, გვ. 10-11, ინახება ჩვენთან.

ბენეფისს, ღირსეული მადლობა და თანაგრძნობა გამოუცხადოს ქართულ მელპომენის ღირსეულ მსახურს[76].

წარმატებით ჩატარდა, აგრეთვე, 1916 წლის 11 ივლისს მსახიობისა და რეჟისორის მიხეილ ნემოს ბენეფისიც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მან გარკვეული წვლილი შეიტანა ხონის თეატრის ჩამოყალიბებისა და განმტკიცების საქმეში, რითაც ადგილობრივი საზოგადოებრიობის პატივისცემა დაიმსახურა.

მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა ხონის კულტურულ ცხოვრებაში სახელმოხვეჭილი ქართველი მომღერლის ვანო სარაჯიშვილის კონცერტი, რომელიც 1916 წლის თებერვალში გაიმართა.

ამავე წელს შედგა ხონის დრამატული საზოგადოება, რომლის გამგეობაში აირჩიეს: ექიმი მ. ჩხენკელი (თავმჯდომარე), ლ. სანოძე, ლ. ჩხენკელი, ი. ჭავჭანიძე, ნ. შაფაქიძე, რ. წიწივაძე და კ. უგულავა. კანდიდატებად: ს. ჯორბენაძე და ევ. სანადირაძე. დრამატული საზოგადოების ინიციატივით 1916 წლის 18 ივნისს, ახალი სეზონის გახსნასთან ერთად, აღინიშნა ხონის თეატრის არსებობის ათი წლისთავი (იგულისხმებოდა ხონში საზაფხულო სეზონების დაწყება). საიუბილეოდ წარმოდგენილ იქნა დ. ერისთავის „სამშობლო", რომელშიაც მონაწილეობდნენ: ა. ყალაბეგაშვილი, მ. ნემო, ა. მურუსიძე, რ. წიწივაძე, ი. რუხაძე, დ. მებუკე, ნიკოკი, ევ. სანადირაძე, გ. ბახტაძე, მ. მდივანი, ლ. ღოღობერიძე და სხვ. (რეჟისორი ა. ყალაბეგაშვილი).

ქართული პრესა ფართოდ გამოეხმაურა ხონის საზაფხულო თეატრის ათი წლისთავს. ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება" გამოქვეყნდა ამ თარიღისადმი მიძღვნილი წერილები, თეატრის ჩამოყალიბების ინიციატორთა ფოტოსურათები და სხვ. საიუბილეო წარმოდგენას, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო, წინ უძღოდა ილია რუხაძის მოკლე მოხსენება ხონის თეატრის მოღვაწეობის შესახებ. ათი წლის მანძილზე (1907 წლიდან 1916 წლამდე) ხონში 135 წარმოდგენა ჩატარებულა. თუ წინათ წარმოდგენებს თითო-ოროლა მაყურებელი ესწრებოდა, „სამაგიეროთ დღეს თეატრი სავსეა ხალხით, — აღნიშნავდა მომხსენებელი. — ემჩნევა საზოგადოების დამოკიდებულება თეატრისადმი აშკარად შეიცვალა. თეატრი ხონელებისათვის საჭირო დაწესებულებათ ხდება,

---

[76] „სამშობლო", 1916, № 421, გვ. 4.

ისეთ კულტურულ დაწესებულებათ, როგორც, მაგალითად, შკოლაა“[77].

ხონის ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილს კარგად ჰქონდა შეგნებული თეატრის დიდი საზოგადოებრივი დანიშნულება და აქტიურად მონაწილეობდა წარმოდგენებში, ლიტერატურულ შეკრება-საღამოებში და კონცერტებში. სცენისმოყვარეთა შორის იყვნენ დარბაისელი ექიმები და პედაგოგები, საზოგადო მოღვაწეები და პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები. ხონის სცენაზე დაიწყეს მოღვაწეობა შემდეგში პროფესიონალმა მსახიობებმა: ვალერიან შალიკაშვილმა, შალვა გოგოლაშვილმა-ხონელმა (საქართველოს სახალხო არტისტი), კირილე მაჭარაძემ (საქართველოს დამსახურებული არტისტი), ილია მამფორიამ და სხვებმა.

ხონში ტრადიციად იქცა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკოლოზ ბარათაშვილის და სხვა მწერლებისადმი მიძღვნილი საღამოების ჩატარება, ლიტერატურული გასამართლებების მოწყობა და სხვ.

1917-1921 წლებში ხონში საზაფხულო სეზონი არ ყოფილა. შ. ხონელი, კ. მაჭარაძე, დ. მებუკე, ნ. გვარაძე და სხვ. ზაფხულობით მართავდნენ წარმოდგენებს, მაგრამ მათ უკვე სისტემატური ხასიათი არ ჰქონდა.

1918 წელს შ. ხონელმა, კ. მაჭარაძემ და დ. მებუკემ შეადგინეს ამხანაგობა, რომელმაც ითავა ხონში წარმოდგენების გამართვის საქმის მოგვარება. „ამხანაგობის“ თაოსნობით ხონის სცენაზე დაიდგა: „სამშობლო“, „და-ძმა“, „შენი ჭირიმე“, შ. დადიანის „იასონის ოინები“, მ. ქორელის „სხვის ლოგინში“, დ. მესხის „ოთხი იმერელი“ და სხვ. 1919 წელს არნახული წარმატებით ჩატარდა თბილისის დასის მსახიობთა გასტროლები. ხუთჯერ წარმოადგინეს ჰ. ჰაჯიბეკოვის ოპერეტა „არშინ მალ-ალან“, რაც იშვიათი მოვლენა იყო. მონაწილეობდნენ: ვასო აბაშიძე, მისი ქალიშვილი — ტასო აბაშიძე, ნ. ჯავახიშვილი, ს. ყიფიანი და კ. ჩაგუნავა.

პირველი წარმოდგენის გამართვის დღიდან ხონელ სცენისმოყვარეთა და ინტელიგენციის საზრუნავი საგანი თეატრისათვის შენობის აგება იყო. 1909 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხონის განყოფილებამ სპეციალური ფონდი დააარსა ხონში სახალხო სახლის ასაგებად. შეიქმნა სპეციალური კომისია.

---

[77] ილია რუხაძე, დასახ. ხელნაწერი.

1913 წელს გაზეთ „იმერეთში“ გამოქვეყნდა ვრცელი წერილი სათაურით „Capre diem!“ ხონის ინტელიგენციისადმი“, რომელიც შეიცავდა მოწოდებას ხონის საზოგადოების მიმართ უფრო ენერგიულად მოეკიდა ხელი თეატრის შენობის აგების საქმისათვის. მიუხედავად ბევრი მეცადინეობისა, ეს საკითხი ვერ მოგვარდა.

XX საუკუნის ათიან წლებში ხონში გაიხსნა სინემატოგრაფი „სინემა–სხივის“ სახელწოდებით.

1921 წლის ზაფხულში დავით და ვანო მებუკეებმა თავი მოუყარეს ადგილობრივ სცენისმოყვარეებს და მუშაობა განაახლეს. დრამატულ წრეში მონაწილეობდნენ: ნ. გეგელია, ა. იოსელიანი, ა. მებუკე და სხვები. სპექტაკლებისათვის დეკორაციებს ხატავდა მაშინ მოსწავლე, შემდეგში სახელგანთქმული ქართველი მხატვარი დ. ქუთათელაძე. დროდადრო მსახიობებსაც იწვევდნენ ქუთაისიდან. წრეს თავისი ორკესტრიც ჰყავდა — გიტარა, ბალალაიკა, მანდოლინა. ორკესტრში უკრავდნენ ცნობილი კომპოზიტორი ალ. ფარცხალაძე, პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე და კოტე კოპინაშვილი. დრამატული წრე წარმატებით მართავდა სპექტაკლებს, აწყობდა კარნავალებს და სხვადასხვა სანახაობებს.

1925-1927 წლებში მომწიფდა პირობები ხონში შექმნილიყო პროფესიული სათეატრო დასი. ადგილობრივი ორგანოების თხოვნით მსახიობმა შ. ჯაფარიძემ შეადგინა დასი, რომელშიაც რამდენიმე ცნობილი მსახიობი მიიწვია. აღნიშნულ პერიოდში ხონელმა მაყურებელმა ბევრი კარგი სპექტაკლი ნახა. მათ შორის: „ელეონორა“, „ლეკის ქალი გულჯავარი“ და სხვ. 1927-1928 წლებში დრამატული წრის ხელმძღვანელად მოიწვიეს მსახიობი ა. ლოლუა. მასთან ერთად სპექტაკლებში მონაწილეობდნენ ვ. ბალანჩივაძე, კ. მაჭარაძე, სცენისმოყვარე ბ. მჭედლიძე და სხვ.

1929-1930 წლებში ხონში, ისე როგორც საქართველოს სხვა რაიონებში, დაარსდა სახელმწიფო თეატრი. ეს დიდი მოვლენა იყო რაიონის კულტურულ ცხოვრებაში. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად მოიწვიეს რეჟისორი ვ. აბაშიძე. დასში შედიოდნენ მსახიობები: ა. გომელაური, ს. ზაქარიაძე, ბ. ზაქარიაძე, შ. ქელბაქიანი, ი. ბაკაკური, შ. ჭავჭანიძე, ნ. როსება, ა. თევზაძე, ო. გოგნიაშვილი და სხვები. თეატრის ირგვლივ შემოიკრიბა სცენისმოყვარეთა დიდი ჯგუფი. მხატვრებად მუშაობდნენ თვალიაშვილი, აბჟანდაძე და ან. ბახტაძე. სპექტაკლებს მუსიკალურად აფორმებდნენ რ. გოგ-

ნიაშვილი და მ. ჩემია. დაიდგა: „ხატიჯე“, „ლიანდაგი გუგუნებს“, „როგორ“ და სხვ. თეატრი გასტროლებს მართავდა მეზობელ რაიონებშიც.

1931-1934 წლებში თეატრს ხელმძღვანელობდნენ რეჟისორები გ. ჯაოშვილი და ა. ყვინჩია. დასში შედიოდნენ: ი. ყვინჩია, შ. ტაბიძე, კ. გაბუნია, ვ. ქუთათელაძე, მ. ჭავჭანიძე, ა. ბახტაძე, დ. ქვათელაძე, გ. კაკაბაძე და სხვ. დაიდგა პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, ა. ყვინჩიას „ჟანგი“, შალვა დადიანის „გეგეჭკორი“, ვალ. გუნიას „და-ძმა“ და სხვ.

1934-1935 წლებში ხონის რაიონულმა ხელმძღვანელობამ ხელშეკრულება დადო ქუთაისის სახელმწიფო თეატრთან. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობამ (ვ. ყუშიტაშვილი, ს. ჩხარტიშვილი) სეზონი წარმატებით ჩაატარა. ამ პერიოდის სპექტაკლებიდან მაყურებლებში დიდი სიყვარულით სარგებლობდა დრამატურგ პ. სამსონიძის (ქუთათელაძე) „სალტე“.

შემდეგ ხონის დრამატულ წრეს სათავეში ჩაუდგა მსახიობი მ. ბახტაძე. 1938 წ. აღდგენილ იქნა სახელმწიფო თეატრი. რეჟისორად მოიწვიეს ბ. მაღლაკელიძე. დასი შეივსო კვალიფიციური კადრებით. მაყურებელი კმაყოფილი იყო. სპექტაკლების მხატვრული დონით დიდებულ სანახაობას წარმოადგენდა პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“. 1939 წელს დასს სათავეში ჩაუდგა ა. ყვინჩია. რეჟისორებთან ერთად, ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდნენ მუსიკოსები: მ. კაჯელაშვილი, შ. დიაკვნიშვილი და სხვ.

1947 წელს ხონში სახელმწიფო თეატრი გაუქმდა.

### 3. ხონის ბიბლიოთეკა-სამკითხველო

ხონში ბიბლიოთეკის გახსნის საკითხი ჯერ კიდევ XIX საუკუნის 70-იან წლებში დაისვა, მაგრამ მისი გადაწყვეტა ძალზე გაჭიანურდა. მეფის ხელისუფლებამ პრაქტიკული გამოცდილებით კარგად იცოდა, რომ ქალაქებსა და დაბა-სოფლებში ბიბლიოთეკა-სამკითხველოები წარმოადგენდნენ შესაკრებ ადგილს, სადაც თავს იყრიდნენ მშრომელები და ინტელიგენცია, რომლებიც აქ არა მარტო ლიტერატურასა და ჟურნალ-გაზეთებს ეცნობოდნენ, არამედ ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ აზრებს, მსჯელობდნენ მთავრობის პოლიტიკაზე, ადგილობრივ მოხელეთა მოქმედებაზე და ა. შ. ბიბლიოთეკებიდან ზოგჯერ არალეგალურად ნაროდნიკული და სხვა სახის პოლიტიკური ლიტერატურა ვრცელდებოდა,

რაც კიდევ უფრო ზრდიდა მათ პოპულარობასა და გავლენას მოსახლეობაში. 900-იან წლებში ოზურგეთის მაზრაში გლეხთა მღელვარების გარემოებათა გამოძიების შედეგად, სხვათა შორის, გამოირკვა, რომ ნაწილობრივ ამის მიზეზი ყოფილა სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, რომლებიც სოფლის მასწავლებელთა ზედამხედველობაში იმყოფებოდნენ. ისინი ბიბლიოთეკებში ინახავდნენ აკრძალულ წიგნებს, რომლებიც მავნე გავლენას ახდენდნენ მცირემცოდნე გლეხთა მასაზე, — წერდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს[78]. ამიტომ იყო, რომ მეფის მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა ხელი შეეშალა ახალი ბიბლიოთეკების გახსნისათვის, ხოლო უკვე არსებულებზე დაეწესებინა თავისი კონტროლი და მინიმუმამდე შეემცირებინა მათში ქართული წიგნების რაოდენობა. ქუთაისის გუბერნიის სკოლების ინსპექტორმა სპეციალური ინსტრუქციით აუკრძალა მასწავლებლებს ბიბლიოთეკა-სამკითხველოებში შეკრება და იქ რაიმე საკითხებზე მსჯელობის გამართვა. დიდი დაბრკოლებების მიუხედავად, მოწინავე საზოგადოებრიობა მაინც ახერხებდა აქა-იქ ბიბლიოთეკა-სამკითხველოები გაეხსნა. 80-იანი წლებიდან ამ საქმეს ენერგიული ქომაგი გამოუჩნდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახით.

1883 წლის 22 სექტემბერს „დროება" გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ხონში „საოსტატო სემინარიაც არის, ორკლასიანი ნორმალური სასწავლებელი, საქალებო სკოლა და ათასამდე შეგირდიც, მაგრამ ამ დაბაში ვერ ნახავთ ვერც ბიბლიოთეკასა და ვერც წიგნის მაღაზიას"[79]. 90-იანი წლების პირველ ნახევარში რამდენიმე პირმა ნესტორ ლეჟავას ხელმძღვანელობით ხონში სამკითხველოს გახსნა განიზრახა, ხელისმოწერის საშუალებით მცირეოდენი თანხაც შეაგროვეს, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანეს. 1894 წ. ერთი ხონელი კორესპონდენტი გაზეთ „ივერიაში" წერდა: „საქართველოს ყოველმა კუთხემ შეიგნო სწავლა-განათლების მნიშვნელობა, ხონელებს კი არა გვეშველა რა, ამოდენა დაბაში ერთი სამკითხველოც არ არსებობს, რომ კაცს შეძლება ჰქონდეს ჟურნალ-გაზე-

---

[78] ტ. ხუნდაძე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თბ., 1960, გვ. 72-73.

[79] „დროება", 1883, 9, 22, № 87, გვ. 2.

თებს თვალყური ადევნოს, რაიმე გონებრივი საზრდო შეიძინოს“[80]. 1895-1901 წწ. ამ საკითხზე „ივერიასა“ და „კვალში“ კვლავ რამდენიმე წერილი დაიბეჭდა. ერთ-ერთი მათგანიდან ირკვევა, რომ 1896 წელს, ადგილობრივი ინტელიგენციის თაოსნობით, ხელახლა შეუგროვებიათ საჭირო თანხა და მთავრობისათვის ბიბლიოთეკის გახსნის ნებართვა უთხოვიათ. მთავრობისაგან პასუხის დაგვიანების გამო ხონელებმა დახმარებისათვის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას მიმართეს. 1898 წლის 11 აგვისტოს ევ. ქუთათელაძე ქშწკგს-ის გამგეობის მდივანს დავით კარიჭაშვილს წერდა: „ხონელებმა მთხოვეს ჩამოვიდე თფილისში და მართველობას წერა-კითხვის საზოგადოებისა ვთხოვო, რათა მან გვათხოვოს უფლება ხონში ბიბლიოთეკის გასახსნელათ. ესე იგი საზოგადოება გახსნის ყოველივე ჩვენი საშუალებით... გთხოვ შამომითვალო კანონიერ კრებას შეგვიძლია მოვუყაროთ ეხლა თავი თუ არა? კრებამ უნდა განიხილოს ჩვენი თხოვნა და დაადგინოს თავისი განაჩენი“[81]. გამგეობისაგან დადებითი პასუხის მიღების შემდეგ, 1899 წლის 14 ივლისს, მოწვეულ იქნა ხონის მცხოვრებთა კრება, რომელმაც შემდეგი დადგენილება მიიღო: 1. ეთხოვოს ქშწკგ საზოგადოების გამგეობას, რომ დაგვიარსოს თავის სახელზე დ. ხონში საჯარო ბიბლიოთეკა სამკითხველოთი და მართოს იგი; 2. ამ ბიბლიოთეკის შესანახად ვიხადოთ თვითეულმა ჩვენთაგანმა წელიწადში არანაკლებ ერთი მანეთისა და მოვიპოვოთ სხვადასხვაგვარი საშუალებანი ბიბლიოთეკის ყოველგვარი ხარჯის გასაძლოლად; 3. ავირჩიოთ სამი წლის ვადით ბიბლიოთეკის სამზრუნველო კომიტეტი ხუთი წევრისაგან, რომელთაგან ერთი იქნება თავმჯდომარე, ერთი ხაზინადარი და ერთიც — მდივანი“[82].

კრებამ აირჩია სამზრუნველო კომიტეტი (მათე ბახტაძე — თავმჯდომარე, იოსებ ბალანჩივაძე — ხაზინადარი, მიხეილ ქუთათელაძე — მდივანი, ევგ. ქუთათელაძე და ვალერიან მებუკე, კანდიდატებად: ილია წულუკიძე და სევერიანე ჩხენკელი) და ბიბლიოთეკის გამგე (ხონის მომრიგებელი მსაჯულის გამომძიებელი კონსტანტინე სოლომონის ძე წერე-

[80]„ივერია“, 1894, 10, 19, № 221, გვ. 2.

[81]სცია, ფ. 481, საქ. 596, ფურც. 1.

[82]იქვე, საქ. 707, ფურც. 2.

თელი, ხოლო მის კანდიდატად — დავით გლუშაკოვი). სამზრუნველო კომიტეტის გადაწყვეტილებით უნდა დაარსებულიყო ორი სახის აბონომენტი: პირველი ხარისხის — გადასახადი 30 კაპ. და მეორე ხარისხის — 20 კაპ. სამკითხველოში შესასვლელი — 5 კაპ.

1901 წლის 20 მაისს, სათანადო ნებართვის მიღების შემდეგ, ხონში ბიბლიოთეკა-სამკითხველო გაიხსნა[83]. პირველ წელს ბიბლიოთეკას სულ 300 წიგნი ჰქონდა, მათ შორის ქართული იყო — 225. 1915 წლისათვის კი წიგნადი ფონდი 1625-მდე გაიზარდა. 1912 წელს ადგილობრივმა ინტელიგენტმა სპ. გორდულაძემ ბიბლიოთეკას 359 წიგნი უანდერძა (მათ შორის 104 ქართული და 255 რუსული). სხვადასხვა დროს ბიბლიოთეკა ღებულობდა ჟურნალ-გაზეთებს — ქართულს: „ივერია", „კვალი", „ცნობის ფურცელი", „ჯეჯილი", „მომავალი", „ფონი", „ნაკადული", „ეშმაკის მათრახი", „სახალხო გაზეთი", „კოლხიდა", „იმერეთი", „განათლება", „სასოფლო გაზეთი", „თემი", „ერი", „სიმართლის ხმა" და სხვ. რუსულს: „Новое обозрение", „Русское богатство", „Кавказский вестник", `Нива", „Закавказье", „Вестник знании", "Закавказская речь", "Правда" და სხვ.

თავდაპირველად ბიბლიოთეკა ერთ დაქირავებულ ოთახში იყო მოთავსებული და მას სათავეში ედგა სამზრუნველო კომიტეტი. ბიბლიოთეკის საქმეებს უსასყიდლოდ აწარმოებდა მარიამ ქუთათელაძე, რომელიც ყოველგვარი ღონისძიებით ცდილობდა სამკითხველოში მოსახლეობის მოზიდვას, რის გამო მკითხველთა რაოდენობა დღითიდღე იზრდებოდა. ბიბლიოთეკის მუშაობას აფერხებდა ის გარემოება, რომ იგი შუაგულ ბაზარში იყო მოთავსებული, სავაჭრო დუქნებს შორის, საიდანაც განუწყვეტლივ ისმოდა ხმაური და ხმამაღალი ლაპარაკი. საზოგადოების მოთხოვნით ბიბლიოთეკა უფრო მყუდრო ადგილას იქნა გადატანილი. ამასთან ერთად გრძელდებოდა თანხის შეგროვება ბიბლიოთეკისათვის საკუთარი შენობის შესაძენად. ამ საქმეში, და საერთოდ ხარჯების დაფარვაში, სამზრუნველო კომიტეტს დიდ დახმარებას უწევდა საზაფხულო თეატრი. სპექტაკლებიდან შემოსული თანხის გარკვეული ნაწილი ბიბლიოთეკაზე იხარჯებოდა.

1902-1906 წლებში ბიბლიოთეკის გამგის მოვალეობას ასრულებდა ექიმი პ. ლ. კიკალიშვილი. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ბიბლიოთეკის ფონდის შევსებას პო-

---

[83] იქვე, ფურც. 12.

ლიტიკური, ეკონომიკური და საბუნებისმეტყველო შინაარსის წიგნებით. პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დროს გაიზარდა ინტერესი საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიისადმი. ამიტომ ბიბლიოთეკას შეუძენია კარნოს ცნობილი შრომა „საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია". ამ პერიოდში, როგორც ანგარიშებიდან ჩანს, ყველაზე მეტად გაუტანიათ ისტორიულ და პოლიტიკური ეკონომიის თემებზე დაწერილი წიგნები, ლ. ტოლსტოისა და მ. გორკის თხზულებანი.

1906 წელს ასეთი წვალებითა და ვაი-ვაგლახით დაარსებული ბიბლიოთეკა დაიხურა. ამით ხონმა დაკარგა ერთ-ერთი თვალსაჩინო კულტურული დაწესებულება. ინტელიგენცია და ფართო საზოგადოებრიობა არ შეიძლებოდა ამას შერიგებოდა. 1907 წლის 9 დეკემბერს გაიმართა კრება, რომელშიაც მონაწილეობდნენ: ალ. ჭიჭინაძე, ივ. შარაშიძე, ივ. ქუთათელაძე, გ. ბერიძე, მ. ცაგარეიშვილი, ალ. კაკაბაძე, ს. ჩიქოვანი, ვლ. აბაშიძე, ს. გოროზია, პლ. ცაგარეიშვილი, ა. ბახტაძე, ს. მამალაძე, კ. სოლოვიოვი, ა. მებუკე, ი. მამფორია, მ. ჭელიძე, ალ. მაჭარაძე, მ. ქუთათელაძე, გ. ბახტაძე, ალ. ბახტაძე, ვლ. ნადარეიშვილი, ლავ. ჩიმაკაძე, გ. სოგლობოვი, ლ. სანაძე, გ. ბურჭულაძე და სხვები. კრებამ აირჩია ბიბლიოთეკის გამგეობა (გ. ი. ბურჭულაძე, სპ. გორდულაძე და ლ. ბოკერია) და გამგე (პოლკოვნიკი გ. ა. ქუთათელაძე, მაგრამ მან შემდეგ ამ თანამდებობაზე უარი განაცხადა და შეცვალა გ. ბურჭულაძემ).

1909 წლიდან ბიბლიოთეკის საქმეებს განაგებდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხონის განყოფილება. სხვადასხვა დროს ბიბლიოთეკაში მუშაობდნენ: ეფ. ჭიჭინაძისა, ეკ. ბახტაძისა, ნინო წივწივაძე, მათე ბახტაძე და სხვები. 1913 წელს ბიბლიოთეკას ივანე შარაშიძის სახლში ორი მოზრდილი ოთახი გამოეყო.

ხონის მოსახლეობაში ბიბლიოთეკის გავლენის ზრდის მაჩვენებელია შემდეგი მონაცემები: 1901 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკაში შემოვიდა 1531 მკითხველი, მათ შორის მამაკაცი — 1270, ქალი — 261; 1902 წელს სამკითხველოში შესასვლელი გადასახადი გაუქმდა, რამაც მკითხველთა რაოდენობა გაზარდა. 1904 წელს მან 6060-ს მიაღწია, მათ შორის მამაკაცი იყო — 5200, ქალი — 860. ხონის ბიბლიოთეკა მომსახურებას უწევდა არა მარტო ქართველ მოსახლეობას, არამედ სხვა ეროვნების წარმომადგენლებსაც (რუსე-

ბი, სომხები...). 1915 წელს ბიბლიოთეკაში შემოსულ 4584 მკითხველიდან რუსი იყო 209, სომეხი — 85.

ხონის ბიბლიოთეკის ანგარიშებიდან ჩანს, რომ მოსახლეობას განსაკუთრებით აინტერესებდა კლასიკური და თანამედროვე ქართული ლიტერატურა. ამიტომ იყო, რომ ყველაზე დიდი მოთხოვნილება ჰქონდა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის, ეგნატე ნინოშვილის და სხვ. წიგნებს, რუსი მწერლებიდან: ლ. ტოლსტოის, გონჩაროვის, მ. გორკის და სხვ. ნაწარმოებებს.

მეფის თვითმპყრობელობის არსებობის პირობებში, როდესაც ყოველივე ეროვნული შეუბრალებლად იდევნებოდა და იჩაგრებოდა, ქართულ სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს თავიანთი მოკრძალებული წვლილი შეჰქონდათ ქართული ენისა და კულტურის დაცვის საქმეში.

ბიბლიოთეკების მუშაობა გააქტიურდა XX საუკუნის 30-იანი წლებიდან; მნიშვნელოვნად გაიზარდა მკითხველთა რაოდენობა. ამასთან ერთად, სკოლებში, სარაიონო და საბავშვო ბიბლიოთეკებში სისტემატურად ტარდებოდა შეხვედრები მკითხველებთან, ლიტერატურული საღამოები, საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილი ღონისძიებანი და სხვ...

ბიბლიოთეკარები: საშა ნოსელიძე, თინა კილაძე, ეთერ ცაგარეიშვილი, მარგო კინწურაშვილი, მარგო ბახტაძე, ნინა კაკაბაძე, ნინა შავდია, მერი აბაშიძე, შურა ვაჭარაძე, მერი ძიძიგური, ეთერ ტაბიძე, ეთერ და ლიანა ქაჯარაძეები, ციალა ჩხენკელი და სხვები გამოირჩეოდნენ და გამოირჩევიან მკითხველებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით.

## 4. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხონის განყოფილება

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელიც 1879 წელს ჩამოყალიბდა ი. ჭავჭავაძის, ი. გოგებაშვილის, დ. ყიფიანის, ნ. ცხვედაძის, ბეს. ღოღობერიძის, ვახ. თულაშვილის და სხვათა ინიციატივით, დიდ ეროვნულ საქმეს ემსახურებოდა. ქართული სკოლებისა და ბიბლიოთეკა-სამკითხველოების გახსნით, მოსახლეობაში მშობლიურ ენაზე დაწერილი წიგნების გავრცელებით, ძველი ხელნაწერებისა და საისტორიო მასალების შეკრება-გამოცემით, საიუბილეო საღამოების და სხვა ღონსიძიებათა მოწყობით, „საზოგადოება" ენერგიულად იცავდა ქართულ

კულტურას რეაქციის შემოტევებისაგან და სერიოზულად აფერხებდა მეფის მთავრობის რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებას.

900-იან წლებამდე „საზოგადოებას“ ცალკეულ ქალაქებსა და მაზრებში თავისი აგენტები ჰყავდა. მათ ევალებოდათ საწევრო გადასახადების აკრება, ახალ წევრთა მიღება, საქველმოქმედო საღამოების გამართვა, ქართული სკოლებისა და ბიბლიოთეკებისათვის დახმარების აღმოჩენა.

1905-1907 წლების რევოლუციამ მნიშვნელოვნად გააფართოვა მშრომელთა გონებრივი ჰორიზონტი და გაზარდა მათი კულტურული მოთხოვნილებანი. წკგ საზოგადოების გამგეობის ურთიერთობა რაიონებთან აგენტების საშუალებით შეზღუდული და ნაკლებ ეფექტური იყო. მომწიფდა „საზოგადოების“ განყოფილებათა დაარსების საკითხი. 1907 წლის 21 მარტს მიღებულ იქნა ახალი წესდება, რომლის 25-ე პარაგრაფში ნათქვამი იყო: „საზოგადოებას უფლება აქვს გახსნას ადგილობრივი განყოფილება, სადაც საჭიროდ დაინახავს“.

ქალაქებსა და დაბა-სოფლებში განყოფილებების გახსნით საზოგადოება თანდათან მასობრივ ორგანიზაციად იქცა.

1908 წლის მეორე ნახევარში ხონში შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი (ალ. ჭიჭინაძე, ივ. შარაშიძე, ს. მამალაძე, პ. კიკალიშვილი, გრ. ბურჭულაძე, შ. მიქელაძე, ლ. ჩიმაკაძე, ემ. ცაგარეიშვილი, გ. ჭელიძე და სხვები), რომელსაც უნდა ჩამოეყალიბებინა წკგ საზოგადოების ადგილობრივი განყოფილება. ამ ჯგუფმა 1909 წლის 11 თებერვალს მოიწვია საზოგადოების წევრობის მსურველთა კრება, რომელმაც დაადგინა: „... გაიხსნას საზოგადოების ადგილობრივი განყოფილება ხონის, მარტვილისა და ბანძის საბოქაულოთა და სამიქაოს საზოგადოების რაიონში“[84]. აირჩიეს განყოფილების გამგეობა შემდეგი შემადგენლობით: ალ. ჭიჭინაძე (თავმჯდომარე), პ. კიკალიშვილი, მ. ბახტაძე, გრ. ბურჭულაძე, ივ. შარაშიძე და ლ. ჩიმაკაძე. გამგეობის პირველი სხდომა გაიმართა 1909 წლის 22 აპრილს.

განყოფილების ძირითად მოვალეობას შეადგენდა ახალი წევრების მიღება, საწევროების აკრება, ქართული სკოლებისა და ბიბლიოთეკების დაარსება, ქართული წიგნების გავრცელება, ლიტერატურულ-მუსიკალური საღამოების გა-

---

[84] იქვე, საქმე 1150, ფურც. 8.



ხონის ინტელიგენციის წარმომადგენელთა ჯგუფი

მართვა, ადგილობრივ თეატრზე ზრუნვა, ლექციებისა და საუბრების ჩატარება, მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების იუბილეების მოწყობა და ა. შ.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხონის განყოფილებას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ: ალ. ჭიჭინაძე, ეკატერინა ვასილის ასული ბახტაძე, მათე ბახტაძე (გამგეობის თავმჯდომარეები), ივ. შარაშიძე (თავმჯდომარის მოადგილე), გრ. ბურჭულაძე, ლ. ჩიმაკაძე, ვ. მებუკე (გამგეობის მდივნები), პ. ჩხიკვიშვილი, ს. მამალაძე, ეფ. ჭიჭინაძისა, ე. ცაგარეიშვილი, ე. კიწმარიშვილი, მ. ჭელიძე, შ. მიქელაძე, ლ. სანოძე და სხვ. (გამგეობის წევრები).

1909 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხონის განყოფილებას 30 წევრი ჰყავდა, 1911 წელს — 68, ხოლო 1917 წელს — 196.

თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე ხონის განყოფილებამ ძირითად მიზნად დაისახა სახალხო სახლის აგება. დაარსდა სპეციალური ფულადი ფონდი სახელწოდებით — „სახალხო სახლის სამშენებლო თანხა“. სახალხო სახლში, მოწინავე ინტელიგენციის აზრით, გაიმართებოდა იაფ-

ფასიანი წარმოდგენები, კონცერტები და ლიტერატურული საღამოები, ჩატარდებოდა პოპულარული ლექციები მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან, პერიოდულად მოეწყობოდა სასოფლო-სამეურნეო და სხვა კურსები. ასეთი სახლი უნდა ყოფილიყო თეატრიც, კლუბიც, სახალხო უნივერსიტეტიც. მიუხედავად ადგილობრივი განყოფილების ხანგრძლივი და ენერგიული ცდისა, სახალხო სახლის აგების იდეა განუხორციელებელი დარჩა.

განყოფილება დიდ ყურადღებას აქცევდა წარმოდგენების გამართვის საქმეს, რომელსაც სათეატრო სექცია ხელმძღვანელობდა. 1913 წელს განყოფილებამ გადაწყვიტა თეატრს სათავეში დრამატული საზოგადოება ჩადგომოდა. 1913 წლის ანგარიშში ამ საკითხზე ვკითხულობთ: „... როდესაც ჩვენმა გამგეობამ თეატრის ხელმძღვანელობა იკისრა, მაშინ თეატრის საქმეს აწარმოებდნენ სცენისმოყვარენი, ერთი გამოცდილი მსახიობის ხელმძღვანელობით. ხარჯი ცოტა იყო და გვპირდებოდნენ, რაც დაგვრჩება თქვენ გადმოგეცემათ სახალხო სახლის ფონდისთვისო. რაც დრო გადიოდა, სცენისმოყვარეთა ჯგუფი მცირდებოდა და საჭირო შეიქმნა მსახიობთა მოწვევა. ამან კი ხარჯი გაადიდა, დეფიციტი გამოიწვია... გამგეობის აზრია ჩამოშორდეს ჩვენს განყოფილებას თეატრის საქმე და შედგეს თეატრის მოსაწყობად დრამატული საზოგადოება“[85]. მაშასადამე, განყოფილებამ თეატრის ხელმძღვანელობაზე უარი თქვა მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო.

განყოფილება განაგებდა ხონის, გუბის, მათხოჯის, ნაოდალევის და გორდის ბიბლიოთეკებს. 1916 წელს დააყენა საკითხი სოფლებში: თამაკონში, ხიდში, სერგიეთში, სამიქაოსა და სალხინოში ახალი ბიბლიოთეკების გახსნის შესახებ; მოახერხა ხონის ბიბლიოთეკისათვის საკუთარი შენობა შეეძინა.

ქართული წიგნების მოსახლეობაში გავრცელების მიზნით განყოფილებამ ხონში გახსნა წიგნებისა და საკანცელარიო ნივთების მაღაზია[86].

წიგნის მაღაზია ხონში ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში გაიხსნა. 1886 წელს „ივერია“ წერდა: „სულ ორი-სამი წელიწადია მას აქეთ, რაც დაბა ხონში

---

[85] იქვე, ფურც. 114.

[86] იქვე, ფურც. 118.

ერთმა სოფლის მასწავლებელმა, სახელდობრ ბ-ნმა ნესტორ წერეთელმა გამართა წიგნის მაღაზია. ამ მაღაზიამ თანდათან ფეხი მოიკიდა და დღეს საუკეთესოდ თურმე მიდის მისი საქმეები. ამის გამო იქ, სადაც ორ ქართულ წიგნს ვერ იპოვიდა კაცი, დღეს მრავლად არის ქართული წიგნები და საოცრად ძრიელ იყიდება. ტფილისიდამ იბარებს ეს მაღაზია სხვადასხვა წიგნებს ასობითა და ორასობით. რაც შეეხება სახელმძღვანელოებს ასობით და ორასობით ასაღებს თურმე და ამ სახით ჰფენს წიგნებს თითქმის მთელს იმერეთს და სამეგრელოს"[87].

ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, 1889 თუ 1890 წელს ხონში სტამბაც დაარსებულა[88]. სტამბის დაარსების თაოსანი ყოფილა ადგილობრივი მასწავლებელი ალექსანდრე მაჭარაძე. ამ სტამბის შესახებ ცნობები არა გვაქვს. „ქართული წიგნის" მიხედვით, 1903 წელს ხონში, ალ. მაჭარაშვილის სტამბაში დაიბეჭდა „პროექტი ქუთაისის გუბერნიის, იმავე მაზრის ნახახულევის საზოგადოების ს. მათხოჯის მომხმარებელთა საზოგადოების წესდებისა"[89]. სხვა ბეჭდური მასალა, ხონის სტამბიდან გამოსული, აღნუსხული არ არის.

განყოფილება პერიოდულად აწყობდა ე. წ. ბუნდოვანი სურათების ჩვენებას. მაგალითად, 1910 წელს ნაჩვენები იქნა შემდეგი ბუნდოვანი სურათები: ილია ჭავჭავაძის „დიმიტრი თავდადებული", აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავი", იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა", ლუნკევიჩის „ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია", საქართველოს ტიპები.

განყოფილების მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უბანს შეადგენდა „სახალხო კითხვისა" და ლექციების ჩატარება. მაგალითად, 1916 წელს განყოფილებამ გამართა 13 სახალხო კითხვა, ორი ლექცია თემებზე: აკაკი წერეთლის „ნათელა", „ერთი ქალისას ამბობენ", „თანამედროვე ქალი", დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი" (ჩაატარა ილია რუხაძემ), „სოლომონ დიდი მეფე იმერეთისა" (კ. უგულავამ), „მეხის ამბავი", „ჰაერი და სითბო" (ირ. ბერძენიშვილმა), ეგ. ნინოშვილის „პალიასტომის ტბა" და „განკარგულება",

---

87 „ივერია", 1886, 16, 13, № 246, გვ. 1.

88 ზ. ჭიჭინაძე, ისტორია ქართული სტამბისა და წიგნის ბეჭდვისა 1709-1909, ვახტანგ VI, თფ., 1909, გვ. 7.

89 ქართული წიგნი (ბიბლიოგრაფია), ტ. I, თბ., 1941, გვ. 266 (№ 2721).

ალ. ყაზბეგის „მოძღვარი" (ე. მ. ცაგარეიშვილმა); პ. ჩხიკვიშვილს წაუკითხავს ილიასა და აკაკის რჩეული ლექსები, მათე ბახტაძეს ლექცია თემაზე: „გადამდებ სნეულებათა წინააღმდეგ ბრძოლა". როგორც აქ წარმოდგენილი თემატიკიდან ჩანს, განყოფილება ცდილობდა მოსახლეობის ფართო ფენებისათვის გაეცნო ქართული კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები, მიეწოდებინა მათთვის ელემენტარული ცოდნა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიდან. ეს საქმე რომ უფრო მყარ ნიადაგზე დამკვიდრებულიყო, განყოფილების ინიციატივით 1916 წლის 20 ოქტომბერს ხონის საკრებულო ტაძართან არსებულ სასწავლებლის შენობაში გაიხსნა საკვირაო სკოლა.

განყოფილებამ 1912 წელს ცნობილი საზოგადო მოღვაწის ი. ს. შარაშიძის ხსოვნის უკვდავსაყოფად დააარსა ფონდი, რომელიც ხმარდებოდა ადგილობრივი სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა სწავლის ქირის გადახდას. ალექსი ჭიჭინაძის თბილისში გადაყვანის შემდეგ დაარსებულ იქნა ახალი ფონდი გამოჩენილი პედაგოგისა და დიდი პატრიოტის ხონში მოღვაწეობის აღსანიშნავად. განყოფილებას ამ თანხით განზრახული ჰქონდა შეეძინა ქართველი მწერლების საუკეთესო თხზულებანი, მოეთავსებინა ცალკე კარადაში და ა. ჭიჭინაძის სურათთან ერთად, სათანადო წარწერით, დაედგა ხონის სამკითხველოში.

განყოფილება ხშირად მართავდა ქართველი მწერლებისა და მოღვაწეებისადმი მიძღვნილ საღამოებს, ფულადი სახსრების გადიდების მიზნით აწყობდა სეირნობებს, სალიტერატურო დილებს, კრებდა შემოწირულობებს, ფულს აგროვებდა ყულაბებით.

1917-1920 წლებში რაიონის განყოფილების მოღვაწეობა ხონის რაიონით შემოიფარგლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა და ადგილობრივი ხელისუფლება ყოველმხრივ აბრკოლებდა განყოფილების მუშაობას, მას უყურადღებოდ არ დაუტოვებია არცერთი კულტურული ღონისძიება საქართველოს სინამდვილეში, რომელსაც საზოგადოებრივი და ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა. მან ამით თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა იმ დიდ საშვილიშვილო საქმეში, რომელსაც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ემსახურებოდა.

## 5. ხონი და აკაკი წერეთელი

აკაკი წერეთელს ხონში მრავალი მეგობარი ჰყავდა: ილია ბახტაძე და მისი ძმები, პოლიკარპე ჩხიკვიშვილი, ივანე შარაშიძე, მათე ბახტაძის ოჯახი, პოლ. კიკალიშვილი და სხვები. ამიტომ დიდი პოეტი ხონის ხშირი სტუმარი იყო. ხონელები ყოველთვის აღტაცებით ხვდებოდნენ თავიანთ სათაყვანებელ მგოსანს. აკაკისაც უყვარდა ხონელი ნაცნობ-მეგობრების მონახულება. ხონთანაა დაკავშირებული აკაკის ერთი ცნობილი ნაკვესი. აკაკი ხონში იყო. წამოსვლისას ეტლში ერთი ადგილი დაიქირავა. მეეტლემ ჩასვა პოეტი ეტლში და, ჩვეულებისამებრ, ბაზრის ირგვლივ ძახილით „ვის გინდათ, ვის გინდათ" — რამდენჯერმე შემოატარა. აკაკიმ გააჩერა მეეტლე და უთხრა: „ვის გინდათ, ვის გინდათ რომ იძახი, ხომ ხედავ, არავინ მყიდულობს, ისევ მე მითხარი, რამდენად ვარ შეფასებული, იქნებ შევძლო თავის გამოხსნაო"[90].

1901 წლის ივლისში აკაკი ხონში ჩავიდა თავისი მეგობრის, ილია ხონელის (ბახტაძის) გარდაცვალების წლისთავზე. აკაკიმ ილია ხონელის საფლავზე წარმოთქვა შესანიშნავი სიტყვა. აი, ისიც: „გრძნობაცა და გონებაც, ორივე ერთად მიწვევდნენ, რომ განსვენებული ხონელი — ილია ბახტაძის დასაფლავების დროს აქ დავსწრებოდი, მაგრამ გარემოებამ ხელი შემიშალა და დღეს წლის თავზე კი ვასრულებ ჩემს სურვილსა და მოვალეობას: ვინც სიცოცხლეში უმეტესობისაგან, თითქმის ყველასაგან ცნობილია, სიკვდილის შემდეგ იმაზე ლაპარაკი მეტია! მაგრამ ცნობაც არის და ცნობაც! ყველას თავისებურად ესმის ავი და კარგი, განსაკუთრებით საზოგადო მოღვაწის შესახებ და ხშირად წუნსა სდებენ იმას, რაც მხოლოდ მოსაწონია. მეც ჩემის მხრით, აწონილ-გაზომილი მყავდა, როგორც საზოგადო მოღვაწე განსვენებული ილია ხონელი და არ შემიძლია არ ვაღიარო, რომ ის ამ დაკნინებულ ჩვენ დროში იშვიათი მოვლინება იყო: ნიჭიერი და გრძნობა-გონება განვითარებული. მართალია დღეს ჩვენს გვერდით სხვებიც არიან ნიჭიერები და საასპარეზოდ საკმაოდ მომზადებულნი, მაგრამ მე მათ ასე არ შევხარი, როგორც ამ განსვენებულს შევხაროდი! ჭკუის ძალა და ნიჭი ორგვარია: ერთი დემონური ანუ

---

[90] აკაკი, ნაკვესები, თბ., 1960, გვ. 39.



აკაკი წერეთელი ხონში

ეშმაკეული და მეორე ანგელოსებრივი. პირველის აკვანბუდე უმაღლარი კუჭია და მეორესი წმინდა გული. ბოროტი ნიჭი მხოლოდ თავისთავს ემსახურება და საზოგადოს, როგორც საპირბედო რამეს იმდენად ეპოტინება, რამდენადაც მისი კერძოობისათვის გამოსადეგია!.. და ბოლოს, გარეგნობით გაბრწყინებული თვალხარბსა და გულგაუმაძღარ ბრბოს სათაყვანო ხდება, კეთილი ნიჭი კი საზოგადოა, გარეგნობის უარისმყოფელი და თავდადებული. ამ მეორეთაგანს ეკუთვნოდა განსვენებული ილია ბახტაძე, რომელსაც შეეძლო, თუ მარტო თავისთავზე ეფიქრა სხვებსავით, მისი სახორციელო კეთილდღეობა გაეუმჯობესებია და ხანგრძლივიც ყოფილიყო... მუდამ იმას ფიქრობდა: „ვიღას ახსოვს თავის სატკივარი, თუ სატრფოც ჰყავს იმას იმდროსვე ცოცხალმკვდარი?“ და მართლაც რომ ასე უნდა ფიქრობდეს დღეს ყველა საქართველოს მიწის შვილი. მაგრამ სად არი? თითო-ოროლი თუ გამოერევა ხოლმე ჩვენში ობოლ მარგალიტივით, ისიც მხოლოდ სხვების თავმოსაწონად და სამკაულად. ამას მე იმდენად ჭირისუფლების სანუგეშოდ და სასიამოდ არ ვამბობ, რამდენადაც იმ ახალგაზრდების გასაგონად, რომელთაც ჯერ კიდევ წინ უძევთ ცხოვრების ორტოტი გზა: ერთი ია-ვარდით მოფენილი, საფუნდრუკო და მეორე –

ეკლიანი საჭირბოროტო... ქვეყნის საკეთილდღეოდ თავის გაწირვა და პირადობის დავიწყება გმირობაა, მაღალი სულის დამატკბობელი. ამ უკანასკნელის გზით მხოლოდ რჩეულნი მიდიან და ამ გზითვე მიდიოდა განსვენებული ილია ხონელიც. დე, ყმაწვილებმა მიბაძონ მას, მე კი მოხუცი, თაყვანსა ვცემ მის სამარეს, საუკუნოდ იყოს სახსენებელი მისი“[91].

აკაკი წერეთელმა ამ შესანიშნავი სიტყვით, ფაქტობრივად, უკვდავყო ილია ხონელის ნათელი ხსოვნა.



ილია ბახტაძე

ხონში ჩასული აკაკი დაესწრო ადგილობრივ სცენისმოყვარეთა წარმოდგენას „პეპო“ და, როგორც უკვე ითქვა, მათ წასახალისებლად ვრცელი წერილი მოათავსა „ივერიაში“.

1909 წელს ხონის მოსახლეობამ დიდი ზეიმით აღნიშნა აკაკის იუბილე. 24 მაისს (ძველი სტილით) ადგილობრივი

---

[91]აკაკის სიტყვის ტექსტი სერგო ბახტაძის ბიბლიოთეკაში იპოვა და გამოაქვეყნა პროფ. მიხ. ნიკოლეიშვილმა, იხ. ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, კრებული VI, ქუთ., 1993, გვ. 56-59.

საიუბილეო კომიტეტის დავალებით ივ. შარაშიძე ეტლით გაემგზავრა ქუთაისში, სადაც პოეტი იმყოფებოდა. აღტაცებული ხალხი ვაშას ძახილით აცილებდა ივ. შარაშიძეს და მოუთმენლად მოელოდა საყვარელი მგოსნის ხონში ჩამოსვლას. როდესაც ეტლი, რომლითაც აკაკი ხონში მიდიოდა, სოფელ მაღლაკს მიუახლოვდა, აუარებელი ხალხი რკალივით შემოერტყა პოეტს, ჩამოიყვანეს, პურ-მარილი მიართვეს და ყვავილებით შეამკეს. სოფლის სახელით აკაკის გლეხი მიესალმა, რომელსაც მან მოკლე სიტყვით უპასუხა. შემდეგ პროცესია დაიძრა და ხალხმა ტაშით გააცილა პოეტი. სოფ. გუბთან მოზღვავებულმა ხალხმა ყვავილები შეაყარა პოეტს. აკაკიმ ეტლი გააჩერა, გადმოვიდა, ყანწით დალოცა საზოგადოება და გზა განაგრძო. კუხში პოეტის გამოჩენამ უსაზღვრო სიხარული მოჰგვარა ყველას. აკაკი ეტლიდან ჩამოიყვანეს და თაიგულები მიართვეს. პოეტს სიტყვით მიმართა მაქსიმე კაკაბაძემ გულთბილი შეხვედრით აღელვებულმა პოეტმა კუხელებს მადლობა გადაუხადა, რომელიც ასეთი სიტყვებით დაამთავრა: „რასაც ვეძებდი, აი, სწორედ ამ პატარა სოფელში ვპოვეო“[92]. კუხში საიუბილეო პროცესიას ხონიდან ჩამოსული ოცდახუთამდე ეტლი შეუერთდა. კუხელებმა აკაკი ხონის საზღვრამდე მიაცილეს. აქ უამრავი ხალხი შეკრებილიყო. აკაკი ეტლიდან ჩამოიყვანეს, მისასალმებელი სიტყვები უთხრეს და პროცესია სამასწავლებლო სემინარიის დირექტორის — ალ. ჭიჭინაძის სახლისაკენ გაეშურა. აქ უნდა ჰქონოდა ბინა პოეტს.

საღამოს 8 საათზე აუარებელი ხალხი მიაწყდა ვაჟთა პროგიმნაზიის დარბაზს, სადაც აკაკის ლექცია უნდა წაეკითხა შოთა რუსთაველზე. 9 საათზე აკაკი პროგიმნაზიაში მოიყვანეს და სცენაზე, ყვავილებით მორთულ სავარძელში ჩასვეს. დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. სცენაზე ეკიდა გვირგვინებით შემკული დიდი სურათები რუსთაველის, ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის და თვით აკაკის. ასწიეს ფარდა. აჟღერდა საოსტატო სემინარიის მოსწავლეთა სასულე ორკესტრი, რომელსაც ჩეხი მუსიკოსი ანტონ ვიაჩესლავის ძე ჰაუდეკი დირიჟორობდა. „აკაკის დანახვაზე ხალხი ფეხზე ადგა, — იგონებდა პედაგოგი გ. მ. წიწვივაძე. — ერთბაშად

---

[92] გაზ. „ჩვენი აზრი“, 1909, 5, 29, № 24, გვ. 3-4. გაზეთში გამოქვეყნებულია ილ. ბახტაძის დაწერილებითი ინფორმაცია აკაკის ხონში მოგზაურობის შესახებ.



ივანე შარაშიძე

გაისმა ვაშას ძახილი, ტაშის შეუწყვეტელ გრიალში აკაკიმ ფეხზე ადგომით მადლობა გადაუხადა ხალხს... მოსწავლეებმა წაუკითხეს მისივე ლექსები. სხვათა შორის, აკაკიზე დიდად იმოქმედა ერთი გოგონას წაკითხულმა ლექსმა „ჭადარამ". აკაკი ისე აღელდა, რომ მის ჭაღარა სახეზე თვალებიდან ცრემლები დაპაღუპით სდიოდა. გოგონა აკაკიმ ხელში აიყვანა. აკაკიმ წაიკითხა ლექცია შოთა რუსთაველზე. ლექციის შემდეგ ივ. შარაშიძის სახლში გაიმართა დიდი ბანკეტი, სადაც აკაკის ბევრი გულთბილი სიტყვა უთხრეს. საკუთარი ლექსი წაუკითხა მაშინ სემინარიის მოსწავლემ ვარლამ ძიძიგურმა[93]. რომელსაც ვალ. გუნია რედაქტორობდა. ჟურნალის ამ ნომერს კონფისკაცია უყვეს, ხოლო რედაქტორს 6 თვით ციხე მიუსაჯეს.)

მეორე დღეს აკაკი სამასწავლებლო სემინარიას ესტუმრა და მოსწავლეთა საჩვენებელ გაკვეთილს დაესწრო.

აკაკი ხონიდან დიდი პატივისცემით გააცილეს. შემონახულია სამახსოვრო ფოტოსურათი, რომელიც აკაკიმ ხონში

[93] ეს ლექსი დაიბეჭდა ჟურნალში „ბურჯი" (1909 წ., № 4

გადაიღო მის თაყვანისმცემლებთან ერთად. ბევრი ხონელი დღესაც სათუთად ინახავს ამ ძვირფას რელიქვიას.

1912 წლის 11 ნოემბერს აკაკი დაესწრო ივანე შარაშიძის დასაფლავებას და სიტყვა წარმოთქვა. თავის სიტყვაში აკაკიმ ივანე შარაშიძე დაახასიათა, როგორც უანგარო და თავდადებული საზოგადო მოღვაწე, რომელმაც ყოველივე პირადული თავისი ხალხის სამსახურს ანაცვალა.

დიდი მწუხარებით შეხვდა ხონი აკაკის გარდაცვალების ცნობას. დამკვიდრდა ტრადიცია — ყოველწლიურად იმართებოდა აკაკის დაბადების დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო.

დავით მებუკე (ცვარ-ნამი)

*ივანე შარაშიძის ხსოვნას*[1]

> არ არის მკვდარი, ვინც მოკვდა
> და ხალხს შესწირა დღენია.
>
> *ილია ჭავჭავაძე*

ჰო, ვიცნობდი... თეთრი წვერი
მკერდზე სცემდა მოხუცებულს,
სათნოება აღბეჭდოდა
სახეს, მადლით გაბრწყინებულს.
ჩუმი შრომა, მოძმის შველა
დაისახა გულს ნეტარად,
ნათლის სხივებს ხალხში თესდა,
სიყვარული ეპყრა ფარად.
დიად საქმეს შეეწირა
მით სიცოცხლე გაიმწარა,
მოკვდა მაგრამ ხალხის გულში
არ მოკვდება, არც მომკვდარა.

1912 წ.

---

[1] დავით მებუკე (ცვარ-ნამი), სევდით სავსეა ჩემი სიმღერა, ლექსების კრებული, თბ., 1992 წ., გვ. 135.

ხონთან დაკავშირებულია დიდი უკრაინელი პოეტის, მოაზროვნისა და კრიტიკოსის ლესია უკრაინკას (ლარისა პეტრეს ასული კოსაჩი – 1871-1913 წწ.) ცხოვრების უკანასკნელი პერიოდი. 1911 წლის 3 სექტემბერს პოეტის მეუღლე კ. კვიტკა ქუთაისიდან ხონში გადაიყვანეს. ლესია იძულებული იყო თან გაჰყოლოდა მეუღლეს. ისინი დაბინავდნენ ვალერიან და კარლო ფარცხალაძეების სახლში, რომელიც ქალაქის ცენტრში, ბაღის მახლობლად მდებარეობდა[94]. ქუთაისში ცხოვრების დროს ლესია უკრაინკას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, შეეჩვია მათ და ამიტომ საკმაოდ უხალისოდ შეხვდა ცნობას ხონში გადასვლის შესახებ. 1911 წლის 3 ივლისს ლესია დედას წერდა: „... თვენახევარ-ორ თვეში ხელახლა „გადავბარგდებით“ ხონში (ქართულ ათენში“), რადგან უკვე გარკვეული ცნობა არის, რომ კვიტკას იქ ნიშნავენ... მე ვყოყმანობ, წავიდე თუ არა მასთან ერთად“[95].

ხონმა სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა პოეტზე, მოაგონა მას ვოლინის მხარე, კოველის მაზრის სოფელ კოლოდიაჟნოში გატარებული ბავშვობა, ქალაქი როვნო. 1911 წლის 15 სექტემბერს პოეტი დედას აცნობებდა: „აი, ჩვენ უკვე გადავედით ხონში. ხონი უფრო დიდ სოფელს ჰგავს, ვიდრე დაბას, რადგან ძალიან ბევრი ბაღები, ბოსტნები და მწვანე ეზოებია, სახლები კი უფრო მეშჩანურია, მხოლოდ კავკასიური ტიპის – დიდი აივნებით. მე ხონი მომწონს“[96].

ხონის კლიმატმა კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა ავადმყოფი პოეტის ჯანმრთელობაზე. ქუთაისსა და ხონში ყოფნის დროს, 1911-1912 წწ. ლესია უკრაინკამ დაწერა დრამატული პოემა „ადვოკატი მარტიანი“, აგრეთვე ბრწყინვალე პოეტური ქმნილებანი „ტყის სიმღერა“ და „ქვის ბატონი“.

პოეტის თანამედროვეთა გადმოცემით, ლესია უკრაინკა საღამოობით ხშირად სეირნობდა დაბის მიდამოებში, ისვენებდა ფარცხალაძეების გაშლილ ეზოში და განსაკუთრებით მეგობრობდა ოჯახის უფროს ქალიშვილს – მინადორა ფარცხალაძეს. ალბათ, ლესია უკრაინკამ ხონში ცხოვრების

---

[94] გ. ბახტაძე, გაზ. „წინსვლა“, 1963, № 108.

[95] О. Бабашкин, Леся Украинка в Грузии, Тб., 1953, с. 81.

[96] იქვე, გვ. 82.

ოთხი თვის მანძილზე, ადგილობრივი ინტელიგენციის წრიდან სხვა ნაცნობ-მეგობრებიც გაიჩინა.

1912 წლის 21 იანვარს ლესია უკრაინკა ხონიდან კვლავ ქუთაისში დაბრუნდა საცხოვრებლად.

## 7. რუსი მხატვარი სტეფანე უვაროვი ხონში

1914 წელს საქართველოში ჩამოვიდა ცნობილი მხატვარი-მოგზაური სტეფანე ნიკიტას ძე უვაროვი. იგი გაეცნო იმერეთს, მის ღირსშესანიშნაობებს, ქუთაისში ლექციები წაიკითხა ხელოვნებაზე. ამის შემდეგ აპირებდა რამდენიმე დღე რიონის ხეობაში გაეტარებია და ჩაეხატა მისი თვალწარმტაცი სანაპიროები, მაგრამ ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის ვიშნევსკის რჩევით, უარი თქვა თავის ჩანაფიქრზე და ხონში გაემგზავრა, რათა გაცნობოდა, რა მაღალ დონეზე იყო დაყენებული განათლების საქმე ამ პატარა დაბაში. სტეფანე უვაროვმა „ჩერნომორსკი ალმანახ" -ში (1914 წ., № 7) გამოაქვეყნა მოგზაურობის შთაბეჭდილებანი სათაურით: „ხონი".

ქუთაისიდან ხონამდე სულ 22 კმ-ია, წერდა სტ. უვაროვი, და ამ მანძილს დიდი სიამოვნებით ფეხით გავივლიდი, რომ თან ბარგი არ მქონოდა. იძულებული გავხდი ეტლი დამექირავებინა. მოგზაური ერთობ მხატვრულად აღწერდა თავის მარშრუტს და გადმოგვცემდა განცდებს რიონის — ამ წმინდა მდინარის ხეობის მომხიბლავი პანორამის ხილვით რომ დაეუფლა. სტ. უვაროვი ფიქრებით კოლხეთის ისტორიის სიღრმეში შეიჭრა. მან წარმოიდგინა მედეასა და იასონის შეხვედრა თანმხლებ არგონავტებთან ერთად, რომ ამ გზით ოდესღაც მოსულან მითრიდატეს ლაშქარი და რომაული ლეგიონები, აქ ქადაგებდნენ ახალ იდეებს და აგებდნენ პირველ ეკლესიებს ქრისტეს მოციქულები...

გზაში შეხვედრილი ბავშვებისა და ახალგაზრდების კეთილშობილურმა სახის ნაკვთებმა, დიდმა შავმა თვალებმა, დიდებულმა გრაციამ მოძრაობაში მხატვარი ასეთ აზრამდე მიიყვანა: — ესენი ხომ არ არიან შთამომავალნი ძველად სახელგანთქმული იმ ხალხებისა, რომლებიც ნილოსის, ტიგროსისა და ევფრატის სანაპიროებიდან რამდენიმე ათეული საუკუნის წინ მოვიდნენ აქ, კოლხეთში.

ხონში სტეფანე უვაროვს მასპინძლობა გაუწია სამასწავლებლო სემინარიის დირექტორმა ალექსი ჭიჭინაძემ. საპა-

ტიო მიღებით აღფრთოვანებული რუსი მხატვარი ხაზგასმით აღნიშნავდა ქართველთა სტუმართმოყვარეობას და ადამიანებთან ურთიერთობის მაღალ კულტურას.

სტეფანე უვაროვმა ხონში წაიკითხა ორი ლექცია ხელოვნებაზე და გულდასმით გაეცნო დაბას. მასზე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სასწავლებლების რაოდენობამ, მოსახლეობის გასაოცარმა სწრაფვამ განათლებისა და კულტურისაკენ. ძნელი დასაჯერებელი აღმოჩნდა მისთვის ისიც, რომ ამ პატარა დაბიდან რუსეთისა და საზღვარგარეთის საუნივერსიტეტო ქალაქებში რამდენიმე ათეული სტუდენტი სწავლობდა. „და მე სინანულის გრძნობა დამეუფლა ჩვენი, რუსი ბავშვების გამო, — წერდა სტ. უვაროვი, — რომლებიც განათლებას ვერ ღებულობენ არა იმის გამო, რომ მათ მშობლებს ამის მატერიალური შესაძლებლობა არა აქვთ, არამედ უბირ მამა-კულაკს არ სურს მისი შვილები მასზე უკეთესები და განათლებულები იყვნენ“.

ხონის გაცნობით კმაყოფილმა სტეფანე უვაროვმა საქართველოში მოგზაურობა განაგრძო.

# თავი მეხუთე

## ხონი საბჭოთა ხელისუფლების წლებში

### 1. ხონი 1921-1939 წლებში.

1921 წლის 12 მარტს მთელი ძალაუფლება ხონის რაიონში ხელში აიღო რევოლუციურმა კომიტეტმა (რევკომმა), რომელსაც კორნელი ქაცარავა ხელმძღვანელობდა. მალე იგი ქუთაისში გადაიყვანეს სამუშაოდ და ხონის რევკომს სათავეში ჩაუდგა პოლიკარპე ლუკას ძე ბახტაძე (1889-1942). შეიქმნა, აგრეთვე, სათემო რევკომები. სულ ხონის რაიონში ჩამოყალიბდა შვიდი სათემო რევკომი: კუხის, ცხუნკურის, დანირ-ქუტირის, ნახახულევის, გუბის, კინჩხის და გორდის. სათემო რევკომების მუშაობას წარმართავდა სარაიონო რევკომი, რომელშიც შედიოდნენ ბოლშევიკები და საოკუპაციო რუსული ჯარის წარმომადგენლები.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ ხონელი კომუნისტების პოლიტიკური აქტივობა გამოიწვია. 1921 წლის 29 ივლისს შეიკრიბა მათი რაიონული ორგანიზაციის პირველი ლეგალური კონფერენცია, რომელსაც 29 დელეგატი ესწრებოდა. მოხსენებები გააკეთეს: პ. ბახტაძემ, ვ. ბახტაძემ

და კ. ქაცარავამ. კონფერენციამ აირჩია კომუნისტური პარტიის რაიონული კომიტეტის ახალი შემადგენლობა (პ. ბახტაძე, ვლ. ნადარეიშვილი, ნ. კაკაბაძე, ს. ბახტაძე, ი. კილაძე, დ. ჯღარკავა, ა. ფანცულაია, ი. კოსტავა) და პარტიის სამაზრო კონფერენციის დელეგატები.

ხონის რაიონში, ისევე როგორც მთელს საქართველოში, რთული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება იყო. ქართველი კომუნისტების მიერ კანონიერი მთავრობის დამხობა, გარეშე სამხედრო ძალაზე დაყრდნობით, შიში და საყოველთაო უნდობლობა გამოიწვია საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის ხიშტებზე დაყრდნობილი ახალი ხელისუფლების მიმართ. განსაკუთრებით ოპოზიციურად იყო განწყობილი ინტელიგენცია. სახელმწიფო დაწესებულებების თანამშრომელთა ნაწილმა საბოტაჟი გამოუცხადა რევკომს და არ ასრულებდა მის გადაწყვეტილებებს, ერთხანს გლეხებს ხონის ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებიც კი არ შემოჰქონდათ, დაიკეტა სავაჭროები, მათმა მეპატრონეებმა, იმის შიშით, რომ ახალი მთავრობა მოახდენდა კერძო მესაკუთრეთა ქონების კონფისკაციას, საქონელი გადამალეს. საქმეს არ უშველა ქუთაისის სამაზრო რევკომის მიერ 1921 წლის 18 მარტს გამოცემულმა ბრძანებამ, რომლითაც სავაჭროების მეპატრონეებისაგან მოითხოვდნენ გადამალული საქონლის დაბრუნებას და ვაჭრობის დაუყოვნებლივ განახლებას.

ნაციონალიზებულ იქნა ხონის ხე-ტყის ქარხანა. იჯარით იყო გაცემული, მაგრამ არ მუშაობდა ძაფსაღები ფაბრიკა, რომელიც დებს ლუბა და მარიამ სანოძეებს ეკუთვნოდათ; წვრილ საწარმოთა და სახელოსნოთა უმრავლესობა მათი მფლობელების განკარგულებაში დარჩა.

გატარდა რიგი ღონისძიებანი სამიმოსვლო გზებისა და სარწყავი არხების წესრიგში მოსაყვანად. შეკეთდა სასოფლო გზები, რომლებიც ხონს თემებთან აკავშირებდა, აგრეთვე ქუთაისისა და სამტრედიისაკენ მიმავალი გზები, ხიდი მდ. გუბისწყალზე, გაყვანილ იქნა რამდენიმე ახალი სასოფლო გზა. ყურადღება მიექცა კოოპერატივების საქმიანობას. 1922 წელს ჩამოყალიბდა მუშათა და გლეხთა ერთიანი რაიონული კოოპერატივი, რომელსაც თავისი განყოფილებები ჰქონდა თემებსა და სოფლებში.

დაიწყო მიწის დეკრეტის ცხოვრებაში გატარება, რასაც სერიოზული დამახინჯებები ახლდა თან და რაც შემდეგში

გლეხთა უკმაყოფილების სერიოზული მიზეზი გახდა. ამ საკითხის მოსაგვარებლად არჩეულ იქნა გლეხთა კომიტეტები, რომლებსაც, რევკომის აზრით, დიდი როლი უნდა შეესრულებინათ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროულად შესრულებაში. რევკომი შეეცადა დაუხნავ-დაუთესავი არ დარჩენილიყო მიწის ძირითადი მასა. ამაზე ბევრად იყო დამოკიდებული რაიონის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

გატარდა ცალკეული ღონისძიებანი სახალხო განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში. ფართო რეკლამა უკეთდებოდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეს. ამ მიზნით გაიხსნა რამდენიმე სკოლა. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაში მონაწილეობდა დიდი ტრადიციების მქონე ხონის პედაგოგიური საზოგადოებრიობა.

1921 წლის დეკემბრიდან საქართველოში დაიწყო საბჭოების არჩევნები. საქართველო ოკუპირებული იყო წითელი არმიის მიერ. ქვეყანაში არსებობდა ერთი პოლიტიკური პარტიის — კომუნისტური პარტიის დიქტატურა. ასეთ პირობებში თავისუფალ, დემოკრატიულ არჩევნებზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. ჩატარდა არა არჩევნები, არამედ არჩევნების იმიტაცია. ამ სახით საბჭოების პირველი „არჩევნები" ჩატარდა თბილისსა და ბათუმში. ქუთაისის მაზრაში „არჩევნები" მიმდინარეობდა 1922 წლის იანვარ-თებერვალში. ხონში საბჭოების „არჩევნები" ჩატარდა 1922 წლის თებერვალში. ხონის რაიაღმასკომის პირველ შემადგენლობაში შევიდნენ: გ. ზ. ნადარეიშვილი (თავმჯდომარე), ა. ზ. ქუთათელაძე (მოადგილე), ს. თ. ფანცულაია და ვ. მ. ქუთათელაძე (მდივანი).

1922-1923 წლები მძიმე აღმოჩნდა ხონის მოსახლეობისათვის. ისე როგორც მთელს საქართველოს, ხონის რაიონსაც გადაუარა ანტირელიგიური, ათეისტური მოძრაობის მღვრიე ტალღამ. დაიხურა ეკლესიების უმრავლესობა. იქ დაცული ხელოვნებისა და ისტორიული მნიშვნელობის ძეგლების ერთი ნაწილი, რაც განადგურებას გადაურჩა, გამოჩენილი ქართველი მეცნიერების — სარგის კაკაბაძის, ვუკოლ ბერიძის, მიხ. ბოჭორიძისა და სხვათა აქტიური ჩარევით, გადაეცა თბილისისა და ქუთაისის მუზეუმებს. მაგრამ ბევრი რამ დაიღუპა. დაიხურა ხონის წმინდა გიორგის ეკლესია და იგი საწყობად გამოიყენებოდა. დაანგრიეს მთავარანგელოზისა

და მაცხოვრის ეკლესიები, სასოფლო ეკლესიების უმრავლესობა, დაამტვრიეს ქართული ჭედური ხელოვნების ისეთი იშვიათი ძეგლები, როგორიც იყო ხონის წმინდა გიორგის ხატი.

დაამყარეს რა ერთი პარტიის სახელმწიფოებრივი და სამხედრო დიქტატურა, ბოლშევიკებმა ენერგიულად შეუტიეს თავიანთ იდეურ მოწინააღმდეგეებს — საქართველოში არსებულ სხვა პოლიტიკურ პარტიებს. ძალადობისა და ტერორის გზით ისინი აიძულებდნენ მათ თვითლიკვიდაცია გამოეცხადებინათ. ბოლშევიკებმა პირველად მიზანში ამოიღეს ყველაზე გავლენიანი და მასობრივი პოლიტიკური პარტია — მენშევიკების პარტია. მენშევიკების ადგილობრივი ორგანიზაციების დაშლის პროცესის დასაჩქარებლად ხონის რაიონში ფართოდ გაიშალა სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა, რომლის მიზანი იყო დაეშინებიათ მენშევიკური პარტიის წევრები და მათი ლიდერები. ცალკეულ თემებში ტარდებოდა ხალხმრავალი კრებები, რომლებზედაც სიტყვებით გამოდიოდნენ კომუნისტები, მათი სამაზრო და რაიონული კომიტეტების წარმომადგენლები. ისინი მუქარით, დაშინებით, ათასგვარი დემაგოგიური მეთოდებით მოითხოვდნენ მენშევიკური ორგანიზაციების თვითლიკვიდაციას. 1923 წლის 8 ივლისს ქუთაისში ჩატარდა მენშევიკური პარტიის სამაზრო ორგანიზაციის კონფერენცია, რომელიც აიძულეს მიეღო მიმართვა ყველა მენშევიკისადმი. ამ მიმართვაში კონფერენცია მენშევიკების სამაზრო ორგანიზაციას დაშლილად აცხადებდა. კომუნისტური პარტიის ხონის რაიონული კომიტეტის 1923 წლის ივლისის თვის ანგარიშში „კმაყოფილებითაა" აღნიშნული, რომ მენშევიკური ორგანიზაციის რღვევის პროცესი დამთავრებულად უნდა ჩაითვალოსო.

1923 წლის დეკემბრამდე კომუნისტებმა დაშალეს, აგრეთვე, „ახალგაზრდა მარქსისტთა", ფედერალისტებისა და ეროვნული დემოკრატების პარტიათა ადგილობრივი ორგანიზაციები. რადგან „თვითლიკვიდაცია" იძულებით მოხდა, პოლიტიკური პარტიები არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდნენ.

მოსახლეობის იდეოლოგიური დამუშავების მიზნით, დაუნდობელი ბრძოლა გამოეცხადა საუკუნეებით დამკვიდრებულ ტრადიციებს, საეკლესიო და საერო დღესასწაულებს, სამაგიეროდ, დაბეჯითებით ცდილობდნენ დაემკვიდრებინათ ახალი დღესასწაულები: წითელი არმიის შექმნის, ოქტომ-

ბრის სოციალისტური რევოლუციის, საქართველოს გასაბჭოების და სხვა დღეები.

1922 წლის 13 იანვარს გაიმართა ხონის რაიონში შემავალი თემების წარმომადგენელთა კრება, რომელმაც მიიღო დადგენილება ხონში ალექსანდრე წულუკიძის ძეგლის დადგმის შესახებ. გაფორმდა ხელშეკრულება გამოჩენილ ქართველ მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძესთან. 1923 წლის 14 ნოემბერს იაკობ ნიკოლაძე დეპეშით აცნობებდა ქუთაისის სამაზრო აღმასკომს, რომ ა. წულუკიძის ბიუსტი მზად არის. იგი დაიდგა ქალაქის ბაღში.

1924 წლის 27 იანვარს, კვირას, ვ. ი. ლენინის დაკრძალვის დღეს, ოფიციალურმა ხელისუფლებამ ხონის ბაღში ჩაატარა მიტინგი.

გრძელდებოდა შეტევა კერძო საკუთრებაზე. 1924 წლის თებერვალ-მარტში ხონის რაიაღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით სანოძეებს ჩამოერთვათ ძაფსაღები ფაბრიკა და რაიაღმასკომს გადაეცა. ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია: „მრავალი დაპირების მიუხედავად, დებმა სანოძეებმა ძაფსაღები ფაბრიკა დღემდე არ აამუშავეს, რაც დიდ ზარალს აძლევს ქალაქის მოსახლეობას. ამის გამო ჩამოერთვას სანოძეებს ხსენებული ფაბრიკა, გადაეცეს იგი რაიაღმასკომს. ამ უკანასკნელმა მიიღოს სასწრაფო ზომები ფაბრიკის ასამუშავებლად". ამასთან ერთად, დღის წესრიგში დადგა ახალი ძაფსაღები ფაბრიკის აგების და აგრეთვე ხონში ელექტროსადგურის მშენებლობის საკითხი. ზემდგომი ორგანოების დადგენილებით, საქართველოს სსრ ელექტროტექნიკურმა ტრესტმა 1924 წელს ხონში ელექტროსადგურის მშენებლობა დაიწყო. ელექტროსადგური ექსპლოატაციაში შევიდა 1926 წელს.

1924 წელს ხონის ადმინისტრაციულ დაყოფაში ცვლილებები მოხდა. გაუქმდა რაიაღმასკომი. რაიონში შემავალი თემები პირდაპირ დაექვემდებარა სამაზრო აღმასკომს. რაიონის გაუქმებამ, ცხადია, გავლენა მოახდინა ხონის ზრდაგანვითარებაზე. რაიონის აღდგენა მხოლოდ 1930 წელს მოხერხდა.

ტოტალიტარული რეჟიმის არსებობის პირობებში კომუნისტები დიდ ყურადღებას აქცევდნენ რაიონის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ქალთა აქტიური მონაწილეობის საკითხს. ქალი მეოჯახე, ქალი დიასახლისი, მეუღლე და დედა პროვინციალიზმად და ჩამორჩენილობად იყო მიჩ-

ნეული. ყოველმხრივი პროპაგანდა ეწეოდა ე. წ. ემანსიპირებული ქალის ტიპს, რომელსაც მშვენიერი სქესის ძირითადი თვისებები დაეკარგა და მამაკაცს ტოლს არ უდებდა ძალადობასა და ტერორში. პირველ ეტაპზე ქალთა შორის მუშაობის ერთ-ერთ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენდა სადელეგატო კრებების ჩატარება. დიასახლისი და პროფკავშირების წევრ ქალებისაგან არჩეული დელეგატები ორ კვირაში ერთხელ იკრიბებოდნენ. მათთან ტარდებოდა საუბრები პოლიტიკაზე, ლექციები მეცნიერების სხვადასხვა დარგებიდან, განიხილებოდა პრაქტიკული საკითხები. განსაკუთრებით კურიოზულ ხასიათს ატარებდა ქალთა მუშაობა პოლიტწრეებში. მცირემცოდნე ქალებს აიძულებდნენ კომუნისტი პოლიტრეპეტიტორის დახმარებით გაეზეპირებინათ „მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების" ცალკეული გამონათქვამები და ციტატები. თვეში ერთხელ იწვევდნენ საერთო კრებებს, რომლებზედაც მოხსენებებით გამოდიოდნენ დელეგატი ქალები. გასაგებია, რა დონისა და შინაარსის იქნებოდა ეს მოხსენებები.

1924 წლის 6 მარტს ჩატარდა ხონის უპარტიო ქალთა რაიონული კონფერენცია, რომელმაც მოისმინა მოხსენებები 8 მარტისა და მიმდინარე მომენტის შესახებ, აირჩია სამაზრო კონფერენციაზე გასაგზავნი დელეგატები. მუშაობის ასეთი ფორმა უპარტიო ქალთა შორის კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის ერთ-ერთი საშუალება იყო.

1925 წლის 25 მარტს ხონში სტუმრად იყო საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ი. კალინინი. მას თან ახლდნენ ფ. მახარაძე, ე. სტურუა, ს. თოდრია, ვ. ძიძიგური და სხვ. ამასთან დაკავშირებით ქალაქის ბაღში გაიმართა მიტინგი, რომელზედაც სიტყვით გამოვიდა მ. ი. კალინინი. შემდეგ სტუმრები გაემგზავრნენ სოფელ მათხოჯში, სადაც დაათვალიერეს სახალხო სახლის მშენებლობა.

ომამდელი ხუთწლედების წლებში, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის პერიოდში, ხონში აიგო რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის რამდენიმე საწარმო. მაგრამ ის გარემოება, რომ იგი მდებარეობს რესპუბლიკის სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალებიდან საკმაოდ მოცილებით, ხელს უშლის მის, როგორც ქალაქის პერსპექტიულ განვითარებას.

ჯერ კიდევ 1926 წელს დაისვა საკითხი ახალი ძაფსაღები ფაბრიკის აგების შესახებ. ამასთან დაკავშირებით 1927 წლის აპრილში ხონში ჩამოვიდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი სამეურნეო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს აბრეშუმის ტრესტის მმართველი, ამავე ტრესტის რწმუნებული დასავლეთ საქართველოში და ინჟინერ-სპეციალისტები. გადაწყდა ხონში აგებულიყო აბრეშუმის ძაფსაღები ახალი ფაბრიკა.

1927 წლის 17 ივლისს საზეიმო ვითარებაში საფუძველი ჩაეყარა ქალაქის მრეწველობის ყველაზე მსხვილ ობიექტს — ძაფსაღებ ფაბრიკას. მან პროდუქციის გამოშვება დაიწყო 1928 წლიდან.

რესტავრაცია ჩაუტარდა სახერხ და გრეხილ-ავეჯის ქარხნებს. ამ უკანასკნელმა ვენური სკამების გამოშვება დაიწყო 1932 წლიდან. 1925 წლის იანვრიდან ექსპლოატაციაში გავიდა ახალი ქარხანა, რომელიც, გარდა სკამებისა, ამზადებდა მაგიდებს, კარადებს და სხვა საოჯახო ნივთებს. გარდა ამისა, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის მოქმედების წლებში ხონში, იქ, სადაც ახლა ავტოსადგური დგას და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, გაიხსნა კერძო საწარმო სახელწოდებით: „ხონის გრეხილ-ავეჯოულობის ქარხანა, სადურგლო სახელოსნოთურთ, ძმები ჭელიძეებისა“. ძმები: ივანე, დავით, შალვა ალექსანდრეს ძე ჭელიძეები განთქმული მეავეჯეები იყვნენ. მათი მამა — ალექსანდრე მათეს ძე ჭელიძე, ასევე ცნობილი ხელოსანი-მეავეჯე, ქუთაისში ჩამოსახლებული რაჭველი მათე ხელოსნის ვაჟი ხონში მოუწვევიათ სამუშაოდ.

სხვათა შორის, მათე ჭელიძე განთქმული ყოფილა ხელმარჯვეობით. მისი იშვიათი ნაკეთობა მოჩუქურთმებული ბზის ხის ზარდახშა საჩუქრად გადაუციათ ქუთაისში სტუმრად ჩამოსულ რუსეთის იმპერატორისათვის.

ძმებს ქარხნისათვის საჭირო ხე-ტყე სამეგრელოდან მოჰქონდათ; მისი დამზადება ხდებოდა მარტვილის რაიონის სოფელ სალხინოში, მდ. წაჩხურის პირას. ტრანსპორტის მოვალეობას მდ. ცხენისწყალი ასრულებდა. რამდენიმე წლის შემდეგ ქარხანა სალხინოში იქნა გადატანილი.

1932 წლიდან პროდუქციის გამოშვება დაიწყო აგურ-კრამიტის ქარხანამ, რომელიც შემდეგ კომბინატად გადაკეთდა. 1935 წელს აქ დაიდგა ე. წ. ჰოფმანის ღუმელი, რამაც კომბინატის სიმძლავრე საგრძნობლად გაზარდა. მას შეეძლო

წლიურად დაემზადებინა 400 ათასი ცალი აგური და კრამიტი.

1934 წელს ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა რიგებში ჩადგა ლიმონათის ქარხანა, რომელიც წლიურად 420 ათას ბოთლ ლიმონათს ამზადებდა.

1933 წელს მათხოჯში აიგო კირის ქარხანა, რომელიც 1935 წლისათვის წლიურად 1000 ტონა კირს იძლეოდა.

რაიონში ჩაის, გერანისა და რამის კულტურების გავრცელების ბაზაზე ჩამოყალიბდა ჩაის, გერანისა და რამის საბჭოთა მეურნეობები. იმერეთში პირველი და ერთადერთი ჩაის საბჭოთა მეურნეობა ხონის რაიონში შეიქმნა 1931 წელს, ხოლო 1934 წ. აიგო ხონის ჩაის ფაბრიკა. ჩაის საბჭოთა მეურნეობამ და ფაბრიკამ შექმნეს მუშათა დასახლება, რომელიც მალე ქალაქს შემოუერთდა.

1935 წლის 15 ივნისს ამუშავდა რამის ქარხანა, მაგრამ რამის კულტურამ ხონის რაიონში ფართო გავრცელება ვერ ჰპოვა და მალე როგორც საბჭოთა მეურნეობა, ასევე ქარხანაც გაუქმდა.

დასახელებულ ფაბრიკა-ქარხნებს გარდა, ხონში არსებობდა ტყავის დამამზადებელი მცირე მოცულობის წარმოება, საქსოვი ნადი, გერანის ზეთის სახდელი ქარხანა და სხვ. (ეს უკანასკნელი ლიკვიდირებულ იქნა გერანის საბჭოთა მეურნეობასთან ერთად 1935 წლის აგვისტოში).

1935-1937 წლებში სოფელ კინჩხაში, ინჟინერ კოპაძის პროექტით და ხელმძღვანელობით აიგო ჰიდროელექტროსადგური ოკაცჰესი, რაც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო რაიონის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

1930 წელს საქართველოში შემოღებულ იქნა ახალი ადმინისტრაციული დაყოფა, რომლის მიხედვით გაუქმდა ქუთაისის ოლქი (1929 წელს მაზრის გაფართოების შედეგად ჩამოყალიბდა ოლქი), აღადგინეს ხონის რაიონი, რომელიც ახლა უშუალოდ დაექვემდებარა რესპუბლიკის ხელისუფლებას. 1933 წლის 27 მაისს საქართველოს სსრ ცაკმა მიიღო დადგენილება ქ. ხონში საქალაქო საბჭოს შექმნის შესახებ.

1929-1941 წლებში ხონის რაიონში კოლექტივიზაციის საერთო-საკავშირო ციებ-ცხელება ბობოქრობდა. ჯერ კიდევ 1927 წელს სოფელ ახალშენში ჩამოყალიბდა მიწის საზოგადოებრივად დამამუშავებელი გაერთიანება. ეს იყო კოლექტიური მეურნეობის პირველი ჩანასახი ხონის რაიონში.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია კი, ფაქტობრი-

გად, რაიონში 1929 წ. თებერვლიდან დაიწყო. 1929-1930 წლებში ჩამოყალიბდა 26 სასოფლო-სამეურნეო არტელი, რომელშიაც გაერთიანებული იყო 495 კომლი. ეს რაიონის გლეხური მოსახლეობის 18%-ს შეადგენდა. კოლმეურნეობებში გლეხთა მისატყუებლად 7 სასოფლო-სამეურნეო ბანკის მეშვეობით შეძენილ იქნა ორი ტრაქტორი. 1930 წლის 6 ოქტომბერს კომუნისტური პარტიის სარაიონო მე-14 კონფერენციის გადაწყვეტილებით დაიწყო მთლიანი კოლექტივიზაციის პროცესი, რაც, ფაქტობრივად, სოფლის მეურნეობის გეგმაზომიერად ნგრევის დაწყებას ნიშნავდა. არავითარი ყურადღება არ ექცეოდა ხონის რაიონის უაღრესად მდიდარ სასოფლო-სამეურნეო გამოცდილებასა და ტრადიციებს, ხელადებით, პარტკონფერენციის გადაწყვეტილებით, ინერგებოდა ახალი კულტურები — რამი, კანაფი, გერანი, ბამბა, ტუნგო, ევკალიპტი, ბამბუკი და სხვ., რომელთა აკლიმატიზაცია ვერ მოხერხდა. ამან კი სერიოზული ეკონომიკური ზიანი მიაყენა რაიონს. 1941 წლის დასაწყისისათვის კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო მთელი გლეხური მეურნეობის 97,3%. კოლმეურნეობებს ემსახურებოდა სამანქანოსატრაქტორო სადგური, რომლის განკარგულებაში 35 ტრაქტორი იყო. მიუხედავად ამისა, კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერება უაღრესად დაბალი იყო, რაც კოლმეურნეთა მასობრივ გაღატაკებას იწვევდა, ამიტომ ისინი იძულებული იყვნენ სოფელი დაეტოვებინათ და ქალაქში ეძებნათ არსებობის საშუალებანი.

ხონმა თავისი ხარკი გადაუხადა ე. წ. სტახანოვურ მოძრაობას, რომელიც საბჭოთა კავშირში 1935 წლიდან გაიშალა. ძაფსაღებ ფაბრიკაში 1936 წელს სტახანოველად გამოაცხადეს 156 მუშა. ჩამოაყალიბეს ფაბრიკის სტახანოველთა კურსები და ტექნიკური წრეები, სადაც 200-ზე მეტი კაცი გააერთიანეს. მუშაობის ე. წ. სტახანოვურ მეთოდებს ნერგავდნენ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში. ფაქტობრივად ყველაფერ ამას პროპაგანდისტული და, რაც მთავარია, დემაგოგიური ხასიათი ჰქონდა.

1935 წლის 29 დეკემბერს ხონში გაიხსნა მუშა და კოლმეურნე სტახანოველთა პირველი სარაიონო შეკრება, ხოლო 1936 წლის 26 იანვარს ჩატარდა სტახანოველ მეაბრეშუმე ქალთა პირველი რაიონული შეკრება, რომელსაც 100-ზე მეტი ქალი დაესწრო.

1936 წლის 26 აპრილს გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება ალ. წულუკიძის დაბადებიდან 60 წლისთავთან დაკავშირებით, ქალაქ ხონს დაერქვას ქალაქი წულუკიძე, ხოლო ხონის რაიონს — წულუკიძის რაიონი.

სახალხო განათლებისა და ხონის კულტურული ცხოვრების საერთო სურათი აღნიშნულ პერიოდში დაახლოებით ასეთი იყო: საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების გაერთიანების ბაზაზე ჩამოყალიბდა ჰუმანიტარული ტექნიკუმი, სამასწავლებლო სემინარია გადაკეთდა პედაგოგიურ ტექნიკუმად, ხოლო სახელოსნო სასწავლებელი — ინდუსტრიულ ტექნიკუმად. სოფლის ერთკლასიანი სამრევლო სკოლების ნაცვლად გაიხსნა ოთხკლასიანი სახელმწიფო სკოლები.

1923-1924 სასწავლო წლიდან, ისე როგორც ყველგან, ხონის სკოლებში შემოღებულ იქნა სწავლების ახალი სისტემა, რომელიც მიზნად ისახავდა სასწავლო პროცესის შრომასთან დაკავშირებას. შეიქმნა ახალი ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, რომელსაც „სოციალური აღზრდის მთლიანი სკოლა" ეწოდა. იქ სწავლობდნენ 8-15 წლის ასაკის ბავშვები. ასეთი სკოლა იყო ცხრაწლიანი შრომის სკოლა, რომელიც 1925 წელს გაიხსნა. მის დირექტორად დაინიშნა გრ. სადარაძე (შემდეგში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი).

1921 წელს ხონში გაიხსნა პირველი საბავშვო ბაღი, რომელსაც ეკატერინე მესხი ხელმძღვანელობდა. ივანე შარაშიძისეულ სახლში ეკატერინე ბახტაძის ინიციატივით დაარსდა ჭრა-კერვის სკოლა.

1925 წელს გორდში გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო სკოლა. 1928 წელს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილებით ხონის პროფტექნიკუმთან შეიქმნა ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი, რომლის დირექტორად დაინიშნა მხცოვანი პედაგოგი მიხეილ სადარაძე (შემდეგში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი). სამასწავლებლო ინსტიტუტს კადრები უნდა მოემზადებინა შვიდწლიანი სკოლებისათვის. ინსტიტუტს მხოლოდ ორი გამოშვება ჰქონდა, შემდეგ იგი გაუქმდა.

1930 წელს ხონის აღმასკომთან შეიქმნა განათლების განყოფილება, რომლის პირველი გამგე იყო განათლებული პედაგოგი ა. ბახტაძე. სახალხო განათლების დარგში ნაყო-

ფიერად მოღვაწეობდნენ ცნობილი პედაგოგები: გ. ბახტაძე, ა. ხარაბაძე, ნ. ქუთათელაძე, გ. ხუროძე (მალაქიაშვილი), გ. ქუთათელაძე, ბ. ფარცხალაძე, ა. სანაძე, ა. ყანჩელი, ლ. ყანჩელი და სხვ.

1930-1931 სასწავლო წელს გორდის სასოფლო-სამეურნეო სკოლა გადაკეთდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმად ზოოვეტერინარული განხრით, ხოლო ინდუსტრიული ტექნიკუმი — სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკუმად.

1932 წელს შვიდწლიანი შრომის სკოლის ბაზაზე გაიხსნა ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა. ეს იყო პირველი საშუალო სკოლა რაიონში.

1933 წელს მექანიზაციის ტექნიკუმის ბაზაზე დაარსდა ტრაქტორისტთა მოსამზადებელი სკოლა, რომელიც წლების მანძილზე სოფლის მეურნეობის მექანიზაციის კვალიფიციურ კადრებს ამზადებდა.

1940 წლისათვის რაიონში იყო 7 საშუალო, 14 არასრული სკოლა, 2 — მოზრდილთა საშუალო სკოლა, სატრაქტორო სკოლა, ოთხი ტექნიკუმი, სამედიცინო დების სკოლა, 2 მუშფაკი და სხვ. სულ რაიონში იყო 9787 მოსწავლე. მათ სწავლა-აღზრდის საქმეს 390 მასწავლებელი ემსახურებოდა.

1934 წელს პედაგოგიურ ტექნიკუმთან, როგორც სექტორი, ჩამოყალიბდა მუსიკალური სკოლა, რომელიც 1936 წელს მუსიკალურ ტექნიკუმად გადაკეთდა (არსებობდა 1941 წლამდე). მას ჰქონდა ვოკალური და საფორტეპიანო განყოფილებები. ხონელი ახალგაზრდობის მუსიკალური აღზრდის საქმეს წლების მანძილზე ემსახურებოდნენ: ვლ. ბახტაძე, ელ. ქუთათელაძე, ვ. ტომაშევსკი, ვ. ფრანციევა, ვ. ჯაბადარი და სხვ.

როგორც უკვე აღინიშნა, ხონის რაიონის კულტურულ ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობდა თეატრი, აიგო სასოფლო კლუბები, ბიბლიოთეკები და სხვ. 1940 წელს ხონის რაიონში იყო სარაიონო კულტურის სახლი (ქ. ხონში), 7 სასოფლო კლუბი, 2 სარაიონო ბიბლიოთეკა, 3 სამკითხველო და ა. შ. ფართოდ აღინიშნებოდა გამოჩენილი მწერლებისა და პოეტების იუბილეები, ტარდებოდა ლიტერატურულ-მუსიკალური დილა-საღამოები. ხონში ფართოდ აღინიშნა აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, ა. პუშკინის, ვლ. მაიაკოვსკის და სხვათა იუბილეები. საყოველთაო-სახალხო ზეიმის ხასიათი მიიღო რაიონში შოთა რუსთაველის იუბილემ 1937 წელს. დამახასიათებელია ერთი დეტალი: — იუბილესათვის

მზადების დღეებში ხონის რაიონის სოფელ პატარა კუხში ჩამოყალიბდა „ვეფხისტყაოსნის“ შემსწავლელი წრე, რომელსაც ადგილობრივი ინტელიგენტი ვენე ნიჟარაძე ხელმძღვანელობდა.

რაიონის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო გაზეთის გამოცემის საქმის მოგვარება. 1932 წლის იანვარში გამოსვლა დაიწყო კომპარტიის რაიონული კომიტეტისა და რაიაღმასკომის ექვსდღიურმა ორგანომ „დამკვრელმა“. გაზეთის პირველი რედაქტორი იყო აკაკი ქაროსანიძე, მდივანი გამომშვები ანატოლ ქაროსანიძე. გაზეთი პატარა ფორმატის, ორგვერდიანი იყო და გამოდიოდა კვირაში ორჯერ. შემდეგ გაზეთს რედაქტორობდნენ ვლადიმერ ტაბიძე, ეთერ ჯაფარიძე, ვიქტორ ღაჭავა. სტამბის დირექტორები იყვნენ: სიმონ მებუკე, ბიქტორ შაველაყაძე. ვიქტორ ღაჭავას რედაქტორობის დროს გაზეთი ოთხგვერდიანი გახდა და მისი ტირაჟი 5000-ით განისაზღვრა.

1940 წლისათვის რაიონში იყო ორი საავადმყოფო 45 საწოლით, სამშობიარო სახლი — 12 საწოლით, პოლიკლინიკა, რენტგენის, ფიზიოთერაპიული და სამკურნალო კაბინეტებით, სამალარიო-ტროპიკული სადგური, 13 საექიმო უბანი. რაიონის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ემსახურებოდა 30 ექიმი და 70 ექთანი.

აიგო სასტუმროს, საქვაჭრობის, სახელგამის, სარეწაო კავშირების და საზოგადოებრივი დანიშნულების სხვა შენობები.

## 2. ხონი მეორე მსოფლიო ომის პერიოდში (1939-1945 წწ.)

1939 წლის სექტემბერში გერმანელმა ფაშისტებმა მეორე მსოფლიო ომი გააჩაღეს. 1941 წლის 22 ივნისს ისინი თავს დაესხნენ საბჭოთა კავშირს. ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი ტოტალიტარული ძალა — ფაშიზმი და კომუნიზმი. ფაშისტებმა თავიანთი შორსმიმავალი დაპყრობითი გეგმებით, რომელიც მიზნად ისახავდა მსოფლიოში „ახალი წესრიგის“ დამყარებას გერმანელთა ჰეგემონობით, დააშინეს კაცობრიობის ძირითადი ნაწილი, რომელიც დროებით საბჭოთა კავშირის გვერდით დადგა. შეიქმნა ანტიჰიტლერული კოალიცია, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ფაშისტების განადგურების საქმეში.

გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად, აქტიურად ჩაება ქართველი ხალხიც. მან 1941-1945 წლების საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომში გაგზავნა 750-800 ათასი მებრძოლი, რომელთაგან თითქმის ნახევარი მშობლიურ კერას ვერ დაუბრუნდა. ეს იყო ქართველი ხალხის ნამდვილი გენოციდი.

ომის მძიმე წლებში საომარ ყაიდაზე იყო გარდაქმნილი რაიონის მთელი ცხოვრება. 1941 წლის 14 ოქტომბერს ხონში, რომელიც მაშინ წულუკიძის სახელს ატარებდა, ჩატარდა ახალგაზრდობის ანტიფაშისტური მიტინგი, რომელშიაც ორი ათასი ახალგაზრდა მონაწილეობდა. მიტინგმა მიიღო მიმართვა „რაიონის მშრომელი ახალგაზრდობისადმი".

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის (შეიქმნა 1941 წლის 30 იანვარს ი. ბ. სტალინის მეთაურობით) დადგენილების შესაბამისად, რაიონში შემოღებულ იქნა მშრომელთა საყოველთაო სამხედრო სწავლება. წარმოება-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში სისტემატიურად ტარდებოდა მეცადინეობები, სადაც ასწავლიდნენ შაშხანის ხმარებას, ხელყუმბარის ტყორცნას, საჰაერო-ქიმიური თავდაცვის საშუალებების გამოყენებას და სხვ. ამ ღონისძიებას მიეძღვნა გაზეთ „დამკვრელის" რამდენიმე სპეციალური გამოშვება დევიზით: „დავეუფლოთ მეომრის ოსტატობას! მოვაწყოთ მოქალაქეთა სამხედრო სწავლება".

წითელი ჯვრის რაიონული კომიტეტის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა სამედიცინო დების მოსამზადებელი კურსები, რომელმაც ომის პერიოდში სამედიცინო-სანიტარული დარგის რამდენიმე ათეული სპეციალისტი გამოუშვა.

დაძაბულად შრომობდა რაიონის მთელი მოსახლეობა. ფრონტზე წასული მამაკაცები ქალებმა და მოზარდებმა შეცვალეს. ყალიბდებოდა ე. წ. ახალგაზრდული ფრონტული ბრიგადები. 1944 წელს მარტო ძაფსაღებ ფაბრიკაში სამი ასეთი ბრიგადა მუშაობდა. 1945 წლის პირველ კვარტალში ახალგაზრდულმა ფრონტულმა ბრიგადამ, რომელსაც ელენე ადამია ხელმძღვანელობდა, საკავშირო ჯილდო დაიმსახურა.

რაიონის მშრომელები მონაწილეობდნენ თავდაცვის ფონდის გასაძლიერებლად სახსრების შეგროვებაში. მათ მარტო 1941 წელს თავდაცვის ფონდში შეიტანეს 489 375 მან., აქედან ნაღდ ფულად — 162 375 მან. და ობლიგაციების სახით — 32700 მან. გარდა ამისა, შეგროვილ იქნა 26,7 გრამი ოქრო, 1,170 კგ ვერცხლი, 1,500 კგ ფერადი და 35 ტ შავი ლითონი.

რაიონის მოსახლეობამ სატანკო კოლონის „ქართველი კოლმეურნის“ და საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიის „საბჭოთა საქართველოს“ ასაგებ ფონდში შეიტანეს 1 762 ათასი მანეთი. მედიცინის მუშაკებმა საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიის ასაგები ფონდისათვის შეაგროვეს 111 517 მანეთი. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი ი. ბ. სტალინი 1944 წლის ოქტომბერში რაიონის ჯანმრთელობის განყოფილების გამგესა და მედსანშრომის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარეს წერდა: „გთხოვთ გადასცეთ ჩემი ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა წულუკიძის რაიონის მედიცინის მუშაკებს, რომლებმაც საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიის „საქართველოს მედიცინის მუშაკის“ ასაგებად შეაგროვეს 51 000 მანეთი, 45 725 მანეთის სესხთა ობლიგაციები და 14 792 მანეთის გამოუყენებელ შვებულებათა კომპენსაციები“.

ფრონტზე მყოფ მებრძოლებს სისტემატიურად ეგზავნებოდა თბილი ტანსაცმელი და სადღესასწაულო საჩუქრები. ფართო ხასიათი ჰქონდა ფრონტელთა ოჯახებზე დახმარებას.

1942 წლის 25 ივლისს, როგორც ცნობილია, დაიწყო ბრძოლა კავკასიისათვის, რომელიც 15 თვეს გაგრძელდა. ფაშისტები ვარაუდობდნენ ე. წ. „ედელვაისის“ გეგმის შესაბამისად შემოდგომამდე მთელი კავკასია, მათ შორის საქართველო, დაეპყროთ.

1942 წლის შემოდგომაზე მტერი უშუალოდ სვანეთის საზღვარს მოადგა. გერმანელები შემოიჭრნენ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში და საფრთხე შეუქმნეს სოხუმს. ფაშისტებმა დაბომბეს სოხუმი, ფოთი და შავიზღვისპირა სხვა დასახლებული პუნქტები. გერმანული თვითმფრინავები გამოჩნდნენ ქუთაისის ცაზე. 1942 წლის აგვისტოდან ქ. წულუკიძე ფრონტისპირა ქალაქად იქცა.

წულუკიძის რაიონის წარგზავნილები იბრძოდნენ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის თითქმის ყველა უბანზე — შავი ზღვიდან ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანემდე, მონაწილეობდნენ საომარ ოპერაციებში ევროპის ტერიტორიაზე, პარტიზანულ მოძრაობაში, როგორც საბჭოთა კავშირში, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით 1941-1945 წლების ომში გმირობისა და მამაცობის გამოჩენისათვის წულუკიძის რაიონიდან წარგზავნილ ოთხ მებრძოლს

საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. ესენია: ნოე პეტრეს ძე ადამია, გიორგი გიორგის ძე ბახტაძე, აკაკი ლუკას ძე ტერელაძე და ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ჯანჯღავა. წარმოშობით ხონელია ზოია რუხაძე, რომელიც გმირულად დაეცა გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

გასაოცარი მამაცობა და გმირობა გამოიჩინა სევასტოპოლის დაცვის დღეებში ნოე ადამიამ. მისთვის გმირის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით გაზეთ „პრავდის" მოწინავე წერდა: „გუშინ გამოქვეყნებული იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სამხედრო მეზღვაურ, ზემდეგ ნოე ადამიასათვის გმირის წოდების მინიჭების შესახებ. მამაცი საბჭოთა პატრიოტი სევასტოპოლის გმირული დაცვის მთელი 250 დღის განმავლობაში საზღვაო ქვეითი ჯარების რიგებში იბრძოდა. დეკემბრის ბრძოლების დღეებში, როცა მისი ხელქვეითები მწყობრიდან გამოიყვანეს, იგი თვითონ მიუწვა ტყვიამფრქვევს და ერთ ბრძოლაში მოსპო 50 ფაშისტი. ივნისის ბრძოლათა დღეებში ამხ. ადამიამ ისეთი მამაცების მცირე ჯგუფით, როგორც თვითონ არის, მოიგერია მოწინააღმდეგის ჭარბი ძალების 10 იერიში, პირადად დააზიანა მტრის ტანკი და გაჟლიტა 200 ფაშისტი"[1].

როდესაც ცნობა მოვიდა ნოე ადამიასათვის გმირის წოდების მინიჭების შესახებ, მის მშობლიურ სოფელ მათხოჯში გაიმართა სახელდახელო მიტინგი. გამოვიდა გაზეთ „დამკვრელის" სპეციალური ნომერი (1942 წლის 29 ივლისს), რომელიც მთლიანად ნოე ადამიას მიეძღვნა.

უკრაინაში, სევერნი დონეცის სანაპიროზე, გერმანელებთან უთანასწორო ბრძოლაში დაეცა წულუკიძის რაიონის მკვიდრი, ორგზის ორდენოსანი, უფროსი ლეიტენანტი ნოდარ ბარამიძე. ამხანაგებმა იგი მხედრული დიდებით დაასაფლავეს. ფრონტულმა გაზეთმა მთელი ნომერი უძღვნა ნოდარ ბარამიძის გმირობას.

შორს გაითქვა სახელი ხონელმა გიორგი ჩარგეიშვილმა. მასზე, როგორც ბატალიონის უშიშარ კომისარზე ბევრს წერდნენ ფრონტული გაზეთები. პოეტმა ჯეკ ალტაუზენმა კომისარ ჩარგეიშვილზე დაწერა ლექსი, რომელიც „კომსომოლსკაია პრავდაში" გამოქვეყნდა[2].

---

[1] გაზ. „პრავდა", 1942 წ. 26 ივლისი; გამოვიდა ბროშურა „საბჭოთა კავშირის გმირი ნ. პ. ადამია", თბ., 1942.

[2] გაზ. „კომსომოლსკაია პრავდა", 1941 წ. 23 ივლისი, № 171, გვ. 4.

ჰოლანდიაში, კუნძულ ტექსელზე ქართული ბატალიონის მიერ მოწყობილი გმირული აჯანყების მონაწილეა ვალერიან კარსანიძე.

1944 წლის 6 აგვისტოს საფრანგეთის ქ. კარმოს მოსახლეობა გერმანელ დამპყრობლებს აუჯანყდა. მათ მხარში ამოუდგნენ ქართველი პარტიზანები. გააფთრებულ ბრძოლებში გერმანელებმა ტყვედ ჩაიგდეს ქართველი მეომრები. ისინი სოფლის სასაფლაოზე ჯერ საჯაროდ აწამეს, ხოლო შემდეგ ბენზინი გადაასხეს და დაწვეს. მათ შორის იყო ხონელი ალექსანდრე ივანეს ძე ხუხუა.

საბრძოლო დავალების შესრულების დროს გმირულად დაიღუპა წყალქვეშა ნავის უფროსი მამანტი მელქაძე[3].

მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე გმირულად იბრძოდნენ: მიხეილ ვლადიმერის ძე აბზიანიძე, პოდპოლკოვნიკი; იბრძოდა კავკასიაში და ყირიმში, ცალკე დანაყოფის მეთაური.

სოსო კუპრეიშვილი — მედიცინის პოდპოლკოვნიკი, მოძრავი ჰოსპიტალის უფროსი ექიმი; მონაწილეობდა ბრძოლებში უკრაინის მე-4 და ბელორუსიის მე-2 ფრონტებზე.

გრიგოლ პროკოფის ძე კალანდაძე, უფროსი ლეიტენანტი, ასეულის მეთაური; იბრძოდა სტალინგრადში. დაიღუპა იქვე.

დავით ერმილეს ძე მაჭარაძე — 414-ე დივიზიის მეთაურთა მოსამზადებელი ცალკე დანაყოფისა და პოლკის მეთაური, პოლკოვნიკი.

შალვა ტაბიძე — მონაწილეობდა სამხედრო ტყვეების მიერ ჰოლანდიის კუნძულ ტექსელზე მოწყობილ აჯანყებაში.

ვლადიმერ ტაბიძე — მონაწილეობდა ბრძოლებში კავკასიისა და ყირიმის ფრონტებზე.

დავით იოსების ძე სურმავა — უფროსი სერჟანტი. ფაშისტების პირველი შემოტევისას გმირულად დაიღუპა თავის ერთადერთ ძმასთან — მიხეილთან ერთად. ოჯახს გვარის გამგრძელებელი აღარ დარჩა.

მიხეილ თადას ძე ფარულავა — სერჟანტი. თავის ოთხ ძმასთან ერთად დაიღუპა ფაშისტებთან ბრძოლაში. ოჯახი გადაშენდა.

დავით ილარიონის ძე ჭიჭივაძე — მედიცინის მაიორი, ჰოსპიტლის მთავარი ექიმი.

დავით ვასილის ძე ჩიხლაძე — მაიორი; იბრძოდა კავკასიისა და ყირიმის ფრონტებზე. და სხვები.

---

[3] იხ. იაროსლავ იოსელიანი, ტრაგედია ვარანგერ-ფიორდში, კრებულში — საბედისწერო ნაღმი, თბ., 1971, გვ. 135-182.

მეორე მსოფლიო ომიდან სხებთან ერთად დაბრუნდნენ: მაიორი ილია ილიას ძე ბარაბაძე, უფროსი სერჟანტი სერგო ერისტოს ძე კორძაძე, უფროსი სერჟანტი აკაკი ერმილეს ძე სვანიძე, სერჟანტი ვახტანგ ივანეს ძე ლაითაძე, კაპიტანი დავით სარდიონის ძე სანოძე, უფროსი ლეიტენანტი ბიქტორ ლუკას ძე შავლაძე, ლეიტენანტი კორნელი ჩიქოვანი, მაიორი აკაკი სპირიდონის ძე ძიძავა, მაიორი ვიქტორ სამსონის ძე დაჭავა, უფროსი ლეიტენანტი ვარლამ სამსონის ძე დაჭავა, მაიორი დავით ილარიონის ძე ბახტაძე, სილიბისტრო კაკაურიძე და სხვები.

1939-945 წლებში მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე 5 737 ხონელი იბრძოდა, მათგან 3 181 ბრძოლის ველზე დაეცა[4].

1983 წლის 9 მაისს ხონში გაიხსნა შინმოუსვლელთა მემორიალი, რომლის ავტორია რაიონის მკვიდრი არქიტექტორი ლერი ლევანის ძე ბალავაძე.

## 3. ხონი XX საუკუნის 40-80-იან წლებში

XX საუკუნის 40-80-იან წლებში ხონი, ისე როგორც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი მთელი საქართველო, რთული და წინააღმდეგობრივი ცხოვრებით ცხოვრობდა. არნახული სისწრაფით მიმდინარეობდა ერთიანი საბჭოთა ხალხის შექმნის ძალდატანებითი პროცესი, უფრო ზუსტად, რუს ხალხში ე. წ. მცირე ერების შერწყმა-გათქვეფა, დაბეჯითებით მკვიდრდებოდა ორენოვნება, რომლის დროსაც ქართული ენა სახელმწიფო დაწესებულებებში სულ უფრო ნაკლებად გამოიყენებოდა. ამ პოლიტიკას თან ახლდა შესაბამისი ეკონომიკური ღონისძიებანი (მძიმე მრეწველობის მსხვილ საწარმოთა მშენებლობა — ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, ქარხნები „აისი", „ავანგარდი" და სხვ.), რომლებსაც შედეგად უნდა მოყოლოდა დემოგრაფიული ინტერვენცია, მოსახლეობის ძირითადი ნაწილის ჩამოშორება სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული დარგებისაგან. გარეგნულად თითქოსდა სახეზე იყო ეკონომიკური და მატერიალური კეთილდღეობა, მაგრამ ეს იყო წარმოების სოციალისტური წესის უკანასკნელი გაბრძოლება, რასაც გარდუვალად უნდა მოჰყოლოდა და მოჰყვა კიდეც მისი კრახი.

---

[4] ცნობები აღებულია ხონის რაიონის სამხედრო კომისარიატის არქივიდან.

ომისშემდგომ პერიოდში (1962 წ.) ხონში შეიქმნა ქიმიური მრეწველობის საკავშირო მნიშვნელობის ობიექტი — პოლიმერული ტარის ქარხანა. ქიმიური ქარხნის შექმნისა და განმტკიცების საქმეში დიდი როლი შეასრულა ალექსანდრე გიორგის ძე ბახტაძემ. მან პირველმა შემოიტანა რაიონში პოლიეთილენის დამამუშავებელი ერთი გერმანული დაზგა-დანადგარი, რომელიც შემდეგში საკმაოდ მოზრდილი ქარხნის მშენებლობის საფუძველი გახდა. საწარმოო პროდუქციის ძირითადი სახეები იყო: სარქველიანი და ბრტყელი ტომრები, საცობები მინის ტარისათვის. ქარხნის პროდუქცია იგზავნებოდა საბჭოთა კავშირის იმ ქალაქებში, სადაც მინერალური სასუქის წარმოება იყო. იგი გამოიყენებოდა ორგანული და მინერალური სასუქების შეფუთვისათვის.

გაფართოვდა საქართველოს საფეიქრო მრეწველობის ერთ-ერთი უძველესი საამქრო — აბრეშუმის ძაფსალებ-საგრეხი ფაბრიკა. 1950 წელს ექსპლოატაციაში გადაეცა საგრეხი საამქრო, ხოლო 1958 წელს — ავტომატური საამქრო. 1971 წელს დამხარისხებელ საამქროში პარკის დამხარისხებელი მაგიდა შეიცვალა კონვეიერით. ფაბრიკის პროდუქცია იგზავნებოდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა საწარმოში. მისი ძირითადი მომხმარებელია თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება, თბილისის საგალანტერიო ფაბრიკა, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი.

1931 წლიდან ხონში არსებობს „სათაო პარკსაშრობი", რომლის ძირითადი დანიშნულებაა პარკის პირველადი გადამუშავება (ხმობა) და მისი რეალიზაცია-ტრანსპორტირება. წარმოების პროდუქცია იგზავნება ძაფსალებ ფაბრიკაში. იგი აბრეშუმის გრენით ამარაგებს აგრეთვე პარკის ჩამბარებელ რაიონებს. სათაო პარკსაშრობს სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ: ძირილე ჯავჯანიძე, გიგლა სიმონიძე და სხვ.

ხონს ბევრი გამოცდილი მეაბრეშუმე ყავდა და ყავს. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ: ნინო ბარაბაძე, ნორა ადამია, ლალი მაჯარაშვილი, დოდო მელაძე და სხვები.

1974 წელს ხონში შეიქმნა ჩაის ფაბრიკების სარაიონთაშორისო გაერთიანება. მასში შედიოდა ხონის, გუბისა და სამტრედიის ჩაის ფაბრიკები. ხონის ჩაის ფაბრიკა უშვებდა შავ ბაიხაო ჩაის პროდუქციას, ლაო ჩაის საპირე და შიგა მასალას, ამასთან ერთად აწარმოებდა ჩაის პროდუქციის ხელით შეფუთვით დაფასოებას. ფაბრიკის მიერ გამოშვებუ-

ლი პროდუქცია, ძირითადად, იგზავნებოდა თბილისის ჩაის საწონ ფაბრიკაში, სამტრედიის ჩაის საწნეხ ფაბრიკაში, შუა აზიის ქვეყნებში, უნგრეთში, ბულგარეთში, გერმანიაში.

მოწინავე ხონელი მეჩაიეებიდან შეიძლება დავასახელოთ იზოლდა წოწონავა, დალი წივწივაძე — სოციალისტური შრომის გმირი, ლილი ბახტაძე, გალინა ძაშიბაძე, ანგელინა ჩომახიძე, შურა კაკაურიძე, ლუბა ჩიმაკაძე, ეთერ ფირცხალავა, ლამარა ჯოხაძე, გულიზარ დაბრუნდაშვილი, გუგული ჩირგაძე, გალინა ბარაბაძე, ნანატრი კოპალიანი და სხვები.

1959 წლიდან ხონში არსებობდა საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაცია, რომელიც მომსახურებას უწევდა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, ძირითადად აშენებდა ფერმებს, სასენაჟე და სასილოსე ნაგებობებს, მარცვლეულისა და მინერალური სასუქების საწყობებს, კლუბებს, კანტორებს, ბაგა-ბაღებს, ტრანსპორტისა და ტექნიკის დასაყენებელ ფარდულებს, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სხვა ნაგებობებს.

1965 წელს ხონში შეიქმნა „სოფლტექნიკის" რაიონული განყოფილება.

მეორე მსოფლიო ომამდე ტრანსპორტის ძირითად სახეს რაიონში ჭაპანტრანსპორტი წარმოადგენდა. ომის შემდეგ სერიოზული ცვლილებები მოხდა ქალაქისა და რაიონის სატრანსპორტო მეურნეობაში. 1959 წელს ხონში ჩამოყალიბდა ავტოსატრანსპორტო საწარმო, რომელიც აერთიანებდა როგორც სატვირთო ავტომანქანებს, ასევე ავტობუსებსა და მსუბუქ ტაქსებს. ამჟამად ხონი საავტომობილო ტრანსპორტით დაკავშირებულია საქართველოს თითქმის ყველა ქალაქთან და რაიონულ ცენტრთან. როგორც ცნობილია, ხონზე გაივლის სენაკიდან ქუთაისსა და თბილისისაკენ მიმავალი გზატკეცილები. 1971 წ. 21 თებერვალს გაიხსნა სენაკისა და ხონის დამაკავშირებელი ხიდი მდ. ცხენისწყალზე. ხიდის სიგრძე 110 მ-ია, ხოლო სავალი ნაწილის სიგანე — 10 მეტრი.

ომის შემდეგ კვლავ დადგა საკითხი ხონზე გავლით რკინიგზის მშენებლობის შესახებ. ამჯერად დასახელებული იყო შემდეგი მარშრუტი: სენაკი—ხონი—წყალტუბო, განშტოებით სოფელ მათხოჯამდე.

საფუძვლიანად გადაკეთდა კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი. ამჟამად იგი აწარმოებს მთელ რიგ საფინანსო

და საფოსტო ოპერაციებს, რომელთაც პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს. 1973 წელს აიგო კავშირგაბმულობის ახალი შენობა, მოეწყო საქალაქთაშორისო სალაპარაკო პუნქტი. განხორციელდა ღონისძიებანი რაიონის წყლითა და ბუნებრივი გაზით მომარაგების ხაზით.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ვაჭრობის განვითარებას. რაიონული ცენტრისა და სოფლებისათვის ვაჭრობის ერთ-ერთ გავრცელებულ სახეს წარმოადგენდა სამომხმარებლო კოოპერაცია. 1972 წლამდე ხონში არსებობდა რაიკოოპკავშირი, რომელიც შემდეგ რაიკოოპერაციად გადაკეთდა. მასში შედიოდა რაიკოოპერატივის საცალო, ქუტირისა და ნახახულევის საცალო ვაჭრობის გაერთიანებანი. გარდა ამისა, რაიონში იყო საზკვების გაერთიანება, პურკომბინატი და კოოპვაჭრობა.

1968 წელს ხონში აიგო სავაჭრო ცენტრის ორსართულიანი შენობა (1000-მდე კვ. მ. ფართობით), რომელიც ერთ-ერთი მსხვილი ობიექტია დასავლეთ საქართველოში, აგრეთვე პურის ქარხანა, 25 ტონის ტევადობის მაცივარი და სხვ. 1975 წელს ექსპლოატაციაში გადაეცა გადახურული ბაზრის შენობა 300 ადგილით. ხონში ვაჭრობის განვითარების საქმეს დიდი ამაგი დასდეს კოწია ბახტაძემ, კლიმენტი ბახტაძემ, მარიამ ბახტაძემ, ლასი ბახტაძემ, გაშო ბახტაძემ, ერმალო ბახტაძემ, ივანე გორდაძემ, ირაკლი ძუთათელაძემ, კირილე ჩარგეიშვილმა, თამარ რუხაძემ, საშა ჭივჭივაძემ, შალვა გახოკიძემ, შალვა ძუთათელაძემ, გრიშა კოტიშაძემ, ჟორა ბართიამ, ალექსანდრე ქაროსანიძემ, მარგალიტა კვაბზირიძემ, ნათელა ძიძიგურმა, ავთანდილ უგულავამ, ჟანი რატიანმა, შურა ძობალიამ, იროდი ძავზინაძემ, სოსო კუხალაშვილმა, ალექსანდრე ღვინცაძემ, მიხეილ ჯოხიძემ, გივი ჯანტურიშვილმა, სოსო კოხრეიძემ, ანზორ მამარდაშვილმა, სერგო გოშოძემ და სხვებმა. ამჟამად ხონის რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარეა ბეჟან უგულავა.

XX საუკუნის 30-იანი წლებიდან ხონში არსებობდა სახელმწიფო ბანკის განყოფილება. მას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ ა. თოდუა, ნადეჟდა სანოძე, გიორგი გიორგაძე, მ. ჭვერავა, არტემ სულუხია, ალექსანდრე სულაბერიძე, შალვა ზერაგია, დემურ სულაბერიძე, როინ სანოძე.

1988 წ. იანვარში სახბანკის ხონის განყოფილება გადაკეთდა აგრომრეწვბანკის განყოფილებად.

ქალაქის ტერიტორიაზე არსებობდა ორი კოლმეურნეობა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმოებრივი სპეციალიზაციით ხონის რაიონი მეათე ზონის მეჩაიეობისა და სუბტროპიკული მეხილეობას მიეკუთვნებოდა. თვით ხონის რაიონი იყოფოდა ბარისა და მთის მიკროზონებად. ბარის მიკროზონა მეჩაიეობის, ხოლო მთის — მეცხოველეობა-მეხილეობის წარმოებრივი მიმართულებისა იყო. მეცხოველეობის დარგში წლების მანძილზე თავდადებულად შრომობდნენ ნოდარ ქუთათელაძე, ლიზა გეგუჩაძე, შურა ბარაბაძე, მიტუშა კუხალაშვილი, ალეკო კუხალაშვილი, გრიშა ბობოხიძე, მიხეილ ბარაბაძე, მედიკო ჯარიაშვილი, სილოვან მეძველია, ბოჩია კიკაბიძე, ონისიმე ჯანელიძე და სხვ.

ქალაქის ტერიტორიაზე არსებული კოლმეურნეობები აწარმოებდნენ ჩაის, სიმინდს, ბოსტნეულს, ხილს, ხორცს, რძეს, აბრეშუმის პარკს. რაიონში ცნობილი მესიმინდეები იყვნენ: ზაქარია და აკაკი ღვაბერიძეები, გურამ მსხილაძე, სიმონ ლიპარტელიანი, კოსტა რუხაძე, ვლადიმერ ხელაია, ბუხუტი ხობუა და სხვ. მებოსტნეობაში თავი გამოიჩინეს: სილიბისტრო კაკაურიძემ, რაულ ბოკელავაძემ, ვალიკო რუხაძემ და სხვ. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საქმეს თავდადებით ემსახურებოდნენ: სიმონ ბარაბაძე, ვალიკო ცაგარეიშვილი, დავით ჩიმაკაძე, ზურაბ აბზიანიძე, ნოდარ გოგავა, ზაური დარსაველიძე, ავთანდილ ბახტაძე, კოტე წვერავა, უშანგი წიქვაძე, შალვა და ვალოდია ჯიქიები, გურამ მესხი, აკაკი ბახტაძე...

რაიონში არსებულ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ: ვარლამ მაჭარაძე, დავით ჩხენკელი, ვარდენ ტყაბლაძე, აკაკი ჯანელიძე, ამბროსი ლომიძე, სარდიონ კინწურაშვილი, დავით ფაილოძე, შოთა ფარულავა, ნესტორ კეთილაძე, გრიგოლ რუხაძე, გივი ანდრიაძე, გიორგი ბასილაია, ამირან ეძგვერაძე, აკაკი ღვაბერიძე, მიხეილ ვადაჭკორია, ალიოშა რუხაძე, ოთარ მაღლაფერიძე, ცისანა კორკოტაძე, ვაჟა ფანცულაია, აკაკი ქელბაქიანი, იუსტინე ჯალაღონია, სევერიან მელქაძე, ივანე კაკაურიძე, ბიძინა ჩხენკელი, ოთარ ხურცილავა, ელდარ ფიოლია, კონსტანტინე მელქაძე, ალექსანდრე რუხაძე, ნოსიკო რუხაძე, ზეიმი ბერაძე, ვარლამ გიორხელიძე, გივი გოდერიძე, კოწია კორძაძე, გედეონ ჯიშკარიანი, უშანგი კაკაბაძე, ლევან გენძეხაძე, მიხეილ ცაგურია, ომარ რუხაძე, გივი ბობოხიძე, ივანე ბობოხიძე, გიგა ღვაბერიძე, ელდარ ლორია, რამაზ ლორთქიფანიძე, ივანე კიკალიშვილი, აკაკი რუხაძე, შოთა ჩიხლაძე, შოთა კობეშავიძე, მურად კუჭავა, მერაბ მანაგაძე და სხვ.

რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ: მამია ნადირაძე, გივი ანდრიაძე, ვასილ კირთაძე, თეიმურაზ კუხალაშვილი, ბორის ფაილოძე, ზაურ სალარეიშვილი, გოგი კაკაბაძე, ჯუმბერ კალანდაძე, რობინზონ ვაშაკიძე, ელგუჯა ჯიმშელეიშვილი და სხვ.

სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების წამყვანი სპეციალისტები იყვნენ: იუსტინე ლოჩოშვილი, ვალერიან მაჭარაძე, ვერა ქუთათელაძე, არჩილ ბარამიძე, ტრიფონ რუხაძე, გრიშა მაჭარაძე, ნიკოლოზ ქუთათელაძე, ჟორა ბახტაძე, არჩილ ქუთათელაძე, მიხეილ კუჭავა, არსენ მოწერელია, ქეთევან გველესიანი, დიმიტრი ქუთათელაძე, ნორა ბუაძე, ილია გვილავა, ნოდარ კიკაჩეიშვილი, სოსო ჭურაძე, სერგო კორძაძე, სერაპიონ მეძველია, იულია ჩხეიძე, ცაცა კინწურაშვილი, ბელა ნემსიწვერიძე, იულია ჩარგეიშვილი, იზა ბარაბაძე, შალვა ბარაბაძე, ლამარა ჯღარკავა, კორნელი ანდრიაძე, გოგუცა ჩიხლაძე, მანია ბახტაძე, ვასილ შავლაყაძე, რეზო სვანიძე, ოთარ კაკაბაძე, ტიტე ცაგარეიშვილი, ოთარ ჩიქოვანი, იზოლდა ანდრიაძე, შალვა კალანდარაშვილი, კირილე ჭავჭანიძე, გიგლა სიმონიძე, მიხეილ ჯიმშელეიშვილი, გიორგი სტურუა, კოლია მაჭარაძე, აკაკი ტყაბლაძე, მარო მუსელიანი, გიორგი ხაჭაპურიძე, ენუქი შალამბერიძე, სანდრო სალარეიშვილი და სხვ. რაიონის სოფლის მეურნეობის საბუღალტრო დარგს ათეული წლების მანძილზე ღირსეულად ხელმძღვანელობდა ნიჭიერი ორგანიზატორი ვლადიმერ ერმილეს ძე უგულავა.

XX საუკუნის 70-იან წლებამდე რაიონის ბიუჯეტის შემოსავალი ძირითადად სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებიდან მიღებული თანხებით ივსებოდა, ხოლო მას შემდეგ, რაც რაიონის წარმოების პირმშოს ძაფსადებ-საგრეხ ფაბრიკასა და ქალაქის ჩაის ფაბრიკას გვერდით ამოუდგა ისეთი საწარმოები, როგორიცაა: პოლიმერკონტეინერისა და საკონსერვო ქარხანა, ჩაის გადამწონი ფაბრიკა, გუბის, მათხოჯის, ივანდიდისა და ჩაის მეურნეობის ტერიტორიაზე აგებული ჩაის ფაბრიკები, სხვადასხვა სახის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოები და სხვები, რაიონის ბიუჯეტის ძირითადი ნაწილი მათი შემოსავლებიდან ივსებოდა.

ზემოთ დასახელებულ საწარმოებს თავის დროზე უნარიანად ხელმძღვანელობდნენ: ვლადიმერ და გივი მონიავები, ვახტანგ ბერაძე, გიორგი (ჟორა) სანოძე, მერაბ კოპალეიშ-

ვილი, სერგო თვალავაძე, გიორგი ბახტაძე, უშანგი კაკაბაძე, ამირან რუხაძე, როლანდ შოვნაძე, ზეიმი ხუციშვილი, ლერი ხუჭუა, ტარიელ კოპალიანი, მურმან თოდუა, ივერი ცაცუა, გიორგი ხურცილავა, კოტე სადარეიშვილი...

ომის შემდგომ წლებში გაფართოვდა სახალხო განათლების დაწესებულებათა ქსელი. სულ რაიონში იყო 34 სკოლა, 2 სკოლა-ინტერნატი, 16 საბავშვო ბაღი და 1 ბაგა. მათ შორის ქალაქში — 4 საშუალო სკოლა, სკოლა-ინტერნატი, 6 საბავშვო ბაღი და ბაგა.

საქართველოში კარგადაა ცნობილი მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ხონის ტექნიკუმი (დაარსდა 1933 წ.). მას სამი ფაკულტეტი ჰქონდა: სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის, მეცხოველეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის.

მუშათა კვალიფიციური კადრების მომზადების საქმეს ემსახურებოდა № 8 და № 9 პროფტექნიკური სასწავლებლები.

ხონს, ისტორიულად, გამორჩეული პედაგოგიური საზოგადოებრიობა ჰყავდა. ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეს თავდადებით ემსახურებოდნენ ღვაწლმოსილი პედაგოგები: გიორგი (ჟორა) ბახტაძე, დარია ბახტაძე, ნასტია მებუკე, ერმალო ბახტაძე, თინა ბახტაძე, დავით ბახტაძე, დავით ბახტაძე, გრიგოლ კვანტალიანი, გალინა ბახტაძე, შურა ბახტაძე, ოთარ ადამია, ჯემალ ჩხენკელი, აკაკი გალდავა, მარგო ეძგვერაძე, გრიგოლ ვაშაკიძე, კოტე ინჯია, დადუ იოსელიანი, იონა იობიძე, ნინა კაკაბაძე, იოსებ კაკაბაძე, მოსე კოპალიანი, დომნა კოტიშაძე, ვლადიმერ თოფურია, თამარ სულავა, ალექსი ჭანტურაია, გიორგი ჭანტურაია, კალისტრატე შამათავა, ნადია ხუროძე, სოფიო ქუთათელაძე, სტეფანე ჭოლოკავა, დავით ჭოლოკავა, გიგლა მუშკუდიანი, არეთა ჩაგუნავა, ვახტანგ ქობალია, მარგო კაკაბაძე, ივანე უგრეხელიძე, კონდრატე ცაცუა, შალვა ჩარგეიშვილი, სერგო ჩარგეიშვილი, ვასილ ფარცხალაძე, ალექსი მესხი, ქეთევან ბახტაძე, ვალერიან ჭავჭანიძე, ნესტორ მანაგაძე, ნოე წვერავა, გალინა რუხაძე. მათ სახელოვან ტრადიციებს ღირსეულად აგრძელებდნენ და აგრძელებენ პედაგოგები: თამარ ბარაბაძე, მურმან გორდაძე, ალექსანდრე (საშა) კვერნაძე, ალიოშა უგულავა, შალვა გეგია, ზურაბ თოდუა, დავით უგულავა, კლავდია ჩიხლაძე, ბიჭიკო ქაროსანიძე, ჟორა ჯანელიძე, თამაზ ცაგარეიშვილი, თემურ ყურაშვილი, ბიქტორ ჭოლოკავა, ალექსანდრე ბახტაძე, აკაკი ჩხენკე-

ლი, მერი ყუფარაძე, ლიანა ღოღობერიძე, ალმასი ხურცილავა, ნელი რუხაძე, თამარ გეგენავა, შოთა სალინაძე, შოთა მაჭარაძე, ალექსანდრე ქიშმარაია, რეზო კაკაბაძე, ნოდარ გიორგაძე, შოთა ბახტაძე, ბიძინა კვანტალიანი, გია უგულავა, ელიბო სანოძე, გიგლა ეძგვერაძე, ვერა ხობუა, მეგი იოსელიანი, ივლიტა ადანაია, ნანული ფაილოძე, ლამარა კირთაძე, დალი წვერავა, ლევან შავლაყაძე, გულინა ბახტაძე, როზა კაკაურიძე, ნათელა ჯაფარიძე, შურა რუხაძე, გენრიეტა კაკაბაძე, კოლია ლეჟავა, შოთა ჭავჭანიძე, რუსუდან რუხაძე, ლამარა დანგაძე, ნანული დაჭავა, ციური კვაბზირიძე და სხვები.

1960 წელს მეთუთეობის სახელმწიფო სანერგეს ბაზაზე (ჩამოყალიბდა 1945 წ.) ხონში შეიქმნა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეაბრეშუმეობის საჯიშესასელექციო სადგური. მისი დანიშნულება იყო სუპერელიტური, ელიტური და სამრეწველო პარკის, აგრეთვე, ელიტური და სუპერელიტური გრენის დამზადება. გარდა ამისა, საჯიშე-სასელექციო სადგურში შექმნილი პროდუქციით: ნერგებით, თესლნერგებით, თუთის ფოთლით მარაგდებოდა რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. სანერგე მეურნეობის ჩამოყალიბება-განვითარების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ვალერიან ანდროს ძე შელიას, ჯემალ ბოკელავაძეს, გურამ წვერავას, ლერი მამფორიას და სხვებს.

ხონში, როგორც უკვე აღინიშნა, დიდი კულტურული ტრადიციების ქალაქია. აქ კარგად იციან ლიტერატურის, მუსიკის, თეატრის ფასი. 40-80-იან წლებში რაიონში იყო: 34 ბიბლიოთეკა, 17 სასოფლო კლუბი, 2 სასოფლო კულტურის სახლი (კუხსა და ივანდიდში). რაიონის კულტურის სახლი, რომელსაც 1961 წელს ახალი, თანამედროვე სტილზე აგებული შენობა გადაეცა, თავისი შინაარსიანი საქმიანობით კარგადაა ცნობილი საქართველოში. კულტურის სახლთან არსებული თეატრალური კოლექტივი ერთგულად აგრძელებს და ამდიდრებს ხონელ სცენისმოყვარეთა დანერგილ ტრადიციებს. 1967 წელს მას სახალხო თეატრის სტატუსი მიენიჭა. მას სათავეში ედგა ალექსანდრე ყვინჩია. ხონის თეატრის სცენაზე სპექტაკლებს დგამდნენ რეჟისორები: მარკი ბახტაძე, ალექსანდრე ყვინჩია, სიკო ვაჩნაძე, შოთა დარსაველიძე, ტარიელ ხაჟალია, მურმან ფურცხვანიძე, გიორგი რატიანი და სხვ.

თეატრთან აქტიურად თანამშრომლობდნენ ნიჭიერი მხატვრე-

ბი: ანდრო ბახტაძე, კარლო დოლაბერიძე, მაგი ტაბიძე, ჟუჟუნა ტაბიძე, კოკი მაჭარაძე, ლერი ჭავჭანიძე და სხვ.

სპექტაკლებს მუსიკალურად აფორმებდნენ კომპოზიტორები: მიხეილ ჩემია, შაქრო დიაკვნიშვილი, მიხეილ სებუა, დავით ბახტაძე, ლუიზა ხინგავა, ვახტანგ ჯაბადარი და სხვ.

სპექტაკლებში მონაწილეობდნენ მსახიობები და სცენისმოყვარენი: ილიკო მამფორია, ალექსანდრე ყვინჩია, მარკი ბახტაძე, მარიამ ჩაჩანიძე, ლუბა ყვინჩია, მურმან ბახტაძე, ანატოლ ჯიშკარიანი, გრიგოლ ქუთათელაძე, დურმიშხან მენაბდე, რევაზ შამათავა, რეზო ხობუა, მურმან გედენიძე, გიორგი კაკაბაძე, მიხეილ არლოვი, ნიკოლოზ ბახტაძე, ჟორა წვერავა, ნინა ჩალიგავა, ციცი ტაბიძე, გურამ გაბუნია, ნოდარ ქაცარავა, უშანგი კაკაბაძე, მაგი ტაბიძე, მერი ბარაბაძე, გულიადა სანოძე, ზურაბ აბზიანიძე, გურამ უგულავა, გურამ ჯანელიძე, დავით კაკაურიძე, ნატო ჩხენკელი, დამზირ ლიპარტელიანი, კობეშავიძე, თინათინ ხურცილავა, პეტრე ჩარგეიშვილი...

1971-1987 წლებში სახალხო თეატრის დირექტორები იყვნენ: დური მენაბდე, მერაბ ფაილოძე, მაკა მონიავა. მათ ტრადიციებს სახელოვნად აგრძელებს ზაირა რატიანი.

ახალგაზრდობის მუსიკალურ აღზრდას ემსახურება ხონის მუსიკალური სკოლა, რომელსაც ხანგრძლივი ისტორია აქვს. მასთან არსებობს ფორტეპიანოს, საორკესტრო და აკორდეონის კლასები. სკოლაში სისტემატიურად ეწყობა პედაგოგთა და მოსწავლეთა საჩვენებელი კონცერტები, რომლებსაც მსმენელთა ფართო აუდიტორია ესწრება. ხონში ახალგაზრდობის მუსიკალური აღზრდის საქმეს დიდი ამაგი დასდეს შაქრო დიაკვნიშვილმა, მიხეილ ჩემიამ, ვახტანგ ჯაბადარმა, დავით ბახტაძემ, მიხეილ სებუამ, ზაირა რატიანმა, თალიკო კოპალეიშვილმა და სხვ.

40-50-იან წლებში ხონის სამუსიკო სკოლის დირექტორმა შაქრო დიაკვნიშვილმა ჩამოაყალიბა გუნდი, კვარტეტი გიტარის თანხლებით (მარიამ კუპრაშვილი, თინა ჭელიძე, დულიკო კინწურაშვილი, აინურ შუბლაძე), დომბრებზე დამკვრელ გოგონათა ანსამბლი, რომლებიც წარმატებით გამოდიოდნენ ფართო მაყურებელთა წინაშე.

ნაყოფიერ მუშაობას განაგრძობს მ. ჩემიას მიერ ჩამოყალიბებული სასულე ორკესტრი, რომელსაც მისი მოწაფე ვაჟა ჩიხლაძე ხელმძღვანელობს.

1952 წელს ხონში გაიხსნა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომელსაც საინტერესო მასალები აქვს შეგროვილი და გამოფენილი რაიონის ისტორიული წარსულის შესახებ. (ამჟამად მუზეუმის დირექტორია მანანა ჯოხიძე)

70-იანი წლების ბოლოს ხონში აიგო 300-ადგილიანი კინოთეატრის შენობა.

ხონის ხშირი სტუმრები არიან მწერლები, პოეტები, ხელოვნების მოღვაწენი, თეატრალური და მუსიკალური კოლექტივები.

ხონის რაიონში აღიზარდა ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების არაერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. 1966 წლის 24 დეკემბერს მშობლიურმა რაიონმა შეხვედრა მოუწყო თავის სახელმოხვეჭილ შვილებს. შეხვედრამ სახალხო ზეიმის ხასიათი მიიღო.

ამასთან დაკავშირებით საორგანიზაციო კომიტეტმა ხონის რაიონულ სტამბაში ცალკე ბროშურის სახით დაბეჭდა მოწვეულ სტუმართა სია სახელწოდებით: „წულუკიძის რაიონის სახელოვანი თანამემამულენი". ქ. წულუკიძე, 1966 წელი, 24 დეკემბერი". მასში დასახელებული არიან (1966 წლის მონაცემებით) მწერლები: ირაკლი ბესარიონის ძე აბაშიძე, პოეტი-აკადემიკოსი (საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე), კალე ფარნას ძე ბობოხიძე, პოლიკარპე მალხაზის ძე კაკაბაძე, ვასილ პავლეს ძე კიკნაძე, ბიბლა ნიკიფორეს ძე მებუკე, ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ქუთათელაძე (ქუთათელი), ალექსანდრა პავლეს ასული ჩხენკელი, თამაზ ივანეს ძე ჩხენკელი, სიმონ დიმიტრის ძე წვერავა, ეთერ ჯიშკარიანი...

მხატვრები, არქიტექტორები, მოქანდაკეები: სილოვან იაკობის ძე კაკაბაძე, პროფესორი, მოქანდაკე; ეთერ სილოვანის ასული კაკაბაძე — მხატვარი, კორნელი ბარნაბის ძე სანაძე, პროფესორი, მხატვარი; დავით ილარიონის ძე კაჯაია — არქიტექტორი, დოცენტი; აპოლონ ყარამანის ძე ქუთათელაძე — პროფესორი, მხატვარი; გურამ აპოლონის ძე ქუთათელაძე — მხატვარი; ტარიელ აპოლონის ძე ქუთათელაძე — არქიტექტორი; გიორგი ქუთათელაძე, ვლადიმერ ქუთათელაძე, ნიკა ნოეს ძე ქუთათელაძე — მოქანდაკე; ივანე ნოეს ძე ჩხენკელი — თბილისის მთავარი არქიტექტორი; გიორგი პლატონის ძე ჯაში — პროფესორი, მხატვარი.

ხელოვნების მუშაკები: გივი დავითის ძე ბადრიძე, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანი; ოთარ მათეს ძე ბახტაძე, მუსკომედიის თეატრის მსახიობი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე; მიხეილ იოსების ძე ბახტაძე, მსახიობი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე; ვლადიმერ დავითის ძე კარსანიძე, კინოსცენარისტი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რევაზ სერგოს ძე კაკაბაძე, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი; შალ-

ვა ბარნაბის ძე ლორთქიფანიძე, მოზარდმაყურებელთა თეატრის მსახიობი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე; კირილე ერასტის ძე მაჭარაძე, მსახიობი; შალვა სამსონის ძე მეძველია, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობი; თემო ათანასეს ძე მიკაძე, კინორეჟისორი, კინოსახლის დირექტორი; დავით იაგორის ძე რონდელი (ცაგარეიშვილი), კინორეჟისორი; მიხეილ იაკობის ძე სებუა, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე; ალექსი ალექსის ძე ფარცხალაძე, კომპოზიტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე; დავით ქუთათელაძე, თბილისის მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი; თამარ ნიკოლოზის ასული ქუთათელაძე, თბილისის კონსერვატორიის დოცენტი; შოთა ილარიონის ძე ქუთათელაძე, თბილისის კონსერვატორიის კათედრის გამგე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე; იოსებ იოსების ძე ქუთათელაძე, მუსკომედიის თეატრის მსახიობი, დამსახურებული არტისტი; შურა ქელბაქიანი, მსახიობი; შალვა თადეოზის ძე ჩაგუნავა, რეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე; არჩილ ივანეს ძე ჩიმაკაძე, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორი; მიტროფანე ბეგლარის ძე ცაგურია, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე; ვალერიან სერაპიონის ძე ცაგარეიშვილი, კომპოზიტორი; ეთერ კონსტანტინეს ასული წვერავა, მომღერალი; მები სისიკოს ასული წულუკიძე, კინომსახიობი; შურა იულოს ასული ჭავჭანიძე, მსახიობი; იპოლიტე ალექსანდრეს ძე ხვიჩია, თბილისის რუსთაველის თეატრის მსახიობი; რეზო გიორგის ძე ხობუა, თბილისის მარჯანიშვილის სახ. თეატრის მსახიობი; შალვა სიმონის ძე ხონელი (გოგოლაშვილი), საქართველოს სახალხო არტისტი; ზაქარია ზაქარიას ძე ხუროძე, კომპოზიტორი; ნიკოლოზ მოსეშვილი, მსახიობი...

მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: გიორგი პორფილეს ძე ადამია, თბილისის მთავარი თერაპევტი; შოთა ნიკოლოზის ძე ბალავაძე, პეტერბურგის ენათმეცნიერების კვლევითი ინსტიტუტი, გივი გრიგოლის ძე ბახტაძე, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი; ვახტანგ ვუკოლის ძე ბერიძე, ხელოვნებათმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი; დავით ამბროსის ძე ბულეიშვილი, გეოლოგიის კვლევითი ინსტიტუტი; გიორგი სერაპიონის ძე გორდაძე, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი; გიორგი ნესტორის ძე გორდაძე, თბილისის ტროპიკული მალარიის ინსტიტუტი; გიორგი იაგორის ძე გიორგაძე, თბილისის ონკოლოგიის კვლევითი

ინსტიტუტი; თენგიზ გიორგის ძე გეგელია, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი; ივანე ალექსის ძე გიორგბერიძე, სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტი; ძუძუშა პოლიკარპეს ძე ზერაგია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ბორის ვლადიმერის ძე ივანოვი, თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი; ვასილ მიხეილის ძე კაკაბაძე, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი; სარგის ნესტორის ძე კაკაბაძე, ისტორიკოსი; დავით ანდრიას ძე კობეშავიძე, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი; მექველია კონსტანტინე ნესტორის ძე, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი; ამბროსი რუხაძე, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი; პროკოფი ესტატეს ძე რუხაძე, სოხუმის პოლიტექნიკური ინსტიტუტი; ვლადიმერ ვლადიმერის ძე სანაძე, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი; გრიგოლ პლატონის ძე სალარაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ნოე იოსების ძე ფირცხალავა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; კალისტრატე სევერიანის ძე ქუთათელაძე, თბილისის საშენ მასალათა კვლევითი ინსტიტუტი; ლეილა ალექსანდრეს ასული ქუთათელაძე, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი; სიმონ სიმონის ძე ქუთათელაძე, ნოვოსიბირსკის ფიზიკის ინსტიტუტი; გიორგი ყუფარაძე, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი; მიხეილ ლავრენტის ძე ყუფარაძე, თბილისის ტუბერკულოზის კვლევითი ინსტიტუტი; ივანე ალექსის ძე ჩხენკელი, თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი; არკადი ზაქარიას ძე ჩხენკელი, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი; ირაკლი ვლადიმერის ძე ცაგარეიშვილი, ძაუჯიკაოს სამედიცინო ინსტიტუტი; შოთა ვარლამის ძე ძიძიგური, თბილისის ა. პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტი; ელენე ნიკოს ასული წვერავა, თბილისის სისხლის გადასხმის კვლევითი ინსტიტუტი; ვლადიმერ ვალერიანის ძე ჯავჯანიძე, თბილისის კიბერნეტიკის ინსტიტუტი.

მეცნიერებათა კანდიდატები, დოცენტები: ავთანდილ ბაგრატის ძე ადამია, სისხლის გადასხმის კვლევითი ინსტიტუტი; შალვა ნესტორის ძე ადამია, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი; რობერტ შალვას ძე ადამია; ნინა კონსტანტინეს ასული ართმელაძე, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი; ჯემალ ალექსანდრეს ძე ბახტაძე, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი; ალექსი ვასილის ძე ბახტაძე, საქართველოს განათლების სამინისტრო; დავით დავითის ძე ბრეგაძე, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი; ალექსანდრე

ᲐᲙᲐᲙᲘᲡ ᲫᲔ ᲒᲕᲐᲮᲐᲠᲘᲐ, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი;
ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲕᲐᲠᲚᲐᲛᲘᲡ ᲫᲔ ᲒᲕᲐᲮᲐᲠᲘᲐ, ფიზიკის ინსტიტუტი; ᲜᲘ-
ᲙᲝᲚᲝᲖ ᲡᲔᲠᲐᲞᲘᲝᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲒᲝᲠᲓᲐᲫᲔ, ბათუმის პედაგოგიური
ინსტიტუტი; ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲘᲐᲡᲝᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲒᲝᲠᲓᲐᲫᲔ, თბილისის ზო-
ოვეტერინალური ინსტიტუტი; ᲒᲣᲠᲐᲛ ᲜᲘᲙᲝᲡ ᲫᲔ ᲒᲕᲐᲖᲐᲕᲐ, თბი-
ლისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი; ᲑᲝᲠᲘᲡ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ ᲫᲔ
ᲒᲣᲯᲔᲯᲘᲐᲜᲘ, გეოლოგიის სამმართველოს უფროსი; ᲚᲐᲕᲠᲔᲜᲢᲘ
ᲘᲕᲐᲜᲔᲡ ᲫᲔ ᲓᲐᲓᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ, თბილისის სამედიცინო ინსტიტუ-
ტი; ᲝᲗᲐᲠ ᲕᲐᲠᲚᲐᲛᲘᲡ ᲫᲔ ᲓᲝᲚᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔ, მასწავლებელთა დახე-
ლოვნების ინსტიტუტი; ᲐᲞᲝᲚᲝᲜ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲫᲔ ᲓᲝᲯᲕᲘᲠᲘ, თბი-
ლისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი; ᲛᲐᲛᲘᲐ ᲘᲚᲘᲐᲡ ᲫᲔ ᲓᲒᲔ-
ᲑᲣᲐᲫᲔ, კურორტოლოგიის კვლევითი ინსტიტუტი; ᲑᲐᲠᲓᲚᲐ
ᲞᲝᲚᲘᲙᲐᲠᲞᲔᲡ ᲫᲔ ᲖᲔᲠᲐᲒᲘᲐ, თბილისის სასოფლო-სამეურნეო
ინსტიტუტი; ᲗᲐᲛᲐᲖ ᲠᲐᲤᲘᲔᲚᲘᲡ ᲫᲔ ᲗᲝᲤᲣᲠᲘᲐ, თბილისის სის-
ხლის გადასხმის კვლევითი ინსტიტუტი; ᲜᲘᲜᲝ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘ-
ᲜᲔᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲘᲠᲔᲛᲐᲫᲔ, თბილისის ქიმიის კვლევითი ინსტიტუ-
ტი; ᲜᲝᲓᲐᲠ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲡ ᲫᲔ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ, ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი; ᲖᲣᲠᲐᲑ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲡ ᲫᲔ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ, ქართული ლიტე-
რატურის ინსტიტუტი; ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲡᲞᲘᲠᲘᲓᲝᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ,
თბილისის ა. პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტი; ᲔᲚᲔᲜᲔ
ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ, სოხუმის პედაგოგიური ინ-
სტიტუტი; ᲔᲚᲘᲡᲝ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ, თბილისის მასწავლებელთა და-
ხელოვნების ინსტიტუტი; ᲘᲕᲐᲜᲔ ᲞᲐᲡᲘᲚᲘᲡ ᲫᲔ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ, სა-
ქართველოს განათლების სამინისტრო; ᲘᲚᲘᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲡ ᲫᲔ
ᲙᲘᲙᲐᲑᲘᲫᲔ, თბილისის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის
კვლევითი ინსტიტუტი; ᲝᲚᲘᲐ ᲜᲘᲙᲘᲤᲝᲠᲔᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲙᲕᲘᲪᲐᲠᲘᲫᲔ,
მეაბრეშუმეობის კვლევითი ინსტიტუტი; ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲙᲘᲙᲐᲩᲔᲘᲨ-
ᲕᲘᲚᲘ, სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი;
ᲔᲚᲔᲤᲗᲔᲠ ᲘᲐᲡᲝᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲛᲔᲚᲥᲐᲫᲔ, თბილისის სასოფლო-სამე-
ურნეო ინსტიტუტი; ᲠᲐᲤᲘᲔᲚ ᲠᲐᲟᲓᲔᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲛᲔᲚᲐᲫᲔ, თბილი-
სის პოლიტექნიკური ინსტიტუტი; ᲨᲝᲗᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲫᲔ ᲛᲔᲚᲐ-
ᲫᲔ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ᲒᲘᲣᲚᲘ ᲒᲘᲝᲠ-
ᲒᲘᲡ ᲫᲔ ᲛᲔᲚᲐᲫᲔ; ᲒᲣᲠᲐᲛ ᲙᲐᲠᲚᲝᲡ ᲫᲔ ᲛᲔᲚᲐᲫᲔ, თბილისის გეო-
ლოგიისა და მინერალოგიის კვლევითი ინსტიტუტი; ᲜᲘᲙᲝ-
ᲚᲝᲖ ᲔᲥᲕᲗᲘᲛᲔᲡ ᲫᲔ ᲛᲔᲜᲐᲑᲓᲔ, სოხუმის იზოტოპიის ინსტიტუ-
ტი; ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲫᲔ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ; ᲕᲐᲚᲔᲜᲢᲘᲜᲐ ᲠᲐᲤᲘᲔᲚᲘᲡ
ᲐᲡᲣᲚᲘ ᲠᲐᲢᲘᲐᲜᲘ, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი; ᲜᲘᲜᲐ
ᲚᲣᲙᲐᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲐᲜᲐᲫᲔ, მეაბრეშუმეობის კვლევითი ინსტი-
ტუტი; ᲝᲗᲐᲠ ᲘᲚᲐᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲢᲐᲑᲘᲫᲔ, ფსიქოლოგიის ინ-
სტიტუტი; ᲨᲝᲗᲐ ᲐᲠᲢᲔᲛᲘᲡ ᲫᲔ ᲢᲐᲑᲘᲫᲔ, ტუბერკულიოზის

კვლევითი ინსტიტუტი; გიორგი ილარიონის ძე ტოგონიძე, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი; დავით ანტონის ძე ფაილოძე, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის კვლევითი ინსტიტუტი; ქეთევან პავლეს ასული ფარცხალაძე, სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი; რევაზ მელქისედეკის ძე ფარცხალაძე, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი; გერასიმე სამსონის ძე ფირცხალავა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ცაცა აპოლონის ასული ფირცხალავა, სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი; მიხეილ ვლადიმერის ძე ფირცხალავა; თემურ რაჟდენის ძე ქაცარავა, ჰიდროლოგიისა და მელიორაციის კვლევითი ინსტიტუტი; ოთარ აკაკის ძე ქაროსანიძე, გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტი; ელეონორა მიხეილის ასული ქუთათელაძე, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი; შუშანა ილარიონის ასული ქუთათელაძე, ბოტანიკის ინსტიტუტი; ასლან ალექსანდრეს ძე ქუთათელაძე, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი; ნოდარ გიორგის ძე ქუთათელაძე, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი; ლილი ილიას ასული ქუთათელაძე, ხელნაწერთა ინსტიტუტი; კორნელი გერასიმეს ძე ქვათაძე, კიბერნეტიკის ინსტიტუტი; ვახტანგ მიხეილის ძე ყურაშვილი, საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის პრეზიდიუმი; ვლადიმერ თადეოზის ძე ჩაგუნავა, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი; ვახტანგ რაჟდენის ძე ჩარგეიშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია; გურამ ნიკოლოზის ძე ჩიმაკაძე, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი; დიმიტრი ნესტორის ძე ჩიხლაძე, გეოლოგიის სამმართველო; გიორგი ჩიხლაძე, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი; ვლადიმერ ვარდენის ძე ჩიხლაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; აკაკი მიხეილის ძე ჩიხლაძე, კიბერნეტიკის ინსტიტუტი; კარლო კონსტანტინეს ძე ჩხენკელი, სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტი; გრიგოლ ნიკოლოზის ძე ცაგარეიშვილი, თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი; შალვა ვლადიმერის ძე ცაგარეიშვილი, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი; შალვა მიხეილის ძე ცაგარეიშვილი, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი; გრიგოლ საბას ძე ცაგარეიშვილი, ივანე ილიას ძე წივწივაძე, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო; დიმიტრი მიხეილის ძე ჭვერავა, თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტი; ნიკო ნიკიფორეს ძე ჯავჯანიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; მიხეილ ჯავჯანიძე, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი; შალვა ილარი-

**ონის ძე ხაჯაპურიძე**, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, **ილია ბესარიონის ძე ბენძეხაძე**, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი.

**უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები: მურმან შალვას ძე გედენიძე**, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; **შალვა ვლადიმერის ძე კობეშავიძე**, სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტი; **დავით ანდრიას ძე კობეშავიძე**, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის კათედრის გამგე; **ვარლამ გიორგის ძე ძუჯავა**, თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი; **დავით ნესტორის ძე მეძველია**, ტუბერკულიოზის კვლევითი ინსტიტუტი; **ნიკოლოზ დიმიტრის ძე სერგეენკო**, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; **დევი შალვას ძე უგრეხელიძე**, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ხონის რაიონის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა მხარეს ასახავდა ადგილობრივი გაზეთი, რომელსაც 1932-1950 წლებში „დამკვრელი“ ერქვა, 1951 წლის 16 იანვრიდან 1952 წლის 29 იანვრამდე — „ბოლშევიკური დროშა“, ხოლო შემდეგ „კომუნიზმის გზით“. გაზეთის რედაქტორები იყვნენ: გედეონ ფირცხალავა, აკაკი ქაროსანიძე, თედორე ბარამიძე, [illegible] ჯაფარიძე, ვიქტორ ლაჭავა, ტარასი აკობიძე, ნოდარ მელქაძე, ვლადიმერ ბულეიშვილი, ბადრი ნამიჭეიშვილი. ამჟამად გაზეთის სახელწოდებაა „ხონი“ და მისი რედაქტორია ქალბატონი ქეთევან ბახტაძე. გაზეთში აქტიურად თანამშრომლობდნენ და თანამშრომლობენ: გ. [illegible]სებუა, ზ. გალუსტოვი, აკ. ქვათელაძე, ნ. კუხალაშვილი, გ. მუშკუდიანი, ნ. კაკაბაძე, ლ. ვაშაკიძე, ნ. ჩიხლაძე, ზ. ბენდელიანი, ბ. ყვინჩია, აკ. ფარულავა, გ. ჩიხლაძე, გ. კაკაბაძე...

სტამბის დირექტორად მუშაობდნენ: გრ. ციბაძე, ი. ფუტკარაძე, გ. მუშკუდიანი, რ. აკობიძე, აკ. ფარულავა, ო. მაჭარაძე, ზ. ჟორჟოლიანი, ბ. ვაჭარაძე (ამჟამად).

განხორციელდა რიგი ღონისძიებებისა რაიონის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. 1969 წელს აიგო მრავალპროფილიანი საავადმყოფო 305 საწოლით. მას აქვს თერაპიული, ქირურგიული, სამეანო-გინეკოლოგიური, ინფექციური, ბავშვთა და ტრავმატოლოგიური განყოფილებები. პოლიკლინიკურ განყოფილებასთან მოწყობილია თერაპიული, ქირურგიული, ოტო-ლარინტოლოგიური, სტომატოლოგიური (საპროთეზო ლაბორატორია), გინეკოლოგიური, ნერვი-

ულ სნეულებათა, კანისა და ვენერიულ სნეულებათა კაბინეტები. თანამედროვე დონეზეა ორგანიზებული ფიზიოთერაპიული, რენტგენისა და ფუნქციონალური დიაგნოსტიკის კაბინეტები, კლინიკური და ბიოქიმიური ლაბორატორიები.

რაიონული საავადმყოფო თავისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აკმაყოფილებს რაიონის მოსახლეობის მოთხოვნილებას სამედიცინო დახმარებაზე. საავადმყოფოში წარმატებით გამოიყენება მკურნალობის ახალი მეთოდები.

1976 წლისათვის რაიონის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას ემსახურებოდა 83 ექიმი და 294 მედიცინის და. რაიონის ყველა სოფელში იყო საექიმო უბანი კვალიფიციური პერსონალით.

წლების მანძილზე ხონში წარმატებით მოღვაწეობდნენ ექიმები: მათე ბახტაძე, ალექსანდრე იოსელიანი, ილარიონ ტოგონიძე, იოსებ კუპრეიშვილი, ესტატე ჩხენკელი, პოლიკო აბზიანიძე, ბაბუცა ბახტაძე, ნადული ბახტაძე, ალიოშა ბახტაძე, ივანე ბახტაძე, ქეთევან ადამია, ვლადიმერ გორდაძე, აკაკი გენძეხაძე, გოგი ზერაგია, გრიგოლ კაკაბაძე, შალვა კაკაბაძე, ვერა კაკაბაძე, ეთერ კოპალეიშვილი, ბიქტორ კუხალაშვილი, დავით ვერულაშვილი, სოსო მებუკე, მიხეილ მაჭარაძე, დავით სანოძე, ლუბა სანოძე, შალვა ტაბიძე, დავით ტერელაძე, საშა რუხაძე, თინა უგულავა, შალვა ფარცხალაძე, დავით წივწივაძე, ვლადიმერ უგრეხელიძე, მიხეილ ფარცხალაძე, შალვა ქათამაძე, არჩილ ქომეთიანი, გოგი ქუთათელაძე, შოთა ქუთათელაძე, დავით ჭოლოკავა, ლევან ჩხაიძე, იუსტინე ჩიხლაძე, აკაკი ჩხეიძე, თამარ ჩხენკელი, სოსო ჭავჭანიძე, მზია ჩარგეიშვილი, მიხეილ ჩარგეიშვილი, ზურაბ ქაცარავა, სიმონ მებუკე, ჟენია ჩარგეიშვილი, მარიამ ცაგარეიშვილი, მაყვალა ჯავახიშვილი, ალეკო ჭოლოკავა, მურადი ყურაშვილი, სანდრო ქაშიბაძე, ალექსანდრე წეღრავა, კუკური მელაძე...

თავიანთ სათუთ პროფესიას სიყვარულითა და უანგაროდ ემსახურებიან გამოცდილი ექიმები: ნინო ასათიანი, ვენერა ბარამიძე, თეიმურაზ ბახტაძე, მანანა ბახტაძე, ელგარდი გეგია, რევაზ ძიძავა, რამაზ გენძეხაძე, სოსო ჭავჭანიძე, ნიკოლოზ გენძეხაძე, ლილი გოგავა, ნანული გორდულაძე, შოთა გაბისონია, ქეთევან დეისაძე, თამარ გეგია, ლევან ვაჭარაძე, ბაბულია კარსანიძე, ლიანა დოჭვირი, ქეთევან კაკაბაძე, ლიანა კუხალაშვილი, მზია კიკალიშვილი, შალვა კაკაბაძე, ნანა კირთაძე, ნინო კაკაბაძე, მარიეტა კეთილაძე,

გალინა ლაიშვილი, დოდო თოფურია, ილო კუჭავა, ჯემალ მებუკე, მზია მეძველია, თემურ მოსეშვილი, ბორის მუდრიცკი, გულიკო სანიკიძე, ანზორ სანოძე, რამაზ სანოძე, მანანა სებუა, ქეთევან ნადარეიშვილი, ბონდო ჟღენტი, კოტე მებუკე, ლუდა რამაშოვა, ზურაბ უგულავა, გიოლა უგულავა, აკაკი ფიოლია, ეკატერინე ფირცხალავა, ლერი ფანცულაია, ლამარა ჩომახიძე, გულო ჩხენკელი, მარიეტა ფარცხალაძე, თამარ ფარცხალაძე, ზურაბ ჩხეიძე, შოთა ქაცარავა, ავთანდილ ჯურხაძე, ციური ჯურხაძე, მელანო ჯანხოთელი, ვასო ხვიჩია, ზურაბ ცანავა, იური კაკაბაძე, იზა ხაჭაპურიძე, თენგიზ ცანავა, დოდო ჩხენკელი, ლენა ყუბანეიშვილი, თინათინ ქათამაძე, გივი ჭავჭანიძე, ამირან ქუთათელაძე, ნონა ქუთათელაძე, შურა ქვათელაძე, ზურაბ ტყაბლაძე, ჰენრიხ რუხაძე, რომან ჩარგეიშვილი, შალვა მგალობლიშვილი, მადონა ღოღობერიძე, შალვა კაკაბაძე... ლალი კალანდარაშვილი, პალინა იობიძე, ნანა დგებუაძე, ზურაბ უგულავა, რამაზ ჩომახიძე...

რაიონში ჯანმრთელობის დაცვას ხელმძღვანელობდნენ: დავით ტერელაძე, ლევან ჩხაიძე, ბიქტორ კუხალაშვილი, იოსებ მებუკე, თამაზ კვერნაძე. ამჟამად მას სათავეში უდგას ჯემალ მებუკე.

რაიონის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვით სააფთიაქო დარგის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს: საშა შველიძეს, ნინა ჭავჭანიძეს, ვარლამ ფირცხალავას, ჟორა საღარაძეს, ტონო შველიძეს, გივი კაპანაძეს.

ხონში, ტრადიციულად, ყოველთვის დიდი პოპულარობით სარგებლობდა სპორტი. აქ თავიდანვე განვითარებული იყო ლელობურთი, ფეხბურთი, ხოლო შემდეგ ფრენბურთი, კალათბურთი, ტანვარჯიში, მძლეოსნობა, ჭადრაკი. რაც შეეხება ცხენოსნობას, იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ლელობურთთან და სპორტის ერთ-ერთ ძველ სახეობას წარმოადგენდა ხონში.

აქ არაერთი სახელოვანი სპორტსმენი აღიზარდა, რომლებმაც მშობლიური რაიონი მრავალჯერ ასახელეს. მათ შორის, ძველი თაობიდან — ტიტე ბახტაძე (ფრენბურთელი), ალექსანდრე ჭანტურიშვილი, ვასილ ბახტაძე (ტანმოვარჯიშეები), ფეხბურთელები: უთია სანოძე, ვასო ცაგარეიშვილი (მწვრთნელი), გივი ზარქუა, გოფოძე, ნიკოლოზ ჭავჭანიძე, შალვა ბახტაძე, სერგო ბახტაძე, სოსო დანელია, ბუდუ სვანიძე, გივი ქოიავა, ილია ჩხენკელი, კუკლა როინიშვილი, ნიკოლოზ ჩხენკელი, შოთა ყუფარაძე...

კალათბურთელები: ნიკოლოზ ბახტაძე, გივი წივწივაძე, ალექსანდრე სულაბერიძე...

ლელობურთელები: ოთარ ბახტაძე, მირიან ნადარეიშვილი...
ძალოსნები: აპოლონ ჩირგაძე, გოგი ლაჭავა, აკაკი ჯანჯღავა, გიგლა შვანგირაძე, გრიგოლ სულუხია, ვასილ ბახტაძე.
ტანმოვარჯიშეები: გელა ქვათელაძე, ალექსანდრე ჭანტურიშვილი...

ხონში სპორტული ცხოვრება განსაკუთრებით გაცხოველდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ამაში დიდია ნიკოლოზ ჩხენკელის დამსახურება. მის სახელთანაა დაკავშირებული ხონში ფეხბურთის, კალათბურთის და ფრენბურთის სწრაფი აღმავლობა. აღიზარდა სპორტსმენთა ახალი თაობა. ფეხბურთელები: არჩილ დოლაბერიძე, ძმები ბიჭიკო და ჯაბა სანოძეები, ოთარ ჭავჭანიძე, დავით ჭავჭანიძე, გივი ბახტაძე, ბენია კარტოზია, სანდრო ქაშიბაძე, სანაია, ალექსანდრე ღვინცაძე, ლერი მამფორია, შოთა ჩარგეიშვილი, ედუარდ კაკაურიძე, გურამ გაბუნია, დუდარი სანოძე, ჯელი კუჭუხიძე, მირიან კვარაცხელია, იური ჯანელიძე, ჯუმბერ ბენდელიანი, უშანგი სანოძე... მათ საქმეს ამჟამად აგრძელებენ ახალგაზრდები: კახაბერ ბარაბაძე, თეიმურაზ უგულავა, ნუგზარ მოსეშვილი, რაჟდენ უგულავა... ხონელი გურამ გაბუნია წლების მანძილზე იყო გორის ფეხბურთელთა გუნდის „დილას“ მწვრთნელი, ხოლო ამჟამად მისი უფროსია; ასევე ფოთის ფეხბურთელთა გუნდს „კოლხეთს“ წვრთნიდა ხონელი ჯელი კუჭუხიძე. ხონელები თემურ მაჭარაძე და ვასილ ბერძენიშვილი ფეხბურთში ეროვნულ ჩემპიონატების მატჩებს სჯიან.

კალათბურთელები — ვაჟები: ნიკოლოზ ბახტაძე, ალექსანდრე ყუფარაძე, გივი წიგწივაძე, თამაზ შველიძე, თენგიზ ლეთოდიანი, ვაჟა კაკაბაძე, ომარ წივწივაძე... ქალები: დალი დარსაველიძე, დები გულნარა და მაგული ლოჩოშვილები, ლიანა და ჟუჟუნა წიგწივაძეები, ლალი და ჟუჟუნა პაპავები, მარიამ ბენდელიანი, ნელი დანგაძე, მაყვალა და ლენა ფარცხალაძეები, სვეტლანა კაკაბაძე, გულნარა ესებუა, ლალი ბარდაველიძე, მაგული წვერავა, ციალა წოწონავა...

რაიონის კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდები ხშირად იყვნენ საქართველოს ჩემპიონები სხვადასხვა ქვეჯგუფებში.

ამჟამად საქართველოს უმაღლესი ლიგის გუნდებში წამყვანი მოთამაშეებია: გია სანაძე, მიხეილ კობეშავიძე და შოთა მაჭარაძე; უმაღლესი კატეგორიის მსაჯია ტარიელ ჯაფარიძე, რესპუბლიკური — ალექსანდრე ყუფარაძე და ომარ წივწივაძე. მათ გააგრძელეს თამაზ შველიძისა და თენგიზ ლეთოდიანის ტრადიციები.

ტანმოვარჯიშეები: აკაკი გალდავა, დადუ იოსელიანი, მარლენ მამინაშვილი, ვახტანგ რუსაძე, ლერი ჩხენკელი, ალ. ჭანტურიშვილი (მწვრთნელი)...

მოფარიკავენი: კობა ჩიხლაძე, გურამ ლორთქიფანიძე, ციალა ყუფარაძე...

მოჭადრაკენი: აკ. გალდავა, აკ. ადამია, თ. ქაცარავა, სპარტაკ ხუნწელია, კ. მენაბდე, ნ. ლისენკო, ხურცილავა, ანა და ზვიად იზორიები, მურმან ესაძე, გიორგი გეგია...

მოჭიდავეები: ლადო ტაბიძე, ახალაძე, გია ჩიხლაძე, მიხეილ ბალავაძე, გოჩა კობიშვილი...

მძლეოსნები: ზურაბ მელქაძე, ქავზინაძე, ემზარ ცაგარეიშვილი, ირაკლი ლომიძე, ემზარ ჩხენკელი, ციური ეძგვერაძე, მარინა ხურცია, ზვიად ბაბუნაშვილი... მძლეოსნობის სექციას რაიონში 30 წელზე მეტია ·წარმატებით უძღვება სოფ. დედალაურის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი ლერი ჩხენკელი.

ცხენოსნები. ძველი თაობის წარმომადგენლები: რაფიელ ქუთათელაძე, რეზო ქუთათელაძე, აკაკი რატიანი, სერგო ჩხენკელი; საშუალო და ახალი თაობის: ბოჩია კიკაბიძე, მიტუშა კუხალაშვილი, ბენია გიორგბერიძე, ძმები ლერი, რაულ და სერგო ჩხენკელები...

ხონელ სპორტსმენთა ნამდვილ სამჭედლოს წარმოადგენს მოზარდთა სპორტული სკოლა, რომელსაც სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ სახელოვანი სპორტსმენები: ტიტე ბახტაძე, სევერიან ჯალაღანია, გიორგი ღაჭავა, ალექსანდრე ყუფარაძე, ოთარ გოგავა, შოთა ჩარგეიშვილი. 1970 წლიდან მას სათავეში უდგას ტარიელ ჯაფარიძე. სკოლის პედაგოგები: კოლია ჩხენკელი, ალექსანდრე ჭანტურიშვილი, სერგო ჩხენკელი, თამაზ შველიძე, ალექსანდრე აბზიანიძე, ვაჟა კაკაბაძე, ლერი ჩხენკელი, ედუარდ კაკაურიძე, ჯაბა სანოძე, კობა ჩიხლაძე, ანზორ მამარდაშვილი... ყველაფერს აკეთებდნენ და აკეთებენ თავიანთი აღსაზრდელების სპორტული დაოსტატებისათვის.

სპორტულ მუშაობას რაიონში ხელმძღვანელობდა სპორტული კავშირი, რომლის თავმჯდომარეები იყვნენ: ევგენი კაჭახიძე, ვასილ ცაგარეიშვილი, ნიკოლოზ ჩხენკელი, გიგლა შვანგირაძე, შოთა ჩარგეიშვილი, ალექსანდრე ყუფარაძე, ტარიელ ჯაფარიძე, გულნარა ესებუა, პავლე გეგუჩაძე. ამჟამად მისი თავმჯდომარეა ომარ წივწივაძე.

რაიონში არსებობდა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნე“

(თავმჯდომარეები: ნესტორ სანოძე, ედუარდ კაკაურიძე, ომარ წიეწიეაძე), რომელიც რამდენიმე წლის წინათ გაუქმდა.

ხონის სპორტული ცხოვრების ბერმუხებია — ალექსანდრე ილიას ძე ყუფარაძე და გიორგი (გიგლა) ერმილეს ძე შეან-გირაძე.

განსაკუთრებით დიდია ა. ი. ყუფარაძის (დაბ. 1924 წ.) ღვაწლი ხონის რაიონში კალათბურთის განვითარების საქმეში. მოზარდთა სპორტულ სკოლაში მან პირველმა ჩამოაყალიბა ქალთა და ვაჟთა გუნდები, რომლებმაც შემდეგ დიდ წარმატებებს მიაღწიეს როგორც რესპუბლიკურ, ასევე საკავშირო არენაზე. იგი არის დამსახურებული მწვრთნელი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი; აღზრდილი ჰყავს არაერთი სახელოვანი კალათბურთელი, რესპუბლიკური კატეგორიის 5 მსაჯი.

გ. ე. შეანგირაძე (დაბ. 1920 წ.) 1941-1943 და 1945-1958 წლებში სათავეში ედგა რაიონის სპორტკავშირს და თავის ცოდნას, მდიდარ გამოცდილებას, ენერგიას უანგაროდ ახმარდა სპორტსმენთა ახალი თაობების აღზრდის საქმეს. იგი გამოირჩევა პედაგოგისათვის საჭირო და დამახასიათებელი უკეთილშობილესი თვისებებით: გულისხმიერებით, მომთხოვნელობით, მიმტევებლობით. გ. ე. შეანგირაძე რაიონის მოსახლეობაში, პირველ რიგში სპორტსმენთა შორის, საყოველთაო პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სახე იცვალა რაიონის ცენტრმა. აიგო მრავალსართულიანი სახლები და სახელმწიფო დაწესებულებათა შენობები. მათი უმრავლესობა მაღალკვალიფიციური მშენებელ-ინჟინრის ზურაბ ალექსის ძე ხუციშვილის ხელმძღვანელობით აიგო. 1960 წელს ქალაქის ცენტრში დაიდგა ლენინის ძეგლი, ხოლო უფრო ადრე (1949 წ.) ბაღში — ალექსანდრე წულუკიძის ძეგლი. ისინი დაანგრიეს 80-იანი წლების ბოლოს.

ამ პერიოდის ხონის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა ცნობილი პედაგოგის, საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის გიორგი სილოვანის ძე ბახტაძის დაბადებიდან 70 და პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლის იუბილე, რომელიც 1977 წლის 28 აპრილს გაიმართა, და შეხვედრა პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძესთან 1980 წლის 26-28 აპრილს. შეხვედრა რაიონის მოსახლეობის სახალხო ზეიმად გადაიქცა.

## ირაკლი აბაშიძე

# ქალაქი ხონი

... და ისევ შენთან,
მთელი სხეულით,
მთელი სიცოცხლით,
მთელი წარსულით,
მე ისევ მთელი
და დამსხვრეული
მე ისევ მხნე და
გადაქანცული.
ვეჭიდებოდი სიტყვებს და ფრაზებს,
ვითომც დიდ რაზმებს,
დიდ გოლიათებს
და საოცნებო დიდების გზაზე
ზეცას ვუწვდენდი მთელ კორიანტელს
კეთილისა და ბოროტის ჭიდილს
ჭირის და ლხინის,
დარის და ავდრის;
ლოცვის და წყევლის,
ნათლის და ბინდის;
ნექტრის და შხამის,
ხვატის და ზამთრის;
ნდობის და იჭვის,
შურის და ხათრის,
მხეცის და ბატკნის,
ქორის და ჩიტის—
კეთილისა და ბოროტის ჭიდილს,
კეთილისა და ბოროტის ჭიდილს
ჩავერთე სიყმით,
ოცნებით სავსე,
სახელით წინსვლის
სახელით ხვალის
და ბოროტების ჯავშნიან თავზე
ვალეწე ჩემი ფარიც და ხმალიც
შავ ბუნაგს ყველას
მივუხტი სახტად;
ჩავუხტი წყალთან

ურჩხულის წოლას;
ვუმსხვრიე ხუნდი დემონის კართან
ათასი წლების შიშსა და ძრწოლვას.
სიმაგრე ყველა
ვარყიე ცხრაგზის
ცხოვრების ბებერ კანონის, მგლურის—
ეს იყო ჩემი სიცოცხლის აზრი,
ეს იყო ჩემი სულიც და გულიც.
ცხოვრების ჩარხი,
ღმერთთა და ზევსთა
ვაბრუნე ხელში,
ვით სათამაშო...
და ისევ შენთან, და ისევ შენთან,
და ისევ შენთან,
ჩემო ლამანჩო!
ერთტომეული, თბ. 1971, გვ. 302-303

# თავი მეექვსე

## ხონური მოზაიკა

ხონს მთელს იმერეთში განთქმული ხელოსნები ჰყავდა და ჰყავს. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ —

მჭედლები: ალექსანდრე, იაგორა, ერისტო (ჭიპუტა), მურმან და ბექა ბახტაძეები, იასონ ბენიძე, ვალოდია გაშაკიძე, მიხეილ მაისურაძე, რომანოზ და დომენტი ფირცხალავეები, ტიტიკო შუბლაძე, აკაკი ჩხენკელი, ილიკო ყუფარაძე, აკაკი ჯიქია, ისაკო სანოძე, ალიოშა ფანცულაია, კოწია, მელტო, ლავრენტი, გრიგოლ და სოსო რუხაძეები, ვარდენ და სოლომონ სულაბერიძეები, ვასო მაჭარაძე, ხატა კეთილაძე, მიშა გოდერიძე, ბაგრატ, დუტუ და ბუჭუნა ქაჯაიები...

ხის დამუშავების ოსტატები: სერგო და გიორგი ცაგარეიშვილები, მათე ბახტაძე, ძმები — ივანე, დავით და შალვა ჭელიძეები, სიმონ ჭანტურიშვილი, გიორგი ქვათელაძე, გიორგი (ქორა) კაკაბაძე, პავლე, სერგო და გრიშა სულაბერიძეები, კოსტა ქვათელაძე, ანტონ კვანტალიანი, გიორგი კოპალეიშვილი, დემურ თვალოძე, ლავრენტი კიკალიშვილი,

ვარლამ კოპალიანი, ოთარ მუშკუდიანი, ოთარ ლიპარიძე, გურამ გვალია, ლევან მუშკუდიანი, ზურაბ ლაითაძე...

ხის სხვადასხვა კასრების ხელდამშვენებული ოსტატია იაშა ჩიხლაძე...

ქვისმთლელები — ძმები: გიორგი, ერისტო, პარმენ, დომენტი ხაჭაპურიძეები (სოფელ ბესიაურიდან). მათ საქმეს ახლაც წარმატებით აგრძელებენ შვილები, ასევე ძმები: ტარასი და ივანე თვალოძეები, ერმილე და ალექსანდრე უგულავები, მელიტონ წივწივაძე, გრიგოლ სულუხია, შალვა ხაჭაპურიძე... მათი ნახელავი კეცი, მაგიდა, ჭიშკრის, სახლის და საბძლის საყრდენი ბოძები, საფლავის ქვები და სხვა დანიშნულების ქვის ნივთები ყოველთვის გამოირჩეოდა შესრულების მაღალი ოსტატობით და მომხმარებელთა დიდ მოწონებას იმსახურებდა და იმსახურებს დღესაც.

ძალატოზები — ვლადიმერ (ლადო) შვანგირაძე, ვარდენ ბახტაძე, ვასილ კაკაბაძე და მისი ძმები. მამა-შვილი სერგო და ვალოდია ბობოხიძეები, ალექსანდრე გიორგბერიძე, მიხეილ ბახტაძე, გიგლა დადუნაშვილი, გივი კვანტალიანი, გრიშა უგრეხელიძე...

მებუხრეები: ილიკო დარსაველიძე, შოთა ჭავჭანიძე...

ტყავის დამუშავების სპეციალისტები — ტყავის დამუშავებას და ტყავის სხვადასხვა ნაკეთობათა დამზადებას ხონში დიდი ხნის ისტორია აქვს. აქ მიმდინარე საუკუნის 50-იან წლებამდე არსებობდა გიორგი მარკოზის ძე ბახტაძის მიერ 1919-1920 წლებში დაარსებული დაბახანა, სადაც კუსტარული წესით მზადდებოდა ფეხსაცმლის ზედაპირისთვის საჭირო ტყავი, ლანჩები, საუნაგირე, საქამრე და სხვა მასალა, რომლითაც მარაგდებოდა როგორც ადგილობრივი, ასევე მეზობელი რაიონების სოფლებისა და ქალაქების ხელოსნები. დაბახანაში სხვადასხვა დროს მუშაობდნენ: დათა ქაცარავა, რაჟდენ ჩხენკელი, სიმონ გაგუა, პორფირე კინწურაშვილი, სიმონ კაკაბაძე, ვასილ მჟავანაძე (შემდეგში საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივანი)...

ტყავის დამამუშავებლები იყოფოდნენ სამ კატეგორიად — ა) ტყავეულობათა ხელოსნები, რომლებიც ამზადებდნენ ცხენის უნაგირებსა და მოსართავებს, ქამრებს, ხანჯლის ბუდეებს, ტყავის ღირკილოებს და ჩოხა-ახალუხის გაწყობისათვის საჭირო სხვა დეტალებს. ამ კატეგორიის ხელოსნებიდან აღსანიშნავია იუსტინე ძიძიგური;

ბ) ფეხსაცმლის მკერავები („ზაბოჟნიკები“), რომლებიც

ევროპული სტილის ფეხსაცმელს კერავდნენ. ხონში ცნობილი „ზაბოჟნიკები" იყვნენ: მაქსიმე ოდიშარია, ერმილე და ოთარ შველიძეები, კონსტანტინე შავლაძე, სიმონ სიმონიძე, არქიფო ბარაბაძე, ჟიული კორძაძე, ერმილე ჩაკვეტაძე, სერგო ჯალაღანია, კუკური ხაჭაპურიძე, გრიშა ჩარგეიშვილი..

ბ) ხარაზები — აზიური ფეხსამოსის (წუღა, ჩექმა, „აზიაცკი" და სხვ.) მკერავები ხონელი ხარაზები იყვნენ და არიან: ამბაკო ქომეთიანი, გრიშა სილაგავა, სამსონ ჯანჯღავა, რეზო უგულავა, ოთარ ოდიშარია, გივი ფანცულაია, გივი სილაგავა, შოთა კეთილაძე...

ნალბანდები — გალაკტიონ ჯიშკარიანი, სევერიან კირთაძე, ვალიკო სებუა, ალექსანდრე მელაძე, კლიმენტი ქაროსანიძე, ვალიკო ბარაბაძე, ხუტა სებუა, იასონ და ვალიკო ბენდელიანები, ბიქტორ ჩხენკელი, ილია ყუფარაძე...

მეკრამიტეები — დავით გაგუა, სევერიან, მარკოზ, აპოლონ და სერგო ლაითაძეებ., ამბროსი, კოწია და ელიზბარ წივწივაძეები, ნესტორ და მიხაკო ჭავჭანიძეები, აკაკი მიქიაშვილი...

იმერული ჯის თხრის „ამოღების" განთქმული სპეციალისტები იყვნენ: დათა ქაცარავა, ალექსანდრე ადამია, ვასილ ბახტაძე, ვალიკო გიორგბერიძე, გრიშა ყურაშვილი...

ხონს შეკერილი ტანსაცმლისა და ქსოვილის ღებვის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს. ამ საქმეს მაღალ დონეზე ასრულებდნენნ რაფიელ თოფურია, სერგო და ვალა სანოძეები, არჩილ უგულავა, ლერი საყდაროვი...

XX საუკუნის დასაწყისში სოფელ მათხოჯთან მდინარე ცხენისწყალზე ხის დაცურებას ხელმძღვანელობდნენ: ნესტორ ფირცხალავა, ვალიკო ჭოლოკავა, ხუტუ ჯიშკარიანი, ბუჭუ მუსელიანი...

ხონში ცნობილი იყო ბეგლარ ჩხეიძის, მექი მელაძის, იოსებ ფარცხალაძის, ალექსი წვერავას, ქსენია ბაჩილავას, ბუჭა ბახტაძის (კურატანა) წისქვილები. ბუჭა ბახტაძე (კურატანა) თავის დროზე მთელს იმერეთში გამოირჩეოდა მკლავის სიძლიერით.

ხონის რაიონის ტრანსპორტს ემსახურებოდნენ მედილიჟნეები — დათა ბახტაძე, ვალერიან ადამია, დავით ჩიხლაძე, კოლია ღურჭუმელია, ვალია ჩიხლაძე, ერმილე ღურჭუმელია.

მეფაიტონეები — კოლია და ლადო ანდრიაძეები, მიხეილ სანოძე, ილიკო ქაცარავა, გიორგი, იოსებ, ვანო და ვასილ ფარცხალაძეები, ირაკლი ჯორბენაძე, ღენტორ ქაჯაია. მათ

საქმეს აგრძელებენ: ოთარ სანოძე და სხვები.
მეეტლეები: ალექსი ქაცარავა, ვანო ლოჩოშვილი, ევგენი მაჭარაძე, სიმონ და ილიკო ქვათელაძეები, დავით შველიძე, კოლია დაჭავა, ლავრენტი ხმელიძე...
მებარგულეები („მეტაჰკეები") — კოლია ძიძიგური, მამაშვილი დენტორ და ალეკო ყურაშვილები, ვარდენ უგრეხელიძე, ბუჭა ქავზინაძე, კუკური კაკაბაძე...
მეურმეები: გერასიმე გორდულაძე, ვარლამ, გასილ და ჟორჟიკა გოფოძეები, სილიბისტრო და მიხაკო ლაგვილავები...
ხონში ყოველთვის იცოდნენ და დღესაც იციან (შესაძლებლობის ფარგლებში) ზომიერი ქეიფი და დროსტარება, ტრადიციული სადღეგრძელოებით, ცეკვა-თამაშით, იმერული ოხუნჯობითა და ნაზი, სიყვარულით გამთბარი იუმორით. ქეიფის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი იყო არღანი. ხონელი მეარღნეები — აკაკი ჯურუხაძე, გოგი ტორაძე და სხვები. აგრძელებენ თავიანთი წინაპრების: პოლიკო ჯალაღანიას, დავით ბახტაძის, დომენტი ხუროძის, ბესო ჩიხლაძის, ლეონტი ქათამაძის შალვა და ერმალო კაკაბაძეების და სხვათა ტრადიციებს. მთელს იმერეთში ლეგენდადაა ქცეული განთქმული თამადის არჩილ ქუთათელაძის და მისი კოლეგების — იაშა ბახტაძის, დადუ იოსელიანის, ჯემალ მებუკის, ოთარ მარჯანიშვილის, სიმონ (სისიკო) ბახტაძის და სხვათა სახელები.
ხონის კოლორიტებად არიან ქცეულნი მოსწრებული თქმისა და ქმედების ადამიანები — იასონ ჯალაღანია (რომლის უიღბლო სიყვარულს კუკუნია ძიძიგურის ქალისადმი მთელი თავი უძღვნა თავის რომანში „ძეგლები მიწას არ ამძიმებენ" ცნობილმა მწერალმა დავით კვიცარიძემ), ოთარ ქუთათელაძე, საშურა შველიძე, იაკობ ჩოგავაძე, რაფიელ თოფურია, ვალიკო ხეცურიანი, მიშა (მარტია) ბახტაძე, კოტე გაბუნია, საშურა წოწონავა, შალიკო (კუშა) ბერიძე, ვარლამ მაისურაძე, ძიკი კვარაცხელია, ილია მამფორია, შალიკო ტაბიძე, პავლე ქოიავა, ოთარ (ყაფლანა) ჭავჭანიძე, იუზა გაჭარაძე, დავით ღვინცაძე, შალვა (გუმართელი) ქუთათელაძე, დადუ იოსელიანი, მიშა ჩემია, მიშა სებუა, არჩილ ბარამიძე, სერგო (ქოროფა) ჭანტურიშვილი, ლავრენტი ბახტაძე, გიორგი წიგწიგაძე, სევერიან მელქაძე, ალიოშა იოსელიანი, რეზო შა-

მათავა, გივი (კაკუნა) წივწივაძე, კუკური მელაძე, ნოდარ ქაცარავა, დიმიტრი მაღლაკელიძე, დემურ ქუთათელაძე...

მონადირეები — გიგლა ჯიშკარიანი, კოსტა ქუთათელაძე, ნიკოლოზ ჭავჭანიძე, ბეჟან კოხრეიძე, ანდრო ყუფარაძე, ძმები — ოთარ და გიული ჯიქიები, აჩიკო (ტურა) და მურმან მამარდაშვილები, გოგი (ძერა), ვლადიმერ და ანზორ ბახტაძეები, ზაურ კუხალაშვილი, ოლეგ რუხაძე, ამირან შუბლაძე, დათიკო კოხრეიძე...

მწვადის დამზადების უბადლო სპეციალისტები: ანტონ (ბახა) წივწივაძე, კუკუ ქუთათელაძე...

მუშტი-კრივის „ოსტატები", რომლებიც თავიანთი ფიზიკური ძალის დემონსტრაციას ახდენდნენ მხოლოდ და მათი კონფლიქტი მოწინააღმდეგეებთან, უმეტეს შემთხვევაში, ხონის რომელიმე სამიკიტნოში ან სასადილოში შერიგების ქეიფით მთავრდებოდა — ლენტორ ბახტაძე, დავით ბახტაძე, ბუხუტი კაკაბაძე, მიტუშა ტაბიძე, კუკური ტორაძე, აკაკი კაკაბაძე...

მაღალხარისხოვანი და არომატული ღვინის დაყენების საქმეში ხონსა და მის მეზობელ რაიონებში სახელი ჰქონდათ განთქმული — ასლან, აბელა, ალექსანდრე და ერმილე უგულავებს, თათაოზ სებუას, ინდიკო მეშველიანს, დავით ბახტაძეს, ისაკო და ვალიკო მელაძეებს, იოსებ სულაბერიძეს, კოსტა წივწივაძე, ივანე და ლენტორ გოფოძეებს, მიხაკო წულაიას, რაჟდენ ნებიერიძეს და სხვებს, რომელთა სახელოვანი ტრადიციები ღირსეულად გააგრძელეს: გრიგოლ (გიგუშა) მანაგაძემ, სოსო კიკალიშვილმა, მურმან ახვლედიანმა, ბადრი თოფურიამ...

უალკოჰოლო სასმელების დამზადებით ცნობილი იყვნენ დავით ჭავჭანიძე, დავით ესაძე და სხვ.

ხონისა და მისი რაიონის ყოველდღიური ცხოვრება ფოტოსურათებზე გადაჰქონდათ და გადააქვთ ფოტოგრაფებს: პოლიკარპე მებუკეს, გერონტი მანდარიას, რომანოზ კუხალაშვილს, რუსიკო სალგანიუკს, აკაკი ხაჭაპურიძეს, აკაკი ლეთოდიანს, მურმან ბახტაძეს, აკაკი ფარულავას, როინ მანდარიას, მიხეილ და ბაჩუკი ხახიაშვილებს, ლაზარე მამარდაშვილს, ვასილ ეფრემიძეს, ჯუნგლი ჩირგაძეს, ზურაბ კირთაძეს, რეზო სანოძეს, გივი კირთაძეს...

ყოველ ქალაქში, დაბასა და დასახლებულ პუნქტში საინტერესო თავშესაყარ ადგილს, უმეტესად მამაკაცებისათვის, სადალაქო წარმოადგენს. აქ მამაკაცები ერთმანეთს ხვდები-

ან და ვიდრე წვერის თუ თმის გაპარსვის რიგი მოვიდოდეს, ათასნაირ ამბებს ყვებიან. საუბრის ცენტრალური ფიგურა დალაქია, რომელიც თან მუშაობს და თანაც მოსაუბრეებს შიგადაშიგ ორიოდ სიტყვას აწოდებს. ასე იყო ხონშიც. ხონელი დალაქები: გიორგი ბულეიშვილი, მათე ბახტაძე, მოსე კოსტავა, სარდიონ უგულავა, შალვა კიკალიშვილი, სევერიან კირთაძე, მიშა ჩიმაკაძე, ვასო და პროკოფი ვაჭარაძეები, ბიკენტი ჭავჭანიძე, უშანგი დგებუაძე, სერგო გოდერიძე, აკაკი ადამია, სერაფიონ ბარაბაძე, აკაკი კირთაძე, მიხეილ და გივი რუხაძეები, ილია ჩარგეიშვილი, სულიკო მეფარიშვილი, გიორგი მაჭარაძე, კოლია შავლაყაძე, გალოდია სიმონიძე, ირა სანოძე, ვალიკო მელქაძე, ამირან შვანგირაძე, გურამ ჩარგეიშვილი... მთელს ქვემო იმერეთში იყვნენ და არიან ცნობილნი.

ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის ხონელი მკერავების: აგრაფინა ლაჭავას, ნადია ლაჭავას, ოლია ჩაჩავას, ვენერა მაჭარაძის, ოლია კვერნაძის, იაგორ გიორგაძის, ალექსანდრე ადამიას, შალვა სანოძის, სიმონ ჩირგაძის, შალვა უჩაძის, ვოლტერ ხურცილავას, ამირან აბზიანიძის, დიმა გორდულაძის, გივი მაჭარაძის და სხვათა ნახელავი ყოველთვის გამოირჩეოდა გემოვნებითა და თანადროულობით.

მამაკაცის ქუდებს მოხდენილად კერავდნენ: კოლია სანოძე, კორნელი ქაშიბაძე...

ხონს, რომელიც რკინიგზას დაშორებულია, საქართველოს სხვა რეგიონებთან, ძირითადად, კავშირი აქვს საავტომობილო ტრანსპორტის საშუალებით. ამიტომ მას ყოველთვის კარგად გამართული ავტოსატრანსპორტო მეურნეობა ჰქონდა, რომლის ხელმძღვანელები იყვნენ: ოთარ ქუთათელაძე, ოთარ კვანტალიანი, სულიკო სულაბერიძე, დორა ბარაბაძე, ზურაბ გენძეხაძე, ნოდარ ძიძიგური, ბორის ფაილოძე, ვაჟა ფანცულაია, ამირან ბარაბაძე, ოთარ მეშველიანი, სოსო კვანტალიანი. ამჟამად ავტოსატრანსპორტო საწარმოს სათავეში უდგას ენერგიული მუშაკი ჯემალ სულაბერიძე. ავტოსადგურს წლების მანძილზე ემსახურებოდნენ და ემსახურებიან გამგეები — შალვა ქუთათელაძე, მამა-შვილი ალექსანდრე და ალექსანდრე ხაინდრაველები, ირაკლი ბახტაძე... მოლარეები — მაყვალა მელქაძე, ლეილა ხურცილავა, თარაშ ქვათელაძე, თეიმურაზ ქუთათელაძე, ზაირა ქურიძე, თამარ წვერავა, შორენა კინწურაშვილი.

წარსულში ხონს გამოცდილ ავტომძღოლთა მთელი არმია

ჰყავდა: მიხეილ გაჭარაძე, ანტონ კუპაროვი, ნოე ჩარგეიშვილი, პროკოფი ცაგარეიშვილი, დავით ღოღობერიძე, ვალოდია ქვათელაძე, გერონტი ლაგვილავა, ერვანდი არუთინოვი, სიმონ ლიპარტელიანი, კოლია სებუა, სერგო და შალვა წივწივაძეები, ნიკოლოზ რუხაძე, ვალოდია ქუთათელაძე, გივი კოპალიანი, გიორგი (გოგი) გორდულაძე, ლევან ჩხიკვაძე, ალიოშა ლორია, არჩილ მაჭარაძე, ვახტანგ ქორქაშვილი, გრიგოლ წვერავა, შოთა (ჩითახო) ჭავჭანიძე, ვალოდია ტაბიძე, მიტუშა კეთილაძე, რეზო ელდაროვი, ალექსანდრე ჯიქია, აკაკი ფანცულაია, ბუჭა სალარაძე, ოთარ (ჯიგარო) წივწივაძე, შოთა კაკაბაძე, ივანე კრატი, მიტუშა ტაბიძე, რუბენ ბიჭიაშვილი, ბიქტორ ჯიშკარიანი, ჩიტო ჩარგეიშვილი, გრიშა სალინაძე, ლეონტი რუხაძე, ვალოდია (ტოვე) ბახტაძე, ვალოდია კოსტავა, ომარ (ლალა) რუხაძე, გრიგოლ, ივანე და ნიკოლოზ გედენიძეები, რეზო კაკაბაძე, გრიგოლ სებუა, ოთარ ჭოლოკავა, გივი გალდავაძე, სამშე (კუკური) ქუთათელაძე, ვახტანგ უგულავა, ზაურ ფანცულაია, ღუღუნი ვაჩიბერიძე, ვალოდია ტაბიძე, ინდიკო და ვალიკო ხუროძეები...

ხონელ მძღოლთა ესტაფეტას აგრძელებდნენ და აგრძელებენ: ავთანდილ კოპალიანი, ოთარ ჯიშკარიანი, გივი ბახტაძე, ზაურ ჯიმშელეიშვილი, ლევან დიდიძე, სოსო, ნოდარ და თამაზ დანელიები, გიზო გახოკიძე, ალექსანდრე გალდავაძე, არჩილ სანოძე, ლერი მეძველია, ჟორეს ტაბიძე, დავით გაგუა, აკაკი ტაბიძე, ოთარ ხურცია, დემურ აკობიძე, ანზორ ბახტაძე, ანზორ კაკაბაძე, ოთარ ძიძიგური, ჰამლეტი ხუროძე, სოსო ჯინჯიხაძე, მიშა ბახტაძე, იაშა ჯალაღანია, ზურაბ მებუკე, თამაზ წვერავა, მამია ელიავა, ნოდარ კინწურაშვილი, აბესალომ მამარდაშვილი, სამსონ, თამაზ, ოთარ და კობა გოფოძეები, თამაზ ფაილოძე, იაშა ყურაშვილი, შალვა კუხალაშვილი, ნოდარ სანოძე, ჟორეს (პეპელა) ბახტაძე, შალვა (შაკო) ქუთათელაძე, ჯუტა უგულავა, ბიჭიკო სალარიშვილი, ბიჭიკო ბიჭიაშვილი, გივი ცაგარეიშვილი, ჯემალ მამარდაშვილი, კალისტრატე ჯიშკარიანი, ძმები თამაზ და რამაზ კოსტავეები, მამა-შვილი ივანე (ბაჭია) და მიშა ავალიანები, გურამ და ჯეირან ქაშიბაძეები, ჯუმბერ და ზურაბ შვანგირაძეები, დალტერ და ზაზა ფირცხალავეები, ამირან და ნოდარ მესხები, თარაშ და აკაკი ქვათელაძეები, ჯემალ და ზაზა ჯალაღანიები...

მძღოლთა შორის განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობს 83 წლის ნიკოლოზ ჭავჭანიძე, რომელიც, მიუხედავად ხანდაზმულობისა, თავის პროფესიას დიდ პატივს სცემს.

ხონში გამოცდილი ავტოშემკეთებლები იყვნენ: ალიოშა (ბაბა) ბახტაძე, იოსებ (იოსკა) ავალიშვილი, რეზო ფანცულაია, ვანო ციბულიანი, ტიტე გიორგაძე, ვალოდია კოსტავა... მათი საქმის გამგრძელებლები არიან: ძმები ივერი და მიშა ჭოლოკავები, ჯემალ ბახტაძე, გივი ფანცულაია, ზურაბ აკობიძე, გურამ ბახტაძე, თემურ გოფოძე, რეზო ჯურუხაძე, ავთო გოდერიძე, ანზორ გაბედავა, ოთარ მანაგაძე...

რაიონის კავშირგაბმულობის ხელმძღვანელი მუშაკები იყვნენ და არიან: ვლადიმერ წვერავა, ერმილე ჩიგოგიძე, გრიგოლ კარტოზია, გიორგი ხაზარაძე, აკაკი ქუთათელაძე, გრიგოლ ჯანაშია, გრიგოლ რუხაძე, მიხეილ მუშკუდიანი, ვლადიმერ ჭანტურია, ამბროსი აბესაძე, ლერი გალდავაძე, მარლენ მამინაშვილი, არსენ უგულავა, თამაზ გოფაძე, ომარ ბარაბაძე, ანზორ მიქაბერიძე, თამაზ ძიძიგური, ანზორ რუხაძე, მაგული რუხაძე, ვარდო დანელია...

ხონის გარესამყაროსთან სატელეფონო კავშირს უშუალოდ განახორციელებენ მეელსმენეები: მარო ფაილოძე, თამარ გიორხელიძე, ლილი სულაბერიძე, ნაზი კინწურაშვილი, თინა ჩარგეიშვილი, შურა ბასილაძე, მარო ჩარგეიშვილი, თინა ჩიქოვანი, ქეთიონ ღვინცაძე, ლილი ქურასბედიანი, მზია ფანცულაია, ქეთევან სადარეიშვილი, ეთერ რუხაძე, მარიამ კვერნაძე, ლეილა ნებიერიძე...

ტელეგრაფისტები — ჩიტო ფარცხალაძე, შურა გაბისონია, სვეტლანა კინწურაშვილი...

სატელეფონო სამსახურის გამართულ მუშაობას უზრუნველყოფდნენ შემკეთებლები: ნიკოლოზ ბარდაველიძე, ომარ დარსაველიძე, კობა წიეწივაძე, საშა კინწურაშვილი, ამირან ქაცარავა...

რაიონის პრესით მომარაგების საქმის სამსახურში იყვნენ და არიან: ტარიელ კიკალიშვილი, კარლო დანელია, ზაირა ხონელიძე, დემურ იმედაძე, ნათელა ბახტაძე...

ხონში რადიოგადაცემების მოგვარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით: ვიქტორ ლაჭავას, აკაკი ქვათელაძეს, ნინა კუხალაშვილს, ციალა ჩხენკელს, ნელი კაკაბაძეს, თინა ჭელიძეს, ამირან ბოკელავაძეს, ნოდარ კაკაბაძეს...

სატელევიზიო გადაცემებს სათავეში უდგას მერაბ კუკაბაძე. ნაყოფიერად შრომობენ: თინა ლაჭავა, ნანა თოშხუა, ზაზა ბობოხიძე, სერგო ბარაბაძე, მაია ჩიხლაძე... რაიონში პირველი ტელეოპერატორი იყო სულიკო ვაშაკიძე.

ელექტრომეურნეობის ღვაწლმოსილი მუშაკებია: გრიგოლ

წვერავა (რომელმაც პირველი ელექტროწისქვილი მოაწყო ხონში), მიხეილ და იასონ ბახტაძეები, გიორგი ვაშაკიძე, მიხეილ და კონსტანტინე ჭავჭანიძეები, პროკოფი სიმონიძე, ვალერიან დოლაბერიძე, გიორგი რუხაძე, ანტონ და ვაჟა ჩიხლაძეები, ალექსანდრე ტაბიძე, გია კაკაბაძე, ზურაბ გენძეხაძე, ვილმან ყურაშვილი, გრიშა კენჟერაძე, ბუდუ პაპავა, თენგიზ ჩიხლაძე, ზურაბ ჩხეიძე, ნოდარ კუხალაშვილი...

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოს კომუნისტური პარტიის ხონის რაიონული კომიტეტის ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲜᲔᲑᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ: კორნელი ქაცარავა, სერგო ბახტაძე, ნიკოლოზ ვაჭარაძე, ლავრენტი გორგიძე, ნიკოლოზ ჭახრაკია, ვალერიან ობოლაძე, ამბროსი იმედაძე, სერგო ლეჟავა, მიხეილ აბზიანიძე, კიტა შავიშვილი, გერასიმე მელქაძე, ვახტანგ კურცხალია, ვახტანგ კვარაცხელია, კორნელი კინწურაშვილი, მიხეილ ჩხენკელი.

ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ: ᲐᲦᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲔᲑᲘ: ვლადიმერ ნადარეიშვილი, მიხეილ კობეშავიძე, მიხეილ ჩომახიძე, იოსებ ქაშიბაძე, მიხეილ აბზიანიძე, ვალიდა მუშკუდიანი, მოსე ცქიტიშვილი, ~~მიხეილ აბზიანიძე~~, ჯუმბერ კალანდაძე, გერმანე კუხალაშვილი, ოთარ ყურაშვილი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲚᲙᲙ ᲮᲝᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ I ᲛᲓᲘᲕᲜᲔᲑᲘ: ალიოშა მირცხულავა, მიშა კოტიშაძე, გრიგოლ ღვინცაძე, ვიქტორ ლაჭავა, გრიშა ჭავჭანიძე, ვალიდა მუშკუდიანი, ოთარ ყურაშვილი, ჯემელ ჩხენკელი, გურამ ბახტაძე, ზელიმხან შაველაძე, გულნარა ესებუა, ტარიელ კოპალიანი, ალექსანდრე აკობიძე.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ კომპარტიის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი იყო თეიმურაზ სალარაძე, პრეფექტი: მერაბ და გიზო კუხალაშვილები, გამგებელი — გურამ მონიავა, მიხეილ ჩხენკელი. ამჟამად რაიონის გამგეობას ხელმძღვანელობს ბატონი ოთარ ქაშიბაძე.

ქალაქ ხონის ირგვლივ დასახლებანი ატარებენ: ჭავჭანიძეების, ქაცარავების, ბახტაძეების, მებუკეების, ფარცხალაძეების, ჩხენკელების, ლაითაძეების უბნების სახელწოდებას.

ამ რამოდენიმე წლის წინათ ხონის რაიონს ერთი პატარა,

ლამაზი სოფელი შეემატა — ახალშენი. იგი მცირე ტერიტორიაზეა განლაგებული. ადგილი, სადაც ამჟამად ახალშენი მდებარეობს, ეკუთვნოდა თავად ანტონ წულუკიძეს. მას ეს მიწა დაგირავებული ჰქონია ქუთაისის საადგილმამულო ბანკში და 1909-1910 წლებში საჯარო ვაჭრობით იყიდებოდა. ამ ცნობით დაინტერესებულა იმხანად ხაშურში მცხოვრები, წარმოშობით უდელი მიხა მაისურაძე, რადგან მან იცოდა, რომ მისი ახლობლები აპირებდნენ სოფ. უდედან გადმოსახლებას. 1910 წელს მ. მაისურაძის დახმარებით ეს მიწა შეისყიდეს მესხმა კათოლიკებმა და ოჯახებით ჩამოვიდნენ იმერეთში.

პირველმოსახლეთა რაოდენობა სულ 54 იყო, 47 ქართველი და 7 სომეხი, სარწმუნოებით ყველა კათოლიკე (9 კომლი). ასე ჩაეყარა საფუძველი კათოლიკეთა დასახლებას ხონის რაიონში. 1985 წლისათვის კომლთა რაოდენობამ 68-ს მიაღწია. ამ ბოლო წლებში სოფელში ჩამოსახლდა სტიქიით დაზარალებული სვანების ათეულობით ოჯახი.

ახალშენს ხშირად „ფრანგების სოფლის“ სახელწოდებით მოიხსენიებენ, რადგან კათოლიკებს საქართველოში, ჩვეულებრივ, „ფრანგებს“ ეძახდნენ[1].

## გიორგი სააკაძე ხონში

ბატონ რაულ ჩხაიძის მიერ ჩაწერილი ერთი გადმოცემის მიხედვით, 1626 წლის შემოდგომაზე, გიორგობის თვეში, ქუთაისის გამოვლით ხონში ჩამოსულა თურქეთში მიმავალი გიორგი სააკაძე, რათა თაყვანი ეცა და შესაწირავი მიერთმია წმინდა გიორგის ხატისათვის, რომლის ძალა და სასწაულმოქმედება ცნობილი იყო მთელს საქართველოში. გიორგი სააკაძეს წირვა მოუსმენია და თავისი მფარველი (სეხნია) ხატისათვის ოქროს უზალთუნები შეუწირავს.

გიორგი სააკაძეს ხონში ბაზრობაზე უნახავს „ტყვეებით“ ვაჭრობა. თავად წულუკიძის მოურავს გასასყიდად გამოყვანილი ჰყოლია ამავე თავადის ძმისშვილები — ორი ვაჟი და ერთი ქალი. ალბათ, თავადს სურდა ძმის გარდაცვალების შემდეგ, მის ქონებას დაუფლებოდა და ამიტომ ძმის მემკვიდრეებსაც თავიდან იშორებდა. „ტყვეებს“ თურქები ყი-

[1] ეს ცნობები მოგვაწოდა ქალბატონმა მაია ფეიქრიშვილმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოეახსენებ.

დულობდნენ. გიორგი სააკაძეს შეცოდებია პატარები, ისინი გამოუსყიდია და თავადისათვის მკაცრად შეუთვლია, არასოდეს გაემეორებინა ასეთი რამ.

## შალვა ნუცუბიძე ხონის შესახებ[1]

გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა შალვა ნუცუბიძემ (1882-1969) დაწყებითი განათლება ხონში მიიღო, სადაც მისი მამა — ისააკი მასწავლებლად მუშაობდა.

... ხუთმეტ წლამდე დაბა ხონში ვცხოვრობდი. ამ დაბაში ქართული კულტურის რომელ წარმომადგენელს არ შეხვდებოდით. საჯარო და კერძო ცხოვრება აქ საკვირლად უკავშირდებოდა ერთი მეორეს.

ხონის საჯარო ცენტრი მისი შესანიშნავი ბაღი იყო. მახსოვს 1895 წელს ბაღში გაშლილი სუფრები, სადაც საზოგადო საქმეებზედაც ბჭობდნენ. ხონის ერთ-ერთი ბოქაული, პორფილე ვაშალომიძე, სუფრებს უვლიდა და ტახტზე ასული „ხელმწიფე-იმპერატორის" სადღეგრძელოს იძახდა. ხალხიც ფეხზე დგებოდა, ნათქვამს იმეორებდა. ეს იყო პირველი საზოგადოებრივი მოვლენა, რომელიც ჩემს მახსოვრობაში დარჩა. პორფირე ვაშალომიძემ გურიიდან მოცეკვავეთა და მომღერალთა გუნდი ჩამოიყვანა ხონში, რაც ნიკოლოზ რომანოვის კორონაციაზე უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჩემთვის.

დაწყებით სკოლას, რომელშიც მე ვსწავლობდი, სიცოცხლით სავსე და ნიჭიერი მასწავლებელი, ილია ამაღლობელი ხელმძღვანელობდა. ბუნების დიდი მოყვარული, მამაჩემივით, გატაცებული მონადირე იყო. მეც ბავშვობიდანვე ვისწავლე ნადირობა, ბავშვობიდანვე შევწირე მას მარცხენა ხელის თითი.

ხონი ქუთაისის კულტურული დასაყრდენი იყო. ქუთაისის საოსტატო სემინარია, რომელიც თითქმის მთელი დასავლეთ საქართველოსთვის დაწყებითი განათლების მასწავლებლებს ამზადებდა, ხონში იყო მოთავსებული. მას ოფიციალურად ასე უწოდებდნენ: „ქუთაისის საოსტატო სემინარია ხონში". ქუთაისის ყოფილ გუბერნიაში, მრავალ დაწყებით სკოლაში, ხონის სემინარიადამთავრებულნი ასწავლიდ-

[1]ეს მოგონება ამოღებულია ქეთევან ნუცუბიძის წიგნიდან „შალვა ნუცუბიძე (ეპიზოდები ცხოვრებიდან)", თბ., 1982, გვ. 24-32.

ნენ; ხოლო ზაფხულობით მთელი ეს მასწავლებლობა ბრუნდებოდა ხონში.

აქ ვნახე პირველად აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ვაჟა ფშაველა, ცნობილი პუბლიცისტი ილია ხონელი, პედაგოგი უთურგაული, დიმიტრი ყიფიანის შვილიშვილი — პედაგოგი ბარბარე ყიფიანი, კრიტიკოსი ივანე გომართელი. 1905 წლის რევოლუციის მოახლოების ჟამს მომწიფდა მთელი პლეადა მომავალი პოლიტიკური მოღვაწეებისა ალექსანდრე წულუკიძისა და კობას მეთაურობით; ძმები მდივნები, შალვა ელიავა, პ. კიკალიშვილი და სხვ.

ხონში ვცხოვრობდი 1903 წლამდე, ე. ი. თხუთმეტი წლის ასაკამდე და აქ შევხვდი ბევრ ისეთ ვინმეს, ვინც შემდეგ ცხოვრების დიდ სარბიელზე ვნახე. ხონში დავესწარი ი. ხონელის (უფროსის) დაკრძალვას წმ. გიორგის ცნობილ ტაძარში სამრეკლოს საფუძველთან. დაკრძალვაზე სიტყვა წარმოთქვა საგანგებოდ ჩამოსულმა აკაკი წერეთელმა[2]. მე ის პირველად ვნახე, მისი ხმის ტემბრი ახლაც მახსოვს.

ცხოვრებაში ორი გზაა — დაიწყო აკაკიმ, — ერთი მათგანი ია-ვარდითაა მოფენილი და სავლელად სასიამოა. მეორე კი ნარ-ეკლიანია და სავლელად წამებაა. პირველი — პირადი ბედნიერებისა და ფუფუნების ძიების გზაა, ის ბევრს იზიდავს, მეორე — ერის სამსახურის გზაა და ტანჯვაც გამართლებაა. ილია ხონელმა ეს მეორე გზა აირჩია. მან კარგად იცოდა, რომ ეკლიანი გვირგვინი მაინც გვირგვინია პატიოსნებით მოპოვებული.

ეს ფრაზა მე ისე მახსოვს, როგორც მრავალი სხვა, უფრო გვიან, მაგრამ საკმაოდ დიდი ხნის წინათ გაგონილი. მეხსიერება სიყრმიდან ჩემი უერთგულესი მეგობარია ბედშიაც და უბედობაში. იმავე დასაფლავებაზე სიტყვა წარმოთქვა სიმონ მდივანმა... ხალხი იშლებოდა. აკაკი წერეთელი ბარბარე ყიფიანს დიდი ყურადღებითა და პატივისცემით მიესალმა, მკლავი მკლავში გაუყარა და ერთად წავიდნენ წინ.

ხონში არაერთხელ მინახავს ნიკო ნიკოლაძე. ის იყო თავმჯდომარე იმ საზოგადოებრივ-საირიგაციო სისტემის კომიტეტისა, რომლის ცენტრი ხონი იყო. ამ სისტემის წყალობით ხონის დიდი ნაწილი წყლის არხებით იყო შემოვლებუ-

---

[2]აქ უზუსტობაა. აკაკი ილია ხონელის დაკრძალვას ვერ დაესწრო. იგი ხონში ჩამოვიდა 1901 წლის ივლისში ილია ხონელის გარდაცვალების წლისთავზე და წარმოთქვა სიტყვა.

ლი და საინტერესო სანახაობას წარმოადგენდა. დავსწრებიავარ ნიკო ნიკოლაძის გამოსვლებს დასახელებული კომიტეტის საანგარიშო და საარჩევნო კრებებზე. მამაჩემი — ისააკ ნუცუბიძე, პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა ხონში და საკმაოდ ცნობილი კაცი იყო.

შვიდი წლისა მე უკვე ხონის ნორმალური სასწავლებლის მესამე განყოფილების მოწაფე ვიყავი, რაც ჩემინაადრევი განვითარებისა და მამაჩემის პედაგოგიური შეცდომის შედეგი იყო. ამ შეცდომაში მამაჩემი ჩემმა უჩვეულო მეხსიერებამ შეიყვანა. ხუთი წელი დავამთავრე თუ არა, სკოლის პირველ განყოფილებაში ვიყავი. ამ განყოფილებაში გვასწავლიდა შესანიშნავი პედაგოგი ვლადიმერ მაჭარაძე, მეორე განყოფილებაში კი მამაჩემი მუშაობდა და, ამრიგად, ჩემი აღზრდა სკოლასა და სახლში მის ხელში იყო.

როცა გიმნაზიისთვის ვემზადებოდი, ჩვენს მეზობლად გორიდან ჩამოვიდა ორი ახალგაზრდა, რომლებიც ხონის საოსტატო სემინარიაში შესასვლელი გამოცდებისათვის ემზადებოდნენ. მაშინ ჩვენ ვცხოვრობდით ხონის იმ კუთხეში, რომელსაც „ქაცარავებს“ ეძახდნენ. ამ კუთხეში ოდითგანვე სამეგრელოდან ჩამოსახლებული ქაცარავები ცხოვრობდნენ. პირველი მათგანი სიკო ქაცარავა — მჭედელი იყო. მას ორი სახლი ჰქონდა კარგი ეზოთი. ჭიშკარი პირდაპირ იმ ცაცხვის ძირს ეკვროდა, რომელიც თავშეყრის ერთ-ერთ ცენტრს წარმოადგენდა ხონში. ახალგაზრდები დათა ქაცარავასთან დაბინავდნენ, ჩვენ კი ლუკა ქაცარავასთან ვცხოვრობდით, თითქმის დათას მეზობლად, რომლისგანაც ნესტორ ქაცარავას საცხოვრებელი გვაშორებდა.

დათას მდგმურები საკმაოდ დიდები იყვნენ, ასე 18-19 წლისა, მათ არავინ ამზადებდა, თვითონ მუშაობდნენ. დათას ბევრი შვილი ჰყავდა; გულმხიარული გლეხი იყო, ჭების თხრის დიდი ოსტატი. დათას ვაჟები ონისიმე და მიხაკო — ხნოვანებით ჩემს ასაკთან ახლო იყვნენ, მე მათ ვმეგობრობდი და დათასთან ხშირად დავდიოდი. ახალგაზრდებს მშვენიერი ოთახი დაუთმეს გრძელი აივნის ბოლოში, ბევრს მეცადინეობდნენ. მე გიმნაზიის გამოცდები ჩაბარებული მქონდა.

— მამაშენი გახლდა გამოცდაზე? — მკითხა ერთ დღეს ახალგაზრდამ, სოსელოს რომ ეძახდნენ.

— არა, დედაჩემი, — მივუგე მე, — თქვენ დიდები ხართ და მასწავლებელი არ გჭირდებათ, მე კი ერთი წელიწადი ვემზადებოდი.

გამოცდების დამთავრების შემდეგ მამაჩემთან გამოსათხოვებლად ჩვენთან შემოირბინეს ახალგაზრდა გორელებმა და ერთბაშად გაუჩინარდნენ. მამაჩემს ვკითხე მათზე.

— პეტროვს არ მოეწონა, რუსულში ორივენი ჩაჭრა, სემინარიაში არ მიიღეს და წავიდნენო.

მათ ადგილზე ყუბანელი კაზაკები მიიღეს.

მამაჩემი დიდი მოწინააღმდეგე იყო მონარქისტ-რუსიფიკატორთა აგენტურისა, რომელთა მეთაურს ხონში პეტროვი წარმოადგენდა. საქმე იმით გათავდა, რომ ერთ შეკრებულობაში, რომელსაც პეტროვი ესწრებოდა, მამაჩემმა ლაზათიანად მიბეგვა იგი, რადგან მან რუსიფიკაციის ერთ-ერთი დასაყრდენის ე. წ. „მუნჯური მეთოდის“ დაცვა იკისრა.

პეტროვი დაახლოვებული იყო „მუნჯური მეთოდის“ ავტორებთან — სახალხო სკოლების სარაიონო ინსპექტორებთან — სავიჩთან და სუდაკოვთან. უკანასკნელი რამდენიმე დღის წინ ჩამოვიდა ხონში „მურჯური მეთოდის“ საპროპაგანდოდ. მამაჩემს ეწვია, როგორც უფროსს. ღამე ჩვენთან გაათია და დაძინებამდე მესმოდა ხმამაღალი კამათი. მეორე დღეს მამაჩემი აგინებდა „მუნჯური მეთოდის“ ავტორებს და მათთან ერთად პეტროვსაც.

ხონის სემინარიაში არსებობდა ახალი თაობის ჯგუფები, რომლებიც თანდათან ცნობიერდებოდნენ. მათ მასწავლებელთა წრეში თავიანთი მომხრე ჰყავდათ. ასეთი იყო მასწავლებელი უთურგაული. საკითხავი წიგნების შერჩევითა და შემთხვევიდან შემთხვევამდე წაკითხულის გამოკითხვით, მისთვის სასურველი მიმართულების მიცემით, უთურგაული ახერხებდა ახალი აზრების პროპაგანდას.

ჩვენს გვერდით ცხოვრობდა ალექსი ქაცარავა. ქაცარავები ჩამოსვლიდანვე თავიანთ ხელობას მისდევდნენ. საკმაოდ კარგად ცხოვრობდნენ. ალექსი ქაცარავა მეეტლე იყო. მის საჯინიბოში ბავშვობისას გატარებული წლები ჩემი ცხოვრების უბედნიერეს დროდ მიმაჩნია...

ქაცარავების მეორე თაობა თავის საქმიანობაში შორს წავიდა და არც უშედეგოდ. სწავლა თავის შვილს მხოლოდ ალექსიმ მიაღებინა. მისმა შვილმა, კორნელი ქაცარავამ, ხონის საოსტატო სემინარია დაამთავრა; ჩინებული მასწავლებელი იყო. სიყრმიდან ყველაზე უფრო მასთან ვიყავი დაახლოებული...

მახსოვს რაფიელ ერისთავის იუბილეს გახმაურება ხონში. ხონს საჯარო თავყრილობისათვის არ ჰქონდა საგანგე-

ბო დარბაზი. ამ შემთხვევაში ისარგებლეს ივანე შარაშიძის ბინით. 12 წლის ბიჭუნას უნდა წამეკითხა მოკლე წერილი რაფიელზე ჟურნალ „ჯეჯილიდან“ და ზეპირად მეთქვა ლექსი „თინიას მამითადი“. დაწერილის კითხვა სრულიად ვერ მოვახერხე, ტექსტი მბორკავდა და მაშინ პირველად ვიგრძენი, რომ დაწერილის წაკითხვამ მომწყვიტა მსმენელს. აუდიტორიამ ჩემი კითხვისადმი ინტერესი დაკარგა, დარბაზში მუსაიფი ისმოდა. დავიბენი და ინსტიქტურად გადავწყვიტე — მოვწყდე ტექსტს, რომელიც მანამდე რამდენჯერმე გადაკითხული მქონდა და ამის იმედით დავაპირე ზეპირად ეთქვა. საამისო ძალა არ მეყო, მაგრამ გაჭირვებით მაინც მივაღწიე ბოლოს. კულისებიდან მესმოდა იმედდაკარგული ვედრება უილაჯო დამდგმელისა, გაათავეო.

რა თქმა უნდა, ტაში არავის დაუკრავს, რადგან მე უფრო საცემი ვიყავი. უცებ მომესმა კულისებიდან, ლექსი თქვიო.

ლექსი კარგად ვიცოდი და, ჩანდა, კარგად წავიკითხე, რადგან აუდიტორიამ მქუხარე ტაშით შეიწუხა თავი...

ხონში ხშირად იმყოფებოდა ივანე გომართელი, იმ დროს უკვე ცნობილი ლიტერატურული კრიტიკოსი. მამაჩემის ბიბლიოთეკაში „კვალის“ მთელი წლის ნომრები იყო, სადაც ივანე გომართელის კრიტიკული წერილების სერია იბეჭდებოდა. ხონის საზოგადოებაში ის მიღებული კაცი იყო, მას დიდ პატივს სცემდნენ, თუმცა საქმე უპოლემიკოდ არ დამთავრებულა.

ხონელი ახალგაზრდობის უფროს თაობასთან იდეურმა შეტაკებამ გამოიწვია ივანე გომართელის წერილი „ხონელი ფილოსოფოსები“, რომელიც „კვალში“ დაიბეჭდა.

ივანე გომართელი ჩემი მასწავლებლის ვლადიმერ მაჭარაძის ქორწილში გავიცანი ხონში. მისმა თხზულებამ, რომელიც 1905 წლის რევოლუციის სამზადისის ხანაში დაიწერა, „შილერის პოეზიის ძირითადი საფუძვლები“[3], დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ახალ თაობაზე; მისი დასკვნითი ადგილები პროკლამაციის ძალის მქონე იყო...

ხონს მრავალი განაპირა დასახლება აკრავს: ქარჩხაბი, გოშოურა, კონტუათი, ივანდიდი, მათხოჯი და სხვა. მამაჩემის ოჯახი თავდაპირველად გოშოურაში ცხოვრობდა...

---

[3] ივ. გომართელის წიგნი „შილერის პოეზიის ძირითადი თვისებანი“ დაიბეჭდა 1903 წ. ქუთაისში. გამოსცა ცნობილმა მეცენატმა მიტ. ლაღიძემ.

ჩვენ ერთხანს ხონში სამტრედიის ქუჩაზე ვცხოვრობდით ალექსანდრე ქუთათელაძის სახლში (ეს იყო მამა ჩვენი წრის ნიჭიერი წევრისა, რომელიც, სამწუხაროდ, უდროოდ გარდაიცვალა)...

მამაჩემი ნადირობისას თან მატარებდა ხონის ჭალებში, ცხენისწყლის ნაპირზე, საიდანაც მარტვილის დიდებული მონასტრის თავისებური ნაგებობა მოჩანდა... არაერთი საღამო გამიტარებია სიყრმეში ამ დიდებული სანახების ცქერაში, მომავლის რაღაც იდუმალი ხმების ჟრიამულში...

1897 წელს მამაჩემმა ქუთაისში წამიყვანა. იმავე გაზაფხულზე კლასიკურ გიმნაზიაში მიმიღეს, საკონკურსო გამოცდების შედეგად.

დათა ბახტაძის დილიჟნები რეგულარული ტრანსპორტი იყო ხონსა და ქუთაისს შორის. ჩვენც იმით მივემგზავრებოდით. როცა ცოტა გავიარეთ, დილიჟანში მჯდომი, მოკლე წვერიანი კაცი აიჭრა თავისი ადგილიდან და მამაჩემს გადაეხვია.

— ისაია, გენაცვალე, რამდენი ხნის უნახავი ვართ, — დაიწყო მან.

მამაჩემმიც სიტყვას არ აცლიდა:

— ლუკა, ჩემო ლუკა, საიდან სად? ნუთუ ხონში იყავი და მე არ მნახე?

ქუთაისამდე, სამი საათის მანძილზე, მეგობრები არ დადუმებულან. მათი მუსაიფი, როგორც ვატყობდი, უფრო წარსულს ეხებოდა. მამაჩემმა დაშორებისას თავის მეგობარს ჩემი თავი გააცნო.

— ერთად წავიდეთ ჩემს დასთან, — უთხრა მამამ.

ამ დროს ერთი ახალგაზრდა მიუახლოვდა ჩვენს თანამგზავრს და რაღაც უთხრა. გამოირკვა რომ ლუკას ელოდნენ.

როცა მარტონი დავრჩით, მამაჩემმა მითხრა:

— ეს კაცი დაიხსომე, ლუკა რაზიკაშვილია, სახელოვანი ქართველი მგოსანი, ჩემი ამხანაგი გორის სემინარიიდან. საწყენია, რომ დრო არა აქვს.

ასე გავხდი ვაჟა-ფშაველასა და მამაჩემის მეგობრული შეხვედრის მოწმე...

გალაკტიონი

ბალახვნის ქუჩაზე

რა კარგი იყო ქუჩა ბალახვნის,
ხმები ისმოდა მრავალი არღნის,
არ იყო მაშინ ავტომობილი,
არცა საყვირი მაუდის ქარხნის.
შეაჩერებდა რა თვის ფაეტონს
მეეტლე მუშტარს უცდიდა ამ დროს
ვინ მოხვალთ ხონსუ, ხონსუ, ო ხონსუ!
კოფოზე მდგარი გასძახდა მთა-გორს.

ასე ძვირფასი ტენორის მქონეს
არვინ უსმენდა მეეტლეს ხონელს
ვინ მოხვალთ ხონსუ? იძახდა მაგრამ
ჩანდა, ამაოდ კარგავდა ღონეს.
იმ დროს მოესმა: მოვალთ, გიშველით!
მალე ჯიბემჭლე და თავშიშველი
ლხენით სიმღერით — იმ ხონის გზაზე
მივჰქროდით მე და სარაჯიშვილი.

1946-1959

# თავი მეშვიდე

## ხონის ისტორიის ძნელი აღმართი

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების პირველ ნახევარში საქართველოში რთული პოლიტიკური ვითარება შეიქმნა. საბჭოთა კავშირის კრიზისისა და დაშლის პროცესში ფართოდ გაიშალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენას ისახავდა მიზნად. მასში აქტიურად ჩაება ხონის მოსახლეობაც.

ხონის საზოგადოებრიობის დაჟინებითი მოთხოვნით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1989 წლის 6 ივლისს გამოსცა ბრძანებულება, რომლითაც ქალაქ წუ-

ლუკიძეს დაუბრუნდა თავისი ისტორიული სახელი — ხონი. ხონელები დიდი სიხარულით შეხვდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. მაგრამ შემდეგ მოვლენები ტრაგიკულად განვითარდა. საქართველოს წინააღმდეგ გაერთიანდნენ შინაური და გარეშე მტრები, რომელთაც რუსეთის რეაქციული ძალები და სპეცსამსახურები ხელმძღვანელობდნენ. სამხედრო ძალით დაემხო კანონიერი მთავრობა. აფხაზმა სეპარატისტებმა ომი გააჩაღეს დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ. საქართველოზე ხელი აღმართეს ოსმა სეპარატისტებმაც. გამწვავდა ურთიერთობა ქვეყნის შიგნით სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს შორის. აფხაზ სეპარატისტებთან ომის დროს ხონი სამთავრობო ჯარებში გაერთიანებული კრიმინალური ნაწილების თარეშის არენად იქცა. ამან დიდი ზიანი მიაყენა რაიონის ეკონომიკას, მის პოლიტიკურ და მორალურ-ზნეობრივ ცხოვრებას.

1991 წლის მარტში, მთელს საქართველოში განხორციელებული ადმინისტრაციული მმართველობის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, შეიქმნა ხონის რაიონის პრეფექტურა. 1992 წლის თებერვალში იგი შეცვალა სამხედრო საბჭომ, ხოლო მარტში — რაიონის გამგეობამ.

როდესაც ქვეყანა საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის გზას დაადგა, მოხდა ძნელად ასახსნელი რამ — დასავლეთ საქართველოს ის რეგიონმა, რომელმაც, როგორც წინა თავებში დავინახეთ, ბურჟუაზიულ ურთიერთობათა საწყის ეტაპზე, მაგალითი მისცა მთელს საქართველოს და სწრაფი განვითარების გზას დაადგა, ფეხი ვერ აუბა ახალ ვითარებას და დათმო თავისი პოზიციები ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ხონი და მისი რაიონი ამჟამად სერიოზულ ეკონომიკურ სიძნელეებს განიცდის, ისე როგორც მთელი საქართველო. წარმოება-დაწესებულებათა მნიშვნელოვანი ნაწილი გაჩერებულია, მოსახლეობის ძირითადი ნაწილი — დაუსაქმებელი. რატომ მოხდა ეს? ნუთუ ენერგიულმა, გამრჯე, ინიციატივიანმა, კომერციული და ბიზნესის ნიჭით დაჯილდოებულმა ხონელმა კაცმა ალღო ვერ აუღო ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებს? ჩვენი აზრით, ეს აიხსნება იმით, რომ საქართველოში საბაზრო ეკონომიკის მშენებლობას, კერძო ინიციატივას, ბიზნესს ჯერ კიდევ არ მიუღია ნამდვილი სახე, მასში ჯერჯერობით წამყვანი ადგილი მაფიოზურ კლანებს უჭირავთ, რომლებიც ნაკლებად არიან დაინტერესებული ქვეყნის, ხალხის ბედით და მხოლოდ საკუთარ მოგება-

ზე ფიქრობენ. ასეთ სტრუქტურებში ჩართვა თბილისის გარეთ, თითქმის შეუძლებელი ხდება. მაგრამ ეს დროებითი მოვლენაა. საქართველოს ეკონომიკური ცხოვრება თანდათან გაჯანსაღების გზას ადგება. სულ უფრო იზრდება წარმოებაზე დამყარებული ბიზნესის ხვედრითი წონა, შეიქმნა ქართული ბიზნესის აღორძინების საერთაშორისო საზოგადოება (თავმჯდომარე საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ბატონი თეიმურაზ ლომთაძე), რომლის მიზანია ჩვენს ქვეყანაში ჭეშმარიტი ბიზნესის, პატიოსან გარჯასა და შრომაზე დამყარებული წარმოების განვითარება. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები ხონის რაიონშიც გადაიდგა.

მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი იმისათვის, რომ ხონმა დაიბრუნოს თავისი კუთვნილი და ღირსეული ადგილი საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში. ამჟამად იგი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ძნელი აღმართის დასაწყისში იმყოფება. ასეული წლების მანძილზე შემუშავებული და განმტკიცებული ტრადიციები, ხონელი კაცის შეუდრეკელი ხასიათი, მისი ნიჭი და შრომისმოყვარეობა, ხონური გენი, ხონური კოდი გარანტიაა იმისა, რომ იგი დაძლევს ყოველგვარ სიძნელეს და მესამე ათასწლეულში თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების დონეზე კეთილმოწყობილ და შეძლებულ ქალაქად გადაიქცევა.

ამის გარანტიაა ხონის სულიერი, ინტელექტუალური ცხოვრებაც, რომელიც მიუხედავად ეკონომიკური სიძნელეებისა, კი არ შეფერხებულა, არამედ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის არსებობის პირობებში ახალი ფორმები და შინაარსი შეიძინა.

განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენაა ის ფაქტი, რომ ხონმა დაიბრუნა თავისი საეკლესიო ფუნქცია — აღდგენილ იქნა ხონის ეპარქია (1996 წ.).

ქართული წიგნის ბეჭდვის 370-წლიანი ისტორიის მანძილზე ხონში პირველი წიგნი 1994 წელს დაიბეჭდა. ეს არის ხონელ ავტორთა ლექსების კრებული „სამზეურა", რომელიც გამოსაცემად მოამზადა ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანების ხელმძღვანელმა ქალბატონმა თინა ჭელიძემ.

ხონში პირველი წიგნის გამოცემის საქმეს დიდი ამაგი დასდეს ბატონებმა გოდერძი მებუკემ, ჯუმბერ ხაჭაპურიძემ და გურამ მათეს ძე ბახტაძემ. წიგნის გამოცემაში მონაწილეობდნენ: ზურაბ ჯინჭველაძე (მხატვარი), ნინო აკობიძე,

მერი ტაბიძე (კორექტორები), ნუნუ ფანცულაია (ტექნიკური რედაქტორი). წიგნი დაიბეჭდა ხონის სტამბაში (დირექტორი ბადრი ვაჭარაძე). მალე ხონში მეორე წიგნიც დაიბეჭდა. ესაა საინტერესო პოეტი ქალის თინა ჭელიძის ლექსების კრებული „ზღაპარ ვიყავ..." (1996 წ.). ხონში წიგნის ბეჭდვის ტრადიციას საიმედო საფუძველი ჩაეყარა.

ამჟამად ხონში ოთხი გაზეთი გამოდის: „ხონი" (დამოუკიდებელი გაზეთი, რედაქტორი ქეთინო ბახტაძე), „თაობა" (საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის ხონის ორგანიზაციის ორგანო, რედ. ამირან ბოკელავაძე), „ათინათი" (ხონის ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანების ლიტერატურული ორგანო, რედ. თინა ჭელიძე) და „ხონის მაცნე" „სტალინური გზით" (რედაქტორი აკაკი ფარულავა)

ნაყოფიერად მუშაობს ხონის ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანება ქალბატონ თინა ჭელიძის ხელმძღვანელობით (ჩამოყალიბდა 1984 წელს). მასში გაერთიანებული არიან პოეზიითა და ხელოვნების სხვადასხვა დარგით გატაცებული ახალგაზრდები. მათ მჭიდრო კონტაქტი აქვთ დამყარებული თავიანთ ქუთაისელ და მეზობელი რაიონების კოლეგებთან.

ახალგაზრდა შემოქმედთა ძალებით ბევრი საინტერესო საქმე გაკეთდა: ჩამოყალიბდა და ბოლო დრომდე წარმატებით მუშაობდა ახალგაზრდა სცენისმოყვარეთა დასი, თოჯინების თეატრი (ხელმძღვანელი მევლუდ ჩხეიძე, თოჯინების ავტორები, მხატვრები გიორგი გაშაკიძე და ზურაბ ჯინჭველაძე, თანამშრომლები: ზურაბ უბირია, მამუკა ფირცხალავა, გურამ ბარაბაძე, მანანა ჩიხლაძე...).

1995 წელს „გაერთიანებასთან" ჩამოყალიბდა ვაჟთა ვოკალური ანსამბლი, რომელსაც ხელმძღვანელობს ვლადიმერ დავითის ძე ბახტაძე. მასში შედიან: გიული ცხადაძე, გოგენ კინწურაშვილი, ომარ ტაბიძე, ლევან სახელაშვილი, ზაურ ბენდელიანი, ოთარ ჯიშკარიანი, შალვა მიქაძე, ტერენტი ჩარგეიშვილი, მამუკა ბახტაძე. ანსამბლთან მუშაობს ქალთა ვოკალური ტრიო (რუსუდან დოლაკიძე, ნატო ჩხენკელი, ხათუნა ფანცულაია; ხელმძღვანელი გულიზარ პაპავა) და ქორეოგრაფიული ჯგუფი (ხელმძღვანელი თემურ დანგაძე).

ბევრ კარგ წამოწყებას უდგას სათავეში ხონის ახალგაზრდული კავშირი (თავმჯდომარე ალეკო აკობიძე). მისი ინიციატივით ჩატარდა 1990 წელს სამეჯლისო ცეკვებისა და გიტარაზე სიმღერის შემსრულებელთა კონკურსი „ხონი-

90“, 1993 წ. — საქალაქო მარათონი „ბავშვები ჩვენი ქვეყნის მომავალი“, 1994 წ. გასართობი საღამოები ალექსანდრე წოწონავასა და საბავშვო შოუჯგუფის მონაწილეობით, „შოუ და კარატე ნეკორ-იუ“, „რეპი, შოკი და ხონელები“; 1995 წ. ბავშვთა შემოქმედების რაიონული ფესტივალი; 1996 წ. — ბავშვთა საესტრადო სიმღერის ფესტივალი „საპოვნელა—96“; პოეზიისა და მუსიკის საღამოები: 1994 წ. — „პოეზიაში გაბნეული მარგალიტები“ (ლექსებს კითხულობდა პედაგოგი თამაზ ცაგარეიშვილი), „ძევახ სიცოცხლეო ჩემო“ (მაკა მონიავას, ნანა ჭავჭანიძის, მარიკა რუხაძის და თამარ ჩარგეიშვილის მონაწილეობით), 1995 წ. „ამღერებული სული“, 1996 წ. პოეტი ქალის თინა ჭელიძის საიუბილეო-შემოქმედებითი საღამო, „ახალგაზრდა შემოქმედთა პირველი ნაბიჯები“ (მიეძღვნა ედუარდ უგულავასა და მამუკა ბახტაძეს); მოეწყო 1990 წელს მხატვარ ზეინაბ ყვინჩიას, 1995 წ. თამარ ფანცულაიას, კალანდარაშვილის ნამუშევრების გამოფენები.

## ᲮᲝᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲓᲐᲜ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲪᲘᲙᲚᲝᲞᲔᲓᲘᲐᲨᲘ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚᲘᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲞᲘᲠᲗᲐ ᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲔᲑᲘ

ᲐᲑᲐᲙᲔᲚᲘᲐ ᲗᲐᲛᲐᲠ ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ — გამოჩენილი ქართველი მოქანდაკე, გრაფიკოსი და თეატრალური მხატვარი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲫᲔ — გამოჩენილი ქართველი პოეტი, აკადემიკოსი

ᲐᲓᲐᲛᲘᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲞᲝᲠᲤᲘᲠᲔᲡ ᲫᲔ — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

ᲐᲓᲐᲛᲘᲐ ᲜᲝᲔ ᲞᲔᲢᲠᲔᲡ ᲫᲔ — საბჭოთა კავშირის გმირი

ᲑᲐᲮᲢᲐᲫᲔ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲫᲔ — საბჭოთა კავშირის გმირი

ᲑᲐᲮᲢᲐᲫᲔ ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜ (ᲕᲐᲚᲘᲐ) ᲡᲐᲛᲡᲝᲜᲘᲡ ᲫᲔ — პუბლიცისტი, ჟურნ. „მნათობის“ რედაქტორი 20-იან წლებში

ᲑᲐᲮᲢᲐᲫᲔ ᲘᲚᲘᲐ ᲚᲣᲙᲐᲡ ᲫᲔ (ფსევდ. ხონელი) — გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტი, მთარგმნელი და ჟურნალისტი

ᲑᲔᲠᲘᲫᲔ ᲕᲣᲙᲝᲚ ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘᲡ ᲫᲔ — გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერი, რუსთველოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ᲑᲔᲠᲘᲫᲔ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲕᲣᲙᲝᲚᲘᲡ ᲫᲔ — გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ხელოვნებათმცოდნე, საქართველოს მეცნიერება-

თა აკადემიის აკადემიკოსი, ქართული ხელოვნების ინსტიტუტის დირექტორი

ბობოხიძე კალე ფირანის ძე — ცნობილი პოეტი

გეგელია თენგიზ გიორგის ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

გვარაძე ნიკოლოზ სოლომონის ძე — ცნობილი ქართველი მსახიობი და რეჟისორი

გოგიბერიძე მოსე ივანეს ძე — ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გოგოლაშვილი (ხონელი) შალვა სიმონის ძე — საქართველოს სახალხო არტისტი

გარიყული (თათეიშვილი-რატიანისა) მარიამ ლუკას ასული — მწერალი და თეატრალი

გორდაძე გიორგი ნესტორის ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კაკაბაძე ალდე გრიგოლის ასული — მხატვარი-კერამიკოსი

კაკაბაძე დავით ნესტორის ძე — დიდი ქართველი მხატვარი, ახალი ქართული ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი

კაკაბაძე სარგის ნესტორის ძე — ცნობილი ქართველი ისტორიკოსი და ფილოლოგი

კაკაბაძე ეთერ სილოვანის ასული — ცნობილი მოქანდაკე

კაკაბაძე ვასილ მიხეილის ძე — ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

კაკაბაძე იოსებ პავლეს ძე — საქართველოში რევოლუციური მოძრაობის მონაწილე

კაკაბაძე ნოდარ მეთოდეს ძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კაკაბაძე პოლიკარპე მალხაზის ძე — გამოჩენილი ქართველი დრამატურგი

კაკაბაძე სილოვან იოაკიმეს ძე — ცნობილი მოქანდაკე, პროფესორი, თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი 1936-1942 წწ.

კაკაბაძე-ლუდუშაური მარგალიტა პავლეს ასული — საქართველოს დამსახურებული ექიმი, სოციალისტური შრომის გმირი

ლეჟავა ალექსანდრე სამსონის ძე — მედიცინის მეცნიერე-

ბათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

ᲛᲔᲚᲐᲫᲔ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ ძე — საქართველოს დამსახურებული ინჟინერი

ᲛᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ ᲢᲐᲠᲐᲡᲘ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ძე — 1915 წ. „სარიყამიშის ოპერაციის" გმირი, „შაითან კაპიტნად" წოდებული

ᲛᲝᲡᲔᲨᲕᲘᲚᲘ ᲕᲐᲠᲚᲐᲛ ᲞᲐᲕᲚᲔᲡ ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

ᲛᲝᲡᲔᲨᲕᲘᲚᲘ ᲘᲐᲡᲝᲜ ᲞᲐᲕᲚᲔᲡ ძე — ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

ᲛᲝᲡᲔ ᲮᲝᲜᲔᲚᲘ — XII-XIII სს. მწერალი, „ამირანდარეჯანიანის" ავტორი, გადმოცემით თამარ მეფის მდივან-მწიგნობარი

ᲛᲩᲔᲓᲚᲘᲫᲔ ᲜᲐᲜᲐ ᲑᲘᲫᲘᲜᲐᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ — ცნობილი კინორეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი

ᲠᲣᲮᲐᲫᲔ ᲕᲐᲠᲚᲐᲛ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲡ ძე — ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე

ᲠᲣᲮᲐᲫᲔ ᲮᲝᲘᲐ ᲛᲐᲗᲔᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ — ცნობილი პარტიზანი, რომელიც გერმანელებმა დახვრიტეს

ᲡᲐᲜᲐᲫᲔ ᲒᲘᲕᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ᲡᲐᲜᲐᲫᲔ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠᲘᲡ ძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

ᲡᲐᲜᲐᲫᲔ ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ ძე — ცნობილი ფიზიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ᲡᲐᲜᲐᲫᲔ ᲙᲝᲠᲜᲔᲚᲘ ᲑᲐᲠᲜᲐᲑᲘᲡ ძე — ცნობილი მხატვარი, პროფესორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი

ᲢᲐᲑᲘᲫᲔ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ ძე — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

ᲢᲔᲠᲔᲚᲐᲫᲔ ᲐᲙᲐᲙᲘ ᲚᲣᲙᲐᲡ ძე — საბჭოთა კავშირის გმირი

ᲤᲘᲠᲪᲮᲐᲚᲐᲕᲐ ᲜᲝᲔ ᲘᲝᲡᲔᲑᲘᲡ ძე — ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

ᲤᲘᲠᲪᲮᲐᲚᲐᲕᲐ ᲡᲐᲛᲡᲝᲜ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ძე (ფსევდ. „სიტყვა", „კალამი", „სახვინი") — საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი

ᲤᲘᲠᲪᲮᲐᲚᲐᲕᲐ ᲒᲔᲠᲐᲡᲘᲛᲔ ᲡᲐᲛᲡᲝᲜᲘᲡ ძე — ისტორიის მეცნიე-

რებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

ქაცარავა კორნელი ალექსის ძე — პედაგოგი, სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე

ქუთათელაძე აპოლონ ყარამანის ძე — გამოჩენილი მხატვარი, საბჭოთა კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი 1959-1972 წწ.

ქუთათელაძე გიორგი ნიკოლოზის ძე — ცნობილი სამხედრო მოღვაწე

ქუთათელაძე გურამ (ხიტა) აპოლონის ძე — ცნობილი მხატვარი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანი, პროფესორი

ქუთათელაძე ვლადიმერ (ლადო) ყარამანის ძე — ცნობილი მხატვარი, გრაფიკოსი, პროფესორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

ქუთათელაძე თინათინ კონსტანტინეს ასული — არქიტექტორი, დამსახურებული ინჟინერი

ქუთათელაძე იოველ გრიგოლის ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, თბილისის ფარმაკოლოგიის ინსტიტუტის ფუძემდებელი (ამჟამად მისი სახელობის)

ქუთათელაძე კალისტრატე სევერიანის ძე — ცნობილი ქიმიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ქუთათელაძე ლევან შალვას ძე — ცნობილი ინჟინერი

ქუთათელაძე მარკლენი (კარლო) ქრისტეფორეს ძე — მხატვარი

ქუთათელაძე სამსონ სიმონის ძე — გამოჩენილი მეცნიერი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, სოციალისტური შრომის გმირი

ქუთათელაძე ალექსანდრე ნიკოლოზის ძე (ქუთათელი) — ცნობილი მწერალი

ღოღობერიძე ლევან დავითის ძე — პოლიტიკური მოღვაწე

ღოღობერიძე იაკობ ასლანის ძე — საქართველოს დამსახურებული ინჟინერი

ხუროძე (ფსევდ. მალაქიაშვილი) ვარლამ ადამის ძე — მწერალი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე

ჩვერავა სიმონ დიმიტრის ძე — მწერალი

ჯანჯღავა ვლადიმერ ნიკოლოზის ძე — გენერალ-ლეიტე-

ნანტი, საბჭოთა კავშირის გმირი
ხვიჩია იპოლიტე ალექსანდრეს ძე — საქართველოს სახალხო არტისტი
ყუფარაძე გიორგი ივანეს ძე — სამხედრო მოღვაწე, გენერალ-მაიორი
შალიკაშვილი ვალერიან ირაკლის ძე — ცნობილი მსახიობი და რეჟისორი
წულუკიძე ალექსანდრე გრიგოლის ძე — პოლიტიკური მოღვაწე
ჩხენკელი აკაკი ივანეს ძე — გამოჩენილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე
ჩხენკელი თამაზ ვასილის ძე — ცნობილი ფილოლოგი, მთარგმნელი და პოეტი
ჩხენკელი კიტა (პეტრე) ივანეს ძე — გამოჩენილი ენათმეცნიერი, ლექსიკოგრაფი
ცაგარეიშვილი შალვა ვლადიმერის ძე — საქართველოს საარქივო სამმართველოს უფროსი 1952-1963 წწ.
ძიძიგური არჩილ ამბროსის ძე — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
ძიძიგური ვარლამ დავითის ძე — ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე
ძიძიგური შოთა ვარლამის ძე — ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
ჩაგუნავა შალვა თადეოზის ძე — კინორეჟისორი, ქართული დოკუმენტური კინოს ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

## ხონის რაიონის ზოგიერთი ღირსშესანიშნაობა*

### ბუნების ძეგლები

მდინარე ოკაცეს კანიონი
ოკაცესა და ნაბეჩოს ჩანჩქერები
ასხის მთაზე არსენ ოქროჯანაშვილის მღვიმე
გორდის მღვიმე
„წმინდანიანის" გამოქვაბული კინჩხაში
თურჩუს მთის გამოქვაბულები
კლდეილეს მღვიმე გორდი-კინჩხის საზღვარზე
ღვარბაჯანის გამოქვაბული კინჩხა-დვედის საზღვარზე
ქვაშიკარის მღვიმე დვედში
ჭირკარის მღვიმე (მათხოჯის ადამიების მღვიმე)
სათევზიის მღვიმე ძეძილეთში
კენიის მთა სოფ. მათხოჯში, სადაც მოიპოვება
საღებავი საშუალებანი (ოხრა, მუმია)
თურჩუს მთის სანახები სოფ. გორდისა და
მარტვილის საზღვარზე
სოფ. ჟუშკში, ცივწყალასთან, მარგანეცის საბადო

### უძველესი სარიტუალო და სამლოცველო-სამსხვერპლო ადგილები

კინჩხის სამლოცველო-სამსხვერპლო, ეკვდერი, ჯვრის ტიპის სამარხ-სარკოფაგებით, მრავალსაუკუნოვანი ურთხელის ხეებით
ურთხელის სამლოცველო ხე ნოღაში
სოფელ ახალბედისეულის დიდი მუხა
გორდში ისქელდას სამლოცველო
ქვედა გორდში — ბობოხიძეების სამლოცველო

### გორა-ნამოსახლარები, გორიკები

პატარა ჯიხაიშში და ქუტირში — სამი გორიკა
გუბში — ორი გორიკა
ნამაშევი — გორიკა

## ძველი წყაროები

მთავრის წყარო გორდის ტყე-პარკში — 1832 წ.
დედოფლის წყარო გორდში, XIX ს.

---

*ხონის რაიონის ღირსშესანიშნაობათა ნუსხა შედგენილია დაკვირვებული ეთნოგრაფის და მხარეთმცოდნის, ქუტირის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებლის რაულ ჩხაიძის მიერ.

პატარა ჯიხაიშის ღოღობერიძეების წყარო, XVI ს.
სოფ. ხიდში წყარო ბინური (გიგას წყარო)
სოფ. მათხოჯის წყარო

## უძველესი მეტალურგიის კერა

კინჩხის „წმინდანიანის“ გამოქვაბულთან

## ნახიდარები და გამაგრებული გზები

ხეითი, მიდამოები — ბუმბუას (ბამბუას, პომპეუსის) ხიდი, ნანგრევები, ბურჯი, ძველი წელთაღრიცხვის ბოლო საუკუნეები
გუბი, მიდამოები — ნამაშევის ხიდი, ბურჯებით, შუასაუკუნეები
ოჭირეთის კლდეში ნაკვეთი გზა სოფლებს ხიდსა და სუხჩეს შორის (XVII-XIX სს.)
ნოღა — ხიდის ნაშთი მდინარე ოკაცეზე

## სასახლეები

გორდი, დადიანების სასახლე, არქიტექტორი სემიონოვი, XIX ს.
სოფ. ქუტირი, თავად წულუკიძის ნასახლარი
სოფ. ივანდიდი, წულუკიძეების ნასახლარი

## ბაღები და პარკები

ხონი — ბაღი, XIX ს.
გორდი — დადიანების ტყე-პარკი, XIX ს.

## მატერიალური კულტურის ძეგლები

ხონი — წმინდა გიორგის ეკლესიის კომპლექსი
გალავნით და სამრეკლოთი — VIII-XI სს.
გუბი — ნამაშევის ციხე — შუასაუკუნეები
გვაშტიბი — ეკლესია, XVII ს.
გვაშტიბი — ციხე, XVII ს.
გელავერი — ეკლესია
გორდი — მთავარანგელოზის ეკლესია, XIX ს.

გორდი — დადიანთა კარის ეკლესია ტყე-პარკში, XIX ს.
გორდი — ველის ციხე, XVIII ს.
გორდი — მეჭიის ციხე, XVIII ს.
ქვედა გორდი — ციხე „სალაური“, შუასაუკუნეები
ქვედა გორდი — ციხე „მეფის ნაბარგი“, შუასაუკუნეები
ქვედა გორდი — ეკლესია, XIX ს.
დიდღვაბუნას ციხე (რეხის ციხე), შუასაუკუნეები
მათხოჯი — ადრეული შუასაუკუნეები
მათხოჯი — წმინდა ვასილის ეკლესია, XIII-XIX სს.
მათხოჯი — წმინდა ნინოს დედათა მონასტერი, XIX ს.
ნოღა — ეკლესია „მაცხოვარი“, განვითარებული შუასაუკუნეები, გადაკეთებული XIX ს.
ნოღა — ციხე, შუასაუკუნეები
კინჩხა — კიბულას ნაციხარი, შუასაუკუნეები
უძლოურის ეკლესია „დედაღვთისა“, XIV ს.
სუხჩი — ღვთისმშობლის ეკლესია, XVII ს.
ქუტირი — წმინდა გიორგის ეკლესია, 1872-1884 წწ.
პატარა ჯიხაიში — წმინდა გიორგის ეკლესია, XIX ს.
პატარა ჯიხაიში — მაცხოვრის ეკლესია, XIX ს.
ძეძილეთი — ეკლესია, XIX ს.
ღვედი — ციხე-კოშკი, XVIII ს.

## რა წავიკითხოთ ხონის შესახებ

### გამოუქვეყნებელი


1. აძ. ბუაძე, სკოლები ხონში 1917 წლამდე, საქართველოს სახალხო განათლების მუზეუმი
2. ალ. ჩხენკელი, ივანე სიმონის ძე შარაშიძე, იქვე
3. ხონის თეატრალური ცხოვრება. ბიბლიოგრაფია. საქართველოს სათეატრო მუზეუმი
4. ნ. გვარაძე, ხონის თეატრის ისტორია, იქვე
5. ილ. რუხაძე, ხონის თეატრის ათი წლის არსებობის გამო, იქვე
6. ალ. ყალაბეგიშვილი, დავთარი სხვადასხვა შესრულებული როლებისა, იქვე
7. მ. ჭივჭივაძე, ჩემი მოგონებანი, ხონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
8. ილ. ბახტაძე, მოგონებანი ხონის შესახებ, იქვე

## გამოყენებული


1. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, თბ., 1962

2. ჟ. შ. გამბა, მოგზაურობა კავკასიაში, ტ. I, თბ., 1987

3. Пл. Иоселиани, Города существовашие и существующие в Грузии, Тф., 1850

4. ს. კაკაბაძე, ხონის საყდრის დავთარი 1600 წლის ახლო დროისა, ტფ., 1913

5. ექვთ. თაყაიშვილი, ხონის ეკლესია და მისი სიძველენი, ძველი საქართველო, ტ. III, ტფ., 1913-1914

6. Д. Гордеев, Материалы к обследованию Хонских древностей, საისტორიო მოამბე, წიგნი I, ტფ., 1924

7. Д. Гордеев, Предварительное описание росписи Хонской Георгиевской базилики, იქვე, წიგნი II, ტფ., 1924

8. შ. ამირანაშვილი, ხონის ეკლესიის წმინდა გიორგის ხატი, იქვე

9. ვ. სილოგავა, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკ. I (IX-XIII სს.), ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, II, თბ., 1980

10. მეექვსე ანგარიში ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობისა 1900 წლისათვის, შედარებით წინა წლების ანგარიშებთან, ქუთ., 1902

11. ნ. წერეთელი, მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა ქუთაისის გუბერნიაში და მისი საქმეები, ტფ., 1897

12. И. Шарашидзе, Ответ на статью" Сухопутные Корсарты" Н. Николадзе, Кут., 1895

13. Д. Сослани, Памяти друга и товарища по перу Ил. Хонели (Бахтадзе), Тиф., 1901

14. დ. ნაცვალაძე, ილია ხონელი, ბათ., 1960

15. პ. კიკალიშვილი, რევოლუციონური მოძრაობა ხონის რაიონში 1901-1906 წწ., მოგონებანი, რევოლუციის მატიანე, 1929 წ., № 1, 2

16. ვ. ძიძიგური, მასწავლებლის მოგონებანი, 1957

17. ვუკ. ბერიძე, სვიმონ კუტი-ფირცხალავა (ქვემო იმერეთში წერა-კითხვის გავრცელების ისტორიისათვის), კრ-ში: სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, ტფ., 1937

18. ნ. გვარაძე, თეატრალური მემუარები, თბ., 1949

19. დ. მებუკე, ვალერიან შალიკაშვილი, თბ., 1956

20. ვ. შავდია, დაბა ხონი, აკაკის კრებული, 1898, № 7, განყ. III

21. მ. შავდია, ხონი, ეკონომიური მდგომარეობა, სწავლა-განათლება, გაზ. „კვალი“, 1898, 10, 25, № 44

22. მ. შავდია, საზოგადოებრივი ცხოვრება ხონში (სახალხო ბიბლიოთეკა, ქუთაისი და ხონი), „კვალი“, 1901, 3, 25, № 13

23. მ. შავდია, ხონი (ხიდის აგება, საკვირაო სკოლა, ბიბლიოთეკა, თეატრი), „კვალი“, 1901, 6, 15, № 29

24. დაბა ხონი (კულტურულ-ეკონომიკური ცხოვრება. აბრეშუმის ამოსახვევი ფაბრიკა...), „კვალი“, 1899, 5, 2, № 18

25. ა. ქუთათელაძე, „დაბა ხონი (უცხოელების მიერ აბრეშუმის ქარხნის გამართვა და მისი მოგება)“

26. ნ. ი. წერეთელი, ისტორია ხონის სარწყავი არხებისა (ნიკო ნიკოლაძის როლი ამ საქმეში), „კვალი“, 1894, № 9

27. ი. კუხელი, აბრეშუმის მოსავალი და ჩარჩები ხონში, „კვალი“, 1894, 7, 6, № 38

28. ი. მესხი, ხონი, კორესპონდენცია, „დროება“, 1870, 11, 5, № 44; 11, 22, № 46

29. Н. Николадзе, Хонский водный округ," Новое обозрение", 1894, 2, 2, N 3474

30. Товарищество шелководов Кутайсской губернии, Кавказское сельское хозяйство, 1898, N 198

31. В. Переволенко, М. Хони, газ. `Кавказ", 1854, # 37

32. Ил. Хонели, Хонская Георгоба, `Кавказ", 1894, 1, 5,

33. ა. ფაილოძე, წულუკიძის რაიონის ისტორიიდან, თბ., 1984

34. ა. ფაილოძე, პოლიკარპე კაკაბაძის სახლ-მუზეუმი, თბ., 1987

35. ა. ფაილოძე, ივანე შარაშიძე, თბ., 1990

36. ა. ფაილოძე, მატიანე ხონისა, თბ., 1997

37. გ. ბახტაძე, პ. ვაჭრიძე, ხონის თეატრალური წარსულიდან, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1968, № 9

38. პეტრე ვაჭრიძე, ქალაქ წულუკიძის ისტორიიდან, თბ., 1977

39. ნანა ალექსიძე, ხონის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა, ჟურნ. „მაცნე“ — ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, 1989, № 2

## ხონთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოლოგია

XI ს. – აიგო წმინდა გიორგის ეკლესია (დ. ბაქრაძე, ექვთ. თაყაიშვილი, მარი ბროსე...), განსხვავებული მოსაზრებით VIII ს. (ა. ფაილოძე), IX საუკუნეში (ს. კაკაბაძე, ა. ქუთათელაძე...).

XII ს. – თამარის მეფობის დროს გადააკეთეს წმ. გიორგის ეკლესია.

XIV ს. – ვამიყ დადიანის დროს გადააკეთეს წმ. გიორგის ეკლესია.

XV ს. მიწურული – XVII ს. 70-იანი წლები – ხონის მნიშვნელოვანი ნაწილი ლოლობერიძეთა სათავადოში შედიოდა.

1529 წ. – იმერეთის მეფემ ბაგრატ ალექსანდრეს ძემ დააარსა ხონის საეპისკოპოსო.

1546 წ. – იმერეთის მეფემ ბაგრატ ალექსანდრეს ძემ ხონის ჭალაზე მოიწვია სამეგრელოს მთავარი ლევან I დადიანი და შეიპყრო იგი.

1626 წ. – ნოემბერი გადმოცემით ხონში ჩამოვიდა ბაზალეთის ბრძოლაში დამარცხების შემდეგ თურქეთში მიმავალი გიორგი სააკაძე.

XVII ს. 70-იანი წლები ხონის ნაწილი წულუკიძეთა სათავადოში შევიდა.

XVII ს. – ხონის საეპისკოპოსო კათედრა მოიშალა.

1761 წ. – იმერეთის მეფემ სოლომონ I ხონის საეპისკოპოსო აღადგინა.

1770-1771 წლები – რუსეთ-თურქეთის ომის დროს ხონში განლაგებული იყო რუსეთის ჯარის ნაწილები.

1772 წლის აგვისტო – ჩამოვიდა გერმანელი მეცნიერი და მოგზაური გიულდენშტედტი, რომელმაც ხონის ბაზრობის დეტალური აღწერა დაგვიტოვა.

1804 წ. – ხონში დაბანაკდა რუსეთის ჯარების ბატალიონი, რომელსაც გენერალ-მაიორი რიკჰოფი მეთაურობდა.

1819-1820 წწ. – დასავლეთ საქართველოში სახალხო აჯანყების ერთ-ერთ კერას ხონი წარმოადგენდა.

XIX ს. 20-იანი წლები – წმ. გიორგის ეკლესიასთან არსებულ სკოლას სათავეში ჩაუდგა სვიმონ კუტი (ფირცხალავა).

1822 წ. – ივნის-ივლისი ხონში იმყოფებოდა ფრანგი კონსული ჟაკ ფრანსუა გამბა, რომელმაც დაბის შესახებ საინ-

ტერესო ცნობები დაგვიტოვა.

1823 წ. — გარდაიცვალა ხონელი მთავარეპისკოპოსი ანტონი (ჩიჯავაძე)

1847 წ. — ხონში იმყოფებოდა რუსი მოგზაური ა. მურავიოვი, რომელიც დაესწრო წმინდა გიორგის დღესასწაულს და დაწვრილებით აღწერა იგი.

1849 წ. — ხონის მახლობლად სოფ. ქუტირში მოხდა გლეხთა გამოსვლა.

1855 წ. — ყირიმის ომის დროს აქ განლაგებული იყო რუსეთის ჯარის ნაწილები.

XIX ს. 60-იანი წლები — ბლაღოჩინ ლუკა მათეს ძე ბახტაძეს საკუთარ სახლში გახსნილი ჰქონდა კერძო სკოლა.

1865 წ. 24 იანვარი გაიმართა პირველი თეატრალური წარმოდგენა. დაიდგა გ. ერისთავის ცნობილი კომედია „გაყრა“.

1870 წ. — გარდაიცვალა სვიმონ კუტი (ფირცხალავა) (დაიბ. 1780 წ.).

ივანე შარაშიძის ინიციატივით გაიხსნა პირველი ორკლასიანი სასწავლებელი, რომელიც კავკასიის სკოლებისათვის არსებულ სასწავლო გეგმებს და პროგრამებს ემორჩილებოდა.

1872 წ. — 8 ნოემბერი ივანე შარაშიძის ინიციატივით დაარსდა ქალთა უფასო სასწავლებელი.

ხონში ჩამოვიდა ევროპელი კომერსანტი, რომელმაც აბრეშუმის ძაფის ამოსაღები მოწყობილობა გამართა.

1873 წ. — 20 ივლისი ხონის მოსახლეობის ყრილობამ თხოვნით მიმართა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს, აღეძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე ხონში საქალაქო მმართველობის შემოღების შესახებ.

1876 წ. — 23 მარტი ხონის მოსახლეობამ ამ საკითხზე ხელმეორედ მიმართა მთავრობას.

1873 წ. — ხონში ერთი თვის განმავლობაში მუშაობდა ქუთაისის გუბერნიის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, რომელსაც სასოფლო სკოლების ინსპექტორი ტროე ხელმძღვანელობდა.

1881 წ. — 6 მარტი დაარსდა საოსტატო-სამასწავლებლო სემინარია.

1884 წ. — 16 სექტემბერი გაიმართა ფილიმონ ქორიძის კონცერტი.

ნოემბერი — გაიფიცნენ საოსტატო სემინარიის მოსწავ-

ლეები. მათ პროტესტი გამოუცხადეს სემინარიის შავრაზმელი დირექტორის პოლიტიკურ რეჟიმს.

XIX ს. – 80-იანი წლების პირველი ნახევარი გაიხსნა წიგნებისა და საკანცელარიო ნივთების მაღაზია.

1889-1890 წწ. ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით ხონში სტამბა დაარსდა.

1890 წ. 20 ივლისი – გაიმართა დიდი საღამო-კონცერტი ახალგაზრდა ხონელი მომღერლის პლატონ კაკაბაძის მონაწილეობით.

1891 წ. 17 ნოემბერი მოეწყო ცხენისწყლიდან სარწყავი არხის გავლით წყლის სასინჯი გაშვება.

1892 წ. 25 მაისი – საზეიმოდ გაიხსნა ხონი-ჯიხაიშის სარწყავი არხი.

1893 წ. მარტი – გაიფიცნენ საოსტატო სემინარიის მოსწავლეები. მას გამოეხმაურა ილია ჭავჭავაძის „ივერია".

1894 წ. – ცნობილმა პუბლიცისტმა ილია ბახტაძემ (ხონელი) და მისმა დამ – ელენე ბახტაძემ, გახსნეს ქალ-ვაჟთა დაწყებითი სკოლა. იგი შემდეგ კერძო პროგიმნაზიად გადაკეთდა.

1895 წ. 4 იანვარი – ჩატარდა ალექსანდრე გრიბოედოვის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

1895 წ. 3 თებერვალი ხონელ ნოტარიუსთან გაფორმდა ხელშეკრულება ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობის დაარსების შესახებ (მთავრობამ „ამხანაგობის" წესდება 1900 წ. დაამტკიცა).

1896 წ. – გაიხსნა ერთკლასიანი სკოლა – ივანდიდის დაწყებითი ერთკლასიანი სასწავლებლის სახელით (1908 წ. იგი ორკლასიან ვაჟთა სასწავლებლად გადაკეთდა).

1897 წ. – 2 ივლისი გაიხსნა სახელოსნო სასწავლებელი.

XIX ს. 90-იანი წლები – გ. პ. სანოძემ ააგო მოზრდილი ძაფსაღები ფაბრიკა.

1899 წ. 15 იანვარი – ქალთა დაწყებითი ორკლასიანი სასწავლებელი გადაკეთდა მარინეს ქალთა სასწავლებლად, რომლის საპატიო მზრუნველად დაინიშნა ივანე შარაშიძე.

– ხონის ორკლასიანი სასწავლებელი გადაკეთდა სამკლასიან სასწავლებლად.

– მოქმედება დაიწყო ურთიერთნდობის კრედიტის საზოგადოებამ.

900-იანი წლები გაიხსნა საკვირაო სკოლა.

1901 წ. – დასაწყისი შეიქმნა სცენისმოყვარეთა დასი,

რომელმაც გადაწყვიტა საზაფხულო თეატრალური სეზონები ჩაეტარებინა.

— 20 მაისი. გაიხსნა ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

— ივნისი. ჩამოვიდა ლადო მესხიშვილისა და გალერიან გუნიას დასი და რამდენიმე წარმოდგენა გამართა.

— ივლისი. ჩამოვიდა აკაკი წერეთელი ილია ხონელის გარდაცვალებიდან ერთი წლისთავის პანაშვიდში მონაწილეობის მისაღებად და წარმოთქვა სიტყვა.

— 25 ივლისი. აკაკი წერეთელი დაესწრო ხონელ სცენისმოყვარეთა სპექტაკლს „პეპო", რომელსაც ვრცელი რეცენზია უძღვნა.

— ოქტომბერი. გაიფიცნენ საოსტატო სემინარიის მოსწავლეები.

— კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ ხონში მოაწყო საჩვენებელ-საცდელი ნაკვეთი.

— ჩამოყალიბდა სოციალ-დემოკრატიული წრე.

1903 წ. — ხონის სამკლასიანი სასწავლებელი გადაკეთდა ექვსკლასიან საქალაქო სასწავლებლად.

— 29 ოქტომბერი. „სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეებმა გამოაცხადეს გაფიცვა, რომელიც ერთ კვირას გაგრძელდა.

1904 წ. — სახელოსნო სასწავლებელში ჩამოყალიბდა მოსწავლეთა არალეგალური წრე.

— აპრილი. ხონს ესტუმრა ქუთაისის ახალგაზრდა მსახიობთა ამხანაგობა იუზა ზარდალიშვილის, გაიანე ურბნელისა და სხვათა შემადგენლობით.

1905 წ. — საოსტატო სემინარიის დირექტორად დაინიშნა ცნობილი პედაგოგი ალექსი ჭიჭინაძე.

— თებერვალი. შეიქმნა ხონის რევოლუციური კომიტეტი, რომელმაც თავის თავზე აიღო ადმინისტრაციული და სასამართლო ხელისუფლება.

— 9 მარტი. მოეწყო მოსწავლეთა დიდი დემონსტრაცია, რომელსაც საქალაქო სკოლის მოსწავლეები ხელმძღვანელობდნენ.

— აპრილი. ალ. წულუკიძის მამის სახლში ჩატარდა დასავლეთ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კონფერენცია.

— 22 აპრილი (1 მაისი). ჩატარდა საყოველთაო გაფიცვა.

— ზაფხული. ჩამოვიდა ლადო მესხიშვილი თავისი დასით

და სპექტაკლები გამართა.

— 12 ივნისი. ალ. წულუკიძის დაკრძალვასთან დაკავშირებით ჩატარდა გრანდიოზული პოლიტიკური დემონსტრაცია და მიტინგი.

— 13 ივნისი. ჩატარდა კრება, რომელშიაც მონაწილეობდნენ ალ. წულუკიძის დაკრძალვაზე ჩამოსული ამიერკავკასიის თითქმის ყველა მსხვილი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წარმომადგენლები.

— 29 აგვისტო. ჩატარდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული დიდი მიტინგი.

— 1-2 სექტემბერი. 29 აგვისტოს თბილისის ქალაქის თვითმმართველობის შენობაში უიარაღო მუშების დახვრეტის პროტესტის ნიშნად ჩატარდა საყოველთაო გაფიცვა და პოლიტიკური დემონსტრაცია.

— 29 ოქტომბერი. ჩატარდა კრება, რომელზედაც სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა ილაპარაკეს 17 ოქტომბრის მანიფესტის შესახებ.

— დეკემბერი. ხონში ძალაუფლება ფაქტობრივად ხალხმა აიღო თავის ხელში.

1908 წ. — გაიხსნა პროგიმნაზია, რომელიც მალე გიმნაზიად გადაკეთდა. მას პირველი გამოშვება 1917 წ. ჰქონდა.

1909 წ. — შედგა დრამატული კომიტეტი.

— 22 აპრილი. შეიქმნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხონის განყოფილება.

— 24 მაისი. დიდი ზეიმით აღინიშნა აკაკი წერეთლის იუბილე.

1909 წ. — აპრილი — ხონელ სცენისმოყვარეთა დასის წარმოდგენებში მონაწილეობდა გამოჩენილი ქართველი მსახიობი ნუცა ჩხეიძე.

1910 წ. — ნოემბერი სახერხი ქარხნების მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს.

1911 წ. — ხონსა და ქუთაისს შორის დამყარდა საავტომობილო მიმოსვლა.

— სექტემბერი. მეუღლესთან ერთად ხონში საცხოვრებლად ჩამოვიდა დიდი უკრაინელი პოეტი და მოაზროვნე ლესია უკრაინკა. იგი აქ 1912 წ. 21 იანვრამდე დარჩა.

1912 წ. — 11 ნოემბერი აკაკი წერეთელი დაესწრო ცნობილი საზოგადო მოღვაწის ივანე შარაშიძის დაკრძალვას და სიტყვა წარმოთქვა.

— დაარსდა ივანე შარაშიძის ფონდი.

1913 წლის ზაფხული — ორჯერ გაიფიცნენ ხონის მახლობლად ხე-ტყის დამუშავებაზე დასაქმებული მუშები.

— სოციალ-დემოკრატთა ერთმა ჯგუფმა კ. ქაცარავას ხელმძღვანელობით მოაწყო პატარა არალეგალური სტამბა.

— აღინიშნა ლადო მესხიშვილის სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილე.

1915 წ. — მოქმედება დაიწყო კოოპერაციულმა გაერთიანება „იმედმა".

— დეკემბერი. შეიქმნა ადგილობრივი ციმერვალდელების ჯგუფი, რომელიც არალეგალურად იკრიბებოდა ომისადმი დამოკიდებულების საკითხის გასარკვევად.

1916 წ. — თებერვალი გაიმართა ვანო სარაჯიშვილის კონცერტი.

— ივლისი. გაიფიცნენ ხონის ძაფსადები ფაბრიკის მუშები.

— მარინეს ქალთა სასწავლებელი ქალთა გიმნაზიად გადაკეთდა.

— შედგა დრამატული საზოგადოება.

— „ქალთა საზოგადოებამ" გახსნა ჭრა-კერვის სკოლა. ხონში ამ ტიპის კიდევ ორი სკოლა არსებობდა.

1917 წ. — 6 მარტი ცარიზმის დამხობით აღფრთოვანებულმა ხონელმა მოსწავლეებმა მანიფესტაცია მოაწყვეს.

— 7 მარტი. ჩატარდა ცარიზმის დამხობისადმი მიძღვნილი დიდი მიტინგი.

— შეიქმნა მუშათა საბჭო.

— 1 მაისი. ჩატარდა მიტინგი და დემონსტრაცია.

— 6 ივლისი. ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა (ოზაკომმა) მიიღო დადგენილება ხონის ქალაქად გამოცხადების შესახებ.

— ოქტომბერი. ვ. ბახტაძის ხელმძღვანელობით შეიქმნა ახალგაზრდათა ორგანიზაციის „სპარტაკის" ხონის კომიტეტი.

— 21 ნოემბერი. დამფუძნებელი კრების არჩევნებთან დაკავშირებით ჩატარდა მიტინგი.

1918 წ. — 11-19 მაისი ხონსა და მის რაიონში იმყოფებოდა ქუთაისიდან ჩამოსული ე. წ. „მფრინავი რაზმი", რომლის მიზანი იყო ხელი შეეშალათ ბოლშევიკებისათვის დაემხოთ ადგილობრივი ხელისუფლება.

— აგვისტო. ბოლშევიკებმა გორდში „საბჭოთა მთავრობა" შექმნეს, რომელმაც რამდენიმე დღე იარსება.

— შალვა ხონელმა, კირილე მიქაძემ და დავით მებუკემ

შეადგინეს ამხანაგობა, რომელმაც ითავა ხონში წარმოდგენების გამართვის საქმე.

1919 წ. — ივნისი ხონში დაიწყო ქალაქის მმართველობის საწინააღმდეგო მოძრაობა.

— 19 აგვისტო. ჩატარდა ქალაქის მმართველობის საწინააღმდეგო დიდი მიტინგი.

— 24 აგვისტო. ჩატარდა ხალხმრავალი მიტინგი, რომელმაც მოითხოვა ხონისათვის ქალაქის სტატუსის გაუქმება.

— ზაფხული. ჩატარდა თბილისის დასის მსახიობთა გასტროლები.

— ოქტომბერი. მარცხით დამთავრდა ხონელ ბოლშევიკთა ცდა ხელში აეღოთ ძალაუფლება.

1921 წ. — 12 მარტი გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება. მთელი ძალაუფლება ხელში აიღო რევკომმა.

— ზაფხული. დავით მებუკისა და ვანო მებუკის ხელმძღვანელობით ხონელმა სცენისმოყვარეებმა მუშაობა განაახლეს.

— 29 ივლისი. შეიკრიბა საქართველოს კომპარტიის ხონის ორგანიზაციის პირველი ლეგალური კონფერენცია.

— გაიხსნა პირველი საბავშვო ბაღი.

1922 წ. — ჩამოყალიბდა მუშათა და გლეხთა ერთიანი რაიონული კოოპერატივი.

— თებერვალი. ჩატარდა საბჭოების არჩევნები.

1923 წ. — ივლისი-დეკემბერი საბჭოთა ხელისუფლებამ აიძულა სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური), ფედერალისტების, ეროვნულ-დემოკრატებისა და „ახალგაზრდა მარქსისტების" პარტიათა ადგილობრივი ორგანიზაციები „თვითლიკვიდაცია" გამოეცხადებინათ.

— გაუქმებულად გამოცხადდა წმ. გიორგის ეკლესია. ანტირელიგიური კამპანიის მონაწილეებმა დაამტვრიეს წმ. გიორგის უნიკალური ხატი, ქართული ჭედური ხელოვნების შესანიშნავი ძეგლი.

— დეკემბერი. ქალაქის ბაღში დაიდგა ალექსანდრე წულუკიძის ბიუსტი. ავტორი იაკობ ნიკოლაძე.

1924 წ. — 27 იანვარი ლენინის დაკრძალვის დღეს ოფიციალურმა ხელისუფლებამ ქალაქის ბაღში ჩაატარა მიტინგი.

— 6 მარტი. ჩატარდა უპარტიო ქალთა რაიონული კონფერენცია.

— გაუქმდა ხონის რაიაღმასკომი.

1925 წ. — 8 მარტი ხონში სტუმრად იყვნენ საბჭოთა

კავშირის ცაკის თავმჯდომარე მ. ი. კალინინი, ფ. მახარაძე, გ. სტურუა, ს. თოდრია, გ. ძიძიგური.

— შ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით შედგა პროფესიული სათეატრო დასი.

— გაიხსნა გორდის სასოფლო-სამეურნეო სკოლა.

1927 წ. — 17 ივლისი საზეიმო ვითარებაში საფუძველი ჩაეყარა ძაფსაღებ ფაბრიკას.

— სოფელ ახალშენში ჩამოყალიბდა მიწის საზოგადოებრივად დამამუშავებელი გაერთიანება, ე. ი. პირველი კოლექტიური მეურნეობა.

1928 წ. — შეიქმნა ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი, რომელსაც მხოლოდ ორი გამოშვება ჰქონდა.

— ძაფსაღებმა ფაბრიკამ პირველი პროდუქცია გამოუშვა.

1929 წ. — თებერვალი დაიწყო სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია.

— დაარსდა სახელმწიფო თეატრი

1930 წ. — აღდგენილ იქნა ხონის რაიაღმასკომი, რომელიც უშუალოდ დაექვემდებარა რესპუბლიკურ ხელისუფლებას.

— გორდის სასოფლო-სამეურნეო სკოლა გადაკეთდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმად ზოოვეტერინალური განხრით, ხოლო ინდუსტრიული ტექნიკუმი — სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკუმად.

1931 წ. — შეიქმნა ჩაის საბჭოთა მეურნეობა.

შეიქმნა გერანისა და რამის საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც მალე გაუქმდა.

1932 წ. — იანვარი გამოსვლა დაიწყო კომპარტიის რაიონული კომიტეტისა და რაიაღმასკომის ექვსდღიურმა ორგანომ, გაზეთმა „დამკვრელმა“.

— გაიხსნა პირველი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა.

— პროდუქციის გამოშვება დაიწყო აგურ-კრამიტის ქარხანამ.

1933 წ. — მათხოჯში აიგო კირის ქარხანა.

— 27 მაისი. საქართველოს სსრ ცაკმა მიიღო დადგენილება ქ. ხონში საქალაქო საბჭოს შექმნის შესახებ.

1934 წ. — აიგო ჩაის ფაბრიკა.

— პედაგოგიურ ტექნიკუმთან, როგორც სექტორი, ჩამოყალიბდა მუსიკალური სკოლა.

— პროდუქციის გამოშვება დაიწყო ლიმონათის დამამზადებელმა ქარხანამ.

1935 წ. — ექსპლოატაციაში გადაეცა გრეხილ-აფეჯის ქარხანა.

— ამუშავდა რამის ქარხანა, რომელიც მალე გაუქმდა.

— 29 დეკემბერი. გაიხსნა მუშა და კოლმეურნე სტახანოველთა პირველი სარაიონო შეკრება.

1936 წ. — 26 იანვარი ჩატარდა სტახანოველ მეაბრეშუმე ქალთა პირველი სარაიონო შეკრება.

— 26 აპრილი. გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის ცაკის დადგენილება ქ. ხონისათვის წულუკიძის სახელის მინიჭების შესახებ.

— მუსიკალური სკოლა გადაკეთდა მუსიკალურ ტექნიკუმად (არსებობდა 1941 წ.).

1941 წ. — 14 ოქტომბერი ჩატარდა ახალგაზრდობის ანტიფაშისტური მიტინგი.

1942 წ. — აგვისტო ხონი ფრონტისპირა ქალაქად იქცა.

1947 წ. — გაუქმდა სახელმწიფო თეატრი.

1960 წ. — შეიქმნა მეაბრეშუმეობის საჯიშე-სასელექციო სადგური.

1962 წ. — შეიქმნა ქიმიური მრეწველობის საკავშირო მნიშვნელობის ობიექტი — პოლიმერული ტარის ქარხანა.

1965 წ. — შეიქმნა „სოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანება.

1966 წ. — 24 დეკემბერი ხონის რაიონმა შეხვედრა მოუწყო თავის სახელმოხვეჭილ შვილებს.

1967 წ. — ხონის თეატრს სახალხო თეატრის სტატუსი მიენიჭა.

1974 წ. — შეიქმნა ჩაის ფაბრიკების სარაიონთაშორისო გაერთიანება.

1975 წ. — აიგო ხონის გადახურული ბაზარი.

1983 წ. 9 მაისს გაიხსნა შინმოუსვლელთა მემორიალი, რომლის ავტორია რაიონის მკვიდრი ლერი ბალავაძე.

1984 წ. — შეიქმნა ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანება.

1985 წ. — ჩამოყალიბდა ვაჟთა ვოკალური ანსამბლი. ჩატარდა ბავშვთა შემოქმედების რაიონული ფესტივალი.

5 ნოემბერს ხონის მკვიდრის და მეცენატის ვ. ღაჭავას ინიციატივით გაიხსნა „შრომისა და ომის საბრძოლო დიდების მუზეუმი“, რომელსაც ამჟამად ეწოდება სსრ კავშირის გმირის, გენერალ-ლეიტენანტ ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ჯანჯღავას სახელობის „შეიარაღებული ძალების საბრძოლო დიდების მუზეუმი“.

1988 წ. – იანვარი სახბანკის ხონის განყოფილება გადაკეთდა აგროსამრეწველო განყოფილებად.

1989 წ. – 6 ივლისი – გამოქვეყნდა საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ქ. წულუკიძისათვის ისტორიული სახელის – ხონის დაბრუნების შესახებ.

1991 წ. – მარტი შეიქმნა ხონის რაიონის პრეფექტურა.

1992 წ. – თებერვალი შეიქმნა ხონის რაიონის სამხედრო საბჭო.

1994 წ. – ხონში დაიბეჭდა პირველი წიგნი, ხონელ ავტორთა კრებული „სამზეურა“.

1990 წ. – 6 ოქტომბერი გამოვიდა საქართველოს ახალგაზრდული კავშირის ხონის ორგანიზაციის გაზეთი „თაობა“.

1996 წ. – 16 მაისს გამოვიდა ხონის ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანების ლიტერატურული გაზეთი „ათინათი“.

1 აგვისტო გამოვიდა ხონის რაიონული გამგეობის გაზეთი „ხონის მაცნე“. მისი გამოსვლა შეწყდა 1997 წლის ოქტომბერში.

ჩატარდა ბავშვთა საესტრადო სიმღერის ფესტივალი „საპოვნელა 96“.

აღდგენილ იქნა ხონის ეპარქია.

1997 წ. – 16 სექტემბერს გამოვიდა ქ. ხონის მერიის ყოველთვიური საქალაქო გაზეთის „რეიტინგის“ პირველი ნომერი.

1998 წ. – 1 იანვრიდან გამოსვლა დაიწყო ი. ბ. სტალინის იდეურ მემკვიდრეთა საზოგადოების ხონის რაიონულმა გაზეთმა „სტალინური გზით“.

Петре Вачридзе

# Из истории города Хони


## Резюме

Город Хони (в 1936-1989 гг. г. Цулукидзе) расположен в нижней Имерети (Западная Грузия) между реками Губисцкали и Цхенисцкали, в 25 км северо-запада от Кутаиси. В 50-х гг. XIX вв. было высказано соображение (Пл. Иоселиани) о тождестве Хони и античного города-крепости Оногуриса. Проф. Ш. Месхия, в своей известной работе о городах и городской жизни феодальной Грузии, относит Хони к числу небольших городов Западной Грузии, возникших вокруг церковных центров. Согласно распространенному в специальной литературе мнению, церковь святого Георгия в Хони относится к XI в. и, следовательно, Хони имеет, по крайней мере, девятивековую историю.

В 1529 году Хони стал центром епископства, что способствовало территориальному росту и хозяйственно-экономическому подъему местечка. Во второй половине XVIII в. Хони представлял собой значительный торговый пункт, имевший оживленные торговые и экономические связи с различными районами Закавказья, Северного Кавказа и Южной России (сведения Гюльденштедта).

После завоевания Имеретинского царства русскими войсками и установления русского правления, Хони стал центром Вакинского уезда, а с 1846 года  один из полицейских округов Кутайсского уезда.

Согласно сообщению путешественника Гамба, в 20-30-ые годы XIX в. Хони был густонаселенным пунктом. В 50-х годах XIX в. здесь была открыта табачная ярмарка, начавшаяся 25 октября и длившаяся несколько дней. Кроме табака, на этой ярмарке продавались и другие продукты сельского хозяйства, а также различные кустарные изделия.

После крестьянской реформы, несмотря на ряд

неблагоприятных условий (магистраль Закавказской железной дороги прошла в 18 км от местечка, с ним сильно конкурировали новые города, в первую очередь Самтредиа), Хони быстро выдвинулась в число городов.

Быстрое экономическое развитие Хони объясняется в первую очередь тем главенствующим положением, которое он занимал в районе со значительным сельскохозяйственным и кустарным производством. К этому следует добавить и его удачное географическое местонахождение, он лежал на путях из Имерети в Мегрелию и Рача-Лечхуми. Проведение Закавказской железной дороги не уменьшило значение этих дорог.

После крестьянской реформы в Хони быстро росло торговое земледелие. В хозяйственной деятельности населения Хони и близлежащих сел большое значение имело выращивание кукурузы. В связи с превращением ее в экспортный товар, растет и производство.

Успешно развивались и сравнительно новые для Западной Грузии отрасли сельского хозяйства табаководство, хлопководство и т. д.

В 1892 г. по инициативе Н. Николадзе, Н. Церетели, И. Шарашидзе и других был проведен канал из р. Цхенисцкали Хони-Джихаиши, орошавший 12 000 десетин земли.

Население Хонского района и Нижней Имерети в широких масштабах занималось птицеводством и шелководством. Один из важных пунктов торговли коконами был Хони, приобретший в этом отношении мировую известность. Для закупки коконов в Хони приезжали представители русских, французских и итальянских фабрикантов. Коконы вывозились из Хони за границу (главным образом в Милан и Марсель). В 1895 г. в Хони было учреждено" Первое товарищество шелководов Кутайсской губернии". Примерно к этому времени местный житель М. Санодзе построил довольно крупную шелкомотальную фабрику.

В 90-х годах XIX в. в Хони было несколько десятков кустарных мастерских, лесопильных заводов и т. д.

Рынок Хони, устраиваемые еще с феодальной эпохи по пятницам, был известен не только в Грузии, но и по всему Закавказью.

Включение Грузии в мировое товарное обращение

сопровождалось ростом числа торговых предприятий в Хони. Они снабжались товарами из крупных промышленных центров России, Европы и Америки.

В 70-х годах XIX в. население Хони подняло вопрос о введении городского управления, но решение его затянулось. Хони был признан городом после февральской революции 1917 года.

Население Хонского района всегда деятельно учавствовало в социальном и общественно-политическом движении.

В годы первой русской революции население Хони и его района активно боролись за социальную и национальную свободу. В декабре 1905 года в Хони была упразднена государственная власть, она перешла в руки народа.

После поражения революции экономическое и политическое положение трудящихся резко ухудшилось. С 1910 года на предприятиях Хони ширится забастовочное движение.

В Хони с восторгом было принято сообщение о свержении царского самодержавия, началась борьба за восстановление независимой государственности. Акт 26 мая 1918 года нашел широкий отклик в Хони. Но независимость Грузии оказалась кратковременной. 25 февраля 1921 г. Красная Армия Советской России свергла Грузинское правительство и оккупировала страну. Установилась кровавая диктатура большевиков. 12 марта, при помощи частей Красной Армии, в Хони была провазглашена Советская власть.

В 1922-1991 гг. Хони и его район, как и вся Грузия, находились в составе Российской большевитской империи.

В годы Второй мировой войны 5737 посланцев из Хони принимали участие в боях против фашистов. Среди них 3181 пал на поле сражения. За смелость и отвагу более 2700 человек были награждены орденами и медалями Советского Союза, а Указом Президиума Верховного Совета СССР посланцам Хонского района - Н. Адамия, Г. Бахтадзе, А. Тереладзе и В. Джанджгава - было присвоено звание Героя Советского Союза.

Хони по своему культурному развитию был одним из передовых городов Западной Грузии. Во второй половине XIX в. здесь существовал ряд различных учебных заведений (в том числе учительская семинария, хорошо известная не

только в Грузии, но и за ее пределами), культурно-просветительских учреждений и обществ, отмечались юбилей выдающихся людей, устраивались литературно-музыкальные утренники и вечера.

Хони город с театральными традициями. Первое театральное представление состоялось здесь в 1865 г., а в 1907 году была создана небольшая провинциальная труппа с режиссором и собственным репертуаром. На сцене Хонского театра выступали: Еф. Клдиашвили, Л. Месхишвили, К. Месхи, В. Гуния, Ш. Дадиани, Н. Чхеидзе, Н. Гварадзе, В. Шаликашвили, Ю. Зардалишвили и др.

Тесную связь с Хони поддерживали: А. Церетели, Г. Церетели, Н. Николадзе, К. Лордкипанидзе и многие другие выдающиеся представители грузинской интеллигенции. С Хони связан последний период жизни великой украйнской поэтесы Леси Украинки (в 1911-1912 гг. она проживала в Хони четыре месяца, поддерживая близкие отношения с местной интеллигенцией).

Хони в настоящее время живет новой, независимой жизнью.

სახელთა საძიებელი

Petre Vachidze

From the History of Khoni

Town Khoni (in 1936-1989 it was named town Tsulukidze) is situated in Law Imereti (Western Georgia) between the rivers Gubistkali and Tskenistkali. It is in the south-west of Kutaisi on the distance of 25 kms. In the 50s of XIX-th century Platon Ioseliani considered Khoni to be the antique town-Onogursi. There are different opinionas about the location of this settlement. According to the opinion of professor Sh. Meskhia Khoni belongs to the number of small towns which appeared at the ecclesiastical centers. St Giorgi's Church of Khoni, which is the important monument of Georgian culture, belongs to the IX-X cc.

In 1529 it was founded the bishopic of khoni, which played an importent role in the promotion of the town

# Petre Vachidze
## From the History of Khoni

Town Khoni (in 1936-1989 it was named town Tsulukidze) is situated in Law Imereti (Western Georgia) between the rivers Gubistkali and Tskenistkali. It is in the south-west of Kutaisi on the distance of 25 kms. In the 50s of XIX-th century Platon Ioseliani considered Khoni to be the antique town-Onogurisi. There are different opinionas about the location of this settllement. According to the opinion of professor Sh. Meskhia Khoni belongs to the number of small towns which appeared at the ecclesiastical centers. St Giorgi's Church of Khoni, which is the important monument of Georgian culture, belongs to the IX-X cc."

In 1529 it was founded the bishopic of Khoni, which played an important role in the promotion of the town. In the second half of XVIII-th century Khoni is the important trade centre in the Western Georgia, which had the active links with the regions of Northern Caucasus an Southern Russia.

Economical Promotion of Khoni began in the second half of XIX-th century. In this period sericulture was especially developed here. From Khoni sill cocoon was sent to the centres of textile industry of Caucasus, Russia and Europe (France, Italy).

In 1895 "the first companionship of sericulture in Kutaisi Region" was established in Khoni.

The population of Khoni always took the active part in social and political movement of Georgia.

During the World War II 5737 fighter from Khoni struggled against the fascists. The vast majority of them could not

return to their home country, four of them were awarded the rank of hero of Soviet Union.

Khoni has a lot of cultural traditions. There existed several primary and secondary educational institutions (among them there was a training seminary), cultural instutions, theatrical cast in Khoni. Akaki Tsereteli, Niko Nikoladze, Giorgi Tsereteli and others were in close contact with Khoni.

Khoni gave a lot of outstanding promoters in the field of social-political movememnt, science, literature and art to Georgia.

# სახელთა საძიებელი

## ა

აბაშიძე, 129
აბაშიძე, აფხ. კათ. 3
აბაშიძე, ბ 126
აბაშიძე, დ 179
აბაშიძე, ვ 203, 209, 212, 229, 230
აბაშიძე, ბ 37
აბაშიძე, ი 230
აბაშიძე, ივ. 179
აბაშიძე, ვლ 235
აბაშიძე, კ. 167
აბაშიძე, მ. 236
აბაშიძე, ტ. 229
აბდუშელიშვილი, დ. 192, 193
აბრალეიშვილი, 128
აბზიანიძე, 129
აბზიანიძე, ვლ. 265
აბჟანდაძე, 230
ადამია, ი. 173
ადამია, ნ. 264
აგათია სქოლასტიკოსი, 11, 18, 19, 20
აგიაშვილი, 38
ანანოვები, 58, 124
აიეტი, 12
აკობიძე, ა. 6
აკი, მეფე, 21
ალტაუბენი, ჯ. 264
ალექსანდრე III, 39
ალექსანდრე V, 37, 46
ალიხანოვ-ავარსკი, 155, 162

---

*საძიებელში შეტანილი არაა მეხუთე თავის მესამე პარაგრაფი, მეექვსე და მეშვიდე თავები.

ალავიძე, ი. 225
ალექსანდრე მაკედონელი, 21
ამაღლობელი, ი. 181
ამირანაშვილი, შ. 14
ანდრიაძე, გ. 116
ანნა ივ. ას, 46
ანთელავა, ი. 61
აპოლონიოს როდოსელი, 12
არაბიძე, ვ. 224
არსენიძე, რ. 157
არჩილი, ქართ. ერ. 27
ასათიანი, მ. 145
ასკურავა, გ. 173
აუფერმანი, ე. 75
არძიანი, ნ. 108, 129
ახვლედიანი, 144
ახმეღოვი, 88
ახრახოვი, თ. 108

## ბ

ბაგრატიონი, დ. 179
ბაგრატიონი ვახ. 9, 13, 17, 18, 32, 33, 133
ბაგრატიონი თეიმ. 32
ბაგრატIII, 37
ბაკაკური, ი. 230
ბაკურაძე, 129
ბალავაძე, ლ. 266
ბალავაძე, მ. 36
ბალავაძე, 128
ბალანჩივაძე, 128
ბალანჩივაძე, ვ. 210
ბალანჩივაძე, ი. 196, 233
ბალანჩივაძე, მ. 207, 208, 212
ბალანჩივაძე, ნ. 156, 212
ბალმუჩი ანტ. 101
ბარაბაძე, ა. 169
ბარაბაძე, ი. 266
ბარაბაძე, 111

ბარათაშვილი, ნ. 229, 245
ბარამიძე, ნ. 264
ბარქაია, 129
ბარქაია, ივ. 100
ბასილ იღუმენი, 177
ბასილ სოფენელი, 122
ბაქრაძე, დ. 12, 13, 14, 27-30, 55
ბახტაძეები, 129
ბახტაძე, 129, 162, 193, 217
ბახტაძე, ა. 144, 183, 212, 231, 235, 259
ბახტაძე, ამბ. 222
ბახტაძე, ბ. 60
ბახტაძე, გ. 6, 7, 53, 75, 108, 148, 156, 228, 235, 248, 260, 264
ბახტაძე, დ. 266
ბახტაძე, ეკ. 212, 222, 235, 259
ბახტაძე, ე. 144
ბახტაძე, ელ. 184
ბახტაძე, ვ. 170, 183, 250
ბახტაძე, ვლ. 260
ბახტაძე, ვალ. 169
ბახტაძე, ი. 109, 110, 111, 115, 148, 165, 184, 188, 206, 210, 216, 221, 241, 245
ბახტაძე, იპ. 170
ბახტაძე, კ. 170
ბახტაძე, ლ. 134, 144, 181
ბახტაძე, ბ. 126, 176, 179, 181, 222, 231. 233, 235, 237, 238, 242
ბახტაძე, მამისთ. 35
ბახტაძე, მარ. 108
ბახტაძე, პ. 250, 251
ბახტაძე, ს. 97, 169, 183, 194, 244, 251
ბახტაძე, ფ. 212
ბახტაძე-ბალმუჩისა, ელ. 101
ბახტაძე-ფრანგიშვილისა, ნ. 212
ბეგოვი, ი. 88
ბებელი, 168
ბებუთოვი, 62
ბენაშვილი, 208
ბერაძე, 129
ბერიძე, 129
ბერიძე, გ. 235

ბერიძე, ვუკ. 148, 175, 177, 252
ბერიძე, ხ. 156
ბერძენიშვილი, ნ. 7, 15, 20, 21, 22, 23, 31
ბესარიონი, აფხ. კათ. 38
ბესიკი, 176
ბინზერმანი, 91
ბობილევი, 77
ბოკერია, ლ. 235
ბოკელავაძე, რ. 6
ბოჭორიძე, მ. 252
ბროსე, მ. 12, 14, 18, 27, 32, 118
ბუაძე, თკ. 181
ბუაძე, მ. 97
ბუაძე, პ. 150
ბურჭულაძე, გ. 192, 222, 235, 237
ბურჯანაძე, შ. 16

## გ

გაბაშვილი, ზ. 176
გაბაშვილი, ო. 176
გაბაშვილი, ტ. 46
გაბრიელი, ეპ. 73
გაბუნია, კ. 231
გაბუნია, 128
გაგარინი, ა. გუბ. 62
გაგოშიძე, პ. 11
გაგუა, სტ. 181
გალდავა, შ. 148, 183
გალდავაძე, დ. 149
გალდავაძე, ლ. 6, 212
გამრეკელი, ნ. 12
გამბა, ჟ. 10, 71, 133, 150
გარდავაძე, 150
გარდავაძე, სტ. 149
გარდავაძე, ვ. 148
გარდევაძე, 128
გეგეჭკორი, 129
გეგეჭკორი, პ. 212
გეგეჭკორი, ხ. 173

გეგელია, ნ. 230
გელოვანი, შ 135
გელოვანი, დ. 125, 135
გელენიძე, 129
გეგელაშვილი, 129
გენძეხაძე, 112, 128
გენძეხაძე, დ. 168
გვარაძე, ნ. 29, 201, 210, 216, 220, 221, 226, 225, 229
გვახარია, 129
გიორგი I აღწეფელი, 29
გიორგი I, 13, 14, 29
გიორგი II, იმერ. მეფე, 36
გიორგი III, 32
გიორგი V, 15
გიულდენშტედტი, ი. 10, 44, 45, 118
გიორხელიძე, თ. 6
გლუშაკოვი, დ. 171, 234
გოგავა, 129
გოგებაშვილი, ი. 191, 236
გოგეევა, 128
გოგოლაძე, დ. 59
გოგნიაშვილი, ო. 230
გოგიბერიძე, მ. 166
გოგოლაშვილი, მ. 175
გოგოლაშვილი, სვ. 205, 207
გოგოლაშვილი, შ. 212, 224, 226, 229
გომელაური, ა. 230
გოკიელი, პ. 111
გოლენკო, კბ 21
გონდატი, 85
გორდაძე, 129
გორდაძე, დ. 108, 109
გორდაძე, ეგ. 108, 109
გორდაძე, მ. 6
გორდულაძე, სპ. 235
ნორდულაძე, ს. 183
გორკი, მ. 235
გონჩაროვი, 236
გორდეევი დ. 9, 15
გოროზია, ი. 108

გოროზია, ს. 235
გოფოძე, 128
გოცირიძე, ვ. 125
გოჩია, 128
გოხშტრაზერი, 59
გუგუშვილი, პ. 46, 68, 69, 76-78
გულიშამბაროვი, ს. 78
გუნია, ვ. 209, 212, 225, 246
გურაბანიძე, 129
გურსკი, ვ. 120
გრიბოედოვი, ა. 209
გრიშაშვილი, ი. 226

## დ

დადიანი, 46, 135
დადიანი, კ. 47
დადიანი, ნ, 53
დადიანი, შ. 211, 215, 218, 220
დავითაშვილი, ნ. 219, 224
დგებუაძე, ფ. 148
დევდარიანი, სვ. 135
დევიცკი, 191, 196-199
დეფურე, 59
დიაკვნიშვილი, შ. 231
დობროვოლსკი, 112
დონდუა, ვ. 22
დუბროვინი, ნ. 55
დუმბაძე, მ 16, 22, 58
დურნოვი-სევასტიანოვი, 161

## ე

ელიავა, გ. 25
ერისთავი, გ. 201
ერისთავი, კ. 124
ერისთავი, რ. 203, 204
ერეკლე მეორე, 50
ეფრემიძე, 128
ეძგვერაძე, გ. 116

# ვ

ვასილევი, 62
ვაჭარაძე, ეთ. 236
ვაჭარაძე, ლ. 236
ვაჩრიძე, პ. 56, 195
ვორონცოვი, მ 69
ვიტტე, 160

# ზ

ზავადსკი, 194, 195
ზარდალიშვილი, ი. 214, 224, 225
ზაქარაია, პ. 19
ზაქარიაძე, ს. 230
ზაქარიაძე, ბ 230
ზერგაია, ი. 165

# თ

თაბუკაშვილი, ტ. 192, 197
თავართქილაძე, 129
თავზიშვილი, გ. 178
თათეიშვილი, მ. 212
თალგამაძე, 128
თარგამაძე, ა. 183
თარგამაძე, 128
თეეზაძე, ა. 230
თვალიაშვილი, 230
თოდუა, მ 32
თოდრია, ს. 255
თუთბერიძე, 129
თუთბერიძე, გ. 211
თულაშვილი, ვახ. 236
თუმანიშვილი, დ. 11

# ი

იაშვილი, 49
იაზიკოვი, კაპ. 47
იანოვსკი, 194
იევლევი, ა. 134
ივანიძე, ს. 225
იმედაშვილი, ალ. 226
ირემაძე, 128
იობაშვილი, გ. 16

იოსები, დას. საქ. კათ. 50
იოანე-ხუცესი, 46
იოვიძე, ა. 155
იოანე არჩილის-ძე, 27
იოსელიანი, ა. 230
იოსელიანი, ი. 71, 265
იოსელიანი, პლ. 11, 13, 18, 20
იოსელიანი, 128
იორდანიშვილი, ი. 136
იუსტინიანე, 18
იშხნელი, გ. 225, 226

## კ

კაკაკბაძე, აპ. 26
კაკაბაძე, გ. 24
კაკაბაძე, ვ. 183, 212
კაკაბაძე, ნ. 222, 236
კაკაბაძე, პლ. 20-209
კაკაბაძე, ალ. 235
კაკაბაძე, რ. 109
კაკაბაძე, ს. 8, 9, 11, 33, 35, 36, 38, 40, 42, 52, 129, 133, 252, 266
კაკაბაძე, უ. 6
კაკაურიძე, 129
კალანდაძე, გრ. 265
კალინინი, მ. 255
კაპანაძე, დ. 91
კაპანაძე, თ. 19
კარიჭაშვილი, დ. 233
კარსანიძე, ე. 265
კარტოზია, ბ 6
კარტოზია, მ. 109
კარტოზია, 129
კაჯელაშვილი, მ. 231
კეკელიძე, კ. 24, 32
კელენჯერიძე, მ. 33
კეთილაძე, 128
კეთილაძე, ვ. 212
კეჟერაძე, ე. 222
კენჟერაძე, 129
კვატალიანი, გ. 5, 6, 7

კვიტკა, ვ. 248
კიკალიშვილი, 128
კიკალიშვილი, პბ 157, 165, 196, 197, 210, 212, 216, 222, 224, 234, 237, 242
კიკნაძე, ა. 6
კიკაბიშვილი, 128
კილაძე, ი. 251
კილაძე, თ. 235
კიკობესიშვილი, 128
კინწურაშვილი, ე. 183, 238
კინწურაშვილი, მ. 236
კიპრიმოვი, 188
კირთაძე, 129
კიუნე, თ. 14
კლდიაშვილი, ი. 129
კლდიაშვილი, მ. 205
კლდიაშვილი, ეფ. 205, 206
კლდიაშვილი, ნ. 203
კობახიძე, 129
კონდაკოვი, ნ. 13, 27, 30
კოკორეიშვილი, 128
კოპაძე, 257
კოჭშავიძე, 128
კონტავა, 128
კონტავა, ზ. 257
კორძაძე, გ. 43, 194
კორძაია, კ. 173
კორძაია, ს. 266
კოტიშაძე, 128
კრინინა, ელ. 208
კრუპსკი, 199, 200
კუპრეიშვილი, 265
კუატაშიძე, 128
კუტაბიძე, 128
კუჭავა, 129
კუხელი, ი. 82

## ლ

ლაითაძე, 128
ლაითაძე, ვ. 266

ლაითაძე, მამ. 34
ლანჩავა, ო. 19
ლეჟავა, 129
ლებედინსკი, 124
ლევან I, დადიანი 36, 37
ლენინი, ვ. 157, 163, 254
ლისიმაქე, 21
ლიტვინოვი, 47
ლოლუა, ა. 224, 230
ლომთაძე, 129
ლომიძე, 129
ლომინაძე, 129
ლომსაძე, შ. 46
ლორთქიფანიძე, 129
ლორთქიფანიძე, დ. 49, 163, 201, 212, 222
ლორთქიფანიძე, გრ. 157
ლორთქიფანიძე, კ. 87, 203
ლორთქიფანიძე, ლ. 212
ლორთქიფანიძე, ო. 183, 210
ლორთქიფანიძე, ც. 212
ლორთქიფანიძისა, 207
ლოჩოშვილი, 129

## მ

მაევსკი, ვ. 19, 127
მათულეიშვილი, 128
მაიაკოვსკი, ვ. 260
მამალაძე, ს. 235, 237, 238
მამუკა, ბატონი. 37, 38
მამფორია, ი. 128, 144, 212, 229, 235
მარიამ დედ. 38, 40, 41
მალაქია, II, კათ. 35
მანაგაძე, 193
მანველიშვილი, 128
მამედოვი, ალი-მუსი, 88
მარშანია, კ. 194
მარტოვი, 163
მარქსი, კ. 168
მაისურაძე, 129

მატილეიშვილი, 128
მაღლაკელიძე, 128
მაღლაკელიძე, ბ 231
მაცაცია, 128
მაჭავარიანი, 149
მაჭარაშვილი, ალ. 240
მაჭარაძე, 128
მაჭარაძე, ა. 87, 235, 240
მაჭარაძე, გ. 70, 75, 103, 109, 111
მაჭარაძე, დ. 265
მაჭარაძე, ე. 181, 218
მაჭარაძე, ვ. 75, 181, 184
მაჭარაძე, კ. 212, 217, 218, 226, 229
მახარაძე, ნ. 49, 50
მახარაძე, ფ. 157, 255
მგალობლიშვილი, მ. 10
მდივანი, ბ 212
მდივანი, მ. 211, 212, 216, 224, 225, 227, 228
მებუკე, 128
მებუკე, ა. 230, 235
მებუკე, გ. 7, 212, 222
მებუკე, დ. 212, 224, 225, 228-230
მებუკე, ვ. 101, 230, 233, 238
მებუკე, კ. 34
მებუკე, მ. 116, 210
მებუკე, ს 261
მებურიშვილი, ნ. 148
მელაძე, გ. 144
მელაძე, რ. 6
მელაძე, ს. 97
მელქაძე, მ 6, 265
მელიქიშვილი, გ, 22, 24
მელიქოვი, ლ 190
მენაბდე, ნ 212
მესხი, ეკ. 259
მესხი, ეფ. 225
მესხი, კ. 204, 205, 225
მესხია, შ. 16, 22, 46
მესხიშვილი, ელ. 211-214, 216, 226, 227
მეუნარგია, ი. 117, 118

მინგრელსკი, ნ. 73
მიქაელი, დევ. 43
მიქაძე, თ. 6
მიქელაძე, ქ. 49
მიქელაძე, შ. 237, 238
მიქელაძე, ჯ. 49
მიხეილ თბ. 117
მიხეილ ნიკ. ძე მეფ. ნაც. 141
მოსეშვილები, 115
მოსეშვილი, ა 150
მოსეშვილი, ელ, 85
მოხეშვილი, 108, 115, 116
მოხირი, 191, 196
მურადოვი, 88
მურავიოვი, ა. 10, 13, 51, 53, 54
მურუსიძე, ა, 228
მუსხელიშვილი, ლ. 16, 33, 34
მშაშვიასშვილი, 128

## ნ

ნადარეიშვილი, 100, 129, 165
ნადარეიშვილი, ჰ. 88
ნადარეიშვილი, ბ 108, 109, 183
ნადარეიშვილი, ვლ. 161, 162, 235, 251
ნადარეიშვილი, ლ, 148, 196
ნაზარიშვილი, დ 182
ნაზარიშვილი, პ. 205
ნათაძე, ი205
ნათაძე, გ. 204, 205
ნამიჭეიშვილი, ნ. 181
ნარინ დავითი, 11
ნარსია, ი. 110, 111
ნაცვალაძე, დ. 179
ნებიერიძე, ა. 183
ნებიერიძე, ს. 148
ნემო, მ. 227, 228
ნეილგარტი, 117
ნერინგი, 10
ნიკოლაიშვილი, 17

ნიკოლეიშვილი, მ. 13, 91, 244
ნიკოლოზ არქიმ. 49, 50
ნიკოლაძე, ა. 204
ნიკოლაძე, ნ. 72, 74, 75, 121, 122, 191, 204
ნიკოლაძე, ი. 254
ნიკოლაძე, ევ. 176
ნიკოლაევი, 200
ნიკოკი, 228
ნიჟარაძეები, 116
ნიჟარაძე, 63
ნიჟარაძე, ვ. 261
ნიჟარაძე, ს. 183
ნინოშვილი, ეგ, 236
ნოროვი, არქ. 27, 31
ნოსელიძე, 235
ნუცუბიძე, ი. 181

## ო

ობოლენსკი, პ. 149
ომერ-ფაშა, 65
ორბელიანი, ს 23, 136
ორბელი, ი. 25
ორჯონიკიძე, დ. 124
ოსტროუხოვი, 49
ოქროპირიძე, 217

## პ

პაპავა, 129
პარკუსი, 163
პერევალენკო, ვ. 59, 71
პირტახია, გ. 212
პლეხანოვი, გ. 163
პომპეუსი, 121
პროკოფი კესარიელი, 11, 18, 19
პუშკინი, ა. 260

## ჟ

ჟივჟივაძე, ს, 229
ჟდანოვიჩი, 199
ჟორდ.ნია, თ. 13
ჟორდანია, ნ 173

## რ


რაიკო, 59
რამიშვილი, ი 157
რამსეს მეორე 12
რატიანი, 129
რატიანი, ე. 217
რატიანი, მ. 212
რატიანი, პ. 22
რატილი, ი. 208
რევიშვილი, 88
რივერტი, ლ, 101
რიკპოფი, 47
როდონაია, ერ. 194
როზმორდიუკი, 59
რონელი, ნ. 225
როსება, ნ. 230
როტენბერგი, ი. 202
რუსთაველი, შ, 32, 200, 245
რუსანოვი, თ, 14, 48, 49
რუსუდანი მეფე, 30
რუხაძეები, 61, 62
რუხაძე, 115, 129
რუხაძე, ა. 149, 150
რუხაძე, დედ 42
რუხაძე, ვ. 148, 150
რუხაძე, ბ 6, 264
რუხაძე, ი. 145, 183, 202, 212, 228, 229
რუხაძე, კ. 43
რუხაძე, პ. 108
რუხაძე, ს. 62-64
რცხილაძე, გ. 126


## ს


სადრაძე, 128
სადრაძეები, 23
ხავდრაძე, 128
ხავდრაძეები, 23
სალდაძე, 128

სალდაძეები, 23
სანდრაძეები, 22, 23
სანადირაძე, ევ, 228
სანიკიძე, 183
სავინი, პ. 194
სარაჯიშვილი, ვ. 228
სანაძე, ა. 260
სანაძე, ლ, 235
სანაძე, მ. 97, 100
სანაძე, ს. 224
სანოძეები, 29, 254
სანოძე, 129, 186, 196
სანოძე, გ. 144, 182,
სანოძე, დ, 266
სანოძე, ლ 228, 238, 251
სან·:ძე, მ 98, 99, 108, 183, 251
სანოძე, პ. 163
სანოძე, ს 97
სალარაძე, 128
სალარაძე, გ 259
სალარაძე, ი. 108
საყვარელიძე, ს. 149, 150
სესოსტრისი, 12
სერებრიაკოვი, 100
სვანაძე, ნ. 149, 150
სვანიძე, 128
სვანიძე, ა. 266
სვიანიძე, ნ 36
სვიმონიძე, 108
სიმონიძე, 128
სილოგავა, ვ, 28, 30
სისოევი, გენ. 50
სიხარულიძეები, 70, 108
სიხარულიძე, ი 109
სლავინსკი, 196
სმუკალოვი, 121, 122, 141
სოგლობოვი, გ. 235
სოკოლოვი, 191-193
სოლოგუბი, 183

სოლოვიოვი, კ. 235
სოლომონ I 8, 32, 39-41, 44, 46, 47, 50, 53, 133
სოლომონ II 41, 44, 47, 50
სოსელია, ო. 16, 36, 40, 54, 129, 150
სოფრონიოსი, 13
სტალინი, ი 157, 261, 262
სტაროსელსკი, 159, 160
სტრელეცკი, 191, 192
სტურუა, ვ. 255
სტურუა, ნ. 156
სტურუა, ს 88
სულავა, 129
სულთაძე, 128
სულთაძე, გ 36
სულთაძე, კ. 36
სურმავა, 129
სურმავა, დ 265
სურმავა, მ 265

## ტ

ტაბიძე, 128, 129
ტაბიძე, გ. 71, 118
ტაბიძე, ე. 236
ტაბიძე, ივ. 108
ტაბიძე, შ. 231, 265
ტერელაძე, ა. 264
ტერ-გერუქოვი, 99, 166
ტოლმაჩევსკაია, ნ 15
ტოლოჩანოვი, ნ 9, 134
ტომაშევსკი, ვ. 260
ტოლსტოი, ლ. 235, 236
ტოტლებენი, 47
ტროე, 199
ტრომპეტერი, 121
ტყეშელაშვილი, ვლ, 22

## უ

უგულავა, კ. 212, 222, 228
უგულავა, მ. 49
უგულავა, ჯ. 5

უვაროვი, სტ. 249, 250
უკრაინკა, ლ. 248
ურბნელი, გ. 214
უსინოვი, 197
უჩანეიშვილი, დ 118

## ფ

ფაილოძე, ა. 15, 27-30
ფარაძე, 129
ფარულავა, მ 265
ფანცულაია, 128
ფანცულაია, ა 251
ფანცულაია ბ 88
ფანცულაია, ე. 6
ფანცულაია, ს. 16, 252
ფარცვანია, დ 150
ფარცხალაძე, ალ. 230
ფარცხალაძე, ვ. 248, 260
ფარცხალაძე, კ. 150, 248
ფარცხალაძე, მ. 248
ფაღავა, 129
ფაღავა, ა 157
ფაღავა, გ 144
ფაჩუაშვილისა, 186
ფენჩაიშვილი, 128
ფირალოვი (ფირალიშვილები) 90, 95
ფირცხალავა, ე. 6
ფირცხალავა სვ. 175, 177-179
ფირცხალაძე, 129
ფოცხვერია, ლ 183
ფრანგულიანი, 212
ფრანციევა, ვ 260
ფურცხვანიძე, 129

## ქ

ქაბზინაძე, 129
ქავთაძე, 129
ქაროსანიძე, ან 261
ქაცარავა, 128
ქაცარავა, ვ. 222

ქაცარავა კ. 148, 156, 157, 165, 170, 250, 251
ქელბაქიანი, შ 230
ქვათელაძე, დ. 231
ქიქობძე, გ. 27, 32, 181
ქიქობძე, მ 181
ქიქობძისა 207
ქიქავა, 158
ქიშმაძე, 129
ქოიავა, ა 88
ქომეთიანი, ვ. 6
ქორიძე (ქორელი) 206, 226
ქორიძე, ფ 205, 206
ქორქაშვილი, 129
ქორქაშვილი, ლ 169
ქუთათელაძე, 116, 192, 206, 260
ქუთათელაძე, 128
ქუთათელაძე, ა 13, 20, 109, 176, 183, 192, 193, 205, 230, 252
ქუთათელაძე, ბ 101, 109
ქუთათელაძე, გაბ. 43
ქუთათელაძე, გრ 212
ქუთათელაძე, ე 183, 260
ქუთათელაძე, ევ 233
ქუთათელაძე, ვიქ 101
ქუთათელაძე, ვ. 222, 235, 252
ქუთათელაძე, ვ. 13, 163, 205, 212, 260
ქუთათელაძე, კ. 109, 203, 212
ქუთათელაძე, ლ 148
ქუთათელაძე, მ 148, 183, 212, 233, 235
ქუთათელაძე, ნ. 109, 183, 216
ქუთათელაძე, ჭ 212
ქუთათელაძე 203
ქუთათელაძე-რატიანისა, მ 212
ქუთათელაძე, ალ. 105

## ღ

ღამბაშიძე, დ 76
ღაჭავა, ვ. 261, 266
ღაჭავა, ვარ. 266
ღვიტაძე, 128
ღოღობერიძეები, 36, 54

ღოღობერიძე, 129
ღოღობერიძე, ბ 236
ღოღობერიძე, გ 43
ღოღობერიძე, გრ. 54
ღოღობერიძე, ლ 60, 133, 228
ღუდარჩიეხშვილი, 129
ღულაისშვილი, 128

## ყ

ყალაბეგაშვილი, ა. 224, 227, 228
ყანჩელი, ა. 260
ყანჩელი, ლ. 260
ყაზბეგი. ალ. 206, 236
ყაუხჩიშვილი, თ. 15
ყაუხჩიშვილი, ს, 9, 18, 19
ყვიცარიძე, 128, 129
ყვინჩია, ა 231
ყვინჩია, ი 231
ყიფრაძე, 129
ყიფიანი, 236
ყიფიანი, ბ 135, 183
ყიფიანი-აბაშიძისა, 186
ყიფშიძე, ი 23, 24
ყირყიზულაიშვილი, 36
ყლარტაისშვილი, 128
ყუბანეიშვილი, ს 32
ყუფარაძე, 128
ყუფარაძე, ა 6, 108, 125

## შ

შავდია, ვ. 52, 78, 129, 166, 210, 212, 235
შავლაყაძე, ბ 150
შავლაყაძე, ვ. 150, 261
შავლაყაძე, კ. 266
შავლაყაძე, ნ. 6
შალიკაშვილი, ვ. 73, 202, 221, 224, 225, 229
შაფაქიძე, ნ. 228
შარაშიძე, ივ 72, 74, 79, 80, 142, 180,181-183, 235, 237, 238, 241, 242, 245-247, 259

შენგელია, ა 88
შენგელია, ლ 145
შენგელია, პ 150
შერვაშიძე, გ. 124
შველიძე, 129
შველიძეები, 20
შველიძე, თ, 212
შმიდტი, 160
შნეიდერი, მ. 88
შოთაძე, პ. 224, 225
შჩეპინსკი, ა. 194

## ჩ

ჩაგუნავა, 174
ჩაგუნავა, კ 229
ჩაკვეტაძე, 129
ჩარგეიშვილი, გ 264
ჩარკვიანი, დ 211
ჩემია, მ 231
ჩერევინი, 120
ჩერნიშევი, 117
ჩერქეზია, 129
ჩიგოგიძე, 117
ჩიმაკაძე, ლ. 235, 237, 238
ჩიმაკაძე, ნ 147, 196
ჩიქოვანი, 129
ჩიქოვანი, ა. 235
ჩიქოვანი, გ 43
ჩიქოვანი, კ 266
ჩიქოვანი, მ 100
ჩიჩაგუა, 129
ჩიჩუა, გ 79
ჩიხლაძე, დ 265
ჩიხლაძე, ვ 100
ჩიჯავაძე, ა 38, 41-43, 49-50, 134, 175-178
ჩიჯავაძე, 58, 59
ჩიჯავაძე, ბ 37
ჩუბინიშვილი, გ. 15
ჩუბინიშვილი, ნ 134
ჩხაიძე, რ 6, 127

ჩხეიძე, ე 183, 212
ჩხეიძე, კ. 167
ჩხეიძე. ნ 211, 214, 226
ჩხარტიშვილი, 231
ჩხენკელი, 100, 129, 166, 177
ჩხენკელი, ა. 170, 183
ჩხენკელი, გ 103
ჩხენკელი, ერ 181
ჩხენკელი, ი 144
ჩხენკელი, ლ 222, 228
ჩხენკელი, მ 6, 167, 228
ჩხენკელი, პ 116
ჩხენკელი, რ 161, 170
ჩხენკელი, ც 236
ჩხიკვაძე, 129
ჩხიკვიშვილი, პ 181, 192, 210, 212-214, 238, 241, 242

## ც

ცაგარელი, ა 47, 206
ცაგარეიშვილი, 129, 197, 241
ცაგარეიშვილი, ე 183, 236-238
ცაგარეიშვილი, მ 235
ცაგარეიშვილი, პლ 235
ცაგარეიშვილი, შ 155
ცანავა, 129
ცინცაძე, ი 9
ციციანოვი, პ 47
ციციაშვილი, ხ, 108
ცხაკაია, მ 157
ცხვედაძე, ნ 236

## ძ

ძაძამია, 115, 129
ძიძავა, მ 266
ძიძიგური, 128, 147
ძიძიგური, ვ 121, 24, 150, 151, 162, 180, 192, 212, 236, 246, 255
ძნელაძე, 205

## წ

წერეთელი, 245
წერეთელი, ა 38, 188, 191, 203, 212, 214, 229, 236, 246, 247, 260

წერეთელი, გ 66, 122, 123, 205
წერეთელი, ივ 196
წერეთელი, კ 233
წერეთელი, მ 216
წერეთელი, ნ 72-74, 84-91, 142, 206-208
წერეთელი, ო 210
წვერავა, 129
წივწივაძე, 128
წივწივაძე, გ 245
წივწივაძე, დ 265
წივწივაძე, დედ. 43
წივწივაძე, ნ 235
წივწივაძე, რ 108, 219, 228
წიქუაძე, 129
წოწონავა, 129
წულაია, პლ. 169
წულუკიძეები, 36, 38, 64, 61-65, 115, 116, 201-203, 206, 262
წულუკიძე, ა. 156, 157, 168, 181, 201, 202, 254
წულუკიძე, ბ 37
წულუკიძე, გიტ. 37
წულუკიძე, გ 49
წულუკიძე, დ 36, 37, 119, 201
წულუკიძე, ე 20
წულუკიძე, ვ 203
წულუკიძე, ი 201, 203, 233
წულუკიძე, კ. 37, 201, 203
წულუკიძე, ლ 49, 204
წულუკიძე, მ 201
წულუკიძისა მ, 203
წულუკიძე, ნ. 201, 212, 216
წულუკიძე, პ. 37
წულუკიძისა, პ. 204, 205
წულუკიძე, ს. 54, 182, 201, 203

## ჭ

ჭავჭავაძე, ი 191, 195, 229, 236, 245, 260
ჭავჭავაძე-დადიანი, ეკ. 65
ჭავჭანიძეები, 128, 152, 173
ჭავჭიანიძე, 129
ჭამჭანიძე, 129
ჭავჭანიძე, აგ. 212
ჭავჭანიძე, ბ 61
ჭავჭანიძე, დ 108

ჭავჭანიძე, ი. 108, 145, 22, 228
ჭავჭანიძე, კ. 171, 174
ჭავჭანიძე, მ. 108, 231
ჭავჭანიძე, ნ 144
ჭავჭანიძე, შ. 230
ჭანიშვილი, 129
ჭანტურიშვილი, 129
ჭანტურიშვილები, 37, 54
ჭანტურიშვილი, ლ 222
ჭელიძე, ა 256
ჭელიძე, გ. 237
ჭელიძე, დ. 256
ჭელიძე, მ. 235, 237, 256
ჭელიძე, ი. 256
ჭელიძე, შ 256
ჭიჭინაძე, ა 162, 191, 192, 199, 200, 204, 235, 237, 245, 249
ჭიჭინაძე, ეფ. 235, 238
ჭიჭინაძე, ს 32, 240
ჭიჭაღუა, 129
ჭოლოკავა, თ. 173
ჭოღოშვილი, გ 97
ჭუბაბრია, 127, 137
ჭუბაბრია, დ 181
ჭურაძე, 115

## ხ

ხარებავა, ი 103
ხარებავა, ა 260
ხაინდრავა, ა 6
ხაჭაპურიძე, ჯ. 5
ხინტკირია, 129
ხინტკირია, ელ 212
ხმელიძე, 129
ხონელი, ი 51, 52, 55, 74, 179, 213, 214, 242
ხონელი, მ. 11, 31, 32
ხოსრო, ბატონიშ. 36
ხოშტარია, ი 181
ხოხობაძე, 128
ხუნდაძე, ტრ 232
ხურობე, გ. 260
ხურციძე, 128
ხუჭუა, ა 265
ხუჭუა, ლ 6

ხუხულისშვილი, 129
ხრისტოდულიდი

## ჯ

ჯაბადარი, ვ. 260
ჯაბიძე, 128
ჯავახიშვილი, ივ, 24, 25
ჯავახიშვილი, ნ. 224
ჯაიანი, ივ. 203
ჯამბურია, გ. 152
ჯანდიერი, გ. 169
ჯანჯღავა, ვლ, 264
ჯალაღანია, 128
ჯალაღანია, გ. 43
ჯალაღანია, ნ. 36
ჯალაღანია, ექვთ. 93
ჯალაღანია, ო 70
ჯაოშვილი, გ. 231
ჯაფარიძე, ალ. 169, 212
ჯაფარიძე, ეთ. 261
ჯაფარიძე, ო, 6
ჯაფარიძე, ტ. 6
ჯაფარიძე, შ. 230
ჯაფარიძე, 49
ჯორბენაძე, ს 228
ჯოჯუა, 129
ჯღარკავა, 129
ჯღარკავა, დ 251

## ჰ

ჰაკსტჰაუზენი, 117
ჰაუდეკი, ვ. 192, 245
ჰეროდოტე, 12

# სარჩევი


რედაქტორის წინასიტყვაობა — 5
ავტორის წინათქმა — 7
შესავალი — 8
თავი პირველი – ხონი ფეოდალურ ხანაში — 17
ირაკლი აბაშიძე ბურთი. ძველი იმერეთი. ლექსი — 56
თავი მეორე – ხონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა კაპიტალისტურ ხანაში — 58
1. საგლეხო რეფორმა და ხონის რაიონი — 58
2. სოფლის მეურნეობა — 68
3. მეაბრეშუმეობა. მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა ქუთაისის გუბერნიაში — 77
4. ხელოსნობა და შინამრეწველობა — 93
5. მცირე კაპიტალისტური საწარმოები — 98
6. ვაჭრობა და მევახშეობა — 101
7. გზები და ტრანსპორტი — 117
8. საკრედიტო საზოგადოებები ხონში — 125
9. ხონის მოსახლეობა — 127
10. ხონში საქალაქო მმართველობის შემოღების საკითხისათვის — 133
თავი მესამე – პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა ხონში — 146
1. რევოლუციური მოძრაობის დასაწყისი და პოლიტიკური წრეების აღმოცენება — 146
2. ხონი 1905-1907 წლების რევოლუციის დროს — 152
3. ხონი პირველი რევოლუციის დამარცხებიდან თებერვლის რევოლუციამდე — 164
4. ხონი 1917-1921 წლებში — 166
თავი მეოთხე – განათლება და კულტურა — 174
1. სკოლები ხონში — 175
2. ხონის თეატრალური წარსულიდან — 200
3. ხონის ბიბლიოთეკა-სამკითხველო — 231
4. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხონის განყოფილება — 236
5. ხონი და აკაკი წერეთელი — 242
დავით მებუკე – ივანე შარაშიძის ხსოვნას. ლექსი — 247

6. ლესია უკრაინკა ხონში — 248
7. რუსი მხატვარი – სტეფანე უვაროვი ხონში — 249
თავი მეხუთე – ხონი საბჭოთა ხელისუფლების წლებში — 250
1. ხონი 1921-1939 წლებში — 250
2. ხონი მეორე მსოფლიო ომის პერიოდში (1939-1945 წწ.) — 261
3. ხონი XX ს. 40-80-იან წლებში — 266
ირაკლი აბაშიძე – ქალაქი ხონი. ლექსი — 286
თავი მეექვსე – ხონური მოზაიკა — 287
გიორგი სააკაძე ხონში — 296
შალვა ნუცუბიძე ხონის შესახებ — 297
გალაკტიონი – ბალახვნის ქუჩაზე. ლექსი — 303
თავი მეშვიდე – ხონის ისტორიის ძნელი აღმართი — 303
ხონის რაიონიდან ქართულ ენციკლოპედიაში შეტანილია შემდეგი პირთა ბიოგრაფიები — 307
ხონის რაიონის ზოგიერთი ღირსშესანიშნაობა — 312
რა წავიკითხოთ ხონის შესახებ — 314
ხონთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოლოგია — 317
Из истории города Хони — 326
რეზიუმე ინგლისურ ენაზე — 331
სახელთა საძიებელი — 333
სარჩევი — 357
გიგლა ბახტაძე, ხონი, ლექსი — 360

# პეტრე ვაჭრიძე
# ხონის ისტორიიდან
# Вачридзе Варламович
# Из истории г. Хони
# Petre Vachidze
# From the History of Khoni

ვაჭრიძე პეტრე ვარლამის ძე დაიბადა 1929 წ. ქუთაისში, სტამბის მუშაკის ოჯახში, დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი. 1967 წლიდან ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატია. წლების მანძილზე ასწავლიდა საშუალო სკოლაში. ამჟამად არის ქუთაისის აკაკი წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, შეთავსებით მუშაობს ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში. ძირითადად იკვლევს დასავლეთ საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის საკითხებს. არის რამდენიმე ათეული შრომის ავტორი (მათ შორის ხონის შესახებ).

რედაქტორი გურამ მათეს-ძე ბახტაძე

ტექნიკური რედაქტორი გოჩა ნოდარის-ძე კერძევაძე
ოპერატორი გულიკო პაქსაშვილი, ირმა კაკალაშვილი
კორექტორი ავრორა საგარეიშვილი

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემელი საქველმოქმედო საზოგადოება „ხონელი"
გამომცემლობა სააქციო საზოგადოება „ფარნავაზი"

თბილისი
1998 წ.

## ᲒᲘᲒᲚᲐ ᲑᲐᲮᲢᲐᲫᲔ

### ხონი

სადაც ვშობილვარ, რაიონს ეწოდებოდა ხონია,
ახლაც ადგილი მის მჯობნი ამქვეყნად არა მგონია,
თვალის წარმტაცი ბუნება — ლამაზი მთა და ბარია,
ისტორიული წარსული და ძველი სემინარია.
მახსოვს და მემახსოვრება „ბულვარში" ცაცხვთა შრიალი,
მიშა ჩემიას ორკესტრი, ფაიტონების გრიალი.
ლომიძის ლიმონათი და ცაბიძის ხაჭაპურები
იასონ ჯალაღონიას საცირა-კალამბურები...
კუთხე ასეთი ლამაზი ვისთვის არ მოსაწონია?
სადაც კი ვნახავ კარგ ადგილს, ასე მგონია ხონია.
ხალხი გულღია, ნათელი, ხელში რომ უდგას დარია,
მახვილი სიტყვით, სხარტულით, მოსე ხონელის დარია.
ხონი ოდითგან ცნობილი, ჭირის და ლხინის მნახველი,
ხელახლა რატომ მონათლეს, რად შეუცვალეს სახელი?
ვინაც რა უნდა უწოდოს, მე კი სხვაგვარად მგონია,
ჩემთვის კი არა, ყველასთვის ხონი ისევ ხონია.